დემოკრატიის სახელით

ღმერთო შეუნდე ამერიკას

დემოკრატიის სახელით

ღმერთო, შეუნდე ამერიკას

გამომცემელი:
სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ©
თბილისი, 2013 წელი

© „ედასკბასეზ ეგნ ანსაფაფეფ“

წინათქმა

წლების მანძილზე, ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდიდან მოყოლებული, დაწყებული ჰოლივუდური ფილმებით, დამთავრებული იმ ადამიანების მონათხრობით, რომელთაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისა და ლამაზი ვიტრინების ხილვის „პატივი“ ხვდათ წილად, მასობრივად ყალიბდებოდა პროპაგანდისტული კლიშე, რომ შეერთებული შტატები „მიწიერი სამოთხეა“. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნები დამოუკიდებელნი გახდნენ. ჩამოყალიბდა აზრი, რომ ყველაზე დიდი მიღწევა, რაც შეიძლება ადამიანმა ინატროს, არის (თუნდაც მიახლოებურად) ისეთი ცხოვრების დონით და წესით ცხოვრება, როგორიც ამერიკაშია. ამერიკული ცხოვრების წესი ერთგვარად იდეალურად იყო წარმოჩენილი და ამ პროპაგანდაში შეერთებული შტატები მილიარდობით დოლარს ხარჯავდა, რადგანაც სწორედ ამ პროპაგანდით, „მიწიერ სამოთხეზე“ მითით ამართლებდნენ ვაშინგტონის უხეშ ჩარევას სხვა სახელმწიფოების საქმეებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სწორედ ამ პროპაგანდის წყალობით ქმნიდა აშშ ბაზას, რათა საკუთარი თავი მსოფლიო მენტორად, ბრძენ მასწავლებლად, სამართლიანობის ერთადერთ წყაროდ წარმოეჩინა.

სინამდვილე კი მკვეთრად განსხვავდება ამ პროპაგანდისტული მითისგან. სინამდვილე, რომელზეც წერენ დამოუკიდებელი ჟურნალისტები, მკვლევარები, უფლებადამცველები, ავტორიტეტული ადამიანები აშშ-ის შესახებ მთელ მსოფლიოში, შემზარავი უფროა, ვიდრე მიმზიდველი. წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია მასალები The New Yorker, The New York Times, Reuters, The Washington Post, Associated Press, Foreign Policy, The Guardian, The National Interest, The Guardian, World News, The American Conservative, Global Research, Herald Tribune, Le Figaro, El Pais, bbc.co.uk, Business Insider, Time და სხვა ავტორიტეტული უცხოური გამოცემებიდან.

ამ მასალებში კომპეტენტური სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აშშ თავად თითქმის არაფერს აწარმოებს, ცხოვრობს იმპორტისა და ვალების ხარჯზე, მისი შემოსავლის ძირითადი წყარო არის დოლარების, მწვანე კუპიურების, დიდძალი მასა, რომელსაც ლამის კონვეიერულ რეჟიმში ბეჭდავს. ქვეყნის საგარეო ვალი 13 ტრილიონ დოლარზე მეტია და ამ კაბალიდან გამოსავალი მხოლოდ მოხმარების მკვეთრ შემცირებაშია, მაგრამ, ვინაიდან ვაშინგტონი მოსახლეობის პროტესტის შიშით ამაზე ვერ წავა, ის ბეჭდავს დიდძალი რაოდენობით დოლარს, რომელსაც სხვა ქვეყნები მოიხმარენ ვალუტად, შედეგად მიღებული კოლოსალური მოგება კი ხმარდება თითქმის ორი ასეული სამხედრო ბაზის შენახვას მთელ მსოფლიოში.

ამერიკელი ეკონომისტების მიერ დადგენილია, რომ 1973 წლის შემდეგ შეერთებულ შტატებში რიგითი ადამიანების ცხოვრების დონე არ უმჯობესდება, თუ არ ჩავთვლით მოსახლეობის 1 პროცენტს, რომელმაც მთელი ნაციონალური სიმდიდრე მიითვისა. აშშ-ში კატასტროფულად იზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ, მაშინ, როდესაც ეს ქვეყანა მიჩნეულია უმდიდრეს სახელმწიფოდ. ძალიან მძიმეა, ასევე, მილიონობით არალეგალი ემიგრანტის მდგომარეობა. ბედნიერების ინდექსის მიხედვით, ამერიკელები მსოფლიოში მეცხრამეტე ადგილზე არიან, მაშინ, როდესაც ნებისმიერი ამერიკელის ოცნებაა, წარმოაჩინოს საკუთარი თავი ბედნიერ ადამიანად.

40 წელიწადია, აშშ-ში არ განახლებულა ძირითადი ფონდები, გაცვეთილი და ამორტიზებულია საინჟინრო ინფრასტრუქტურა — გზები, დამბები, გახშირებულია ტექნოგენური კატასტროფები. ბოლო წლების სტიქიურმა უბედურებებმა ცხადყო, რომ ქვეყნის ინფრასტრუქტურას არ ძალუძს მათთან გამკლავება. დეგრადირებულია ამერიკის განათლების სისტემა. აშშ-ის განათლების სამინისტროს განცხადებით, სკოლების შენობებს, 30-40 წელია, არ ჩატარებიათ კაპიტალური რემონტი. განათლების დონე უკიდურესად დაბალია. მსოფლიოში წერა-

კითხვის ცოდნის დონით ამერიკელი მოსწავლეები მე-17 ადგილზე არიან, ხოლო მათემატიკის ცოდნით — 30-ეზე.

ამერიკელი ექსპერტები ამერიკული ჯანდაცვის სისტემას განიხილავენ, როგორც კერძო მედიცინისა და ფარმაცევტული კომპანიების შეთქმულებას — ავადმყოფობასა და სიკვდილზე დიდძალი მოგების მიღების მიზნით. მძიმეა ხანდაზმული ადამიანების მდგომარეობაც, რომლებიც იძულებულნი არიან, დანაზოგი ძირითადად საცხოვრებელსა და მკურნალობაში დახარჯონ. ამასთანავე, მოსახლეობის 1 პროცენტს, რომელმაც ნაციონალური სიმდიდრეები მიითვისა, თავისი კაპიტალი გადააქვს ოფშორულ ზონებში, ხოლო წარმოება — აზიაში, რათა თავი აარიდოს სახელმწიფო გადასახადებს.

სავალალო მდგომარეობაშია „ამერიკული დემოკრატიაც“. როგორც ირკვევა, ეს ტერმინი კაპიტალის შირმაა. ცნობილია, რომ რესპუბლიკელების ძირითადი ამოცანა ხელისუფლებაში ყოფნისას არის ენერგეტიკული სექტორის ლობირება, დემოკრატები კი უოლ სტრიტის ინტერესებში მოქმედებენ. მსხვილი ჩინოვნიკები, რომლებიც სახელმწიფო სამსახურს ტოვებენ, სამუშაოდ მიდიან სწორედ მსხვილ კორპორაციებში, სადაც უკვე მუშაობენ მათი ოჯახის წევრები. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით ირკვევა, რომ უმეტეს შემთხვევაში სენატის მიერ მიღებული კანონები და საზოგადოების აზრი მათთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან სენატორები აღმასრულებელი ხელისუფლების დაკრულზე ცეკვავენ, აღმასრულებელი ხელისუფლება კი „ფულის ტომრების“ დაკვეთებს ასრულებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, განსაკუთრებით ტელევიზიამ, წაართვა მოსახლეობას ვითარების კრიტიკულად გააზრების საშუალება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკიდურესად კომერციალიზებულია. ოღონდ ამ საშუალებებმა ხელი არ შეუწყონ მოსახლეობაში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას და ხელისუფლება მათ საშუალებას აძლევს, კოლოსალური თანხები (წელიწადში 300 მილიარდი) იშოვონ რეკლამის ხარჯზე. მაყურებლის ეკრანთან მიჯაჭვის მიზნით კი, ხდება

ძალადობის, სექსის სცენების მასობრივი ჩვენება, რაც საზოგადოების ცნობიერებაში პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს.

ზემოთქმულის პარალელურად, მსოფლიო ლიდერობის შესანარჩუნებლად, აშშ იძულებულია, დანარჩენ მსოფლიოს წაართვას დოვლათი, რათა შეინარჩუნოს მოხმარების დონე. დანარჩენი მსოფლიოს გასაძარცვად კი აუცილებელია მძლავრი სამხედრო მანქანა და მისი მუდმივად უხვი დაფინანსება. ამ მიზნის მისაღწევად, ანუ იმისათვის, რომ აიძულოს დანარჩენი მსოფლიო, დათმოს თავისი ქონება, აშშ, ერთის მხრივ, აიძულებს მას, იცხოვროს იმ წესების მიხედვით, რომელთაც ვაშინგტონი აწესებს, და, მეორე მხრივ, მთელ მსოფლიოში ავითარებს სამხედრო ბაზების ქსელს, რათა „ურჩებს ჭკუა ასწავლოს“.

სხვა ქვეყნების დასაყოლიებლად, იმისათვის, რომ არ გაჩნდეს შეკითხვა, თუ რატომ უნდა იქცეოდეს ესა თუ ის სახელმწიფო მსოფლიოს ამათუიმ კონტინენტზე ამერიკის (და არა საკუთარი) ინტერესების შესაბამისად, ვაშინგტონი სამხედრო ძალის პარალელურად იყენებს მარიონეტული, აბსოლუტურად მორჩილი რეჟიმების ხელისუფლებაში მოყვანის და მათი მეშვეობით საკუთარი ინტერესების გატარების მეთოდს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში და ბევრ სხვა კოლონიურ თუ ნახევრადკოლონიურ სახელმწიფოში.

მაშინ, როდესაც აშშ ლამის მთელ მსოფლიოს საყვედურობს ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე, თავად არის სამიდან ერთ-ერთი ქვეყანა, რომელსაც არ აქვს რატიფიცირებული გაეროს კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ. აშშ თვითონ არ გრძნობს და არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

მაშინ, როდესაც აშშ მთელ მსოფლიოს მოუწოდებს და დენთით და ტყვიით „ასწავლის“ ადამიანის უფლებების დაცვას, თავად ამერიკაში „პატრიოტის აქტის“ მიღების შედეგად სამოქალაქო უფლებები მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს. სწორედ ამერიკის მიერ შეიქმნა უკანონო, არალეგალური ციხეები, რომლებშიც ათასობით ტუ-

© „ღამისფრიზი“

საღის არაადამიანური წამების შესახებ ფაქტებმა არაერთხელ შეძრა მსოფლიო. სხვა ქვეყნების მიმართ, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მუდმივი პრეტენზიების პარალელურად აშშ-ში შექმნილია ათეულობით სპეცსამსახური, 100-150 ათასი თანამშრომლით თითოეულში. შტატიანი აგენტების ასეთი სიუხვის მიუხედავად, აშშ-ის მოსახლეობა შიშის სინდრომითაა შეპყრობილი, მეზობელს მეზობლის ეშინია, მარკეტის გამყიდველს — კლიენტის, მასწავლებელს — მოსწავლის და მთელი მოსახლეობა ისტერიულად იარაღდება, ხშირად კი ზოგიერთი პარანოიით შეპყრობილი ან სასოწარკვეთამდე მიყვანილი ინდივიდი იწყებს სროლას ხალხმრავალ ადგილებში და ხოცავს შემთხვევით ადამიანებს, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, რასისა.

დღემდე მძვინვარებს რასიზმის და სეგრეგაციის პრობლემა. თუკი აქამდე მწვავედ იდგა მხოლოდ თეთრკანიანების რასიზმის პრობლემა, დღეს ამას დაემატა ფერადკანიანების რასიზმი, რომელიც არანაკლებ საშიშია. ამ ფაქტორების გამო იხლიჩება ამერიკული საზოგადოება.

უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ წინამდებარე მასალებისათვის კრებულში ამერიკელი ხალხის მიმართ ნიშნის მოგების მიზნით არ მოგვიყრია თავი, პირიქით, სიმპათიით ვართ განწყობილი ამერიკელი ხალხის, ამერიკული კულტურის მიმართ, ვაღიარებთ მის მნიშვნელობას, ადეკვატურად აღვიქვამთ ამერიკული კულტურის საუკეთესო ნიმუშებს, მაგრამ პარალელურად გააზრებული გვაქვს ნეგატიური პროცესები, რომელთაც ამ ქვეყანაში აქვს ადგილი და გვაშფოთებს ამ ქვეყნის ისტებლიშმენტის ჯიუტი სურვილი — მომავალშიც ძველი მეთოდებით უზრუნველყოს აშშ-ის მსოფლიო ლიდერობა, რაც უდიდეს ზიანს აყენებს მსოფლიოში მშვიდობას.

აგრეთვე, ჩვენი წუხილის საგანია, პირველ რიგში, ისიც, რომ ამერიკელი ემისრების მხრიდან საქართველოს საქმეებში უხეში ჩარევის, მათი მხრიდან ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმის (რომელიც მხოლოდ ამერიკული ინტერესების მომსახურებაზე იყო ორიენტირებული) უპირობო მხარდაჭერის შედეგად მკვეთრად გაუარესდა არა მარ-

ტო ამერიკის რეიტინგი, არამედ შეილახა ქართველი ხალხის რწმენა დასავლური ფასეულობებისადმი და ნეგატიური გახდა ზოგადი დამოკიდებულება ამერიკის მიმართ.

იმედს ვიტოვებთ, რომ ამერიკელი ხალხი, ამერიკული ელიტა მივა ვითარების ობიექტურ, კრიტიკულ გააზრებამდე და იმ სულიერი ფასეულობების აღორძინების აუცილებლობამდე, რომელთა ბაზაზეც დეკლარირებული იყო ამერიკის სახელმწიფოს შექმნა.

©„ღიასკამაზრენი ათასაფრი“

მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვის მარათონში ლიდერი ამერიკაა



პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მთელი პროგრამა დაწერა და წარადგინა ამერიკაში ძალადობის დონის შესამცირებლად. სხვა ყველაფერთან ერთად ეს პროგრამა ითვალისწინებს საბრძოლო ავტომატური იარაღისა და დიდი მოცულობის სავაზნეების გაყიდვის აკრძალვას. მაგრამ კონსერვატორები თვლიან, რომ ამერიკელებს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში დაიცვან თავი თუნდაც იარაღით და მათი გადარწმუნება იოლი საქმე არ იქნება. არადა, ამერიკაში 2012 წელი მასობრივი მკვლელობებით გამორჩეული გახდა. საკმარისია, გავიხსენოთ 12 ადამიანის მკვლელობა კოლორადოს კინოთეატრში ფილმის პრემიერაზე და 20 ბავშვისა და 6 მასწავლებლის ჩაცხრილვა კონექტიკუტის შტატის სენდი ჰოუკის დაწყებით სკოლაში. არც 2013 წელი ჩამორჩება გასულს — კონექტიკუტის კოლეჯში ატეხილ სროლას ორი

ადამიანი ემსხვერპლა, მისურის შტატის კოლეჯში კი სტუდენტმა ჯერ სასწავლებლის ერთ-ერთი თანამშრომელი დაჭრა, შემდეგ კი ტყვია მკერდში დაიხალა.

სხვათა შორის, თუ ობამას მართლაც სურს ამერიკელთა „განიარაღება“, მას ამის გაკეთება შეუძლია შესაბამისი განკარგულებების გაცემით თავისი გეგმის სხვა კომპონენტების სარეალიზაციოდ. მაგალითად, ბაიდენმა უკვე ჩამოთვალა 19 ზომა, რომელთა მიღებაც პრეზიდენტს კონგრესის გარეშეც შეუძლია. მათ შორისაა **სასჯელის გამკაცრება მათთვის, ვინც არასწორ მონაცემებს აფიქსირებს იარაღის შეძენისას და იარაღის უკანონო შემოტანის სამართალდარღვევის კატეგორიიდან სისხლის სამართლის დანაშაულებში გადატანას.**

მაგრამ წარმომადგენელთა პალატის ტეხასელი წევრი რესპუბლიკელი სტივ სტოკმანი პირობას დებს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს ობამას იმპიჩმენტის მისაღწევად, თუ ეს უკანასკნელი რაიმე ზომებს გაატარებს განკარგულებების საშუალებით. მან პრეზიდენტის გეგმას ამერიკის შეერთებული შტატების ფუძემდებლურ პრინციპებზე არაკონსტიტუციური შეტევა უწოდა. მართლაც, **ამერიკელებს თავის დროზე კონსტიტუციის შესწორებით მიენიჭათ უფლება, იქონიონ იარაღი და ახლა ამის წინააღმდეგ ნებისმიერი ნაბიჯი არაკონსტიტუციური შეტევაა.**

მეორე მხრივ, ამერიკაში მოსახლეობის შეიარაღების სტატისტიკა გამაოგნებელია. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მონაცემებით, **1979 წლიდან 1997 წლამდე, ანუ 20-წლიან შუალედში ცეცხლსასროლი იარაღით უფრო ბევრი ამერიკელი მოკლეს (651 697 ადამიანი), ვიდრე 1975 წლიდან მოყოლებული ყველა ომში ერთად. მხოლოდ 2011 წელს შეიარაღებული მკვლელების ხელით 6 543 ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს.**

ამჟამად ამერიკის 40 შტატში მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც ნებისმიერს, ვინც შეიტანს განაცხადს იარაღის ფარულად ტარების შესახებ და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, ამის უფლება უნდა მიეცეს. შედეგად, თუ ათი

© „ღამისფრთიანი“

წლის წინ ამერიკაში ამგვარი ლიცენზია სულ რამდენიმე ასეულ ათას ადამიანს ჰქონდა, ახლა ის 6 მილიონ ადამიანზე მეტს აქვს.

და, რაც ყველაზე მთავარია, ჯერჯერობით, მიუხედავად ცალკეული მცდელობებისა, განაიარაღონ ამერიკელები, როგორც კანონმდებლობა, ასევე საზოგადოების განწყობა იმ ამერიკელების მხარესაა, რომელთაც სურთ, კარადაში შაშხანას ინახავდნენ, ქურთუკის ჯიბეში კი პისტოლეტი ედოთ.

შედეგად სახეზეა სტატისტიკა, რომელიც სიმშვიდისთვის საბაბს არ ტოვებს. მთელი მსოფლიო გლოვობდა ამერიკის კონეკტიკუტის შტატის სენდი ჰოუკის სკოლაში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დახოცილ ბავშვებს. და ეს ერთადერთი შემთხვევა არაა მსოფლიოში, როდესაც თავდაცვისთვის შეძენილი იარაღიდან ნასროლ ტყვიებს არა თავდამსხმელები, არამედ მშვიდობიანი მოქალაქეები ეწირებიან.

2012 წლის 19 მარტს უცნობმა პირმა სროლა ატეხა საფრანგეთის ქალაქ ტულუზის ერთ-ერთი ებრაული სასწავლო დაწესებულების გვერდით. სროლას ოთხი ადამიანი ემსხვერპლა, მათგან სამი ბავშვია. მსროლელი შემთხვევის ადგილიდან მოტოროლერით მიიმალა.

2012 წლის 14 მარტს ჰალუცინოგენური ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა განურჩეველი სროლა ატეხა კოლუმბიის დედაქალაქის ცენტრში. შედეგად სამი შემთხვევითი გამვლელი დაიღუპა, ოთხი კი — დაიჭრა. ნარკომანმა შექმილ ქაოსში მიმალვა შეძლო.

2012 წლის 11 მარტს ავღანეთში, ყანდაგარის პროვინციაში ამერიკელმა სამხედროებმა მოკლეს 16 მშვიდობიანი მოსახლე, რომელთა ცხედრებიც შემდეგ დაწვეს. მასობრივი მკვლელობის მიზეზი გახდა ამერიკული ჯავშანტრანსპორტერის აფეთქება. ვიდრე თავიანთ მსხვერპლთ სიცოცხლეს გამოასალმებდნენ, ამერიკელმა ჯარისკაცებმა ორი ავღანელი ქალი გააუპატიურეს.

2012 წლის 23 იანვარს გვატემალის ქალაქ ვილია ნუევაში ერთ-ერთ დისკოთეკაზე მასიური ხოცვა-ჟლეტა ატყდა. პოლიციის მონაცემებით, შეიარაღებული ადამიანე-

ბის ჯგუფი შევიდა გასართობი დაწესებულების შენობაში დაახლოებით ნაშუაღამევს და ხალხს გაუხსნა ცეცხლი. სამი ადამიანი ადგილზე იქნა მოკლული, კიდევ ორი მოგვიანებით ჰოსპიტალში გარდაიცვალა, კიდევ 20 ადამიანზე მეტი საავადმყოფოში გადაიყვანეს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების გამო, მათგან მრავალს მძიმე მდგომარეობა ჰქონდა.

2011 წლის 24 დეკემბერს მოხუცმა იტალიელმა მორიგი წაჩხუბების შემდეგ თავისი მეზობლები შაშხანით დახოცა. ტრაგედია პატარა იტალიურ ქალაქ ჯენცანო-დილუკანიაში მოხდა და გახდა გრძელვადიანი დავის დასასრული მენკიზების ოჯახსა და 77 წლის ეტორე ბრუჩელას შორის. მოხუცს მეზობლების სამრეცხაოდან გამომავალი საკვამური აღიზიანებდა. მორიგი ჩხუბის შემდეგ მოხუცი სახლში შევიდა, კარადიდან შაშხანა გამოიღო და პირდაპირ გაუხსნა ცეცხლი მეზობლებს. შედეგად ოჯახის უფროსი მძიმედ დაიჭრა, მისი მეუღლე და ორი შვილი კი გარდაიცვალნენ.

2011 წლის 13 ოქტომბერს კალიფორნიის ქალაქ სილბიჩში მდებარე სილამაზის სალონში სროლა ატყდა. ინცინდენტი მოხდა სალონ „Meritage"-ში. 13 ადამიანი მოკლეს. სამი ადამიანი დაიჭრა და საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფნი მიიყვანეს. ეჭვმიტანილი სკოტ დეკრაი პოლიციას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარდა. მისგან მრავალი სახის იარაღი იქნა ამოღებული. დანაშაულის მოტივად გამოძიება განიხილავდა დამნაშავის სიძულვილს საკუთარი ყოფილი ცოლის მიმართ, რომელიც ზემოხსენებულ სალონში მუშაობდა. დანაშაულის ჩადენის პერიოდში ყოფილ მეუღლეებს შორის სასამართლო დავა განიხილებოდა არასრულწლოვანი ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებით.

2011 წლის 4 ოქტომბერს მოტოციკლეტებზე მსხდომმა უცნობმა პირებმა გზატკეცილზე მიმავალი ავტობუსის მგზავრები ჩაცხრილეს პაკისტანის პროვინცია ბელუჯისტანის ადმინისტრაციულ ცენტრ კვეტაში. მოტოციკლეტისტებმა გააჩერეს ავტობუსი და იარაღის მუქარით აიძულეს მგზავრები, ჩამოსულიყვნენ, შემდეგ კი მათ

სროლა აუტეხეს ავტომატური იარაღიდან. 12 ადამიანი მოკვდა, 15 დაიჭრა. ყველა გარდაცვლილი ადგილობრივი შიიტი მუსლიმანი იყო.

2011 წლის 8 ნოემბერს სომალელმა სამხედრო მოსამსახურემ, რომელიც სასადილოში სურსათის დარიგებაზე იყო პასუხისმგებელი, დამშეულ ლტოლვილებს სროლა აუტეხა. შედეგად ხუთი ადამიანი მოკვდა. ინცინდენტი სომალის დედაქალაქის სამხრეთით, ვაბერის რაიონში მოხდა. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, სამხედრო მოსამსახურემ სროლა ატეხა მაშინვე, როგორც კი სურსათის დარიგება და რიგში ჭყლეტა დაიწყო.

2011 წლის 7 სექტემბერს დამნაშავემ განურჩეველი სროლა ატეხა კარსონ-სიტის კაფეში, ნევადის შტატის ადმინისტრაციულ ცენტრში. შედეგად აშშ-ის ეროვნული გვარდიის სამი სამხედრო მოსამსახურე და ერთი სამოქალაქო პირი დაიღუპა, კიდევ რამდენიმე ადამიანი კი დაიჭრა. ხალხის ჩახოცვის შემდეგ დამნაშავემ თავისივე იარაღით მოიკლა თავი.

2011 წლის 7 აგვისტოს ამერიკის ოჰაიოს შტატის და-

სახლებულ პუნქტ კოპლიში მამაკაცმა, რომლის ვინაობის შესახებაც მონაცემები არ გახმაურებულა, ოჯახური კამათის საფუძველზე ხუთი ადამიანი ჩახოცა. პირველი ინცინდენტის ადგილიდან ოდნავ მოშორებით მან კიდევ ორი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ამის შემდეგ ბოროტმოქმედი სამართალდამცავებმა მოკლეს.

2011 წლის 22 ივლისს ნორვეგიაში მოხდა გახმაურებული ორმაგი ტერორისტული აქტი, რომლის შემსრულებელიც ანდერს ბერინგ ბრეივიკი გახლდათ. თავდაპირველად აფეთქება გაისმა სახელისუფლო შენობების კომპლექსთან ოსლოს ცენტრში, სადაც პრემიერ-მინისტრის კანცელარია მდებარეობს, რამდენიმე საათის შემდეგ კი ბრეივიკი პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი მიადგა ახალგაზრდულ ბანაკს და პირდაპირ გაუსხნა ცეცხლი დამსვენებლებს. **ორმაგმა ტერაქტმა 77 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ოსლოში რვა ადამიანი მოკვდა, 69 ადამიანი კი კუნძულზე მდებარე ბანაკში დაიხოცა.**

2011 წლის 7 ივლისს როჟიკ შონტე დანცლერმა ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ გრენდ-რეპიდში შვიდი ადამიანი მოკლა. ნათესავების განცხადებით, უკიდურესად აგზნებულ მდგომარეობაში მყოფმა დანცლერმა სამი ადამიანი ერთ სახლში მოკლა, კიდევ ოთხი — მეორე სახლში. მოკლულებს შორის ერთი ბავშვია. ცდილობდა რა პოლიციისგან თავის დაღწევას, მან ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სამი მძევალი აიყვანა. მას შემდეგ, რაც დამნაშავის ადგილსამყოფელს პოლიციამ ალყა შემოარტყა, დანცლერმა თავი მოიკლა.

2011 წლის 19 ივლისს უცნობმა დამნაშავემ აფთიაქში ოთხი ადამიანი ჩაცხრილა ამერიკის ქალაქ მედფორდში ნიუ იორკის აღმოსავლეთით. მოკლულ იქნა ორი აფთიაქარი და ორი მყიდველი, მკვლელმა მიმალვა მოახერხა.

2011 წლის 2 ივლისს არიზონას შტატის ქალაქ იუმაში მოხუცმა მამაკაცმა რამდენიმეჯერ გაუხსნა ცეცხლი ქალაქში ხალხს. ხუთი ადამიანი მოკვდა, ერთი კი — დაიჭრა, რის შემდეგაც დამნაშავემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მსროლელი 73 წლის კერი ხედ დაესი აღმოჩნდა.

© „ადამიანის უფლებათა ევროპა“

2011 წლის 9 აპრილს ქალაქ ალფრენ-ან-დე-რეინში, ნიდერლანდების ამსტერდამიდან სამხრეთ-დასავლეთით გზის 21-ე კილომეტრზე მამაკაცმა სავაჭრო ცენტრში ატეხა სროლა. მამაკაცი 25 წლის იქნებოდა. იგი შევიდა სავაჭრო დარბაზში და სროლა დაიწყო განურჩევლად, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მკვლელის ჩათვლით სულ შვიდი ადამიანი მოკვდა, 11 კი — დაიჭრა.

ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროს დასავლეთ ოლქში მდებარე სკოლაში სროლა ატეხა 23 წლის ამავე სკოლის ყოფილმა მოსწავლემ. თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ ადგილობრივი დროით დაახლოებით 8 საათზე იგი სკოლის შენობაში შევიდა, ავიდა სართულზე, სადაც გაკვეთილები ტარდებოდა და გადავსებულ საკლასო ოთახებში ორი რევოლვერიდან ატეხა სროლა. ადგილზე მოსულმა პოლიციის ოფიცერმა მოახერხა, მსროლელი ფეხში დაეჭრა, რის შემდეგაც მან თავი მოიკლა. მოგვიანებით პოლიციამ იპოვა წერილი, რომელშიც დამნაშავე ცდილობდა, ამ საზარელი საქციელის მოტივები აეხსნა. ტრაგედიას 12 ადამიანი ემსხვერპლა. დახოცილებს შორის 12-დან 14 წლამდე ასაკის 10 გოგო, 1 ბიჭი და თავად მკვლელი იყო. ქალაქის საავადმყოფოებში ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობებით 11 ბავშვი მიიყვანეს.

2011 წლის 3 მარტს საფრანგეთის სამხრეთში მდებარე ქალაქ რივსალტში ჭკუიდან გადასულმა მამაკაცმა იარაღიდან სროლა ატეხა და მუნიციპალიტეტის ორი თანამშრომელი და ერთი შემთხვევითი გამვლელი მოკლა. ამის შემდეგ 78 წლის კაცი შეეცადა, თავი მოეკლა. სახის მძიმე ჭრილობით იგი საავადმყოფოში მოათავსეს.

31 იანვარს სომალელმა სამხედრო მოსამსახურემ საზენიტო ზარბაზნით ესროლა ბრბოს ქვეყნის დედაქალაქში. ინცინდენტი მაშინ მოხდა, როდესაც სამხედროებს შორის კამათი ჩხუბში გადაიზარდა. როგორც ჩანს, სამხედრომ შემთხვევით გაუხსნა ცეცხლი მშვიდობიან მოქალაქეებს. შედეგად 17 ადამიანი მოკვდა და 50 დაიჭრა.

11 იანვარს უცნობმა ცეცხლი გახსნა სამგზავრო მატარებლის ვაგონში ეგვიპტის პროვინცია ელ-მინიაში. პოლიციის მონაცემებით, დამნაშავე ვაგონში შევარდა და პირდაპირ სროლა ატეხა. ერთი ადამიანი მოკვდა და ხუთი დაიჭრა. თავდამსხმელმა გაქცევა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა.

2011 წლის 8 იანვარს აშშ-ის არიზონას შტატში კონგრესის წევრ გაბრიელ გიფორდსის შეხვედრისას ამომრჩევლებთან ბრბოდან გამოვარდნილმა მამაკაცმა შეკრებილებს აუტეხა სროლა. შედეგად 6 ადამიანი მოკვდა, 13 კი — დაიჭრა. თავად გიფორდსმა მძიმე ჭრილობა მიიღო. მსხვერპლთა შორისაა 9 წლის გოგო, ფედერალური მოსამართლე და გიფორდსის რამდენიმე თანაშემწე. მსროლელი 22 წლის ჯარედ ლოფნერი აღმოჩნდა, იგი შეურაცხადად მიიჩნიეს და იძულებით მკურნალობაზე გაგზავნეს.

2011 წლის 5 იანვარს სროლა გაისმა ნებრასკას შტატის ომახის ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში. ადგილობრივი სამართალდამცავების ინფორმაციით, სავარაუდოდ, ისროლა 17 წლის ბიჭმა, ქალაქის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის შვილმა, რომელმაც შემთხვევის შემდეგ თავი მოიკლა. მომხდარის შედეგად ორი ადამიანი მოკვდა და ერთი დაიჭრა.

2010 წლის 6 ნოემბერს ქალაქ სიკაგოში მრისხანების შემოტევით შეპყრობილმა პოლიციელმა სამ ბარში ათამდე ადამიანი მოკლა. 30 წლის პოლიციელი სამართალდამცავებს ჩაბარდა. როგორც გაირკვა, მამაკაცი ბარებში თავის მეგობარ გოგონას ეძებდა, მაგრამ უშედეგოდ.

30 აგვისტოს ახალგაზრდა მამაკაცმა განურჩეველი სროლა ატეხა სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში. შედეგად 14 ადამიანი დაიჭრა და 7 — მოკვდა. დაზარალებულთა უმეტესობა დაჭრილი იყო კიდურებისა და გულმკერდის არეში. შემთხვევის ადგილზე ანტიტერორისტული ქვედანაყოფების მისვლის შემდეგ მამაკაცმა თავი მოიკლა. სლოვაკეთის პრესა წერდა, რომ დამნაშავე ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი 15 წლის ბიჭი იყო.

© „ღამისფრთიანები“

2010 წლის 12 ივლისს ყოფილმა თანამშრომელმა ცეცხლი გახსნა ბოჭკოვანი კაბელების საწარმოში, რომელიც აშშ-ის ნიუ-მეხიკოს შტატის ქალაქ ალბუკერკში მდებარეობს. 3 ადამიანი მოკვდა, 6 კი — დაიჭრა. ამის შემდეგ დამნაშავემ თავი მოიკლა. მისი ქმედების საბაბი შეყვარებულთან დაძაბული ურთიერთობა გახდა.

2010 წლის 6 ივლისს ეგვიპტური სამშენებლო კომპანია „Arab Contractors“-ის 54 წლის თანამშრომელმა მაჰმუდ ტახა სუვეილიამმა განურჩეველი სროლა ატეხა ავტობუსში. 6 ადამიანი მოკვდა და 16 დაიჭრა. ყველა დაზარალებული კომპანიის თანამშრომელი იყო, ისინი ავტობუსით ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე მიჰყავდათ სამუშაოდ. როგორც მოგვიანებით სამართალდამცავებმა დაადგინეს, დანაშაული ამ ავტობუსის მძღოლმა შურისძიების მოტივით ჩაიდინა.

2010 წლის 2 ივლისს კოლუმბიის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ ენვიგადოში უცნობმა მამაკაცმა სროლა ატეხა. პოლიციის მონაცემებით, ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი რამდენიმე ადამიანი დისკოთეკისთვის განკუთვნილ შენობაში შევიდა და სროლა ატეხა. შენობაში საკმაოდ ბევრი სტუმარი იყო. ამ შემთხვევისას 8 ადა-

მიანი დაიღუპა და 13 დაიჭრა. თავდამსხმელებმა დანაშაულის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს.

2010 წლის 18 იანვარს უცნობმა პირმა სამხრეთ კალიფორნიის ერთ-ერთ სწრაფი კვების რესტორანში განურჩეველი სროლა ატეხა. პოლიციის ინფორმაციით, მამაკაცი რესტორანთან ველოსიპედით მივიდა, შევიდა შენობაში და რამდენიმეჯერ ისროლა ორი პისტოლეტით ერთდროულად. ამის შემდეგ კი თავის მოკვლა სცადა. ბოროტმოქმედის მიერ ნასროლი ტყვიები მოხვდა მამაკაცს, მის 29 წლის ცოლს და მათ 5 და 8 წლის შვილებს. ოჯახის მამა ადგილზე გარდაიცვალა, ერთ-ერთი ბიჭი — საავადმყოფოში, დანარჩენმა სამმა, მათ შორის თავად დამნაშავემაც, მძიმე ჭრილობები მიიღეს.

2010 წლის 2 ივლისს ტაქსის მძღოლმა დერიკ მერდმა განურჩეველი სროლა ატეხა ინგლისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კამბრიას საგრაფოს ქალაქებში. პოლიციის მონაცემებით, ადგილობრივი დროით 11-ის ნახევარზე მან მამაკაცი მოკლა ქალაქ უაიტჰეივენში, საიდანაც სამხრეთისაკენ გაემართა. მორიგი მსხვერპლი გახდა დასახლებულ პუნქტ გოსფორტის ფერმერი. მამაკაცი საკუთარი ოჯახის თვალწინ ჩაცხრილეს. კიდევ ორი ადამიანი ქალაქ სისკეილში მოკლა და გზა განაგრძო. საერთო ჯამში მკვლელ ტაქსისტს 12 ადამიანი ემსხვერპლა, 25 კი — დაიჭრა. დამნაშავემ ტყეში მოიკლა თავი.

2010 წლის 19 აპრილს ამერიკის ქალაქ ნოკსვილში (ტენესის შტატი) უცნობმა მამაკაცმა ცეცხლი გაუხსნა ადამიანებს, რომლებიც სამედიცინო ცენტრის ეზოში იდგნენ. ინცინდენტის შედეგად ორი ადამიანი მოკვდა, ორი დაიჭრა, თავად დამნაშავემ კი თავი მოიკლა.

2010 წლის 4 აპრილს უცნობმა მამაკაცმა სროლა ატეხა ჩრდილოეთ ჰოლივუდში მდებარე რესტორანში, რის შედეგადაც ოთხი ადამიანი მოკვდა და ორი დაიჭრა. დამნაშავემ პოლიციისგან დასხლტომა მოახერხა.

2010 წლის 30 მარტს უცნობმა მამაკაცმა ვაშინგტონში სროლა ატეხა. დედაქალაქის პოლიციის ხელმძღვანელის კეტი ლენიერის განცხადებით, მან ბირდაპირ ხალ-

ხის ბრბოს აუტეხა სროლა. სამი ადამიანი დაიღუპა, ექვსი — დაიჭრა. ხანგრძლივი დევნის შემდეგ პოლიციელებმა მოახერხეს სამი ეჭვმიტანილის დაკავება. ამ ოპერაციის შემდეგ ოთხ პოლიციელს სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

2010 წლის 6 თებერვალს შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი შევარდა მექსიკის საკურორტო ქალაქ მასატლანის ერთ-ერთ ბარში და ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა ხალხს. 6 ადამიანი დაიღუპა. ყველა თავდამსხმელმა გაქცევა შეძლო.

2010 წლის 10 იანვარს ვირჯინიის შტატის ქალაქ ლინჩბურგში ატეხილ სროლას 8 ადამიანი შეეწირა. დამნაშავე წინააღმდეგობის გარეშე დანებდა პოლიციას. 39 წლის კრისტოფერ სპეიტი ჯერ დასახლებული პუნქტის ერთ სახლში შევარდა და შვიდი ადამიანი ჩაცხრილა, კიდევ ერთი მისი მსხვერპლი გზის პირას იპოვეს დაგდებული.

2010 წლის 12 იანვარს უცნობმა მამაკაცმა იაპონიის პროვინცია ოსაკაში მდებარე ერთ-ერთ ბარში ატეხა სროლა. ინცინდენტი ქალაქ ხაბიკინოში მოხდა. სროლას ერთი ადამიანი ემსხვერპლა, ორი კი დაიჭრა. დაჭრილების მდგომარეობა ექიმებმა კრიტიკულად შეაფასეს. როგორც პოლიციელებმა განაცხადეს, მსროლელმა თავი მოიკლა.

2010 წლის 7 იანვრის ღამეს შეიარაღებულმა მამაკაცმა მანქანიდან ესროლა ეგვიპტელი ქალების ჯგუფს, რომელიც საშობაო მსახურების შემდეგ ტაძრიდან გამოვიდა ეგვიპტის სამხრეთით მდებარე ქალაქ ნაგ-ხამადიში. დაიღუპა 15-დან 37 წლის ასაკამდე შვიდი ადამიანი, მათ შორის მუსლიმანი პოლიციელიც, რომელიც ტაძარს იცავდა. კიდევ 10 ადამიანი დაიჭრა. 8 იანვარს ამ დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი სამართალდამცავებს ჩაბარდა. დანაშაულის მოტივი გახდა ორ თვეზე მეტი ხნის წინ ჩადენილი იმ დანაშაულისთვის შურისძიება, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდა ქრისტიან მამაკაცს მუსლიმანი ქალის გაუპატიურება ედებოდა ბრალად.

2010 წლის 7 იანვარს ამერიკის მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლუისში, ერთ-ერთ საწარმოში უცნობმა პირმა სროლა ატეხა. ინციდენტის შედეგად 3 ადამიანი მოკვდა და 5 დაიჭრა.

2011 წლის მხოლოდ მარტში ამერიკაში არამოტივირებულ მკვლელობებს 50-ზე მეტი ადამიანი შეეწირა.

სოდომიზაცია — სახელმწიფო დეპარტამენტის გავლენის ინსტრუმენტი

გლობალიზაციის მოწინააღმდეგე სუვერენული სახელმწიფოების ტრადიციული ინსტიტუტების რღვევისათვის ამერიკის საგარეო პოლიტიკა გარყვნილთა უფლებების კულტივირებას ახდენს.

ვაშინგტონის შტატის სასამართლომ აღიარა გეების უფლება ერთსქესიან ქორწინებებზე. შტატის გუბერნატორმა — დემოკრატების წარმომადგენელმა კრისტინ გრეგუარმა სიხარულით ამცნო მსოფლიოს, რომ ხელს მოაწერს ამ უფლებას, რათა „კანონი ამოქმედდეს და დისკრიმინაციის ერა დასრულდეს“.

ლიბერალ-სოდომიტები ირწმუნებიან, რომ მხოლოდ მათ ძალუძთ, დაძლიონ კრიზისები და პრობლემები მთელი კაცობრიობისთვის მაღალი იდეალების გაზიარებით და მისი ნათელ მომავალში შეყვანით.

ამრიგად, ამერიკის კიდევ ერთი შტატი ოფიციალურად გასოდომისტდა და, მართალია, მოცემულ შემთხვევაში მთავარი როლი დემოკრატებმა შეასრულეს (ისინი ვაშინგტონის სამთავრობო სტრუქტურებში უმრავლესობას წარმოადგენენ), ძირითადი კამათი რესპუბლიკელებისა და

დემოკრატების ან, უტრირებულად რომ ვთქვათ, კონსერვატორ-ფუნდამენტალისტებსა და ლიბერალ-რეფორმატორებს შორის არ მიმდინარეობს. ის ფაქტი, რომ რამდენიმე თვალსაჩინო ვაშინგტონური კომპანია, მათ შორის „Microsoft“-ი, „Amazon“-ი და „Starbucks“-ი, სადაც შტატის ათიათასობით მცხოვრები მუშაობს, ასევე იწონებს კანონს, ამერიკული საზოგადოების დეჰუმანიზაციის პროცესის შეუქცევადობაზე მიანიშნებს.

ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ აშშ-ში გეების უფლებებისათვის ბევრი რამ გააკეთა. ეს დიდი ხნის წინ დაიწყო, პირველი ერთსქესიანი ქორწინება ხომ ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის რეჟიმისას, 2004 წელს, შედგა მასაჩუსეტსის შტატში. ევროკავშირში სოდომიტების საზოგადოება სახელისუფლო სტრუქტურებშია ფესვგადგმული და ასევე, არაერთი წელია, იბრძვის თავისი თანამოაზრეების უფლებებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს გლობალური ხასიათი აქვს, რამდენადაც საერთაშორისო არენაზე ამ მოვლენის პოლიტიზირებაა გაჩაღებული, თანაც საყოველთაოდ. პოლონეთის პარლამენტში უკვე ტრანსექსუალი და პედერასტი შეძვრნენ, სანკტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრების გადაწყვეტილებამ კი, რომელიც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისათვის სასჯელს აწესებს, დასავლეთის მხრიდან მწვავე კრიტიკა განაპირობა.

„გეების უფლებები ადამიანის უფლებებია“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გაეროში ადამიანის უფლებათა კომისიაში სიტყვით გამოსვლისას. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოსცა შესაბამისი მემორანდუმი, რომელშიც აშშ-ის სახელმწიფო უწყებებისადმი განსაზღვრულია რეკომენდაციები სექსუალური უმცირესობებისთვის უცხოეთში უფლებების შესახებ. ფინანსური დახმარება, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა და დიპლომატიური ზეწოლა სოდომიტების მხარდასაჭერი ზომებია. როგორც კლინტონმა განაცხადა, **„ვერც კულტურული, ვერც რელიგიური ტრადიციები ვერ გამოდგება სექს-უმცირესობების დისკრიმინაციის გამართლებად“.**

იმ ქვეყნების სიაში, რომელთა წინააღმდეგაც გა-

© „ᲠᲔᲜᲐᲡᲐᲜᲡᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲝ“

მოცხადებულია ომი სექსუალური უმცირესობების დასაცავად, მოხვდნენ რუსეთი, ნიგერია, კამერუნი, უგანდა, ირანი და ზიმბაბვე. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ თვით გეების უფლებებისთვის მებრძოლთაგან მრავალი აშშ-ის ხელისუფლებას ამგვარი მიდგომისათვის აკრიტიკებს და ამბობს, რომ ის შეგნებულად ურევს თავის აგრესიულ იმპერიულ პოლიტიკას გარყვნილთა ინტერესებში.

სექსუალური უმცირესობების ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი აქტივისტი სკოტ ლონგი ამბობს, რომ „ობამისტები ძალზე პროგრესულები არიან ადამიანის უფლებებზე საუბრისას, მაგრამ გუანტანამოს ციხე ისევ არსებობს, სამხედრო ტრიბუნალი კვლავაც სამართლიანი სასამართლოს პაროდიას ჰგავს და უპილოტო საფრენი აპარატები კი ხალხის ხოცვას განაგრძობენ“.

ამიერიდან ვაშინგტონის ინტერესების სამსახურში იქნებიან არა მხოლოდ ამერიკელი სოდომიტები, რომელთაც სამხედრო ფორმა აცვიათ, არამედ გარყვნილთა საერთაშორისო არმია, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოებში დამანგრეველ მოღვაწეობას გააჩაღებენ. სახელმწიფოებში, სადაც კანონმდებლობითაც და არაფორმალურადაც ერთსქესიანი ქორწინება დანაშაულად ან ცოდვად განიხილება, **ეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ნაფერები გარყვნილები უფლებადამცველი ორგანიზაციების ხაზით გრანტებს მიიღებენ და გამოიყენებენ საკუთარი ინტერესების გასავრცელებლად, პარალელურად კი დასავლეთის ნეოლიბერალური პოლიტიკური გუნდების დაკვეთებსაც შეასრულებენ.**

თავისი ახალი აქტივისტების ტრანსნაციონალურ ქსელზე დაყრდნობით, ვაშინგტონი სახელმწიფოებს გარედანაც და შიგნიდანაც ერთდროულად შეუტევს და შესაძლოა, სანქციებიც კი დააწესოს სოდომიზაციის მოწინააღმდეგეთა მიმართ.

ამიტომ საინფორმაციო ომის ახალი ფრონტის გასახსნელად მზადება ახლავე უნდა დაიწყოს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა თავისი აღმასრულებელი და ოპერატიული ორგანოებით ამ ფრონტის ხაზი უკვე მოამზადეს.

ამერიკის შეერთებული შტატების ნახევრადდემოკრატია

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ხალხი არ ირჩევს: ამ სახელმწიფოებრივ აქტს განახორციელებენ ამომრჩეველთა კოლეგიის წევრები. საქართველოში დღეს აქტიურად ბჭობენ პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევის საკითხზე, ამ უფლების პარლამენტისთვის მინიჭების თაობაზე. ამიტომ უპრიანია, დეტალურად გავერკვეთ ამერიკული დემოკრატიის ზემოთ ნახსენებ წარმონაქმნზე, რომელსაც ზოგი კონსტიტუციონალისტი ნახევრადდემოკრატიას უწოდებს, ზოგი ექსპერტი ხალხის ნების დათრგუნვად მოიხსენიებს, ზოგი ანალიტიკოსი აშშ-ის ისტორიის რელიქტურ გადმონაშთად მიიჩნევს.

საიდან მოდის ამომრჩეველთა კოლეგია?

ამომრჩეველთა კოლეგიის (Electoral College) ინსტიტუტი აშშ-ში 1787 წელს შეიქმნა. მთელმა რიგმა მიზეზებისა განაპირობა მისი შემოღება: იმ დროს აშშ-ში არ იყო ძლიერი პოლიტიკური პარტიები, არ ფუნქციონირებდა საერთოეროვნული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კომუნიკაციის სისტემაც არ არსებობდა. საინტერესო დეტალია: იმ პერიოდის ამერიკელები და მათი თანამედროვე ევროპელები თავიანთ საცხოვრისს იყვნენ მიბმულნი

© „ღონისძიების ორგანიზაციული“



და 8-10 კილომეტრით თუ დასცილდებოდნენ მას. ჩვეულებრივ მოქალაქეებზეა ლაპარაკი, უბრალო ხალხზე.

ხალხზე, რომელსაც უნდა აერჩია ქვეყნის პრეზიდენტი.

მაგრამ ვინ? რომელი პოლიტიკური მოღვაწე? ის, რომელსაც იცნობდა, ან ის, ვისზეც რაღაც მაინც გაეგო. **პოლიტიკოსები კი ასე თუ ისე პოპულარულები იმ მოქალაქეებში შეიძლება ყოფილიყვნენ, რომლებიც მცირე ტერიტორიაზე სახლობდნენ: საერთოეროვნულ მასშტაბზე ოცნება არ შეიძლებოდა.**

ისტორიკოსები გაგვისწორებენ და ჯორჯ ვაშინგტონის მაგალითს დაგვისახელებენ, რომელიც საერთოეროვნული მასშტაბის ფიგურა იყო. მართალია. ვერ შეეკამათები, მაგრამ იგი პოლიტიკაში არმიის სარდლობიდან მოვიდა. ეს კი განსაკუთრებული და გამონაკლისი მოვლენა იყო.

გამონაკლისებზე არ ვლაპარაკობთ.

შტატების დამაარსებლებს, ზემოთ თქმული ფაქტორების გარდა, კიდევ ერთი თავსატეხი ჰქონდათ: მათ აფიქრებდათ (და საფუძვლიანადაც), რომ არსებულ რეალობაში ამომრჩეველთა სიმპათია შეიძლება მოეპოვებინათ პოპულისტებს და სხვადასხვა ჯურის ექსტრემისტებს. **მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მცირემცოდნე იყო და მისი შეცდენა სავსებით შესაძლებელი იყო. ამას ნებისმიერი პოლიტიკანი შეძლებდა და სწორედ იმიტომ, რომ ხელისუფლების**

სათავეში არ აღმოჩენილიყო შემთხვევითი ადამიანი, მღვრიე ნაკადის გაფილტვრა დაეკისრა ამომრჩეველთა კოლეგიას.

შემდეგი არგუმენტი ისეთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხება, როგორიც იყო და არის ცალკეული შტატების სუვერენიტეტი, უწინარეს ყოვლისა, მცირედდასახლებული შტატების სუვერენიტეტი. სწორედ მათ არ დაუჭირეს მხარი საერთოეროვნული პირდაპირი არჩევნების სისტემას. მათი შიში საფუძვლიანი იყო, რადგან შტატებს, რომელთა მოსახლეობა გაცილებით დიდი რაოდენობით გამოირჩეოდა (ნიუ იორკის, ვირჯინიის შტატები) ამომრჩეველთა რაოდენობის წყალობით, წლიდან წლამდე შეეძლოთ აშშ-ის პრეზიდენტად თავიანთი კანდიდატის გაყვანა.

ამომრჩეველთა კოლეგიას, რომელიც დაკომპლექტდებოდა თავთავიანთ შტატებში ავტორიტეტული მოქალაქეებისგან, დაეკისრა საყოველთაოდ მისაღები, გააზრებული და გონიერი გადაწყვეტილებების მიღება.

აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით, **ამომრჩეველთა კოლეგია სახელისუფლო ინსტიტუტი კი არ არის, არამედ იურიდიული პროცესია, რომელშიც ამჟამად 538 ამომრჩეველი მონაწილეობს.** აშშ კონსტიტუცია ხაზგასმით მიუთითებს, რომ კოლეგიის წევრები (ამომრჩევლები) უბრალო მოქალაქეები კი არ არიან, არამედ გამოცდილი და ავტორიტეტული პიროვნებები, რომლებსაც ხელეწიფებათ შტატის მცხოვრებთა ინტერესების დაცვა. კონკრეტულად ვინ უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ შტატს კოლეგიაში, დამოუკიდებლად წყვეტს თითოეული შტატი.

წარმომადგენლებს ირჩევენ შტატის პარტიულ ყრილობებზე ან შტატის პარტიული ხელმძღვანელობის დონეზე. ტრადიციულად ამომრჩევლებად გვევლინებიან სენატორები და კონგრესმენები, პოპულარული პოლიტიკოსები ან პრეზიდენტობის კანდიდატებთან დაახლოებული ადამიანები.

არჩევნების დღისთვის თითოეულ შტატში საბოლოოდ აქვთ ჩამოყალიბებული ამომრჩეველთა კოლეგიის წევ-

© „ეროვნული ინსტიტუტი“

რების ორი სია, რომლებიც წარდგენილია დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების მიერ.

მას შემდეგ, რაც დამთავრდება არჩევნების შედეგების გამოქვეყნება, გუბერნატორი ხელს აწერს იმ პარტიის ამომრჩეველთა სიას, რომლის კანდიდატმაც გაიმარჯვა ამ შტატის არჩევნებში. სწორედ ეს ადამიანები, უკვე ფორმალურად, აირჩევენ პრეზიდენტს.

ზოგიერთ შტატში ამომრჩეველთა კოლეგიის წევრების გვარები შეაქვთ საარჩევნო ბიულეტენებში, ზოგში — არა.

როგორ ადგენენ ამომრჩეველთა კოლეგიის წევრთა რაოდენობას?

ძალიან მარტივად: მათი რაოდენობა დგინდება შტატის მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგებზე დაყრდნობით და აქედან გამომდინარე. ბუნებრივია, რომ ამის გამო რაოდენობრივი მხარე არჩევნების მომდევნო ციკლში განსხვავდება წინამორბედისგან. აქვე უნდა ითქვას, ყველაზე მცირემოსახლეობიან შტატს კოლეგიაში 3 წევრზე ნაკლები არ შეიძლება ჰყავდეს. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში 3-3 წევრი ჰყავდა ალიასკის, ვაიომინგის, მონტანას, ჩრდილოეთ დაკოტის, ვერმონტის და კოლუმბიის ფედერალური ოლქის (დე ფაქტო — ქალაქი ვაშინგტონი), მაქსიმალური წევრებით იყო წარმოდგენილი კალიფორნიის (55), ტეხასის (38), ფლორიდისა და ნიუ იორკის (29-29) შტატები.

ამერიკელი ამომრჩევლების ყველა ხმას ერთი და იგივე „წონა“ აქვს. ვაიომინგის შტატში ცხოვრობს 568 ათასი ადამიანი, ანუ კოლეგიის ერთი წევრი დაახლოებით 189 კაცზე მოდის. კალიფორნიის შტატის მოსახლეობა 37,7 მილიონია. კალიფორნია კოლეგიაში აგზავნის, როგორც ზემოთ მიგანიშნეთ, 55 წევრს: ერთი ამომრჩეველი 700 ათას კალიფორნიელზე მოდის. მაშასადამე, ხმა, რომელიც მიცემულია პრეზიდენტობის კანდიდატისთვის ვაიომინგში, გაცილებით „მნიშვნელოვანია“, ვიდრე კალიფორნიელის მიერ მიცემული ხმა.

ამომრჩეველთა კოლეგია იკრიბება პირველ ორშაბათს პრეზიდენტის არჩევნების მომდევნო დეკემბრის მეორე ოთხშაბათის შემდეგ. (პრეზიდენტის არჩევნები კონსტიტუციის მიხედვით იმართება პირველ სამშაბათს ნოემბრის პირველი ორშაბათის შემდეგ). **კოლეგიის ამომრჩეველთა საერთო კრება არ იმართება: მათთვის ხმის მიცემის პროცედურა ეწყობა მშობლიური შტატების მიხედვით ცალ-ცალკე.**

ამომრჩეველთა კოლეგიის წევრები, რომლებიც ერთ შტატს წარმოადგენენ, როგორც წესი, ერთხმად აძლევენ ხმას. გამონაკლისი ნებრასკისა და მენის შტატებია, სადაც ამომრჩევლების ნების გამოხატვის უფრო რთული სისტემა მოქმედებს.

მაგრამ ამ სირთულეებში გარკვევის მცდელობა ჩვენთვის იგივეა, რაც ლაბირითში შესვლა მეფე მინოსის ქალიშვილის არიადნას ძაფის გარეშე.

კოლეგია, ფაქტობრივად, არ არსებობს, როგორც ერთობლივი სხდომების ჩამტარებელი ორგანო: ერთსა და იმავე დღეს მისი წევრები იკრიბებიან თავიანთი შტატის დედაქალაქში და აძლევენ ხმას, მათ ხმებს შემდეგ აჯამებენ. სულ ესაა.

თითოეული შტატის ამომრჩეველთა კოლეგიის წევრები იმდენივეა, რამდენი წარმომადგენელიც ჰყავს ამ შტატს კონგრესში. ფედერალური ოლქი კოლუმბია, რომლის ტერიტორიაზე ქვეყნის დედაქალაქი ვაშინგტონი მდებარეობს, კონგრესში წარმოდგენილი არ არის, მაგრამ პრეზიდენტის არჩევნებში კოლეგიის იმდენი წევრითაა წარმოდგენილი, რამდენიც შეიძლებოდა ჰყოლოდა, შტატი რომ ყოფილიყო, მაგრამ არაუმეტეს ყველაზე უფრო დასახლებული შტატისა.

აშშ-ის კონსტიტუცია და ფედერალური კანონმდებლობა კოლეგიის წევრებს არ ავალდებულებს, ხმა მისცენ მათი თანამემამულეების მიერ დაფიქსირებული ხმების შესაბამისად, მაგრამ ამავე დროს ასეთი მოთხოვნა ჩაწერილია 26 შტატის კანონმდებლობაში.

იშვიათ შემთხვევაში ამ კანონის დამრღვევი ჯარიმდე-

© „ღვინისმცოდნე“

ბა მაქსიმუმ ერთი ათასი დოლარით. **კოლეგიის წევრები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი პარტიების წინაშე.**

თუ პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ამომრჩეველთა კოლეგიის წევრების უმრავლესობის ხმებს (270 ხმას), პრეზიდენტს ირჩევს წარმომადგენელთა პალატა, ვიცეპრეზიდენტს კი — სენატი. უკანასკნელად ასეთი არჩევნები გაიმართა 1824 წელს. **კონგრესის ორივე პალატის ერთობლივ სესიაზე, რომელიც 6 იანვარს იმართება, კოლეგიის წევრების ხმები ჯამდება. არჩევნების ოფიციალურ შედეგებს აქვეყნებს მოქმედი ვიცეპრეზიდენტი.**

გამარჯვებულს – ყველაფერი

ამომრჩეველთა კოლეგიის საქმიანობის თავისებურებამ უკანასკნელ ათწლეულებში გამოიწვია ის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები თავიანთი დროისა და სახსრების უდიდეს ნაწილს ახმარენ იმ, ყველაზე უფრო „საკამათო“ შტატებში აგიტაციის წარმართვას, რომლებშიც არ არის რესპუბლიკური ან დემოკრატიული უმრავლესობა: **თუ რესპუბლიკელების კანდიდატი თუნდაც ერთი ხმით გაიმარჯვებს დემოკრატების კანდიდატზე, იგი ავტომატურად მიიღებს კოლეგიის ყველა წევრის ხმებს.**

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე თეთრი სახლის ახალი პატრონი გამოავლინა რამდენიმე ათეულმა ხმამ, რომლებიც ჯორჯ ბუშ უმცროსს ფლორიდის შტატის ამომრჩევლებმა მისცეს. იმუშავა პრინციპმა: „გამარჯვებულს — ყველაფერი“. ფლორიდის ამომრჩეველთა კოლეგიის ყველა წევრმა ხმა ბუშს მისცა, რამაც უზრუნველყო მისი გამარჯვება ანგარიშით 271:266. ბუში პრეზიდენტი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით ხმების საერთო რაოდენობით მას გაუსწრო კონკურენტმა, დემოკრატმა ელ გორმა. ასეთივე სიტუაცია დაფიქსირდა 1824, 1876 და 1888 წლების არჩევნებში, როცა გამარჯვებულებმა საერთოეროვნული მასშტაბით ნაკლები ხმები მიიღეს დამარცხებულ კანდიდატებთან შედარებით.

აშშ-ის კონგრესის კვლევითი სამსახურის მონაცემებით, ორი საუკუნის განმავლობაში კონგრესმა განიხილა კანონებისა და კონსტიტუციის შესწორების 700-ზე მეტი პროექტი, რომლებიც საარჩევნო სისტემის სერიოზულ რეფორმირებას ითვალისწინებდა.

ექსპერტები, კონსტიტუციონალისტები, კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მოქმედი სისტემა მოძველდა, რომ ქვეყნის ბედს წყვეტენ არა მისი მოქალაქენი, არამედ ამომრჩეველთა კოლეგიის წევრები.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ამ საკითხზე იშვიათად ტარდება, მაგრამ ბოლო 15 წლის მანძილზე გამოიკვეთა მისი შეცვლის მოთხოვნის ტენდენცია. ამერიკელები უპირატესობას პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებს ანიჭებენ, მაგრამ, როგორც ანალიტიკოსები ასკვნიან, კოლეგია კიდევ დიდხანს იცოცხლებს.

რატომ?

იმიტომ, რომ ასე სურს მმართველ ელიტას, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, უმსხვილეს კორპორაციებს, ძლიერთ ამა ქვეყნისა.

„სექენდ ჰენდი“

მაშ, ასე: შევეცადეთ, გავრკვეულიყავით შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის საარჩევნო სისტემის თავისებუ-

რებებში, ჩახლართულობასა და ჩაგვირისტებაში და მივადექით ერთადერთ დასკვნას: **აშშ-ში პრეზიდენტს ხალხი არ ირჩევს.**

აბა — დემოკრატიააო?

ხალხი ირჩევს ამომრჩეველთა კოლეგიას, რომლის წევრების რაოდენობა, საბჭოური ГОСТ-ებისა არ იყოს, ზუსტად დადგენილ-დაწესებულია. ისეა, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრებს ირჩევდნენ პარტიის წევრთა მასიდან. ისინი კი — ქვეყნის მეთაურს — გენერალურ მდივანს.

ის სისტემა არ იყო დემოკრატიული.

ამათი სისტემა თურმე დემოკრატიულობის ნიმუშია. ისეთი ნიმუში, რომელიც მსოფლიოში უნდა დაინერგოს, ამისთვის თუნდაც ბალკანეთის დაბომბვა გახდეს საჭირო, თუნდაც ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების სახელმწიფო წყობილების აფეთქება.

მეორე წელიწადია, ვერ დაწყნარდა აშშ-ის მიერ გადემოკრატიულებული მაშრიყ-მაღრიბი.

ნახევრადდემოკრატია.

ანუ — ელიტის მიერ უზურპირებული ნება ხალხის, როგორც საქართველოში იყო სააკაშვილის მმართველობის ოქროს ხანაში და რომელიც „მოსწონდა ასე ძლიერ“ აშშ-ის ელჩს საქართველოში — ჯონ ბასს, რომელიც, როგორც

ბასმაჩები გასული საუკუნის დასაწყისში აკონტროლებდნენ ცენტრალური აზიის ტერიტორიას, ისე განაგებდა საქართველოს ნაცელიტის ხელით.

კალკირებული ერზაცდემოკრატია. რა თქმა უნდა, ნაციონალური თავისებურების მაქსიმალიზმით გამორჩეული: ამერიკაში ამომრჩეველთა კოლეგიის წევრებს თუ მაინც ირჩევს ხალხი, ჩვენთან ცესკოს რამდენიმე წევრს ჰქონდა მინდობილი გადაწყვეტილების გაფორმება — მიშა იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტი თუ... მიშა.

ბასმაჩები საბჭოთა ხელისუფლებამ აღგავა უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან, ტაჯიკეთიდან, თურქმენეთიდან და ყირგიზეთიდან.

ახლა მოჯაჰედები გამოვიდნენ ასპარეზზე, იგივე ბასმაჩები — ჯიჰადის მებრძოლები ურწმუნოთა წინააღმდეგ.

რიჩარდ ნორლანდიც ასევე ხომ არ ჩაენაცვლა ჯონ ბასს?

დავა-კამათი საქართველოში პრეზიდენტის არჩევის სისტემის შეცვლის თაობაზე ძალიან ჰგავს შემოგდებულ პრობლემას და ბევრ შეკითხვას ბადებს.

პასუხის გამცემიც გამოჩნდება. ჯერჯერობით კი აშკარად ჩანს, რომ ამერიკული სისტემა საქართველოს ვერ მოერგება. თავად ამერიკელები უპირატესობას პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებს ანიჭებენ და არსებულის შეცვლას მოითხოვენ.

ეგეც „სექენდ ჰენდი“ ხომ არ არის, ჩვენ რომ მივაწყდეთ?

© „ღიასკამბაღი“

170-მილიარდიანი ძარცვის ანგარიში,

ანუ როგორ ანაზღაურებენ ამერიკული გადასახადების გადამხდელები პენტაგონის მოძრაობას «დაიპყარი პლანეტა»

მუშა ექსკავატორები გრუხუნებენ და ცარიელი სატვირთოები ბანს აძლევენ. ადამიანთა ყვირილი ახშობს ელექტრობურღების ბღუილს და ხერხების წრიპინს. ცხრამეტი უზარმაზარი ამწე მიმოფანტულია მთელი ლანდშაფტის მასშტაბით, რომლის უკანაც იტალიის სამხრეთი ალპების ხედი მოჩანს. 100 ერთეულზე მეტი მიწის მთხრელი ტექნიკა, 250 მუშა და სამშენებლო ინფრასტრუქტურის ქსელი მოდებულია მთელ პერიმეტრს, რომელზეც სულ მალე 34 ახალი შენობა წამოიჭიმება. ეს არის 145 აკრის ფართობის სამშენებლო მოედანი „პატა-

რა ამერიკისათვის“, რომელიც ვიჩენცში, ვენეციის მახლობლად მდებარე არქიტექტურით სახელგანთქმულ პატარა ქალაქში, გაჩნდება.

ეს ქალაქი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილია. სულ მალე კი აქვე იქნება დელ მოლინი — ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სამხედრო ბაზა, რომელიც უკვე 2013 წელს მზად იქნება გერმანიიდან 2000 ჯარისკაცის მისაღებად.

უნდა აღინიშნოს, რომ 1955 წლიდან ვიჩენცეში მდებარეობს კიდევ ერთი მსხვილი ამერიკული ბაზა — ედერლეს ბანაკი. ეს ბაზები იმ ათასზე მეტ ამერიკულ ბაზათა შორისაა, რომელთაც აშშ მთელი დედამიწის კონტროლირებისთვის იყენებს და რომელთა შორის, ცხადია, არ იგულისხმება ის 4 ათასი ბაზა, რომლებიც თავად ამერიკის შტატებშია მიმოფანტული. სხვათა შორის, სამხედრო ობიექტების ეს კომპლექსი ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევაა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის ძლევამოსილების ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს.

ცივი ომის პერიოდში ასეთი ბაზები გახდა საფუძველი „მოწინავე სტრატეგიისათვის“, რომელიც საბჭოთა კავშირის ალყაში მოქცევას და მის საზღვრებთან ამერიკული სამხედრო ძალების მაქსიმალურად მიახლოებას გულისხმობდა. ახლა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ან სხვა მოწინააღმდეგე ზესახელმწიფო არ არსებობს, პენტაგონს გადაწყვეტილი აქვს, მთელი დედამიწა მოფინოს უამრავი, შედარებით მომცრო ზომის ბაზებით და ამავე დროს შექმნას რამდენიმე საყრდენი ბაზაც, ისეთი, როგორიც დელ მოლინია.

ამერიკის მოქალაქეები იშვიათად ფიქრობენ ამ ბაზებზე და მით უმეტეს იმაზე, თუ რამდენი ფული მიდის გადასახადების გადამხდელთა ჯიბიდან და ნასესხებიდან სწორედ ამ ბაზების მშენებლობისა და შემდგომი შენახვისათვის. დელ მოლინი და მასთან დაკავშირებული ბრიგადის შტაბის, ყაზარმების ორი კომპლექსის, ბუნებრივ გაზზე მომუშავე სითბური ელექტროსადგურის, ორი სკოლის, გამაჯანსაღებელი ცენტრის, სასადილოს და მინი სა-

ვაჭრო ცენტრის მშენებლობები გადასახადების გადამხდელებს არანაკლებ ნახევარი მილიარდი დოლარი დაუჯდებათ.

რამდენს ხარჯავს აშშ ყოველწლიურად პლანეტის ოკუპაციაზე თავისი ბაზების მშენებლობითა და ჯარების განლაგებით? რამდენს ხარჯავს ის ყველა ქვეყანაში გლობალური დასწრების უზრუნველსაყოფად?

აიძულა რა კონგრესმა, გამოეჩინა საზღვარგარეთ თავისი ხარჯები, პენტაგონმა დაასახელა თანხა — 22.1 მილიარდი დოლარი წელიწადში.

აღმოჩნდა, რომ **მსოფლიოში გარნიზონების მშენებლობის კონსერვატიული შეფასებაც კი ყოველწლიურად 170 მილიარდ დოლარამდე აღწევს. სინამდვილეში კი ეს მაჩვენებელი, შესაძლოა, გაცილებით მაღალი იყოს.** 2001 წელს „ტერორთან გლობალური ომის“ დაწყებიდან გარნიზონების პოლიტიკის ხარჯები, უცხოეთში ამერიკის დასწრების ხარჯები 1,8 ტრილიონიდან 2,1 ტრილიონამდე გაიზარდა.

მაინც რამდენს ხარჯავს ამერიკა?

კანონის თანახმად, პენტაგონმა ყოველწლიურად უნდა შეადგინოს „ცნობა უცხოეთში ხარჯების ღირებულების შესახებ“ (OCS), რომელშიც მიუთითებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ სამხედრო მოღვაწეობის ღირებულებას ყველაფრის ჩათვლით. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს ყველა ხარჯის ანგარიშს, რომელიც გაწეულ იქნა სამხედრო მშენებლობებისთვის, მიმდინარე რემონტებისთვის და ობიექტების მომსახურებისთვის, ასევე ერთი მილიონი ამერიკელი სამხედროსა და თავდაცვის სამინისტროს პერსონალის (თავიანთი ოჯახებიანად) შენახვისთვის — სკოლების, ჩეკების, სახლების, სატრანსპორტო საშუალებების, აღჭურვილობების, პერსონალისა და მასალების საზღვარგარეთ გადაზიდვისა და უკან დაბრუნების და კიდევ სხვა უამრავი ხარჯის ჩათვლით.

OCS-ის 2012 ფინანსური წლისათვის, რომელიც 30 სექტემბერს დასრულდა, დოკუმენტურად ადასტურებს 22,1 მილიარდი დოლარის ხარჯს, თუმცა, კონგრესის მითითებით, აქ არაა გათვა-

ლისწინებული არც ერთი დოლარი 118 მილიარდზე მეტიდან, რაც ამავე წელს ავღანეთისა და სხვა ომების წარმოებაზე დაიხარჯა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

თუმცა 22,1 მილიარდი დოლარი მნიშვნელოვანი თანხაა, რომელიც შეესაბამება იუსტიციის, ან სოფლის მეურნეობის სამინისტროების ბიუჯეტს და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუჯეტის ლამის ნახევარს უტოლდება, ის მაინც მკვეთრად განსხვავდება ეკონომისტ ანიტა დენსკის შეფასებისგან, რომელშიც 250 მილიარდი დოლარია ასახული. ამ თანხაში შედის საერთო სამხედრო დანახარჯები, მაგრამ მათი გათვალისწინების გარეშეც საბოლოო მაჩვენებელი 140 მილიარდს უტოლდება, რაც 120 მილიარდით მეტია იმ ციფრზე, რომელიც პენტაგონმა დაასახელა.

მიუხედავად იმისა, რომ რეალურად პლანეტის ოკუპაციის ხარჯების ზუსტი გათვლა და იმის დადგენა, თუ რამდენს „მალავს“ პენტაგონი შეუძლებელია, დამოუკიდებელმა ექსპერტებმა მაინც სცადეს ამ „უშედეგო“ საქმისთვის ხელის მოკიდება და არაერთი წელიც მოანდომეს იმ საბუღალტრო ანგარიშების გაშიფვრას, სადაც 1 მილიარდი დოლარი შეიძლება მხოლოდ რიცხვების დამრგვალების დროს გაქრეს.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ხარჯების საბოლოო ჯამი, შესაძლოა, საკმაოდ ზუსტად გამოიყურებოდეს, ძალიან მალე შესამჩნევი ხდება, რომ ქვეყნები, რომლებშიც, როგორც ყველასათვის ცნობილია, განლაგებულია აშშ-ის სამხედრო ბაზები, უკვალოდ გაქრნენ. სულ მცირე 18 ასეთი ქვეყანა და ტერიტორია პენტაგონმა საკუთარ ანგარიშში საერთოდ არ მოიხსენია.

განსაკუთრებით საოცარია კოსოვოსა და ბოსნიის გაქრობა. სამხედროებს იქ მსხვილი ბაზები აქვთ, უკვე ათ წელზე მეტია, იქ დისლოცირებულია ასობით სამხედრო, მაგრამ პენტაგონის სხვა ანგარიშში ამ ბაზების შესახებ ნათქვამია, რომ მხოლოდ 2012 წელს მათზე 313 მილიონ 800 ათასი დაიხარჯა. ახალი ანგარიში ასევე არ ახსენებს ჰონდურასისა და გუანტანამოს ბაზების ხარჯების და-

ახლოებით მესამედს, ანუ დაახლოებით 85 მილიონ დოლარს.

ამის შემდეგ პენტაგონის ანგარიშში სხვა უცნაურობები იწყება: ისეთ ადგილებში, როგორიცაა ავსტრალია და ყატარი, როგორც პენტაგონი აცხადებს, მას აქვს სახსრები სამხედროებისათვის ხელფასების გასაცემად, მაგრამ არ აქვს ფული „ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურებისთვის“, რათა გაიყვანოს ელექტროობა, გამოკვებოს ხალხი ან გააკეთოს მიმდინარე რემონტი. ამ ხარჯების დამატებით შეფასება 36 მილიონი დოლარით გაიზრდება.

დასაწყისისთვის დამოუკიდებელმა ექსპერტებმა აღმოაჩინეს: 436 მილიონი პენტაგონის ანგარიშში გაუთვალისწინებელი ქვეყნებისა და ხარჯებისათვის.

ეს სულაც არაა ბევრი 22 მილიარდთან შედარებით და სულაც ხურდა ფულია პენტაგონის მთელ ბიუჯეტთან მიმართებაში, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

კონგრესის მითითებით, პენტაგონი ასევე არ ითვალისწინებს ამერიკის მივიწყებულ ტერიტორიებზე — პუერტო-რიკოზე, გუამში, ამერიკულ სამოაში, მარიანის ჩრდილოეთ კუნძულებზე და ამერიკულ ვირჯინიის კუნძულებზე არსებული ბაზების ხარჯებს. ეს უცნაურია, რადგან პენტაგონი ამ მიწებს საზღვარგარეთად მიიჩნევს. როგორც ეკონომისტი დენკსი აცხადებს, გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ „აშშ ამ ტერიტორიებს ინახავს უპირველეს ყოვლისა სამხედრო მიზნებისათვის და სამხედრო ძლევამოსილების პროექცირებისთვის“. გარდა ამისა, ეს ბაზები ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით უცხოურია.

ყველაზე მოკრძალებული გათვლებით ეს არის დამატებითი 3 მილიარდი დოლარი პენტაგონის ანგარიშის საერთო ხარჯებში.

მაგრამ არსებობს კიდევ უფრო მეტად კვაზი-ამერიკული ტერიტორიები მართლაც მივიწყებული კუნძულოვანი სახელმწიფოების სახით წყნარ ოკეანეში — მარშალის კუნძულები, მიკრონეზიის ფედერაციული შტატები და პალაუ. მას შემდეგ, რაც აშშ-მა ამ კუნძულებზე, როგორც

„ნდობის სტრატეგიულ ტერიტორიებზე“ კონტროლი დაამყარეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ის სარგებლობს უფლებით, შექმნას იქ სამხედრო ობიექტები, რომელთა შორისაა ბირთვული პოლიგონიც კი, რონალდ რეიგანმა კი მარშალზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პოლიგონი შექმნა.

ეს ყველაფერი კეთდება ყოველწლიური გადასახადის სანაცვლოდ კუნძულოვანი ტერიტორიების სამმართველოს მხრიდან, რაც კიდევ 571 მილიონ დოლარს გულისხმობს და იძლევა ხარჯების საერთო რაოდენობას: 3,6 მილიარდი დოლარი წყნარი ოკეანის კუნძულოვანი ქვეყნებისა და ტერიტორიებისათვის.

თუ ოკეანეებზე ვისაუბრებთ, კონგრესის ინსტრუქციით, პენტაგონი ანგარიშიდან გამორიცხავს ხარჯებს საზღვარგარეთ სამხედრო-საზღვაო ხომალდების შენახვის ხარჯებს. მაგრამ სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები, წყალქვეშა ნავები და საზღვაო ქვეითთა კორპუსი სინამდვილეში ოკეანეში გადიან ბაზებით, რომლებიც მხარს უჭერენ ზღვებსა და მათ სიღრმეებში მძლავრი სამხედრო დასწრების უზრუნველყოფას. ძალზე კონსერვატიული შეფასებით, ამ ხარჯების გათვალისწინება საერთო თანხას 3,8 მილიარდი დოლარით ზრდის.

ამის შემდეგ მოდის იმ გემების წინასწარი მომზადების ხარჯები, რომლებიც მთელი მსოფლიოს წყლებში არიან დისლოცირებულნი. ეს გემები უნდა განვიხილოთ, როგორც ზღვაზე მარაგების ბაზები, რომლებიც გადავსებულია იარაღით, სამხედრო ტექნიკით და სხვა მასალებით. და არ დაგავიწყდეთ არმიისათვის წინასწარ დაწყობილი ყველანაირი მარაგი. **ყველა ეს ხარჯი ერთად წელიწადში 604 მილიონს უახლოვდება.** გარდა ამისა, **პენტაგონი, როგორც აღმოჩნდა, არც კი ახსენებს დაახლოებით 861 მილიონ დოლარს, რომელსაც საზღვარგარეთის „საზღვაო“ და „საჰაერო ხიდების“ და სხვა „სამოგილიზაციო“ საჭიროებებისთვის ხარჯავს. საერთო ჯამში ანგარიში იზრდება 5,3 მილიარდი დოლარით.**

© „ეროვნული უსაფრთხოება“

პენტაგონის ანგარიშიდან ძალზე უცნაურად გაქრა კიდევ ერთი ისეთი „წვრილმანი“, როგორიცაა **ჯანდაცვის ხარჯები. საზღვარგარეთ მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა შეღავათებისათვის წელიწადში საშუალოდ 11,7 მილიარდი დოლარი იხარჯება. კიდევ 538 მილიონი დოლარი სჭირდება სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სახლების მშენებლობას.** არ უნდა დაგვავიწყდეს ბაზებზე შოპინგიც. სწორედ გადასახადების გადამხდელები აფინანსებენ იმ საკულტო სავაჭრო ცენტრებს, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით სამხედრო ბაზებზეა განთავსებული. ეს სავაჭრო ცენტრები უფასოდ იღებენ შენობას, მიწის ნაკვეთს, საკომუნალო მომსახურებებს და უფასოდ გადაზიდავენ ტვირთებს საზღვარგარეთის ნებისმიერ წერტილში. გარდა ამისა, მათი ოპერაციები არ იბეგრება. ამრიგად, ჯანდაცვა, სამხედროების სახლების მშენებლობები და მათი სავაჭრო ცენტრების სუბსიდირება ხარჯებს 12,6 მილიარდი დოლარით ზრდის.

პენტაგონის კიდევ ერთი გამონაკლისი სხვა ქვეყნებში იმ მიწის იჯარის გადასახადია, რომლებზეც ამერიკული გარნიზონებია განლაგებული. ზოგიერთი ქვეყნები, ისეთები, როგორიცაა იაპონია, ქუვეით, სამხრეთი კორეა,

აშშ-ს იქით უხდიან ფულს მისი გარნიზონების სუბსიდირებით. ამ თანხამ 1,1 მილიარდ დოლარს მიაღწია. ბაზების საკითხთა ექსპერტის კენტ კოლდერის განცხადებით, **2012 წელს ცნობილი გახდა შემთხვევები, რომელთა დროსაც აშშ-მა ამა თუ იმ ქვეყანას ბაზების განთავსებისათვის ფული გადაუხადა.**

შეთანხმებათა საიდუმლო ხასიათისა და ბაზებზე მოლაპარაკებებში რთული პოლიტიკური კომპრომისების გათვალისწინებით, ამ გარიგებების ზუსტი ღირებულების დადგენა შეუძლებელია. მით უმეტეს, პენტაგონის მიერ დაფინანსებული კვლევები აჩვენებს, რომ საგარეო სამხედრო და ეკონომიკური დახმარების მთელი მოცულობის 18% ბაზებზე წვდომის მისაღებად იხარჯება. ეს ჩვენს საანგარიშო თანხას დაახლებით 6,3 მილიარდი დოლარით ზრდის. ამას ემატება 1,7 მილიარდი დოლარი ნატოში გადასახადის სახით სამხედრო ობიექტების მშენებლობისა და შეძენისათვის და საერთო ჯამში თანხა 7,9 მილიარდით იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში ასახული უნდა იყოს საზღვარგარეთ წარმოებული ყველა სამხედრო ოპერაციის ხარჯი, პენტაგონმა გამოტოვა ნარკოტიკებთან ბრძოლის ოპერაციის 550 მილიონიანი ხარჯი და ჰუმანიტარული დახმარების 108 მილიონიანი ხარჯი. გარდა ამისა, პენტაგონი 24 მილიონ დოლარს ხარჯავს ეკოლოგიურ პროექტებზე ბაზებისგან დაბინძურების შემცირებისა და მონიტორინგის მიზნით, სახიფათო ნარჩენების უტილიზაციაზე. ასე რომ, საერთო ხარჯი ამ პროექტებზე 682 მილიონ დოლარს შეადგენს.

პლანეტის ოკუპაციის ანგარიშებში პენტაგონმა ასევე არ მოიხსენია უცხოეთში საიდუმლო ბაზებისა და საიდუმლო ოპერაციების ხარჯები, რაც, მოკრძალებული და ხელმისაწვდომი გათვლებით, 7,9 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ამის შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ ცსს-ს გასამხედროებული ბიუჯეტი და ფინანსური ღონისძიებები, რომლებიც მოიცავენ საიდუმლო ბაზებს სომალიში, ლიბიასა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში და დრონების საშუა-

ლებით მის მკვლელობათა პროგრამას. ამ ოპერაციების ხარჯები და ცსს-ს გასამხედროებული ბიუჯეტი 13,6 მილიარდს შეადგენს.

და ბოლოს, **ყველაზე გრანდიოზული ხარჯი, რომელსაც პენტაგონი და კონგრესი ზემოხსენებულ ანგარიშში არ ითვალისწინებენ: 550 სამხედრო ბაზაც ავღანეთში და 505 სამხედრო ბაზა ერაყში, ამ ქვეყნიდან აშშ-ის გასვლამდე, ანუ 2012 ფინანსური წლის პირველი სამი თვის განმავლობაში. ეს დამატებით 104,9 მილიარდ დოლარს მოიცავს და ამ თანხაში არაა გათვალისწინებული კონტრაქტით მომუშავე უამრავი თავისუფალი აგენტის ანაზღაურება.**

მაშ ასე, პენტაგონის დაანგარიშებულმა 22,1 მილიარდმა დოლარმა 169,96-ს, ანუ დაახლოებით 170 მილიარდს მიაღწია.

მაგრამ, იმედია, ყველა ხვდება, რომ ეს არაა პლანეტის ოკუპირების საბოლოო ფასი, საბოლოო ღირებულების დათვლა შეუძლებელია. გარდა საბუღალტრო ნაპრალებში ჩამალულისა, პენტაგონის ბიუჯეტში კიდევ ბევრი ანგარიშებში აუსახავი თანხაა.

იმ 16 ქვეყნის ხარჯი, რომლებშიც განლაგებულია აშშ-ის სამხედრო ბაზები და რომლებიც მთლიანადაა ამოღებული ანგარიშიდან, დაახლოებით 350 მილიონ დოლარს შეადგენს. მხოლოდ კოლუმბიაში 2000 წლიდან მოქმედებს 8,5 მილიარდით ფინანსირების გეგმა, იემენში, ისრაელში, უგანდასა და სეიშელის კუნძულებზე დახარჯული და პენტაგონის მიერ დეკლარირებული 5 მილიონი კი რეალობასთან მისაახლოებლად კიდევ არაერთ მილიონს დაიმატებს.

პლანეტის ოკუპირებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დახარჯულ ფულს ზუსტად ვერავინ ითვლის, მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს თანხა წელიწადში 200 მილიარდ დოლარზე ნაკლები არ იქნება.

სხვათა შორის, ეს არის მხოლოდ აშშ-ის მთავრობის ბიუჯეტის ხარჯები. ამერიკის ეკონომიკისთვის საერთო

ეკონომიკური ხარჯები კიდევ უფრო მეტია. დაფიქრდით, სად მიდის ამ ბაზებზე გადასახადების გადამხდელთა ფულიდან გაცემული სამხედრო მოსამსახურეობის ხელფასები, როდესაც ისინი ჭამენ და სვამენ ადგილობრივ ბარებში, ყიდულობენ ტანსაცმელს, ქირაობენ ადგილობრივ სახლებს და ასე შემდეგ? ეს არის ის, რასაც ეკონომისტები „გვერდით მოვლენებს“ ან „მულტიპლიკატორის ეფექტს“ უწოდებენ. ამერიკელი სამხედროების ხელფასი, ანუ ამერიკული გადასახადების გადამხდელების ფული მიდის ქვეყნების ეკონომიკაში, სადაც განლაგებულია ესა თუ ის ბაზა.

ხარჯი უფრო მეტია, თუ გავითვალისწინებთ შეღავათებს. სამხედრო ხარჯები ყოველ მილიონ დოლარზე ქმნის ნაკლებ სამუშაო ადგილს, ვიდრე იგივე მილიონი — განათლებაში, ჯანდაცვაში ან ენერგოეფექტურობაში დაბანდების შემთხვევაში. რაც კიდევ უფრო უარესია, სამხედრო ხარჯები პირდაპირ ითვალისწინებს მოგებას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსიდან, ეს ინვესტიციები სულაც არ უწყობს ხელს კერძო სექტორის გრძელვადიანი პროდუქტიულობის ზრდას ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მიმართვის გზით.

უნდა გავიგოთ პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის ცნობილი გამონათქვამი: ყოველი აშენებული ბაზა საბოლოო ჯამში ქურდობას ნიშნავს. მართლაც, დაფიქრდით იმაზე, თუ რას მოიტანდა ის ნახევარი მილიარდი დოლარი, რომელიც დალ მოლინში დააბანდეს, მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში. როგორც ექსპერტები ამბობენ, ერთი სამხედრო ბაზის ღირებულება არის 260 ათასი ნაკლებუზრუნველყოფილი ბავშვის სამედიცინო დახმარება მთელი წლის განმავლობაში.

გარდა ამ ყველაფრისა, ბაზები კიდევ ქმნიან „გვერდით მოვლენებს“ ფინანსური და არაფინანსური ხარჯების სახით, რომლებიც ამ ბაზების მიმღებ ქვეყნებს აკისრიათ. მაგალითად, 2004 წელს გადასახადების ტვირთის გადანაწილებისას მიმღები ქვეყნებიდან თითეულმა 4,3 მილიარდი დოლარი შეიტანა ნატურალური ფორმით ამერიკული ბაზების მხარდასაჭერად. მილიარდობით დოლარის

© „ღამისფრთიანი“

დახარჯვის შეთანხმებაზე დამატებით ოკინავადან გუამაში საზღვაო ქვეითებისა და მათი ოჯახების გადასაყვანად იაპონიის ხელისუფლებამ კიდევ ერთ მილიარდამდე დახარჯა. კიდევ არაერთი მილიონი იმავე ხელისუფლებამ ხმოვანი დაბინძურების გამო მოგებული სარჩელების ავტორებს გადაუხადა. ზუსტად ანალოგიურად 1992-დან 2003-წლამდე პერიოდში აშშ-სა და კორეის ხელისუფლებებმა 27,3 მილიონი დოლარი გადაიხადეს ამერიკელი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამო ზარალის ასანაზღაურებლად. მხოლოდ სამნლიან ვადაში ამერიკელმა სამხედროებმა კორეაში 1246 დანაშაული ჩაიდინეს, მათ შორის — არაერთი მძიმე.

ოკინავას მოსახლეობა ახლახან გამოხატავდა აღშფოთებას ამერიკელი სამხედროების მიერ ჩადენილი გაუპატიურებათა მრავალეპიზოდიანი სერიის გამო. ეკონომიკური ზარალი მხოლოდ ამძიმებს ამ ქვეყნების მოსახლეობათა ეკონომიკურ და არაეკონომიკურ დანაკარგებს.

ამერიკელ სამხედროებს შორის ბევრია ისეთი, რომლებიც ხშირად გადადიან სამუშაოდ და შესაბამისად საცხოვრებლადაც სხვა ადგილას. მათ არ შეუძლიათ, ყველგან წაიყვანონ თავიანთი ოჯახები. ოჯახის გარეშე ცხოვრებამ მნიშვნელოვნად გაზარდა განქორწინებების, ოჯახური ძალადობის, ნარკომანიის, სექსუალური ძალადობისა და თვითმკვლელობათა მაჩვენებლები.

სინამდვილეში, 170 მილიარდი დოლარი, რომელსაც ყოველწლიურად იხდიან ამერიკელები მათი ხელისუფლების მიერ პლანეტის ოკუპაციის მცდელობების დასაფინანსებლად, მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ამ მზაკვრობის ფინანსურ ხარჯებს და საერთოდ არ ასახავს იმ ადამიანურ დანაკარგებს, რომელსაც, ცხადია, პენტაგონი თავის ანგარიშებში საერთოდ არ ითვლის.

თეთრი სახლის შავი მიზნები

საიდუმლო არავისთვისაა, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიზეზი დიდწილად გახდა ამერიკის გაუაზრებელი პოლიტიკა მსოფლიო სივრცის არაფრით უზრუნველყოფილი და შესაბამისად აბსოლუტურად უფასური ვალუტით წალეკვის საქმეში. უკონტროლოდ დაბეჭდილი დოლარების ქვეყნის შიდა ბაზარზე გამოყენებად საქონელზე გადაცვლის ამერიკული პოლიტიკა სულ უფრო მეტად ემსგავსება ძარცვას და არც თუ იშვიათად ძალის გამოყენების მუქარას ეფუძნება. არსებობს მოსაზრება, რომ აზიაში ძალადობრივი მეთოდებით დემოკრატიის დამკვიდრების აქტიური მცდელობები არის იმ მესამე მსოფლიო ომის დასაწყისი, რომლის საბოლოო მიზანიც აშშ-ის სახელმწიფო ვალის განულება და დოლარისადმი ნდობის გაქარწყლების პრობლემის გადაწყვეტაა.

© „ᲙᲝᲚᲘᲡᲔᲣᲛᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲠᲘᲝ“

არ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ ამგვარ მოსაზრებას არ დავუჯეროთ. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ამერიკას ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად ერთადერთი გამოსავალი აქვს — ომი. ამერიკელები, უკვე დიდი ხანია, აღარ აწარმოებენ საქონელს იმ რაოდენობით, რამდენიც მათთვის ცხოვრების ჩვეული დონის შესანარჩუნებლადაა საჭირო, საგარეო ვალის მოცულობამ კი უკვე კოლოსალურ ზომებს მიაღწია.

ქვეყნის ფინანსური სისტემა ისეა მოწყობილი, რომ მუდმივი სესხების პროცესის შეწყვეტის შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფის სისტემის კრახი გარდაუვალი იქნება. კეთილდღეობასა და ფუფუნებას ჩვეულ ამერიკელებს არ შეუძლიათ ცხოვრების ამგვარ წესზე უარის თქმა, მათი ქვეყნის ხელისუფლებას კი არ გააჩნია სიტუაციის მოგვარების რაიმე მოქმედი პროგრამა.

ამრიგად, ამერიკისთვის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად რჩება ომი ან დიქტატი, რაც საშუალებას მისცემს, ნაკლებადძლიერი და ნაკლებადგანვითარებული ქვეყნებიდან მთელი მატერიალური დოვლათი გაზიდოს. როგორც ცნობილია, გამარჯვებული იღებს ყველაფერს. ჩვენს შემთხვევაში გამარჯვებულის ანგარიშზე უკვე არის დამარცხებული ერაყისა და ლიბიის ბუნებრივი რესურსები.

ერთადერთი, ვისაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ამგვარი დიქტატის დამყარებას, რუსეთი და ჩინეთია. შესაბამისად, ამერიკის საგარეო პოლიტიკა სწორედ ამ ორი სახელმწიფოს ძლიერების განადგურებისკენაა მიმართული, მაგრამ ამერიკის ხელისუფლება ღია დაპირისპირებას ერიდება. აშშ-ის მოქმედებათა პროგრამა გასაგები და საფუძვლიანია. ის მიმრთულია ძლიერი სახელმწიფოების მოკავშირეების დასუსტებისა და შიდაპოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზებისაკენ. ჩინეთზე ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალება ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მიტაცებაა, ასევე რუსეთთან მჭიდრო კავშირების განადგურების მცდელობაც.

როგორც ჩანს, ამერიკის მომდევნო მსხვერპლი სირია იქნება და საეჭვოა, გაერომ მოვლენათა განვითარება-

ზე რაიმე ზემოქმედება მოახერხოს. რუსეთმა ლიბიის მაგალითზე უკვე აჩვენა, რომ ამერიკასთან ღია კონფრონტაციაში შესვლას არ აპირებს და აღმოსავლეთის ქვეყნების ოკუპაციას შორიდან უყურებს.

მესამე მსოფლიო ომის შესახებ მოსაზრების მოწინააღმდეგეები მიანიშნებენ იმ შეტაკებების წერტილოვან და ლოკალურ ხასიათზე, რომლებიც უფრო „სამშვიდობო“ ხასიათისაა, ვიდრე აგრესიული. ეს მოსაზრება, შესაძლოა, დამაჯერებელიც იყოს, თუ ამერიკის მიერ „გადემოკრატებულ“ ქვეყნებში რეალურ სიტუაციას დავივიწყებთ. ყველა აღმოსავლურ ქვეყანაში, სადაც კი სამშვიდობოები ყოფილან, მკვეთრად ეცემა ცხოვრების დონე, მატულობს დამნაშავეობა, ინგრევა ეკონომიკა და სამეურნეო სექტორი. არც ერთ ასეთ ქვეყანაში არ შექმნილა რეალურად სამართლებრივი სახელმწიფო. ერაყში მითიური ბირთვული იარაღის ძებნის ოპერაციამ, რომლითაც სინამდვილეში ამერიკის მიერ ქვეყნის ნავთობმომპოვებელი ტერიტორიების ოკუპაცია ინიღბებოდა, რაიმე დადებითი შედეგი ვერ მოიტანა.

არსებითად, ნატოს ბლოკის ყველა მოქმედება მიმართულია ორი მიზნის მისაღწევად. ეს მიზნებია: აზიაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და წიაღისეულით მდიდარი ტერიტორიების მითვისება და თავისი ორი მოწინააღმდეგის ირგვლივ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ელემენტების განლაგება.

თუ ყურადღებით შევისწავლით ევრაზიაში პროამერიკული გავლენის გავრცელების გეოგრაფიას, შევამჩნევთ, რომ აშშ-ის საკვანძო პოზიციები სწორედ ამ ორი ზესახელმწიფოს — რუსეთისა და ჩინეთის ირგვლივაა განლაგებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთისა და ჩინეთის ხელისუფლებები ამერიკის ხელმძღვანელობის ამგვარ ქმედებებზე საკმაოდ სუსტად რეაგირებენ.

აღმოსავლეთზე ფიზიკური სამხედრო ზემოქმედებისა და პოლიტიკური გავლენის გარდა, აშშ კრიტიკულად აფასებს რუსეთს მისი გადამეტებული აგრესიულობისა და რეჟიმის არადემოკრატიულობის გამო.

ჩინეთი მსოფლიო არენაზე წარმოდგენილია

როგორც სახიფათო და არაპროგნოზირებადი კომუნისტური ხასიათის საზოგადოება, რომლის საგარეო პოლიტიკის მიზანი მსოფლიო ბატონობაა. დაახლოებით ანალოგიური სურათის შექმნას ცდილობენ აშშ და მისი მოკავშირეები რუსეთზეც. მოქმედებათა მთელი ეს კომპლექსი ცნობილია სახელწოდებით „პეტერსის რუკა“, რომლიდანაც მშვენივრად ჩანს ამერიკის განზრახვა: დაასუსტოს თავისი ორი მოწინააღმდეგე.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, რუსეთსა და ჩინეთთან ღია დაპირისპირება ამერიკის ხელისუფლების ინტერესებში არ შედის. ამგვარ მოვლენებს, შესაძლოა, სერიოზული ხარჯებიც მოჰყვეს და მოწინააღმდეგეთა ბირთვული დარტყმების შემთხვევაში — მნიშვნელოვანი დანაკარგებიც. ღია შეიარაღებულმა მოქმედებებმა, შესაძლოა, პლანეტა ეკოლოგიური კოლაფსის ზღვარზე მიიყვანოს, რაც მშვენივრად ესმის ყველა დაპირისპირებულ მხარეს.

აშშ-ს ომი რამდენიმე მიზეზის გამო სჭირდება. პირველ რიგში, ეს არის ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საშუალება დამარცხებული და ოკუპირებული ქვეყნების ხარჯზე. განვითარებადი, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი აღმოსავლეთის ქვეყნების მიტაცება საშუალებას იძლევა, არაუზრუნველყოფილი ვალუტა ნავთობქიმიის პროდუქტებზე გადაიცვალოს და ამერიკის ეკონომიკა მუდმივი დაფინანსებით უზრუნველყოს. გარდა ამისა, ომი ხელ-ფეხს გაუხსნის ამერიკის პოლიტიკოსებს ესოდენ საძულველი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც თავისი შინაარსით არის კიდეც „ოქროს მილიარდის“ სიტუაციის შექმნის დასაწყისი.

ისლამისტი ფუნდამენტალისტების წინააღმდეგ ბრძოლის ეგიდით ხორციელდება პერსპექტიული ქვეყნების სუვერენიტეტის განადგურება, ქვეყნების, რომლებსაც შეუძლიათ მოწინააღმდეგეთა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჩინეთსა და რუსეთთან დაპირისპირებაში.

გარდა ამ ყველაფრისა, აღმოსავლეთში მიმდინარე ლოკალური ომები თვალნათლივ უჩვენებს აშშ-ის სამხედრო

შესაძლებლობებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიც ჩინეთი და რუსეთია. ბირთვული პოტენციალი და სამხედრო მრეწველობის უკანასკნელი მიღწევები აკავებს კონფრონტაციას და საშუალებას იძლევა, საგარეო პოლიტიკაში მიღწეულ იქნეს გარკვეული დათმობები ევროპის სახელმწიფოების მხრიდან. აშშ-ის სამხედრო ძლევამოსილება მძლავრი არგუმენტია სამხრეთ ამერიკის რეგიონში საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტისასაც.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, აგრესიული საგარეო პოლიტიკა შეუმჩნეველი არ რჩება თვით აშშ-ში. თანამედროვე ამერიკული საზოგადოება სულ უფრო მეტად აკრიტიკებს ხელისუფლების სამხედრო ოპერაციებს, განათლების დონე კი ქვეყანაში მკვეთრად ეცემა. მოსახლეობის ფართო ფენების ინტელექტუალური დეგრადაცია, რაც ხელსაყრელია მართვის პოლიტიკისათვის, კვალიფიციური კადრების კატასტროფულ ნაკლებობას განაპირობებს.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გზად ამერიკის ხელისუფლებას უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა და საკუთარი მოქალაქეების ვიწრო პროფილით მომზადება მიაჩნია.

მიუხედავად მმართველი ამერიკული ელიტის ყველა მცდელობისა, როგორმე მოაგვაროს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების დისბალანსთან დაკავშირებული დაპირისპირებები, მოსახლეობის მღელვარება უფრო და უფრო მატულობს.

წამებისა და ძალადობის შესახებ ამერიკაში

რუსეთში ეგრეთ წოდებული ოპოზიციის უკანონო მოქმედებებთან დაკავშირებით მთელი რიგი ახალი ფაქტების დადგენის შემდეგ, განვითარებულმა მოვლენებმა დასავლეთის მძვინვარება განაპირობა. ძირითადად რეაქცია აგებულია მასმედიის მიერ ზოგიერთი ქვეყნისთვის შექმნილი იმ იმიჯის გამო, რომელთა თანახმადაც ეს სახელმწიფოები მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ სამაგალითონი არიან და, აქედან გამომდინარე, უფლება აქვთ, გამოვიდნენ საერთაშორისო მენტორების როლში და სხვა ქვეყნებში დარღვევებზე მიუთითონ...

აშშ-ის ხელისუფლებამ რუსეთი დაადანაშაულა წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დარღვევაში. ამის მიზეზი გახდა „ოპოზიციონერი“ რაზვოზჟაევის განცხადებები იმის თაობაზე, თითქოს მას იტაცებდნენ და აწამებდნენ. აშშ-ის ხელისუფლებამ რუსეთის ხელისუფლებისგან ამ ინფორმაციის „გადამოწმება“ მოითხოვა, რასაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აბსოლუტურად

ცალსახა რეაქცია მოჰყვა: აშშ-ის მოთხოვნებს „თვალთმაქცური“ ეწოდა. და ეს ნამდვილად ასეა. **როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, ამ დრომდე „არ არის დასჯილი არც ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და სპეცსამსახურების არც ერთი წარმომადგენელი, რომლებიც დამნაშავენი არიან ერაყში, ავღანეთში, ცსს-ს სპეციალურ ციხეებსა და გუანტანამოს სპეციალურ ციხეში, როგორც ამერიკელების, ასევე სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიმართ წამების სისტემატიურად გამოყენების გამო“.**

თუმცა რუსეთის დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელი გადამეტებულად დიპლომატიური იყო და მხოლოდ საგარეო ცოდვებზე მიანიშნა.არადა, თავად ამერიკაში ხომ მდგომარეობა არაფრითაა უკეთესი, ვიდრე ქვეყნის გარეთ განთავსებულ ამერიკულ ციხეებში!

ჯერ ერთი, აშშ წამების წინააღმდეგ 1984 წელს მიღებულ კონვენციას მხოლოდ 1994 წელს შეუერთდა. საბჭოთა კავშირი კი ამ კონვენციას შეუერთდა მაშინვე, როგორც კი მასზე ხელმოწერა დაიწყო. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კონვენციის არსი არის ქვეყნების შიდა კანონმდებლობების საერთაშორისო კონტროლი, ამერიკა კი მთელი ათი წლის მანძილზე უარს აცხდებდა ამგვარ საერთაშორისო კონტროლზე, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი ნებაყოფლობით დაექვემდებარა ამგვარ კონტროლს. მეორეც, აშშ-ში წამების შესახებ კანონმდებლობას სერიოზული ჩავარდნები აქვს და არ შეესაბამება 1984 წლის კონვენციას. ეს დასკვნა გააკეთა გაეროს საერთაშორისო კომიტეტმა წამების წინააღმდეგ, რომელსაც, 1984 წლის კონვენციის შესაბამისად, ანალოგიური დასკვნების ნება აქვს.

კომიტეტმა პირდაპირ გამოაცხადა, რომ ინფორმატიულობის, სწავლებისა და მომზადების ხარისხი ამერიკელ აღმასრულებლებსა და სამხედროებს შორის არ უზრუნველყოფს, რომ ყურადღების ცენტრში იყოს კონვენციის ყვე-

ლა მდგომარეობა და არ იქნას დაშვებული წამების აკრძალვასთან დაკავშირებით რაიმე ხასიათის უკან დახევა.

კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 2002 წელს აშშ-ში დაუშვეს დაკითხვის წარმოების განსაკუთრებული მეთოდების გამოყენება, ამან კი დაკითხვების დროს დაკავებულების გარდაცვალება განაპირობა. კომიტეტმა „შეშფოთება გამოხატა“ იმ დაუსჯელობის შესახებ განცხადებების გამო, რომლითაც სარგებლობენ წამების წინააღმდეგ კონვენციის მონაწილე ქვეყნის ზოგიერთი აღსრულების ორგანოს ზოგიერთი თანამშრომლები.კომიტეტმა ასევე აღნიშნა, გამოძიებათა არასაკმარისი გულმოდგინებით ჩატარების შესახებ და იმის გამოც, რომ ჩიკაგოში წამების გამოყენების დამტკიცების შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა. ანგარიშში გამოთქმულია შეშფოთება იმ სირთულეების გამო, რომელთაც აწყდებიან მსხვერპლები ადეკვატური კომპენსაციისა და ანაზღაურებების მიღებასთან დაკავშირებით, ასევე იმასთან დაკავშირებითაც, რომ ნაწამები პატიმრების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მოითხოვა მათ მიმართ განხორციელებული სასტიკი მოპყრობისათვის კომპენსაცია.

გაეროს კომიტეტმა გააკრიტიკა ციხის თანამშრომელთა მოქმედებების გასაჩივრების რიგი ცვლილებების შესახებ 1995 წელს მიღებული კანონის 1997 მუხლი, რომლის თანახმადაც, პატიმარს უფლება არ აქვს, ფედერალურ სასამართლოს მიმართოს სამოქალაქო სარჩელით დაკავებულობის პერიოდში მიყენებული ფსიქიკური და ემოციური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, თუ წინასწარ არ წარადგენს სხეულებრივი დაზიანებების მტკიცებულებებს. გაეროს კომიტეტის პოზიცია სავსებით დასაბუთებულია, რადგან ამგვარი მიდგომა აბსოლუტურად ცვლის თავად წამების განსაზღვრებას, რომელიც კონვენციის პირველ მუხლშია მოცემული. სწორედ ამ მუხლის თანახმად, **წამებად ითვლება როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიური ძალადობა.**

და ბოლოს, კომიტეტმა კიდევ ერთხელ განაცხადა აშშ-ის მიმართ უკვე მრავალწლოვანი მოთხოვნა — შეცვალოს საქმის ვითარება დაკავებულ ბავშვებთან დაკავშირებით.

კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბავშვები სრულად არ არიან იზოლირებულნი მოზრდილებისაგან დაკავების ადგილებში როგორც სასამართლომდე, ასევე განაჩენის გამოტანის შემდეგაც. გარდა ამისა, კომიტეტი აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ბავშვების დიდ რაოდენობას სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ეს კი, წამების წინააღმდეგ კონვენციის გარდა, ბავშვთა უფლებების კონვენციის დარღვევაცაა (სხვათა შორის, აშშ ამ კონვენციას ამ დრომდეც არ შეერთებია, საბჭოთა კავშირი კი შექმნის დღიდანვე მისი მონაწილეა). გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ბავშვთა უფლებების დაცვის თემა მხოლოდ იმის გამო არ განავრცო, რომ მისი კომპეტენცია მხოლოდ წამების წინააღმდეგ კონვენციაზე ვრცელდება. **რუსეთიდან ამერიკაში ნაშვილებ ბავშვებზე ძალადობის შემთხვევათა გახშირებასთან დაკავშირებით შესაბამისი კანონმდებლობის შემქმნელმა უწყებებმა უნდა იცოდნენ გაეროს ორგანოების დასკვნა იმის შესახებ, რომ აშშ-ში ბავშვების მკვლელობა და მათზე ძალადობა შემთხვევითი არაა და ეს ყველაფერი ამ ქვეყანაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო სისტემების არსებული ფორმის შედეგია.**

დაბოლოს, კომიტეტი შეშფოთებულია იმით, თუ **როგორ ეპყრობიან აშშ-ში დაკავებულ ქალებს, ქალები სქესობრივი ნიშნით დამცირების მსხვერპლნი ხდებიან და მშობიაროობის დროსაც კი არ ხსნიან ბორკილებს.**

ასე რომ, ამერიკა თავად გორავს დიდ წუმპეში და რუსეთმა თუ ვინმესგან რამე უნდა ისწავლოს, ეს ვინმე ამერიკა ნამდვილად ვერ იქნება. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი დამოუკიდებლად გაარკვევს, თუ რა დარღვევებსა და დანაშაულებს ჰქონდა ადგილი მასობრივი არეულობების მზადებისას. დასაწყისისათვის კი კარგი იქნებოდა, ამერიკელმა სამართალდამცავებმა ბოლოს და ბოლოს შეასრულონ გაეროს კომიტეტის რეკომენდაციები იმის შესახებ, რომ ფედერალურ სისხლის სამართლის კოდექსში წამების შესახებ მუხლი საერთაშორისო სამართალს შეესაბამებოდეს!

დაზვერვათა საიდუმლო ომი

უკანასკნელ პერიოდში პრესა ბევრს წერს იმ „ცივი ომის“ შესახებ, რომელსაც აშშ, ისრაელი და მათი მოკავშირეები ირანის წინააღმდეგ ახორციელებენ. ცხადია, ასეთ ბრძოლას ნამდვილად აქვს ადგილი, მაგრამ იმისათვის, რომ უკანასკნელი მოვლენები პერსპექტივაში იქნეს განხილული, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ირანის წინააღმდეგ საიდუმლო სადაზვერვო ომი და ამ ომზე ირანის დაზვერვის სათანადო პასუხი რაღაც სიახლეს არ წარმოადგენს.

სინამდვილეში „STRATFOR“-ი ამ მოვლენების ქრონიკას 2007 წლიდან მოყოლებული წერდა. თემის მიმოხილვა მოიცავს ისეთი მოვლენების ანალიზს, როგორიცაა თეირანის ბირთვულ პროგრამაში მონაწილე ირანის ოფიციალური პირების დასავლეთის მხარეს გადასვლა, ირანელების მიერ ბრიტანელი სამხედროების დაჭერა შატ-ელ-არაბში, ბირთვულ სფეროში მომუშავე ირანელი მეცნიერების დახოცვას, კომპიუტერული ვირუსის გამოყენებას ირანის მიერ ურანის გამდიდრების მცდელობათა ჩასაშლელად, ირანელების მიერ საკუთარი მოკავშირეების შეიარაღებისთვის მიღებულ ზომებს და ამ მოკავშირეების გამოყენებას

დასავლური ზეწოლის საწინააღმდეგოდ. ირანის ამგვარი მოკავშირეები ყველაზე შესამჩნევი ერაყსა და ლიბანში არიან, მაგრამ ისინი არსებობენ იემენშიც, ავღანეთშიც, სირიაშიც, პალესტინის ტერიტორიაზეც, საუდის არაბეთშიც და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლო სადაზვერვო ომი უკვე მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, ამ ომის შემადგენელი მოვლენების ტემპი უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენათაგან მრავალი არის იმ ფარული პროცესების შედეგები, რომლებიც რამდენიმე თვის ან წლის წინ დაიწყო, ამიტომ, შესაძლოა, მოვლენათა რაოდენობა ახლა მართლაც მატულობს, მაგრამ იმისათვის, რომ დღეს ეს მოვლენები გამოჩენილიყო, ზომები რამდენიმე წლის წინ მიიღეს. ერაყიდან ამერიკული ჯარების გაყვანა და ირანის ბირთვული პროგრამის გაგრძელება ნამდვილად მალე განაპირობებს დამატებითი საიდუმლო ოპერაციების ხილულ შედეგებს და ჩვენ მალე დავინახავთ ამ ოპერაციების მხარდაჭერისთვის საჭირო საიდუმლო ქმედებების მტკიცებულებებს.

მას შემდეგ, რაც გაზეთმა „ნიუ იორკ თაიმსმა“ გამოაქვეყნა მასალა, რომელშიც იტყობინებოდა, რომ აშშ და ისრაელი ერთად მუშაობდნენ ირანის ბირთვული პროგრამის საწინააღმდეგო ვირუსის შექმნასა და გაშვებაზე, მსოფლიომ დაზვერვათა ამ ფარულ ომს მიაპყრო მზერა. დაზვერვათა ომთან დაკავშირებული ხილული მოვლენები შედარებით მშვიდად მიმდინარეობდა მანამ, ვიდრე აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ არ გამოაცხადა, რომ ნიუ იორკში ორ მამაკაცს აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩის — ადელ ალ-ჯუბეირას აშშ-ის ტერიტორიაზე მოკვლის მიზნით ირანულ ორგანიზაცია ალ-კუდსთან შეთქმულებაში ედებოდა ბრალი.

მალევე გამოქვეყნდა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ახალი ანგარიში, რომელშიც დეტალურად იყო განხილული ირანის მცდელობები ბირთვული იარაღის შექმნასთან დაკავშირებით. მართალია, ანგარიშში არ შეინიშნება რაიმე სერიოზული გულახდილობა, მაგრამ მასში

არის ახალი დეტალები, რომლებიც სააგენტოს წინა ანგარიშებთან შედარებით თვალნათლივ ადასტურებს, რომ ირანი აქტიურად ავითარებს თავის ბირთვულ პროგრამას. ანგარიშმა განაპირობა დიპლომატიური და პიარკამპანიების წამოწყება ისრაელის ხელმძღვანელობის მეთაურობით და გაისმა მოწოდებები ირანის წინააღმდეგ უფრო ეფექტური ზომების გამოყენების შესახებ. ამ ზომებში იგულისხმებოდა ყველაფერი — სანქციების გამკაცრებით დაწყებული, სამხედრო ოპერაციით დასრულებული.

ამის შემდეგ თეირანის ახლოს მდებარე ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის ბალისტიკური რაკეტების ბაზაზე აფეთქება გაისმა. დაიღუპა 17 ადამიანი, მათ შორის კორპუსის მაღალჩინოსანიც, რომელიც მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ირანის ბალისტიკური რაკეტების შექმნის საქმეში. ვრცელდება ხმები, რომ აფეთქება ისრაელის დაზვერვის მიერ განხორციელებული საიდუმლო ოპერაციის ნაწილი იყო. გვერდიდან მაყურებელთათვის ამგვარი შთაბეჭდილების შესაქმნელად ისრაელის დაზვერვამაც მთელი რიგი ქმედებები განახორციელა.

მოგვიანებით ბაჰრეინის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ გამოააშკარავა სავარაუდო შეთქმულება სულ მცირე ხუთი ბაჰრეინელის მონაწილეობით, რომლებიც სირიასა და ყატარში მოგზაურობდა ბაჰრეინის სახელისუფლო და დიპლომატიური ორგანოების წინააღმდეგ შეტევების განსახორციელებლად. ირანი კატეგორიულად უარყოფდა ამ შეთქმულებაში თავის მონაწილეობას და ამასაც პროვოკაცია უწოდა ისევე, როგორც საუდის არაბეთის ელჩის წინააღდეგ შეთქმულებას.

მეორე დღეს ირანული პრესა იტყობინებოდა, რომ ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის ყოფილი მეთაურის და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის, ირანის მიზანშეწონილობის საბჭოს მდივნის — მოხსენ რეზაის შვილი ახმად რეზაი დუბაის ერთ-ერთ სასტუმროში მკვდარი იპოვეს. მიზანშეწონილობის საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილემ განაცხადა, რომ შვილის გარდაცვალება საეჭვოდ ეჩვენება და რომ ამის მიზეზი ელექტროშოკი გახდა, სხვა წყაროები კი თვითმკვლელობაზე საუბრობდნენ.

2012 წლის 20 ნოემბერს გაზეთი „ლოს-ანჟელეს თაიმსი“ იუწყებოდა, რომ ამერიკული დაზვერვის თანამშრომელთა მიერ დადასტურდა ინფორმაცია ცსს-ს მიერ ლიბანში ოპერაციის შეჩერების შესახებ. ამის მიზეზი ცსს-ს ოფიცრების მიერ ბეირუთში ინფორმაციის გადაცემის უნიათო ორგანიზება იყო, რასაც ცსს-ს მიერ საკუთარი რამდენიმე ინფორმატორის დაკავება მოჰყვა. ამის შემდეგ ირანის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ დააკავა ცსს-ს 12 ინფორმატორი, რომლებიც საიდუმლო მონაცემთა გადაცემისას დაშვებული შეცდომების გამო ჩაფლავდნენ.

2012 წლის 21 ნოემბერს აშშ-მა და ბრიტანეთმა ატომური ენერგიის სააგენტოს ზემოხსენებული მოხსენების საფუძველზე ირანის წინააღმდეგ სანქციების ახალი ტალღის ორგანიზება დაიწყეს. ახალი **სანქციები იმისათვის შეიმუშავეს, რომ ირანის საბანკო და ენერგეტიკულ სექტორებზე მოეხდინათ ზემოქმედება. სინამდვილეში ბრიტანეთმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და მთლიანად ჩამოაშორა ირანის ცენტრალური ბანკი ბრიტანეთის ფინანსურ სექტორს.** კანადის ხელისუფლებამ ანალოგიური ზომები გაიმეორა.

28 ნოემბერს პრესაში გაჩნდა დაუზუსტებელი ინფორმაცია ირანის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ ისფაჰანში აფეთქებების თაობაზე. **ისფაჰანი ირანის სამეცნიერო და სამხედრო კვლევების ცენტრია, ამ კვლევებს კი კავშირი აქვს ირანის ბირთვულ პროგრამასთანაც.**

მეორეს მხრივ, იმავე დღეს **ირანის მცველთა საბჭომ, საკანცელარიო ორგანომ, რომელიც პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე კონტროლს ახორციელებს, მოიწონა კანონპროექტი ბრიტანეთის ელჩის გაძევებისა და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების შემცირების თაობაზე.** მეორე დღეს აღშფოთებული ირანელები თეირანში ბრიტანეთის საელჩოს შენობაში შეიჭრნენ. გამძვინვარებულმა და კარგად ორგანიზებულმა ბრბომ 21 ნოემბერს გამოცხადებული სანქციები გააპროტესტა. ირანის ხელისუფლებას ბრბოსთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

1 დეკემბერს ევროკავშირმა დაახლოებით 180 ირანელი-

სა და კომპანიის წინააღმდეგ სანქციები დააწესა ირანის მხრიდან ტერორიზმის მხარდაჭერისა და ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობების გაგრძელების გამო. ამასთან, **ევროსაბჭომ არ მოიწონა საფრანგეთის წინადადება ირანულ ნავთობზე სრული ემბარგოს დაწესების თაობაზე.**

3-4 დეკემბრის ღამეს ბაჰრეინის მანამეში, ბრიტანეთის საელჩოსთან გაჩერებულ მიკროავტობუსში აფეთქდა მომცრო თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა. ბომბი ძალზე სუსტი აღმოჩნდა და მხოლოდ გარკვეული სტრუქტურული დაზიანება მიაყენა მიკროავტობუსს.

მეორე დღეს ერთ-ერთმა ამერიკელმა ჩინოვნიკმა დაადასტურა ირანის რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ირანმა საკუთარ ტერიტორიაზე აღმოაჩინა უპილოტო საფრენი აპარატი „RQ-170 Sentinel“-ი. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ირანელებმა მისი მართვის სისტემის გატეხვაც კი მოახერხეს, მაგრამ ამერიკის ოფიციალური პირები ამ ხმებს უარყოფენ.

ამჟამად აშშ ერაყიდან ჯარების გაყვანის პროცესს ასრულებს. 2003 წელს ერაყის არმიის განადგურების შემდეგ ამერიკელი სამხედროები იქცნენ ერთადერთ ძალად, რომელსაც შეეძლო სპარსეთის ყურის რეგიონში ირანის ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისთვის წინააღმდეგობა გაეწია. ამიტომ ამერიკის ჯარის ერაყიდან გაყვანა შექმნის ვაკუუმს, რითაც აუცილებლად ისარგებლებენ ირანელები. იმის ალბათობა, რომ ირანი გააკონტროლებს მთელ ტერიტორიას ავღანეთის დასავლეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე, არის ის პერსპექტივა, რომელიც არა მხოლოდ რეგიონალურ მოთამაშეებს — ისრაელს, საუდის არაბეთსა და თურქეთს აშინებს, არამედ სერიოზულად აშფოთებს აშშ-საც.

ირანის ბირთვულ ობიექტებზე სამხედრო დარტყმა ირანის მხრიდან შექმნილ რეგიონულ საფრთხეებზე პასუხი ვერ იქნება. ირანის ძალა არა ბირთვულ იარაღში, არამედ იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია გამოიყენოს თავისი ჩვეულებრივი შეიარაღება. ამდენად, **მის ბირთვულ პროგრამაზე დარტყმები არ აისახება მისი ჩვეულებრი-**

ვი შეიარაღების პოტენციალზე, რომელიც შეიძლება გამოენებულ იქნეს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების წინააღმდეგ და ორმუზის სრუტით მოძრავი ნავთობის ნაკადების გადასაკეტად.

ამიტომაა, რომ ისრაელი, ამერიკა **და მათი მოკავშირეები** ირანის მოთოკვას სხვა საშუალებებით ცდილობენ. პირველ რიგში, ისინი **ირანის გავლენის სფეროს შემცირებისკენ მიისწრაფვიან სირიის რეჟიმის დამხობის, ერაყში ირანის გავლენის შემცირების და ლიბანში ჰეზბოლაზე მისი კონტროლის შეზღუდვის მცდელობებით. ისინი ასევე ცდილობენ ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერებას ჩინოვნიკების დეზერტირობის იძულებით, მეცნიერთა მკვლელობებითა და კიბერნეტიკული ომის საშუალებით.**

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საიდუმლო ოპერაციები ვაკუუმში არ ხორციელდება. საიდუმლო ომში მიყენებული ყოველი დარტყმა საიდუმლოდ მოგროვილი სადაზვერვო მონაცემების უდიდეს რაოდენობას მოითხოვს დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. ყველა მხარის მიერ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ფარული აქციების ესოდენ დიდი რაოდენობის, იატაკქვეშა მოღვაწეობის ამხელა გაქანების პირობებში იზრდება არა მხოლოდ შედეგიანი აქციების, არამედ ჩავარდნების რაოდენობაც.

და ბოლოს, მთელი ამ კამპანიის განხილვისას აუცილებლად შეინიშნება, რომ ირანის მტრები არა მხოლოდ იყენებენ ფარულ მეთოდებს ქვეყნის ბირთვულ პროგრამაზე შეტევებისთვის, არამედ ამუშავებენ ახალ, მანამდე უცნობ მეთოდებსაც ამგვარი დარტყმების განსახორციელებლად. ისინი მზად არიან იმისთვის, რომ გამოყენებული ახალი მეთოდებისა და საიდუმლო საშუალებების გამოაშკარავების შემთხვევაში ეს მეთოდები სამომავლოდ გამოუსადეგარი გახდება. ეს მზადყოფნა ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი იატაკქვეშა მოქმედებები ირანის მოწინააღმდეგეთათვის. ეს მიანიშნებს იმაზეც, რომ მომავალი თვეების განმავლობაში ფარული ომის ახალი ფორმების მოწმენი გავხდებით მისი წარმოების ძველი მეთოდების რევოლუციურად ახლებური ტაქტიკით გამოყენების კვალდაკვალ.

© „ღიასაზოგადოება“

ამერიკული მასმედიის მაკონტროლებელი 6 კორპორაცია

1983 წელს ამერიკის მასმედიას დაახლოებით 50 კორპორაცია აკონტროლებდა. დღეს მათ აკონტროლებს მხოლოდ ექვსი წარმოუდგენლად მძლავრი მედია-კორპორაცია, რომლებიც ფლობენ სატელევიზიო ქსელებს, საკაბელო არხებს, კინოსტუდიებს, გაზეთებს, ჟურნალებს, გამომცემლობებს და მრავალ პოპულარულ საიტსაც კი. დღეს აშშ-ის თითქმის მთელ მასმედიას აკონტროლებენ „Time Warner“, „Walt Disney“, „Viacom“, „Rupert Murdoch's News Corp.“, „CBS Corporation“ და „NBC Universal“. ქვემოთ მოყვანილი სია ასახავს მხოლოდ მცირე რაოდენობით მედიაწყაროებს, რომელთაც ეს ექვსი ბეჰემოთი ფლობს.

TIME WARNER

Home Box Office (HBO); Time Inc.; Turner Broadcasting System, Inc.; Warner Bros. Entertainment Inc.; CW Network (partial ownership); TMZ; New Line Cinema; Time Warner Cable; Cinemax; Cartoon Network; TBS; TNT; America Online; MapQuest; Moviefone; Castle Rock; Sports Illustrated; Fortune; Marie Claire; People Magazine.

WALT DISNEY

ABC Television Network; Disney Publishing; ESPN Inc.; Disney Channel; SOAPnet; A&E; Lifetime; Buena Vista Home Entertainment; Buena Vista Theatrical Productions; Buena Vista Records; Disney Records; Holly-

wood Records; Miramax Films; Touchstone Pictures; Walt Disney Pictures; Pixar Animation Studios; Buena Vista Games; Hyperion Books.

NEWS CORPORATION

Dow Jones & Company, Inc.; Fox Television Stations; The New York Post; Fox Searchlight Pictures; Beliefnet; Fox Business Network; Fox Kids Europe; Fox News Channel; Fox Sports Net; Fox Television Network; FX; My Network TV; MySpace; News Limited News; Phoenix InfoNews Channel; Phoenix Movies Channel; Sky PerfecTV; Speed Channel; STAR TV India; STAR TV Taiwan; STAR World; Times Higher Education Supplement Magazine; Times Literary Supplement Magazine; Times of London; 20th Century Fox Home Entertainment; 20th Century Fox International; 20th Century Fox Studios; 20th Century Fox Television; BSkyB; DIRECTV; The Wall Street Journal; Fox Broadcasting Company; Fox Interactive Media; FOXTEL; HarperCollins Publishers; The National Geographic Channel; National Rugby League; News Interactive; News Outdoor; Radio Veronica; ReganBooks; Sky Italia; Sky Radio Denmark; Sky Radio Germany; Sky Radio Netherlands; STAR; Zondervan.

NBC UNIVERSAL

Bravo; CNBC; NBC News; MSNBC; NBC Sports; NBC Television Network; Oxygen; SciFi Magazine; Syfy (Sci Fi Channel); Telemundo; USA Network; Weather Channel; Focus Features; NBC Universal Television Distribution; NBC Universal Television Studio; Paxson Communications (partial ownership); Trio; Universal Parks & Resorts; Universal Pictures; Universal Studio Home Video.

©„ღიანსკამსაზეგნგ ათანასიკაფეი“

VIACOM

Paramount Pictures; Paramount Home Entertainment; Black Entertainment Television (BET); Comedy Central; Country Music Television (CMT); Logo; MTV; MTV Canada; MTV2; Nick Magazine; Nick at Nite; Nick Jr.; Nickelodeon; Noggin; Spike TV; The Movie Channel; TV Land; VH1.

CBS CORPORATION

CBS News; CBS Sports; CBS Television Network; CNET; Showtime; TV.com; CBS Radio Inc. (130 stations); CBS Consumer Products; CBS Outdoor; CW Network (50% ownership); Infinity Broadcasting; Simon & Schuster (Pocket Books, Scribner); Westwood One Radio Network.

ეს არის უმთავრესი მიზეზი ბოლო დროს მასმედიის ალტერნატიული სახეობების მომრავლებისა. ადამიანები სულ უფრო ნაკლებად ენდობიან მეინსტრიმ-მასმედიას და სიმართლეს სხვა წყაროებში ეძებენ. კონტროლირებად მასმედიაში არავინ წერს, თუ რა ბოროტებას წარმოადგენს ფედერალური სარეზერვო სისტემა ან რა ტემპებით ვითარდება ამერიკის დეინდუსტრალიზაცია.

აშშ-ის წყალობით ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება გაასმაგდა

გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, ავღანეთში ოპიუმის პლანტაციების საერთო ფართობი 131 ათას ჰექტრამდე გაიზარდა, რაც 7 პროცენტით აღემატება 2010 წლის მაჩვენებელს. იმავე სამმართველოს შეფასებით, ქვეყანაში ოპიუმის წარმოება 2011 წელს 61%-ით გაიზარდა.

აშშ ანგლოსაქსების პოლიტიკის მემკვიდრედ იქცა. მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ათობით ამერიკული სამხედრო ბაზა ნარკომოვაჭრეთათვის იდეალური თავშესაფარია. ცხადია, ამერიკელი სამხედროების დიდი ნაწილი ამ საკითხთან დაკავშირებით საქმის კურსში არ არის. ყველაფერი საიდუმლოების საფარქვეშ ხდება. მაგრამ, როგორც ცნობილია, ადრე თუ გვიან ყველაფერი დაფარული ცხადდება.

რუსეთის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილემ ოლეგ საფონოვმა განაცხადა, რომ **გაეროს შეფასებების თანახმად, 2001 წლიდან, ანუ ნატოს მიერ ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დაწყების დროიდან, ავღანეთში წარმოებული ნარკოტიკების მოცულობა 44-ჯერ გაიზარდა.**

ამასთან, ნატო, უფრო სწორად კი მისი პატრონი თეთრი სახლი, ჯიუტად აცხადებს უარს რუსული მხარის ინიციატივის მხარდაჭერაზე ოპიუმის ყაყაჩოს პლანტაციების განადგურებასთან დაკავშირებით.

აშშ-სა და მისი მოკავშირეების ჯარების მიერ ავღანეთის ოკუპირებამ ნარკოტრაფიკის ასტრონომიული ზრდა განაპირობა. გაეროს მონაცემებით, 2001 წლიდან 2006 წლამდე, ანუ მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში ამ ზრდამ 3200 პროცენტი შეადგინა.

2006 წელს კულტივირებულმა მინდვრებმა 165 ათასი ჰექტარი მოიცვა. 2001 წელს, შეჭრის მომენტისთვის, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 7706 ჰექტარს შეადგენდა. 2010 წლის თებერვალში „ამერიკის ხმა“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ „ავღანური ჰეროინი საერთაშორისო ბაზარზე იყიდება ასჯერ უფრო ძვირად, ვიდრე მას თავად ავღანელი გლეხები ყიდიან“, ანუ ამ ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები უკვე ასობით მილიარდ დოლარს შეადგენს.

ცნობილია, რომ შემოსავლების მხრივ ნარკოტიკებით ვაჭრობას მესამე ადგილი უჭირავს ნავთობითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ. და ეს გიგანტური ნარკორესურსი განთავსებულია იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც დიდი რაოდენობით დგანან აშშ-სა და ნატოს ჯარები.

ყველგან, სადაც ამერიკული ჯარები ჩნდებიან, უმალ ვითარდება ნარკოვაჭრობაც. ლონდონური Independent-ი წერს: **„ბაღდადი არის ქალაქი, რომელსაც 2003 წლის მარტამდე (ანუ აგრესიამდე) არასდროს უნახავს ჰეროინი, სასიკვდილო ნარკოტიკი, ახლა კი ის წალეკილია ნარკოტიკული ნივთიერებებით, მათ შორის ჰეროინითაც. ბაღდადის მცხოვრებნი ჩივიან, რომ ისეთი ნარკოტიკები, რო-**

გორიც ჰეროინი და კოკაინია, ირანის დედაქალაქის ქუჩებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება. როგორც მთელი რიგი წყაროებისა აღნიშნავენ, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდას პატრონაჟს ცსს უწევს, რათა დაფინანსდეს ის საიდუმლო ოპერაციები, რომელთაც ამერიკული დაზვერვა მთელ მსოფლიოში ახორციელებს".

ნარკოტიკებსა და დამნაშავეობასთან ბრძოლის გაეროს სამმართველოს ანალიტიკოსებმა კი დაადგინეს, რომ ჰეროინის უზარმაზარი პარტიები ჩნდება კოსოვოსა და ბოსნიაში, ბრიტანეთის ფერფორდის რაიონში, გერმანიის რამშტაინში და ესპანეთის მორონში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ეს ჰეროინული შადრევანი ავღანეთიდან თვითმფრინავების მიმღები ამერიკული სამხედროსაჰაერო ბაზების სიახლოვეს ჩქეფს, აღარ დარჩება რაიმე ეჭვი, რომ ევროპაში ნარკოტიკების ტრანსპორტირების საქმეში ამერიკელი სამხედროების ხელი ურევია.

თუ სამხედრო ჯარების შეზღუდული კონტინგენტი ახერხებდა, ეფექტურად შეემცირებინა ჰეროინის წარმოება, რატომ არ გამოსდის ეს ნატოს კოალიციას? იქნებ ამ კოალიციის უმაღლესი მეთაურობა მსგავს ამოცანებს საერთოდაც არ ისახავენ მიზნად?

შექმნილი მდგომარეობა ყველაზე მეტად რუსეთს ადარდებს, რადგან, რუსი ექსპერტების მტკიცებით, ნარკოტიკების ზემოქმედების შედეგად ყოველწლიურად გარდაცვლილი 100 ათასი ადამიანიდან დაახლოებით მესამედი რუსეთის მოქალაქეა. უფრო მეტიც, რუსეთი უკმაყოფილოა აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემაშფოთებელი პასიურობით იმ რეალიების ფონზე, რაზეც 2011 წლის მეორე ნახევარში რუსეთის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა ვიქტორ ივანოვმა ისაუბრა. კერძოდ, მან ოფიციალურად განაცხადა, რომ თავის ამერიკელ კოლეგას ჯილ კერლიკოვსკის გადასცა დოსიე, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ავღანეთში მოღვაწე ცხრა მსხვილი ნარკომოვაჭრის შესახებ. ამასთან, რუსულმა მხარემ ვაშინგტონს გაუზიარა ინფორმაცია 25 ნარკომოვაჭრისა და 175 ავღანური ნარკოლაბორატორიის შესახებაც.

© „ღვინისგამხდელები ისინისგან“

„ჩვენი ინფორმაციით, ამერიკელი სამხედროები შეგნებულად არიდებენ თავს ნარკოტიკებთან ბრძოლას, — აცხადებს ალექსეი ლოპატნიკოვი, რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის თანამშრომელი.

— **ჯერ ერთი, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ჯარისკაცი და ოფიცერი შემოსავალს იღებს ყოველი ჰეროინული ფაბრიკისა თუ სატვირთო მანქანიდან. მეორეც, არსებობს დადასტურებული მონაცემები იმის შესახებ, რომ ამგვარი პოლიტიკა, მსუბუქად რომ ვთქვათ, ზემოდანაა ნებადართული. ავღანური წამალი აშშ-მდე ვერ აღწევს, სამაგიეროდ ასუსტებს აზიისა და ევროპის ქვეყნებს და მტკივნეულ დარტყმას აყენებს რუსეთს.**

იანკები სერიოზულად ანგრევენ კოლუმბიურ მაფიას, რომელიც აშშ-ს აწვდის კოკაინს. სამხრეთ ამერიკაში შარშან ნარკონათესების ნახევარზე მეტი გაანადგურეს, ავღანეთში კი — მხოლოდ 2 პროცენტი. ასი მილიარდი დოლარის შემოსავლიდან, რომელიც ჰეროინის წარმოებიდან მიიღება, ისლამურ რესპუბლიკაში მხოლოდ 4 მილიარდი რჩება. ოფიციალურად ითვლება, რომ კოალიციის ჯარები 2014 წლამდე გავლენ. სინამდვილეში მოხდება მხოლოდ ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის ნომინალური პასუხისმგებლობის გადაცემა, რეალური კონტროლი კი პენტაგონის ხელთ დარჩება“.

კოალიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ყაყაჩოს პლანტაციებს არ ანადგურებენ, რათა მათში მომუშავე გლეხები შიმშილით არ გაწყდნენ. რა ჰუმანურობაა! რეალურად ადგილობრივი გლეხები ისედაც ლამის შიმშილობენ და მიზერულ წილს იღებენ ნარკობიზნესის შემოსავლებიდან. შემოსავლის ლომის წილს ინაწილებენ მიწების მფლობელები, ლენდლორდები და ნარკოტიკების დამუშავებით, ტრანსპორტირებითა და გაყიდვით დაკავებული ნარკომაფია.

სპეციალისტების აზრით, ავღანური ნარკოწარმოების სრულად ლიკვიდირება შესაძლებელია. მაგრამ ეს გეგმები მხოლოდ ქაღალდზე დარჩება, თუ ნატო და აშშ თავიანთ პოლიტიკას განაგრძობენ.

გაერო გეებისა და ლესბოსელების დაცვას შეუდგა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა, რომ მსოფლიოს ჰომოსექსუალები და ტრანსსექსუალები დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლნი არიან. მათ ხოცავენ, აუპატიურებენ და აწამებენ სექსუალური ორიენტაციის გამო, მსოფლიოს მინიმუმ ხუთ ქვეყანაში მათ სიკვდილით დასჯის საფრთხე ელით.

პირველ ოფიციალურ ანგარიშში გაერომ ხელისუფლებებს მოუწოდა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა დაცვისკენ, დისკრიმინაციული კანონების გაუქმებისა და ყველა სერიოზული დარღვევის სასამართლოში გარჩევისკენ. გაეროს ადამიანთა უფლებების უმაღლესი კომისრის — ნავი პილაის მოხსენებაში ნათქვამია: „ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობრივი აქტები მთელ მსოფლიოში ხდება. ძალადობის ეს სახეობები შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური“.

© „ღიასაზოგადოება“

გაეროს ადამიანის უფლებათა სამმართველომ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც სექსუალური უმცირესობებისთვის თანაბარი უფლებები აღიარა და ამ ნიშნით დისკრიმინაცია და ძალადობა დაგმო. დასავლეთის ქვეყნებმა ამ გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდეს, ისლამურმა სახელმწიფოებმა კი გადაჭრით უარყვეს ის.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ჟენევაში მიმდინარე ფორუმის 47 წევრის წინაშე განაცხადა: „ჰომოსექსუალიზმი არ უნდა აღიქმებოდეს დანაშაულად“.

გაეროს მოხსენებაში ნათქვამია, რომ სპონტანური „ქუჩის“ ძალადობების გარდა სექსუალური უმცირესობები შეიძლება გახდნენ უფრო ორგანიზებული ძალადობის მსხვერპლნი რელიგიური ექსტრემისტების, გასამხედროებული დაჯგუფებების, ნეონაცისტებისა და უკიდურესი ნაციონალისტების მხრიდან. მოხსენებაში 25 გვერდი დაეთმო იმას, თუ როგორ ხდებიან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები თემის ან ოჯახის წევრთა მხრიდან „ღირსების დასაცავად“ ჩადენილ მკვლელობათა მსხვერპლნი.

ამ დროისათვის მსოფლიოს 76 ქვეყანაში მოქმედებს კანონები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ქცევის ან გენდერული იდენტურობის გამო. სწორედ ამ კანონების გაუქმებას მოითხოვს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო.

ჯორჯ სოროსი აშშ-ში კლასობრივ ომს წინასწარმეტყველებს

ჯორჯ სოროსი

გამოცემა Newsweek-თან ინტერვიუში ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა წარმოუდგენელი რამ თქვა. თავისი 60-წლიანი კარიერის მანძილზე პირველად კითხვაზე, თუ რაზე ჩამოვა ფსონს მსოფლიო ეკონომიკის ცნობილი მოთამაშე, მან უპასუხა, რომ არ იცის. თუმცა, როგორც გამოცემა აღნიშნავს, მისი ახლობლების თქმით, სოროსი ოქროს ყველაზე დიდ ბუშტს უწოდებს და მასში ფულის დაბანდებას ნაღდი ფულის შენახვას ამჯობინებს.

წარმოუდგენელია, მაგრამ სოროსი არ თამაშობს ევროს კურსის დაწევაზე და მოუწოდებს ლიდერებს, გადაარჩინონ ეს ვალუტა დ მისი კრახის საფრთხეების თაობაზე აფრთხილებს. გამოცემამ დაასკვნა, რომ მართალია, წარმოუდგენელია, მაგრამ მოკლე გაყიდვების გროსმეისტერი სენტიმენტალური გახდა.

ინტერვიუში სოროსმა მიანიშნა, რომ მისთვის სიმდიდრის შენარჩუნებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი გადარჩენაა. მისი აზრით, მსოფლიოს წინ ყველაზე საშინელი პერიოდი ელის: ევროზონაში ქაოსი და კონფლიქტები გარდაუვალია, ამერიკაში კი — ქუჩის აჯანყებები და სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი ზომების მიღება, რაც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების მკვეთრად შეკვეცას განაპირობებს. გლობალური ეკონომიკური სისტემა, შესაძლოა, მთლიანად დაიშალოს.

ამ სიტუაციას ბევრი საერთო აქვს 1930-იანი წლების დიდ დეპრესიასთან: წინ სტაგნაციის კიდევ 10 წელია, უფ-

რო უარესი თუ არა. „შესაძლო სცენარებიდან საუკეთესო დეფლაციური მდგომრეობაა. ყველაზე უარესი კი შესაძლოა ფინანსური სისტემის კოლაფსი გახდეს,“ — აცხადებს ფინანსისტი.

მას სხვა ისტორიული პარალელებიც მოჰყავს: განვითარებული მსოფლიოს მიმდინარე კრიზისი წინასწარ განუჭვრეტელი აღმოჩნდა, როგორც 80-იან წლებში საბჭოთა სისტემის კოლაფსი. სოროსის აზრით, იმ იდეის კრახი, რომ ბაზრებს თვითრეგულირება შეუძლიათ, მარქსიზმის, როგორც პოლიტიკური სისტემის კრახის თანაბარია. „როგორც გაირკვა, უპირატესი ინტერპრეტაცია მხოლოდ თავგზის ამბნევი გამოდგა. ის გამომდინარეობს იმ თეზისიდან, რომლის მიხედვით თითქოს ჩვენ აბსოლუტურ ცოდნას ვფლობთ, რაც ძალზე შორსაა რეალობისგან. პრობლემებში გასარკვევად შეცდომისადმი მიდრეკილებაზე უნდა გადავერთოთ,“ — ამბობს სოროსი და ეთანხმება იმ აზრს, რომ ფინანსისტები, რომლებმაც ფინანსური კრიზისის პროვოცირება მოახდინეს, არა მხოლოდ შეცდომებს უშვებდნენ, არამედ შეგნებულად ჩადიოდნენ ბოროტებას.

მრავალი ადამიანი მიიჩნევს, რომ მორალისტური ნოტაციების კითხვა სოროსისაგან უკვე ნამეტანია, მაგრამ ეს ადამიანი ახლა თავს სახელმწიფო მოღვაწედ და ფილანტროპად მიიჩნევს.

ინტერვიუში სოროსმა ისიც განაცხადა, რომ ესიმპათიურება მოძრაობა „დაიკავე უოლ-სტრიტი“, მისი აზრით, სამართლიანია იმით აღშფოთება, რომ ბანკების გადარჩენის დანახარჯებს მთლიანად გადასახადების გადამხდელები ანაზღაურებენ. მოძრაობა გაიზრდება, რადგან ის სვამს კითხვებს, რომლებზეც ტრადიციული მემარცხენე ორგანიზაციები, უკვე მეოთხედი საუკუნეა, დუმან.

სოროსის თქმით, ამერიკის ქალაქებში ქუჩის გამოსვლები გარდაუვალია. ამას მთავრობა დევნის საბაბად გამოიყენებს, რაც რეპრესიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების წინაპირობა გახდება და რაც აშშ-ის მხრიდან საკუთარ ტრადიციებთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ნიშნავს. ამასთან, სოროსის აზრით, ობამას ხელახლა გაპრეზიდენტების შანსი აქვს.

ამერიკა გისოსებს მიღმა

რეპორტიორები ხშირად აჩვენებენ ამერიკის ციხეების შიდა ცხოვრებას, მაგრამ ეს რეპორტაჟები არავის მოსწონს, რადგან იქ არაფერი ხდება. იმის წარმოდგენაც კი, რომ ვინმემ ამ პირობებში შეიძლება თუნდაც ერთი წუთით იცხოვროს, შეუძლებელია. ამერიკის ციხეში ერთი დღე ათწლეულებს უდრის. ტეხასის ციხეებში ადამიანებს, რომლებიც სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას ელიან, „უვადოდ" დაპატიმრებულებს უწოდებენ. ამერიკული ციხეების მთავარი რეალობა საკეტი და გასაღები კი არა, საკეტი და საათია.

ვისაც თუნდაც ერთი დღე გაუტარებია ციხეში, ამ შეგრძნებას ვერასდროს დაივიწყებს. იქ დრო ჩერდება. ჩახშობილი პანიკის, პარანოიის, მღელვარების, მოწყენილობისა და შიშის ნარევი ნთქავს როგორც ტუსაღებს, ასევე მათ ზედამხედველებს. პატიმრები ცდილობენ, გარეთ მყოფ ადამიანებს გააგებინონ, რომ იქ დრო ყოველ წამში ცვლის გონებას. ამერიკაში, სადაც გაცილებით მეტ სასჯელს უწესებენ ადამიანებს, ვიდრე იმავეს ჩადენისთვის სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში (მხოლოდ ტეხასის შტატ-

© „ადამიანის უფლებები“

ში 400 მოზარდს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი), პატიმართათვის დრო, ნებისმიერი გაგებით, სასჯელია.

ამერიკაში ღარიბი ადამიანების უდიდესი რაოდენობისათვის, განსაკუთრებით შავკანიანი მამაკაცებისათვის, ციხე ისეთივე აუცილებელი მოვლენაა ცხოვრებაში, როგორც მდიდარი თეთრკანიანებისათვის სკოლაში სიარული. სკოლადაუმთავრებელი შავკანიანი მამაკაცების ნახევარი ცხოვრების რაღაც პერიოდს ციხეში ატარებს. ამერიკის ფუნდამენტურ რეალობად იქცა კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი მასშტაბების დაპატიმრებები. დაახლოებით ასეთივე რეალობა 1850-იან წლებში მონობა იყო, მაგრამ ახლა აშშ-ში უფრო მეტი ზანგია პატიმრობაში, ვადამდე-პირობით გათავისუფლებულთა და პირობით გათავისუფლებულთა სიებში, ვიდრე იმ პერიოდში მონა იყო. **ახლა ამერიკაში საერთო ჯამში „სასჯელაღსრულებითი ორგანოების“ ზედამხედველობის ქვეშ არის ექვს მილიონზე მეტი ადამიანი, რაც სტალინის გულაგებში მყოფთა რაოდენობასაც კი აღემატება. პატიმრებისა და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფთა ქალაქი ამერიკაში სიდიდით მეორე ადგილზეა.**

1980 წელს ასი ათას ამერიკელზე 220 პატიმარი მოდიოდა, 2010 წლისათვის ამ რაოდენობამ 731-ს მიაღწია. მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. უკანასკნელ ოც წელიწადში ციხეების შენახვის ხარჯის ზრდამ ექვსჯერ გადააჭარბა უმაღლესი განათლების ხარჯების ზრდას.

„ჩვენ კარცერული სახელმწიფო ვართ“, — სწორედ ასეთი უკომპრომისო შეფასება მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს კონრად ბლექმა, კონსერვატიული პრესის ყოფილმა მფლობელმა და ახლადგამომცხვარმა რეფორმატორმა, რომელიც ახლა ფლორიდის ერთ-ერთ ციხეში ზის.

ჩვენი ციხეების რაოდენობა და სისასტიკე ამერიკელთა მორალური სირცხვილია. ყოველდღიურად 50 000 ადამიანი მარტოდმარტო პატიმრობაში იღვიძებს ციცქნა კამერაში, სადაც ვერავის ხედავს, არ შეუძლია თავისუფლად წეროს ან იკითხოს. მათ მხოლოდ ერთსაა-

თიანი გასეირნების უფლება აქვთ, ისიც სრულ სიმარტოვეში. ჩაიკეტეთ საპირფარეშოში და წარმოიდგინეთ, რომ იქ მომავალი ათი წლის გატარება მოგიწევთ და მიუახლოვდებით იმის შეგრძნებას, თუ რას ნიშნავს ამგვარი პატიმრობა. ციხეებში იმდენად გავრცელებულია გაუპატიურება — ყოველწლიურად 70 000-ზე მეტ ადამიანს აუპატიურებენ — რომ ამას დასაშინებლადაც კი იყენებენ, როგორც მომავალი შესაძლო სასჯელის ნაწილს.

უკანასკნელ ათ წელიწადში მრავალი სახელმწიფო საპატიმრო თუ გამოსასწორებელი დაწესებულება კერძო საკუთრებაში გადავიდა და, როგორც ნებისმიერი ბიზნესი, ისიც საჭიროებს განვითარებას. სწორედ ამან განაპირობა კანონების გამკაცრება და ხანგრძლივი პატიმრობები არც თუ მძიმე დანაშაულებისთვის. ციხეები ფულს უხდიან მოსამართლეებს ყოველი ახალი პატიმრისათვის. საქმე ისაა, რომ კერძო ციხეები შტატების ხელისუფლებებისგან საკმაოდ სოლიდურ დაფინანსებას იღებენ იმისდა მიხედვით, თუ რამდენი პატიმარი ჰყავთ. ვინაიდან ამ თანხიდან წილი მოსამართლეებამდეც მიდის, ისინი ზრუნავენ, რომ კამერები არასდროს დაცარიელდეს. მას შემდეგ, რაც წვრილმანი დანაშაულებებისთვის ციხეში გამწესებულმა მოზარდებმა ერთობლივი სარჩელი შეიტანეს მოსამართლეების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთ თავად ემუქრებათ ციხეში მინიმუმ შვიდი წლის გატარების პერსპექტივა.

გაეროს ბავშვთა ფონდ იუნისეფის მონაცემებით, 2006-2008 წლებში აშშ-ის ციხეებში 6-დან 12-წლამდე ასაკის 93 ათასი პატიმარი იხდიდა სასჯელს.

სამთვიანი პატიმრობა ოცდაოთხი გვამისათვის

ამერიკულმა მართლმსაჯულებამ ერაყის რიგით მოქალაქეებს სიცოცხლის უფლება ჩამოართვა

საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ სამხედრო მოქმედებები ერაყში, ავღანეთსა და სხვა ადგილებში, სადაც კოლონიზატორებმა „თავისუფლება“ და „კეთილდღეობა“ შეიტანეს, საკმაოდ უხეშად წარიმართებოდა. ახალი ამბები იმის თაობაზე, რომ უპილოტო საფრენი აპარატის რეიდის შედეგად რომელიღაც შორეულ მთიან რაიონში რამდენიმე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, უკვე დიდი ხანია, „ცხელი წერტილების“ საინფორმაციო ფონის რუტინულ ელემენტად იქცა. იმ შემთხვევაში, როდესაც ავიადარტყმა აბსოლუტურად უმიზეზოა ან მსხვერპლის რაოდენობა განსაკუთრებით დიდი, საშუალო დონის ზოგიერთი ჩინოვნიკი პენტაგონიდან „მწუხარებას გამოხატავს“ და ეს სავსებით საკმარისად მიაჩნია.

ამასთან, მსგავსი შეტევები ჟენევის კონვენციის პირდაპირი დარღვევაა, მაგრამ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი „უპილოტო ომში“ გარდაუვალ დანაკარგებად ითვლება. ალბათ, ამის გამო **უპილოტო საფრენი აპარატის არც ერთი ოპერატორი ამ დრომდე სიმბოლურადაც კი არავის დაუსჯია.** ამერიკული არმიის წარმომადგენელთა ქმედებები „ხმელეთზე“ სავსებით შეესაბამება უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების სქემას. საყოველთაოდ გამოიყენება უსიტყვოდ შეთანხმებული პრინციპი, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურეებმა სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე მოღვაწეობისას ჯერ უნდა ისროლონ, შემდეგ კი მშვიდად დაიწყონ იმის გარკვევა, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო მოცემულ სიტუაციაში გამანადგურებელი ცეცხლის გახსნა. **მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში მნიშვნელოვანი დანაკარგებია, ამის პარალელურად იზრდება და სულ უფრო თვალშისაცემი ხდება ამერიკული სამართალდამცავი სისტემის ლოიალობა საკუთარი ქვეყნის ჯარისკაცების მიმართ.**

2005 წლის 19 ნოემბერს ერაყის ქალაქ ელ-ხადიტაში მოხდა ინციდენტი, რომელიც ერაყის ომის ყოველდღიურობის ფონზეც კი შოკისმომგვრელად გამოიყურებოდა. აშშ-ის საზღვაო ქვეითებმა ქალაქის კვარტალში „რეიდი“ ჩაატარეს და 24 მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის ქალები და ბავშვები მოკლეს. ამ მოვლენას თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება არ მიუპყრია — იმთავითვე გახმოვანებული ვერსიის თანახმად, საზღვაო ქვეითთა კოლონას თავს დაესხნენ ბოევიკები, რომლებმაც ნაღმის აფეთქების შედეგად ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და 15 მშვიდობიანი მოქალაქე იმსხვერპლეს. ამ შეტაკების შედეგად საპასუხო ცეცხლით ამერიკელებმა 8 ბოევიკი გაანადგურეს. შემთხვევის ადგილთან ახლოს მყოფმა The Time-ის კორესპონდენტებმა მომხდარი ცხელ კვალზე შეისწავლეს, მაგრამ გავრცელებულ ვერსიაში ხსენებული აფეთქების კვალს ვერსად მიაგნეს. სამაგიეროდ დარწმუნდნენ, რომ ერაყელ მშვიდობიან მო-

© „ღვასკვამსწრე“

ქალაქეებს მრავალრიცხოვანი ჭრილობა ჰქონდათ მიყენებული ცეცხლსასროლი იარაღიდან. ზემოხსენებულ გამოცემაში დაბეჭდილი პუბლიკაციის შემდეგ ისტორიამ აბსოლუტურად განსხვავებული ელფერი შეიძინა და პენტაგონი იძულებული გახდა, ოფიციალური გამოძიება დაეწყო. ამ გამოძიების შედეგები აბსოლუტურად არ ემთხვეოდა პირვანდელ ისტორიას.

გაირკვა, რომ **ერთი საზღვაო ქვეითი მართლაც ნაღმზე აფეთქდა, რის შემდეგაც მისმა საბრძოლო მეგობრებმა გადაწყვიტეს, გასწორებოდნენ ყველას, ვინც ახლომახლო აღმოჩნდნენ. „შურისმაძიებელთა“ პირველი მსხვერპლი „ტაქსის“ მძღოლი და მისი ოთხი მგზავრი გახდა. ტაქსი აფეთქების გამო გაჩერდა. მანქანაში მსხდომთა დახოცვის შემდეგ ამერიკელი საზღვაო ქვეითები ირგვლივ მდებარე სახლებში შეცვივდნენ და 45 წუთის განმავლობაში ხოცავდნენ ყველას, ვინც კი იპოვეს. დახოცილთა შორის ათი ქალი აღმოჩნდა, ერთი — ბავშვი და ერთი — ინვალიდი, რომელსაც დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეეძლო.**

ბრალდება წაუყენეს რვა სამხედრო მოსამსახურეს, მათ შორის — ორ ოფიცერს. შვიდ საზღვაო ქვეითს არანაირი სასჯელი არ დაკისრებია, ისინი მხოლოდ მოწმეების როლს ასრულებდნენ საქმეში. ერთადერთ ბრალდებულად დასახელდა დანაყოფის მეთაური შტაბ-სერჟანტი ფრენკ ვუტერიჩი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა 19 ადამიანის მკვლელობაში. თავდაპირველად ბრალდების მხარე დამნაშავისთვის, სულ მცირე, 150-წლიან პატიმრობას ითხოვდა, რაც, უნდა ითქვას, ცოტაც კია ჩადენილ დანაშაულთან შეფარდებით. მაგრამ, რაც უფრო შორს მიდიოდა სასამართლო განხილვა, მით უფრო მეტად იხლართებოდა ყველაფერი. თავდაპირველად ვუტერიჩს ადანაშაულებდნენ ბრალდების დაახლოებით 25-პუნქტიანი ჩამონათვალის მიხედვით მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებებში ადამიანებზე თავდასხმის, სამხედრო ვალდებულების შეუსრულებლობისა და მართლმსაჯულებისთვის დაბრკოლებების შექმნის ჩათვლით.

გამოძიებასთან გარიგების შედეგად, ვუტერიჩი მხოლოდ „გაუფრთხილებლობაში“ დაადანაშაულეს. სულ სერჟანტს ბრალდების ცხრა პუნქტი აპატიეს. „გაუფრთხილებლობაში“ იგულისხმება ის, რომ ვუტერიჩმა გასცა პირდაპირი ბრძანება: „ჯერ ისროლონ და შემდეგ დასვან კითხვები“. სასამართლოს ვუტერიჩმა განუმარტა, რომ მისი ბრძანების მიზანი იყო არა სამოქალაქო პირების დახვრეტა, არამედ „საკადრისი პასუხი მოწინააღმდეგეს და საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფთათვის სიცოცხლის შენარჩუნება“. გაურკვეველი დარჩა, დაცვის აზრით, რა პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა ვუტერიჩის დაქვემდებარებაში მყოფთა სიცოცხლისათვის უფეხებო ინვალიდი, რომელიც პირდაპირ თავის ეტლშივე ჩაცხრილეს, ან დედა-შვილი, რომელთაც შტაბ-სერჟანტმა ვუტერიჩმა პირადად ესროლა. **სასამართლომ ვუტერიჩის საქციელში აფექტის ნიშნებიც დაინახა — სერჟანტი „აკონტროლებდა თავის დაქვემდებარებაში მყოფთა მოქმედებებს**, მაგრამ თავად ფატალურად არასწორი გადაწყვეტილებები მიიღო“.

განსაკუთრებული სინდისის ქენჯნა ვუტევიჩს არ გამოუმჟღავნებია. ჯერ კიდევ განაჩენის გამოტანამდე მან დახოცილი ერაყელების ახლობლებსა და ოჯახის წევრებს მიმართა და შეეცადა, დაერწმუნებინა, რომ ღრმა მწუხარებას განიცდის მომხდარის გამო, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ეს ინციდენტი ერაყის კონფლიქტისათვის ჩვეულებრივი შემთხვევაა და ის მოქმედებდა ისე, როგორც ამას გარემოებები მოითხოვდა. ამის შემდეგ კი, გამოძიებასთან გარიგების პირობების თანახმად, თავი სრულიად დამნაშავედ აღიარა.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სასამართლომ ვუტევიჩს სამი თვით პატიმრობა, ამავე ვადით ხელფასის 75%-ით დაჯარიმება და წოდების რიგითამდე ჩამოქვეითება მიუსაჯა. ჯერ კიდევ ვერდიქტის გამოტანამდე სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის საზღვაო ქვეითთა სარდლობა მიუღებლად ჩათვლიდა თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასჯელს.

© „ღონისძიებები ადამიანისთვის“

შედეგად ვუტერიჩი პირდაპირ სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. ტრიბუნალის თავმჯდომარემ დევიდ ჯონსმა მისთვის, უბრალოდ, წოდების რიგითამდე შემცირება იკმარა და ამით სასამართლო განხილვა დასრულებულად ჩათვალა.

ვუტერიჩის ოჯახის ბიუჯეტი არ დაზარალებულა — მიუხედავად იმისა, რომ წოდება აღარ აქვს, ექს-სერჟანტს ხელფასი იგივე დაუტოვეს. ამგვარი პოზიციის მოტივად სასამართლომ ის დაასახელა, რომ ვუტერიჩი მარტოხელა მამაა და სამ შვილს ზრდის.

მსოფლიოს კიდევ რომელ სასამართლოში შეიძლებოდა 19 ადამიანის მკვლელობისათვის მიესაჯათ ის, რასაც არასათანადო ადგილას სპირტიანი სასმელების მოხმარებისთვის უსჯიან, და შემდეგ ბრალდებული ამ სასჯელის მოხდისგანაც გაეთავისუფლებინათ?

ერაყის ოფიციალურმა ხელისუფლებამ სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას „შეუსაბამო“ უწოდა. გაოგნებულნი დარჩნენ ქალაქ ელ-ხადიტის მცხოვრებნი, რომლებსაც ბედმა გაუღიმათ და სერჟანტ ვუტერიჩთან შეხვედრის შემდეგ ცოცხალი გადარჩნენ. სამაგიეროდ, ვუტერიჩის ადვოკატი მარკ ზეიდი თვლის, რომ მისი კლიენტისთვის, რომლის სახელიც ხელისუფლებამ და მასმედიამ სიბინძურეში ამოსვარა, სამართლიანობისა და რეაბილიტაციის პერიოდი დადგა.

სერჟანტ ვუტერიჩის საქმე აშშ-ის ისტორიაში უმსხვილეს სისხლის სამართლის სასამართლოდ ითვლება, რომელშიც ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები საბრძოლო მოქმედებების დროს ჩადენილი დანაშაულებებისთვის გაასამართლეს. ამასთან, ვუტერიჩი სასამართლოს წინაშე მხოლოდ იმიტომ წარსდგა, რომ მისმა ისტორიამ ძალზე დიდი რეზონანსი გამოიწვია. უამრავი მსგავსი შემთხვევიდან კი ძალიან იშვიათი გამონაკლისები აღწევენ თუნდაც გამოძიებამდე.

აშშ-მა ყირგიზეთში ჰეროინის ბაზა მოაწყო

თურქულმა ვებ-საიტმა Turkish Weekly-მა გამოაქვეყნა საკუთარი გამოძიების შედეგები, რომელიც ყირგიზეთის სიდიდით მეორე ქალაქ ოშის პოლიციის ახალ უფროს სუიუნ ომურზაკოვს ეხება. ეს ადამიანი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა და ცნობილია, როგორც გავლენიანი ნარკობარონი და ორგანიზებული დამნაშავეობრივი დაჯგუფებების ლიდერი. წარსულში იგი არაერთხელ გამხდარა სისხლის სამართლის გამოძიების ობიექტი.

2009 წლის ოქტომბერში საიტზე Kyrgyznews.com გაჩნდა სტატია, რომელიც ომურზაკოვის ნარკოტიკების კონტრაბანდით დაკავებულ ორგანიზებულ დამნაშავეობრივ ჯგუფებთან პირდაპირ კავშირზე მიანიშნებდა. სტატიაში ამ ადამიანს ყირგიზეთის სამხრეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ნარკობარონი უწოდეს.

კიდევ ერთი გამოძიება 2010 წლის ივნისში ტარდებოდა. ყირგიზეთისა და უზბეკეთის უფლებადამცველების ჯგუფმა სახელწოდებით „ოშის ინიციატივა“ ომურზაკოვს ორგანიზებული დამნაშავეობრივი ჯგუფის ლიდერი უწოდა და იმავე ტიტულით შეამკო, რომლითაც ოშის მერი მელის მირზაკმატოვი, ასევე კრიმინალური ავტორიტეტები ალმანდეტ მანაპიაევი, კადირ დუსანოვი და სხვები.

ყველა ამ ადამიანს უშუალო კავშირი ჰქონდა ანტიუზბეკური რყევების ორგანიზებასთან, ხელმძღვანელობასა და დაფინანსებასთან. ისინი ამარაგებდნენ ყირგიზეთის პოლიციის თანამშრომლებს იარაღითა და საბრძოლო მასალებით და პირადად მონაწილეობდნენ დარბევებში.

2001 წლიდან ყირგიზეთის ტერიტორიაზე, მანასში განლაგებულია აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანზიტო გადაზიდვების ცენტრი (ყოფილი ავიაბაზა). მას იყენებენ ავღანეთში მიმავალი და იქიდან სამშობლოში დაბრუნებული ჯარისკაცების შუალედურ პუნქტად. ობიექტების შემდგომი გამოყენების შესაძლებლობისათვის ყირგიზეთს 200 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ამ ბაზის არსებობის მანძილზე მის ირგვლივ სკანდალები არ შეწყვეტილა. ერთ-ერთი ჟურნალისტური გამოძიება გასული წლის დეკემბერში ჩატარდა.

რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ეს ბაზა ყირგიზეთისთვის, მისი ნამდვილი დანიშნულების შესახებ საკითხი ღიად რჩება. უკვე მრავალი წელია, ისმის ბრალდებები ნარკოტიკების ტრანსპორტირებასთან, ტერორიზმთან და რევოლუციის ორგანიზებასთან დაკავშირებით. მანასის ბაზასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი აღმოჩენა სუნიტური ტერორისტული ორგანიზაცია „ჯუნდალას“ ლიდერის, აბდოლმალეკ რიგის ისტორია გახდა. 2010 წლის თებერვალში ირანის ხელისუფლებამ იგი არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან ყირგიზეთში მიმავალი თვითმფრინავის რეისიდან მოხსნა.

ტერორისტული ორგანიზაცია „ჯუნდალა“ განსაკუთრებულად შიიტურ ირანს ემტერება. ცსს, უკვე მრავალი წელია, აფინანსებს ამ ორგანიზა-

ციას, მიუხედავად „ალ ქაიდასთან“ მისი კავშირებისა. თავად რიგის მტკიცებით, აშშ რეგულარულად იყენებს მანასეს ბაზას ისეთ ადამიანებთან საიდუმლო შეხვედრებისთვის, როგორიც თავადაა.

პიტერ დ. სკოტმა დაწერა ვრცელი სტატია იმის შესახებ, თუ როგორ განაპირობა აშშ-ის მხრიდან ყირგიზეთის საქმეებში ჩარევამ (თავისი სტრატეგიული ობიექტის დაცვის საბაბით) ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზება და ქვეყნის გავლით ნარკოტიკების ნაკადის მკვეთრი გაზრდა:

ნარკოტრაფიკის უკან დგანან სერიოზული ძალები: სადაზვერვო სამსახურები, ტერორისტები. ეს ემთხვევა ფაქტებს ცსს-ს ადრინდელი ჩარევის შესახებ ავღანეთის, ლაოსისა და ბირმის საქმეებში და მიანიშნებს ამერიკის პასუხისმგებლობაზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან ამ დრომდე ნარკოტიკებით გლობალური ვაჭრობის ზრდაში. მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ 2001 წელს ამერიკის შეჭრიდან ამ დრომდე ავღანეთში ოპიუმის წარმოების გაორმაგება ბირმაში, ტაილანდში და ლაოსში 1940-იანი წლების ბოლოდან 1970-იან წლებამდე განვითარებული მოვლენების გამეორებაა. მაშინ ცსს-ს ჩარევის შედეგად (ლაოსის შემთხვევაში საფრანგეთის) ეს ქვეყნები მსოფლიოში ნარკოტიკების ძირითად მიმწოდებლებად იქცნენ.

2001 წლის დასაწყისში, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ყირგიზეთი ადამიანებით მოვაჭრე ტრანსნაციონალური ჯგუფების მოღვაწეობის ცენტრად იქცა. აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცული 2002 წლის დოკუმენტების თანახმად, ყირგიზეთი ნარკოტიკების წარმოებისა და უკანონო ბრუნვის ცენტრი გახდა.

ქვეყნის მდებარეობა ავღანეთიდან მომავალი მარშრუტების გადაკვეთაზე ნარკოტიკების კონტრაბანდის არაეფექტურ ნაციონალურ კონტროლთან შერწყმით წარმოუდგენლად მიმზიდველია **„საერთაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც აერთიანებს ამერიკის, რუმინეთის, ბრაზილიის, რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის წარ-**

მომადგენელთა უპრეცედენტოდ ფართო წრეს... ესენი არა ნახევრადგანათლებული ტაჯიკ-ავღანელი ნარკომოვაჭრეები, არამედ მსოფლიო ნარკოსისტემის მაფიოზურ კლანებში სტაჟირებაგავლილი პროფესიონალები არიან“.

როდესაც საუბარია ავღანეთის, პაკისტანის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და სხვათა სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, იგულისხმება არა მხოლოდ ტრადიციული რესურსები, არამედ ნარკოტიკულიც.

ამჟამად ავღანეთში სუფთა ჰეროინის მარაგი თითქმის სამ ათას ტონას შეადგენს, ავღანელი ნარკომომწოდებლების შემოსავალი კი წელიწადში დაახლოებით სამი მილიონი დოლარია. ავღანელი გმირები ყოველწლიურად საერთაშორისო ნარკომაფიას, სულ მცირე, 100 მილიონი დოლარით ამდიდრებენ. ეს ფული კვებავს ორგანიზებულ დამნაშავეობას არა მხოლოდ ავღანეთში, არამედ მთელ ცენტრალურ აზიაში — ყირგიზეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში.

და რეალურად ამ თანხებს ავღანელი ფერმერები ან ნარკოტიკების გადამზიდავები როდი განაგებენ. ჰეროინის საწარმოების ნამდვილი მფლობელები აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სპეციალურად „გამოიყვანეს“ ამ როლისათვის და რომლებსაც, თავის მხრივ, ჰყავთ თავიანთი პატრონები, რომლებიც აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ.

აშშ-ის ნარკობიზნესი «Los Zetas»-ის სამიზნეში



„LOS ZETAS“
წევრები

მექსიკურმა ნარკოკარტელმა „Los Zetas“-მა დამოუკიდებლობა რამდენიმე წლის წინათ მოიპოვა. მისი მმართველი ბირთვი ყოფილი სპეცრაზმელებისგან შედგება. მსახურების წლებში ისინი ესპანური ანბანის ბოლო ასოს — „Z“-ს რადიოსაუბრებისას მიმართვისთვის იყენებდნენ და აქედან გაჩნდა სახელწოდებაც „Los Zetas“. დიდი ხნის მანძილზე ზეტას ბოევიკები გავლენიანი მექსიკური ნარკოკარტელის — „El Golfo“-ს მეთაურებისა და ოპერაციების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოიყენებოდნენ. ეს ნარკოკარტელი აშშ-ს კოლუმბიური კოკაინითა და ჰეროინით ამარაგებს. მაგრამ ზეტას ხელმძღვანელობას როლი „ქილერები გამოძახებით“ ძალიან მალე მობეზრდა და გადაწყვიტა, გასაღების ბაზრებისა და გავრცელების არხებისათვის ომი დაეწყო. „El Golfo“-ს მაფიოზები მათ მტრებად იქცნენ, საერთაშორისო გარჩევებში კი სხვა მექსიკური კარტელებიც ჩაითრიეს.

სიტუაცია გაართულა კიდევ ერთმა ომმა, რომელიც მექსიკურმა კარტელმა ფილიპე ქალდერონის მთავრობას

გამოუცხადა. იგი მექსიკის პრეზიდენტი ძალზე საეჭვო სიტუაციების თანხლებით გახდა. ავტორიტეტის გასაზრდელად ქალდერონმა ქვეყანაში აბსოლუტურად დაუსჯელად მოქმედი ნარკოკარტელების წინააღმდეგ კამპანიის წამოწყება გაბედა. მისი გეგმა ვაშინგტონიდან წაახალისეს. იქ აუცილებლობად მიიჩნევდნენ მექსიკური ნარკოექსპანსიის ალაგმვას ნაწილობრივ მაინც, რადგან აშშ-ის ტერიტორიაზე მისი კონტროლირება სულ უფრო რთულდებოდა. **ნარკოტიკებთან ბრძოლის დეპარტამენტი (DEA) და გამოძიების ფედერალური ბიურო სამუშაოს ვერ უმკლავდებოდნენ. ეკონომიკური კრიზისის მიზეზით, ჩრდილოამერიკული ბანკები დიდი სიამოვნებით იყენებდნენ „კოკაინის რესურსის“ ზეშემოსავლებს. გამრავლდნენ DEA-სა და აშშ-ის სხვა სპეცსამსახურებს დაუმორჩილებელი ნარკომაფიის სტრუქტურები. უდიდესი ფინანსური სახსრები „გვერდზე მიედინებოდა“. აუცილებელი გახდა სტატუს-კვოს აღდგენა.**

სწორედ ამ პირობებში დაიწყო ზეტამ აშშ-სა და ცენტრალურამერიკულ სუბრეგიონში, ასევე კარიბის აუზისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, საკუთარი დასაყრდენი ბაზების შექმნა. **მისი მეთაურების მთავარი ამოცანა იყო, წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების „დერეფნებით“ უზრუნველეყოთ პერუდან და კოლუმბიიდან ნარკოტიკების აშშ-ში შეტანა.**

ნარკოტიკების ბაზარზე ახალი მოთამაშე ყველა დაინტერესებულმა პირმა უმალ შენიშნა. **უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემი იყო ზეტას ბოევიკების ზღვარგადასული სისასტიკე: ისინი არასდროს ტოვებდნენ ცოცხალ მოწმეებს, კონკურენტებისა და ძალოვანების შესაშინებლად ხშირად აწამებდნენ, შემდეგ კი თავს აჭრიდნენ მსხვერპლს. მათი კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი მრავალრიცხოვანი მკვლელობებია.**

გავიხსენოთ, წამების პრაქტიკის „რენესანსს“ ათასწლეულის მიჯნაზე თანამედროვე მსოფლიო, პირველ რიგში, ცსს-ს, აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის დეპარტამენტსა და აშშ-ის სამხედრო დაზვერვას უნდა უმადლოდეს. მექსიკური ნარკოკარტელი ზეტას ბოევიკებმა

პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ ამ სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან მჭიდრო პროფესიული ურთიერთობისას შეიძინეს. აშშ-ის ინსტრუქტორებმა 15 ათასზე მეტი მექსიკელი სამხედრო მოსამსახურე ცეცხლში გამოაწრთეს. მაგრამ მათმა უმცირესმა ხელფასმა განაპირობა ის, რომ ჯარიდან უამრავი ჯარისკაცი გარბოდა და გარბის, მათი უმეტესობა კი დამნაშავეობრივი დაჯგუფებების რიგებში საქმდება.

ყოფილი სამხედროების კრიმინალიზაციის პროცესი შეინიშნება გვატემალაში, ჰონდურასში, სალვადორში. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებულ სისასტიკეს მათგან ისინი იჩენენ, ვინც მომზადება აშშ-ის სპეცკურსების ფარგლებში გაიარეს. მექსიკელი და გვატემალელი დამნაშავეობრივი ელემენტების სულ უფრო მჭიდრო კავშირი არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს ამერიკულ სპეცსამსახურებში, რომლის წევრებმაც მშვენივრად იციან, რა ჯიშის „ფრანკენშტეინებიც“ გამოიყვანეს პენტაგონის სკოლებში „პარტიზან მარქსისტებთან“ საბრძოლველად.

„მე გაგაჩინე და მევე მოგკლავ!“ — სწორედ ამ მეთოდით ცდილობენ ახლა ზეტას წინააღმდეგ ბრძოლას მისი ყოფილი შემქმნელები. მაგრამ აშშ-ის სპეცსამსახურები ჩამორ-

ჩნენ. აშშ-ის ტერიტორიაზე უკანასკნელ დეტალამდე გათვლილ „საშინაო ნარკობიზნესში“ უკვე შეაღწიეს ზეტას კბილებამდე შეიარაღებულმა პირებმა. **ნარკოომის კერების მექსიკიდან აშშ-ში გადატანის ალბათობა სულ უფრო რეალური ხდება. აშშ-ის საზღვრისპირა რაიონებში უკვე ყველგან მოქმედებენ ზეტას ქვედანაყოფები. მათ პენტაგონის არსენალის სუპერთანამედროვე იარაღით ამარაგებენ ძველი სამხედრო მეგობრები მექსიკური არმიიდან.**

2011 წლის ივნისში გვატემალაში ცენტრალური ამერიკის, მექსიკისა და კოლუმბიის პრეზიდენტები შეხვდებიან და უმთავრესი თემა, ალბათ, ნარკოკარტელების ექსპანსიასთან ბრძოლის გადაუდებელი პრობლემატიკა იქნება. გვატემალის პრეზიდენტმა ალვარო კოლომ უკვე განაცხადა, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უამრავი ადამიანი ნარკოტერორისტების მსხვერპლი გახდება, სალვადორის პრეზიდენტი მაურისიო ფუნესი კი იმითაა შეშფოთებული, რომ ზეტას ემისრები სალვადორელი სამხედროებისა და პოლიციელების გადაბირებით არიან დაკავებულნი.

ნარკოკარტელების წინააღმდეგ საერთო ფრონტის გახსნა თითქოს რეგიონალური ლიდერების ინიციატივაა, მაგრამ ამ ინიციატივას წინ უსწრებდა ამ რეგიონების დედაქალაქებში აშშ-ის საელჩოების მიერ გამართული კონსულტაციები.

მიზანი ნათელია: ნარკოსაფრთხესთან ბრძოლა აშშ-თან შორეულ მისადგომებზე.

რიო-გრანდიდან სამხრეთით ნარკოტრაფიკთან გაძლიერებულ ბრძოლაში აშშ-ის დაინტერესებაც ახსნადია. მექსიკაში ნარკოომს 30 ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა. აქედან გამომდინარე ნათელია, რამხელა ადამიანურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მსხვერპლს მოითხოვს ეს გრძელვადიანი კონფლიქტი. **ვაშინგტონი საკუთარ ტერიტორიაზე ნარკობიზნესთან ბრძოლას არ გააჩაღებს. ეს აშშ-ის მთელი მსოფლიოდან მილიარდიანი ნარკოინვესტიციებით ნასაზრდოები ფინანსური სისტემის დესტაბილიზაციას გამოიწვევს. ამიტომ ნარკობიზნესს ებრძვიან, სადაც მოესურვებათ — მექსიკაში, ბელიზში, გვატემალაში, ჰონდურასში, კოლუმბიაში, პერუში, მაგრამ არა ამერიკის შეერთებულ შტატებში. საკუთარი ნარკომაფია ხელშეუხებელია. ნარკომაფიის არსებული განტოტვილი სტრუქტურა ფინანსურ სფეროში ყველაზე საიმედო მიმართულებაა და აბსოლუტურად გამართულად მუშაობს, რადგან 10 მილიონი ამერიკელი სისტემატურად იყენებს კოკაინს, 30-40 მილიონი კი — ხანდახან.** ამ ხალხს უსიამოვნებები არ უნდა შეექმნათ. აშშ-ში ნარკომომხმარებელთა მიმართ მზარდი შემწყნარებლობის შედეგად ამას ყოველდღიური სტრესის მოსახსნელი და ადვილად გასაგები ადამიანური სისუსტე ეწოდა. ამერიკელთათვის კი არაფერი ადამიანური უცხო არ არის.

ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის სხვა კრიტერიუმები მოქმედებს. არავითარი ლიბერალიზმი. მექსიკაში ცსს-სა და „DEA"-ს მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად დახოცილი მექსიკელი ნარკობარონების ფოტოები სისხლის გუბეების, გახლეჩილი თავის ქალებისა და ასფალტზე გაგლესილი შიგნეულობით ინტერნეტში ქვეყნდება. მხოლოდ ერთ ასეთ ოპერაციას 50-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. ოღონდ მექსიკელები და არა ამერიკელები. ამერიკელები სხვის ტერიტორიაზე სხვისი სისხლით ომობენ.

© „ღიასაკუთრება“

როგორ აგიჟებს და აბრიყვებს ამერიკა თავის შვილებს



ახლა უკვე ვიცით, რომ კომპიუტერი ბავშვებს სწავლაში არ ეხმარება და აბები — კონცენტრირებაში. კომპიუტერებისა და აბების გამყიდველი კომპანიების ბობოლებმა უკვე აღიარეს საკუთარი მარცხი. „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ცნობილმა პროფესორმა, ბავშვების განვითარების სპეციალისტმა განაცხადა, რომ ყურადღებიანობის დეფიციტის საწინააღმდეგო აბები მხოლოდ ზიანის მომტანი იყო სამი მილიონი ამერიკელი ბავშვისათვის, რომელთაც ამ აბებს ასმევდნენ. ყოველ მეათე ამერიკელ მოსწავლეს დასმული აქვს ეგრეთ წოდებული ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის დეფიციტის დიაგნოზი და თითქმის ყველა მათგანს ამის გამო მედიკამენტებით მკურნალობენ.

როგორც „თაიმსი“ იტყობინებოდა, იმ სკოლებში, რომლებიც კომპიუტერული განათლების სისტემაში ჩაერთნენ, ტესტების შედეგები საგანგაშო აღმოჩნდა. როგორც

ჩანს, ბობოლებს არც კი მოფიქრებიათ, რომ სწორედ კომპიუტერები განაპირობებს ყურადღების დეფიციტსა და აშლილობებს. გავრცელებული მოდელის თანახმად, ჩვენი ტვინი არის მანქანა, ამ მანქანის შესახებ ეგრეთ წოდებული მეცნიერება კი გვასწავლის, რომ ტვინის მოქმედება შეიძლება მოვმართოთ მედიკამენტების საშუალებით ან მისი განვითარების სტიმულირება მოვახდინოთ ლოგიკური შესაძლებლობების ციფრული აპროკსიმაციით. **ტვინის შესახებ მეცნიერების პრაქტიკაში გამოყენების დიდებული მაგალითი: შეუსაბამოდ განუვითარებელი და უცოდინარი, არითმეტიკის არმცოდნე, გაღიზიანებული და უბედური ადამიანების მთელი თაობა.**

პროფესორ ალან სროუფის მიერ ADD-აბებით მკურნალობის ზიანის გამოაშკარავება „ნიუ იორკ თაიმსში“ მოიცავს შემდეგ აღიარებას:

„ჯერ კიდევ 1960-იან წლებში მეც, როგორც ფსიქოლოგების უმეტესობა, მივიჩნევდი, რომ ყურადღების კონცენტრირების სირთულეების მქონე ბავშვები ინტელექტის პრობლემებს განიცდიან, რაც გენეტიკური ან სხვა თანდაყოლილი მიზეზებით არის განპირობებული. დაახლოებით ისევე, როგორც პირველი ტიპის დიაბეტიკებს ესაჭიროებათ ინსულინი თანდაყოლილი ბიოქიმიური ხასიათის პრობლემების კორექტირებისათვის, ასევე ითვლებოდა, რომ ამ ბავშვებს ესაჭიროებათ აბები, რომელთა საშუალებითაც მათი ყურადღების კონცენტრირების დეფიციტის კორექტირება განხორციელდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ამ თეორიის დამადასტურებელი მტკიცებულებები არც ისე ბევრია, საერთოდ თუ არის“.

ბატონობდა აკადემიური ფსიქოლოგების აზრი, რომ ტვინი სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთი ჯირკვალი, რომელიც ინსულინის ნაცვლად აზრებს გამოყოფს. ეს აღიარება კი იმის ტოლფასია, ვინმეს რომ ეთქვა, ფსიქოლოგებს ტვინის ადგილას კუჭქვეშა ჯირკვალი აქვთო.

ვიღაცას ნამდვილად სურს, რომ ხელში ფანარი აიღოს და ფრანკეშტეინის სასახლეში — ფსიქოლოგის პროფესიული მოღვაწეობის ცნობილ ადგილას წავიდეს. 2005 წელს „სახეებისა და შრომისუუნარობის“ შესახებ კანო-

ნის მიღებამდე სკოლებს შეეძლოთ ბავშვები აეძულებინათ, ესვათ აბები, კონკრეტულად — ამფეტამინები და, თუ ამგვარი მკურნალობის წინააღმდეგ მშობლები ხმას ამოიღებდნენ, მათ შვილებს კლასში არ შეუშვებდნენ. უცნობია, რამდენ ბავშვს მიადგა ზიანი სკოლის ფსიქოლოგის კაბინეტში მჯდარი „ჯადოქრების მოსწავლეების“ წყალობით, მაგრამ ახალ კვლევებს შეუძლიათ სასამართლო პროცესების წარმოების საფუძველი უზრუნველყონ. აღმოჩნდა, რომ ფსიქოლოგიაში გაბატონებული აზრი ჩამოყალიბდა გიჟებისა და კულტების წარმომადგენლების მიერ. დღის რელიგიური სკოლები, საშინაო სწავლება, მოძრაობა ვალდორფის მსგავსი ალტერნატიული სკოლები ბოდვის ზღვაში ჯანსაღი აზრის კუნძულები აღმოჩნდა.

1960-იანი წლების ფსიქოლოგები იცავდნენ პრინციპს, რომლის თანახმადაც ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში საჭიროა დაუყოვნებელი ჯილდო და ამ დროს ემყარებოდნენ სულელურ დაშვებას, რომ ყველა პირად და სასკოლო პრობლემაში დამნაშავეა ადამიანის მისწრაფების შეკავება, მიიღოს ჯილდო. თუ ბავშვების სწრაფვა ჯილდოს მიღებისაკენ წახალისდებოდა კომპიუტერული მოდელირებით, პროფესორ-ფსიქოლოგების დაკვირვებით, ყურადღების კონცენტრირების დროის ინტერვალი მკვეთრად მცირდებოდა. მათ გაბედეს, ევარაუდათ, რომ ამის საბაბი გენეტიკური ნაკლოვანებებია. ეს ყოველივე ცუდ ფანტასტიკურ ნაწარმოებს ჰგავს, მაგრამ ასეთია ამერიკის ყველა სახელმწიფო სკოლის სტანდარტული სამუშაო მიდგომა.

განათლების ამოცანა სწავლის სწავლებაა. ჩვენ გვავიწყდება უცხო ენის გრამატიკა, ელემენტების სახელწოდებები, პითაგორას თეორემა და ასე შემდეგ, მაგრამ ერთადერთი, რაც არ გვავიწყდება, თუკი ოდესმე ვისწავლეთ, ეს დამახსოვრება, გაანალიზება და ახსნაა. თუ დღეს რომელიმე ჩვენგანმა გეომეტრია იცის, არა იმიტომ, რომ შეინარჩუნა სკოლის ცოდნა, არამედ იმიტომ, რომ განაგრძობს ამ საგნის შესწავლას. მოკლედ რომ ითქვას, **სკოლა კონცენტრირებას გვასწავლიდა.**

ფსიქოლოგია კი პირიქით, თვლის, რომ ტვინი მანქანაა და მისი ამუშავების საუკეთესო მეთოდი სხვა მანქანის — კომპიუტერის ჩართვაა. კომპიუტერები, ალბათ, არ კლავს ტვინს, მას კლავს ადამიანები კომპიუტერების დახმარებით. კომპიუტერებმა იმ ადამიანთა ხელში, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ჯილდო ადამიანის უმაღლესი მისწრაფებაა და რომ, რაც სწრაფად მიიღებს ამ ჯილდოს, მით უკეთესი, გამოაცარიელეს ჩვენი მენტალური პეიზაჟი. ჩვენი შვილები არ კითხულობენ, ისინი არ წერენ, უბრალოდ, კრეფენ შეტყობინებებს. ისინი არ გეგმავენ და არ ამუშავებენ თამაშებში სტრატეგიებს, უბრალოდ, რეაგირებენ ხმოვან და ვიზუალურ სტიმულებზე. და როდესაც ვეღარ ახერხებენ კონცენტრირებას, ჩვენ მათ ადეროლსა და რიტალინს ვასვემთ.

კლასების კომპიუტერიზაციამ ვერ იმუშავა, ამიტომ განათლების მმართველებმა იმავე მკურნალობის მაღალი დოზების რეკომენდაცია გასცეს. სექტემბერში „ნიუ იორკ თაიმსი“ წერდა, რომ კომპიუტერულმა განათლებამ ვერ მოიტანა მნიშვნელოვანი შედეგები და საერთოდაც თუ რამე შედეგი მოიტანა, მხოლოდ ნეგატიური — **სკოლების კომპიუტერიზაციაში სახსრების ჩაყრის შემდეგ მოსწავლეთა ტესტირების შედეგები მნიშვნელოვნად გაუარესდა.**

სასკოლო კლასების კომპიუტერებით უზრუნველყოფის იდეით შეპყრობილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი იყო. 1997 წელს მან სკოლებს კომპიუტერების რაოდენობის გაზრდისაკენ მოუწოდა. 15-წლიანი წარუმატებლობის შემდეგ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ თავის ახალ ნაციონალურ გეგმაში მთელი საგანმანათლებლო სისტემის მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვა ბრძანა, ხოლო სტუდენტების სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში — სკოლაში, სახლში, სამსახურში — პერსონალური კომპიუტერები უნდა ჰქონდეთ.

ამერიკის ელიტა თავის ნაშიერებს ამგვარი კომპიუტერული ზემოქმედებისთვის არ იმეტებს.

© „ღვინისფერი ფანტასტიკა“

ისინიც საკუთარ შვილებს გზავნიან სკოლებში, სადაც კომპიუტერები აკრძალულია მე-9 კლასამდე. Google-ს, Apple-ს, Yahoo-ს და სხვათა წარმომადგენლები საკუთარ შვილებს ასწავლიან იქ, სადაც სასწავლო ნივთები მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტები კი არა, ქაღალდი და საწერკალამია. არავითარი კომპიუტერი.

დანარჩენი ბავშვები კი კომპიუტერიზებულ სკოლებში სხედან და შექსპირის პერსონაჟებს ემოციების გადმოსაცემად თანამედროვე რეპერების მელოდიებს უსადაგებენ. საეჭვოა, ეს ეგულისხმა შექსპირს თავის დროზე, სამაგიეროდ კარგად გამოდის შექსპირის დამდაბლება მოსწავლეების დონეზე და მისთვის ყველა საშუალების მოსპობა, რომ ეს მოსწავლეები აიყვანოს თავის დონემდე.

არსებობს ასწლოვანი სკოლებიც, რომლებმაც აბსოლუტურად უცვლელად შეინარჩუნეს სახე და ის ფაქტი, რომ კომპიუტერული ერის უნივერსიტეტების მასწავლებელთა დიდი ნაწილი თავიანთ შვილებს სწორედ ამ ალტერნატიული კულტურის ატავიზმებში ასწავლის, ცალსახად მიანიშნებს გაბატონებული წესის დეგრადირებაზე.

რაც შეეხება ადერალსა და რიტალინს, ამ პრეპარატების პოვნა ჩინურ აფთიაქებში შეუძლებელია. თურმე ჩინელი ბავშვები, რომლებსაც დაწყებით სკოლაში რამდენიმე ათასი იეროგლიფი აქვთ დასამახსოვრებელი, ყურადღების დეფიციტისაგან არ იტანჯებიან. ჩინელი ბავშვების ორი მესამედი წარმატებით ამთავრებს საშუალო სკოლას, 50 მილიონი ჩინელი ბავშვი კი დასავლეთის კლასიკურ მუსიკასაც სწავლობს. ჩინეთის განათლების სისტემის ძირითადი ნაწილი მექანიკურ დამახსოვრებას

ეფუძნება, ჩინელების უმეტესობას არ აქვს საშუალება, მიიღოს მაღალხარისხიანი განათლება, მიუხედავად ამისა, იმ ჩინელი ბავშვების რაოდენობა, რომლებიც მაღალი დონის უახლეს მიღწევებს ფლობენ, მრავალჯერ აღემატება ამერიკელი ბავშვებისას.

ამერიკა მსოფლიოს უდიდესი, უნიკალური და დალოცვილი ქვეყანაა, ჩინეთს კი კვლავაც მართავს ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც დღემდე მერყეობს სიკეთესა და სისასტიკეს შორის. მაგრამ **ჩვენ, ამერიკელებმა, ჩვენი შვილები გავწირეთ იმ იდეოლოგიისათვის, რომლის თანახმადაც ტვინი მანქანაა.** ამ აბსურდული დოქტრინის შედეგები კი იმდენად დამანგრეველია, რომ ლიბერალურ მმართველ წრეებს არ შეუძლიათ დაიცვან გასული ნახევარი საუკუნის თავიანთი ძირითადი პოლიტიკა. და, რაც ყველაზე უარესია, **ამერიკა სულიერების დეფიციტს თავის მილიონობით შვილს ამფეტამინებით უნაზღაურებს.**

თუ ჩინეთი მსოფლიო ზესახელმწიფოს ადგილს დაიკავებს ამერიკის ნაცვლად, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ მათი შვილები გაცილებით უფრო ჭკვიანები, დაჟინებულები, ამბიციურები და თანმიმდევრულები არიან. ამერიკა კი ვერავის დაადანაშაულებს, საკუთარი თავის გარდა.

P.S. „Associated Press“-ის ინფორმაციით, 2012 წლის 2 თებერვალს თეთრმა სახლმა ამერიკულ სკოლებს მოუწოდა, დააჩქარონ ტრადიციული სახელმძღვანელოებიდან გაცილებით თანამედროვე ელექტრონულ წიგნებსა და პლანშეტურ კომპიუტერებზე გადასვლა. განათლების მინისტრმა ანრი დუნკანმა და კავშირგაბმულობის ფედერალური სააგენტოს თავმჯდომარემ ჯულიუს გენაჩოვსკიმ სკოლებისა და ელექტრონული მოწყობილობების მწარმოებელ კომპანიებს მოუწოდეს, ხუთ წელიწადში მოახერხონ მოსწავლეების ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და მათი წასაკითხი საშუალებებით აღჭურვა.

© „ღიასაზოგადოება“

აშშ და ფერადი რევოლუციების ანატომია

იმისათვის, რომ გავიგოთ, რა ხდება თანამედროვე მსოფლიოში, შეთქმულებათა თეორიების კითხვა სულაც არაა საჭირო, აშშ-ის ოფიციალურ სამხედრო დოქტრინაში — „სრული სპექტრით დომინირება“ — ჩაღრმავებაც საკმარისია. მთელ მსოფლიოსა და მის რესურსებზე კონტროლის მიღწევა ყველა კონტინენტზე, ოკეანესა და კოსმოსურ სივრცეშიც კი აბსოლუტური სამხედრო უპირატესობითაა დაგეგმილი. გამორიცხული არაა ბირთვული იარაღის გამოყენებაც, მაგრამ მთავარი დამხმარე მექანიზმები საერთაშორისო კორპორაციების შეუზღუდავი მუშაობა, ფინანსური მაქინაციები, ქვეყნების სუვერენიტეტის ლიკვიდაცია, მათი გლობალური სტრუქტურებისთვის დამორჩილება, არასამთავრობო ორგანიზაციების გლობალური ქსელების შექმნა და „ფერადი რევოლუციებია“.

ვიდრე 1991 წელს რიგა ბარიკადებზე ზეიმის ეიფორიაში იყო გახვეული, გაეროს ტრიბუნიდან აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უფროსმა ამერიკის უმთავრესი მიზანი

გამოაცხადა და მას **„ახალი მსოფლიო წესრიგი“** დაარქვა.

დღეს შეიძლება მოვახდინოთ კონსტატირება, რომ ცივი ომი არ დასრულებულა, არამედ მისი საფუძვლიანი ესკალაცია მოხდა. **აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი წელიწადში ტრილიონ დოლარს აჭარბებს, ევროპაში, აზიასა და აფრიკაში მისი ახალ-ახალი სამხედრო ბაზები ჩნდება. ევროპაში კვლავაც დგას ბირთვული რაკეტები, მსოფლიოში გრძელდება ომები, ოკუპაციები და გენოციდები, მკვეთრად იზრდება მოშიმშილეთა და დევნილთა რაოდენობა.** ლატვიის ქალაქებში ნატოს ტანკებისა და ჯავშანტექნიკის დემონსტრირება მიმდინარეობს, ცაში კვლავაც პატრულირებენ სამხედრო თვითმფრინავები. ლატვიელი დიპლომატები მეზობელი ქვეყნების საქმეებში ერევიან, ლატვიელი სამხედროები კვლავ იბრძვიან ავღანეთში, მონაწილეობენ ერაყისა და სხვა ქვეყნების ოკუპაციაში. რუსეთისა და ჩინეთის ირგვლივ, ისევე, როგორც შუა აღმოსავლეთში, ახალ-ახალი „ფერადი რევოლუციები“ ჩაღდება. **ახლა მსოფლიოში სულ უფრო მეტ ადამიანს ესმის, რას გულისხმოობდა უფროსი ბუში, როდესაც „ახალ მსოფლიო წესრიგზე“ საუბროობდა. აშშ არც პირველი იმპერიაა და არც უკანასკნელი, რომელიც მსოფლიოზე ბატონობისკენ მიისწრაფის.**

სინამდვილეში ლატვიაში რევოლუცია მეწარმეების წინააღმდეგ იყო მიმართული. პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“, რომლის შემადგენლობაში საოცარი დამთხვევის წყალობით სოროსის ფონდის მიერ დაფინანსებული პერსონებიც აღმოჩნდნენ, ოლიგარქების გამოაშკარავებითა და მათთან ბრძოლით იყო დაკავებული. არჩევნებზე სწორედ „ერთობამ“ გაიმარჯვა, გაერთიანება „უკეთესი ლატვიისთვის“ კი, რომელშიც მრავალი ლატვიელი მეწარმე გაერთიანდა, ოპოზიციაში დარჩა. **დაიწყო მასობრივი ანგარიშსწორება მეწარმეებთან, რასაც ადრეც და ამ დრომდეც „შვედური ბანკები“ ახორციელებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ლატვიელი მეწარმეების საკუთრებასა და ბიზნეს-სფეროებს ახლა უცხოელები აკონტროლებენ.**

ეს სწორედ ის მიზანია, რომლის მიღწევაც სურდათ არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით ამ ორგანიზაციათა უცხოელ მმართველებს. **ამ რევოლუციის მიზანი ლატვიის ნაციონალური კაპიტალის განადგურება და მისი საზღვარგარეთის კონტროლისათვის დაქვემდებარება იყო.**

ეს ჯერ კიდევ ლიბერალური რეფორმების დასაწყისიდანვე იყო ჩაფიქრებული. იმისთვის, რომ გაცილებით აქტიური ადამიანებისა და მეწარმეების მხარდაჭერა მოეპოვებინათ, მათ საწარმოებისა და საკუთრების ნაწილის პრივატიზების საშუალება მისცეს. **მეორე ეტაპი ლატვიის დეინდუსტრალიზაცია და ეროვნული სახალხო მეურნეობისთვის არასასურველი პირობების შექმნა გახდა. ეს მეურნეობები აიძულეს, უზარმაზარ საერთაშორისო კარტელებთან კონკურენციაში ჩაბმულიყვნენ და უცხოური ბანკებიდან კრედიტები აეღოთ. მესამე ეტაპზე ლატვიის საწარმოები სავალე მონობაში აღმოჩნდნენ.**

ახლა უკვე კარგად ჩანს, რომ უცხოურმა კაპიტალმა, ფაქტობრივად, აიძულა ლატვიის ხელისუფლება, ყველა ნაბიჯი შეათანხმოს იმ უცხოურ სტრუქტურებთან, რომლებიც ლატვიის მოქალაქე-

ებს არ აურჩევიათ და რომელთაც ლატვიელი ხალხის წინაშე არანაირი პასუხისმგებლობა არ აქვთ.

„სრული სპექტრით დომინირებაში“ შემუშავებულია მსოფლიოს ყველა რეგიონის გარდაქმნის კონკრეტული გეგმა. ჯერ კიდევ ბუშის ადმინისტრაციამ მოამზადა 2001 წელს ეგრეთ წოდებული პროექტი „გაფართოებული შუა აღმოსავლეთი“, რომელიც მუსლიმანურ ქვეყნებში რეჟიმების შეცვლას ითვალისწინებდა.

შუა აღმოსავლეთის ქვეყნები დიდი რაოდენობით კვების პროდუქტის იმპორტზე არიან დამოკიდებული. საერთაშორისო ბაზარზე სურსათის ფასების ზრდის გამო ამ რეგიონს შიმშილობა ელის. შიმშილობის მეორე ფაქტორი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ თავსმოხვეული რეჟიმია, რომელიც ყველაზე აუცილებელი პროდუქტების სუბსიდირებას კრძალავს. სწორედ ამის გამო გამოვიდა ხალხი ქუჩაში არა მხოლოდ ტუნისსა და ეგვიპტეში, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნებშიც. შეიძლება დიდი ალბათობით ვივიარაუდოთ, რომ არეულობები დასავლეთ ევროპაზეც გავრცელდება, იქ შუა აღმოსავლეთიდან მილიონობით იმიგრანტი ცხოვრობს. **ამ თვალსაზრისით, ეგვიპტის მოვლენები ნამდვილად მიანიშნებს აშშ-ის დომინირების პიროებებში გლობალური ძარცვის სისტემის წინააღმდეგ გლობალური რევოლუციის დასაწყისზე.**

მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არაა. ქაიროს მოედანზე ყველაზე ენერგიული პროტესტანტებიც კი მხოლოდ მუბარაქის გადაგომას მოითხოვდნენ და, აბსტრაქტული ლოზუნგების გარდა, არც ერთი კონკრეტული მოთხოვნა და მიზანი არავის წამოსცდენია. ნაცნობი სცენარია — ამგვარი იდეური ვაკუუმი უდიდეს შესაძლებლობებს ტოვებს რევოლუციის მომდევნო ფაზაზე მანიპულაციებისთვის და ლატვიელებმა ეს საკუთარ ტყავზე უკვე იწვნიეს. **არავის მოსყიდვა არაა საჭირო, საერთაშორისო სავალუტო ფონდს დაქვემდებარებულ სახელმწიფოებში ისედაც ყველაფერი უცხოელებს ეკუთვნით.**

©„ეროვნული გზა ათასწლეულის“

აშშ-ის სპეცსამსახურების სამიზნე №1

უგო ჩავესი

ლათინურ ამერიკაში ჯერ კიდევ ბუშ-უმცროსის დროს შემუშავებული „სადაზვერვო პროექტების“ კომპლექსზე დაძაბული მუშაობაა. ასეთი პროექტი ბევრია: კუბაში „ფერადი რევოლუციის“ ორგანიზება, ვენესუელაში ბოლივარიული მთავრობის ჩამოგდება, ALBA-ს „პოპულისტური რეჟიმების“ ბლოკში განხეთქილების შეტანა, ევო მორალესის რეჟიმის კომპრომეტირება, ბრაზილიის გეოპოლიტიკური პოზიციების შესუსტება, აშშ-ის სამხედრო ბაზების ქსელის გაფართოება და ასე შემდეგ.

გეგმით გათვალისწინებულია იმპერიისთვის მიუღებელი ლიდერების „ნეიტრალიზება“.

ამგვარი მცდელობა ჰქონდა ცსს-ს ეკვადორში პრეზიდენტ რაფაელ კორეასთან დაკავშირებით. იგი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. რიგში დგას ნიკარაგუის პრეზიდენტი დანიელ ორტეგა, რომელიც თავისი ქვეყ-

ნის დროშის ქვეშ ცენტრალური ამერიკის კონსოლიდაციას უშლის ხელს. **მაგრამ აშშ-ის სპეცსამსახურების №1 სამიზნე დასავლეთ ნახევარსფეროში კვლავაც უგო ჩავესია.**

ობამას ადმინისტრაცია ამ გეგმას არ ეწინააღმდეგება, „ბუშიზმის“ ეპოქის დევიზი — „შედეგიანობა“ ნებისმიერ ფასად — ძალაში რჩება. წამებაზე, გატაცებებსა და ლიკვიდაციებზე სახალხოდ უარის თქმა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პროფესიონალები გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ გასაიდუმლოებასა და კონსპირაციას, როდესაც „ბლექვოთერსის“ მსგავსი დაცვის კომპანიების დაქირავებულ პირებსა და განსაკუთრებული შემთხვევებისას „მკვლელობაზე ლიცენზიის მქონე ქილერებს“ იყენებენ.

სპეცსამსახურების ახლანდელი მუშაობის მეთოდში ნებისმიერმა ჩარევამ, შესაძლოა, აშშ-ის „უმაღლეს ინტერესებს“ ავნოს, ამიტომ ლიბერალი ობამა ფრთხილობს.

სპეცსამსახურების შეზღუდვა არ ღირს. უგო ჩავესი დიდი ხნის პრობლემაა, რომელიც უნდა გადაიჭრას, რათა რეგიონში გეოპოლიტიკური ველი გასუფთავდეს.

აშშ-ის ოფიციალურ წრეებში გამყარდა აზრი, რომ ბოლივარიანელი ლიდერის ფიზიკური განადგურება მის მიმდევართა შორის განხეთქილებას გამოიწვევს, „ALBA“ დაიშლება, სამხრეთამერიკელ ერთა კავშირი და სხვა რეგიონალური გაერთიანებები კი დასუსტდება. **ნავთობის შეღავათიანი მიწოდების გარეშე ძალზე გართულდება კუბაში რეფორმების გატარება, ჩავესის მოშორება კი ხელისუფლებისკენ გზას გაუხსნის რომელიმე ოპოზიციონერს, რომელიც ვაშინგტონის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ნებისმიერ დათმობებზე წავა, მათ შორის ნავთობის სფეროშიც.**

ქვეყნიდან განიდევნებიან „არასასურველი სტუმრები“ — ჩინელი, რუსი და ბელარუსი კონკურენტები. სამუდამოდ დაესმება წერტილი ვენესუელის მშვიდობიან ატომურ და კოსმოსურ პროექტებს, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტი-



კურ პროექტზე — „XXI საუკუნის კომუნიზმის“ მშენებლობაზე.

მემარცხენე წრეებსა და ნაციონალურად ორიენტირებულ მოძრაობებში პოპულარული მოქმედი პოლიტიკოსის ლიკვიდაცია სახიფათო საქმეა. თავად ჩავესი ამბობს: **„თუკი მე მომკლავენ, რაც, შესაძლოა, გააკეთონ ვაშინგტონის ბრძანებით, მაშინ ლათინურ ამერიკას ასი წლით ადრე აქვს გარანტირებული ანტიიმპერიალისტური ომი“.**

ჩავესზე წარუმატებელი თავდასხმების ქრონიკა, სულ მცირე, 100 ეპიზოდს ითვლის. მისი მონაწილეობით გამართული მანიფესტაციების ადგილზე არაერთხელ დაუკავებიათ სნაიპერები, არაერთხელ ამოუღიათ ყუმბარმტყორცნები, რომლებიც პრეზიდენტის თვითმფრინავზე თავდასხმისთვის იყო გამიზნული. ჩავესის მკლელობისთვის ბევრი ფულის სანაცვლოდ დაქირავებული კოლუმბიური ნახევრადსამხედრო ორგანიზაციების ბოევიკებიც მრავალჯერ დაუპატიმრებიათ.

შემჩნეულია, რომ ამერიკელი მზვერავები ერთმანეთს შორის ხშირად სვამენ კითხვას, რატომ ვერ გათვალეს 90-იან წლებში ჩავესის სახიფათოობა და რატომ მისცეს გაპრეზიდენტების საშუალება? ქვეტექსტი გასაგებია: „ვიღაცის დაუდევრობა ჩვენ უნდა გამოვასწოროთ“.

ვენესუელის დაზვერვის ნაციონალური სამსახურის ექს-თანამშრომელმა ერთხელ ინტერვიუში განაცხადა, რომ მეოთხე რესპუბლიკის მთავრობა და აშშ-ის საელჩო თავიდან სათანადო ყურადღებით არ მოპყრობიან ყოფილ პოდპოლკოვნიკ-მედესანტე ჩავესს, რომელიც 1992 წლის 4 თებერვლის მოვლენების შემდეგ ორი წლით ციხეში მოხვდა. იქიდან გამოსვლის შემდეგ ჩავესმა აქტიურ პოლიტიკაში მოინდომა წასვლა და სახალხო მხარდაჭერის ბაზის შესაქმნელად თავს არ ზოგავდა. ხანდახან მის მოსასმენად მხოლოდ 5-6 ადამიანი მიდიოდა, მაგრამ

ჩავესი ამ დროსაც ბოლომდე იხარჯებოდა იმისთვის, რომ ხუთი მსმენელისათვის ბოლივარიანული პროგრამის მოქმედების პრინციპი აეხსნა.

1994 წელს ჩავესმა ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა მოინახულა, რათა პოლიტიკურ პარტიებთან და დაჯგუფებებთან კავშირები დაემყარებინა. იმავე წელს ეწვია კუბასაც, სადაც აეროპორტში თავად ფიდელ კასტრო დახვდა. ამ უკანასკნელმა მაშინვე შეიცნო ჩავესში ერთგული მოკავშირე და სულით მონათესავე ლიდერი.

ზემოხსენებულ ინტერვიუში წყარო ამბობს, რომ ჰავანაში ჩავესის ვიზიტმა განაპირობა ცსს-ს დაინტერესება მისი პერსონით. დაიწყო მისი „გაშუქება“ ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით — ფინანსური და ლოჯისტიკური თვალსაზრისით, მაგრამ მაკომპრომეტირებელი მონაცემები ვერ მოიძიეს — იგი დამოუკიდებლად მოქმედებდა. 1998 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას, ცსს ჩავესის კონკურენტის მხარეს იყო, მაგრამ, მასშტაბური ფინანსური „დოტაციების“ მიუხედავად, მან წააგო. ცსს-მ ეს დამარცხება უკიდურესად მტკივნეულად განიცადა. თავად ვენესუელის შეიარაღებულ ძალებში შეთქმულებს აშშ-ის სპეცსამსახურები გულუხვად აფინანსებდნენ.

2002 წლის 11-13 აპრილის გადატრიალება შეთქმულების უმაღლესი წერტილი იყო, მაგრამ ხალხის სტიქიურმა პროტესტმა მტრის გეგმები ჩაშალა — ჩავესი პრეზიდენტის სასახლეში დაბრუნდა და თანაც დიდი ხნით. მის გეგმებში 2012 წლის არჩევნებში კენჭის ყრაა, ეს კი სულაც არ აწყობს იმპერიას და **ბოლო პერიოდში მასმედია იმდენს ლაპარაკობს პრეზიდენტის მკვლელობაზე, რომ ეს ძალიან ჰგავს აშშ-ის სპეცსამსახურების ერთ-ერთ გრძელვადიან პროგრამას „უბიძგო ქმედებისკენ“. ვენესუელელებს თითქოს აჩვევენ იმას, რაც „გარდაუვალია“.** როგორც თავად ჩავესი ირწმუნება, მის მკვლელს 100 მილიონ დოლარს ჰპირდებიან. არც ისე ბევრია ქვეყნისთვის, რომელიც ნავთობისა და გაზის უმდიდრეს საბადოებს ფლობს.

© „ღიასკამბაზი“

ცსს-ს და ერაყის ომი

კოლინ პაუელი, რომელსაც აშშ-ის ერაყში შეჭრის მომენტში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ეკავა, ცსს-სა და პენტაგონისგან ითხოვს, განუმარტონ, რატომ არ გააფრთხილეს იმ ინფორმაციის მთავარი წყაროს არასაიმედოობის შესახებ, რომლის თანახმადაც სადამ ჰუსეინი ბიოლოგიურ იარაღს ფლობდა.

გაზეთმა „GUARDIAN“-მა გააკრიტიკა ინფორმაცია, რომ ამ წყაროს სახელად რაფიდ ახმედ ალვან ალ-ჯანაბიმ, რომელმაც თავისი ამერიკელი და გერმანელი კურატორებისგან ფსევდონიმი „CURVEBALL“ მიიღო, ტყუილი აღიარა. მან განაცხადა, რომ გააყალბა ჩვენებები ერაყში ბიოლოგიური იარაღის შექმნის საიდუმლო პროგრამის თაობაზე. გამოცემის ინფორმაციაზე პასუხად პაუელმა განაცხადა, რომ ყველა საკითხი უნდა გადამისამართდეს ამერიკის იმ უწყებებთან, რომლებიც ომის დაწყების საფუძვლებს ამზადებდნენ. **კერძოდ მან ცსს-სა და თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოზე მიანიშნა. ბუშის ადმინისტრაციამ ჯანაბის ინფორ-**

მაცია 2003 წლის მარტში ერაყში შეჭრის გასამართლებელ მთავარ წყაროდ გამოიყენა. ამ მონაცემების ნამდვილობის შესახებ ეჭვები ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გაჩნდა, მაგრამ ეს ეჭვები მხოლოდ ახლა დადასტურდა.

პაუელის თქმით, ზემოხსენებულმა ორმა უწყებამ უნდა უპასუხოს კითხვას: რატომ არ ატეხეს განგაში ჯანაბისთან დაკავშირებით? მან მოითხოვა, აცნობონ, რატომ არ გააფრთხილეს აგენტის არასაიმედოობის შესახებ. **„რამდენიმე წელი ცნობილი იყო, რომ წყარო ფსევდონიმით „Curveball“ აბსოლუტურად არასაიმედოა,** — განაცხადა პაუელმა, — **ცსს-სა და თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს უნდა ვკითხოთ, რატომ არ გვაცნობეს ამის თაობაზე მანამ, ვიდრე მცდარი ინფორმაცია ჩართული იქნებოდა კონგრესში წარდგენილ მდგომარეობის ნაციონალურ-სადაზვერვო შეფასებაში, კონგრესისადმი პრეზიდენტის მოხსენებაში და გაეროში ჩემს, 5 თებერვლის, გამოსვლაში“.**

2003 წლის 5 თებერვალს, ერაყში შეჭრამდე ერთი თვით ადრე, პაუელი გაეროს უსაფრთხოების საბჭოში ომის დაწყების აუცილებლობის მტკიცებით გამოვიდა. მოხსენებაში მან მოიშველია „პირველი ხელისგან მიღებული ინფორმაცია ბორგლებსა და ლიანდაგებზე ბიოლოგიური იარაღის მწარმოებელი ლაბორატორიების შესახებ“. მან თქვა, რომ წყარო იყო თვითმხილველი, რადგან ის „თავად ედგა სათავეში ერთ-ერთ ამგვარ საწარმოს“. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ამ წყარომ მთელი ისტორია გამოიგონა.

„Curveball“-ი ამბობს, რომ მიესალმება პაუელის მოთხოვნას; რომ გერმანიის დაზვერვამ ჯერ კიდევ 2000 წელს იცოდა ამ ინფორმაციის სიცრუის შესახებ. **„ისინი ესაუბრნენ ჩემს ყოფილ უფროსს, დოქტორ ბასილ ლატიფს, რომელმაც აცნობა, რომ არანაირი ბიოლოგიური იარაღის მწარმოებელი მობილური ქარხნები არ არსებობს. წლინახევრის შემდეგ შემეშვნენ, რადგან იცოდნენ, რომ ტყუილს ვამბობდი, თუმცა თავად ამას არ ვაღიარებდი.**

მაგრამ, მოულოდნელად, ერაყში შეჭრამდე ცოტა ხნით ადრე კვლავ მოვიდნენ ჩემთან და უფრო კონკრეტულად დაიწყეს იმის გამოკითხვა, რაც უკვე მოვუყევი. ახლაც არ ვიცი, რატომ გადასცა გერმანიის დაზვერვამ ეს ინფორმაცია ცსს-ს და როგორ მოხვდა ის პაუელის გამოსვლაში“.

ბოლო დროს პაუელმა განაცხადა, რომ წუხს იმ როლის გამო, რომელიც უნებლიეთ შეასრულა გაეროსთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებით და რომ ეს მისი კარიერის შავი ლაქაა. შემდეგ კი სადაზვერვო ორგანოებზე ზეწოლა დაიწყო. **პირველი სამიზნე ცსს-ს ყოფილი დირექტორი ჯორჯ ტენეტი აღმოჩნდა.** მან არ გადასცა გერმანული დაზვერვის გაფრთხილება, რომ წყარო არასაიმედოა. **თავად ტენეტმა თავის საიტზე დაწერა, რომ,** როგორც საკუთარ მემუარებში აღნიშნავს, **წყაროს არასაიმედოობის შესახებ პირველად ერაყში შეჭრიდან ორი წლის შემდეგ გაიგო. მაშინ კი რაიმეს შესაცვლელად უკვე ძალიან გვიანი იყო.**

ჯანაბის აღიარების შემდეგ ერაყელმა პოლიტიკოსებმა გამოთქვეს აზრი, სამუდამოდ აეკრძალოს მას სამშობლოში ჩასვლა და ზიზღით შეხვდნენ მის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სამშობლოში დაბრუნება და პოლიტიკური პარტიის შექმნა სურს. **ჯანაბის ახალ სამშობლოში, გერმანიაში, პარლამენტარები ითხოვენ, განმარტოს სადაზვერვო სამსახურმა, რატომ უხდიდა მას 2500 ფუნტ სტერლინგს თვეში მინიმუმ ხუთი წლის მანძილზე, თუ იცოდა, რომ წყარო იტყუებოდა. თავად ჯანაბი კი აცხადებს, რომ კმაყოფილია, რადგან ბოლოს და ბოლოს სიმართლე გაირკვა.**

ამერიკისთვის ვალების გასტუმრება შეუძლებელია

უამრავი ადამიანი აღშფოთებულია აშშ-ის ეროვნული ვალის უსწრაფესი ტემპით ზრდის გამო და ამ საკითხის გადაჭრას მოითხოვს. მათ არ სურთ გაიგონ, რომ, აშშ-ის ამჟამინდელი ფინანსური სისტემის პირობებში, საკითხის მოგვარება, უბრალოდ, შეუძლებელია. მათემატიკური თვალსაზრისით, ამერიკის ხელისუფლებას ვალის გადახდის არანაირი საშუალება აღარ დარჩა. საქმე ისაა, რომ ამერიკის ხელისუფლებას უფრო მეტი ფული მართებს, ვიდრე ბუნებაში არსებობს. თუ ხელისუფლება დღესვე დაიწყებს და ამერიკის ყველა ბანკს, ყველა ბიზნესსა და გადასახადების ყველა გადამხდელს უკანასკნელ ცენტამდე გამოწურავს ფულს, ვალებს მაინც ვერ დაფარავს. ასეც რომ მოიქცეს, ეს ამერიკის აღსასრული იქნება, ვინაიდან აღარავის დარჩება სახსრები იმისათვის, რომ რაიმე იყიდოს ან გაყიდოს.

მაინც, ამ შემთხვევაშიც, გაღატაკებული ხალხის ხელისუფლება ისევ ყურებამდე ვალებში ჩაეფლობოდა.

რატომ „არ რთავს“ ხელისუფლება ფულის საბეჭდ მანქანას, არ ბეჭდავს საჭირო რაოდენობის კუპიურებს და არ ისტუმრებს ვალებს?

ერთი უმარტივესი მიზეზის გამო — სისტემა ასე არ მუშაობს.

იმისათვის, რომ სისტემაში მეტი დოლარი გაუშვას, ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტი ვალის აღება სჭირდება.

ამერიკულ ვალუტას ამერიკის ხელისუფლება კი არა, ფედერალური რეზერვი გამოსცემს. ეს არის კერძო ბანკი, რომელსაც მოგების მიღების მიზნით საერთაშორისო ბანკირების ძლევამოსილი ჯგუფი ფლობს და მართავს.

თუ ერთდოლარიან კუპიურას დააკვირდებით, ზედა მხარეს აუცილებლად ამოიკითხავთ წარწერას „ფედერალური რეზერვის ბანკნოტი“.

ის ფედერალურ რეზერვს ეკუთვნის.

© „ღონისძიებები ათასწლეულის“

ამჟამინდელი სისტემის პირობებში აშშ-ის ხელისუფლებას, უბრალოდ, არ შეუძლია ფული დაბეჭდოს. მან ფული ფედერალური რეზერვისაგან უნდა მიიღოს. ამიტომ, როდესაც ხელისუფლებას კვლავ სესხება სჭირდება, და ბოლო დროს მას ეს ძალიან ხშირად სჭირდება, მიდის ფედერალურ რეზერვში და მის კუთვნილ ბანკნოტებს ითხოვს.

ფედერალური რეზერვიც თანხმდება და თავის მწვანე ქაღალდებს ამერიკის სახაზინო ვალდებულებების ვარდისფერ ქაღალდებში უცვლის. შემდეგ კი ვარდისფერი ქაღალდებით ვაჭრობას იწყებს ან თავისთვის იტოვებს.

აი, ასე იღებს ამერიკის ხელისუფლება ბრუნვაში გასაშვებ უფრო მეტ ფულს, მაგრამ სანაცვლოდ უფრო ღრმად ეფლობა ვალებში და უფრო დიდი პროცენტები ეკისრება.

ამგვარი ქმედების ყოველ ჯერზე, ერთის მხრივ, სახელმწიფო ვალი მატულობს; მეორეს მხრივ, კი მასზე პროცენტები იზრდება.

ახლა აშშ-ის სახელმწიფო ვალი დაახლოებით 13 ტრილიონია, ზუსტი ციფრის დასახელება, უბრალოდ, შეუძლებელია — ის ფაქტიურად ყოველდღიურად მატულობს.

ამჟამად რამდენია ფული აშშ-ში?

ამის განსაზღვრის მრავალი მეთოდი არსებობს.

ფულადი მასა M0 არის ბრუნვაში გაშვებული ნაღდი ფული (ბანკნოტები და მონეტები), ანუ ბანკებს გარეთ მოძრავი ფული. ამ მომენტისთვის აშშ მის მოცულობას არ ახმაურებს.

ფულადი მასა M1 მოიცავს გადახდის ყველა საშუალებას M0-დან და მთელ რიგ საბანკო ანგარიშსა და მოგზაურთა ჩეკებზე არსებულ თანხებს. ფედერალური რეზერვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 2009 წლის დეკემბერში 1,7 ტრილიონ დოლარს უტოლდებოდა. მაგრამ, როგორც ახლა დარწმუნდებით, სინამდვილეში ეს ფული მთლიანად არ არსებობს.

ფულადი მასა M2 მთლიანად მოიცავს M1-ის ფულად მასას და ფულის ბაზრის შემნახველ ანგარიშებს, მოკლევა-

დიანი ვალდებულებების საინვესტიციო ფონდების ანგარიშებს. ფედერალური რეზერვის თანახმად, ეს მაჩვენებელი 2009 წლის დეკემბერში 8,5 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. მაგრამ, როგორც ახლა დარწმუნდებით, სინამდვილეში ეს ფულიც მთლიანად არ არსებობს.

ფულადი მასა M3 მთლიანად მოიცავს M2-ის ფულად მასას და მთელ დანარჩენ სადეპოზიტო სერთიფიკატებს, ევროდოლარის სერთიფიკატებსა და შეთანხმებებს უკან გამოსყიდვის პირობით გაყიდვებზე. ფედერალური რეზერვი M3-ს აღარ აკონტროლებს, მაგრამ სხვა წყაროების ცნობით, მისი მოცულობა 14 ტრილიონს უახლოვდება. და ისევ, როგორც ახლა დარწმუნდებით, სინამდვილეში ეს ფულიც მთლიანად არ არსებობს.

რატომ არ არსებობს ეს ფული სინამდვილეში?

იმიტომ, რომ აშშ-ის ფინანსური სისტემა ეფუძნება საბანკო ოპერაციების ნაწილობრივ რეზერვებზე წარმოების პრინციპს.

თუ ამერიკის ბანკში 100 დოლარს დადებთ ანგარიშზე, ბანკი ამ თანხის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს დატოვებს ადგილზე, დანარჩენს კი გაასესხებს. შემდეგ, როცა მსესხებელი ამ ფულს ისევ ბანკში შეიტანს, ბანკი მის კიდევ უფრო მეტ ნაწილს გაასესხებს სხვაზე. ამრიგად, ფულის რაოდენობა მრავალჯერ მატულობს. სინამდვილეში მხოლოდ ერთი 100 დოლარი არსებობს. სისტემა მხოლოდ იმის წყალობით არ ინგრევა, რომ ამერიკელები ერთდროულად არ გარბიან ბანკში და თავიანთ ფულს არ ითხოვენ.

ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი ნაწილობრივი რეზერვების საბანკო ოპერაციებს ასე ხსნის:

„თუ აუცილებელი რეზერვის ნორმა შეადგენს, დავუშვათ, 10%-ს, ბანკს, რომელიც მიიღებს 100-დოლარიან ანაბარს, შეუძლია ამ თანხიდან 90 დოლარი გაასესხოს. თუ კრედიტის მიმღები გამოუწერს ჩეკს ადამიანს, ვინც ბანკში 90 დოლარს დადებს ანგარიშზე, ბანკს ამ თანხიდან 81 დოლარის გასესხება შეეძლება. თუ ჯაჭვს გავაგრძელებთ, 100-დოლარიანი ანაბარი ბანკს შეუძლია მაქსიმუმ 1000 დოლარამდე გაზარდოს.

© „ღამისფრთიანი“

ამ ფულის დიდი ნაწილი, უბრალოდ, ჰაერია.

ფაქტიურად, ბანკების უმეტესობას შემნახველი დეპოზიტებისთვის, დეპოზიტური სერთიფიკატებისა და სადეპოზიტო ანგარიშების გარკვეული სახეობებისთის აუცილებელი რეზერვის რაიმე ნორმები არ გააჩნია. თავდაპირველად აუცილებელი რეზერვის ნორმები მოქმედებდა მხოლოდ ეგრეთ წოდებული ოპერაციული დეპოზიტებისათვის, რაც სინამდვილეში იგივეა, რაც მიმდინარე ანგარიშები.

სიმართლე ისაა, რომ დღეს ბანკებს მათ მიერ დეპონირებადი თანხების ბევრად უფრო მეტად გაზრდა შეუძლიათ, ვიდრე ოდესმე. მაგრამ მთელი ეს გაბერილი თანხები მხოლოდ ქაღალდზეა, სინამდვილეში ისინი არ არსებობს.

ყველაზე უხეში გათვლებითაც კი ფულადი მასები (M2 და M3) ბევრად აჭარბებს რეალურ ფულს, რომელიც სისტემაშია.

ამიტომ, ამერიკის ხელისუფლებამ უკლებლივ ყველა ბანკისგან, ბიზნესისა და მოქალაქისგან უკანასკნელ ცენტამდე რომ ამოხაპოს ფული, 14 ტრილიონი დოლარი კი არა (M3), 8,5 ტრილიონი დოლარიც (M2) ვერ მოგროვდება, რადგან ეს თანხები დათვლილია ნაწილობრივი რეზერვების საბანკო ოპერაციებზე დაყრდნობით.

ამრიგად, სინამდვილეში აშშ-ში ახლა მდგომარეობა შემდეგნაირია:

ყველა ბანკის, ყველა ბიზნესისა და ყველა მოქალაქის მთელი ფული რომ შეგროვდეს და ფედერალურ ხელისუფლებას გაეგზავნოს, ეს ფული არ იქნება საკმარისი ნაციონალური ვალის გასასტუმრებლად. უფრო მეტი ფულის შექმნის ერთადერთი საშუალება კიდევ უფრო მეტ ვალში ჩაფლობაა, რაც მხოლოდ დაამძიმებს მდგომარეობას.

აი, ამისთვის იქმნებოდა ფედერალური სარეზერვო სისტემა — რომ ნელ-ნელა გამოეზიდა ამერიკელი ხალხის უზარმაზარი ეროვნული სიმდიდრე და საერთაშორისო ბანკირების ელიტისათვის გადაებარებინა.

ეს არის თამაში, რომლის წესები ისეა აწყობილი, რომ

ამერიკის ხელისუფლებას ამ თამაშის მოგების მინიმალური შანსიც კი არ აქვს. როგორც კი ის ქმნის მეტ ფულს სესხების გზით (სხვა გზა არ აქვს), მაშინვე ეზრდება ვალები პროცენტების გამო.

თუ ვალი უფრო მეტია, ვიდრე მთელი ფული, რაც კი გამოუცია მთავრობას, ის ამ ვალს ვერასდროს გადაიხდის.

ეს ნიშნავს, რომ ამერიკის ხელისუფლება უსასრულოდ ვალებში იქნება ჩაფლული, ვიდრე ეს სისტემა იარსებებს.

ამგვარი სისტემაც სწორედ იმისთვის შეიქმნა თავის დროზე, რომ მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის ხელისუფლება ჩაფლულიყო რაც შეიძლება დიდ ვალში, რომლიდან ამოსვლაც მათემატიკური გათვლების საფუძველზე ცალსახად შეუძლებელია.

პრობლემას ეშველებოდა, ამერიკის ხელისუფლება კონსტიტუციის შესაბამისად რომ მოქმედებდეს და ამერიკული ვალუტის გამოშვება ამერიკის კონგრესის პრეროგატივა იყოს, როგორც ეს შტატების კონსტიტუციაში წერია და არა — ფედერალური რეზერვისა.

სამწუხაროდ, ვაშინგტონის ამჟამინდელი პოლიტიკა ამისკენ არ მიდის. ახლა ამერიკის ხელისუფლებას ერთადერთი რამ შეუძლია: განაცხადოს, რომ მათემატიკური გათვლების საფუძველზე მის მიერ ნასესხები ფულის გადახდა გამორიცხულია და ამ საქმეზე საერთოდ აიღოს ხელი — უარი თქვას ვალების გასტუმრებაზე.

© „ღვასრულმსწრე ცხვნ ათასფაფხე“

პენტაგონის «ფსიქოლოგიური ოპერაცია» ამერიკელ მაღალჩინოსნებზე

„Rolling Stone“-ის რეპორტიორი მაიკლ ჰასტინგი იტყობინებოდა, რომ ავღანეთის ჯარის მომზადებაზე პასუხისმგებელმა გენერალ-ლეიტენანტმა უილიამ კოლდუელმა ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების „ფსიქოლოგიურ ოპერაციებზე“ (პროპაგანდისტური და ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით ადამიანთა ემოციებსა და ქმედებებზე ზემოქმედება) სპეციალიზებულ ჯგუფს უბრძანა, ზეგავლენა მოეხდინათ ამერიკელ სამოქალაქო ხელმძღვანელ პირებზე, რათა მათ მხარი დაეჭირათ ავღანეთის ესოდენ არაპოპულარული ომისთვის.

„ფედერალური კანონი, — წერს ჰასტინგსი, — სამხედროებს ამერიკელებზე ფსიქოლოგიური ოპერაციების განხორციელებას უკრძალავს. ამა თუ იმ სამხედრო ზომე-

ბის სანქცირების თაობაზე ყველა კანონპროექტს ახლავს „პროპაგანდისტული შენიშვნა“, რომელიც ამგვარ მანიპულაციებს კრძალავს“. ამის შემდეგ ჰასტინგსი აღნიშნავს, რომ **„ინფორმაციული პოლიტიკის სპეციალისტთა თქმით, სპეცპროპაგანტისტების ჯგუფისთვის ბრძანების მიცემა, გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ქვეყანაში ჩამოსული ოფიციალური პირების წინააღმდეგ, იგივეა, რაც ამერიკის პრეზიდენტის მხრიდან ცსს-სთვის ოპონენტ კონგრესმენებზე დოსიეების მომზადების დავალება იქნებოდა“.**

ჰასტინგსი ესაუბრა პოდპოლკოვნიკ მაიკლ ჰოლმსს, რომელიც „ინფორმაციული ოპერაციების“ ჩატარების ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს.

„როგორც ჩანს, კოლდუელი ამერიკელებსა და დაფინანსებაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე ავღანელებზე“, — განუცხადა ჰოლმსმა ჰასტინგსს. ჰოლმსი მიიჩნევს, რომ ამერიკის მოქალაქეებზე ზემოხსენებული გზებით ზემოქმედება 1948 წელს მიღებული სმიტ-მუნდტის კანონის დარღვევაა. ეს კანონი კონგრესმა იმისთვის მიიღო, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს საბჭოთა პროპაგანდის მსგავსი მეთოდები აშშ-ის მოქალაქეთა წინააღმდეგ ვერ გამოეყენებინა. **ჰოლმსმა აღნიშნა, რომ 2010 წლის მარტში პოლკოვნიკმა გრეგორი ბრიზაილმა, რომელსაც ნატოს მისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიციალური წარმომადგენლის თანამდებობა ეკავა და ავღანელი სამხედრო მოსამსახურეების სწავლების საქმით კოლდუელის უშუალო ხელმძღვანელობით იყო დაკავებული, წერილობითი ბრძანება გასცა. ამ ბრძანებაში მან ჰოლმსის ჯგუფს პირდაპირ დაუსახა ამოცანა, გაეჩაღებინათ საინფორმაციო კამპანია და ამ ამოცანის გადაჭრას „სხვა ვალდებულებებთან შედარებით პრიორიტეტული მნიშვნელობა“ ენიჭებოდა.**

მართალია, ამერიკელი სამხედროები და ავღანეთის მცხოვრებნი ავღანეთში სხვათა ხოცვასაც განაგრძობენ და თავადაც იხოცებიან, პენტაგონი კი ყველანაირად ცდილობს, წარმატების ილუზია შექმნას და ამისთვის სისტე-

მატურად ამახინჯებს ადგილებზე შექმნილ რეალურ სიტუაციას, რათა სანაცვლოდ დამატებითი დრო, დამატებითი ძალები და სახსრები, დამატებითი დაფინანსება მიიღოს.

ცუდი ისაა, რომ ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბრმად და ყოველგვარი კრიტიკის გარეშე სიტყვასიტყვით ავრცელებენ ოფიციალური პირების განცხადებებს ადგილებზე მიღწეულ „წარმატებათა“ შესახებ. **ახლა პენტაგონი თავის უზარმაზარ პროპაგანდისტურ ბიუჯეტს აამოქმედებს, რათა საბოლოოდ წაშალოს კვალი მოსახლეობის ინფორმირებასა და მასზე ინფორმაციულ მანიპულირებას შორის.**

რამდენიმე ხნის წინათ სააგენტო „Associated Press“-მა გაარკვია, რომ პენტაგონმა მხოლოდ 2009 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის 4,7 მილიარდი დოლარი დახარჯა და რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მსახურობს 27 ათასი ადამიანი, რომელთა მოვალეობა კადრების შერჩევა, სარეკლამო და პიარ აქტივობების განხორციელებაა. ეს დაახლოებით იგივე რაოდენობაა, რა რაოდენობის თანამშრომლებსაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ითვლის (30 000 ადამიანი).

საქმის არსი ისაა, რომ პენტაგონი ცდილობს, სახელმწიფო პოლიტიკაზე მოახდინოს ზემოქმედება და დაკავებულია სამოქალაქო ხელმძღვანელობას შორის ლობირებით, რათა ამ უკანასკნელმა სწორედ პენტაგონის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა განახორციელოს. აღნიშნული სამუშაო მთლიანად ამერიკელი გადასახადების გადამხდელების სახსრებით ფინანსდება.

საბედნიეროდ, ამერიკელებმა, როგორც ჩანს, უკვე გაიგეს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სამხრეებიანი ხალხის ქება-დიდების მიუხედავად, პენტაგონი ზუსტად ისევე მოქმედებს, როგორც ფედერალური მმართველობის შემადგენლობაში შემავალი ნებისმიერი სხვა ბიუროკრატიული უწყება. გელაპის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, ამერიკელთა 72%-ს სურს, რომ კონგრესმა ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა დააჩქაროს.

ამერიკის დაუოკებელი ლტოლვა ჩარევისკენ

საგარეოპოლიტიკური ელიტა სულ უფრო მეტ ზეწოლას ახორციელებს პრეზიდენტ ობამაზე და მოუწოდებს, «რაიმე ილონოს»

როდესაც ვამბობდით, რომ „არ გაგვიკვირდება“, თუ მოსახლეობის უკმაყოფილებისა და მრისხანების ზეწოლით, ეგვიპტიდან და ტუნისიდან წამოსული რევოლუციური ვირუსის ზემოქმედებით მორიგი არაბული რეჟიმი დაიმსხვრევა, იმ მასშტაბურ ძალადობასა და სისხლისღვრას არ ვგულისხმობდით, რომელსაც, უკვე მერამდენე დღეა, ლიბიაში აქვს ადგილი. ის, რაც ეგვიპტისა და ტუნისის ძირითადად მშვიდობიანი პროტესტების კარგად ნაცნობი გამეორებით დაიწყო, იქ მცირე მასშტაბის სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ლიბიის მდგო-

მარეობას სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, რადგან რეჟიმი განურჩევლად და არათანმიმდევრულად იყენებს რაკეტებს, თვითმფრინავებს, ვერტმფრენებს, ტყვიამფრქვევებსა და სხვა საშუალებებს ფიზიკური განადგურების არსენალიდან. გამოვაცხადოთ, რომ ლიბიაში მდგომარეობა კონტროლს აღარ ექვემდებარება, ეს იგივეა, რაც იმის აღნიშვნა, რომ ციმბირში ზამთარში „გრილა“. რეალობის შერბილება აქ იმდენად დიდია, რომ დეზინფორმაციამდე თითქმის აღარაფერი რჩება.

თუ პრესის მიერ გავრცელებულ ცნობებს დავუჯერებთ (მათგან ბევრი დასაწყისში საეჭვოდ გამოიყურებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კადაფის ხელისუფლებამ რღვევა დაიწყო და ინფორმაციის თავისუფლად ცირკულირება გახდა შესაძლებელი, ამ დაუჯერებელი ცნობების მტკიცებულებებიც გამოჩნდა), ლიბიამ სულ რამდენიმე დღეში იმდენად შემაძრწუნებელი ძალადობა გადაიტანა, რაც ერაყს 2006 წლის ყველაზე საშინელი და მომაკვდინებელი ომის რამდენიმე თვის მანძილზეც არ უნახავს.

ახლანდელ პირობებში დაღუპულთა რაოდენობის დათვლა შეუძლებელია, მაგრამ ის საერთაშორისო მიმომხილველები, რომელთა მიმართ უნდობლობის საბაბი არ არსებობს, ათასებზე ლაპარაკობენ. იმის გათვალისწინებით, თუ რა ფანატიზმით ებღაუჭება კადაფი ძალაუფლებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დარუპულთა რაოდენობა ყოველ წუთს იზრდება. თუ მისი უშიშროების ძალები მართლაც შეასხამენ ხორცს კადაფის ფაშისტურ გეგმას და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე დივერსიებს ძირითადი ნავთობსადენების, გაზსადენებისა და წყალმომარაგების სისტემების აფეთქებებით განახორციელებენ, მაშინ მსხვერპლის რაოდენობა ყველანაირ ზღვარს გადასცდება.

კადაფის, უკვე დიდი ხანია, მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც ექსცენტრიულ შოუმენსა და მოლაყბე ორატორს, რომელსაც აბსოლუტურად არათანმიმდევრული და უზომოდ გრძელი გამოსვლები ახასიათებს. ამ მხრივ მას მხოლოდ ფიდელ კასტროს თუ შევადარებთ. მაგრამ

მისი ეშმაკური პოლიტიკური მანევრები და „გათიშე და იბატონე“-ს პრინციპზე დამყარებული მმართველობის სტილი იმაზე მიანიშნებს, რომ მას მოვლენათა მაჯისცემაზე უდევს ხელი და რეალობას არ წყდება. **როგორც ჩანს, მისი მმართველობის წინააღმდეგ ამბოხების დასაწყისში დიქტატორს ყნოსვამ უმტყუნა. ძნელი წარმოსადგენია, რომ მინიმალურად მოაზროვნე ადამიანი შეიძლება ამდენად იყოს მოწყვეტილი რეალობისგან თავის სახალხო გამოსვლებში, ამდენად არ ჰქონდეს შეხება სინამდვილესთან და სადღაც სხვა სამყაროში ცხოვრობდეს, როგორც ბოლო დროს — კადაფი.**

ასევე ძნელი წარმოსადგენია ქვეყანა, რომელზეც ამერიკას ზეგავლენის უფრო ნაკლები საშუალებები ექნებოდა, ვიდრე ლიბიაზე აქვს. საუბარიც არაა კეთილმოსურნეობის უზარმაზარ მარაგზე აშშ-სა და ლიბიას შორის. რესპუბლიკელი სენატორი მარკო რუბიო გამოვიდა და განაცხადა ის, რაც ძალიან სწრაფად იქცევა ორივე პარტიის წარმომადგენლებისგან შემდგარი ვაშინგტონური ელიტის საერთო თვალსაზრისად.

„ამერიკელებმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა განიკითხონ კადაფის რეჟიმი და მშვიდობიანი მოსახლეობის უაზრო განადგურება. ჩვენ ვალდებული ვართ, ცალსახად დავუჭიროთ მხარი ლიბიელი ხალხის კანონიერ მოთხოვნას თავისუფალი და მშვიდობიანი ქვეყნის შენების შესახებ... აშშ-მა გარკვევით უნდა განუცხადოს ლიბიელ ხელმძღვანელობას,
რომ არ მოითმენს ამერიკელებისთვის მიყენებულ ზიანს და რომ ამგვარ ქმედებებს ყველაზე მძიმე შედეგები მოჰყვება მათთვის, ვინც ახორციელებს მსგავს ზომებს ან მათი განხორციელების ბრძანებებს გასცემს“.

ვინაიდან ლიბიაში ამ დრომდეც მკვეთრად გამოხატული სათემო საზოგადოებაა, სავსებით გაუგებარია, რომელ ერთ „ლიბიელ ხალხზე“ შეიძლება იყოს საუბარი თუნდაც საუკეთესო პირობებში. და რამდენადაც ლიბიელთა არც თუ მცირე ნაწილი კადაფის ბრძანებებს ასრულებს და ისვრის, ბომბავს, აწამებს და კლავს სხვა ლიბიე-

ლებს, რუბიოს საუბარი ერთიან ნაციაზე გადამეტებულ გამარტივებას ჰგავს. **„კანონიერი მოთხოვნების ცალსახა მხარდაჭერა“ აბსოლუტურად უშინაარსო, უშვერი და ცარიელი ფრაზაა, რომელიც ისევეა ყველანაირ აზრს მოკლებული, როგორც ტერმინი „პროლეტარული რევოლუცია“ იყო 1980-იანი წლების ბოლოს.**

რა იქნება, თუ „ლიბიელი ხალხი“ გონიერების ფარგლებში და მოცემული რეგიონისთვის ისტორიულ გამოცდილებასთან სრული შესაბამისობის დაცვით ნავთობის მიმართულების ნაციონალიზაციის მოთხოვნას დაიწყებს, რათა ქვეყნის უდიდესი მინერალური სიმდიდრეებიდან მეტი წილი მიიღოს? ცხადია, ამ შემთხვევაში რუბიო ამ მოთხოვნებს „უკანონოს“ დაარქმევს, იმიტომ, რომ ამგვარი მოთხოვნები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება აშშ-ის გეოსტრატეგიულ მიზნებს რეგიონში. ეს მიზნები კი პრეზიდენტ კარტერის დროიდან მოყოლებული, უპირველეს ყოვლისა, ნავთობის შეუფერხებელ მიწოდებას გულისხმობს.

რუბიო, როგორც ამერიკელი კონსერვატორი, დაჩვეულია გაეროს დაცინვას, ამ ორგანიზაციის ავბედითი ჩვევის გამო მიიღოს უაზრო რეზოლუციები, რომელთა პრაქტიკაში განხორციელებაც არ შეუძლია და იმ მკაცრი

ფორმულირებებით სავსე წერილებისთვის, რომელთაც გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთ წუთში ივიწყებენ. მაგრამ **საუბარია სენატორზე, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ მოცემულ მომენტში აშშ-ს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია იმისთვის, რომ ლიბიას რაიმე მოთხოვნების შესრულება აიძულოს.**

რეგიონში ლიბიიდან რაკეტის წვდომის სიშორეზე არ არის ამერიკული ავიამზიდები და, სულ მცირე, კიდევ ერთი კვირის განმავლობაში არ იქნება. **რუბიო აბსოლუტურად უსუსურად იცემს მჯიღს მკერდზე და მშვენივრად იცის, რომ აშშ ამას „მოითმენს“.**

სამწუხაროდ, ლიბიაში ამერიკის რამდენიმე ასეული მოქალაქეა ჩარჩენილი და, თუ რუბიოს სულელურ რჩევებს გავითვალისწინებთ და კადაფის რაიმე ულტიმატუმს წავუყენებთ, თავისუფლად შეუძლია, ამ ამერიკელებზე იძიოს შური. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საბოლოო შედეგი სასიამოვნო ნამდვილად არ იქნება. თუ ეს ადამიანი ავიაციას საკუთარი ქვეყნის დედაქალაქის დაბომბვის ბრძანებას აძლევს, თუ იგი ტელევიზიის ეთერით აცხადებს, რომ ლიბიელთა ყავის ფინჯნებში უსამა

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულზე“

ბენ ლადენი ნარკოტიკებს ურევს, მისგან ყველაფერი მოსალოდნელია.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა მრავალჯერ იწვნია ძლიერი და მტკივნეული დარტყმა მუსლიმანურ სამყაროში თავისი იმპერიული ავანტიურებისთვის, ამერიკული ელიტის პირველი რეაქცია კვლავაც უცვლელია.

ის უაზროდ გაჰკივის: „გაიგზავნონ იქ საზღვაო ქვეითები!“. ლიბიელებს გულწრფელად ვუსურვებთ ყოველგვარ წარმატებას იმ ადამიანის ჩამოგდებაში, რომელმაც მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ განდიდების მანიით შეპყრობილი სისხლისმსმელი დესპოტია, მაგრამ ისევე, როგორც ლიბიის გადასაწყვეტი არაა, რა კურსით უნდა იაროს ამერიკამ, არც ამერიკის გადასაწყვეტია, რა კურსით იაროს ლიბიამ. ის, რაც ლიბიაში ხდება, საშინაო საქმეა და არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ ეხება.

აშშ-ის მთავრობას სრული უფლება აქვს, აკრიტიკოს კადაფი. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს ამ ნაწილში მას არანაირი პოლიტიკური კაპიტალი არ გააჩნია, უფრო გონივრული იქნებოდა, გაჩუმებულიყო. თუმცა ლიბიის გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში მიღება არც თავიდან შეიძლებოდა და, ტრიპოლში ბომბების ცვენა რომ დაიწყო, მაშინ მაინც უნდა გაუქმებულიყო. ამ მდგომარეობაში მხოლოდ წმინდად სიმბოლური ქმედებებია მისაღები. ნებისმიერი სხვა ნაბიჯი ამერიკას ხანგრძლივ და უსაზიზღრეს სამოქალაქო ომში ჩათრევას უქადის.

მოკვდი დღესვე, ანუ რევოლუცია – ამერიკის მთავარი საექსპორტო საქონელი

თუ რუსეთის შემთხვევაში მოარულ კლიშედ იქცა ექსპორტზე დამოკიდებული ეკონომიკა, რომელზეც დამყარებულია დროებითი კეთილდღეობა, დღეს შეიძლება დამტკიცდეს, რომ ამერიკა არანაკლებადაა დამოკიდებული ექსპორტზე. ოღონდ ამ ქვეყნის კეთილდღეობა იმ რევოლუციების ექსპორტზეა დამოკიდებული, რომელიც XXI საუკუნეში საგარეო ბაზრებისთვის მთავარ საექსპორტო საქონლად იქცა.

რუსული რევოლუციის ისტორიული არსი და პრინციპული მოწყობა რუსეთის სახალხო ბუნტისაგან ორი ფაქტორით განსხვავდებოდა. ეს იყო შეთქმულება რუსეთის უმაღლესი წრეების შიგნით, რომლის მიზანი იყო, ხელისუფლებისაგან ჩამოეშორებინა ერთი ელიტური ჯგუფი და ჩაენაცვლებინა ის მეორით ან რამდენიმე სხვა ჯგუფით. მეორე განსხვავება კი რევოლუციურ სიტუაციაზე სხვა სახელმწიფოების მხრიდან უშუალო გავლენა და ზე-

© „ედუარდ შევარდნაძე“

მოქმედება იყო. და თუ 1917 წლის რევოლუციაში რუსეთში გერმანიის მონაწილეობა თვალნათელია და ბრიტანეთი კი სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის მთავარი კულისებსმიღმა დირიჟორი იყო, გასული საუკუნის მეორე ნახევარში და ჩვენს საუკუნეშიც მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა — ახლა რევოლუციების მთავარი ექსპორტიორის ტიტულს მტკიცედ ფლობს ამერიკის შეერთებული შტატები.

პარიზის ლათინურ კვარტალში

რატომღაც მიღებულია, რომ თანამედროვე რევოლუციების ანალიზი სერბეთისა და საქართველოს რევოლუციებით უნდა იწყებოდეს, რასაც, როგორც წესი, უკრაინა მოჰყვება ხოლმე. სინამდვილეში ეს არაა საკმარისი, რამდენადაც ეგრეთ წოდებული ფერადი რევოლუციების პროტოტიპად 1968 წელს საფრანგეთში პრეზიდენტის, გენერალ დე გოლის ჩამოგდების მიზნით მომხდარი სტუდენური რევოლუცია უნდა ჩაითვალოს.

შარლ დე გოლი მიზანმიმართულად აშენებდა ძლიერ, სუვენერულ და მართლაც დამოუკიდებელ საფრანგეთს, მაგრამ 1965-დან 1968-წლამდე განხორციელებულმა მისმა პოლიტიკამ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა აშშ-ის ინტერესებს.

სამი წლის განმავლობაში საფრანგეთმა აშშ-დან 1,5 მილიარდი დოლარის ოქროს ექვივალენტი გაიტანა და ამით ამგვარი გაცვლის საოცარი პრეცენდენტი შექმნა. საფრანგეთის კვალდაკვალ მწვანე ქაღალდებით ამერიკას მიაკითხეს გერმანიამ, იაპონიამ და დიდმა ბრიტანეთმაც კი. ეს ამერიკული ინტერესებისათვის მიყენებული სერიოზული დარტყმა იყო, ამ დარტყმის ავტორი კი დე გოლი გახლდათ. 1968 წელს აშშ-მა დააწესა პირველი შეზღუდვა კუპიურების ოქროზე თავისუფლად გადაცვლის მიმართულებით.

გარდა ამისა, **1966 წელს საფრანგეთი გამოვიდა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის — ნატოს შემადგენლობიდან და ალიანსი იძულებული გახდა,**

პარიზში მდებარე შტაბბინა საჩქაროდ გადაეტანა ბრიუსელში. უფრო მეტიც, გენერალმა მკაცრად გააკრიტიკა ისრაელის მოქმედებები ექვსდღიან ომში, შემდეგ კი გაკიცხა აშშ-ის ომი ვიეტნამთან. მან განსაკუთრებული ურთიერთობების აწყობა დაიწყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირთან.

1968 წლის 2 მაისს პარიზის ლათინურ კვარტალში, სადაც სორბონის მრავალი ფაკულტეტია, ზოგიერთი საყოფაცხოვრებო პრობლემითა და სწავლების მოძველებული მეთოდებით პროვოცირებული სტუდენტური ბუნტი დაიწყო. ათიოდე დღის შემდეგ პარიზში სტუდენტების, პროფკავშირების, ზოგიერთი პარტიისა და ორგანიზაციის გრანდიოზული მანიფესტაცია დაიწყო, ოღონდ ლოზუნგები უკვე სულ სხვა იყო: „დე გოლი — არქივში!“, „მშვიდობით, დე გოლ!“ „შარლ, წასვლის დროა!“. ქვეყანა სრულად პარალიზებული იყო, სტუდენტები აღარავის ახსოვდა და რევოლუციური ჯგუფები ერთადერთს — დე გოლის მოშორებას ითხოვდნენ.

მაგრამ გენერალმა სიტუაციასთან გამკლავება მოახერხა. 30 მაისს მან ვადამდელი არჩევნები გამოაცხადა და მისმა პარტიამ ხმათა თითქმის 74%-ით გამარჯვება მოიპოვა. ეს არნახული წარმატება იყო. პარლამენტის პალატაში პირველად მოიპოვა ერთმა პარტიამ აბსოლუტური უმრავლესობა.

მიუხედავად ამისა, **დე გოლისადმი ნდობა შერყეული იყო, პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა მისი საწინააღმდეგო კამპანიის შედეგები. საფრანგეთში 1969 წლისათვის დე გოლის მომხრეობა არა მხოლოდ არამოდური, არამედ სამარცხვინოც კი იყო. ერთი წლის შემდეგ პრეზიდენტი, რომელსაც თავისი კურსის გაგრძელების საშუალება აღარ გააჩნდა, თანამდებობიდან გადადგა, წელიწად-ნახევრის შემდეგ კი აორტის გასკდომის შედეგად გარდაიცვალა.**

დე გოლის შემდეგ ეგრეთ წოდებული თავისუფალი დასავლური სამყაროს არც ერთ ლიდერს აღარ უცდია, აშშ-ისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა განეხორციელებინა.

ევროპის ყველა ქვეყანამ კარგად აითვისა დე გოლისათვის ჩატარებული გაკვეთილი, პარიზის ლათინურ კვარტალში მომხდარი რევოლუცია კი თანამედროვე ფერადი რევოლუციების სახედ იქცა.

რეიგანომიკის საოცრება – ასე მსოფლიო ჯერ არაფის მოუტყუებია

საბჭოთა კავშირში 1990-1991 წლების „რევოლუციაც“ პირდაპირ კავშირშია დე გოლის ეკონომიკურ და ანტიამერიკულ პოლიტიკასთან.

დე გოლმა დოლარების ოქროზე გადაცვლით ძლიერ შეუწყო ხელი ბრეტონ-ვუდის ფინანსური სისტემის ნგრევას და ამერიკის ეკონომიკის გაჭედვას. 60-იანი წლების დასასრულიდან 80-იანის დასაწყისამდე აშშ დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე ღრმა კრიზისში ჩაეფლო. ხსნა პრეზიდენტ რონალდ რეიგანის სახით მოვიდა. მიღებულია, ჩავთვალოთ, რომ რეიგანომიკამ მსოფლიოს ახალი ეკონომიკური სასწაული მოუვლინა — ყველაფერი გადასახადების შემცირებასა და სხვა ლიბერალურ მანიპულაციებს ეყრდნობოდა. სინამდვილეში ამ ყველაფერში თუ რამ მართლაც არის სასწაულებრივი, ეს ტყუილია. რეიგანის მმართველობისას სინამდვილეში გადასახადები გაიზარდა. „სასწაული“ კი ეყრდნობოდა ორ რამეს, რომელთაგან არც ერთს არაფერი ჰქონდა საერთო ლიბერალიზმთან. პირველი დოლარისათვის ოქროს ექვივალენტზე უარის თქმა იყო. მეორე იყო სახელმწიფოებრივი ხარჯებისათვის იმდენის სესხება, რამდენიც ვალის დაბრუნებას საერთოდ აღარ გულისხმობს.

ამრიგად, გარკვეული დროით (როგორც გაირკვა, ათი წლით), შეუზღუდავ ფინანსურ რესურსზე დაყრდნობით, აშშ-მა გამოაცხადა თავისი პოლიტიკის მიზანი და არსი — საბჭოთა კავშირის განადგურება. ეკონომიკური პარადიგმის ფარგლებში საბჭოთა კავშირი განწირული იყო, რამდენადაც მას არ შეეძლო, რაიმე დაეპირისპირებინა აშშ-ის ხელთარსებული „განუსაზღვრელი კრედიტისათვის“. სინამდვილეში მხოლოდ ამ „განუსაზღვრელ კრე-

დიტს“ ეფუძნებოდა კაპიტალისტური სისტემის უპირატესობა სოციალისტურთან შედარებით და ეს ფსევდოუპირატესობა გახდა საბჭოთა კავშირში 1990-1991 წლების რევოლუციის ძირითადი მოტივიც.

არავინ თქვას, რომ საბჭოთა კავშირი თავისით დაიშალა. საბჭოთა კავშირი გარდაიცვალა აშშ-ისა და მისი სატელიტების მიზანმიმართული ქმედებების შედეგად. ეს ამერიკის მიზანი იყო, რასაც პირდაპირ და არაორაზროვნად აცხადებდა კიდეც. ამერიკამ მიაღწია მიზანს ჯერ გორბაჩოვის გამყიდველობაზე, შემდეგ კი ელცინის ხელისუფლებისაკენ სწრაფვაზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელი მზად იყო, დიდი ქვეყანა გაეწირა შედარებით პატარა ქვეყანაში გაპრეზიდენტებისათვის.

მაიდანის გავლით

უკარიანის მეორე პრეზიდენტი თავის მემუარებში წერს: როდესაც მეკითხებიან, ხომ არ აზვიადებენ ანალიტიკოსები „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მსვლელობაში აშშ-ის როლსა და გავლენას, მე ვპასუხობ: პირიქით, ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ მას“.

კუჩმამ მშვენივრად იცის, რასაც ამბობს, ამ საქმეში აშშ-ს უდიდესი წვლილი აქვს, უკრაინის საქმეებში ამერიკის ოფიციალური თუ არაოფიციალური პირების პირ-

დაპირი ჩარევის ჩათვლით. აშშ-ის ამჟამინდელმა ელჩმა რუსეთში, „ნარინჯისფერი რევოლუციების“ სპეციალისტმა მაკფოლმა ვლადიმერ პოზნერისათვის მიცემულ ინტერვიუში აბსოლუტურად მშვიდად აღიარა ამ ჩარევისა და ზეწოლის შესახებ. ეს კიდევ უფრო სასაცილოა იმიტომ, რომ ყოველივე ბუშის საძაგელმა ადმინისტრაციამ ჩაიდინა, ობამას კარგი ადმინისტრაცია კი მსგავსს არაფერს აკეთებს და ბუშისდროინდელ საქმეებზე პასუხს არ აგებს.

გასაგებია, რომ მიზანმიმართულად ანტიამერიკული დე გოლი მოიშორეს, მაგრამ რას ერჩოდნენ უკრაინელ პრეზიდენტებს, რომლებსაც ამგვარი ანტიამერიკანიზმი არც დასიზმრებიათ? აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ეს არაა საკმარისი, საჭიროა კიდევ აშკარა ანტირუსული პოზიციაც.

სამაგიეროდ, იანუკოვიჩს გაპრეზიდენტების წუთიდან არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს პოსტსაბჭოთა საბჭოში ინტეგრაციული პროცესების განვითარებისათვის. პოსტსაბჭოთა ინტეგრაციისათვის წინააღმდეგობა უკვე ძლიერი ანტირუსული ქმედებაა. ამერიკელებს იანუკოვიჩი ჯერჯერობით აწყობთ როგორც საკმარისად ანტირუსული პრეზიდენტი.

თავად იანუკოვიჩი ამას ხმამაღლა არასდროს აღიარებს, მაგრამ გულის სიღრმეში მან მშვენივრად იცის, რომ ინტეგრაციის მიმართულებით ნებისმიერი მოძრაობა მის ქვეყანაში ახალი რევოლუციის საწინდარი გახდება. სხვა საკითხია, რომ მხოლოდ ამგვარი ნაბიჯებისგან თავის შეკავებაც მისი მშვიდი ცხოვრების გარანტია არაა. **აშშ-ს უკრაინაში საქართველოს ან ბალტიისპირეთის მსგავსი ანტირუსული ხელისუფლება სჭირდება და იანუკოვიჩს ჯერ მხოლოდ ითმენენ, ვიდრე შემცვლელი მოიძებნებოდეს. მაგრამ თუ ტიმოშენკო ციხიდან გამოვა, მომდევნო პრეზიდენტის ვინაობის შესახებ საკითხი უმალ გადაწყდება სიკეთის იმპერიის უმაღლესი კურთხევითა და მისივე მხარდაჭერით. აშშ-ს მხოლოდ ანტირუსული უკრაინა სჭირდება, უკრაინა, როგორც რუსეთისათვის პრობლემების შექმნის ინსტრუმენტი.**

ყველა თოკი ყულფად გამოიკვანძება

„განუსაზღვრელი კრედიტის“ სისტემამ, ანუ „რეიგანომიკის საოცრებამ“ 30 წლის მანძილზე უზრუნველყო აშშ-ის ჰეგემონია. ახლა ამერიკის სამხედრო და სოციალური ბიუჯეტები მთელი ბიუჯეტის დეფიციტის ტოლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამხედრო და სოციალური პოლიტიკა მხოლოდ ვალით ფინანსდება. **ნორმალური ეკონომიკის ფარგლებში ამერიკა საკუთარ თავს ვერც ერთის უფლებას მისცემდა და ვერც მეორის, მაგრამ ვერც უარს იტყვის ამ ყველაფერზე, რადგან ამ შემთხვევაში აშშ-ის კრახი, ანუ XXI საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა გარდაუვალი იქნება.**

დროის საკითხი ერთადერთია, რაზეც ექსპერტები ვერ თანხმდებიან. როდის მოხდება ეს? ამ საკითხზე დასავლეთის თავისუფალ ლოგიკაში ერთადერთი პასუხი არსებობს: რაც გვიან, მით უკეთესი. შენ მოკვდი დღესვე, მე კი მერე მოვკვდები.

ამიტომ **სიკეთის იმპერია „დასასრულის გაწელვის“ პოლიტიკის ორ მიმართულებას აწარმოებს. პირველი მიმართულებაა — მთელი მსოფლიო უნდა ზანზარებდეს და ამერიკა ერთადერთ სავანედ რჩებოდეს, მეორე კი — მუდმივად არსებობდეს დიდი ომის წამოწყების საშუალება, რათა, როდესაც პირველი მიმართულება საკმარისი აღარ იქნება, ამგვარი ომი ერთადერთი გამოსავალი იქნება.**

როგორც ამბობენ, ომი ყველაფერს ჩამოწერს. ამერიკელები არ მოითმენენ ცხოვრების დონის დაწევას, ამიტომ ომმა უნდა გაამართლოს მთელი ის სიმძიმე, რაც ამერიკელ ხალხს ელის, მათ შორის ის უდიდესი ტერაქტებიც, რომლებიც ომის დაწყების საბაბად ან დაუმორჩილებელი მტრის წარმოუდგენელი არაადამიანობის დემონსტრირებისთვის იქნება საჭირო.

თავის დროზე ერაყის ხელთ მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის დამადასტურებლად აშშ-ის სახელმ-

© „ღამისფრთიანი“

წიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გაეროს რაღაც კაფსულა აჩვენა. ახლა ამ კაფსულის როლში ირანის ბირთვული პროგრამაა. **ყველაფერი მეორდება და ვერავინ, ვერავითარი გაერო ვერ აღუდგება წინ ომის დაწყებას, როდესაც ამას ამერიკა გადაწყვეტს.**

ამერიკის, ევროკავშირისა და იაპონიის ვალები წლიურ საერთო შიდა პროდუქტს გაუტოლდა და მათი რეფინანსირება დღითიდღე რთულდება. მალე ყველა დაინახავს, რომ მეფე შიშველია და ამ თვალის ახელას სიკეთის იმპერიამ რაღაც უნდა დაუპირისპიროს.

მაშ ასე, ამერიკას ახლა ძალიან აძლევს ხელს ბუნტები, აჯანყებები, უკმაყოფილების ტალღები მთელ მსოფლიოში, გარდა საკუთარი ტერიტორიისა. მიმდინარე და მომავალი წლის განმავლობაში არასტაბილური გარემო უნდა შეიქმნას მთელ პოსტსაბჭოთა სივრცესა და ევროკავშირში. ეს აშშ-ს მისცემს რესურსებს, რაც ასე სჭირდება, ახლო და შუა აღმოსავლეთი კი ნებისმიერ წუთს შეიძლება იქცეს საომარი მოქმედებების თეატრად.

დღევანდელი მოღვაწეობა ისეა მოწყობილი, რომ აგენტმა ხანდახან არც კი იცის, რომ აგენტია და უფრო მეტიც, ოპერაციისთვის უკეთესია, თუ არ ეცოდინება. რეფლექსური მართვის თეორიები საკმაოდ გასაგებად აღწერს სიტუაციას, რომლის დროსაც მართვადმა ობიექტმა არაფერი იცის მმართველის მოქმედებათა არსებობის შესახებ. რევოლუციურ მასებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რაში მონაწილეობენ.

შეუძლებელია, მოუგო ამერიკას, როდესაც თამაში მისი წესებით მიდის. ერთადერთი გამოსავალი დაფაზე ფიგურების არევაა. მხოლოდ ამ ერთადერთი საშუალებითაა შესაძლებელი ქვეყნის შენარჩუნება.

საუკეთესო დღეები წარსულს ჩაბარდა!

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში გლობალური კონკურენცია განუხრელად იზრდება, ამერიკელებს, უბრალოდ, არ შეუძლიათ, გააცნობიერონ მოსალოდნელი ცვლილებებისა და მათ თავზე დატეხილი პრობლემების მასშტაბები და მნიშვნელობა. მიუხედავად ჩინეთის გაძლიერებაზე ატეხილი ხმაურისა, ამერიკელთა უმეტესობა დღემდეც იმ ძველი რეალობიდან გამოდის, რომლის მიხედვითაც აშშ №1-ია. მართალია, აშშ მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკად რჩება, მაგრამ პირველობა უკვე მხოლოდ საგულდაგულოდ შერჩეულ მიმართულებებს მოიცავს. ახლანდელი ზრდის განმსაზღვრელი ჯერ კიდევ 1950-1960-იანი წლების პოლიტიკაა, მაგრამ, თუ დღევანდელ პოლიტიკას გადავხედავთ, მომავალთან დაკავშირებით მრავალი კითხვა გაჩნდება.

ქვემოთ მოტანილი ციფრები სხვადასხვა სარეიტინგო წყაროების მონაცემებია, მაგრამ უკლებლივ ყველა მათგანი ერთსა და იმავეზე მიანიშნებს. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, **აშშ-ის 15 წლის ბავშვები მსოფლიოში მე-17 ადგილს იკავებენ საბუნებისმეტყველო საგნებში და 25-ე ადგილს — მათემატიკაში. აშშ განვითარებულ ქვეყნებს შორის მე-12 ადგილზეა უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობით, 79-ე ადგილზე — დაწყებითი სკოლის კონტინგენტის მიხედვით, მსოფლიოში 23-ე ადგილზე — ინფრასტრუქტურის მიხედვით და ამით დიდად ჩამორჩება ყველა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანას.** ამერიკული ჯანდაცვის შესახებ მონაცემები განვითარებული ქვეყნისთვის უბრალოდ თავზარდამცემია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, **აშშ სიცოცხლის ხანგრძლივობის მხრივ მსოფლიოში 27-ე ადგილზეა, დიაბეტით დაავადებულთა მიხედვით — მე-18 ადგილზე და ჭარბწონიანობის მიხედვით — პირველ ადგილზე. არის სფეროები, რომლებშიც ამერიკა კვლავ პირველ ადგილზე რჩება — აქვს ყველაზე ბევრი იარაღი, ჰყავს მსოფლიოს მდიდარ ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი დამნაშავე და აქვს მსოფლიოში ყველაზე დიდი ვალი** — მაგრამ ამერიკელებს ამით თავის მოწონება არ უყვართ.

ამ არასასურველი ცვლილებებიდან მრავალი განაპირობა არა თავად ამერიკის შეცდომებმა, არამედ იმან, რომ დღეს ბევრი ქვეყანა მის თამაშს თამაშობს და სავსებით წარმატებულადაც. იაპონია დიდი ხნის მანძილზე იყო მსოფლიოს მეორე ეკონომიკა, მაგრამ, ვინაიდან ის პატარა ქვეყანაა, იმისათვის, რომ მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკად ქცეულიყო, ერთ სულ მოსახლეზე აშშ-თან შედარებით ორჯერ მეტი საერთო შიდა პროდუქტი უნდა ჰქონოდა. ახლა იაპონია მსოფლიოში მესამეა (დამანგრეველ მიწისძვრამდე), მისი ადგილი კი დაიკავა ჩინეთმა, რომელსაც ამერიკის ეკონომიკის უკან ჩამოსატოვებლად ერთ სულ მოსახლეზე აშშ-თან შედარებით ოთხჯერ ნაკლები საერთო შიდა პროდუქტის მოცულობაც ეყოფა.

როგორც ჰარვარდელი ისტორიკოსი ნაიალ ფერგიუსონი თავის წიგნში წერს, დასავლური ცივილიზაციის საიდუმლო სოუსი ექვსი რამისგან — კონკურენციის, თანამედროვე მეცნიერების, კანონის უზენაესობისა და პირადი საკუთრების უფლების, თანამედროვე მედიცინის, მოხმარების საზოგადოებისა და სამუშაო ეთიკისგან შედგებოდა. მონოპოლია პირველმა იაპონიამ დაარღვია, შემდეგ კი ამ გამოყენებითი სფეროების გამოყენება ერთიმეორის მიყოლებით დაიწყეს აზიის ქვეყნებმაც.

ეს ისტორიული გამოწვევა იყო იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებმაც გამოიცნეს დასავლეთის გამარჯვების საიდუმლო. შემდეგ კი ამ ყველაფერს ტექნოლოგიური რევოლუციაც დაემატა. ახლა სულ უფრო მეტი საქონლის წარმოება შეიძლება სულ უფრო ნაკლები ადამიანის დასაქმებით. სამუშაო ადგილები პლანეტის ლამის ნებისმიერ წერტილში შეიძლება გადავიდეს. **ᲐᲮᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲚᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-Ს ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲒᲕᲐᲠ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲣᲮᲓᲐ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲐᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲒᲔᲚᲘ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ.**

პოლიტიკური სისტემა აქტიურად მართავს დებატებს ბიუჯეტის, პენსიებისა და ერის მომავლის შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ ხალხზე თამაშია. შტატებს თავისი გასაჭირი აქვს — თავის ბიუჯეტში დებეტი და კრედიტი უნდა გაათანაბროს და სახელმწიფო მოხელეების პენსიების თაობაზე ბრძოლა სავსებით რეალურია, მაგრამ **ვაშინგტონში მსჯელობენ რაზეც გნებავთ, ოღონდ არა მნიშვნელოვან საკითხებზე. დემოკრატები და რესპუბლიკელები დებატებში საერთოდ არ ახსენებენ მნიშვნელოვან საკითხებს — სოციალურ უზრუნველყოფას, უფასო მედიცინას, სამედიცინო დაზღვევას, საკომპენსაციო ანაზღაურებებს, საგადასახადო შეღავათებს და ასე შემდეგ — რაც ხანგრძლივი დეფიციტის მიზეზად იქცა.** სიმპსონ-ბაულზის კომისიამ საბიუჯეტო პრობლემების მოგვარების ძალზე გონივრული გეგმა წარმოადგინა. ამ გეგმის მიხედვით, 4 ტრილიონი დოლარი ზოგიერთი პროგრამის შემცირებითა და ზოგიერთი გადასახადის გაზრდით და-

იზოგებოდა, მაგრამ მის შესახებ ორივე პარტიამ უმალ დაივიწყა.

ამის ნაცვლად ვაშინგტონი შეამცირებს ყველაფერს, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია, სადაც ფულიც ცოტაა და დანაკარგებიც. ობამას მცდელობები, შეინარჩუნოს ან გაზარდოს ფუძემდებლური პროგრამების დანახარჯები, წარუმატებლობით სარგებლობს კონგრესში, მტკიცედ აქვს რა გადაწყვეტილი საკუთარი გავლენის დემონსტრირება. მაგრამ **დაფინანსების შემცირება ისეთ სფეროებში, როგორიც განათლება, სამეცნიერო კვლევები, ნასა, ინფრასტრუქტურა, ალტერნატიული ენერგეტიკა და ასე შემდეგ, დიდ ეკონომიას არ განაპირობებს, სამაგიეროდ სერიოზულ ზიანს მიაყენებს ეკონომიკის გრძელვადიან ზრდას. თანაც, ეს სწორედ მაშინ ხდება, როდესაც გერმანიიდან დაწყებული, სამხრეთ კორეითა და ჩინეთით დამთავრებული, ყველა ქვეყანა უზარმაზარ სახსრებს დებს განათლების სისტემის, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.**

რატომ წყვეტენ ამერიკელები ყველა ეკონომიკურ პრობლემას არასწორად? იმიტომ, რომ ეს ძალზე ადვილია პოლიტიკური თვალსაზრისით. **ორივე პარტიის მოქმედებათა გასაღები ისაა, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან პროგრამებს, რომელთაც არ აქვს ფართო მხარდაჭერა და რომელთა უკანაც არ დგანან გავლენიანი ჯგუფები თავიანთი განსაკუთრებული ინტერესებით.** მიუხედავად იმისა, რომ გადასახადების გაზრდის გარეშე ბიუჯეტის ხანგრძლივი სტაბილურობა შეუძლებელია, ამაზე არც ერთი მხარე კრინტსაც არ დაძრავს.

საქმე ის არაა, რომ ამერიკული დემოკრატია არ მუშაობს, არამედ ის, რომ ამერიკული დემოკრატია ძალზე კარ-

გად მუშაობს და მისი პოლიტიკა გადაჭარბებულად მგრძნობიარეა ამომრჩეველთა ინტერესების მიმართ. ეს ინტერესები კი მხოლოდ წარსულის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული და არა მომავლის ინვესტირებაზე. **არ არსებობს ლობისტური ჯგუფები, რომლებიც მომავლის ინტერესებით იმოქმედებენ. მთელი სისტემა მიმართულია არსებული სუბსიდიების, საგადასახადო შეღავათების შენარჩუნებისკენ. სწორედ ამიტომაა, რომ ფედერალური მთავრობა მოხუცებზე ოთხჯერ მეტ ფულს ხარჯავს, ვიდრე 18 წლამდე ასაკის მოზარდებზე.** როდესაც შემცირებების დრო მოვა, გამოიცანით, რომელ პროგრამებს მიადგებიან პირველ რიგში? — ეს საზოგადოების პრიორიტეტებისა და შეხედულებების უსაშინლესი მაჩვენებლებია.

რატომ დაუმახინჯდათ ამერიკელებს პრიორიტეტები? — იმიტომ, რომ წარმატება მავნებელია. **წარმატებამ ამერიკა, ლამის მთელი საუკუნის მანძილზე მსოფლიოს მწვერვალზე რომ იმყოფებოდა, სკლეროტიკულ ქვეყნად აქცია.** ამერიკელები უწყვეტმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სამხედრო გამარჯვებებმა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მათთვის ბედის საჩუქარია, იყვნენ მუდმივად პირველები მსოფლიოში. აშშ-ში ცვლილებებისთვის მნიშვნელოვან მომენტად შეიძლებოდა ქცეულიყო იმის სწორი შეფასება, თუ სად იმყოფება ქვეყანა ამჟამად და რისი სწავლა შეუძლია სხვა ქვეყნებისგან, მაგრამ არც ერთი პოლიტიკოსი არ იტყვის, რომ ევროპის ჯანდაცვის სისტემა ამერიკულს ჯობია და ორჯერ ნაკლებიც ჯდება, რადგან ეს სახიფათო პოლიტიკური აზროვნებაა. არადა, მრავალი კვლევის თანახმად, **საშუალო ამერიკელს გაცილებით ნაკლები შანსი აქვს შემოსავლების მიმღებთა მშობლების ჯგუფს გასცდეს და წინ წაიწიოს, ვიდრე დანიის, შვედეთის, გერმანიისა და კანადის მოქალაქეებს.**

და ეს ყველას ეხება, ყველა ამერიკელს. მათთვის კი გარე სამყაროს მნიშვნელობა არ აქვს, მასზე ცოტა რამ თუ იციან და არც სურთ, მეტი იცოდნენ. მაგრამ ამერიკელებს არ შეუძლიათ ვინმეს მოდელი გადაიღონ. ისინი აჯანყ-

© „ღვასუბლიანი ეროვნული“

დებიან დიდი გადასახადების წინააღმდეგ, რადგან ამერიკული სისტემა უფრო დინამიური და არათანაბარია, ვიდრე ევროპისა. ამერიკულ კომპანიებს, შესაძლოა, ახასიათებდეთ კიდეც მაღალეფექტურობა, მაგრამ ამერიკის მმართველობას ეს არ ეხება. **ამერიკული მმართველობის პრობლემა ისაა, რომ ის უკიდურესად არაეფექტურად განკარგავს არსებულ რესურსებს და სფეროები, რომლებსაც მათი უმეტესობა ხმარდება, არ ემსახურება ხანგრძლივ ზრდას. ფული კი თავდება.**

ტრაგედია ისაა, რომ ვაშინგტონში ეს ყველაფერი მშვენივრად იციან. რესპუბლიკელების უმეტესობას ესმის, რომ დროა, ზოგიერთ მთავარ სფეროში მოიყაროს თავი ფულმა, დემოკრატების უმრავლესობა კი ხვდება, რომ სოციალური დახმარებებისა და სუბსიდიების შემცირების დრო დადგა. მაგრამ ამერიკის პოლიტიკურ სისტემას ალერგია აქვს კომპრომისებსა და პრობლემების პრაქტიკულ გადაწყვეტაზე. ეს არის სისტემა, რომელიც სულ უფრო მრუდდება. ამ სისტემას ჰყავს საარჩევნო კოლეგია, რომლისაც არავის ესმის; სენატი, რომელიც არ მუშაობს; მაგრამ აქვს წესები და ტრადიციები, რომელთა თანახმადაც ერთადერთ სენატორს შეუძლია, დემოკრატიას ობსტრუქცია მოუწყოს მიზეზების განმარტების გარეშე. ამ სისტემას აქვს რაღაც ნაკუწებისგან შეკერილი პლედის მსგავსი შტატების, მუნიციპალიტეტებისა და საქალაქო მთავრობების ნაკრები, რომელშიც ერთმანეთის უფლებამოსილებებს იმეორებენ, ჩინოვნიკურ აპარატებს აგებენ. **ეს არის პოლიტიკური სისტემა, რომელიც მიმართულია ფულადი სახსრების გაუთავებელი შეგროვებისკენ და დღევანდელი ინტერესების რამენაირად რეალიზებით მომავალზე ზრუნვისა და მისი დაგეგმვის, მით უფრო, მისთვის სახსრების ხარჯვის გარეშე.**

საკმარისია, ვინმემ ამის თქმა გაბედოს, უმალ დაადანაშაულებენ პატრიოტიზმის ნაკლებობაში, რადგან ამერიკის სახელმწიფო მმართველობა მე-18 საუკუნის ბოლოს დედამიწაზე მოსიარულე ნახევრადღმერთების მიერ ბოძებული იდეალური სისტემაა.

ათწლიანი პატიმრობა მასობრივი პროტესტების მონაწილეთათვის

ბაიონაში საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ვიზიტისას 300-400 პროტესტანტისგან შემდგარმა ბრბომ ევროპელი პრეზიდენტი აიძულა, ახლომდებარე ბარში იმ დრომდე დამალულიყო, ვიდრე სპეცნაზმა მანიფესტანტების ბრბო არ გაარღვია და არ გაათავისუფლა. ამერიკული კანონების შესაბამისად, ეს მანიფესტანტები განზე კი არ უნდა გაეწიათ, არამედ 10 წლით უნდა დაეპატიმრებიათ.

ცნობილია, რომ მსოფლიო არენაზე აშშ-ის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა, მშვიდობიანი დემონსტრაციების ჩატარება და ნებისმიერი სახელმწიფოს უკმაყოფილო მოქალაქეების მიერ პროტესტის თავისუფალი გამოხატვის უზრუნველყოფაა. ნებისმიერ შემთხვევაში არაბულ სახელმწიფოებთან მიმართებაში ამ მხრივ ეჭვის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის მიერ სირიისადმი გამოცხა-

© „ადამიანის უფლებები“

დებული ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა სწორედ „მშვიდობიანი დემონსტრაციების თავისუფლების გარანტიაა“.

რუსეთის „არასისტემური ოპოზიციის“ მიტინგებთან დაკავშირებითაც შეშფოთება არაერთხელ გამოიხატა. აშშ-ის ელჩი რუსეთში, მაიკლ მაკფოლი ტვიტერში იტყობინებოდა, რომ მას აღელვებდა მოსკოვში პუშკინის მოედანზე მშვიდობიანი დემონსტრანტების დაკავების ყურება, რადგან „შეკრების თავისუფლება და სიტყვის თავისუფლება უნივერსალური ფასეულობებია“.

ამ ფონზე კანონპროექტები, რომელთაც თავად ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე იღებენ პროტესტებთან, მშვიდობიან დემონსტრაციებთან და თავისუფალ შეკრებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებულად უცნაურად გამოიყურება. საუბარია სულ ახლახან მიღებულ კანონზე „HR 347“, რომელიც უკვე გახდა განსაკუთრებულად ემოციური რეაქციის მიზეზი და უკვე მიიღო კიდეც სახალხო სახელი „მშვიდობით, კონსტიტუციის პირველო შესწორებავ“.

როგორც ცნობილია, **კონსტიტუციის პირველი შესწორება, თავის მხრივ, არის იმ უფლებების საფუძველი, რომელთა თანახმადაც გარანტირებულია, რომ აშშ-ის კონგრესი არ მიიღებს დისკრიმინაციულ კანონებს, კერძოდ კი, არ შეზღუდავს შეკრებათა თავისუფლებას.**

პრინციპში, კანონი „HR 347“ რაღაც უნიკალურს არ წარმოადგენს. ამ საკანონმდებლო აქტის გარეშეც აშშ-ში მოქმედებს უამრავი შეზღუდვა, რომლებიც პირველ შესწორებას უხეშად არღვევს. საკმარისია თუნდაც პატრიოტული აქტის გახსენება. ეს ფედერალური კანონი აშშ-ში 2001 წლის ოქტომბერში მიიღეს და მისი წყალობით ხელისუფლებასა და პოლიციას მიეცა უკიდეგანო უფლებები, უთვალთვალოს ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს. **კანონმა გააფართოა გამოძიების ფედერალური ბიუროს უფლებები ამერიკის მოქალაქეთა მიმართ მოსმენებისა და ელექტრონული თვალთვალის მიმართულებით, რაც მაშინვე შეფასდა, როგორც კონსტიტუციის მეოთხე შესწორების უხეში დარღვევა.**

მიუხედავად ამისა, 24 ოქტომბერს კანონპროექტი დამტკიცდა კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში 357 ხმით 66-ის წინააღმდეგ, სენატმა კი ის 98 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო. 26 ოქტომბერს აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა აქტს, რომელსაც რამდენიმეჯერ უკვე გაუგრძელეს მოქმედების ვადა.

მიუხედავად ამ და სხვა მსგავსი კანონების არსებობისა, ამერიკაში „HR 347“ მაინც განსაკუთრებულია და ყურადღებით განხილვას იმსახურებს.

კანონს საფუძვლად უდევს სხვა კანონი, რომელიც 1971 წელს მიიღეს, 2006 წელს დააზუსტეს და შეავსეს და რომელიც ახორციელებს აშშ-ის ტერიტორიაზე მიტინგებისა და დემონსტრაციების რეგლამენტირებას. ამერიკელი მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპულად ახალ შეზღუდვებს „HR 347“ არ შეიცავს. ის მხოლოდ უკვე არსებული დოკუმენტების გაფართოებული ვარიანტია, რომელიც საკუთარ თავში აკრძალვის სფეროს აშშ-ის საიდუმლო სამსახურების კომპეტენციის სფეროსთან აერთიანებს. სწორედ ამის გამო პრაქტიკკუ-

© „ადამიანის უფლებათა ევროპული

ლად ნებისმიერი პროტესტი, ჯგუფური ან ინდივიდუალური, უმნიშვნელო ძალისხმევითაც კი შეიძლება უკანონოდ გამოცხადდეს.

აშშ-ის საიდუმლო სამსახური არის სტრუქტურა, რომელსაც ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს და რომლის კომპეტენციაც საკმაოდ ფართოდ ვრცელდება. რას აღარ აკეთებს ეს სამსახური ყალბი ფულის გამოშვებისთვის, ფინანსური დოკუმენტების გაყალბების, პირადი მონაცემების მოპარვის აღკვეთიდან დაწყებული, ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტების, კონგრესმენების, მათი ოჯახის წევრებისა და სხვა ნათესავების ფიზიკური დაცვით დამთავრებული. დამატებით საიდუმლო სამსახური ახორციელებს იმ ადმინისტრაციული შენობებისა და მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაცვას, რომელთაც რაიმე კავშირი აქვს აშშ-ის სახელისუფლო ორგანოებთან ან სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან. გამონაკლისი არც უცხოური ვიზიტებია. გარდა ამისა, **საიდუმლო სამსახურის მეთვალყურეობას ექვემდებარება საზოგადოებრივი შეკრებები, რომელთაც საერთოეროვნული მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად აშშ-ის ეროვნული საფეხბურთო ლიგის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებელი საფეხბურთო თამაშები.**

„HR 347“-ის თანახმად, ყველა პროტესტი იმ ტერიტორიაზე, რომელიც იმ მომენტში საიდუმლო სამსახურის მეთვალყურეობას ექვემდებარება, უკანონოდ ითვლება და შემდგომში სასამართლო განხილვას ითვალისწინებს. კანონის ტექსტის თანახმად, დაპატიმრებას ექვემდებარება ნებისმიერი ადამიანი, რომელიც შეგნებულად შედის ან არის ამგვარ შენობასა თუ ტერიტორიაზე, საამისოდ კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე. იგივე ბედი ელით ადამიანებს, რომლებიც შეგნებულად, ხელისუფლებების ან ოფიციალური დაწესებულებების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის მიზნით მონაწილეობენ არაორგანიზებულ ან დამანგრეველ მოქმედებებში; იმ ადამიანებსაც, რომლებიც რაიმე მსგავს მოქმედებებს ახორციელებენ დაცვის ქვეშ მყოფი შენობისა თუ ტერიტორიის

სიახლოვეს, როდესაც ეს მოქმედებები რაიმე შეფერხებას უქმნის ან შეუძლებელს ხდის ხელისუფლების ფუნქციონირებას ან რომელიმე სხვა ოფიციალურ დაწესებულებას. სისხლის სამართლით დასჯადია ანალოგიური მიზნით რაიმე შეთქმულების მოწყობაც ან შეთქმულების მოწყობის მცდელობაც.

ამრიგად, „HR 347"-ის წყალობით ფეისბუქზე საპროტესტო ჯგუფების ბედი გადაწყვეტილია — ამა თუ იმ მიტინგის ჩასატარებლად მომხრეების შეგროვება ხომ აბსოლუტურად თავისუფლად ჯდება „შეთქმულების" კატეგორიაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადრე მოქმედი ნორმები სპეცსამსახურების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე „შეგნებულ" ყოფნასთან ერთად ითვალისწინებდა „წინასწარი განზრახვის" ფაქტორსაც. სხვაგვარად რომ ითქვას, დამრღვევს უნდა ესმოდეს, რომ ამ ტერიტორიაზე მისი ყოფნა უკანონოა და შეგნებულად უნდა სჩადიოდეს დანაშაულს. ახლა ეს პირობა აღარ არსებობს. მისი გაქრობა კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ, თუ ამერიკის რომელიმე მოქალაქე „Occupy Wallstreet"-ის პლაკატით „საკმარისად ახლოს" აღმოჩნდება იმ ტერიტორიასთან, რომელზეც, ვთქვათ, პრეზიდენტ ობამას მეუღლე იმყოფება, აშშ-ის ამ მოქალაქეს, კანონის შესაბამისად, პასუხისგებაში მისცემენ მხოლოდ იმის გამო, რომ პირველი ლედის „გვერდით" აღმოჩნდა.

ტერმინი „საკმაოდ ახლოს" ბრჭყალებში შემთხვევით არაა ჩასმული. კანონი „HR 347" ამ მხრივ აბსოლუტურად ბუნდოვანი ფორმულიებებით აპერირებს. მაინც როგორი სიახლოვე ითვლება „საკმაოდ" განმარტებული არსადაა. კანონის იურისდიქციაში შემავალ „შენობებად და ტერიტორიებად" უნდა ჩაითვალოს თეთრი სახლი, ვიცე-

პრეზიდენტის რეზიდენცია და მათი მიმდებარე ტერიტორიები, გარდა ამისა, ნებისმიერი ამგვარად დასახელებული ტერიტორია და შენობა, რომელიც შემოფარგლულია ან რაიმე სხვა სახით ითვლება შეზღუდულად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუბარი შეიძლება იყოს წარწერაზე „უცხო პირთა შესვლა აკრძალულია“.

გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა, ნებისმიერი პროტესტი ტერიტორიაზე, რომელზეც იმყოფებიან ან მომავალში შეიძლება იყვნენ საიდუმლო სამსახურის დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანები, ასევე ტერიტორიაზე, სადაც ნაციონალური მასშტაბის ღონისძიებები ტარდება, დაისჯება ზუსტად ისევე, როგორც პრეზიდენტის ან მისი მეუღლის სიახლოვეს ყოფნა.

უბრალოდ, **სიახლოვეს ყოფნის შემთხვევაში „HR 347“ ითვალისწინებს ჯარიმასა და ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, მაგრამ თუ პროტესტის გამომხატველს თან ექნება რაიმე სახის სახიფათო იარაღი, აღარაა საუბარი ცეცხლსასროლ ან რომელიმე სხვა სასიკვდილო იარაღზე, ან თუ მისი ქცევა ვინმეს სხეულის დაზიანებას განაპირობებს, პატიმრობის ვადა ათ წლამდე გაიზრდება.** ამ შემთხვევაშიც არაა დაკონკრეტებული, თუ რა ითვლება სახიფათო იარაღად, რადაც საჭიროების შემთხვევაში დროშის ტარიც კი შეიძლება ჩაითვალოს, ან ვის უნდა მიადგეს სხეულის დაზიანება. **როგორც წესი, აშშ-ში სხეულებრივი დაზიანებები პოლიციელებს არ აღენიშნებათ ხოლმე, იქ დაშავებულები, ჩვეულებრივ, მხოლოდ დემონსტრანტები არიან.**

შედეგად, ხმათა ლამის აბსოლუტური უმრავლესობით — 388 ხმა 3-ის წინააღმდეგ — მიღებული კანონი მოვლენათა საერთო ჯაჭვის მხოლოდ ერთი რგოლია. და გასაკვირიც კია, როდესაც ამ კანონის მიმართ განსაკუთრებული აღშფოთება გამოიხატება, რადგან ეს კანონი კონკრეტულად მოძრაობა „დაიკავე უოლ-სტრიტის“ საწინააღმდეგოდ იქნა მიღებული, მანამდე კი, 2001-2006 წლებში მიღებულ ამერიკელთა საბაზო უფლებებისა და თავისუფლებების დამრღვევი კანონების ნუსხაში ის მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი პუნქტია.

პრეზიდენტი ქილერის ლიცენზიით

2010 წლის 30 სექტემბერს იემენის სამხრეთით ამერიკულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა იერიში მიიტანა ავტომობილზე, რომლითაც „ალ ქაიდას“ ოთხი წევრი — ანვარ ალ-ავლაკი, აბუ მოხსენ ალ მარაბი, სამირ ალ მარუანი და სამირ ჯანი გადაადგილდებოდნენ. დარტყმა მიყენებულ იქნა „HellFire“-ის (ჯოჯოხეთური ცეცხლის) ტიპის რაკეტებით. ოთხივე მგზავრი მოკლეს. ამგვარი რამ ფრონტის ხაზებზე ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ ამ აფეთქებამ მაინც სკანდალი განაპირობა. სკანდალის მიზეზი ისაა, რომ მოკლულთაგან ორი ამერიკის მოქალაქე აღმოჩნდა და მათგან ერთ-ერთის — ანვარ ალ-ავლაკის მკვლელობის სანქცია პირადად აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გასცა.

ალ-ავლაკი „ალ ქაიდას“ ედგა სათავეში და ცსს-ს მიერ ეჭვმიტანილი იყო მთელი რიგი ტერორისტული აქტების ორგანიზებაში. ალ-ავლაკის დამნაშავეობა ამერიკულ სასამართლოებში ერთხელაც ვერ დაამტკიცეს, ამიტომაც მისმა მკვლელობამ ამერიკაში აღშფოთების ქარიშხალი განაპი-

რობა. ამერიკის ორი მოქალაქის მკვლელობა მათ იემენელ თანამოძმეებთან ერთად განხორციელდა აშშ-ის კანონის შესაბამისად „აშშ-ის სამხედრო ძალების გამოყენების ნებართვის შესახებ“, რომელიც 2001 წლის 14 სექტემბერს მიიღეს. **კანონი აშშ-ის პრეზიდენტს უფლებას აძლევს, „მიიღოს ზომები აშშ-ის წინააღმდეგ საერთაშორისო ტერორიზმის დაუშვებლობისა და აღკვეთის მიზნით“. კანონის ტექსტიდან გამოდის, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს, გამოიყენოს ყველა საჭირო ძალა იმ ქვეყნებთან, ორგანიზაციებთან და პირებთან მიმართებაში, რომლებიც გეგმავდნენ, ორგანიზებას უკეთებდნენ ან ხელს უწყობდნენ ტერაქტების განხორციელებას. 2001 წლის 18 სექტემბერს კანონს ხელი მოაწერა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.**

იმ დროიდან რამდენი მკვლელობა ჩაიდინეს ამერიკელებმა ამ დოკუმენტის საფუძველზე, ერთბაშად ძნელი სათქმელია. აშშ-ში, ალბათ, არც ალ-ავლაკის ეპიზოდს მიაქცევდნენ ყურადღებას, ამერიკის ადმინისტრაციის მიმართ მწვავე კრიტიკით აშშ-ში პოპულარული და გავლენიანი მოსამართლე ენდრიუ ნაპოლიტანო რომ არ გამოსულიყო. ნიუ-ჯერსის შტატის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, ამჟამად კი წამყვანი იურიდიული ანალიტიკოსი და პოპულარული ტელეარხის — „Fox News“-ის მიმომხილველი აშშ-ში დიდი პოპულარობით სარგებლობს. სწორედ ამ მოსამართლემ გამოაქვეყნა თავის პერსონალურ საიტზე სტატია სათაურით „შეუძლია თუ არა პრეზიდენტს შენი მოკვლა?“ ამ სტატიაში მოსამართლე სვამს კითხვას: „შეუძლია თუ არა პრეზიდენტს, გამოვიდეს მოსამართლისა და ჯალათის როლში ამერიკელისათვის სხვა ქვეყანაში, თუ, მისი აზრით, ეს ამერიკის დაცვას შეუწყობს ხელს?“

მოსამართლის სტატია იყო რეაქცია აშშ-ის გენერალური პროკურორის — ერიკ ჰოლდერის გამოსვლაზე. ამ უკანასკნელმა აღიარა, რომ **პრეზიდენტის ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მეხუთე შესწორებაში მითითებულ ნორმებს მართლმსაჯულების დადგომის შესახებ, მაგრამ განაცხადა, რომ პრეზიდენტმა შე-**

იძლება ჩაანაცვლოს მართლმსაჯულების ტრადიციული სისტემა და გამოვიდეს მსაჯულთა სასამართლოს როლში; საუბარია დაგეგმილ მკვლელობაზე. არ ახსენა რა პრეზიდენტის ბრძანებით ცოტა ხნის წინ მოკლული ამერიკელის სახელი, ჰოლდერმა ივარაუდა, რომ ალ ავლაკის მკვლელობის შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილება სწორედ „ტრადიციული მართლმსაჯულების“ ჩანაცვლება იყო. ჰოლდერი მიიჩნევს, რომ, ალ ავლაკის მიერ თითქოსდა ჩადენილი დანაშაულებების გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა. მან არანაირი კომენტარი არ გააკეთა იმ ფაქტზე, რომ არც საკონსტიტუციო და არც უმაღლეს სასამართლოს ამგვარი მართლმსაჯულების სასარგებლოდ არანაირი მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ.

აშშ-ის კონსტიტუციის მეხუთე შესწორების თანახმად, ხელისუფლებას უფლება არ აქვს, სიცოცხლე, თავისუფლება ან ქონება წაართვას ვინმეს მართლმსაჯულების ნორმების გვერდის ავლით. ეს ნორმები კი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რის გამოც მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ მათ საფუძვლად უდევს „საფუძვლიანი სამართლიანობისა“ და „დადგენილი პროცედურის“ პრინციპები.

ნაპოლიტანო წერს: **„როდესაც სახელმწიფოს სურს სიცოცხლე, თავისუფლება ან ქონება წაგართვათ, ის ვალდებულია, ამ მოთხოვნების სამართლიანობა დაამტკიცოს იმ კანონების მითითებით, რომლებიც თქვენ დაარღვიეთ და სახალხოდ უნდა დაუმტკიცოს მიუკერძოებელ სასამართლოს თქვენი დანაშაული. თქვენ კი შეგიძლიათ ისარგებლოთ კონსტიტუციური უფლებებით, რათა დაიცვათ თავი. მართლმსაჯულების სათანადო ნორმების არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფოს ვერაფერი შეუშლის ხელს, წაგართვას ყველაფერი, რაც სჭირდება, ან მოკლას ნებისმიერი მოქალაქე — ამერიკელი ან სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ემუქრება ან რაიმე საფრთხეს წარმოადგენს მისთვის“.**

ალ-ავლაკისა და დანარჩენების მკვლელობა მართლმსა-

© „ღვასაბაძეების ანსამბლი“

ჯულების არანაირ ნორმებს არ შეესაბამება და მხოლოდ ეს უნდა აღელვებდეთ ამერიკელებს. ფედერალური ხელისუფლება სამოქალაქო ომის შემდეგ ვერ ბედავდა ამერიკელთა მოკვლას სასამართლოს გარეშე. კონსტიტუცია მოქმედებს მშვიდობიან პერიოდშიც და ომის დროსაც. ის ნაცისტი ჯარისაცებიც კი, რომლებიც ამერიკაში მეორე მსოფლიო ომის დროს დააკავეს, სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.

თავის გამოსვლაში ჰოლდერი ირწმუნებოდა, რომ ალ-ავლაკის დაკავება, რომლის წინააღმდეგაც არც ერთი ბრალდება არ ყოფილა წაყენებული და რომელიც მხოლოდ ეჭვმიტანილი იყო ამერიკის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ხელშეწყობაში, არაპრაქტიკული იქნებოდა და რომ მკვლელობა მისი სახიფათო მოქმედებების აღკვეთის ერთადერთი საშუალება იყო. მისი თქმით, სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა კონგრესი, როდესაც აშშ-ის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ კანონს იღებდა. თუნდაც ჰოლდერი მართალი იყოს და კონგრესს მართლაც მიეღო მხედველობაში უფლებების გვერდის ავლით პრეზიდენტის მიერ ამერიკელთა მკვლელობების სანქცირება, ეს მაინც უკანონობაა, რადგან კონგრესს ამგვარი უფლებები არ აქვს და შესაბამისად, არც მათი გადაცემა შეუძლია.

კონგრესის მოქმედებები რეგულირდება იმავე კონსტიტუციით, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებას ზღუდავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონგრესს ზუსტად იმდენადვე არ აქვს უფლება, პრეზიდენტს მართლმსაჯულების ნორმების დარღვევის ნება დართოს, როგორც არ შეუძლია მას მმართველობის ოთხწლიანი ვადის გახანგრძლივების უფლება მისცეს.

იმის ნაცვლად, რომ მსაჯულთა სასამართლოსთვის ალ-ავლაკის დანაშაულის მტკიცებულებები წარედგინა, ბრალდების წაყენებისათვის, დაპატიმრებისთვის, გამოძიებისა და სასამართლოსათვის მიეღწია, პრეზიდენტმა მტკიცებულებები დაუსახელებელი მრჩევლების მცირე რაოდენობას წარუდგინა, შემდეგ კი გადაწყვიტა, რომ ამერიკიდან 10 000 მილის დაშორებითაც კი ალ ავლაკი სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს და უნდა მოკლან.

სიცრუის ზეიმი

ვიქტორ
დევის
ჰენსონი

ცოტა ხნის წინ ისტორიკოსმა ვიქტორ დევის ჰენსონმა National Review-სთვის დაწერა დაუნდობელი სტატია, რომელშიც გააანალიზა ამერიკის სხვადასხვაგვარი მიდგომა ერაყის, ირანის, ლიბიის, სირიის, ეგვიპტის, პაკისტანისა და ავღანეთისადმი და ახსნა, თუ რატომ არ შეიძლება, რომ ამ მიდგომათაგან რომელიმეს ეფექტური ეწოდოს.

„განვიხილოთ ამერიკის პოლიტიკის განსხვავებული ვარიანტები, რომელთაც ის უკანასკნელ რამდენიმე ათწლეულში ახლო აღმოსავლეთის მიმართ იყენებს. სამხედრო დახმარებას ან სადამსჯელო ინტერვენციას, როგორც წესი, საქმე წარუმატებლობამდე მიჰყავდა. ვერდიქტი გაცილებით უფრო ძვირადღირებული სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის ჯერ გამოტანილი არაა. უკეთესი შედეგების გარანტია არ აქვს არც არაპოპულარული დიქტატორების ჩამოგდების საქმეში პოპულარული ამბოხებულებისთვის დახმარების გაწევას. დიქტატორების მხარდაჭერა სამხედრო დახმარებისა და ოდიოზის გზით კონტრპროდუქტიულია. მანიაკალური რეჟიმების მოშორების მცდელობა ან ბირთვული იარაღის შექმნამდე მი-

© „ღიასაზოგადოება“

დის, ან მანჰეტენზე ექვს-ნახევარი ჰექტარი ფართობის ნანგრევებამდე. სწორედ ამიტომაა, რომ ამერიკელები სასიკვდილოდ იღლებიან ახლო აღმოსავლეთისგან მაშინ, როცა იქ ხვდებიან და მაშინაც, როდესაც მისგან შორს ყოფნას ცდილობენ, — წერს ავტორი.

დროა, გადავხედოთ ყველაფერს, რასაც ჩვენ იქ ვაკეთებთ.

რა სჭირდება დღეს ამერიკისგან ახლო აღმოსავლეთს ყველაზე მეტად? თანამედროვე სკოლები და მწარე სიმართლე, ჩვენ კი ჯერ ვერც ერთის მიცემა ვისწავლეთ და ვერც — მეორის.

ჰენსონი მართალია: **დღეს ახლო აღმოსავლეთი იტანჯება თემთა შორის შუღლის, შიიტ-სუნიტური დაპირისპირების, ფუნდამენტალიზმისა და ნავთობის მომწამვლელი ნარევისგან, ნავთობის, რომელიც მუდმივად გვაცდუნებს და ხან ინტერვენციისკენ გვიბიძგებს, ხანაც დიქტატორების მხარდაჭერისკენ.**

ეს კოქტეილი ძირს უთხრის ყველაფერს, რაც საზოგადოებრივი პროგრესისთვისაა საჭირო: ინსტიტუტებს, ქვეყნის ნორმალური მმართველობის უზრუნველყოფას, პოლიტიკურ კონსენსუსს, რომელიც ხელისუფლების როტაციის გარანტიაა, ქალთა უფლებებსა და პლურალიზმის ეთიკას, რომელიც იცავს უმცირესობებს. 2002 წელს რამდენიმე გაბედული არაბი სოციოლოგის მიერ გამოქვეყნებულ გაეროს ანგარიშში არაბულ ქვეყნებში ადამიანის პოტენციალის განვითარების შესახებ აღინიშნება, რომ **არაბული სამყაროს პრობლემა თანამედროვე განათლების, ქალთა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების დეფიციტია.**

ამიტომ ამერიკის პოლიტიკის არსი ამ დეფიციტის დაძლევისთვის ხელშეწყობა უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ჩვენ არ შეგვიძლია. **ეგვიპტეში ქალების ნახევარი და მამაკაცების მეოთხედი გაუნათლებელია. ჩვენ ამ ქვეყანას დახმარებას შეიარაღების შესაძენად კი არა, სპეციალიზირებული სკოლების ასაშენებლად უნდა ვუგზავნიდეთ.**

მიუხედავად ამისა, ჩვენ ერთი წლის შემდეგ აბსოლუტურად იდიოტურ მდგომარეობაში ვიმყოფებით: **ეგვიპტურ ხუნტას 5 მილიონ დოლარს ვუხდით იმისთვის, რომ ციხიდან გამოუშვას ამერიკელი სპეციალისტები და ამავე დროს ვაღიარებთ, რომ ეს ხუნტა ლიბერალიზდება და იმსახურებს კიდევ 1,3 მილიარდ დოლარს იარაღის შესაძენად. ჩვენ ვაპირებთ, შეიარაღებისთვის 1,3 მილიარდი დოლარი გადავურიცხოთ ქვეყანას, რომლის ერთადერთი მტერი გაუნათლებლობა და სიღატაკეა.**

რაც შეეხება ავღანეთს, იმ სიტუაციაზე, რომელიც ჩვენ ამ ქვეყანაში გვაქვს, მხოლოდ ხმამაღლა ხარხარი შეიძლება. ობამას ადმინისტრაციის ჩინოვნიკები მთელი სერიოზულობით აცხადებენ, რომ ავღანელებს ბრძოლას ვასწავლით და შემდეგ იქიდან წამოსვლა შეგვეძლება. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ბრძოლა ავღანელებს, რომლებმაც ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს ომი მოუგეს?

პრობლემა ისაა, რომ ჩვენ თვალი დავხუჭეთ იმ მაქინაციებზე, რომლითაც პრეზიდენტმა ყარზაიმ არჩევნებში „გაიმარჯვა“ და თავისი კორუმპირებული რეჟიმის მართვა განაგრძო. შემდეგ პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ჩვენი პოლიტიკა კონტინგენტის რაოდენობის გაზრდა იქნება, რათა დავამარცხოთ თალიბები და ავღანეთის „კარგმა“ ხელისუფლებამ ჩვენი ადგილი დაიკავოს. ასეთი ხელისუფლება არ არსებობს. **ჩვენი პრობლემა ის კი არაა, რომ ავღანელებმა ბრძოლა არ იციან, არამედ ის, რომ ავღანელებს არ სურთ თავიანთი ხელისუფლებისთვის იბრძოლონ.**

ვინ იომებდა ყარზაის რეჟიმისთვის, ჩვენ რომ ფულს არ ვუხდიდეთ?

რაც შეეხება პაკისტანს, იქ არმიას იმისთვის ვუხდით ფულს, რომ ორსახოვანი იყოს, რადგან, თუ ყველაფერს თვითდინებაზე მივუშვებთ, მდგომარეობა ჩვენს საწინააღმდეგოდ შემობრუნდება. როდესაც ბაჰრეინში მმართველმა სუნიტებმა დაარბიეს შიიტების მოძრაობა, რომელიც ხელისუფლების განაწილების მოწოდებებით გამოდიოდა, ჩვენ ისეთი პოზა დავიჭირეთ, თითქოს არაფერი ვიცოდით. ჩვენ ასევე მდუმარედ ვუყურებდით, თუ რო-

© „ღვინისფერი ლაბირინთი“

გორ განაგრძობდა ჩვენი მოკავშირე ისრაელი მშენებლობებს იორდანიის დასავლეთ სანაპიროზე, თუმცა მშვენივრად ვიცით, რომ ეს კატასტროფაა მისი ევროპული დემოკრატიისათვის.

ჩვენ არ ვეუბნებით პაკისტანს სიმართლეს, იმიტომ, რომ მას ბირთვული იარაღი აქვს. არ ვეუბნებით სიმართლეს საუდელებს, იმიტომ, რომ მათ ნავთობზე ვართ დამოკიდებულნი. არ ვეუბნებით სიმართლეს ბაჰრეინს, იმიტომ, რომ მისი სამხედრო-საზღვაო ბაზა გვჭირდება, არ ვეუბნებით სიმართლეს ეგვიპტეს, იმიტომ, რომ გვეშინია, კემპ-დევისის შეთანხმებიდან არ გავიდეს. ჩვენ არ ვეუბნებით სიმართლეს ისრაელს, იმიტომ, რომ მასზეა დამოკიდებული ამომრჩეველთა ხმები და ჩვენ არ ვეუბნებით სიმართლეს ყარზაის, იმიტომ, რომ ობამას ეშინია, მაკკეინმა სუსტი არ უწოდოს.

კარგი ვერაფერი აშენდება ნიადაგზე, რომელიც ჩვენი მხრიდან ამდენი სიცრუითაა გაჟღენთილი, მათი მხრიდან კი — თემთაშორისი დაპირისპირებით, ფუნდამენტალიზმითა და ნავთობით.

აღმოსავლეთ ევროპა: დემოკრატიის დასავლური მოდელი არ ამართლებს

არაბული სამყაროს „დემოკრატიზაციის“ პროცესი, რომლის მზარდი ტემპებიც წარმოუდგენელ საინფორმაციო ხმაურს განაპირობებს, სახიფათო საქმეა. ყველა სახელმწიფო არაა მზად საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების დემოკრატიზაციისთვის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორების — ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და დაცულობის, სოციალური სტაბილურობისა და მორალური სიჯანსაღის არარსებობის გამო.

ლიდერებს აქვთ სერიოზული და საფუძვლიანი პრეტენზიები: შემოუშვებ დემოკრატიას და აღმოჩნდები სახელმწიფო სტრუქტურის გახლეჩის წინაშე საზოგადოებაში, სადაც თავისუფლებას აუცილებლად აღიქვამენ როგორც ყველაფრის უფლებას, ანარქიას და არც არავინ შეეცდება თუნდაც ოდნავ მის შეზღუდვას მორალურ-ეთიკური ჩარჩოებითაც კი.

აღმოსავლეთი ევროპა სწორედ ასეთი შემაშფოთებელი და საშიში მაგალითია: გაუთვლელი, უსაფუძვლო, „უმი“ დემოკრატია. დასავლური დემოკრატიული მოდელის დაჩქარებულმა დანერგვამ შედეგად ის განაპირობა, რომ რეფორმირების პროცესმა მანამდე იჯახირა, სანამ საბოლოოდ ჩიხში არ მოამწყვდიეს... ამასთან, სასტარტო შესაძლებლობები და პირობები აქაც ზუსტად ისეთივე იყო, როგორშიც დღეისათვის „რევოლუციური არაბული სამყარო“ ცხოვრობს.

გერმანელების მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ევროპის მრავალი მოქალაქე, რომელიც ყოფილი კომუნისტური ბანაკის სახელმწიფოებში ცხოვრობს, ვერ ეგუება „დემოკრატიულ კერძებს“. აღმოსავლეთ ევროპაში რეფორმების დაპირებები და მათი

პერსპექტივები ისევე გაქრა, როგორც კომუნისტური მემკვიდრეობის ლაქები. ვაკუუმი კი შეუვსებელი დარჩა.

გაქრნენ დიდი ხნის შეუღებავი ფასადები და უხასიათო გამყიდველები, რომლებიც თავიანთ ფრჩხილებზე ახლადწასმული მანიკურით ტკბებოდნენ და სულაც არ ჩქარობდნენ ან საერთოდაც ივიწყებდნენ მყიდველთა მომსახურებას.

სამაგიეროდ შემორჩა წარსული არქიტექტურის პომპეზური შედევრები, რომლებიც თვალს ნამდვილად არ ახარებს, მაგრამ ყველას ახსენებს „აღმოსავლური ბლოკის“ მუდმივობას და ვერ ნახავთ ვერანაირ განსხვავებას აღმოსავლეთ ევროპის ახლანდელ თაობასა და მათ დასავლელ თანატოლებს შორის.

მაგრამ საქმე მხოლოდ ეს არაა და **ევროპელი ექსპერტები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ ევროპის აღმოსავლეთში მოვლენები სულაც არ ვითარდება ისე, როგორც იყო ჩაფიქრებული თავიდან, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გარდაქმნის გეგმის მიხედვით. ყველაფერი უკან-უკან მიდის, პროგრესის საწინააღმდეგოდ. ადამიანების შთამაგონებელი ენთუზიაზმი დიდი ხანია გაქრა. ხალხი განსაკუთრებით უკმაყოფილო იმ რეფორმებითაა, რომლებსაც მათ თავს ახვევენ როგორც გარდაუვალ პირობას ევროკავშირში შესასვლელად.** სოციალური კვლევები საგანგაშო შედეგებს აჩვენებს: **რეფორმები შეჩერდა ევროპის სამხრეთ აღმოსავლეთით, ბალკანეთში, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. სოციოლოგები მშრალად აცხადებენ, რომ დემოკრატიული პროცესების დინამიკა არ შეიმჩნევა.**

გამოდის, რომ აღმოსავლეთ ევროპა არ იღებს დასავლეთევროპული დემოკრატიული ფასეულობების მოდელს, რომელმაც, უბრალოდ, არ იმუშავა ამ რეგიონში.

მთელი ეგრეთ წოდებულ ყოფილი საბჭოთა ევროპა არა მხოლოდ შეჩერდა განვითარების მხრივ, არამედ უკანაც მიდის. **სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ უკრაინა და საქართველო, რომელთაგანაც, პირველ რიგში,**

ელოდნენ წარმატებას, საერთოდ გადავიდნენ პროგრესის გზიდან და ეგრეთ წოდებული სამარცხვინო დემოკრატია მოიპოვეს.

ზოგან უარესიც ხდება: ბოსნიაში, მაკედონიაში, ჩერნოგორიაში, ჰერცოგოვინაში, კოსოვოში, ალბანეთსა და იმ ქვეყნებში, რომლებსაც ამ ჩამონათვალში ვერ ხედავთ, დემოკრატია მართლაც სამარცხვინო ფორმითაა წარმოდგენილი. ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა ბალტიის ქვეყნებში, რომლებზეც ექსპერტები ამბობენ, რომ მიმდინარეობს დემოკრატიის გამყარების პროცესი.

სამწუხაროდ, აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც დიდი ხნის მანძილზე სულ სხვა სამყაროს ნაწილი იყო, დრო უქმად იკარგება იძულებითი პრინციპის „გააკეთე ჩემსავით“ რეალიზებაზე. და აი შედეგიც: ამ რეგიონის ქვეყნებმა ვერ შექმნეს ვერც მტკიცე პოლიტიკური სისტემა, ვერც ნორმალური საბაზრო ეკონომიკა, ვერც სახელმწიფო ადმინისტრირებული მმართველობა ახალი დროის შესაბამისად.

დასავლური მოდელით გატაცებას სიკეთე არ მოაქვს. მაგალითად, უნგრეთი 2006 წლისთვის ევროპის დემოკრატიზაციის მეოთხე ცენტრად დასახელდა, ახლა კი მე-17 ადგილზეა. როგორც ამბობენ, „პროცესი ვერ წარიმართა“.

ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდგომარეობა გაცილებით უკეთაა. კომუნისტური ბანაკის ცხრა სახელმწიფომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა კი, რომელიც დიდი დაჟინებით აკაკუნებს ევროკავშირის კარზე, ბაზრისკენ მიმავალ გზაზე ძალზე სუსტი მაჩვენებლების დემონსტრირებით შემოიფარგლება. როგორც ჩანს, ამ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობებისადმი ნდობა ჯერაც არ აქვთ. მიმდინარეობს პოლიტიკური ცხოვრების პოლარიზაცია, ოპოზიციურად განწყობილ ბლოკებს შორის დაპირისპირებები. და ამ ქვეყნებში **სულ უფრო ხშირად გაიგონებთ ვარაუდს, რომ ევროკავშირის წევრობა სულაც არაა გარანტია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანა ჩამორჩენილ წარსულში არ აღმოჩნდეს.**

© „ღამისფრთიანი ოინიფერი“

აღმოსავლეთ ევროპაში იგივე პრობლემებია, რაც არაბულ რეგიონში: სიღატაკე, სიძვირე, უმუშევრობა, ინფლაცია. არადა, იქ ხომ დასავლურ თარგებზე აპირებდნენ ცხოვრების გადაკეთებას. ეს თარგი არ გამოდგა: სიღატაკიდან კვლავ სიღატაკეში? იქნებ რევოლუციონერებმა რაიმე ახალი გზა შემოგვთავაზონ?

ნამდვილი ბოროტების იმპერია

რეიგანმა იცრუა, როდესაც საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა! თუმცა ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ყველაზე ხმამაღლა თავად ქურდი ყვირის: „დაიჭირეთ ქურდი“! საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია გაგანია ცივი ომის პერიოდში საშუალო დონის მსახიობმა და ასეთივე პრეზიდენტმა — როლანდ რეიგანმა უწოდა. ეს ფორმულირება უმალ მოიწონა რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ და მთელი დასავლური სამყარო უმალ დაირაზმა ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მათი ჩანაფიქრი ასრულდა, სამწუხაროდ, სრულად: საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა არსებობა, როგორც ერთიანმა სახელმწიფომ, და დაიფანტა ცალკეულ ქვეყნებად, რომლებითაც იოლი იქნებოდა მანიპულირება და რომელთაც

იოლად დაუმორჩილებდნენ თავის პოლიტიკურ ნებას. დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოცბანაკი ასევე ჩაიძირა, „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მსოფლიო წამში იქცა მონოპოლარულად. თითქოს „კეთილმა ძალებმა“ დაამარცხეს ბოროტების იმპერია და პლანეტაზე მშვიდობა და კეთილდღეობა უნდა დამყარებულიყო, მაგრამ მართლა ასეა?

დღეს გარკვევით ვხედავთ, ვინ იყო და არის ბოროტების განსხეულება — ეს ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები არიან. **ამერიკა შედარებით ახალგაზრდა აგრესიული სახელმწიფოა, რომელმაც ბრიტანეთისგან მისი კოლონიალური ძლევამოსილების დროინდელი არც თუ საუკეთესო პოლიტიკური პოსტულატები შეითვისა.** მაგალითად, ასეთი: **„ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ ᲐᲠ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲐᲠᲪ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲫᲕᲡ...“ ᲓᲐ ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲒᲚᲔᲯᲘᲚᲘ ᲤᲠᲐᲖᲐ ᲐᲠᲐᲐ, ᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲒᲣᲚᲐᲐ.**

შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა: რაღა საჭიროა ნატო ან სხვა სამხედრო ბლოკები, რომლებიც საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ შეიქმნა, თუ მოწინააღმდეგე ქვეყანამ, უკვე დიდი ხანია, შეწყვიტა არსებობა? ან რა საჭიროა ამ ბლოკის სამხედრო პოტენციალის მუდმივი ზრდა, სამხედრო ბაზების მატება, ბირთვული იარაღის არსენალის გამდიდრება?

თუ აშშ კეთილი ძალაა, მაშ, რაში სჭირდება მსოფლიოში პოლიტიკური მდგომარეობის მუდმივი დესტაბილიზება? **საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ს სრულად გაეხსნა ხელფეხი, მან თავი პლანეტის აბსოლუტურ მბრძანებლად იგრძნო. გარკვეული დროით ეს მართლაც ასე იყო და უკანასკნელი 20 წლის მანძილზე აშშ აქტიურად ზრდიდა საკუთარი გავლენის სფეროებს**.

პირველ რიგში, აშშ-მა სპარსეთის ყურის ბუნებრივ რესურსებზე გააძლიერა კონტროლი. ამ რეგიონის მნიშვნელოვნებაზე თავის დოქტრინაში ჯერ კიდევ 1980 წელს სა-

უბრობდა კარტერი. მისი მრჩეველის, ზბიგნევ ბჟეზინსკის მიერ დაწერილ ტექსტში აღნიშნული იყო: **„დაე, ჩვენი პოზიცია აბსოლუტურად ნათელი იყოს: რაიმე გარეშე ძალების მცდელობები, მოიპოვონ გავლენა სპარსეთის ყურის რეგიონზე, განხილული იქნება, როგორც აშშ-ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებზე თავდასხმა** და აცილებულ იქნება ნებისმიერი აუცილებელი საშუალებით, მათ შორის სამხედრო ძალითაც“. და მართლაც, საკმარისი იყო ერაყის ლიდერს, სადამ ჰუსეინს შტატებისთვის რაღაც შფოთვის საფუძველი მიეცა 90-იან წლებში და აი შედეგიც: ორი ომი ერაყთან გაეროს მანდატით. ქვეყანა ამ დრომდე ოკუპირებულია ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცების მიერ, თავად ჰუსეინი კი, კარგა ხანია, ჩამოახრჩეს. შეუგნებელთათვის ფრიად თვალსაჩინო მაგალითია. არავითარი მტრები და მეგობრები, მხოლოდ ინტერესები...

ცხადია, ამერიკის „ინტერესები“ ამით არ შემოიფარგლება. გავიხსენოთ იუგოსლავია, რომელსაც 1999 წლის 24 მარტს ნატოს ძალები ერთდროულად დაესხნენ თავს ზღვიდან და ჰაერიდან, ბომბავდნენ ბელგრადს. მაშინ ნატოელები, კვლავაც გაეროს მანდატით კოსოვოს ალბანელებს „იცავდნენ“. მანამდე იყო ბოსნიასა და ჰერცოგო-

ვინაში სერბული ჯარის საწინააღმდეგო აქცია, რომელსაც „მშვიდობისმყოფელები“ კი უწოდებდნენ „ჰუმანიტარულ ინტერვენციას“, მაგრამ ეს ნამდვილად საბრძოლო მოქმედებები იყო. ამ შემთხვევაში **აშშ-ს მნიშვნელოვანი ტრანსნაციონალური გზების გადაკვეთის წერტილი აინტერესებდა.** ეს მსოფლიოს საკვანძო რეგიონია.

აშშ-მა დაამტკიცა, რომ თავის ყველა მასწავლებელს აჯობა მზაკვრობაში. „დახმარების“ შედეგად ვაშინგტონმა ხელში ჩაიგდო სარეზერვო ევროპული პლაცდარმი მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რეგიონში და ევროპელებს ცხვირწინ მოუწყო „ცხელი წერტილი“ დაბალი ინტენსივობის კონფლიქტების გაღვივებით. პარალელურად გაიუმჯობესა ურთიერთობები ისლამურ სამყაროსთან და საფუძველშივე მოსპო რეგიონში პრორუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ყველანაირი პერსპექტივა.

ახლაც არავინ იცის, რამ მოკლა თავის კამერაში პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი, რომელიც „ფერადი რევოლუციის“ შედეგად 2000 წელს ჩამოაგდეს, დააპატიმრეს და ჰააგის ტრიბუნალს გადასცეს.

რაც შეეხება „ფერად რევოლუციებს“, ეს ყველაზე ხარისხიანი და მოწინავე მეთოდია სახელმწიფოს გეოპოლიტიკური და შიდაპოლიტიკური ორიენტაციის შესაცვლელად. ამგვარი რევოლუციების ტექნოლოგია აშშ-მა დიდი ხნის წინ დაამუშავა და პირველად ტუნისში გამოსცადა 1987 წელს „ჟასმინის რევოლუციით“. შემდეგი ყველასთვის კარგად ცნობილი 1989 წლის მოვლენები იყო ჩეხოსლოვაკიაში. ამის შემდეგ კი 11-წლიან შესვენებას იუგოსლავიის „ბულდოზერების რევოლუცია“ მოჰყვა და აშშ-მა ხან წარმატებული, ხანაც თითქმის წარუმატებელი „ფერადი რევოლუციების“ მთელი სეზონი გახსნა.

2003 წელს — საქართველო, 2004 წელს — უკრაინა, 2005 წელს — ყირგიზეთი და ლიბანი, 2006 წელს — ბელარუსში გადატრიალების მცდელობა, 2008 წელს — წარუმატებელი მცდელობა სომხეთში, 2009 წელს — მოლ-

დავეთის მოვლენები, რის შედეგადაც კომუნისტებმა პარლამენტში უმრავლესობა დაკარგეს, 2010 წელს — კვლავ ყირგიზეთი, 2010-2011 წლებში — კვლავ ტუნისი, 2011 წელს — ეგვიპტე და, როგორც ჩანს, ანალოგიური სცენარი სულ მალე ალჟირშიც დაიდგმება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ს სხვა გასართობებიც ჰქონდა. მაგალითად, ტოტალური ომი მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ. მშვენიერია, თუ არსებობს მსოფლიო ტერორიზმი, მაშინ მას შეიძლება ეომო მთელ მსოფლიოში, თუნდაც ავღანეთში. **ამერიკას ისტორია ვერაფერს ასწავლის. საეჭვოა, მისი ჯარი ავღანეთიდან ისევე გამოვიდეს, როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირისა — სალაშქრო კოლონით, გაშლილი დროშებით, ორგანიზებულად და დანაკარგების გარეშე. სავარაუდოდ, აშშ ავღანეთიდანაც ისევე წავა, როგორც ვიეტნამიდან: ვინც როგორ მოახერხებს, ისე გაიქცევა პანიკით შეპყრობილი და გზადაგზა დაყრის ყველაფერს, რასაც ზურგზე ვერ მოიკიდებს.** და თუ ისინი ყურანის დაწვას განაგრძობენ, შეიძლება ყველაფერი კიდევ უფრო უარესად დასრულდეს. მუსლიმანები ამგვარ გამოხდომებს არ ივიწყებენ და არ პატიობენ.

სულ ახლახან მოულოდნელად გულის გადაშლა მოინდომა ნიქსონის ყოფილმა მრჩეველმა და ცივი ომის ექსშევარდენმა **ჰენრი კისინჯერმა**. მისი აპოკალიფსი დაახლოებით ასე გამოიყურება: **აშშ-მა უნდა დაიპყროს ახლო აღმოსავლეთის შვიდი ქვეყანა მათი რესურსების ხელში ჩაგდების მიზნით და მან ეს თითქმის გააკეთა კიდეც. დარჩა მხოლოდ ირანი. პირველმა ირანს ისრაელმა უნდა დაარტყას და, რაც მეტი არაბი განადგურდება, მით უკეთესი. რუსეთი და ჩინეთი ომში უნდა ჩაითრიონ და უნდა გაუსწორდნენ, როგორც სუსტებს. ომის შემდეგ კი შეიქმნება ერთი ზესახელმწიფო ერთი მსოფლიო ხელისუფლებით.**

და ძნელი მისახვედრი არაა, სად განლაგდება ეს მსოფლიო ხელისუფლება.

კისინჯერს აშკარად ასაკი დაეტყო, მაგრამ მისი წინას-

© „ღვასკვამსწავლი“

წარმეტყველება აშშ-ის სამოქმედო რეალური პროგრამაა. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე აშშ სწორედ ამ პროგრამას ახორციელებს და, თუ მის ბოლომდე მიყვანასაც აპირებს, გამოდის, რომ ახალი მსოფლიო ომის ზღვარზე ვდგავართ.

სირია ირანის მოკავშირეა და ისიც აშშ-ის ახლოაღმოსავლური ინტერესების სფეროში შედის. სწორედ ამიტომაა ამ ქვეყანაში დაუსრულებელი აქციები, დესტაბილიზაცია და ხოცვა-ჟლეტა. მსოფლიო მედია ირწმუნება, რომ სირიაში უბრალო ხალხი ბაშარ ასადის ტირანიის წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ რეგულარული არმია მუდამ უცხოელ ჯარისკაცებს ატყვევებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველას ჩამოეხსნა ნიღაბი და თანამედროვე ამერიკაც თავისი ამაზრზენი ქმედებების ლამაზი ჟესტების უკან დამალვას აღარ ცდილობს. ან კი ვის უნდა მოერიდოს? მას არავისი ეშინია და არავის უწევს ანგარიშს. მას არ ჰყავს მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები. სამაგიეროდ აქვს ინტერესები და ამ ინტერესებს წარმოუდგენელი სიხარბითა და დაუნდობლობით იცავს ნამდვილი ბოროტების იმპერია.

როგორ დამალა ამერიკამ საკუთარი რევოლუცია არაბულის მიღმა

ცხადია, აშშ-ს აფრიკული რევოლუცია ხელს აძლევდა. მისი წყალობით, ვაშინგტონმა მსოფლიოსგან დამალა ის კოშმარი, რომელიც აშშ-ში ხდება. შტატების თითქმის ნახევარი, უზარმაზარი კალიფორნიიდან პატარა მასაჩუსეტსამდე, მასობრივი აქციების ქარ-ცეცხლშია გახვეული. ზოგან ამ აქციებში ასიათასობით ადამიანი მონაწილეობს. პროტესტანტები ადმინისტრაციულ შენობებს უტევენ და ადგილობრივი ხელისუფლებების ორგანოთა მუშაობას ბლოკავენ. სასამართლოები გადავსებულია სარჩელებით, შტატების პარლამენტებში კენჭისყრა შეძახილ „სირცხვილის“ ფონზე მიმდინარეობს, დემოკრატები და რესპუბლიკელები კი ხელმოწერებს აგროვებენ, რომ ერთმანეთის რეკორდული რაოდენობის დეპუტატები გაიწვიონ.

© „ღვასუბლიანი ეროვნული“

2010 წლის ნოემბერში ჩატარებული შუალედური არჩევნების შედეგად მრავალ შტატში ხელმძღვანელობა შეიცვალა — ძირითადად, დემოკრატიული — რესპუბლიკურით. ახლა საუკეთესო დროა, თუნდაც ადგილობრივ დონეზე, ქვეყანა სოციალიზმისგან გადაარჩინონ და პარალელურად დემოკრატებს ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი ჩამოაშორონ.

50 შტატიდან 18-ის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ბიუჯეტის დეფიციტის დასაძლევად პროფკავშირების უფლებების შეკვეცას აპირებს. ამ განზრახვის მთავარი მიზანი ყველგან ერთი და იგივეა: წაართვან საბიუჯეტო პროფკავშირებს დამსაქმებელთან, ანუ სახელმწიფოსთან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების საშუალება. ეს ერთადერთ რამეს ნიშნავს: ექიმების, მასწავლებლების და სხვა სახელმწიფო მოხელეთათვის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება. არანაირი საბიუჯეტო დეფიციტი ამად არ ღირს. სწორედ ამ აზრისაა აშშ-ის მრავალი მოქალაქე, მათ შორის — თავად პრეზიდენტი ობამაც, რომელმაც შტატების ინიციატივას „პროფკავშირებზე შეტევა“ უწოდა.

განსაკუთრებით მწვავედ პროტესტი ვისკონსინის შტატმა გამოხატა. შტატის დედაქალაქის ქუჩებში ასი ათასი ადამიანი გამოვიდა, თანაც — რამდენიმეჯერ. კვირების მანძილზე პროტესტანტებს ეკავათ შტატის პარლამენტი და დეპუტატებს დანაშაულებრივი შესწორებებისთვის კენჭისყრის საშუალებას არ აძლევდნენ. **ვისკონსინის ანტიპროფკავშირული შესწორებებისგან გადასარჩენად ოპოზიციონერი დემოკრატი პარლამენტარები მეზობელ ილინოისში გაიქცნენ და რესპუბლიკელებს კვორუმი ჩაუშალეს. მაგრამ ეშმაკმა რესპუბლიკელებმა კანონპროექტიდან კვორუმის აუცილებლობასთან დაკავშირებული ყველაფერი ამოშალეს და ანტიპროფკავშირული შეზღუდვები უბრალო ხმათა უმრავლესობით მიიღეს.** ამრიგად, ვისკონსინის პროფკავშირს ჩამოერთვა შესაძლებლობა, კოლექტიური შეთანხმებები გააფორმოს რაიმე პარამეტრით, გარდა ხელფასისა, რომლის მაქსი-

მალურ ზრდასაც რესპუბლიკელები ინფლაციის ტემპით განსაზღვრავენ.

ამრიგად, დაპირისპირებამ ქუჩებიდან და პარლამენტიდან სასამართლოებში გადაინაცვლა. 29 მარტს სასამართლომ დროებით შეაჩერა ახალი კანონის ძალაში შესვლა, მაგრამ ყველაფრის უკან დაბრუნება, სავარაუდოდ, ვეღარ მოხერხდება. ვისკონსინში სიტუაციას რესპუბლიკელები აკონტროლებენ და მათ მტკიცედ სწამთ, რომ ამგვარი ზომებით ამომრჩეველთა შორის კეთილგანწყობას მოიპოვებენ.

სინამდვილეშიც ასეა. **ათასობით ამერიკელი ქუჩაში გამოდის, მილიონობით კი — სახლში ზის და ითვლის, რამდენის გადახდა უწევს ამ საბიუჯეტო შტატებისა და მათი პროფკავშირების შესანახად. ამერიკელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მთავრობამ ბიუჯეტის პრობლემები არა ახალი გადასახადებითა და ვალებით, არამედ ხარჯების შემცირებით უნდა მოაგვაროს. ამერიკელებს ესმით, რომ ჯანდაცვასა და განათლებაზე დახარჯული დიდი ფული ამ მომსახურებათა მაღალი ხარისხის გარანტია არ არის.** ამის დასამტკიცებლად ახალგაზრდა მასწავლებლის მეგან სემპსონის მაგალითიც კმარა. 2010 წელს მან მოიღო „შტატის საუკეთესო ახალგაზრდა მასწავლებელის“ ტიტული, ამის შემდეგ კი შემცირებაში მოჰყვა და ვერაფერმა უშველა, რადგან, პროფკავშირის კოლექტიური შეთანხმების პირობების თანახმად, შემცირება ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომლების ხარჯზე უნდა განხორციელებულიყო.

საბიუჯეტო ორგანიზაციების პროფკავშირების კონცეფცია არც თუ ისე ეფექტურია. კერძო დაწესებულებათა თანამშრომლებს ხელფასის გაზრდა კი უნდათ, მაგრამ იმაზეც ფიქრობენ, რომ თავიანთი დამსაქმებელი არ გააკოტრონ და შუალედს იცავენ. საბიუჯეტოების შემთხვევაში ეს შუალედიც არ არსებობს. უფრო მეტიც, პოლიტიკოსები ცდილობენ, რაც შეიძლება ხშირად გაუზარდონ მათ ხელფასი, რომ მათი კეთილგანწყობა და ხმები მოიპოვონ. ყველაფერი კი გადასახადების გადამხდელთა

© „ღვინისფერი ოქროსფერი“

ზურგზე გადადის. ისინი პოლიტიკოსებსა და საბიუჯეტო შტატებს შორის ამ გარიგებაში სულაც არ მონაწილეობენ, მაგრამ ერთსაც და მეორესაც საკუთარი ჯიბიდან აფინანსებენ.

მალე საბიუჯეტო მშრომელთა პროფკავშირები, რომელშიც ამ სექტორში დასაქმებულთა 36%-ია გაერთიანებული, აშშ-ის ეკონომიკიდან საერთოდ გაქრება. არც დამსაქმებლებს და არც დასაქმებულებს არანაირი სურვილი არ აქვთ, პროფკავშირებში ვიღაც უსაქმურები არჩინონ.

ამერიკული აგენტურა სერბეთში ხელისუფლებისკენ მიისწრაფვის

ნიკოლიჩი
და ვუჩიჩი

„არაბული რევოლუციების“ ტალღამ, პირველ რიგში, შესაძლოა, არა კავკასიის ან ცენტრალური აზიის, არამედ ბალკანეთისკენ გადაინაცვლოს. სერბეთის პროგრესულმა პარტიამ (სპპ) გადაწყვიტა, „მოქალაქეების ყველაზე მასიური, მშვიდობიანი და დემოკრატიული ყრილობა“ — ოპოზიციის მიტინგი ჩაეტარებინა და მმართველი კოალიციისგან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა მოეთხოვა. პარტიის ლიდერები ნიკოლიჩი და ვუჩიჩი იმუქრებოდნენ, რომ ქუჩაში გამოიყვანდნენ 100 ათას ადამიანს, რომლებიც პარლამენტის წინ მანამ ისხდებოდნენ პენოპოლისტეროლის ბლოკებზე, ვიდრე თავისას არ მიაღწევდნენ. ნიკოლიჩ-ვუჩიჩის მიერ ჩაფიქრებულმა აქციამ უკვე მოიპოვა ბოლო წლების ფერად რევოლუციებს შორის ყველაზე

ორიგინალური სახელწოდება — „პენოპოლისტეროლის რევოლუცია“.

თავის დროზე ნიკოლიჩ-ვუჩიჩის დაჯგუფების ვიოსლავ შეშელის სერბეთის რადიკალური პარტიიდან (სრპ) გასვლა სერბეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით ამ დაჯგუფების საიდუმლო პოზიცია გახდა. მაშინ სპპ-ის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ და ყოფილმა გენერალურმა მდივანმა მმართველი კოალიციისგან, რომლისთვისაც პოლიტიკის ალფა და ომეგა ევროკავშირთან სერბეთის მიერთება იყო, ამ სტრატეგიული ინიციატივის მითვისება მოინდომა. ნიკოლიჩმა და ვუჩიჩმა ევროკავშირი თავიანთ პირად პრიორიტეტად გამოაცხადეს და ამ დროიდან დაიწყო შეჯიბრი, ვინ უკეთ უზრუნველყოფდა ევროკავშირის (და აშშ-ის) ინტერესების მომსახურებას.

ნატოს სამხედრო აგრესიის შემდეგ სერბეთი, უკვე 12 წელია, ბრიუსელისა და ვაშინგტონის ზეწოლის ქვეშ იმყოფება. მათ, სერბეთის ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებით, მთელი რიგი პირობები აქვთ. პირველი და მთავარი რატკო მლადიჩისა და გორან ხაჯიჩის გადაცემაა, მეორე და უმთავრესი — ქვეყნის „რეგიონალიზაცია“ და „დეცენტრალიზაცია“ (მისი რამდენიმე ევრორეგიონად დანაწილება). მოთხოვნების განსაკუთრებული პაკეტი კი კოსოვოს ეხება: სერბეთს ამ შემთხვევაში „კეთილმეზობლური ურთიერთობების“ დამყარება ევალება. ყველა ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით სერბეთის მოსათვინიერებლად დასავლურმა ბლოკმა უკვე ყველა ზომას მიმართა: სანქციებს, სამხედრო აგრესიას, სერბეთის ტერიტორიის გასხვისებას, ანტისერბულ პროპაგანდას...

ცრპ-ში განხეთქილების მოწყობის შემდეგ ნიკოლიჩ-ვუჩიჩის დაჯგუფების ხელში ნაციონალურ-პატრიოტულმა იდეოლოგიამ, რომელმაც რადიკალები ზეპოპულარულ პოლიტიკოსებად აქცია, ადგილი სხვა რიტორიკასა და სხვა ქმედებებს დაუთმო. **ორ-ნახევარ წელიწადში კი ნიკოლიჩ-ვუჩიჩის დასავლეთისკენ ლტოლვამ პარტიის რადიკალურ პროდასავლურ ორგანიზაციად ქცევა და ყველაფრის „ნარინჯისფერ“ დასასრულამდე მიყვანა განაპირობა. ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲒᲐᲜ ᲘᲡ ᲛᲝᲫᲜᲘᲚᲘ**

პოპულისტური რიტორიკა განასხვავებს, რომელიც უკლებლივ ყველანაირ გემოვნებას დააკმაყოფილებდა და აქ აშკარად იგრძნობა უცხოელი პოლიტტექნოლოგების გამოცდილი ხელი.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია სპპ-ს მრჩევლის თანამდებობაზე ამერიკელი დიპლომატის — მონტგომერის ოფიციალური დანიშვნა. მის მოვალეობებში, სხვა მრავალთან ერთად, ნიკოლიჩისთვის ამერიკის კონგრესის გავლენიან ადამიანებთან, დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრების ორგანიზება და სპპ-ისთვის იმ ქმედებების რეკომენდირებაც შედის, რომლებიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შემოქმედთა თვალში მისდამი ნდობას განაპირობებს. ამ ქმედებების ნუსხაშია კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, ქვეყნის დაყოფა „ევრორეგიონებად“, სერბეთის შესვლა ევროკავშირსა და ნატოში (კოსოვოში მდებარე აშშ-ის მსოფლიოში უმსხვილესი სამხედრო ბაზის — „ბონდსტილის“ ირგვლივ რაკეტსაწინააღმდეგო ფარის განთავსების ჩათვლით), იმ შიდა რეფორმების გატარება, რომელთა შედეგადაც სერბეთი მთლიანად გარედან მართულ ქვეყანად იქცევა.

სერბეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე აშშ-ისა და ევროკავშირის მრავალწლიანი დიქტატის, რეგიონში ალბანური ნარკოკრიმინალუ-

რი და სეპარატისტული აქტივობის ფონზე მოქმედებათა ასეთი ნაკრები სერბული გეოპოლიტიკური სივრცის განადგურების პროცესის სავსებით ლოგიკური დასასრულია.

დასავლელი პატრონები თავიანთ აგენტებს წვრილმანებშიც კი არ ანიჭებენ მოქმედების თავისუფლებას, ამიტომ ნიკოლიჩი იძულებული გახდა, შეხედულება შეეცვლევინებინა სერბებისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებითაც კი, როგორიც ჰააგის ტრიბუნალთან თანამშრომლობაა.

16 აპრილს გამართულ უდიდეს ანტისახელისუფლო მიტინგზე მთავარი მოთხოვნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა იყო. საქმე ისაა, რომ ოქტომბერში ევროკომისია სერბეთს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიანიჭებს. სპპ-ის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ევროკავშირის მთავარ ფავორიტად იქცევა.

რაც შეეხება ევროკავშირის მთავარ მოთხოვნას — სერბეთის დეცენტრალიზაციას — ხელისუფლება და „ოპოზიცია“ ზუსტად ერთნაირ პოზიციაზე დგანან. **„ვოევოდინის ავტონომიის მიღწეული დონე არასდროს შეიცვლება და ამ მხრივ ვოევოდინის უნგრელთა კავშირს შეუძლია მშვიდად იყოს“,** — განაცხადა ნიკოლიჩმა, მაგრამ ვოევოდინის სეპარატისტები მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებენ, მათი „ავტონომიზაციის“ პროგრესირებადი პროცესი სულ უფრო შეუქცევადი ხდება. რადგან ვესელინოვმა, ვოევოდინელი უნგრების ერთ-ერთმა ყოფილმა ლიდერმა განაცხადა, რომ ვოევოდინის ხალხმა რეფერენდუმით უნდა გამოხატოს თავისი ნება — სურთ თუ არა კვლავ სერბებთან ერთად ცხოვრება. **„ვფიქრობ, რომ პასუხი უარყოფითი იქნება. ამიტომ ვოევოდინა სახელმწიფო უნდა გახდეს“,** — ხაზი გაუსვა მან. **ოფიციალური ბელგრადისა და „უმსხვილესი ოპოზიციური პარტიის“ პოზიციებში ამგვარი თანხვედრა მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ სერბეთი, კოსოვოს მსგავსად, ვოევოდინასაც დაკარგავს.**

სპეცსამსახურები და აშშ-ის მსხვილი ბიზნესი

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებები სულ უფრო ხშირად ინაცვლებს პოლიტიკური სიბრტყიდან ეკონომიკურზე, უფრო ზუსტად კი — ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციისათვის ბრძოლის სფეროში. კორპორატიული პრეფერენციების უზრუნველსაყოფად საქმეში ერთვება უკლებლივ ყველა მეთოდი, რომლებიც შექმნილი მდგომარეობის, ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების, კონკურენტების წარმატებებისა თუ წარუმატებლობების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას უზრუნველყოფს. სამეწარმეო შპიონაჟისგან გამოწვეული წლიური დანაკარგები მხოლოდ ერთი ქვეყნისთვის ათი ათასებიდან მილიარდობით დოლარამდე თანხებს მოიცავს. გასაკვირი არაა, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ამერიკის სადაზვერვო სამსახურების წინაშე დადგა საკითხი, სპეცსამსახურებისთვის კერძო კორპორაციების ინტერესების სასარგებლოდ მუშაობის ნება დაერთოთ.

ამერიკულ კორპორაციებს მსოფლიოში წამყვანი პოზი-

ციები უკავია, მათი ნაციონალური ინტერესების გლობალური ხასიათი კი კერძო სექტორისა და სპეცსამსახურების ურთიერთთანამშრომლობისთვის სერიოზული სტიმულია. **გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე ცივი ომის პერიოდში ჰქონდა. აქტუალურად დადგა საკითხი ამერიკული კორპორაციებისთვის სადაზვერვო მონაცემების მიწოდების შესახებ, რისი მიზანიც მსოფლიო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება გახდა. მასმედიაში პერიოდულად ჟონავს ინფორმაცია სამრეწველო ჯაშუშობასა და ამ ჯაშუშობასთან სპეცსამსახურების კავშირის თაობაზე, თუმცა მსხვილი ბიზნესის ინტერესების უზრუნველყოფის საქმეში სპეცსამსახურების როლის შესახებ საკითხი ამ დრომდე ღიად რჩება.**

პარადოქსალური კავშირი „ტრანსნაციონალური კორპორაციები და ნაციონალური სპეცსამსახურები“, სადაც პირველნი ნაციონალური საზღვრების მოშლის ტენდენციის მატარებელნი არიან, მეორენი კი — სწორედ ნაციონალური ინტერესების უზრუნველსაყოფად მომართულნი, ურთიერთსაპირისპირო მხოლოდ ერთი შეხედვითაა. **სახეზეა საყოველთაო ტენდენცია, გლობალური პროცესების გართულებასთან დაკავშირებით გაიზარდოს სპეცსამსახურების როლი თანამედროვე მსოფლიოში. რამდენადაც აშშ დღეისათვის გლობალური ინტერესების მატარებელი ერთადერთი ზესახელმწიფოა, მისი სპეცსამსახურებიც, შესაბამისად, ამ ტენდენციის ავანგარდში მოექცნენ. ამიტომ საზღვრების მოშლით ტრანსნაციონალური კორპორაციები სპეცსამსახურებთან ერთად მუშაობენ სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველმყოფელი და უდიდესი ფინანსური კაპიტალის მფლობელი საკმაოდ ვიწრო წრის წარმომადგენელთა პოზიციების გასამყარებლად.**

სახელმწიფო დაზვერვასა და ბიზნესს შორის ეკონომიკის, მაღალი ტექნოლოგიების, შეიარაღებისა და სხვა მსგავს საკითხებში ტრადიციული სახელმწიფოებრივი ფუნქციების გადანაწილება ობიექტური და კანონზომი-

ერი პროცესია. **სპეცსამსახურებისთვის გაცილებით იოლია, თავიანთი სპეციფიური მეთოდებით გადაჭრან ზოგიერთი საკითხი, მათ იციან, როგორ აუარონ გვერდი ბიუროკრატიულ და ტექნოლოგიურ დაბრკოლებებს და ამით დრო დაზოგონ. აშშ-ისა და კიდევ სხვა ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურები დღეს მხოლოდ ხელისუფლების ინსტრუმენტებს აღარ წარმოადგენენ, ისინი დამოუკიდებელი მოთამაშენი ხდებიან მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ არენაზე.**

აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების რეფორმირების პროცესში ამ საუკუნის დასაწყისში კანონმდებლობასა და სტრატეგიულ მიმართულებებში პრინციპული ცვლილებები განხორციელდა, რის საფუძველზეც საიდუმლო სამსახურებს ახალი ფუნქციები გაუჩნდა. **მათ წინაშე დადგა ამოცანები, რომელთაც მანამდე სპეცსამსახურები ოფიციალურად არ ასრულებდნენ: ამერიკული ბიზნესის პრიორიტეტული პოზიციების უზრუნველყოფა საერთაშორისო და შიდა ბაზრებზე, ქვეყანაში შემოდინებადი ფინანსური ნაკადების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, მსოფლიო ვაჭრობასა და ბიზნესში აშშ-ისთვის მომგებიანი წესების დამყარებისთვის ხელშეწყობა.**

სახელმწიფო სპეცსამსახურებსა და მსხვილი კორპორაციების უშიშროების სამსახურებს შორის ურთიერთქმედების პროცესი სულ უფრო ინტენსიური გახდა. მონაცემთა გაცვლისა და ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებების განხორციელების პროცესის დალაგება დიდწილად, მაგრამ არა სრულად, მომგებიანი იყო როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე კერძო კომპანიებისთვისაც. პირველი ზოგავს რესურსებს, „მალავს“ საკუთარ ინტერესებს „კერძო“ ინტერესების მიღმა და აქვს საშუალება, საჭიროების შემთხვევაში კერძო ინტერესებს დააკისროს პასუხისმგებლობა ჩავარდნებისა თუ კანონდარღვევებისა და ადამიანთა უფლებების შელახვისთვის; მეორე კი სახელმწიფოს მიერ დასახულ ამოცანებს ასრულებს საკუთარი კოლოსალური შესაძლებლობების გამოყენებითა და საკუთარი ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებით.

აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების რეფორმები მისი ფუნქციების ნაწილის ეფექტური და ეკონომიკურად დაინტერესებული ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის გადაცემით ხასიათდებოდა. ერთ-ერთ შედეგად იქცა ბიზნესის არატრადიციული მეთოდებით წარმოება არა ჩვეულებრივ კონკურენციაზე, არამედ სპეცსამსახურების ძალებსა და საშულებებზე დაყრდნობით.

სპეცსამსახურებისა და კერძო კომპანიების ურთიერთქმედება სხვადასხვა სქემის შესაბამისად ხორციელდება. მაგალითად, მსხვილ კომპანიას შეუძლია, გამოძიების ფედერალურ ბიუროს დახმარებისათვის მიმართოს სამრეწველო ჯაშუშობის აღსაკვეთად და აშშ-ში მომუშავე უცხოელი პარტნიორების შესახებ მონაცემთა მისაღებად, ასევე შეუძლია მიმართოს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს პოტენციური უცხოელი კონკურენტების შესახებ მონაცემთა გადასამოწმებლად. თავის მხრივ, ამერიკული დაზვერვა კერძო კომპანიებს იშველიებს სამხედრო და პოლიტიკური აქციების უზრუნველსაყოფად ერაყსა თუ ავღანეთში.

აშშ-ში ამგვარი ურთიერთქმედება არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. დაზვერვაზე ტრადიციული სახელმწიფოებრივი შეხედულებების მიმდევარნი აღნიშნავენ, რომ ეს პროცესები ხშირად სპეცსამსახურების მუშაობაში ოპერატიული და ანალიტიკური მიმართულებების სიმტკიცეს აზარალებს. მაგრამ საკადრო მზვერავის პოზიცია, რომელიც ტრადიციულად დაზვერვის სამსახურის თანამ-

შრომლისგან მხოლოდ სახელმწიფოსთვის, და არავითარ შემთხვევაში — კერძო ბიზნესისთვის, მსახურებას მოითხოვს, ახალ პირობებში მოძველებულად გამოიყურება. **ახალი საგარეოეკონომიკური და საგარეოპოლიტიკური რეალიები მოითხოვს არა მხოლოდ სპეცსამსახურების მთელი სახელმწიფო სისტემის ძალისხმევის გაერთიანებას, არამედ მის მჭიდრო ურთიერთქმედებას კერძო ბიზნესთან, რაზეც არაორაზროვნადაა საუბარი აშშ-ის 2009 წლის სადაზვერვო სტრატეგიაში.**

ცალკეულმა ექსპერტებმა მიიღეს თამაშის ახალი წესები, პრაგმატული პოზიცია დაიკავეს და თვლიან, რომ დროა, სახელმწიფო სპეცსამსახურების ბიზნესთან თანამშრომლობის ირგვლივ დისკუსიები ეთიკურიდან უტილიტარულ სიბრტყეში გადავიდეს. მაგალითად, ვაშინგტონის თავდაცვის ნაციონალური უნივერსიტეტის ინფორმაციული ოპერაციების სპეციალისტი დ. კუელი ამბობს: **„საკითხავია არა ის, რომ ამაში არის რაღაც ბოროტება ან რამდენად სწორია ეს მორალური თვალსაზრისით, არამედ ის, თუ რამდენად ეფექტურია ეს“.** სხვები, მაგალითად, ბიზნეს-დაზვერვის ცნობილი სპეციალისტი დ. პერი, პირიქით, ღელავს სახელმწიფო დაზვერვისა და ბიზნესის ესოდენ მჭიდრო კავშირის გამო და ამბობს: **„როდესაც კომპანიების ტოპ-მენეჯერები დასახმარებლად ცსს-ს მიმართავენ, ავიწყდებათ, რომ ეს უწყება ინფორმაციის მოსაპოვებლად ყველაზე უჩვეულო საშუალებებსა და მეთოდებს, მათ შორის ეთიკურად საეჭვოსაც, მიმართავს“.**

ამერიკელი ანალიტიკოსი მაიკლ რუბინი ცსს-ს „პრივატიზაციის“ შესახებ საკუთარ სტატიაში წერს, რომ „სადაზვერვო სისტემას შეეძლო გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანი ყოფილიყო. იგი განმარტავს, რომ ჯონ ნეგროპონტემ, სახელმწიფო დეპარტამენტის ეროვნული დაზვერვის დირექტორის თანამდებობიდან წასვლამდე თავის ახალ აპარატში სამუშაოდ მიიღო დაზვერვის 1500 თანამშრომელი, რომლებიც ბიზნესსტრუქტურებთან იყვნენ დაახლოებული და ახლო აღმოსავლეთთან ჰქონდათ კავშირი. ჯერ კიდევ რეიგანის, ბუშ-უფროსისა

© „ღიასაზოგადოება“

და კლინტონის პერიოდში დაწყებული საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკაში სახელმწიფო ფუნქციების პრივატიზაციის პროცესები ბუშ-უმცროსის ეპოქაში ახალ დონეზე ავიდა: დაზვერვა ხორციელდება ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან მჭიდრო კავშირში, ხშირად მათი ძალებითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით. ამ დროს ნეგროპონტეს მსგავსი მსხვილი სახელმწიფო ჩინოვნიკები თეთრი სახლის სახელით ამ ყველაფრის დაფარვას უწყობენ ხელს.

უნდა აღინიშნოს, 2009 წელს ბარაკ ობამას მიერ როგორც თეთრ სახლში, ასევე დაზვერვის სამსახურებში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს რაიმე პრინციპული ცვლილება არ მოჰყოლია და არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა. დაზვერვისა და ბიზნესის გაერთიანება ობიექტური პროცესია, რომლის შეჩერებაც არც ერთ ადმინისტრაციას არ ხელეწიფება. არც არავინ აპირებს, საკითხავი მხოლოდ ისაა, მოცემულ მომენტში ვის სასარგებლოდ მიმდინარეობს თამაში, ვინ ვის იყენებს და ვინ იღებს მეტ პრე-

ფერენციებს. ამის გარკვევა დღეს სულ უფრო რთულდება.

საუკუნის პირველ ათწლეულებში აშშ-ის ეკონომიკური უპირატესობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს მსხვილმა სამრეწველო კორპორაციებმა, პირველ რიგში კი — ფინანსურმა ჯგუფებმა და კერძო საინვესტიციო ფონდებმა, რომლებსაც ხელისუფლებასა და სპეცსამსახურებთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ. **მხოლოდ 2006 წელს აშშ-ის კერძო საინვესტიციო ფონდებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქტივების შესაძენად 400 მილიარდი დოლარი დახარჯეს. მათ დირექტორთა საბჭოებში არიან უმაღლესი რანგის გადამდგარი პოლიტიკოსები, ყოფილი ტოპ-მენეჯერები, რომელთაც ბიზნეს-საზოგადოებაში გავლენა შეინარჩუნეს, მაღალი რანგის სამხედრო პირები, დიპლომატები და სპეცსამსახურების გადამდგარი თანამშრომლები. ეს ადამიანები ხშირად საკუთარი სახსრებით ყიდულობენ ათობით მილიარდის ღირებულების აქტივებს. საიდუმლო სამსახურებთან კავშირები საშუალებას აძლევს, უზრუნველყონ მთავარი: პოტენციური პარტნიორის შემოწმება, პრეზიდენტებთან მინისტრებსა და მსხვილ ბიზნესმენებთან კონტაქტების დამყარება, ნებისმიერ დონეზე კონფიდენციალური მოლაპარაკებების მოწყობა. ასე რომ, „თავისუფალი და კეთილსინდისიერი კონკურენციის“ დრო შორეულ წარსულში დარჩა, სპეცსამსახურების შესაძლებლობებით სარგებლობის გამო კორპორაციები წარმოუდგენელ კონკურენტულ უპირატესობებს ფლობენ.**

სახელმწიფო დაზვერვა, თავის მხრივ, კორპორაციების საშუალებებს სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისთვის იყენებს. თანამედროვე პირობებში მსოფლიოში ამერიკის ჰეგემონია უზრუნველყოფილია მრავალმილიარდიანი კომერციული პროექტების წყალობით, რომლებშიც მოქმედებენ როგორც სახელმწიფო დაზვერვის ძალები, ასევე უშიშროების სამსახურების შესაძლებლობები და ტრანსნაციონალური კორპორაციების ფინანსები. **ნათელი მაგალითია ფინანსური ჯგუფი „კარლაილის“ მოღვაწეობა. ეს ჯგუფი 54,5 მილიარდი დოლარის აქტივებს**

© „ღვინისფერი ბინისფერი“

მართვს. უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში მის ინტერესებს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ-უფროსი იცავს. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ჯგუფის მიერ განხორციელდა ფინანსური შეღწევები მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში. ცრუ კომპანიების რთული ქსელისა და მზვერავების შრომის გამოყენებით კომპანიამ კონტროლი დაამყარა დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვაზე. დიახ, სწორედ ასეა, არსებობს საფუძვლები, ვიფიქროთ, რომ ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვას ამერიკული ფინანსური სტრუქტურები აკონტროლებს. ამ კორპორაციის საიდუმლოებების გამომჟღავნებით ჟურნალისტმა დ. ბრაიოდიმ აჩვენა, თუ როგორ ხდება „ტერორიზმთან ბრძოლა“ და დაზვერვასთან საქმიანი კავშირები კოლოსალური შემოსავლების საფუძველი.

სახელმწიფო სპეცსამსახურებისა და ბიზნესის კავშირები 2009 წლამდე არ ფიქსირდებოდა აშშ-ის ხელისუფლების არც ერთ სახალხო დოკუმენტში. მიუხედავად ამისა, ამერიკის ეკონომიკური დაზვერვისა და სამრეწველო ჯაშუშობის ისტორია ყურადღებას იმსახურებს.

ამჟამინდელ ეკონომიკურ დაზვერვას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში შეიქმნა კონტინენტალური კონგრესის საიდუმლო კორესპონდენციის კომიტეტი, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა როგორც სამხედრო დაზვერვა, ასევე ეკონომიკური მონაცემების შეგროვებაც.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ამერიკის ხანგრძლივმა საგარეო პოლიტიკურმა იზოლაციონიზმმა აშშ-ში სპეციფიური სადაზვერვო უწყებების არარსებობა განაპირობა. აუცილებლობის შემთხვევაში სადაზვერვო მონაცემებს, მათ შორის ეკონომიკურსაც, ყველა პოლიტიკური დაწესებულება აგროვებდა. თუმცა, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ის სახმელეთო ძალების სამხედრო დაზვერვის შემადგენლობაში გაჩნდა სპეციალური ქვეგანყოფილება ევროპის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოსაგროვებლად. **1934 წელს, პრეზიდენტ რუზ-**

ველტის გადაწყვეტილებით, ჩამოყალიბდა ეკონომიკური უსაფრთხოების კომიტეტი, რომელსაც გერმანიის, იაპონიის, იტალიის, სსრკ-ისა და სხვა ქვეყნების მრეწველობის განვითარებასა და ფინანსურ პოტენციალზე ინფორმაციის შეგროვება ევალებოდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ში ეკონომიკური დაზვერვის მიმართ ყურადღება გამახვილდა და ეკონომიკური ომის კომიტეტიც შეიქმნა. პარალელურად იმავე მიზნებს ემსახურებოდა უ. დონოვანის სტრატეგიული სამსახურების სამმართველო, რომელიც აგროვებდა ინფორმაციას მეომარი ქვეყნების მიერ სტრატეგიული სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და სსრკ-ის ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივების შესახებ.

1947 წელს, „ნაციონალური უშიშროების შესახებ" კანონის თანახმად, შეიქმნა ცსს, რომელსაც დასაწყისში ფუნქციები მკაცრად ჰქონდა შეზღუდული. ოფიციალურად ცსს ეკონომიკურ დაზვერვაში 1949 წლიდან ჩაერთო. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა სამმართველოში ცსს-ს დირექტორის მოადგილის, ა. დალესის რეკომენდაციით კვლევითი ანგარიშების მომზადების სამმართველო. ორი წლის შემდეგ აშშ-ის ნაციონალური უშიშროების საბჭომ გასცა დირექტივა, რომლის თანახმადაც ცსს-ს დაევალა, განესაზღვრა სახელმწიფოს მოთხოვნილებები ეკონომიკურ სადაზვერვო ინფორმაციასთან დაკავშირებით, მოეპოვებინა და გაეანალიზებინა ეს ინფორმაცია და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მოემზადებინა მოხსენებები უცხოეთის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საკითხების შესახებ.

მომდევნო წლებში ეკონომიკურ საქმეს სათავეში ხან ცსს ედგა და ხან — სახელმწიფო დეპარტამენტი. ცივი ომის პერიოდში საბჭოთა ეკონომიკის შესწავლა აშშ-ის ყველა სადაზვერვო სამსახურის მუშაობის მთავარი მიმართულება გახდა.

60-იანი წლებიდან სახელმწიფო დეპარტამენტის კვლევებისა და დაზვერვის ბიუროს ბიუჯეტები მკვეთრად შემ-



ცირდა, ამიტომ სადაზვერვო ანგარიშების მომზადება კვლავ ცსს-მ გადაიბარა. ის აკონტროლებდა სიტუაციას საერთაშორისო სავალუტო და სავაჭრო, განსაკუთრებით ნავთობის, ოქროს, ფერადი ლითონების და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზრებზე. **კვლევითი ანგარიშების მომზადების სამმართველო ეკონომიკური კვლევების სამმართველოდ გადაკეთდა. 70-იანი წლების ნავთობის ემბარგომ წარმოშვა სხვადასხვა ქვეყნის ენერგეტიკულ პოტენციალზე სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების საჭიროება. ნიქსონის დირექტივით 1972**

წელს კოორდინირებული მუშაობისათვის შეიქმნა ეკონომიკური პოლიტიკის საბჭო, რომლისთვისაც მონაცემთა მთავარ წყაროდ ცსს იქცა. იმ დროიდან ეს ჯაჭვი აშშ-ის ნაციონალური უშიშროების განუყოფელი ნაწილია.

პრაქტიკულად სპეცსამსახურები არა მხოლოდ აგროვებდნენ და დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და კომპანიებს გადასცემდნენ ინფორმაციას, არამედ ცალკეული ქვეყნებისთვის სერიოზული შედეგებით დასრულებულ სპეცოპერაციებსაც ახორციელებდნენ. თითქმის ყოველთვის ეს კეთდებოდა არა მხოლოდ აშშ-ის სახელმწიფო ინტერესების, არამედ იმ მსხვილი კომპანიების ინტერესების სასიკეთოდაც, რომელთა მოღვაწეობა სახელმწიფო პრიორიტეტებთან შესაბამისად ითვლებოდა.

აშშ-ის მსხვილი ბიზნესის ინტერესებით დაზვერვის გაძლიერება სხვა სახელმწიფოების არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაზეც ახდენდა ზეგავლენას. **ჯერ კიდევ 1953 წელს საიდუმლო ოპერაციები ტარდებოდა 48 ქვეყანაში და არც თუ იშვიათად ეკონომიკური მიზნებით მოქმედი სპეცსამსახურების წყალობით ქვეყნებში პოლიტიკური რეჟიმებიც კი იცვლებოდა. სწორედ ასე მოხდა ირანში, გვატემალაში, საუდის არაბეთსა და კიდევ მრავალ ქვეყანაში.**

ცსს-ს ექსპერტმა ახლო აღმოსავლეთის განხრით, კერმიტ რუზველტმა 1953 წელს განახორციელა ირანის პრემიერის, მ. მოსადიკის ჩამოგდების ოპერაცია კოდური სახელწოდებით „აიაქსი“. მოსადიკმა ბრიტანული კომპანია „აინკის“ მიერ ექსპლოატირებადი ირანის ნავთობაქტივების ნაციონალიზაცია განახორციელა, ცსს-მ კი ტახტზე შაჰი დააბრუნა. გასაგებია, რომ აშშ ბრიტანული კომპანიის დახმარებით საკუთარ მიზნებს ახორციელებდა — ირანულ ნავთობზე საკუთარ კონტროლს ამყარებდა. საინტერესოა ისიც, რომ ცსს-ს მაშინდელი დირექტორი ა. დალესი ცსს-ში მუშაობის დაწყებამდე იურიდიულ ფირმაში მუშაობდა, რომელიც „აინკის“ საქმეებს უძღვებოდა.

1954 წელს ცსს-მ ნახევრადსამხედრო ოპერაცია ჩაატარა გვატემალის პრეზიდენტის — ხ. არბენსის ჩამოსაგდებად.

საუდის არაბეთთან, ნავთობდოლარების სანაცვლოდ, ტექნიკური მხარდაჭერისა და სამხედრო მომარაგების შესახებ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად შეიქმნა ამერიკულ-არაბული ეკონომიკური კომისია. **საუდელების ფულით უნდა დაექირავებინათ ამერიკული ფირმები იმ ახალი ქვეყნის ასაშენებლად, რომელიც შემდეგ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის საყრდენად იქცეოდა. პიროგები ითვალისწინებდა, რომ ნავთობდოლარებით შეიძენდნენ აშშ-ის ფასიან ქაღალდებს, ამ ქაღალდებიდან მიღებულ პროცენტებს კი საუდის არაბეთის მოდერნიზაციისთვის დახარჯავდნენ. ამერიკული კომპანიები ამით ათწლეულების მანძილზე მოგებას გეგმავდნენ.**

მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ამერიკული კორპორაციები ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის მნიშვნელოვან დივიდენდებს იძენდნენ და მსოფლიოს ამ რეგიონებში მჭიდროდ იკიდებდნენ ფეხს.

1980-იან წლებში ეკონომიკური დაზვერვის საქმეში ფედერალური სარეზერვო სისტემა და აშშ-ის ფინანსთა და ვაჭრობის სამინისტრო გააქტიურდა. ცსს-ს მონოპოლიამ

ნგრევა დაიწყო. სსრკ-ის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ კი ეკონომიკური დაზვერვის წარმოება ამერიკის სადაზვერვო სამსახურების უმთავრეს მიმართულებად იქცა. **1990 წელს უფროსმა ბუშმა ეკონომიკური დაზვერვა სპეცსამსახურების მოღვაწეობის პრიორიტეტად გამოაცხადა. კლინტონის ადმინისტრაცია ამ მიმართულებას მხარს უჭერდა. სწორედ კლინტონის დროს შეიქმნა ნაციონალური ეკონომიკური საბჭო — სამთავრობო ორგანო, რომელიც მთელს მსოფლიოში ამერიკის ეკონომიკური ინტერესების დაცვით დაკავებული ფედერალური ორგანოების მუშაობის კოორდინაციას ახორციელებდა. ცხადია, ამ ორგანოს მუშაობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ როგორც ძველი (ცსს), ასევე ახალი სადაზვერვო სტრუქტურები. ამ უწყების შექმნით თეთრმა სახლმა, ამერიკული კომპანიების კონკურენტუნარიანობის მიზნით, ცალკეული განშტოებებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის განხორციელება დაიწყო.**

ნაციონალური უშიშროების სააგენტო აგროვებდა ცნობებს, რომლებიც ინდონეზიისა და თანამგზავრული აღჭურვილობების მწარმოებელ იაპონიურ კორპორაციას შორის 200 მილიონი დოლარის ღირებულების გარიგებას ეხებოდა. საქმეში თავად პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უფროსი ჩაერთო და საბოლოო ჯამში კონტრაქტი ამერიკულმა კომპანიამ „AT&T“-მა ჩაიგდო ხელში. 1992-1993 წლებში ნაციონალური უშიშროების სააგენტოს დახმარებით ჩაიშალა „ჯენერალ მოტორსის“ ერთ-ერთი ტოპ-მენეჯერის მცდელობა, კორპორაციის სამრეწველო საიდუმლოებები გერმანულ კონცერნ „ფოლკსვაგენისთვის“ გადაეცა.

პრეზიდენტ კლინტონის განკარგულებით, ნაციონალური უშიშროების სააგენტომ და გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 1993 წელს სიეტლში მდებარე სასტუმროში აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის კონფერენცია ჩაატარა. როგორც გაირკვა, ვიეტნამში მომავალი თბო და ჰიდრო ელექტროსადგურების მშენებლობათა გეგმების შესახებ ინფორმაცია პირდაპირ სატენდერო შერჩევაში მონაწილე კომპანიის ხელმძღვანელობას-

© „ღვასაბაძეების ანასეული“

თან გაიგზავნა. იგივე ორგანიზაცია ამერიკის დემოკრატიული პარტიის სპონსორიც იყო.

1993 წელს პრეზიდენტმა კლინტონმა პირადად დაავალა ცსს-ს, იაპონური საავტომობილო კონცერნების მოწინავე გამოგონებებისთვის ედევნებინათ თვალი და ინფორმაცია პირდაპირ ამერიკული ავტომრეწველობის დიდი სამეულისთვის — „ფორდის“, „ჯენერალ მოტორსისა“ და „კრაისლერისთვის“ მიეწოდებინათ.

1994 წელს საუდის არაბეთის ნაციონალურ ავიაკომპანიასთან ექვსმილიარდიანი კონტრაქტის მოსაპოვებლად საქმეში ნაციონალური უშიშროების სააგენტო ჩაერთო. სატელეკომუნიკაციო თანამგზავრების დახმარებით იშიფრებოდა ფაქსები, ისმინებოდა ტელეფონები და გამოაშკარავდა საუდის არაბეთის მთავრობის მიერ ევროპულ კონსორციუმ „ეირბასისგან“ ქრთამების მიღება. ინფორმაცია ამერიკულ „ბოინგსა“ და „მაკდონელ-დუგლასს“ გადაეცა, რის შედეგადაც კონტრაქტი ამ უკანასკნელთა საკუთრება გახდა.

შეიძლება ითქვას, რომ 90-იან წლებში ამერიკული დაზვერვის ეკონომიკურ მოღვაწეობაში შემდეგი ასპექტები, უფრო სწორად კი დონეები, ჩამოყალიბდა:

მაკროეკონომიკური დაზვერვა — უცხოეთის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის, მათ შორის ნედლეულის, კრიტიკული ტექნოლოგიების, ფინანსური სისტემების, საერთაშორისო ვალუტების შესახებ ცნობების შეგროვება;

ეკონომიკური კონტრდაზვერვა — უცხოელი კონკურენტებისა და სპეცსამსახურების მიერ ამერიკის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მცდელობათა აღკვეთა;

მიკროეკონომიკური დაზვერვა — უცხოელი კონკურენტების კომერციული და სამრეწველო საიდუმლოებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

1980-ან წლებში 50-წლიანი არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი ბიუჯეტები ცსს-სა და ნაციონალური უშიშროების სააგენტოს 1990-იანი წლების დასაწყისიდანვე

14%-ით შეუმცირეს, მაგრამ სპეცსამსახურები მუდამ ცდილობდნენ, ამგვარი შემცირებები დამატებითი ფინანსირებით აენაზღაურებინათ. **ცსს-მ ახალი ფინანსური ნაკადების წყაროდ ბიზნესთან მჭიდრო ურთიერთობა და კერძო ფირმებისთვის სადაზვერვო ინფორმაციის გადაცემა აქცია.** ცსს-ს ყოფილი დირექტორის — ჯ. ვულსის თქმით, საკითხი, ოფიციალურად დაერთოთ თუ არა სპეცსამსახურებისთვის ბიზნესთან ურთიერთობის ნება, 1990-იან წლებში „დაზვერვის სტრატეგიის განვითარების დღის წესრიგის ყველაზე ცხელ თემად“ იქცა. საკითხი ამდენადვე აქტუალური იყო ფირმებისთვისაც. ერთის მხრივ, ამ ინფორმაციის საფუძველზე ამერიკული კომპანიები მსოფლიო ბაზარზე პოზიციებს გაიმყარებდნენ, რაც, ცხადია, არგებდა ამერიკულ ბიზნესს და აშშ-ის ნაციონალურ ინტერესებსაც შეესაბამებოდა. მეორეს მხრივ კი, ამგვარი თანამშრომლობა კომპანიებს სპეცსამსახურებზე დამოკიდებულს ხდიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეცსამსახურებში მიკროეკონომიკური ჯაშუშობა, ფაქტობრივად, არ ემორჩილებოდა ხელმძღვანელობის კონტროლს და გაურკვეველი რჩება, ვის სასარგებლოდ მუშაობს კონკრეტული ოპერატიული მუშაკი. ბიუჯეტის შემცირების შემდეგ ალტერნატიული ფინანსური წყაროების ძებნის პროცესში სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლებმა მარტივი სქემა შეიმუშავეს. ისინი მიდიოდნენ სამსახურიდან და იწყებდნენ მუშაობას კორპორაციებში (ყველაზე ხშირად სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში) გაცილებით მაღალ ხელფასზე. მეორე დღესვე ისინი ცსს-ში ბრუნდებოდნენ, ოღონდ ამ დროს უკვე სინამდვილეში კერძო კომპანიების წარმომადგენლები იყვნენ.

დღეისათვის პოპულარულ და სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად იყენებენ ტერმინს „კორპორატოკრატია“. ის გამოიყენება იმ ფენომენის აღსაწერად, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოსა და ბიზნესის შერწყმის შედეგად. **კორპორატოკრატია არის ურთიერთობათა სისტემა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება უმსხვილესი კორ-**

© „ღონისძიების ორგანიზატორი“

პორაციებისა და ბანკების ურთიერთქმედება სახელმწიფო ორგანოებთან.

უმაღლესი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკები ცდილობენ ბიზნესთან კავშირების შენარჩუნებას, თანამდებობებზე ხომ დიდხანს ვერ დარჩებიან. დაიკავებენ რა ამ თანამდებობას, ისინი იწყებენ მოქმედებას არა მხოლოდ სახელმწიფო ინტერესების, არამედ იმ კომპანიების ინტერესების გათვალისწინებითაც, რომლებმაც ხელისუფლებაში მოიყვანეს. ამ მტკიცებულების დასადასტურებლად ხშირად იშველიებენ ხოლმე ერაყის მაგალითს. **ერაყში შეჭრის მიზეზი ხომ ამ უკანასკნელის ხელთარსებული მასობრივი განადგურების იარაღი კი არა, ჯორჯ ბუშ-უმცროსის წინასაარჩევნო კამპანიაში დიდი ფულის დამბანდებელი ამერიკული ნავთობისა და გაზის კომპანიების ინტერესები გახდა. აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ თავად ჯორჯ ბუშ-უმცროსი, მისი ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი და სახელმწიფო მდივანი რაისი მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავებამდე ასევე მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ ნავთობკომპანიებში.**

ამგვარი ურთიერთქმედება უკვე მრავალი წლის ისტორიას ითვლის და სპეცსამსახურების გარეშე ის ვერ ირ-

სებებდა. ჯერ კიდევ ცივი ომის დროს შემუშავდა და წარმატებით მუშაობდა მოგვიანებით პერკინსის წიგნში „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“ აღწერილი სქემა. ეგრეთ წოდებული ეკონომიკური ქილერი, როგორც წესი, პატივსაცემი კონსალტინგური ფირმის სპეცსამსახურების მიერ დამუშავებული ანალიტიკოსი სხვა ქვეყნის ხელისუფლებას ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის კრედიტების სახით მფარველობას სთავაზობს. მისი ამოცანაა, დაარწმუნოს ობიექტი, რომ ეს კრედიტები ქვეყანას ეკონომიკის მოდერნიზებასა და ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების დონეზე გასვლაში დაეხმარება.

მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორ კომპანიებს ფული თითქმის დაუყოვნებლივ უბრუნდებათ, მევალე ქვეყანამ ვალიც უნდა გადაიხადოს და მისი პროცენტებიც. თუ ქილერმა სრულ წარმატებას მიაღწია, კრედიტი იმდენად დიდია, რომ რამდენიმე წელიწადში მსხვერპლი დეფოლტს აცხადებს. ეს კი შეიძლება ნიშნავდეს ან გაეროში ხმის მიცემაზე კონტროლს, ან სამხედრო ბაზების განთავსებას, ან ღირებულ რესურსებთან წვდომას. ამის შემდეგ მევალე კვლავაც მევალედ რჩება და მას ისევ მართებს ფული, მაგრამ გლობალურ იმპერიას კიდევ ერთი ქვეყანა ემატება. ამ სქემამ თავისი ეფექტურობა მრავალ ქვეყანაში დაამტკიცა.

უკვე ხსენებული კომპანია „კარლაილის“ მაგალითი აშშ-ში კორპორატოკრატიის ფორმირების კლასიკური ნიმუშია.

ფინანსური ჯგუფი „კარლაილი“ (ხმამაღალ სახელს ის ბენ ლადენების კლანთან კავშირს უნდა უმადლოდეს: 2001 წლის 11 სექტემბერს ჯგუფი ვაშინგტონში მდებარე სასტუმრო „რიც კარლტონში“ თავის 500 უმსხვილეს ინვესტორთან შეხვედრას გეგმავდა. სხდომა ტერაქტის გამო ჩაიშალა, მაგრამ ერთი დეტალი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მოწვეულ სტუმართა სიაში ეწერა ბენ ლადენიც. ოღონდ არა უსამა. ეს იყო ფარიშ ბენ ლადენი — უსამას ერთ-ერთი ძმა) მსოფლიოში უმსხვილეს საინვესტიციო ფონდად ითვლებოდა. ოთხი იურისტის ხუთმილიონიანი კაპიტალით 1987 წელს შექმნილ კომპანიას შეზღუდული

ფუნქციები ჰქონდა — ალიასკაზე მდებარე ესკიმოსური კომპანიების ვალები წარმატებული კომპანიებისთვის გადაეცა მათთვის დაპირებული საგადასახადო შეღავათების სანაცვლოდ. ამ იურისტებიდან ერთ-ერთი ჯიმი კარტერის ყოფილი მრჩეველი დ. რუბინშტეინი გახლდათ.

კომპანიის ისტორიაში ახალი ერა მას შემდეგ დაიწყო, რაც გენერალური დირექტორი ცსს-ს დირექტორის ყოფილი მოადგილე, ნაციონალური უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი, რეიგანის პრეზიდენტობისას თავდაცვის მინისტრი და დონალდ რამსფელდის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი კარლუჩი გახდა. მან თან მოიყოლა ცსს-ს ერთგული ოფიცრები, სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები. 1997 წლისთვის კომპანია უკვე იყო 11-დან ერთ-ერთი უმსხვილესი იარაღის მიმწოდებელი. ამ კომპანიაში მუშაობდნენ ან ინვესტირებას ახორციელებდნენ ჯორჯ ბუშ-უფროსის პერიოდში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, რეიგანისა და უმცროსი ბუშის ადმინისტრაციების წევრი ჯეიმს ბეიკერ III, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ-უფროსი, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ-უმცროსი, 1987-1989 წლებში აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ფრენკ კარლუჩი, ბუშ-უფროსის ადმინისტრაციაში თეთრი სახლის ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი რიჩარდ დარმანი, აშშ-ში კანადის ელჩი ალან გოტლიბი, კლინტონის პრეზიდენტობისას ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდების კომისიის თავმჯდომარე არტურ ლევიტი, 1993-94 წლებში თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელი მაკ მაკლარტი, ჯორჯ ბუშ-უფროსის პრეზიდენტობისას ფინანსთა მინისტრის მოადგილე რენდელ კვარლსი, ჯორჯ ბუშ-უმცროსის პირველი ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, თავდაცვის ექსმინისტრი კასპარ ვეინბერგერი, ფინანსური სპეკულიანტი ჯორჯ სოროსი, ექს სახელმწიფო მდივნის — მადლენ ოლბრაიტის ქალიშვილი ელის ოლბრაიტი, კავშირგაბმულობის ფედერალური კომისიის ექსხელმძღვანელი უილიამ კენარდი, 1995-2005 წლებში ჟურნალ „თაიმის“ მთავარი რედაქტორი ნორმან პილსტინი.

„კარლაილის“ ინტერესებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკაზე. ჯორჯ ბუშ-უფროსი კი არა მხოლოდ ინვესტიციებს ახორციელებდა „კარლაილში“ და საგარეო პოლიტიკას მართავდა ამ ინვესტიციების ინტერესების შესაბამისად, მას ასევე მიეწოდებოდა მისთვის საინტერესო ყველა ცნობა ცსს-დან, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი უკვე ჯორჯ ბუშ-უმცროსი იყო. სამმართველოში ამ ინფორმაციას „პრეზიდენტის მამიკოს ყოველდღიური ცნობები“ შეარქვეს. „კარლაილის“ მოღვაწეობა კორპორატოკრატიის ნათელი მაგალითი და იმ დონის მაჩვენებელია, რომელსაც სახელმწიფოს, სპეცსამსახურებისა და ბიზნესის სინთეზმა აშშ-ში მიაღწია.

ტრანსნაციონალური კომპანიების ეკონომიკურმა დაზვერვამ და სამრეწველო შპიონაჟმა კადრების სპეცსამსახურებიდან გადინება და მათი პოტენციალის კლება განაპირობა. ამრიგად, დაზვერვის ეკონომიკური მიმართულებებით მომუშავე თანამშრომელთა შემადგენლობა ყოველწლიურად დაახლოებით 20%-იან განახლებას საჭიროებს, რადგან გამოცდილი მუშაკების უმეტესობა კერძო კომპანიებში გაცილებით მაღალანაზღაურებად სამსახურზე გადადის. მეორეს მხრივ, **კერძო კომპანიების ინტერესების შესაბამისად, დაზვერვაში ჩართული სპეცსამსახურები ხშირად სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, რაც სახელმწიფოს მხრიდან მათზე კონტროლის ნაწილობრივ დაკარგვას ნიშნავს. ინფორმაციის ყოველდღიური გაცვლითა და კერძო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, სპეცსამსახურები გავლენას ახდენენ არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკაზე, არამედ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის სხვა დონეებზეც და, ფაქტობრივად, მრავალ მსოფლიო პროცესში დამოუკიდებელ მოთამაშეებად ყალიბდებიან.**

მიუხედავად იმისა, რომ კერძო კომპანიებისა და სპეცსამსახურების ურთიერთქმედების პროცესი ობიექტური

© „ღონისძიების ანგარიში“

და კანონზომიერია, ეფექტი, რომელსაც ეს თანამშრომლობა სახელმწიფოთა ურთიერთობაზე ახდენს, ცალსახად უარყოფითია. ერთი სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური დაზვერვისა და სადაზვერვო ინფორმაციის ნაციონალური ბიზნესის სასარგებლოდ გამოყენება სხვა სახელმწიფოებსაც იმავეს გაკეთებისკენ უბიძგებს. საბოლოო ჯამში ბიზნეს-პარტნიორებსა და სახელმწიფოებს შორის ნდობა მინიმუმამდე დადის, რაც არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ პოლიტიკაზე, სამართალსა და საერთაშორისო ურთიერთობების სხვა მიმართულებებზეც აისახება. მეორეს მხრივ, **ტრანსნაციონალური კომპანიებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლობის გაძლიერება, როგორც წესი, დიდ დარტყმას აყენებს სახელმწიფოს.**

სადაზვერვო საზოგადოების წინაშე სტრატეგიის მიერ წამოყენებულ ამოცანათა შორის სპეციალურადაა გამოყოფილი საქმიანი ქმედითობის აქტივაცია. სახელმწიფო

სპეცსამსახურებისთვის განკუთვნილ დოქტრინალურ დოკუმენტებში პირველად გამოჩნდა ღიად დაზვერვისა და ბიზნესის ურთიერთქმედების თემა.

საინტერესოა, რომ სტრატეგიაში სახელმწიფო სადაზვერვო სამსახურებისა და ბიზნესის ურთიერთქმედება განხილულია „გადასახადების გადამხდელთა სახსრების რაციონალური გადანაწილების“ პრიზმაში. მასში პირველადაა აღიარება იმის თაობაზე, რომ დაზვერვას აქვს „საკუთარი“ ბიზნეს-სტრუქტურები, რომელთა მოქმედებაც ხშირად არაეფექტურია არატრანსფარენტულობისა და ფინანსური კონტროლის დაბალი დონის გამო. ამრიგად, **ირიბადაა აღიარებული ის ფაქტიც, რომ ბიზნეს სტრუქტურებს აქტიურად იყენებენ დაზვერვის სასარგებლოდ, სახელმწიფო დაზვერვის შესაძლებლობებს კი — ბიზნესის ინტერესებისთვის.**

ასწლეულის მანძილზე სპეცსამსახურების როლი ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის მოპოვებასა და სამრეწველო შპიონაჟში იცვლებოდა. მათ წინაშე ამოცანები დგებოდა იმის მიხედვით, თუ რა ინტერესები ჰქონდა სახელმწიფოს კონკრეტულ პერიოდში. აშშ-ში ამავე დროს ითვალისწინებდნენ იმ მსხვილი კომპანიების ინტერესებსაც, რომელთაც თეთრ სახლთან ჰქონდა კავშირები. ამ ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება მხოლოდ ინფორმაციის მოკრებითა და დაინტერესებული სუბიექტებისთვის გადაცემით არ შემოიფარგლებოდა. **ზოგიერთ შემთხვევაში ხორციელდებოდა სპეცოპერაციები, რომელთა შედეგადაც პოლიტიკურ წყობასაც კი ცვლიდნენ ან კანონიერ ხელისუფლებებს ამხოგდნენ. სსრკ-ის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამერიკული სადაზვერვო სამსახურების მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტად ჩამოყალიბდა და ეს მთელი რიგი ადმინისტრაციების ნაციონალური უშიშროების კონცეფციებშიც აისახა.**

ამავე დროს სპეცსამსახურების ეკონომიკურმა მოღვაწეობამ სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ხასიათი მიი-

ღო. როდესაც დაზვერვა მიკროეკონომიკურ დონეზე მიმდინარეობს, ის თითქმის სრულად ექვემდებარება კერძო კომპანიების ინტერესებს.

ეკონომიკურ დაზვერვასა და კერძო კომპანიებთან კავშირში სპეცსამსახურების ესოდენ აქტიური ჩაბმა ორი მთავარი მიზეზით აიხსნება. პირველი მიზეზი აშშ-ის ეკონომიკის ყოველწლიური მრავალმილიარდიანი დანაკარგებია სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებისა და კერძო კომპანიების მიერ წარმოებული სამრეწველო შპიონაჟის გამო, მეორე კი — საბიუჯეტო ასიგნებების შემცირება და დაფინანსების ალტერნატიული გზების ძიების აუცილებლობა. **დაზვერვა ხორციელდება კორპორაციების დაკვეთით, აქტიურდება სამრეწველო შპიონაჟი როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურების მხრიდან. ამ სფეროში აშშ-ის წარმატებებს უზრუნველყოფს არა მხოლოდ პოსტინდუსტრიული ეპოქის ტექნოლოგიური მიღწევები, არამედ — სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობების პირთა ეკონომიკურ დაზვერვაში ჩართულობაც.**

მთავარი ნეგატიური შედეგი, რომელსაც სპეცსამსახურები შეეჯახნენ, პოტენციალის დაკარგვა გახდა. ერთის მხრივ, ეს გამოწვეულია ეკონომიურად უფრო მომხიბვლელი პირობების გამო კადრების გადინებით, მეორეს მხრივ კი — ბიზნეს-დაზვერვის სამსახურები და ამერიკის კერძო კომპანიები ეკონომიკური პრობლემატიკის შესახებ მთავრობისთვის ინფორმაციის მიწოდების მხრივ ხშირად ჯობნიან კიდეც სპეცსამსახურებს. ამგვარი მდგომარეობა ხელისუფლებას საიდუმლო უწყებებისთვის საბიუჯეტო ასიგნებების შემცირებისკენ უბიძგებს, საიდანაც გამომდინარეობს კიდევ ერთი ტენდენცია — სახელმწიფოსა და სპეცსამსახურებს შორის ერთ დროს უმტკიცესი კავშირის შესუსტება. აქ ინიციატივა მხოლოდ სახელმწიფოს არ ეკუთვნის. **სპეცსამსახურების მიერ მიკროეკონომიკური დაზვერვის წარმოება კერძო კომპანიების ინტერესების სასარგებლოდ სპეცსამსახურების ცხოვრებაში**

აჩენს სამუშაო სფეროს, რომელიც სახელმწიფოს კონტროლს არ ექვემდებარება. სახელმწიფო სპეცსამსახურებზე გავლენის ნაწილს კარგავს, ეს უკანასკნელი კი, მსხვილ ბიზნესთან კავშირის წყალობით, მსოფლიო ეკონომიკასა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე გავლენას ამყარებს. სახელმწიფოსთვის სამრეწველო შპიონაჟში მისი სპეცსამსახურების მონაწილეობის ფაქტის გამოვლენა ან თუნდაც დაეჭვება ამგვარ ქმედებაში, რეპუტაციის ვარდნას, მოკავშირეების მხრიდან ნდობის შემცირებას და კორუფციულ პრობლემებს ნიშნავს.

სპეცსამსახურების მხრიდან კერძო კომპანიების ინტერესების უზრუნველსაყოფად მიმართული ქმედებები ეჭვქვეშ აყენებს საბაზრო ეკონომიკის არსებობის ფაქტსაც კი, რადგან გამორიცხავს ბაზრის ფუნქციონირების ერთერთ უმთავრეს მექანიზმს — კანონიერ კონკურენციას. თვალნათელია მისი უპირატესობა, ვინც კონკურენტზე უფრო მეტი იცის, ვიდრე თავად კონკურენტმა — მასზე. ძალთა ამგვარი გადანაწილებისას ნებისმიერი მოლაპარაკება განწირულია დამარცხებისთვის, ვინც საბაზრო წესების შესაბამისად მოქმედებს. და თუ მსოფლიო ეკონომიკაზე ვისაუბრებთ, თავისუფალი ბაზრისა და მისი ფუნქციონირების სამართავი საერთაშორისო ბერკეტების შექმნის ყველანაირი მცდელობა აზრს დაკარგავს. **კორპორატოკრატიის გამყარებისთვის ერთადერთი ბარიერი შეიძლება გახდეს სპეცსამსახურების ქმედითი სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლი.**

ამერიკული დაზვერვის მსხვილ ტრანსნაციონალურ ბიზნესთან კავშირი საერთაშორისო არენაზე აშშ-ის დომინირების მძლავრი იარაღი ხდება. დღეს უკვე ცხადია, რომ ვაშინგტონი ამგვარ დომინირებაზე უარის თქმას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ოფიციალურად ბუშის ყბადაღებულ დოქტრინაზე უარი განაცხადა, ამერიკა მსოფლიო არენაზე მომავალშიც აპირებს მთავარი როლის შესრულებას და ზესახელმწიფოდ დარჩენას.

© „ღამისფრთიანი“

აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში ძალოვანი ნაწილის შემცირების ოფიციალურად გამოცხადება საერთაშორისო ყოფიერების უკლებლივ ყველა სფეროში პრიორიტეტული პოზიციების შენარჩუნებაზე უარის თქმას არ გულისხმობს. როგორც ვაშინგტონის 2009-2010 წლების დოქტრინული დოკუმენტებიდან ირკვევა, მსოფლიოს უშიშროების საკითხები ამერიკელი პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის წარმომადგენელთა ცნობიერებაში თავად აშშ-ის უშიშროებას ნიშნავს, რაც ამერიკის ეკონომიკური უპირატესობის შენარჩუნებასაც გულისხმობს.

ნიკოლაი სიომინი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, აშშ-ისა და კანადის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიური უნივერსიტეტის დოცენტი

ვაშინგტონს მსოფლიო უკანონობისკენ მიჰყავს

აშშ-ის ხელისუფლებას თავი ისე უჭირავს, თითქოს კანონის მორჩილია, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და უზრუნველყოფს თავისუფლებასა და დემოკრატიას მოქალაქეებისათვის. სინამდვილეში ვაშინგტონის იმიჯი და რეალობა ურთიერთსაწინააღმდეგოა. ამერიკული ხელისუფლების ჩინოვნიკები რეგულარულად აკრიტიკებენ სხვა ხელისუფლებებს, რომ ისინი არადემოკრატიულები არიან და ადამიანთა უფლებებს არღვევენ. არადა, არც ერთი სხვა ქვეყანა, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელისა, არ აგზავნის სუვერენულ სახელმწიფოებში ბომბებს, რაკეტებსა და უპილოტო საფრენ აპარატებს უბრალო მოქალაქეების დასახოცად.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოაცხადა, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია მოკლას ამერიკის ის მოქალაქეები, რომლებსაც აშშ-ისთვის საფრთხედ მიიჩნევს, მაგრამ ამ ექსტრაორდინალურ განცხადებაზე კონგრესს იმპიჩმენტის პროცედურის წამოწყებით არ მოუხდენია რეაგირება.

ახლა ვაშინგტონი მსოფლიოს უდიდეს ნაწილს აიძულებს, უარყონ საერთაშორისო შეთანხმებები და სამართალი. ვაშინგტონმა გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ მისი სიტყვა თავისთავადაა საერთაშორისო სამართალი. ვაშინგტონის მიერ გაცემული ნებართვის გარეშე ყველა ქვეყანა სანქციების მსხვერპლი გახდება ირანთან ნავთობით ვაჭრობის გამო.

თუ ვინმეს აინტერესებს, მაინც რა აქვს ვაშინგტონს ირანის საწინააღმდეგო, შეგვიძლია დავამშვიდოთ, რომ — არაფერი. ეს იგივე აფერაა „მასობრივი განადგურების იარაღის“ თემაზე. ისრაელისაგან განსხვავებით, ირანმა ხელი მოაწერა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას.

© „ღონისძიებები ათასწლეულ“

ყველა ქვეყანას აქვს უფლება, ფლობდეს ბირთვულ ენერგიას. ვაშინგტონი აცხადებს, რომ ირანი არღვევს შეთანხმებას და ცდილობს ბირთვული იარაღის შექმნას.

ვაშინგტონის ამ თეორიის დამამტკიცებელი ერთი ფაქტიც არ არსებობს. ამერიკის თექვსმეტივე სპეცსამსახური ერთსულოვნად აცხადებს, რომ ირანს ბირთვული პროგრამა აღარ აქვს 2003 წლის შემდეგ. მაგრამ ვაშინგტონი დაჟინებით ირწმუნება, რომ ირანს არ შეიძლება ჰქონდეს მშვიდობიანი ატომის პროგრამა, რადგან ამით საკმარისად ბევრს გაიგებს საიმისოდ, რომ ერთ მშვენიერ დღესაც ბირთვული იარაღის შექმნა მოინდომოს. მსოფლიო ჰეგემონმა აბსოლუტურად ცალმხრივად დაადგინა, რომ ირანის მიერ ოდესმე ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობა ძალზე დიდი რისკია. მისი აზრით, ამას ჯობია გაიზარდოს ნავთობის ფასები, დაანგრიოს მსოფლიო ეკონომიკა, დაარღვიოს საერთაშორისო სამართალი და მასშტაბური ომის საფრთხე შექმნას.

ძნელია, ვაშინგტონის პოზიციას საღი აზრი უწოდო, უფრო მეტიც, ვაშინგტონი საერთოდ არ ხსნის იმ უზარმაზარ რისკს, რომლებიც თითქოსდა გაჩნდება ირანის მიერ ბირთვული იარაღის ფლობის შემთხვევაში, ან რით აღემატება ეს რისკი აშშ-ის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული იარაღის ფლობის რისკს? ირანი შედარებით მცირე ქვეყანაა, მას არ აქვს ვაშინგტონის მსგავსი მსოფლიო ამბიციები. მისგან განსხვავებით, ირანი არ ომობს ნახევარ დუჟინ ქვეყნებთან.

ირანის წინააღმდეგ რაიმე მტკიცებულებების

არმძონე ვაშინგტონი და ისრაელი მისი უსაფუძვლო დემონიზაციითაა დაკავებული. ჭეშმარიტებად საღდება მტკნარი წყლის სიცრუე, რომ ირანი ისრაელის განადგურებას აპირებს. ვაშინგტონს კი სულაც არ ადარდებს, რომ მთელი რიგი ექსპერტების მტკიცებით, ირანის პრეზიდენტისათვის დაბრალებული ფრაზა თარგმანის უხეში შეცდომაა, მაგრამ ვაშინგტონს ეს აბსოლუტურად არ აღელვებს. საკუთარი მიზნის მისაღწევად ნებისმიერი ტყუილი მისთვის გამოსადეგია.

საინტერესოა, რას იზამს ვაშინგტონი, თუ ინდოეთი, ჩინეთი, თურქეთი და სამხრეთ კორეა მის მუქარას არ შეუშინდებიან?

როგორც ბოლო დროს გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, ირანის საწინააღმდეგო ვაშინგტონური ვენდეტის მხარდასაჭერად ინდოეთი და ჩინეთი საკუთარი ეკონომიკების განადგურებას არ აპირებენ. ჩინეთის ზრდისა და აშშ-ის მხრიდან თავდასხმებზე ჩრდილოეთ კორეის იმუნიტეტის შემხედვარე სამხრეთ კორეამ, შესაძლოა, იფიქროს, მაინც როდემდე შეიძლება დარჩეს აშშ-ის მარიონეტულ ქვეყნად. თურქეთში, სადაც ხელისუფლებამ მოახერხა ამერიკისაგან დამოუკიდებელი გამხდარიყო, მიხვდა, რომ აშშ-მა და ნატომ მას ვაშინგტონის აგენტის როლი მიანიჭა.

საბოლოო ჯამში ირანზე ისრაელ-ამერიკული თავდასხმის წარმატება ინდოეთსა და ჩინეთზეა დამოკიდებული. ვაშინგტონი ამ ქვეყნებს სანქციებს ვერ დაუწესებს, რადგან ამ შემთხვევაში უოლ-მარტის დახლებიც კი დაცარიელდება და ამერიკის უმსხვილესი საცალო მოვაჭრეც თეთრი სახლის კარზე დაიწყებს კაკუნს.

Apple Computer-ი და აშშ-ის უმძლავრესი კორპორაციების ურიცხვი რაოდენობა, რომელთა პროდუქციის წარმოება ამერიკიდან ჩინეთშია გატანილი, თვალის დახამხამებაში გახდება იმის მოწმე, თუ როგორ ორთქლდება მათი ქონება. თავისი უოლსტრიტელი მოკავშირეების თანხლებით ეს კომპანიები პირდაპირ თეთრი სახლის კარს

© „ღვასუბუნება ათასწლეულ“

მიადგებიან და უფრო დიდი შეტევით აიღებენ, ვიდრე ამას წითელი არმია შეძლებდა. ცხადია, ჩინური კაპიტალი აღარ დაბანდდება ამერიკულ სახელმწიფო ობლიგაციებში. უბრალოდ, შეწყვეტენ ფუნქციონირებას ინდოეთში გატანილი ბანკების საოპერაციო განყოფილებები, საკრედიტო ბარათებისა და კომუნალური მომსახურების განყოფილებები.

ამერიკაში ქაოსი დაიწყება. ასეთია გლობალიზმის იმპერიის ჯილდოები.

ჩინეთისა და ინდოეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესება იგივეა, რაც სანქციების დაწესება ამერიკული კორპორაციების წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, ამერიკა ჩინეთისა და ინდოეთისათვის დათმობების გარეშე მხოლოდ იმის მომსწრე გახდება, თუ როგორ ორთქლდება მისი ხელისუფლება. ამერიკა დღეს არის ქვეყანა, რომელსაც არ შეუძლია აწარმოოს სამრეწველო საქონელი, და ერთადერთი, რასაც ახერხებს, სავალე განრიგებისა და ფულადი კუპიურების ბეჭდვაა, ეს კი გავლენას არ ნიშნავს. მისი გავლენა მხოლოდ მანამდე გასტანს, ვიდრე პატარა ბიჭი არ დაიყვირებს „მეფე შიშველია!“.

ამერიკელ ნაცისტებს კონგრესში ოფიციალური ლობისტი გამოუჩნდათ

ამერიკელი ნეონაცისტების თავყრილობა

ოფიციალური მონაცემებით, 2006 წელს აშშ-ის ნეონაცისტურ დაჯგუფებებში დაახლოებით 100 000 ადამიანი იყო გაერთიანებული. მათი რაოდენობა ნელ-ნელა მატულობდა. როგორც ჩანს, ამგვარი ტენდენცია არავის ანაღვლებს — მთავარია, ესენი არ იყვნენ სოციალისტები ან, უფრო უარესი, თავისუფალი ბაზრის მტერი კომუნისტები.

განსაკუთრებულ საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აშშ-ის პოლიტიკოსები და დიპლომატები ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებენ, რათა ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ისტორიულ იდენტურობაზე კიდევ ერთხელ განაცხადონ. ის თვალნათელი ფაქტი, რომ ნაცისტური გერმანია თანმიმდევრულად ცდილობდა მსოფლიოს იმგვარად მოწყობას, რომ სხვადასხვა რასისა და ეროვნების ადამიანებს დასაწყისშივე არათანაბარი მდგომარეობა ჰქონოდათ, საბჭოთა კავში-

რი კი ზუსტად საწინააღმდეგო პარადიგმას უჭერდა მხარს და იქცა კიდეც სახელმწიფოდ, რომელმაც უზარმაზარი საფასური გადაიხადა ნაცისტური ექსპერიმენტების შეწყვეტისათვის, ანგარიშში არ ითვლება.

თუ სიტუაციას გონებით შევაფასებთ, ნაცისტური გერმანია თანამედროვე ამერიკული ისტებლიშმენტისთვის გაცილებით უკეთესი მოკავშირე იქნებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირი. და ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ ესტონეთში ამერიკის საელჩოს იმ სამახსოვრო გზავნილებს ეხება, რომლებშიც მწუხარებას გამოთქვამდნენ რეიხის ტერიტორიაზე საბჭოთა ავიათავდასხმებზე. ჯერჯერობით არაა საკმარისი საფუძველი იმის სათქმელად, რომ ნაცისტების იდეებმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა ოკეანის მიღმა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ იდეების მიმართ სიმპათია თვალნათელია.

55 წლის ჯონ ბოულზი ოფიციალურად დარეგისტრირდა სენატის სამდივნოსა და აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ ამერიკის ნაცისტური პარტიის ლობისტად. ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ბოულზი იბრძოლებს პოლიტიკური უფლებების დაცვისა და საამომრჩევლო პროცესისადმი მოქალაქეთა თანაბარი წვდომისათვის. ნეონაცისტების წარმომადგენელს ხომ ის ადარდებს, რომ რასობრივი სეგრეგაციის მომხრეებს არჩევითი თანამდებობებისათვის ბრძოლის საშუალებას არ აძლევენ.

ბოულზი აცხადებს, რომ ერთი რასის მეორეზე გენეტიკურად განპირობებული უპირატესობის კონკრეტული თემის წამოწევას არ აპირებს და ადამიანის უფლებების, მიგრაციის კონტროლისა და ჯანდაცვის საკითხებზე ყურადღების გამახვილებას დასჯერდება. თუმცა გაურკვეველია, რამდენ ხანს გასტანს მისი მოღვაწეობა ამ, სოციალურად მისაღებ ნიშაში. ზემოხსენებული პარტიის წარმომადგენლებს ხომ ადამიანთა უფლებები თავისებურ ჭრილში აქვთ წარმოდგენილი.

ჯონ ბოულზის ფიგურა შესაფერისად გამოიყურება ნაცისტური იდეების ლობირებისათვის. 2008 წელს იგი ცდილობდა, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატიც კი გამხდა-

რიყო რაღაც ნაციონალურ-სოციალური მოძრაობისგან. ნიშანდობლივია, რომ თავად ბოულზის განცხადებით მისი კანდიდატურის უარყოფა განაპირობა არა ნაციონალიზმმა და რეიხის სიმბოლიკის სრულმა ნაკრებმა, არამედ სოციალისტურმა კომპონენტმა. პოლიტიკოსი იმაზე მიანიშნებდა, რომ **ამერიკელებს ბოლომდე არ ესმით ტერმინ „სოციალიზმის“ მნიშვნელობა და მათთვის ის სტაბილურად ასოცირდება „წითელ საფრთხესა“ და კრემლთან. ამერიკელი ობივატელისთვის საფრთხეების ერთგვარ შკალად შეიძლება გამოდგეს საინფორმაციო კამპანია, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას წინააღმდეგ აგორდა.** მას შემდეგ, რაც ობამამ განაცხადა ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გეგმების შესახებ, სამედიცინო სფეროში რეფორმისა და სხვა სიახლეების შესახებ, მისმა ოპონენტებმა პრეზიდენტის სოციალისტობისა და თვით კომუნისტობის ეჭვიც კი გამოთქვეს. გავლენიანი ბიზნესწრეების წარმომადგენელთა ყველა შეხვედრაზე ბარაკ ობამა იძულებული იყო, ხაზგასმით აღენიშნა, რომ კაპიტალიზმის, საბაზრო ეკონომიკისა და კერძო საკუთრების გულმხურვალე მხარდამჭერია. ამერიკელი პრეზიდენტისათვის არა მხოლოდ სოციალისტობა, არამედ მისკენ მიდრეკილებაც კი დიდი დარტყმაა.

გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსში“ ობამას შესთავაზეს, პასუხი გაეცა რესპუბლიკური პარტიის გარკვეული წრეების ბრალდებაზე სოციალისტობასთან დაკავშირებით. ობამამ განაცხადა „პასუხი — არა“ და სხვა საკითხზე გადავიდა, მაგრამ ზუსტად 90 წუთის შემდეგ პირადად დარეკა გაზეთის რედაქციაში და განაცხადა: **„ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, უბრალოდ, აღინიშნოს, თუ როგორ ისვრიან ამგვარ სიტყვებს იმ დროს, როდესაც ჩვენ თავისუფალი ბაზრის პრინციპების სრული შესაბამისობით ვმოქმედებთ და ამასთან ამ ადამიანთაგან ზოგიერთები ისე ისვრიან სიტყვას „სოციალიზმი“, რომ თავად არ შეუძლიათ რაიმე სხვა შემოგვთავაზონ“.** ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამერიკის საზოგადოებაში სოციალიზმისაკენ მიდრეკილება მკრეხელობად ითვლება. სამაგიეროდ, ამერიკელი კონგ-

© „ღონისძიების ორგანიზაციები“

ამერიკელი ნეონაციისტები

რესმენების ფსევდორელიგია ნებისმიერ ფასად კაპიტალიზმის დაცვა და მებრძოლი ანტიკომუნიზმია.

იმავე დღეს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ნაცისტებს სენატში ოფიციალური ლობისტი ეყოლებათ, კონგრესმენმა რესპუბლიკელმა ალენ ვესტმა განაცხადა, რომ ДЕМОКРАТИУЛИ ПАРТИИДАН 78-ДАН 81-МДЕ КОНГРЕСМЕНИ КОМУНИСТИА ДА САИДУМЛОДАА ГАВЕВРИАНЕБУЛИ АШШ-ИС КОМПАРТИАШИ. რის საფუძველზე გააკეთა ვესტმა ესოდენ სენსაციური განცხადება, გაურკვეველია. გარკვეული მოსაზრებები გამოთქვა კონგრესმენის წარმომადგენელმა ტიმ ედსონმა. მისი განცხადებით, ზოგიერთი დემოკრატი კონგრესმენი კუბაში იმყოფებოდა და პოზიტიურად საუბრობდა ფიდელ კასტროზე. **„რაც გინდათ, უწოდეთ მათ, მაგრამ ცხადია, რომ ისინი არიან ადამიანები, რომლებიც კაპიტალიზმის, თავისუფა-**

ლი ბაზრისა და პირადი ეკონომიკური თავისუფლების წინააღმდეგ გამოდიან“, — დაასკვნა ედსონმა.

მეორე მხრივ, **არანაირ აღშფოთებას არ იწვევენ ნაცისტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კაპიტალიზმს, თავისუფალ ბაზარს და რაიმე სასიკეთოს არ ამბობენ ფიდელ კასტროზე, ამიტომ ისინი ამერიკაში სავსებით პერსპექტიულ ადამიანებად ითვლებიან.**

ალენ ვესტი ჰარმონიულ ტანდემს შექმნიდა ჯონ ბოულზთან ანტიკომუნიზმის საფუძველზე. 2003 წელს ვესტი ერაყში მსახურობდა, პოდპოლკოვნიკის რანგს მიაღწია და საკუთარი სურვილით გათავისუფლდა მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციული სასჯელი და ხუთი ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. **ამერიკელ ჯარისკაცზე თავდასხმის მზადებაში მონაწილეობაზე ეჭვმიტანილი ერაყელი პოლიციელის დაკითხვისას ვესტმა პირდაპირ უბრძანა ხელქვეითებს, ეცემათ ეჭვმიტანილი, თავად კი, მართალი ჩვენებების მიღების მიზნით, პისტოლეტიდან ისე ესროდა მას, რომ ტყვიებს თავთან რაც შეიძლება ახლოს ჩაექროლა. ვესტს 11-წლიანი პატიმრობა ელოდა, მაგრამ, ამერიკული სამხედრო სასამართლო წარმოების ნაციონალური წესების შესაბამისად, უმნიშვნელო ჯარიმით გამოძვრა.**

2004 წელს აშშ-ში ნაცისტური იდეოლოგიისკენ მიდრეკილი 700-მდე დაჯგუფება მოქმედებდა. იოლად გამოსაცნობი ნაცისტური სიმბოლიკის მარშები რეგულარულად იმართება, თანაც ყოველგვარი შეფერხებების გარეშე. ოკლაჰომაში მიმდინარე მორიგი ამგვარი მარშის დროს პოლიციამ აქციის მონაწილეების ნაცვლად მისი ხელისშემშლელები დააკავა. მანამდე, ჯერ კიდევ ოფიციალური ლობისტის გარეშე მყოფმა ნაცისტებმა ტოლედოში მიტინგი გამართეს თეთრკანიანი მოსახლეობის დამტერორებელი შევკანიანი ბანდიტების წინააღმდეგ. მიტინგი დარბევებში გადაიზარდა, პოლიციის რამდენიმე ოფიცერი დაიჭრა, 70-მდე ადამიანი დააკავეს და რამდენიმე დღით კომენდანტის საათიც შემოიღეს.

© „ღვინისმცოდნე ათასეული“

10 კორპორაცია, რომლებიც მართავს მსოფლიოს

როგორც გაირკვა, იმ საქონლის დიდ ნაწილს, რომელსაც მსოფლიო ყოველდღიურად მოიხმარს, სულ რამდენიმე გავლენიანი კორპორაცია აწარმოებს. მაგალითად, Unilever-ი აწარმოებს ყველაფერს — საპონი Dove-დან დაწყებული, შოკოლად Klondike-ით დამთავრებული. თავის მხრივ, არა მხოლოდ კოსმეტიკის, არამედ ჯინსი Diesel-ის მწარმოებელი L'Oreal-ის აქციების მფლობელი არის ფირმა Nestle.

მიუხედავად ბრენდების ფართო სპექტრისა, საბოლოო ჯამში მთელი გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები ათი გიგანტური საწარმოს ხელში ხვდება.

მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს ეკონომიკაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა მუდმივად იზრდება. **დღეს უსხვილესი კორპორაციები პირობებს არა მხოლოდ თავიანთ კონკურენტებს, არამედ მთელ რიგ სახელმწიფოებსაც კარნახობენ თავიანთი ფინანსური ძლევამოსილებისა და უმაღლეს დონეებზე პოლიტიკური ლობირების წყალობით.** ამ კორპორაციების შემოსავლები მრავალი ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას აღემატება. ისინი მილიონობით სამუშაო ადგილს ქმნიან სხვადასხვა სახელმწიფოში, ზოგიერთი მათგანი კი, ეკონომიკური თვალსაზრისით, უკვე წარმოადგენს სახელმწიფოს მაგვარ სტრუქტურას.

ამერიკულმა საქმიანმა ჟურნალმა FORBES-მა მსოფლიოს ორი ათასი ყველაზე გავლენიანი და მსხვილი კომპანიის 2010 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ რეიტინგში წარმოდგენილია მსოფლი-

ოს 62 ქვეყნის კომპანიები. მათ შორის 515 კომპანია აშშ-დანაა, 210 — იაპონიიდან, 113 — ჩინეთიდან, 56 — ინდოეთიდან, 62 კი — კანადიდან.

რეიტინგი შედგენილია მსოფლიოს ელიტური კომპანიების ანალიზის საფუძველზე. მათ შორის არიან ყველაზე წარმატებული გლობალური გიგანტები, რომლებიც ტონს აძლევენ მსოფლიოს დარგობრივ ეკონომიკას.

მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ორგანიზაციად აღიარებულია ამერიკული ბანკი JP Morgan Chase. საუკეთესოთა ხუთეულში ასევე შევიდა General Electric, Bank of America, ამერიკული ნავთობ-საგაზო კომპანია Exxon Mobil და ჩინური ბანკი ICBC.

ორგანიზაციამ Partnership for a New American Economy გამოაქვეყნა ალტერნატიული რეიტინგი. ფორბსის რეიტინგის შემდეგ ეს მნიშვნელობით მეორე კორპორატიული რანჟირია. 2010 წლის შედეგების მიხედვით, მას ზედიზედ მეორედ ჩაუდგა სათავეში ამერიკული საცალო ვაჭრობის ქსელი Wal-Mart Stores 421,8 მილიარდი დოლარის წლიური კონსოლიდირებული სარგებლით. მას მოსდევენ ჰოლანდიური Royal Dutch Shell-ი და ამერიკული Exxon Mobil-I, შესაბამისად, 378,2 და 354,7 მილიარდი დოლარით. შედარებისთვის: გერმანიის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 2011 წელს სულ 438 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

ექსპერტების გათვლებით, ამ რეიტინგის კორპორაციები მსოფლიო ეკონომიკას 10 მილიონი სამუშაო ადგილით უზრუნველყოფდნენ, მათი საერთო შემოსავალი კი აღემატება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას, გარდა ჩინეთისა და იაპონიისა, და 4,2 ტრილიონს უტოლდება. რეიტინგის ზედა სტრიქონებზე განლაგებულნი არიან კომპანიები Apple, Google, AT&T, Budweiser, Colgate, eBay, General Electric, IBM და McDonaldVs.

მსოფლიოს 100 უდიდესი ეკონომიკიდან 52 ტრანსნაციონალური კორპორაციაა, დანარჩენი კი — სახელმწიფოები. საგარეო ვაჭრობის ორი მესამედი და მსოფლიო სამრეწველო წარმოების თითქმის ნახევარი სწორედ ტრანსნაციონალური კომპანიების მფლობელობაშია. ისინი ფლობენ ტექნიკური სიახლეებისა და მიღწევების 80%-ს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა 4 ტრილიონ დოლარს აღემატება, ტრანსნაციონალური კომპანიების გაყიდვების მოცულობა კი მსოფლიო მაჩვენებლის 25%-ს აღემატება, ამასთან მათი პროდუქციის ერთ მესამედს აფილირებული უცხოური სტრუქტურები უშვებენ. ტრანსნაციონალური კომპანიების გაყიდვები საზღვარგარეთ უკვე აღემატება მთელი მსოფლიოს ანალოგიურ მაჩვენებელს.

მაგალითად, აშშ-ის საექსპორტო ოპერაციების ნახევარი ხორციელდება ამერიკული და უცხოური ტრანსნაცი-

ონალური კორპორაციების მიერ. ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 80%-ს აღწევს, სინგაპურში კი — 90%-ს.

ტრანსნაციონალური ბანკები მბრძანებლობენ ნაციონალურ და საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე და თავისუფლად შეუძლიათ, შეცვალონ ნებისმიერი ორი ნაციონალური ვალუტის ურთიერთპარიტეტი.

ტრანსნაციონალური კომპანიების საწარმოებში 73 მილიონ ადამიანზე მეტი მუშაობს და წელიწადში ტრილიონ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქციას აწარმოებენ. სხვადასხვა დარგების გათვალისწინებით, ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა სამსახურით სულ მსოფლიოს 150 მილიონზე მეტი ადამიანი უზრუნველყვეს.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებით მსხვილი კომპანიები მრავალ განვითარებად ქვეყანას უსწრებენ. ტრანსნაციონალური კომპანიების კონტროლქვეშაა ხორბლის, ყავის, სიმინდის, ტყის, თამბაქოსა და რკინის მადნის მსოფლიო ბაზრების 90%, ფოლადისა და ბოქსიტების ბაზრის 85%, ჩაის ბაზრის 80%, ნედლი ნავთობის, კაუჩუკისა და ბანანის ბაზრის 75% და ასე შემდეგ.

მრავალი ტრანსნაციონალური კორპორაცია მონოპოლიურ ძალაუფლებას ფლობს. ზოგიერთი მათგანი ბრუნვის მოცულობით ქვეყნებსაც უსწრებს, ამ კომპანიების ხელმძღვანელები კი, როგორც წესი, საქმეს იჭერენ სახელმწიფოთა მეთაურებთან.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში წარმოდგენილ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე. მათგან ყველაზე ძლიერებსა და დიდებს შეუძლიათ, გვერდი აუარონ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტროლს. ისტორიას ახსოვს არაერთი შემთხვევა, როდესაც უცხოელმა ინვესტორებმა მიაღწიეს საკუთარ ქმედებათა მხარდაჭერას პოლიტიკური ხელმძღვანელებისაგან, იმის მიუხედავად, თუ რა შედეგი ექნებოდა ამას ადგილობრივი მოსახლეობისა და მთლიანად ქვეყნისათვის.

© „ეროვნული ინტერესი“

აშშ მსოფლიო ომისთვის ემზადება და კიდევ ერთ სამხედრო დაზვერვას ქმნის

ლეონ პანეტა

სამხედრო მოქმედებების ზონის მიღმა ჯაშუშობის გაძლიერებისაკენ მიმართული დაზვერვის რეორგანიზაციის ფარგლებში, პენტაგონი აპირებს, გაზარდოს თავისი სადაზვერვო ოპერაციები პრიორიტეტული სამიზნეების წინააღმდეგ. ამის შესახებ თავდაცვის სამინისტროს უფროსმა თანამშრომელმა განაცხადა. საზღვარგარეთ სადაზვერვო ოპერაციების გაძლიერების მიზნით შექმნილი „თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამსახური“ ცსს-თან მჭიდროდ ითანამშრომლებს.

ეს გეგმა შემუშავდა იმ კვლევის ანგარიშის პასუხად, რომელიც გასულ წელს ნაციონალური დაზვერვის დირექტორის განკარგულებით ჩატარდა და რომელშიც გაკეთდა დასკვნა, რომ ძირითად ტაქტიკურ სამიზნეებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას მათი ორიენტაციისათვის საჭიროა სამხედრო დაზვერვის ძალისხმევა ერაყისა და ავღანეთის ფარგლებს მიღმა.

ახალი სამსახური შეეცდება, დარწმუნდეს, რომ ოფიცრები კონკრეტული ამოცანების შესრულებისათვის საჭირო ადგილებზე იმყოფებიან.

ოფიციალურმა პირმა, რომელმაც ამის შესახებ განა-

ცხადა, ვინაობის გამხელა არ ისურვა და უარი თქვა დეტალებზე საუბარზე: თუ კონკრეტულად სად განხორციელდება ცვლილებები.

ახალი სამსახურის შექმნის პარალელურად პენტაგონში დაინიშნა უამრავი მაღალი თანამდებობის პირი, რომელთაც დაზვერვაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ და სჯერათ, რომ სამხედრო ჯაშუშობის პროგრამები არასწორად წარიმართა.

თავდაცვის მინისტრი ლეონ პანეტა, რომელმაც ხელი მოაწერა ახალი სამსახურის შექმნის ბრძანებას, ცსს-ს დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა მაშინ, როდესაც სააგენტო „ალ ქაიდასთან“ ბრძოლისას ფართოდ ეყრდნობოდა სამხედრო ტექნიკას, მათ შორის შეიარაღებულ უპილოტო საფრენ აპარატებს.

მაიკლ ვიკერსი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე დაზვერვის სფეროში და ცვლილებების მთავარი მამოძრავებელი, ყველაზე მეტად ცნობილია როგორც ცსს-ს იმ პროგრამის ერთ-ერთი შემქმნელი, რომლის მიხედვითაც 1980-იან წლებში ისლამისტი ბოევიკების შეიარაღება დაიწყეს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყრის მიზნით. ამავე დროს იგი ამერიკული სპეცრაზმის ყოფილი წევრია.

რეორგანიზაცია გავლენას მოახდენს რამდენიმე ასეულ ოპერატიულ სამხედროზე, რომლებიც უკვე ასრულებენ საჯაშუშო დავალებებს საზღვარგარეთ, როგორც სამხედრო დაზვერვის სააგენტოს თანამდებობის პირები. ეს ორგანო პენტაგონისათვის ადამიანური რესურსისა და ინფორმაციის ანალიზის მთავარი წყაროა.

ჩინოვნიკის თქმით, ახალი სამსახური რამდენიმე ასეული თანამშრომელიდან რამდენიმე ასეულზე უფრო მეტ თანამშრომლამდე გაიზრდება უახლოეს წლებში. ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ახალი სამსახურის პოტენციურად პროვოკაციული სახელწოდების მიუხედავად, არ არსებობს იმის საშიშროება, რომ პენტაგონი ცსს-ს ან ნაციონალური საიდუმლო სამსახურის როლის უზურპაციას აპირებს.

კონგრესმენებმა განაცხადეს, რომ ისინი ეძებდნენ უფრო დეტალურ ინფორმაციას ახალი გეგმის შესახებ.

გარკვეულწილად ეს გეგმა ჰგავს დონალდ რამსფელდის მინისტრობის დროინდელ გეგმას, რომლის მიხედვითაც სამხედროები უნდა გადაენაცვლებინათ დაზვერვის იმ სფეროებში, რომლებიც, დიდი ხანია, ცსს-ს პოლიგონია.

ახლა თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამსახური მჭიდროდ ითანამშრომლებს ცსს-სთან, რათა გააფართოოს თავისი მოღვაწეობა საზღვარგარეთ, მით უფრო, რომ სააგენტოსა და სამხედროების მისიები სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს.

ავღანეთში მსახურებისას გენერალ-ლეიტენანტმა მაიკლ ტ. ფლინმა გამოაქვეყნა დაუნდობლად კრიტიკული ანალიზი ამ ქვეყანაში სადაზვერვო ოპერაციების შესახებ. მასში საუბარი იყო იმაზე, რომ ინფორმაციის შემგროვებლები ზედმეტად არიან კონცენტრირებულნი ტაქტიკურ საფრთხეებზე და არ ესმით ბრძოლის გაცილებით ფართო დემოგრაფიული და პოლიტიკური კონტექსტი.

ახლა სამხედრო დაზვერვის სააგენტოს თანამშრომელთა 15 პროცენტი თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამსახურის ნაწილი გახდება, თავად სააგენტოს კი ამით საზღვარგარეთ მოღვაწეობის გაფართოების საშუალება მიეცემა.

დასასრულის დასაწყისი

ჩას ფრიმენი პრეზიდენტ ნიქსონის თარჯიმანი გახლდათ 1972 წელს ამერიკის ლიდერის ისტორიული ვიზიტისას ჩინეთში. ახლა, დიპლომატიურ სფეროსა თუ თავდაცვის უწყებაში შთამბეჭდავი 40-წლიანი კარიერის შემდეგ, იგი ჩინურიდან თარგმნის. გასულ კვირას ფრიმენმა თქვა: „ძალთა ბალანსი თუ არა, პრესტიჟის ბალანსი აშშ-სა და ჩინეთს შორის შეიცვალა... ჩინურ-ამერიკული შეჯიბრი სახიფათო გზებით ჩვენსა და საბჭოთა კავშირს შორის ცივი ომის პერიოდის შეჯიბრს ემსგავსება. თუმცა, ამჯერად საბჭოთა კავშირის მსგავს ფინანსურად არამდგრად პოზიციაზე ამერიკა დგას, ჩინეთი კი იმ ეკონომიკურად ჯანსაღ როლს ასრულებს, რომელსაც ოდესღაც ჩვენ ვთამაშობდით“.

ფრიმენი დიდი ხანია გლობალურ პროვოკატორად ითვლება, მისი გულახდილი და პირდაპირი შეხედულებები ახლო აღმოსავლეთსა და ჩინეთთან დაკავშირებით საბედისწეროდ აისახა ობამას განზრახვაზე, ორი წლის წინათ ნაციონალური სადაზვერვო საბჭოს უფროსად დაენიშნა. გასულ კვირას ფრიმენი იმ საკვანძო საკითხზე საუბრობდა, რომელიც წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში ამერიკული ფლოტის ყოფ-

ნას ეხება — რატომ არ უნდა გაღიზიანდეს პეკინი და რატომ არ უნდა ითამაშოს ამერიკის ნერვებზე მის გვერდით პატრულირებით?

ცუდი ამბავი: **„ჩინეთი ოთხი ათწლეულის მანძილზე ითმენდა, მაგრამ ახლა ის აქტიურად ფიქრობს, როგორ წაართვას აშშ-ს ჩინეთსა და ტაივანს შორის ურთიერთობის სამხედრო როლი ისე, რომ ჩინელებმა ტაივანის საკითხების გადაწყვეტა თავიანთ კოლეგებთან ერთად ტაიბეში შეძლონ. მე ამას აშშ-თან დაკავშირებით პოლიტიკის გადახედვის პრინციპულ მომენტად მივიჩნევ. გავრცელებული შეტყობინებების მიხედვით, ჩინეთი ამის განსახორციელებლად მზადაა. ამერიკელებს არ შეუძლიათ თვლიდნენ, რომ მათი მხრიდან ტაივანისათვის იარაღის მიყიდვა და ჩინეთის მიერ ამის გაპროტესტება მხოლოდ ფორმალობაა“.**

უფრო ცუდი ამბავი: **„ეს ყველაფერი არაა მხოლოდ სიტუაცია, როდესაც ჩინეთი და სხვები აღადგენენ რეგიონალურ უპირატესობას, რომელიც აწ გარდაცვლილი დასავლური კოლონიალიზმის ერამდე ჰქონდათ. ეს იმ სიტუაციის ასახვაცაა, როდესაც ამერიკის არათანმიმდევრული პოლიტიკა ფიტავს როგორც უცხოელებს, ასევე საკუთარ მოქალაქეებს. ამერიკის ფინანსური სისტემა და ეკონომიკური მდგომარეობა მთელი მსოფლიოს თვალში დისკრედიტირებულია. ცოტა ვინმე თუ მიგვიჩნევს ლიდერად გლობალურ ან რეგიონალურ საკითხებში. სრულად პატივს სცემენ მხოლოდ ჩვენს სამხედრო ძალას. მაგრამ, როგორც ვუჩვენეთ მსოფლიოს ერაყში, ავღანეთში, ახლა კი ლიბიაშიც, იმას, რისი მიღწევაც მხოლოდ სამხედრო ძალითაა შესაძლებელი, საზღვარი აქვს. ჩინეთი აღიქმება როგორც წესრიგის დამმყარებელი, თავდაჯერების მომპოვებელი და საქმეზე ორიენტირებული ქვეყანა, აშშ კი აღიქმება, როგორც უსაშინელესი პრობლემებით გარშემორტყმული ქვეყანა, რომელიც ბევრს არაფერს აკეთებს თუნდაც ზოგიერთი პრობლემის გადასაჭრელად“.**

ფრიმენმა ამ საკითხებზე სამხედრო-საზღვაო კოლეჯის ჩინეთის საზღვაო კვლევების ინსტიტუტში, ნიუპორტში, როდ-აილენდში ისაუბრა. ნუ ელით, რომ ამგვარ თემას თქვენს საყვარელ ტელეარხზე განიხილავენ ან პრეზიდენტობის პრეტენდენტები წამოწევენ.

აშშ-ის განათლების სისტემა თვითმხილველის თვალით

ვილაც ფიქრობს, რომ ამერიკაში დემოკრატიაა, სინამდვილეში კი იქ დემოკრატია არც არის და არც არასდროს ყოფილა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კენედების ოჯახი ამოხოცეს. ყოველწლიურად ამერიკის ციხეებსა და სკოლებს შორის განსხვავება სულ უფრო და უფრო მცირდება. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გაიგებს, თუ რა იდიოტური მიზეზებით აკავებენ ამერიკელ მოსწავლეებს, აბსოლუტურად თავზარდაცემული იქნება. ამერიკაში წინა თაობებს არ ახსოვთ, რომ მათი მოსწავლეობის პერიოდში სკოლაში ერთი პოლიციელი მაინც მისულიყოს. დისციპლინას მასწავლებლები და დირექტორი უზრუნველყოფდნენ. მაგრამ ახლა ქვეყანაში არის სკოლები, სადაც მუდმივად მორიგეობენ პოლიციელები. სხვა დანარჩენი სკოლები პოლიციელებს საჭიროების შემთხვევაში იძახებენ. ასეა თუ ისე, ამერიკის

ნებისმიერ სასწავლო დაწესებულებაში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს იმის შანსი, რომ პოლიციელმა დააპატიმროს და სკოლიდან ხელბორკილებით გამოათრიოს.

სამწუხაროდ, ამერიკა გახდა ქვეყანა, სადაც პარანოია სტანდარტულ პროცედურად იქცა. **ამერიკელი ხალხი დარწმუნდა, რომ ერთადერთი ვარიანტი, რომელიც მის „უსაფრთხოებას“ უზრუნველყოფს, გასამხედროებული, ტოტალური, პოლიციური სახელმწიფოს შექმნაა.** ამრიგად, **ამერიკული სახელმწიფო სკოლები ციხეების ანალოგიურად ფუნქციონირებენ, მოსწავლეები კი პატიმრებისაგან არაფრით განსხვავდებიან.**

აშშ-ს დღეისათვის მსოფლიოში არათავისუფლების ყველაზე მაღალი ხარისხი ახასიათებს და სკოლები მომავალ თაობებს ამზადებენ ან პენიტენციალურ სისტემაში სასჯელის მოსახდელად, ან პატარა, სამაგალითო მონის ცხოვრებისათვის უფროსი ძმის რეზერვაციაში. **ამერიკულ სკოლებში ნამდვილად არ ასწავლიან ბავშვებს კრიტიკულ აზროვნებას, არ აძლევენ იმის გაცნობიერების შანსს, რომ მათ უნდა იცხოვრონ, როგორც თავისუფალმა მოქალაქეებმა ქვეყანაში, რომელიც ერთ დროს თავისუფლების სამშობლოდ ითვლებოდა.**

ცხადია, ვერავინ უარყოფს, რომ ამერიკელი მოსწავლეების ხასიათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჯერ კიდევ 1950-იან წლებში სასკოლო დისციპლინის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა საღეჭი რეზინი და თმების წიწკნა იყო. **დღეს ბავშვები სკოლაში დადიან დანებით, ცეცხლსასროლი იარაღითა და ნარკოტიკებით. ბანდიტიზმი მრავალ სკოლაში ყვავის.**

ასე რომ, დისციპლინის პრობლემა ნამდვილად სახეზეა. მაგრამ ის, რაც ქვეყნის მრავალ რაიონში ხდება, უბრალოდ სასაცილოა. მაგალითები საკმარისზე მეტია:

ტეხასის ერთ-ერთ სახელმწიფო სკოლაში 12 წლის გოგონა სარა ბასტამანტესი სუნამოს მიპკურების გამო დააპატიმრეს. ნიუ-მეხიკოს შტატში მოსწავლე იძულებული

გახდა, ხუთი ადამიანის თანდასწრებით გაშიშვლებულიყო, იმის გამო, რომ ჯიბეში 200 დოლარი უპოვეს.

კალიფორნიის ერთ-ერთ სკოლაში დარაჯმა 16 წლის გოგონას ხელი მოსტეხა იმის გამო, რომ გოგონას ძირს დაუცვივდა ნამცხვრის ნაფხვენები.

ჰიუნსტონში ორმა მოზარდმა ჩხუბისას ერთმანეთს რძე გადაასხა. ორივე დააპატიმრეს.

2010 წლის დასაწყისში ნიუ იორკის ფორესტ-ჰილსის სკოლაში 12 წლის გოგონა პოლიციამ იმის გამო დააპატიმრა, რომ მან სასკოლო მერხზე დაწერა: „მე მიყვარს ჩემი მეგობრები — ები და ფეიტი“. გოგონა სკოლიდან ხელბორკილებით წაიყვანეს.

ფლორიდაში 6 წლის გოგონას ხელბორკილები დაადეს და ფსიქიატრიულში გაამწესეს იმის გამო, რომ პირველ კლასში მისვლისას ისტერიკა გამართა.

ტეხასში ერთ-ერთი მოსწავლე პოლიციამ იმის გამო დააპატიმრა, რომ საკლასო ოთახში ქაღალდის თვითმფრინავი გაუშვა.

ჩრდილოეთ კაროლინაში ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლე, სახელად ეშლი სმიტუიკი, პოლიციის მიერ ბრალდებულ იქნა სამართალდარღვევაში. გოგონამ შემთხვევით სკოლაში მამამისის სადილი წაიღო. მასში კი იდო პატარა დანა ბოსტნეულის გასასუფთავებლად, რომელსაც მამა ვაშლის დასაჭრელად იყენებდა ხოლმე. გოგონა სკოლიდან გარიცხეს.

პენსილვანიის შტატის ქალაქ ალენტაუნში 14 წლის გოგონამ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლისგან ელექტროშოკის დარტყმა მიიღო, იმის მიუხედავად, რომ ბავშვმა ხელები ასწია დანებების ნიშნად.

ფლორიდაში 11 წლის მოსწავლე დააპატიმრეს და ციხეში შეაგდეს მესამე ხარისხის დანაშაულის ბრალდებით მხოლოდ იმიტომ, რომ კარაქისათვის სკოლაში პლასტმასის დანა მიიტანა.

მასაჩუსეტსის შტატში 8 წლის ბავშვი სკოლიდან გაგზავნეს და აიძულეს, ფსიქოლოგიური ექსპერტიზა გაევლო მხოლოდ იმის გამო, რომ მან ჯვარცმული ქრისტე დახატა.

კალიფორნიის სან-მატეოს ერთ-ერთ სკოლაში 7 წლის ბავშვს პოლიციელმა სახეში სპეციალური წინაკის აეროზოლი მიასხა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვი ავეჯზე ადიოდა.

5 წლის სკოლის მოსწავლე პოლიციელებმა ხელებითა და ფეხებით შებოჭეს, ბორკილები დაადეს და რადიატორზე მიაბეს. ამის შემდეგ კი აიძულეს, ფსიქოლოგიურ ექსპერტიზაზე წასულიყო.

კონექტიკუტის ერთ-ერთ სკოლაში 17 წლის ბიჭი იატაკზე დააგდეს და ხუთჯერ მიაღებინეს ელექტროშოკი მხოლოდ იმიტომ, რომ სასადილოში მომუშავეებს დაუყვირა.

ფლორიდაში, დაწყებით სკოლაში, სპორტდარბაზში გოგონამ ბიჭს აკოცა, რის გამოც სკოლაში პოლიცია გამოიძახეს.

6 წლის ბავშვი თამაშის დროს რაღაც „უადგილო შეხებებისთვის“ სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულეს.

მასაჩუსეტსის პოლიცია გაგზავნეს 5 წლის გოგონასთან იმიტომ, რომ მას ბიბლიოთეკიდან წაღებული ვადაგადაცილებული წიგნები დაებრუნებინა.

ის, რაც ამერიკის სკოლებში ხდება, იმის ასახვაა, რაც მთელ საზოგადოებაშია გამეფებული. სკოლები ციხეებს ემსგავსება იმიტომ, რომ უკვე მთელი საზოგადოებაც ერთ დიდ ციხეს ჰგავს. ამ საზოგადოების შვილებს არ აქვთ ნათელი მომავალი, რომელსაც მოუთმენლად დაელოდებოდნენ.

თუ პოლიციას ნამდვილად სურს დამნაშავეების პოვნა, მაშინ ჯერ მათ შორის უნდა მოძებნოს ავადმყოფები, რომლებიც სასკოლო კლასებზე აგებენ პასუხს. ამ შემთხვევაში ახალ ამბებს მასწავლებელთა გარყვნილი ისტორიების შესახებ ყოველდღიურ ახალ ამბებშიც მოვისმენთ.

მაგალითად, ლოს-ანჯელესში ახლახან დააკავეს მასწავლებელი, რომელიც ოცამდე ბავშვზე ძალადობდა და ზოგიერთებს სხეულზე ცოცხალ ტარაკანებს ასვამდა. ხელისუფლება იტყობინება, რომ ეს დანაშაულებები კამპუსის ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი.

დამსმენებისა და ჩამშვებების ნაცია

უკვე ჩამოყალიბდა აზრი, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ ძალზე შორს შეტოპა. ამერიკამ ისწავლა, წარმოუდგენლად მოხერხებულად განთესოს თავისი აგენტები ტერორისტულ დაჯგუფებებში. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ განსაკუთრებულად მწარე კრიტიკის ობიექტი ცსს გახდა, რადგან სპეცსამსახურმა ვერ მოახერხა, „ალ ქაიდაში“ საკუთარი აგენტი შეეგზავნა ან მის რიგებში ეპოვა ინფორმატორი.

გაზეთები გადააჭრელა ისტორიამ იმის შესახებ, თუ როგორ ჩაინერგა „ალ ქაიდაში“ ვიღაც საუდელი ჯაშუში, რომელიც იმავდროულად ცსს-სთანაც თანამშრომლობდა; როგორ გადაარჩინა აფეთქებას აშშ-ის მიმართულებით მფრინავი ავიალაინერი და როგორ გადასცა ასაფეთქებელი მოწყობილობა უვნებლად ამერიკულ დაზვერვას. გარდა ამისა, აგენტის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ შესაძლებელი გახადა „ალ ქაიდას“ იემენური ფრთის ერთ-ერთი ხელმძღვანელის განადგურება უპილოტო საფრენი აპარატის მეშვეობით მიყენებული დარტყმით.

ნებისმიერი საზომით წარმატებულად უნდა ჩაითვალოს ეს ეფექტური ოპერაცია, სპეცსამსახურებმა ხომ „ალ ქა-

იდას“ სწორედ იმ განშტოების გულისგულში შეაღწიეს, რომელიც, როგორც ამბობენ, ყველაზე აქტიურად ხლართავს ძაფებს ამერიკელთა დასახოცად. მაგრამ პრესაში მქუხარე აპლოდისმენტებს მწვავე კრიტიკაც ახლდა. კრიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მაგალითი ინტერნეტ-გამოცემა Salon-ში საკუთარ გვერდზე გლენ გრინუოლდის მიერ გამოქვეყნებული სტრიქონები გახდა:

„მაშ ასე, გამოდის, რომ ისევე, როგორც პრაქტიკულად ყველა „ტერორისტული შეთქმულება ქვეყნის შიგნით“ ჩაფიქრებული, მიმართული და დაფინანსებულია გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ, ᲘᲔᲛᲔᲜᲣᲠᲘ „ალ ქაიდას“ ოპერაციას ცსს და მისი საუდელი პარტნიორები გეგმავდნენ. შესაბამისად, ეს მცდელობა, მომხდარიყო ტერორისტული აქტი, რამაც მასმედიაში ასეთი ისტერიკა გამოიწვია, მხოლოდ კონსპირაციული გეგმა კი არა, შეთქმულებაც იყო, რომელსაც მუდმივად აკონტროლებდნენ აშშ-ის ხელმძღვანელობა და საუდის ხელისუფლების სპეცსამსახურები“.

უფრო მეტიც, გრინუოლდი ერთადერთი არ გახლდათ, ვინც ეს სადავო მსჯელობა გამოაქვეყნა. მის მაგალითს ასობით ბლოგერმა და ექსპერტმა მიბაძა. კრიტიკის ტალღას შეუერთდნენ არა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მხარს არ უჭერენ სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს, არამედ ამ კურსის მომხრენიც.

ამერიკელთა ფსიქიკისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ინტერესი სხვადასხვა ჯაშუშური თამაშებისადმი, მაგალითად, ინფილტრაციის, ანუ აგენტების ჩანერგვისადმი. როდესაც ტერორისტული აქტი ხდება, აშშ-ის მოქალაქეები მრისხანედ მოითხოვენ ხელისუფლებისგან, განმარტოს, თუ სად იყვნენ ამ დროს სპეცსამსახურები და როგორ ვერ შენიშნეს მოახლოებული ტრაგედიის ნიშნები. **როდესაც სიმშვიდეა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბინძური სამუშაო ამერიკელებს არ აინტერესებთ. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში თავიდან აცილებული ტერაქტების უზარმაზარმა რაოდენობამ და ზემოგანხილულმა შემთხვევამ ამერიკელები შეაშფოთა და**

დაარწმუნა, რომ სპეცსამსახურები თავიანთ საქმიანობაში ძალზე შორს მიდიან. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ აშშ-ის 300-ზე მეტი მოქალაქე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულისთვის. შემთხვევათა თითქმის ნახევარში სამართალდამცავებმა დამნაშავეზე გასვლა იმ ოპერაციების საშუალებით მოახერხეს, რომელთა საფუძველშიც ინფილტრაცია იდო. როგორც ამბობენ, ინფილტრაციის ქსელი ძალიან დიდ მანძილზეა გადაჭიმული, ისინი ეხებიან არა მხოლოდ ორგანიზაციის რიგით წევრებს, არამედ მაღალი რანგის პირებსაც. **სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებულ სტატიაში „ალ ქაიდადან“ კარგად ცნობილი ანვარ ალ-ავლაკი წერს, რომ როგორც ცსს, ასევე გამოძიების ფედერალური ბიურო მის „გათხუნელებას“ ცდილობდა.**

უკანასკნელ პერიოდში ამგვარი ტაქტიკისადმი დამოკიდებულება ძალზე წინააღმდეგობრივია მთელი რიგი მიზეზების გამო. არსებობს აზრი, რომ ის მიმართულია მხოლოდ მუსლიმანების წინააღმდეგ, სპეცსამსახურები კი გადაბირებას ხაფანგების შეგნებულად მოწყობით ახორციელებენ. როგორც ცნობილია, სპეციალურად მოწყობილი ხაფანგების შემთხვევაში სასამართლოში საქმე წარმატებით ძალზე იშვიათად სრულდება.

ინფილტრაციის მეთოდები — საიდუმლო აგენტები იქნებოდნენ ესენი თუ ანაზღაურებადი ინფორმატორები — 2001 წლის 11 სექტემბრამდე დიდი ხნით ადრეც წარმატებით გამოიყენებოდა, თანაც ეს მხოლოდ მუსლიმანებს ან მხოლოდ ტერორისტებს როდი ეხებოდა. ამ მხრივ იმუნიტეტი თვით მაფიასაც კი არ გააჩნია. **„ნებისმიერმა, ვინც მისი წევრია, უნდა იცოდეს, რომ მარჯვნივ ან მარცხნივ აუცილებლად უდგას ადამიანი, რომელიც გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტია ან ფარული მიკროფონი აქვს მიმაგრებული“,** — განაცხადა ადვოკატმა ენტონი კარდინალემ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

არსებობს **სამართლებრივი ნორმები,** რომლებიც

აგენტების ჩანერგვასა და ხაფანგების მოწყობას ეხება. **2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ სასამართლოები ყოველთვის აღიარებდნენ სახელმწიფოს უფლებას მსგავს ქმედებებზე.**

ყველამ, ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა მსგავს სიტუაციაში, იცის, რა იოლია კამათის წაგება, თუნდაც მაშინ, როდესაც ტექნიკური თვალსაზრისით მართალი ხარ. პოტენციური ექსტრემისტების საარსებო გარემოს აგენტებითა და ინფორმატორებით გაჯერებელი სპეცსამსახურების პოლიტიკური და პრაქტიკული მოტივები სავსებით გასაგებია. საკუთარი პასუხისმგებლობის ზონაში გვამების გორები არავის უნდა. მაგრამ **დღეს მხოლოდ საწყის ეტაპზეა იმ სოციალური ნაკლოვანებების შესწავლა, რომელიც გამოიწვია ქვეყნის დამსმენებითა და ჩამშვებებით წალეკვამ.**

თეზისი, რომელსაც ასე ხშირად წამოაყენებენ ხოლმე მარგინალური წრეების წარმომადგენლები, იმაში მდგომარეობს, რომ **ხელისუფლება შეგნებულად მიმართავს ინსცენირებებს, რათა გააზვიადოს საკუთარი წარმატებები და დაიმორჩილოს საზოგადოება. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ხელისუფლება იყენებს ძალზე ხელოვნურ მეთოდებს აშკარად სულელური და უსარგებლო ამოცანების გადასაჭრელად**. რა საჭიროა ტანსაცმლის ქვეშ დამალული თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოგონება, თუ შესაძლებელია პორტატული ბირთვული ბომბის ჩემოდანში ჩადება? რა საჭიროა ინფორმატორებისა და საიდუმლო აგენტების როლის გამოაშკარავება? ამგვარი ლოგიკური შეუსაბამობების სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

თავისუფალი ადამიანების სამშობლო, ანუ ამერიკის შეერთებული ციხეები

აშშ-ში ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 5% და პლანეტის ყველა პატიმრის 25%. აშშ-ის ჰიმნის მაღალ პატრიოტულ ნოტზე დამამთავრებელი სიტყვები „Land of the free and the home of the brave" („თავისუფალთა მიწა და მამაცთა სამშობლო"), როგორც ჩანს, აღარ შეესაბამება სინამდვილეს. თავისუფალ ადამიანთა მიწა გარკვეული პერიოდის წინ დედამიწაზე პატიმრების ყველაზე დიდ დასახლებად იქცა.

2011 წელს აშშ-ში პატიმრების რაოდენობა 7 ათასს აჭარბებდა — ეს უფრო მეტია, ვიდრე მასაჩუსეტსის შტატის მთელი მოსახლეობა.

მსოფლიოში არც ერთ სხვა ქვეყანას არ ჰყავს პატიმართა ასეთი რაოდენობა. ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ, შესაძლოა, მხოლოდ ჩრდილოეთ კორეა იყოს. ამ ქვეყნის შესახებ, უბრალოდ, არ არსებობს შესაბამისი ინფორმაცია და ის თავისთავადაა ერთი დიდი ციხე.

© „ადამიანის უფლებათა ევროპული“

დღეისათვის აშშ-ის ციხეებში ქვეყნის 100 000 მოსახლეზე 760 პატიმარია.

ევროპის ქვეყნების უმეტესობაში 100 000 მოსახლეზე პატიმართა რაოდენობა დაახლოებით 100-ს შეადგენს, ანუ ამერიკის მაჩვენებლის ზუსტად 1/7-ია.

პატიმართა რაოდენობის მიხედვით, მსოფლიო ლიდერები, ისეთები, როგორიცაა ბრაზილია და პოლონეთი, აშშ-ის მოსახლეობას პროპორციული რაოდენობით სამჯერ ჩამოუვარდებიან.

აი, როგორ გამოიყურება ეს დისპროპორციულობა პროცენტულ თანაფარდობაში.

აშშ-ში ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 5% და პლანეტის ყველა პატიმრის 25%.

1980 წელს ეს ციფრები ოთხჯერ ნაკლები იყო.

პატიმართა რაოდენობის ასეთი მძლავრი ზრდის საბაბი „ნარკოტიკებთან ომის“ წარუმატებელი კამპანია გახდა. ამ კამპანიის შედეგად დაიწყო თითქმის უკონტროლო ზრდა იმ კანონების რაოდენობისა, რომლებიც ადამიანებს ციხეში უშვებდნენ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ყველაზე უაზრო და არასერიოზული დანაშაულებისთვისაც კი.

და ამგვარი კანონების რაოდენობა სამ ათასს აღემატებოდა! უკანასკნელ 20 წელიწადში პატიმრების შენახვისათვის საჭირო თანხების მატება უმაღლესი განათლებისათვის საჭირო სახსრების ზრდას ექვსჯერ აღემატებოდა.

კალიფორნია, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ჰოლივუდის კი არა, ციხეების შტატიცაა. მაგალითად, **2011 წელს კალიფორნიამ ციხეებზე 9,6 მილიარდი დოლარი დახარჯა, უმაღლეს განათლებაზე კი — 5,7 მილიარდი.**

1980 წლიდან კალიფორნიაში ერთი უნივერსიტეტი და 21 ციხე აშენდა. **კალიფორნია წელიწადში ერთ პატიმარზე დაახლოებით 50 000 დოლარს ხარჯავს.**

მაინც რად უნდა ამერიკას ამდენი პატიმარი? პასუხი შემზარავია.

როგორც გაირკვა, ციხე კარგი ბიზნესია. ისინი ძირითადად არა სახელმწიფო, არამედ კერძო საკუთრებას წარმოადგენს. საპატიმრო ინდუსტრიის ინტერესებს ვაშინგტონში ძალზე გავლენიანი ლობისტები წარმოადგენენ და შტატის დონის პოლიტიკოსთა უმეტესობა მათ ჯიბეში უზის.

შედეგად, მრავალი შტატის ბიუჯეტი გაკოტრების პირასაა, მაგრამ ამ ფენომენის ტრაგედიას გაცილებით გრძელვადიანი შედეგები აქვს — ჩნდება ადამიანების მთელი არმია, რომელიც გათავისუფლების შემდეგ ვერ შეძლებს პროდუქტიულ ცხოვრებას.

ამრიგად, თავისუფალთა ნაცია იმ გაუაზრებელი გადაწყვეტილებების გამო, რომელთა შესაცვლელად პოლიტიკური ნება არავის ჰყოფნის, იქცა ნაციად, რომელიც სხვებზე ხშირად სვამს თავის მოქალაქეებს გისოსებს მიღმა.

ევროპის გაღაშენება

რა აზრი აქვს დემოკრატიისა და თავისუფლების ყველა მიღწევას, თუ ამ ყველაფრის მთავარი შედეგი ტოლერანტების მიერ „გაბედნიერებული“ მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირებაა?

ყველას გვსმენია იმ დემოგრაფიული კატასტროფის შესახებ, რომელიც ეწვია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს ქვეყნების ნგრევის შედეგად მოხდა, მაგრამ ამ საშინელების თავიდან აცილების გზებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მათგან ყველაზე მცდარის მიხედვით, „ცივილიზებულ სამყაროზე“ სწორებაა საჭირო.

არადა, „ცივილიზებული ევროპული ქვეყნები“, რომლებზე სწორებისკენაც მოუწოდებენ ლიბერალები, თავადაც იხოცებიან. ცსს-ს ოფიციალურ საიტზე მოცემულია ციფრები, რომლებიც ყველასათვის ხელმისაწვდომია და რომლებსაც მალე 2012 წლის მონაცემები შეემატება. ცხადია, ცსს-ის მონაცემებს თვალდახუჭული ვერ ვენდობით, მაგრამ, თუ ყურადღებით დავაკვირდებით ტენდენციებს, ევროპის ბედი აბსოლუტურად ნათელია, მიუხედავად იმისა, ვისი მონაცემების საფუძველზე მოხდება გათვლა.

მაგალითისთვის განვიხილოთ ევროპის ყველაზე წარმატებული ქვეყნების ხუთეული (ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია), წარმატებულად მიჩნეული რეგიონული ქვეყნები (შვედეთი, დანია, ავსტრია), პოლონეთი, რომელმაც ყველასათვის გასაგონად გააკეთა „ევროპული არჩევანი“ და რომელსაც ლიბერალები მუდამ მაგალითად იშველიებენ, და ბალტიის ქვეყნები, რომლებმაც იმავე გზით იარეს. რუსეთი, უკრაინა და ბელარუსი მხოლოდ შედარებისთვის განიხილება. ასევე განიხილება „ცივილიზებული მსოფლიოსაკენ“ მიმავალი საქართველო და აზერბაიჯანი, რომელთაც 1990-იანი წლებისთვის დაახლოებით ერთნაირი სასტარტო პირობები ჰქონდათ. და ბოლოს, სურათის სრულფასოვნებისთვის დავამატოთ ყველანაირ ბოროტებაში ბრალდებული ირანი, დასავლურ მსოფლიოში ინტეგრირებადი იაპონია, კანადა და აშშ.

ცსს-ს საიტზე არის საეჭვოზე უარესი ციფრები, რომელთა თანახმადაც აშშ-ის მოსახლეობის 80% თეთრკანიანი ყოფილა. ეს ხომ თვალხილული ტყუილია, მაგრამ ამ რაოდენობაში შედის ყველა ლათინოსი, რომლებიც მხოლოდ პირობითად არიან თეთრები, ანუ ეს არის ციფრებით მანიპულირების მსუბუქი ფორმა, გამოკვეთილი მოტივების გარეშე, მაგრამ საჭირო მიმართულებით.

შედარებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები ერთსა და იმავე მაჩვენებლებზე. მართალია, ძნელია იმის მტკიცება, თუ ვინ იძლევა ყველაზე ზუსტ მაჩვენებლებს, მაგრამ ეს განსხვავებები თავისთავად საინტერესოა.

ევროპის ქვეყნებში შობადობა სიკვდილიანობას მხოლოდ ბრიტანეთში, ესპანეთსა და საფრანგეთში აღემატება; დანიაში, შვედეთსა და პოლონეთში ეს მაჩვენებლები თანაბარია; იტალიაში, ავსტრიასა და გერმანიაში კი მოსახლეობა გადაშენების გზაზეა. არადა, ლიბერალები ხომ სულ გაიძახიან, რომ ევროპის ქვეყნებში ყველაფერი კარგადაა და სწორედ მათზე სწორებაა საჭირო. ბალტიის ქვეყნებში ეს ყველაფერი უფრო მძაფრადაა გამოხატული. საქართველოში შობადობა ოდნავ

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულში“

აჭარბებს სიკვდილიანობას, მაგრამ, ვინაიდან ქვეყნიდან ბევრი ადამიანი მიდის, საერთო ჯამში მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. საკითხავია, რატომ გარბის ხალხი იმ ქვეყნიდან, რომელმაც ევროპული გზა აირჩია. სამაგიეროდ, მეზობელ აზერბაიჯანში სიცოცხლის სასარგებლოდ სხვაობა იმდენად დიდია, რომ ახსნასაც არ საჭიროებს. არადა, ეს ორი ქვეყანა ხომ მეზობლები არიან. ცხადია, რომ დემოგრაფიის ახსნის გასაღები კულტურაშია. ირანში მდგომარეობა კიდევ უფრო უკეთესადაა, ცივილიზებულ იაპონიაში კი მოსახლეობა დიდი სისწრაფით მცირდება. კანადაში ესპანეთის მსგავსი მდგომარეობაა, აშშ-ში კი შობადობა ბევრად მაღალია.

ახლა კი გამოიცანით, რით განსხვავდება დასავლეთის ხუთი ქვეყანა (ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, კანადა და აშშ), რომლებშიც შობადობა სიკვდილიანობას აღემატება, დანარჩენებისაგან? სწორი პასუხია მაღალი მიგრაცია. ამ ქვეყნებში ან უამრავი მიგრანტი, ძირითადად მუსლიმანი, ჩადის, ან იქ მიგრაციის დაბალი დონეა, მაგრამ უკვე ბევრი მიგრანტი მუსლიმანია. რა წვლილი შეაქვთ მათ საერთო შობადობაში, დაზუსტებით უცნობია, მაგრამ ცხადია, რომ ეს წვლილი მნიშვნელოვანია. განვითარებად ქვეყნებში ხომ არა მხოლოდ მოხუცები, არამედ ძირითადად ახალგაზრდები ჩადიან. რაც შეეხება აშშ-ს, არათეთ-

რი ანგლოსაქსი მოსახლეობის რაოდენობა უკვე იმდენად დიდია, რომ მთელი მოსახლეობის მესამედზე მეტს შეადგენს. არადა, ყველაზე მაღალი შობადობა ხომ სწორედ არათეთრკანიან მოსახლეობას შორის აღინიშნება.

„ცივილიზებული მსოფლიო“ ან უკვე გაწყვეტის პროცესშია, ან უზრუნველყოფს მოსახლეობის მატებას მიგრანტებისა და უცხო კულტურის მოსახლეობის ხარჯზე. მაგრამ იტალიაში შობადობას მიგრანტების დიდი ნაკადიც ვეღარ შველის. მუსლიმანურ და არც ისე „ცივილიზებულ“ აზერბაიჯანსა და ირანში დემოგრაფიული მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. **რაც შეეხება რუსეთს, უკრაინასა და ბელარუსს, სიკვდილიანობის უპრეცენდენტო მაჩვენებლები იმაზე მიანიშნებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კრიზისმა პირველ რიგში სლავურ ქვეყნებს შეუტია, ანუ მათ, ვინც სახელმწიფოებრიობის მატარებელი იყო. ბალტიის ქვეყნებისა და კავკასიისათვის ეს პროცესი რომ ნაკლებად კატასტროფული იყო, ეს იმის დამადასტურებელია, რომ რუსეთმა სწორედ თავისი სახელმწიფო დაკარგა**. მაგრამ, მიაქციეთ ყურადღება, რომ რუსეთში ახლა შობადობა ისეთივეა, როგორიც „ცივილიზებულ ევროპაში“ ან კიდევ უფრო მეტი. მაშ, რა გამოდის?

დემოგრაფიული კატასტროფის შედეგად რუსეთი მიიჩნევს, რომ ფსკერამდე დავიდა, მაგრამ ევროპა, უკვე დიდი ხანია, ამ ფსკერზეა თავისი ნაქები ცივილიზებულობით. მაშ, ვისზე მიგვითითებენ მაგალითის სახით? ეს, უბრალოდ, სიცრუეა — ევროპა შეუქცევადი გადაშენების გზაზეა.

მოსახლეობის კვლავწარმოებისათვის შობადობის ჯამური კოეფიციენტი, სულ მცირე, 2,15 უნდა იყოს. ევროპის არც ერთ ქვეყანაში ის ამ დონეს არ აღწევს. ევროკავშირში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 1,5-ს უტოლდება. კოეფიციენტი ყველაზე მაღალია ბრიტანეთში, შვედეთში, საფრანგეთსა და დანიაში, მაგრამ სწორედ ამ ქვეყნებში ცხოვრობენ ყველაზე მეტი ისლამისტები. რა საოცარი დამთხვევაა. რაც შეეხება რუსეთს, „გრანდიოზულმა კატასტროფამ“ ის „ცივილიზებული ევროპის“ დონემდე და-

© „ღვინისფერი ალბომი“



იყვანა. ასე რომ, რუსეთს ევროპაში ინტეგრირება და მასობრივ დამკრძალავ პროცესიასთან შეერთება კი არა, პირიქით, ევროპული ორმოდან თავის დაღწევა სჭირდება.

შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, თუ როგორ ხდება, 2,15-ზე გაცილებით ნაკლები შობადობის კოეფიციენტის პირობებში ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა.

შობადობა და სიკვდილიანობა მიმდინარე მაჩვენებლებია, რომლებიც ფიქსირდება მკვეთრად განსაზღვრულ დროის მონაკვეთებში. შობადობის ჯამური კოეფიციენტი თითქოს გაწელილია დროში და აჩვენებს, რამდენ ბავშვს აჩენს საშუალოდ ერთი ქალი. ამიტომ მოცემული მაჩვენებელი დიდწილად ინერციულია, მაგრამ ბევრად ფატალურიც. ეს ბედია.

ასე რომ, შობადობის სიკვდილიანობაზე მატების მიმდინარე მაჩვენებელი, შესაძლოა, აბსოლუტურად არ ეწინააღმდეგებოდეს დასკვნას, რომ მოსახლეობა შეუქცევადად მცირდება. ახლა ჯერ კიდევ მოქმედებს შედარებით მაღალი დონე სოციალური დაცვისა, რომელიც უზრუნველყოფს დაბალ სიკვდილიანობას. სოციალური სტანდარტების ეს დონე წინა თაობის მიერ მომზადდა და ახლა ეს მარაგი იხარჯება. იხარჯება, მაგრამ აღარ ივსება. თითქოსდა შესაძლებელია, დაიბადოს ცოტა ბავშვები, მაგრამ სიკვდილიანობის დაბალი დონით შენარჩუნდეს მოსახლეობის ზრდა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ გამოვა. საქმე ისაა, რომ რამდენადაც არ უნდა გაუხანგრძლივო ადამიანს სიცოცხლე, ადრე თუ გვიან ის მაინც მოკვდება და მის ნაცვლად ახალი თაობები უნდა მოდიოდნენ. ჯერჯერობით ევროპაში ისევ მუშაობს ის მრავალრიცხოვანი თაობა, რომელიც დაიბადა მეორე მსოფლო ომის შემ-

დგომი დემოგრაფიული ბუმის დროს. იმის ხარჯზე, რომ ისინი ბევრნი არიან, ჯერჯერობით შენარჩუნებულია მაღალი სოციალური სტანდარტი, მაგრამ ოდესმე, და არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, ისინიც პენსიაზე გავლენ.

როგორ ფიქრობთ, **რატომ ზრდიან ბოლო დროს ევროპაში საპენსიო ასაკს?** გაიხსენეთ, რამდენი წლისანი არიან ისინი, ვინც ომისშემდგომო დემოგრაფიული ბუმის დროს (1945-1960) დაიბადნენ? სწორედ საპენსიო ასაკს უახლოვდებიან. ევროპული ხელისუფლებების შფოთვა კი იმითაა განპირობებული, რომ ამ ხალხის ჩამნაცვლებელი არავინაა. ამიტომ სასოწარკვეთილი ევროპა სულელურად ცდილობს, ცოტა ხანს კიდევ დატოვოს ეს ხალხი სამსახურში.

ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების დონის ნელ-ნელა შემცირების ნაცვლად არჩეულია მისი როგორმე შენარჩუნების და შემდეგ მკვეთრი ვარდნის სტრატეგია. გავა 10-15 წელი და შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება კატასტროფული მასშტაბებით მოხდება. გამოთავისუფლებულ ადგილებს მიაწყდება მიგრანტების კიდევ უფრო მეტი რაოდენობა, არადა, ევროპა უკვე შევიწროებულია მიგრანტებისგან, უბრალოდ, ვერაფერს ხდება მათთან. ასე დაეცა ძველი რომიც.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში მცირდება ბავშვების და იზრდება მოხუცების რაოდენობა. დაბერების ტენდენცია სახეზეა და გაუგებარია, ვინ გადაუხდის პენსიას ომისშემდგომ გაჩენილ თაობას, რომელიც ახლა სამუშაო ადგილების უმეტეს ნაწილს იკავებს. ევროპა ბერდება და კვდება. თვით რომის პაპმაც კი ევროპულ კულტურას სიკვდილის კულტურა უწოდა.

ევროპა განწირულია. როგორც მოხუცი ვერსად გაექცევა თავის ასაკსა და მოახლოებულ აღსასრულს, ისე ვერც მომაკვდინებელ კომფორტში ნელ-ნელა ჩაძირული ევროპელები დააღწევენ თავს თავიანთ ლიბერალურ ჩიხს. ეს ევროპის ბედია. ცრუ ღმერთის — ტოლერანტობის არჩევით მათ აირჩიეს სამარისაკენ მიმავალი გზა. ასეთია მომაკვდინებელ ცივილიზაციაში გარდამავალი კულტურული განვითარების ლოგიკა.

© „ღიასტრიბუციის ალიანსი“

დიდი ამერიკული ტყუილი

პოლიტიკოსები მუდამ ცრუობენ და ამას უკვე ყველა მიეჩვია. სამართლიანობის გულისთვის მაინც შეიძლება პოლიტიკურ დაპირებებში გამოიძებნოს რაღაცის გაკეთების სურვილი და სწორედ ამაზე საუბრობს პოლიტიკოსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ზედმეტად აღფრთოვანებული ხატავს სურათს და სასურველს უკვე მომხდარად წარმოაჩენს. ძნელია ამაში პოლიტიკოსის დადანაშაულება, იმიტომ, რომ ამგვარად წარმოადგენენ თავიანთ პროექტს. რაღაც დოზით შეიძლება საუბარი იდეების თავისებურ კაშკაშა და ფერადოვან პრეზენტაციაზე და ამაში, ცხადია, ცუდი არაფერია.

თუმცა აბსოლუტირად სხვაგვარად უნდა გავიგოთ, როდესაც პოლიტიკოსი წარსულზე ან აწმყოზე ლაპარაკობს. ამ შემთხვევაში გამოგონებებს ვერავინ გაამართლებს, აქ სავსებით ნათელია, რომ ტყუილი ტყუილია. თუ ამ ტყუილს დაბალი რანგის ჩინოვნიკი იყენებს, ცხადია, ტყუილიც პატარა იქნება, მაგრამ, თუ ტყუილს აშშ-ის პრეზიდენტი იყენებს, მაშინ ამ ტყუილის მასშტაბები, შესაძლოა, უზარმაზარიც კი გახდეს.

აშშ-ში უმუშევრობის დონის შესახებ მოხსენებამ არასასიამოვნო განცვიფრება გამოიწვია. ყველას მშვენივრად ესმოდა, რომ საქმე ცუდადაა, მაგრამ საუბრობდნენ ეკონომიკის გაუმჯობესებაზე. ახლა ცხადი გახდა, რომ ყველაფერი ძალიან ცუდადაა, იმდენად ცუდად, რომ ამის დამალვა აღარც შეიძლება და ვეღარც ხერხდება. ბოლოს და ბოლოს ამგვარი მოხსენებები საპრეზიდენტო არჩევნებამდე კიდევ ხუთჯერ გამოქვეყნდება და ყოველი მომდევნო წინაზე უარესი იქნება. თუ მოტყუებას განაგრძობს, ეს, უბრალოდ, დაასამარებს ობამას ამბიციებს. ამ შემთხვევაში დემოკრატები არჩევნებს მაშინაც კი წააგებდნენ, რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატი ბრიუსელში მდგარი შიშველი ბიჭის ქანდაკება რომ იყოს.

მაინცადამაინც გასაგები არაა, თუ ვის ატყუებდა ოფიციალური სტატისტიკა. ყველას მშვენივრად ესმოდა, რომ ეს სიცრუეა. ანალიტიკა ამ მხრივ ძალზე მრავლისმომცველი იყო და მუდმივად მიანიშნებდა ტყუილზე. მხოლოდ 2012 წელს ამ თემაზე ავტორებმა, სულ მცირე, 20-ჯერ გამოაქვეყნეს საკუთარი აზრი. ისინი ყოველთვის ამბობდნენ, რომ ეს ყველაფერი ტყუილია და ახლაც ამბობენ, რომ ეს მოხსენებაც სიცრუითაა სავსე.

წინასწარმეტყველურ გულახდილობად გამოიყურება მოხსენების ის ნაწილი, რომელშიც შრომის დეპარტამენტი აცხადებს, რომ უმუშევრობის დონემ 8,1%-დან 8,2%-მდე მოიმატა. მაგრამ ეს რა გულახდილობაა, თუ სხვა შეფასებებით ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობა 18-დან 20 პროცენტამდეა. რას ცვლის უმუშევართა რიგებში 0,1%-ის მიმატება? უნდა ითქვას, რომ ცვლის, რადგან ამერიკაში პროცენტის ერთი მემილიონედის უკანაც კი სამი ადამიანი დგას.

მაგრამ ამ მოხსენების მთავარი მიზანი მაინც ისაა, რომ ამერიკის მოქალაქეებს ტვინში ჩაუნერგონ სირთულეების არსებობა, რათა შემდგომი, კიდევ უფრო უარესი მოხსენება ვინმესთვის მოულოდნელი არ აღმოჩნდეს. საზოგადოებრივი აზრი გაუარესებისთვის მზად უნდა იყოს. წინ ზაფხულის თვეებია, ეს კი მოსახლეობის დასაქმების პროცესის ტრადიციულ შესუსტებას გულისხმობს. მომავალში ყველაფერი უარესად იქნება. შესაძლებელია, არ-

ჩევნებამდე ნეგატივის გამოფრქვევა აღარავინ მოინდომოს და ახლანდელ ნეგატივს კი ყველა მიეჩვევა.

და მაინც, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ძნელია, ობამას დაეკისროს პასუხისმგებლობა ყველა ამ „ეკონომიკური ფოკუსისათვის“. უფრო მეტიც, მით რომნიც არაა სათანადო ვარიანტი. აქ საუბარი არაა მოქმედი პრეზიდენტის დისკრედიტაციაზე, რომნი რომ ყოფილიყო პრეზიდენტი, ძნელი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა. **რომნი რომ აშშ-ის პრეზიდენტად ვერ ივარგებს, ეს ცხადია. აშშ-მა მიაღწია იმ მომენტამდე, როდესაც ხმის მისაცემი არავინაა. თუმცა ამგვარი სიტუაციაც პირველი არ არის, მაგრამ ადრე არჩევანი ცუდსა და უარესს შორის კეთდებოდა, ახლა კი საშინელსა და კატასტროფულს შორის მოუწევს აშშ-ს არჩევანის გაკეთება. უმეტესობა ხმას მისცემს არა მოქმედი პრეზიდენტის სასარგებლოდ, არამედ იმ საშინელებების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მისი ოპონენტისგანაა მოსალოდნელი. თუ არჩევნებს რომნი მოიგებს, აბსოლუტურად ნათელია, რომ აშშ დაიწყებს ომს ირანისა და სირიის წინააღმდეგ. ისინი, ვისაც ესმით მოვლენების ამგვარი განვითარების თვითმკვლელური შინაარსი, ცხადია, რომნის არ მისცემს ხმას. ობამა ყველაზე სისხლისმსმელი ქორი არ არის და მისი პოლიტიკაც თავშეკავებულია,** ეს კი ახლა ძალიან სჭირდება ამერიკას საერთაშორისო ურთიერთობებში.

როგორც წესი, ითვლება, რომ არჩევნების დროს აშშ-ში პრიორიტეტული შიდა თემატიკაა. ეს დიდი შეცდომაა. მსოფლიო გლობალური გახდა და ამ პირობებში ამერიკის მოქალაქეთა კეთილდღეობა დამოკიდებულია გლობალურ ეკონომიკაზე და მხოლოდ აქედან გამომდინარე — ამერიკულ ეკონომიკაზე. არ შეიძლება აშშ დეკლარირებდეს თავის გლობალურ ინტერესებს, როდესაც საუბარია სადღაც ვიღაცის ნავთობის გადაქაჩვაზე, და არ შეიძლება საუბრობდეს ნაციონალურ ინტერესებზე, როდესაც საუბრის თემა აშშ-ში მომავალი არჩევნები და მისი შედეგებია. არ შეიძლება ერთდროულად ორ სკამზე დაჯდომას ცდილობდე და ნაციონალურ განსაკუთრებულო-

ბაზე აკეთებდე აქცენტს, ეს კონტრპროდუქტიულია და უდიდეს ზიანს აყენებს ქვეყანას.

პრეზიდენტმა ობამამ შრომის მინისტრის მოხსენებაზე რეაგირებისას განაცხადა, რომ ახლა, როდესაც შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა მხოლოდ 69 000-ია, ეკონომიკა უკეთესია, ვიდრე თეთრ სახლში მისი მოსვლისას და ყოველთვიურად 750 000 სამუშაო ადგილის დაკარგვისას იყო. შთამბეჭდავად ჟღერს, მაგრამ, თუ ციფრებს გადავიანგარიშებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ობამა აშშ-ის პრეზიდენტი გახდა 2008 წელს. 4 წელიწადში 48 თვეა. **თუ ყოველთვიურად სამსახურს 750 ათასი ამერიკელი კარგავდა, გამოდის, რომ უმუშევრად 36 მილიონი, ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, ამერიკის მოსახლეობის 10% დარჩა. თუ ამას დავუმატებთ ობამას გაპრეზიდენტებისას უკვე არსებული უმუშევრობის 6,5%-იან მაჩვენებლს, გამოვა ზუსტად ის ციფრი, რომელზეც ანალიტიკოსები, დიდი ხანია, საუბრობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში აშშ-ის შრომის ბაზარი კარგავდა სამუშაო ადგილებს ერთნაირი ინტენსივობით.**

ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როდესაც 2013 წელს, როდესაც ავღანეთიდან დაბრუნდება ჯარი. უნდა ითქვას, რომ საუბარი ეხება არა მხოლოდ რეგულარულ ნაწილებს. ახლა სხვადასხვა ცხელ წერტილში კერძო ჯარებში კონტრაქტებით გაცილებით მეტი ჯარისკაცი მუშაობს, ვიდრე საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაშია. სწორედ ამ ადამიანებს ჩამოაჭრა ობამამ დაფინანსება, სხვადასხვა შეფასებით, როდესაც ჯარებთან ერთად ისინიც დაბრუნდებიან შინ, უმუშევართა რაოდენობა მილიონის სამი მეოთხედით კიდევ გაიზრდება.

ცხადია, მით რომნი ამ ხალხს საქმეს მოუძებნიდა და გაამწესებდა იმის ასათვისებლად, რაც ცუდად დევს სირიასა და ირანში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ პენტაგონი ამ ვარიანტს ამორალურობის გამო არ განიხილავს, ძალიან ცდება. აქ მორალზე საუბარიც კი არ არის. აქ განიხილება აშშ-ის გადარჩენის ვარიანტები იმ სტატუსში, რომელ-

© „ღონისძიების ინსტიტუტი“

საც ასე მიეჩვივნენ ამერიკელი პოლიტიკოსებიცა და უბრალო ამერიკელებიც.

საუბრებში ამერიკელები ძალიან ხშირად ამბობენ რაღაც შოკისმომგვრელს. მაგალითად, ერთმა 30 წლის მამაკაცმა, ორი შვილის მამამ და ტექნიკური დარგის სპეციალისტმა, განაცხადა, რომ აშშ-მა არაფერი არ უნდა მისცეს ჩინეთს, იმიტომ, რომ ჩინეთს ისედაც ყველაფერი ამერიკის წყალობით აქვს. ანალიტიკოსმა მერი კასლერმა კი ტელეეთერით განაცხადა, რომ ჩინეთი თავის ფულს მაინც ვერსად წაიღებს და სანერვიულო არაფერია. „ხომ არ შეინახავს იუანებს ან ევროებს? არა, შეინახავს დოლარებს. ასე რომ, სანერვიულო არაფერია“.

აქედან, სულ მცირე, ორი რამ გამომდინარეობს. **პირველი: უოლ-სტრიტის ანალიტიკოსებს შორის არიან ახლომხედველი და ამორალური ადამიანები; მეორე: ანალიტიკოსებს ამ დრომდეც არ ესმით, თუ როგორია საქმის ვითარება სინამდვილეში.** ჩინეთს აბსოლუტურად არაფერში სჭირდება აშშ-ის ობლიგაციებში ფულის დაბანდება. ჩინეთი ჯერჯერობით მხოლოდ ამყარებს ამ ქაღალდების ღირებულებას, რათა იქიდან თავისი აქტივები დანაკარგების გარეშე გამოიტანოს, სწრაფი გატანა, შესაძლოა, კრახის საბაბი გახდეს. სავალე ვალდებულებების ნაცვლად ჩინეთისთვის გაცილებით მომგებიანია ნავთობის, გაზის, ოქროს საბადოების ან მოგების გენერირების უნარის მქონე კომპანიების ყიდვა.

ზემოთ მოყვანილი ორი მაგალითი კი იმის დამადასტურებელია, რომ აშშ-ის მოქალაქეები ამართლებენ ამგვარი ვაიანალიტიკოსების არსებობას. მაშ, საიდანღა უნდა დადგეს რაიმე სხვა შედეგი ეკონომიკაში ან პოლიტიკაში? იძულებულნი ვართ, სინანულით განვაცხადოთ კიდევ ერთხელ, რომ ხალხს ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებს. ამ შემთხვევაში კი აზრი არ აქვს პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში რაიმეს გაუმჯობესების ლოდინს. მოქალაქეების ამგვარი დამოკიდებულებისა და მსოფლიოში აშშ-ის როლის ამგვარი გაგების პირობებში მშვიდად შეიძლება ხმის მიცემა ობამასთვის, რომნისთვის ან ვინმე სხვისთვის. ეს არაფერს ცვლის.

აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის საგარეოპოლიტიკური შიზოფრენია

როდესაც კითხულობ აშშ-ის მორიგ განცხადებას ირანთან, სირიასთან ან ვითომდა ირანისაგან თავდასაცავად შექმნილი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსებასთან დაკავშირებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ განცხადებებს ან არაკომპეტენტური ადამიანები აქვეყნებენ, ან გონებრივად საგრძნობლად შერყეულები. კიდევ უფრო საინტერესოა, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკოსის განცხადების გაანალიზებას ცდილობ — აქ აბსოლუტური აბდაუბდაა. ჯერ ამბობენ, რომ სირიაზე თავდასხმა შეუძლებელია გაეროს რეზოლუციის გარეშე, ერთი საათის შემდეგ კი მთავარ სიახლეებში გამოქვეყნებულია განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ განიხილავს გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით მოქმედების შესაძლებლობას.

© „ოდისეანი“

ამ მხრივ აბსოლუტური ვაკქანალია იმ საკითხების გადაჭრის ირგვლივ ტრიალებს, რომლებიც ირანის ბირთვული პროგრამის გადაჭრას ეხება. ჯერ აშშ-მა განაცხადა, რომ ირანი არ ამზადებს ბირთვულ იარაღს და საუბარია მხოლოდ ბირთვულ სფეროში გარკვეული შესაძლებლობების შექმნაზე. ამასთან, პენტაგონმა ხაზი გაუსვა, რომ „წითელი ხაზი“ უნდა იყოს ირანის მიერ უშუალოდ ბირთვული ბომბის შექმნა. სულ ცოტა ხნის შემდეგ აშშ თავის გამანადგურებლებს ირანის საზღვრიდან სულ რაღაც 300 კილომეტრში გზავნის და აცხადებს, რომ ეს რეგიონულ პარტნიორებთან უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის ნაწილია. ეს არის აშშ-ის ძალიან საინტერესო ლოგიკა კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების საქმეში. **შეიძლება აშშ მართლაც რაღაც სწავლებებს ატარებდა, მაგრამ მისი ამგვარი ქმედება ირანისთვის აშკარა საფრთხეა და, ამერიკას რომ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება სურდეს, ანალოგიური ნაბიჯის გადადგმაზე უარს იტყოდა. მართლაც არ გამოიყურება მაინცდამაინც მშვიდობიანად ღობიდან ნახევარ მეტრში მდგომი შეიარაღებული მეზობელი. ამასთან, აპრილის დასაწყისში პენტაგონმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ირანი მაინც მუშაობს ბირთვული ბომბის შექმნაზე და მიზანთან ძალიან ახლოსაა, აშშ კი მზადაა, რომ პრობლემა ნებისმიერი გზით აიცილოს თავიდან.**

კიდევ უფრო დიდ ნაბოდვარს ჰგავს აშშ-ის ურთიერთობა ისრაელთან ირანის საკითხთან დაკავშირებით. ჯერ **აშშ-მა პენტაგონის პირით განაცხადა, რომ ისრაელი თუ ირანს დაარტყამს, აშშ-ს ომში ჩაბმას აიძულებს. შემდეგ კი ობამას ყოფილი მრჩევლის პირით დასძინა, რომ ისრაელის მხრიდან ირანზე დარტყმა უპატიებელი შეცდომა იქნება. ეს მრჩეველი არც თუ ისე ყოფილია ამერიკულ ელიტაში გავლენის მხრივ — მჭიდრო ურთიერთობა აქვს ჰილარი კლინტონთან.** აშშ-ის რეალური ქმედებებიც იმაზე მიანიშნებს, რომ ათვლა ცალსახად საბრძოლო მოქმედებების დაწყებაზე კეთდე-

ბა. პენტაგონის შეფმა ლეონ პანეტამ განაცხადა, რომ ირანის საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაცია მზადაა რეალიზაციისათვის, აშშ და ევროპა კი დღითიდღე ამკაცრებენ სანქციებს, რაც, გასაგები მიზეზების გამო, მოლაპარაკებების პროცესს ართულებს.

ევროპა აშშ-ის თანხვედრ პოზიციას იკავებს სამხედრო პოლიტიკაში — მხარი დაუჭირა ირანული ნავთობის შეძენაზე ემბარგოს და გარიცხა ირანი საბანკო საერთაშორისო ქსელიდან. ევროკავშირის მხრიდან ძლიერდება ზეწოლა სირიაზეც, კავშირის მრავალმა წევრმა საერთოდ გაწყვიტა სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

ცალკე თემაა გერმანია. მას ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში გაცილებით რბილი პოზიცია უჭირავს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ სირიასთან მიმართებაში მისი „უმწიკვლობა“ ეჭვქვეშ დგება. ჰულაში მომხდარის შემდეგვე გერმანიამ გააძევა სირიის ელჩი სხვა ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი რუსეთს სირიისადმი პოზიციის გამკაცრებისაკენ მოუწოდა.

ასე რომ, მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს გერმანიას ამ საკითხში რუსეთის ანალოგიური პოზიცია აქვს, გადასახედია. მიზეზი, შესაძლოა, ორი რამ იყოს: ან გერმანია თავისი აზრით გონივრულ პოლიტიკას აწარმოებს და ამასთან მხარს უჭერს დასავლურ მოდელს, ან მას გადაწყვეტილების მიღებისას სრული დამოუკიდებლობა არ გააჩნია. ორივე შემთხვევაში ამ პარტნიორის მიმართ სიფრთხილეა საჭირო რუსეთის მხრიდან. რაც შეეხება საფრანგეთს, ის დასავლეთისათვის დამახასიათებელ ქცევის მანერაში გამონაკლისად არ ქცეულა. სულ ცოტა ხნის წინ სირიასთან მიმართებაში სამხედრო მოქმედებებით იმუქრებოდა, პუტინის ვიზიტისას კი ტონი მნიშვნელოვნად შეარბილა, რაც რუსეთის ავტორიტეტზე მეტყველებს.

თუ დასავლეთის ლიდერების განცხადებებს უფრო დეტალურად განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ ყველა მათ-

© „ღამისფრთიანი ომი“

განი შეიცავს უამრავ „წყალქვეშა ქვას“. მაგალითად, სპეცწარგზავნილი კოფი ანანი და გაეროს გენმდივანი პან გი მუნი მუდმივად საუბრობენ ასადის ქმედებებით განპირობებულ შესაძლო სამოქალაქო ომზე. პარალელურად დასავლეთის ლიდერები აცხადებენ, რომ სურთ მდგომარეობის მშვიდობიანი მოგვარება, მაგრამ სამოქალაქო ომის შემთხვევაში, შესაძლოა, განსაკუთრებული ზომების მიღება გახდეს საჭირო.

უბრალო ობივატელს დასავლეთის ლიდერების განცხადებების მოსმენის შემდეგ უჩნდება აზრი, რომ დასავლეთს ავადმყოფები მართავენ. სინამდვილეში ეს საინფორმაციო ომია. ობივატელის ამგვარი დამოკიდებულება კი დასავლეთისთვის ხელსაყრელია, რადგან ეს მოვლენების სათანადოდ შეუფასებლობის შედეგია.

ვის სჭირდება ნავთობისათვის ომი?

ამერიკელები ათეულობით წლის მანძილზე ითმენდნენ ხმაურს იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ნავთობზე დამოკიდებულებას უნდა გადაეჩვიონ. კონკრეტული მიზეზები კრიტიკოსთა მიხედვით იცვლებოდა. მემარცხენეები ხაზს უსვამენ ეკოლოგიასა და ევროპული სტილის მასიურ სატრანსპორტო სისტემას, მემარჯვენეები კი ნავთობზე ეროვნული უსაფრთხოების კუთხით დარდობდნენ. მიუხედავად ამისა, ორივე ბანაკი თანხმდება იმაზე, რომ, თუ ამერიკის ლიბერალური ეკონომიკა უცვლელი დარჩება, ის ძალიან იქნება დამოკიდებული ნავთობზე და ფედერალურმა ხელისუფლებებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მის დარეგულირებაში.

მაგალითისთვის ავიღოთ ჯგუფი SAFE (ამერიკის მომავალი ენერგიის უზრუნველყოფა). მის ახლახან გამოქვეყნებულ მოხსენებაში წერია: „იდეალური გრიგალისგან“ გამოწვეულმა ფასების, ტექნოლოგიისა და შესაძლებლობების შიდა წარმოების (ნავთობის) ბოლოდროინდელი ზრდა არსებითია და ქვეყნის ეკონომიკისათვის სერიოზული და-

© „ღიასაზოგადოება“



დებითი შედეგები ახლავს... მაგრამ ამ დადებით მხარეებს აკავებს ნავთობის მსოფლიო ბაზრის რეალიებით, განსაკუთრებით ნავთობმოპოვების რეგიონებში მიმდინარე არასტაბილურობის პირობებში და ჩინეთში, ინდოეთსა თუ სხვა განვითარებად ქვეყნებში მოთხოვნის ზრდის ფონზე. **ყველაზე მთავარი ისაა, რომ მოხსენებაში განხილულია მითი „ენერგეტიკული დამოკიდებულების“ შესახებ და ხაზგასმულია, რომ შიდა მოპოვების მნიშვნელოვანი გაზრდითაც კი ვერ მოხერხდება ქვეყნის სრულად დაცვა ნავთობდამოკიდებულების ისეთი მოვლენებისგან, როგორიცაა მაღალი ფასები და ხანგრძლივი არასტაბილურობა, კაპიტალის გადინება საზღვარგარეთ და სამხედროების დავალდებულება, უზრუნველყონ ნავთობის მიწოდების უსაფრთხოება.**

როდესაც გარემოს დამცველები ჩივიან „დიდი ნავთობის სუბსიდიებზე“, იმავე მიდგომას იყენებენ და ირწმუნებიან, რომ აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი ირიბად ინარჩუნებს ნავთობის ფასს უფრო იაფს ავტომობილისტებისათვის, ვიდრე ის ნამდვილად ღირს.

ამ თვალსაზრისს რამდენიმე პრობლემა აქვს. ჯერ ერთი, ეს, უბრალოდ, არ შეესაბამება სიმართლეს, რომ ნავთობის მიწოდებას მაინცდამაინც სამხედრო ზომების მიღება სჭირდება. განვიხილოთ ყველაზე არასასურველი სცენარი: უცხოური ნავთობით მდიდარი რეჟიმი, რომელიც აშშ-ის მოკავშირეა, იმ ჯგუფის ხელში გადადის, რომელიც ვერ იტანს ამერიკის ხელისუფლებას. რა მოხდება?

თუ ეს რეჟიმი უხეშ კურსს აირჩევს და სიმბოლურ ჟესტებს მიმართავს, გადაკეტავს აშშ-ში ნავთობის ექსპორტს. ეს მხოლოდ იმით დასრულდება, რომ მოხდება ნავთობის მსოფლიო გადაზიდვების რეკონფიგურაცია. თუ ამ რეჟიმს სურს, ნამდვილი ზიანი მიაყენოს ამერიკელ ავტომობილის-

ტებს. ამ შემთხვევაში მსოფლიოში ნავთობის დეფიციტი გაჩნდება და მასზე ფასები მოიმატებს. ამ ნაბიჯით მხოლოდ ამერიკა კი არა, ნავთობის მომხმარებელი ყველა ქვეყანა დაზარალდებოდა. დაზარალდებოდა თავად რეჟიმიც, რომელიც შემოსავლის მთავარ წყაროს დაკარგავდა ნავთობის ექსპორტის შეწყვეტით. მაგრამ რა აზრი აქვს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ავტორიტარულ, ნავთობით მდიდარ ქვეყანაში, თუ არა ნავთობის შემოსავლების მითვისება?

ეს მსჯელობა ჰიპოთეზური არაა, როდესაც რეალურად აშშ-ს ახლოაღმოსავლური რეჟიმების დასჯა სურს, სწორედ ნავთობის გაყიდვაში უშლის მათ ხელს. ეს ადასტურებს, რომ უკიდურეს შემთხვევაში ნაციონალური უშიშროების თვალსაზრისით ირანისათვის ნავთობის გაყიდვის აკრძალვა ირანელებს უფრო მეტად აზარალებთ, ვიდრე ამერიკელებს.

ნავთობისათვის ომები მიმდინარეობს იმის გამო, თუ ვინ ჩაიგდებს ხელში ნავთობის გაყიდვით მიღებულ თანხებს და არა იმისთვის, უნდა გაიყიდოს თუ არა საერთოდ ნავთობი. და ცხადია, დაბომბვებისა და მსგავსი ქმედებების მოკლევადიანი მიზანია ნავთობმოპოვების შეფერხება და ამ პროდუქტზე ფასების გაზრდა. ეს ეხება ერაყსაც, ლიბიასაც და ირანსაც.

თუ ამერიკის მიერ ნავთობის მოხმარება მართლაც სუბსიდირდება აშშ-ის არმიის ოპერაციებით, მაშინ პრობლემის გადაწყვეტა ამ ოპერაციების შეჩერებაა. დაე, შეაჩერონ ამ უცხოურმა რეჟიმებმა აშშ-ში თავიანთი ნავთობის მიწოდება, რათა ფასები გაიზარდოს და ამერიკელმა ავტომობილისტებმა გაიგონ, რომ ელექტრომობილებზე ან რაიმე მსგავსზე უნდა გადასხდნენ.

ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ, თუ ამერიკა არ დასჯის თავის მოქალაქეებს ნავთობის ამ რაოდენობით გამოყენებისათვის და სასჯელის სახით არ გააძვირებს ბენზინს, ან არ დააწესებს შეზღუდვებს, მაშინ მას მოუწევს მილიარდების ხარჯვა არმიაზე, რომლის წყალობითაც ხელოვნურად ინარჩუნებს ნავთობის დაბალ ფასს.

© „ღონისძიების ორგანიზაციები“

ამერიკული იმპერიის ვარდნა და ნგრევა

ამერიკამ რეკორდი დაამყარა: უძრავ ქონებაზე ფასები კვლავ დაეცა და, როგორც გაირკვა, საცხოვრებელი სახლები, ბუნის პერიოდთან შედარებით, 33%-ით გაიაფდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „დიდი დეპრესიის“ რეკორდი მოხსნილია — მაშინ უძრავ ქონებაზე ფასმა 31%-ით დაიკლო. მართალია, ახლა უმუშევართა რაოდენობა ნაკლებია (9,1%), ვიდრე იმ პერიოდში იყო, მაგრამ თეთრი სახლი მაინც გვარიანადაა შეშფოთებული — აშშ-ის უკანასკნელი პრეზიდენტი, რომელმაც 7,2%-ზე მეტი უმუშევრობის პირობებში ხელახალ არჩევნებში გამარჯვებას მიაღწია, ფრანკლინ რუზველტი იყო.

მაშ ასე, აშშ-ს დიდი პრობლემები აქვს: კოლოსალური საბიუჯეტო დეფიციტი და ვაშინგტონის პოლიტიკური პარალიჩი. ამასთანავე, ამერიკელები ვარაუდობენ, რომ პრობლემები ადვილად გადაწყდება ამერიკის ეკონომი-

კის მასშტაბებისა და სამხედრო სიძლიერის წყალობით, იპოთეკური კრიზისიდან კი აშშ არნახულად გაძლიერებული გამოვა.

თუმცა არსებობს სხვა ჰიპოთეზაც: **2011 წლის ამერიკა იგივეა, რაც რომი ჩვენი წელთაღრიცხვის 200 წელს ან დიდი ბრიტანეთი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე — ძლიერების მწვერვალზე მყოფი იმპერია დაბზარული საძირკვლით.**

თუ ლპობა დაიწყო, მისი შეჩერება იოლი საქმე არაა. ყველაზე სახიფათო სიმპტომებია, როდესაც არმიის შესაძლებლობები ცვდება შეუძლებელი დავალებებით, მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრული ღრმავდება, ეკონომიკის რეალური სექტორი ამოწურულია, მოქალაქეები კრედიტების წყალობით ცხოვრობენ საკუთარ შესაძლებლობებთან შედარებით უკეთ, ძველი პოლიტიკა ეფექტურობას კარგავს.

გარდა ამისა, აშშ-ში უკვე შორს წავიდა კულტურის ვარდნის პროცესი, რისი დამადასტურებელი ფაქტებიც — მძიმე დანაშაულებათა მაღალი დონე, ჭარბწონიანობის ეპიდემია, პორნოგრაფიაზე ნარკოტიკული დამოკიდებულება და ელექტროენერგიის ჭარბი მოხმარება — სახეზეა.

იმპერიის დაცემის საერთო მაჩვენებლებია პირველყოფილი უსურვილობა აღიარებისა, რომ შეშფოთებისთვის სერიოზული მიზეზები არსებობს და იმ ქვეყნების გამოჩენა, რომლებიც მსოფლიოს მოძველებულ წყობას გამოწვევას უგზავნის. დღეს ასეთი ქვეყანაა ჩინეთი. აშშ-ში, ისევე, როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბრიტანეთში, ეკონომიკა წარმოებიდან ფინანსურ სექტორზე გადადის.

ახლა კი დავფიქრდეთ ეკონომიკის გაჯანსაღების მიმდინარე ეტაპების რადიკალურ განსხვავებულობაზე წინამორბედ ციკლებთან შედარებით. ტრადიციულად, როდესაც აშშ კრიზისიდან გამოდის, უმუშევრობის დონე მცირდება, დაბალი საპროცენტო განაკვეთები წამახალი-

სებელ როლს ასრულებს მომხმარებლისთვის და საცხოვრებელი სახლების მშენებლობები მატულობს.

ახლა უძრავი ქონების ბაზარს განმეორებითი კრიზისი ახრჩობს. ამერიკელებმა ფულის გაცილებით უფრო ფრთხილად ხარჯვა ისწავლეს. ნედლეულსა და სურსათზე ფასების ზრდა კი პრობლემას მხოლოდ ამძიმებს: ინფლაცია იზრდება, მსყიდველუნარიანობა იკლებს.

ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ზრდის სტიმულირებას, რადგან 1930 წლის განმეორებისა ეშინია, მაგრამ თანამედროვე „ზრდის ელექსირზე“ ულიმღამო რეაქცია გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ, სტრუქტურული თვალსაზრისით, აშშ ახლა გევრად უფრო სუსტია, ვიდრე 1930 წელს იყო.

გამოსავალი ეკონომიკის ფინანსური სისტემის ბრჭყალებისგან გამოგლეჯა და რიგითი ადამიანების მსყიდველუნარიანობის ასამაღლებლად ზომების გატარებაა, რათა ამერიკის ჩვეულებრივი მოკვდავნი ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი კრედიტებზე. რაც შეეხება უძრავი ქონების ბაზარს, იქ ამნისტიაა საჭირო. ამერიკისთვის ახლა მთავარია, ხელახლა აღმოაჩინოს საკუთარ თავში ის შტრიხები, რომელთაც საკუთარ სიდიადეს უნდა უმადლოდეს.

საბერძნეთის დეფოლტი და აშშ

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკირებმა მთელი მსოფლიო ბაზარი მოატყუეს. კლინტონის ოქროს აფერის ღირებულებამ, არც მეტი, არც ნაკლები, 600 მილიარდი დოლარი შეადგინა

საბერძნეთის შესაძლო დეფოლტის თემა, უკვე დიდი ხანია, მსოფლიო პრესის ფურცლებზე რჩება. ათენში, სალონიკში ან კიდევ სადმე ყოველი ახალი გაფიცვის ან პროფკავშირების აქტივისტებისა და პოლიციის წაჩხუბების შემდეგ თემა სულ უფრო თავდაჯერებულად იკავებს მსოფლიო გამოცემათა პირველ გვერდებს. საქმე ისაა, რომ საბერძნეთის შესაძლო დეფოლტს მსოფლიო ეკონომიკაზე ზემოქმედების გაცილებით მეტი პოტენ-

ციალი აქვს, ვიდრე მხოლოდ ევროზონაში დესტაბილიზაცია ან თუნდაც მისი ნგრევის დაწყებაა...

სამაგიეროდ, აშშ ამ ყველაფერს თავის სასარგებლოდ იყენებს. საბერძნეთის დეფოლტი, პრაქტიკულად, გარდაუვალია და ამან შესაძლოა, ამერიკის ეკონომიკას ახალი რეცესიისკენ უბიძგოს. ივნისის შუა რიცხვებში ამგვარი სენსაციური სიახლე ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილმა ხელმძღვანელმა ალან გრინსპენმა აცნობა მსოფლიოს. მისი აზრით, **„საბერძნეთს ძალზე მცირე შანსი აქვს, რომ დეფოლტს გადაურჩეს, არსებული პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია პოლიტიკური სისტემის იძულება, რომ ბერძნული კრიზისის მოგვარებისთვის იმუშაოს“.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბერძნეთის დეფოლტის გარეშე აშშ-ის ეკონომიკის რეცესიის სტადიაზე გადასვლა შეუძლებელია, რადგან თავად ამერიკის ეკონომიკურ სისტემაში ამის წინაპირობები არ არსებობს.

გრინსპენის მიერ გაკეთებული ხმამაღალი განცხადება საბერძნეთის შესახებ, შესაძლოა, ის ხმაურიანი ფონი იყოს, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას აშშ-ის დეფოლტისთვის ამზადებს. მაგრამ თავად აშშ-ის დეფოლტს ყველა არ აფასებს მოვლენათა განვითარების ნეგატიურ ვარიანტად.

2012 წლის 14 ივნისს ევროკომისია საბერძნეთის მდგომარეობასთან დაკავშირებით ერთიან დასკვნებამდე ვერ მივიდა და ვერც ამ ქვეყნის სავალე პრობლემების მოგვარების გზებზე შეთანხმდა.

16 მაისს აშშ-მა გადალახა სახელმწიფო ვალის მორიგი ზედა ზღვარი, რაც კონგრესმა შარშან 14,3 ტრილიონ დოლარზე გაავლო. ახლა აშშ-ის ადმინისტრაციას სულ რამდენიმე კვირა აქვს იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს დეფოლტი, რომელიც, შესაძლოა, უკვე 2 აგვისტოსთვის დადგეს, თუ კონგრესი სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარს კიდევ არ გადასწევს.

ეკონომიკური ექსპერტების აზრით, იმისთვის, რომ ალან გრინსპენის გაფრთხილების ნამდვილი არსი გასა-

გები გახდეს, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

მსოფლიო მასმედიაში თანდათან მწიფდება სკანდალი აშშ-ის სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის გაზრდასთან დაკავშირებით: რესპუბლიკელები ობამას ადმინისტრაციისგან ბიუჯეტის დეფიციტთან ბრძოლაში გადამწყვეტ მოქმედებებს ითხოვენ და მზად არიან, ლიმიტის გაზრდა აგვისტომდე გააჭიანურონ, რათა ამით აშშ-ის ხელისუფლების ტექნიკური დეფოლტი გამოიწვიონ.

17 ივნისს სარეიტინგო სააგენტო „Moodys"-მა გაავრცელა გაფრთხილება, რომ სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის გაზრდის ივლისის შუა რიცხვებამდე გაჭიანურება აშშ-ის რეიტინგის დაწევის პირობა გახდება, 15 აგვისტოს ზღვრის გაზრდასთან დაკავშირებით წარუმატებლობა კი ქვეყნის რეიტინგის შეზღუდულ დეფოლტამდე დაგდებას განაპირობებს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ გრინსპენის განცხადება არის მცდელობა, შეაგუოს საზოგადოებრივი აზრი აშშ-ის ვითომდა ბერძნული კატასტროფით განპირობებული შეზღუდული დეფოლტის ჯერ შესაძლო, შემდეგ კი გარდაუვალ პერსპექტივას. აშშ-ის დეფოლტი, თუნდაც შეზღუდული, დისპროპორციული პასუხი იქნება საბერძნეთის პრობლემებზე, რომლებსაც საერთოდ არ უნდა ჰქონდეს გავლენა ამერიკაზე: ამერიკული ბანკებისა და ბროკერების ჯამური აქტივები ამ ქვეყანაში მხოლოდ 32,7 მილიარდი დოლარია, სუფთა აქტივები — კიდევ უფრო ნაკლები.

საბერძნეთის დეფოლტი ამერიკისთვის ძალზე მომგებიანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ იძლევა საშუალებას, კიდევ ერთხელ, უკვე 63-ედ გაზარდოს სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი, არამედ იმიტომაც, რომ დეფლაციური შეკუმშვის მთელ ტვირთს დროულად დააკისრებს ევროპელებს.

ექსპერტების აზრით, დოლარისა და სხვა ძირითადი მსოფლიო ვალუტების ჰიპერინფლაცია გარდაუვალია. ერთის მხრივ, განვითარებული ქვეყნების არაფინანსური სექტორების ვალდებულებები უკვე უახლოვდება თა-



ვის ბუნებრივ ზედა ზღვარს. მაგალითად, აშშ-სა და კანადაში სახელმწიფო ვალი დაგროვილი ეროვნული სიმდიდრის 68%-ს შეადგენს, იაპონიაში — 64%-ს. ბრიტანეთში — 59%-ს და ასე შემდეგ. ამიტომ ამა თუ იმ ფორმით ამ ვალების ჩამოწერა გარდაუვალია. ეს ფორმები კი ან მტკივნეული დეფლაციური შეკუმშვა იქნება, ან — ქირურგიული ჰიპერინფლაცია. მეორეს მხრივ, ჰიპერინფლაციის პირობები ჯერ არ ჩანს: დოლარის კრედიტებისთვის გირაოები კონსოლიდირებული არ არის. მხოლოდ დოლარის მოვალეების დეფოლტების შემდეგ გაჩნდება ჰიპერინფლაციის შესაძლებლობა.

სხვა ექსპერტების აზრით, მსოფლიოს ჯერჯერობით დეფლაციური შეკუმშვა ელის, რადგან ჰიპერინფლაციის პირობები ჯერ არ დგას. ფედერალური სარეზერვო სისტემიდან აშშ-ის ეკონომიკაში ფულის დინება ივნისში დამთავრდა. ევროპის ცენტრალური ბანკიც ასრულებს ფინანსური დახმარების პროგრამებს და 30 ივნისის შემდეგ დოლარის დეფიციტი დაიწყო. ბანკები ერთმანეთისთვის ლიმიტებს დახურავს, რადგან არავინ იცის, რამდენადაა გაბმული ესა თუ ის კრედიტი პორტუგალიასთან, ირლანდიასთან, საბერძნეთთან და ესპანეთთან დაკავშირებულ პრინციპულად აუნაზღაურებელ ვალდებულებებში. შე-

დეგად, **უახლოეს მომავალში ან უფრო დიდხანსაც პროდუქციაზე ფასები დავარდება. ამგვარი დინამიკა უკვე შეიმჩნევა — რესურსები იაფდება: მხოლოდ სამ დღეში ნავთობის ფასი ერთ ბარელზე 10 დოლარით დაეცა. ასე რომ, ჰიპერინფლაცია ნაკლებსავარაუდოა. მაქსიმუმი, რაც შეიძლება მოხდეს, სტაგფლაციაა, მაგრამ გაცილებით უფრო რეალურია, რომ მსოფლიო დეფლაციური შოკის პირობებში აღმოჩნდეს. ხანძრის ბენზინით ჩაქრობის მორიგი უშედეგო მცდელობის შემდეგ კი ჰიპერინფლაციაც დაიწყება.**

ახლა ბირჟებზე ფასები და ინდექსები ეცემა და „კიტრის ეპიდემიის“ მსგავსი ყოველგვარი ხელოვნური კატაკლიზმები შემდგომ ვარდნას უწყობს ხელს. ამ ყველაფერს შეიძლება მოჰყვეს არა მხოლოდ „ტოქსიკური“, არამედ არაფრით უზრუნველყოფილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით გადავსებული ბანკების მორიგი გაკოტრება. თუ ბანკები კვლავ დაეცემა, ახალი კრიზისი დაიწყება. სწორედ მოვლენათა ამგვარი განვითარების თავიდან ასაცილებლად განხორციელდება ეკონომიკის მორიგი დაფინანსება. ხანძრების ჩაქრობის ამგვარ პოლიტიკაზე პასუხად კი, ექსპერტების აზრით, შესაძლოა, იქცეს შეთანხმება მწარმოებელ ქვეყნებთან, რომლებიც ბოლოსდაბოლოს გამოაცხადებენ ეკონომიკის მზის ჩასვენების შესახებ და ამით მთელს მსოფლიოს „გადატვირთავს“.

ივნისის დასაწყისში მასმედიამ სკანდალი გამოაცხო 2009 წლის ნოემბერში აშშ-ის მიერ ჩინეთისთვის ყალბი ოქროს მიყიდვასთან დაკავშირებით. როდესაც ოქროს პარტია მიიღო, ჩინეთის ხელისუფლებამ მისი შემოწმების ბრძანება გასცა. გაირკვა, რომ ოქრო ყალბი იყო.

ეს ამერიკაში ჩამოსხმული ოქროს ზოდები აშშ-ში, ფორტ ნოქსში მრავალი წლის განმავლობაში ინახებოდა. ჩინეთის ხელისუფლებამ მაშინვე დაიწყო გამოძიება და გაავრცელა განცხადება, რითაც ამერიკის ხელისუფლების მაქინაციებზე მიანიშნა.

სარეგისტრაციო ნომრებით დადგინდა, რომ ყალბი ოქ-

© „ღვინისფერი ფანტასტიკა“

როს ზოდები კლინტონის ადმინისტრაციის დროს ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკებისგან იყო მიღებული. სწორედ მაშინ დამზადდა ამ ბანკების დაკვეთით ვოლფრამის 1,3-დან 1,5-მდე მილიონი 400-უნციანი ზოდი. მათგან 640 ათასი ოქროს თხელი ფენით დაიფარა და ფორტ ნოქსში გაიგზავნა. დანარჩენი, როგორც გამოძიება ირწმუნება, დაიფარა ოქროთი და ბაზარზე გაიყიდა. **გარდა იმისა, რომ აშშ-ის ოქროს მარაგში ყალბი ოქრო მოხვდა, ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკირებმა მთელი მსოფლიო ბაზარი მოატყუეს. კლინტონის ოქროს აფერის ღირებულებამ, არც მეტი, არც ნაკლები, 600 მილიარდი დოლარი შეადგინა.**

აფერაზე ისიც მიანიშნებს, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდის ექსხელმძღვანელის — დომენიკ სტროს-კანის სექსუალურ სკანდალში გახვევის ერთ-ერთ მიზეზად მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იქცა — აშშ-ს ოქროს მარაგი არ აქვს. აშშ-ში ყოფნისას სტროს-კანს ცსს-მ დაუდასტურა, რომ **ამერიკის ოქროს მარაგი სადღაც გაქრა.**

ასე რომ, ერთადერთი, რასაც ჯერჯერობით შესწევს ძალა სისტემა სრული ნგრევისგან იხსნას, ბაზრის მხრიდან

ნდობაა. როდესაც ეს ნდობა დაიკარგება, ყველაფერი გაქრება. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება ჰიპერინფლაციური სცენარის ამუშავების თაობაზე, რაიმე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებაც კი არ გახდება საჭირო. ამჟამინდელ პირობებში სავსებით საკმარისი იქნება მასმედიაში პანიკის გასაღვივებელი საინფორმაციო კამპანიის წამოწყება, ფედერალური სარეზერვო სისტემის, მსოფლიო სარეზერვო ფონდისა და ევროპის ცენტრალური ბანკის წარმომადგენლებს კი ერთადერთი რამ მოეთხოვებათ — გაჩუმდნენ და თავი შეიკავონ ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის კომენტირებისგან.

სტრატეგიულ გეგმაში აბსოლუტურად სულერთია, ახლავე მოხდება საბერძნეთის სუვერენული დეფოლტი თუ გარედან მიხმარებული ათეული მილიარდებით მას გააჭიანურებენ. ორივე შემთხვევაში შედეგი ერთი და იგივე იქნება: ჯერ დეფლაციური შოკი, შემდეგ კი — ჰიპერინფლაცია. **საბერძნეთისთვის საგარეო ფინანსური დახმარების გაწევის შემთხვევაში, აშშ-ს მეტი დრო ექნება დოლარის ჰიპერინფლაციის მართვადი სცენარის მოსამზადებლად...**

როგორ ანადგურებენ სახელმწიფოებს აშშ-ის რეიტინგული სააგენტოები

მსოფლიო ფინანსურ სისტემაში, რომელიც ისტორიულად რუსეთის საზღვრებს მიღმა ჩამოყალიბდა, დიდი ხანია, არსებობენ ისინი, ვინც ბანკების, საწარმოების, რეგიონებისა და თვით ქვეყნების კრედიტუნარიანობის ე. წ. რეიტინგებით სპეკულირებენ.

ამერიკა, რომელიც აქტიურად აშენებდა სარკინიგზო მაგისტრალებს, ბრიტანელი ბანკირების ვალებში არ ჩანდა. ამ უკანასკნელთ კი არ მოსწონდათ, რომ ამერიკული კომპანიები ერთი მეორის მიყოლებით კოტრდებოდნენ, მათი დირექტორები კი ბრიტანული ფუნტებით სავსე ჩემოდნებიანად უჩინარდებოდნენ. ქვეყნის დიდ ქალაქებში მაშინ უკვე გაჩნდა საკრედიტო აღრიცხვის სააგენტოები, რომლებიც აგროვებდნენ და მეწარმეებს გადასცემდნენ ინფორმაციას რეგიონში მომუშავე კომპანიების კრედიტუნარიანობის შესახებ. მაგრამ მათ ხელი არ მიუწვდებოდათ რკინიგზის მშენებლობაზე მომუშავე კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ადამიანი, რომელსაც მაშინ შედარებით ფართო წარმოდგენა ჰქონდა, თუ რა ხდებოდა ბაზარზე, რომელიც როტშილდსა და ევროპის სხვა ბანკირებს აინტერესებდათ, გახ-

ლდათ იმ დროისთვის ერთადერთი სარკინიგზო გამოცემის „American Railroad Journal“-ის მთავარი რედაქტორი ჰენრი პური. შტატების ხაზინამ 1851 წელს სწორედ მას სთხოვა, მოემზადებინა დეტალური ანგარიში ამერიკის სარკინიგზო კომპანიების ფინანსური და სამრეწველო ფონდების შესახებ. პურმა შეკვეთა მიიღო და ხაზინას შესთავაზა უტყუარი ინფორმაციის შეგროვება 300 კითხვისგან შემდგარი ანკეტის საშუალებით. ანკეტები 120 სარკინიგზო დირექტორს დაუგზავნეს. პასუხი მხოლოდ მათგან მოვიდა, ვისი ბიზნესიც ფედერალური შეკვეთებით იყო შებოჭილი ან ვისაც მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა ჟურნალსა და მის რედაქტორთან. დირექტორებს, რომლებმაც არ უპასუხეს კითხვარს ან თვალნათლივ იცრუეს პასუხებში, პურმა თავის ჟურნალში საკადრისი პასუხი გასცა.

რკინიგზელებმა მალე შენიშნეს, რომ კომპანიები, რომლებსაც პოზიტიურ კონტექსტში მოიხსენიებდნენ ჟურნალში, ადვილად იღებდნენ ინვესტიციებს, სწრაფად აფართოებდნენ ქსელს და „პურის შავ სიაში“ მოხვედრილ კომპანიებს ყიდულობდნენ. რკინიგზელთა ჟურნალი ყველაზე პოპულარულ გაზეთებს უსწრებდა ტირაჟით — მას ყველა ბანკის ყველა თანამშრომელი კითხულობდა ევროპასა და ამერიკაში.

მაგრამ კეთილსინდისიერი ბიზნესისთვის ინფორმაციის კეთილსინდისიერად შეგროვების ისტორია მალე დასრულდა. 1907 წლის საბირჟო კრახმა საქმიანი ინფორმაციის მკითხველთა მნიშვნელოვანი ნაწილი — წვრილი ინვესტორების უმეტესობა გააკოტრა. **კრიზისის პროვოცირება მოახდინა უმსხვილესი ინვესტორების გაერთიანებამ, რომელსაც სათავეში იგივე როტშილდები ედგნენ. მათ აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი ამერიკულ ფინანსურ სისტემაზე კონტროლის მოპოვების მცდელობაში ადანაშაულებდა და ამ ფინანსური განდის ამერიკელი ემისრის — ჯონ მორგანის წინააღმდეგ გამოძიებაც დაიწყო.**

ამ ფონზე პურის არითმეტიკა გულუბრყვილოდ გამოი-

ყურებოდა. ისიც და მისი კოლეგა-ანალიტიკოსებიც გაკოტრდნენ. ყველა ერთად კი ფინანსისტმა როი პორტერმა შეისყიდა და ერთ კომპანიად — „Poor's Publishing Company“ ჩამოაყალიბა.

ასე მოხვდნენ სარეიტინგო სააგენტოები მსხვილი კორპორაციების დაქვემდებარებაში და ახლა სააგენტო და მისი რეიტინგი არის როგორც ვაჭრობის საგანი, ასევე — მათივე კლიენტების პიარ-კამპანიის ნაწილი.

საკუთარი თავისუფლების გაყიდვამ სარეიტინგო სააგენტოებს 1990-იანი წლების დასაწყისში მილიარდებიანი ბრუნვა და თითქმის შეუზღუდავი და აბსოლუტურად უპასუხისმგებლო ძალაუფლება შესძინა. ცხადია, პოლიტიკური ძალაუფლებაც. მაგალითად, 90-იანი წლების შუა პერიოდში „Moody's“-მა კანადის სუვერენული რეიტინგი დააგდო და არჩევნებზე პრემიერად ჟან კრეტიენი გაიყვანა. გადახედა რა ავსტრალიის საკრედიტო სტატუსს, პარლამენტიდან გააძევა მაშინ მმართველი ლეიბორისტული პარტია. „New York Times“-ი წერდა: **„მსოფლიოს მართავენ ანალიტიკოსები ჩერჩ-სტრიტიდან“. სწორედ იქ მდებარეობდა მაშინ „Moody's“-ს სათაო ოფისი. ტელევიზიით ხშირად ისმოდა ხუმრობა, რომ ამერიკული სარეიტინგო სააგენტოების პირდაპირი კონკურენტი მხოლოდ პენტაგონია: მას შეუძლია პირისაგან მიწისა აღგავოს მთელი სახელმწიფოები დაბომბვის საშუალებით, „MOODY'S“-ი კი იმავეს სუვერენული ვალდებულებების რეიტინგის დაგდებით აკეთებს“.**

15 წლის წინათ იმავე სააგენტომ სამხრეთ კორეას უმაღლესი საინვესტიციო რეიტინგი გამოუცხო, ამის შემდეგ კი

ქვეყანა მძიმე კრიზისში ჩავარდა. **2003 წლის გაზაფხულზე ოფიციალურმა ბერლინმა ღიად დაადანაშაულა ამერიკული სააგენტო გერმანული კომპანიების რეიტინგების შეგნებულად ვარდნაში ერაყის პრობლემებთან დაკავშირებული აშშ-სა და ევროკავშირთან დაპირისპირების გამო.**

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმაც ბევრი სალაპარაკო გააჩინა ამ საკითხთან დაკავშირებით. „Standard & Poor's"-ისგან მუდამ უმაღლესი რეიტინგის მქონე ამერიკული „Enron"-ის გაკოტრებასთან დაკავშირებით ამ სარეიტინგო კომპანიის ხელმძღვანელობას თეთრი სახლისთვის განმარტებების მიცემა დასჭირდა. **ამერიკული სენატის გამოძიებამ აჩვენა, რომ ქვეყნის ორი უდიდესი სარეიტინგო სააგენტო — „Moody's" და „Standard & Poor's" — შეგნებულად უწევდნენ იგნორირებას კრედიტების სფეროში შემჩნეულ თაღლითობებს და ამის სანაცვლოდ საინვესტიციო ბანკებისგან საჩუქრდებოდნენ.** ბანკების თაღლითურმა ოპერაციებმა კი ფინანსური კრიზისი განაპირობა. მართალია, კონგრესმენმა ჰენრი უოკსმენმა განაცხადა, რომ **„საკრედიტო-სარეიტინგო სააგენტოების ისტორია კოლოსალური შეცდომების ისტორიაა",** მაგრამ ამ სააგენტოებისთვის ეს განაჩენად არ ქცეულა.

ნებისმიერმა სარეიტინგო სააგენტომ დიდხანს შეუპოვრად და, რაც ყველაზე მთავარია, კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს, რომ ფინანსურ საქმიანობაში ღირსეული პარტნიორის იმიჯი დაიმკვიდროს. ვერც ერთი ხელისუფლების ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ შეუცვლის მას ფინანსური მომსახურებების ბაზარზე საკუთარ პრაქტიკას. **ეს კერძო კომპანიები (და ყველა სარეიტინგო სააგენტო კერძო ბიზნესია) თავიანთ მოღვაწეობას იმავე ფილოსოფიის მიხედვით აგებენ, რომლითაც „თავისუფალი ბაზრის" ნებისმიერი ინსტრუმენტი. მათი მიზანი შემოსავალია, ის კი, თუ რა ფაქტებზე ოპერირებით იღებენ ამ შემოსავალს, მათთვის მნიშვნელოვან საკითხს არ წარმოადგენს.** **თავისთავად ჩნდება მარტივი აზრი, რომ ეს სქემა ძალზე მოხერხებულია ფულის შოვნის თვალსაზრისით...**

მსოფლიო ეკონომიკის ჰამბურგის ინსტიტუტის დირექტორმა თომას შტრაუბხარმა ახლახან მოითხოვა, რომ სარეიტინგო სააგენტოებს გავლენა ჩამოერთვათ. **ამერიკული სააგენტოები აბსოლუტურად გამოუსადეგარია ევროპისთვის და, როგორც გერმანელი ეკონომისტი მიიჩნევს, სტაბილურობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.** შტრაუბხარი დარწმუნებულია, რომ დადგა **„ისტორიულად სწორი მომენტი იმისთვის, რომ ამ კერძო დაწესებულებების ყოვლისშემძლეობისგან გავთავისუფლდეთ“.** მისი აზრით, ეს სააგენტოები 1990-იანი წლების შეცდომაა და რომ კომპანიებისა და სახელმწიფოების გადახდისუნარიანობის ამგვარი შეფასება ევროპას აშშ-მა მოახვია თავს. ეს სააგენტოები პრობლემას არა მარტო არ წყვეტენ, არამედ ქმნიან ახალსაც — დაწია რა საბერძნეთის რეიტინგი ერთბაშად სამი საფეხურით დაბლა, იმავე „Standard & Poor's“-მა ახალი მასობრივი დემონსტრაციები და გაკოტრების შესახებ ჭორები გამოიწვია.

გონიერი მკითხველი, ალბათ, იფიქრებს: საერთაშორისო რეიტინგულმა სააგენტო „Fitch Ratings“-მა განაცხადა, რომ შესაძლოა, აშშ-ის სუვერენული რეიტინგი ნეგატიურად გადაფასდეს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი არ გაიზრდება. განა ეს მსოფლიო ეკონომიკის წინაშე კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლობის დემონსტრირება არაა? მაგრამ თავად განსაჯეთ, ვისი მითითებით ახდენს „Fitch Ratings“-ი სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის გასაზრდელად ზეწოლას? ამ ზომის მიღება აშშ-ს საშუალებას მისცემს, თავისი ფასიანი ქაღალდების ახალი დოზის საზღვარგარეთ გაყიდვით შეავსოს სავალუტო კალათა მხოლოდ იმ მცირედი დანახარჯების სანაცვლოდ, რაც ამ ფასიანი ქაღალდების დასაბეჭდად ქაღალდსა და საღებავს მოხმარდება. ამასთან, ბიუჯეტი და, რა თქმა უნდა, მისი სამხედრო ნაწილიც, მომავალშიც განაგრძობს გაბერვას. და ასე უსასრულობამდე. ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, ვიდრე მსოფლიო ეკონომიკაში დოლარი საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარზე მთავარ ვალუტად დარჩება.

აშშ-ის საზოგადოების ნგრევის პროცესის დაჩქარების 18 ნიშანი

როდესაც ამერიკის ეკონომიკა დაინგრევა, ცივილიზაციის თხელი ფენაც გაქრობას დაიწყებს. სინამდვილეში ახლავე მრავლადაა იმის ნიშანი, რომ ჩვენი საზოგადოების ნგრევის პროცესი დაჩქარდა. ისეთ ქალაქებში, როგორიც ჩიკაგოა, ახალგაზრდების ჯგუფები ძარცვავენ ადგილობრივ ბიზნესს, თავს ესხმიან ტურისტებს და ტრანსპორტიდან ყრიან ხალხს. და ეს მხოლოდ „ცუდ რაიონებში“ როდი ხდება. უკანასკნელ პერიოდში ეს ჩიკაგოს ყველაზე მდიდარი რაიონებისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე ქალაქები მასობრივი ძალადობის მორევში ღაფავენ სულს. არადა, ჩვენ ხომ მაგალითი უნდა ვიყოთ მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის? ვინაიდან ჩვენი ეკონომიკური კეთილდღეობა ინგრევა, ჩვენ საკუთარი საზოგადოების ნგრევის მოწმენი ვხდებით. და რა მოხდება, თუ ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება?

აშშ-ში საკმაოდ ცივილიზებული საზოგადოება იყო, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთეულებს თუ ადარდებთ, როგორ ექცევიან სხვებს. ეს ჩვენს ხელისუფლებასაც ეხება. როგორც ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან დარწმუნდებით, **ახლა ხელისუფლება ადამიანებს, რომლებმაც სასწავლო კრედიტის გადახდა ვერ შეძლეს, დაპატიმრების მიზნით, სახლებში უგზავნის პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმებს.**

და როდესაც ხელისუფლება ასე არაადამიანურად იქცევა, რა მაგალითს მისცემს ის საკუთარ ახალგაზრდობას?

დღეს ამერიკელი ახალგაზრდები წარმოუდგენლად ბნელი პერსპექტივის წინაშე დგანან, ძალზე ძნელია, გჯერო-

© „ღიასაზღვრული ეროვნული“



დეს „სისტემის“, რომელიც უკვე აღარ მუშაობს. რა შეიძ-ლება უთხრა ახალგაზრდას, როდესაც ზუსტად იცი, რომ სამუშაო ადგილები არ არის და სიტუაციის გამოსწორე-ბის იმედიც მინიმალურია? ამერიკელთა უმეტესობას არ ესმის ეკონომიკური ვარდნის მიზეზები, მაგრამ მშვენივ-რად იცის, რომ რაღაც ისე არ მიდის, როგორც საჭიროა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ამერიკელი ხალხი მოთ-მინებით ელოდა, რომ პოლიტიკოსები ყველაფერს გამოას-წორებდნენ, მაგრამ ლოდინი ამაო აღმოჩნდა — არაფერი გა-კეთებულა. პირიქით, ეკონომიკა სულ უარყოფით ციფრებს აფიქსირებს, იმედგაცრუების გრძნობა უკვე კონტროლს აღარ ემორჩილება და ყველაფერი მხოლოდ გაუარესდება.

აი 18 ნიშანი იმისა, რომ ამერიკული საზოგადოების ნგრევა პროგრესირებს:

1. ჯენეტ ტავაკოლიმ ახლახან გამოქვეყნებულ თავის სტატიაში აღწერა ის შოკისმომგვრელი ძალადობა, რომელმაც მთელი ჩიკაგო შთანთქა. ის, რაც, მისი თქმით, ახლა ჩიკაგოში ხდება, გაფრთხილებაზე ბევრად მეტია...

წელს ჩიკაგოს ცენტრში თითქოს ჯოჯოხეთის კარიბჭე გაიხსნა. პოლიცია მზად არ აღმოჩნდა, ათასგვარ ძალადობას გამკლავებოდა. ამასთან, პოლიციის მიერ იარაღის ფარული ტარება ჩიკაგოში აკრძალულია, რა თქმა უნდა, თუ ვინმე იცავს იქ კონსტიტუციას.

ახალგაზრდების ბრბოები თავს ესხმიან ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ყველგან, მათივე სახლებთანაც კი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხალხს დასვენების დღეებში სეირნობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდეს ისეთ რაიონებში, როგორიცაა მდიდრული „Magnificent Mile“-ი, მანამდე მაინც, ვიდრე ქუჩაში უფრო მეტი პოლიციელი არ იდგება. **მაღაზიები სავსეა ახალგაზრდების ბანდებით, რომლებიც თავს ესხმიან მყიდველებსაც და უბრალო გამვლელებსაც.**

2. თუ ამერიკაში სწავლის საფასურის კრედიტს დროულად არ გადაიხდით, შესაძლოა, სახლში პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმმა მოგაკითხოს და სახლიდანვე აგიყვანოს. ახლახან „The Daily Mail“-ი წერდა, რომ პოლიციამ, განათლების დეპარტამენტის დავალებით, მოაწყო რეიდი. დილის ექვს საათზე ერთ-ერთი ოჯახის სახლის კარი რეიდში მონაწილე სპეცდანიშნულების ჯგუფმა შეამტვრია. **ოჯახის მამას შვილების თვალწინ ხელბორკილი დაადეს და თავის სამ შვილთან ერთად პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. იქ მანამ აყურყუტეს, ვიდრე მისი ყოფილი ცოლი არ მოიძებნა, რომელსაც სპეცრაზმი ეძებდა, რადგან სწავლისთვის კრედიტი ჰქონდა გადასახდელი.**

3. კონექტიკუტის შტატის ერთ-ერთ ქალაქში გარდაუვალი გახდა ახალი, ულამაზესი შადრევნის დაკეტვა იმის გამო, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მას საპირფარეშოდ იყენებდა.

© „ღვასკამსწრეგნი ათასფაფილ“

4. ხსოვნის დღეს მთელი ამერიკა საბრძოლო მოქმედებების ზონას დაემსგავსა. **მასობრივი ძალადობის უამრავი ფაქტი დაფიქსირდა მაიამიში, ნიუ იორკში, ჩიკაგოში, შარლოტში, მირტლ-ბიჩში, ნეშვილსა და ბოსტონში.** ამ ყველაფრის ამსახველი ვიდეო მასალის ნახვა ინტერნეტშიც შეიძლება, კადრები მართლაც შემზარავია.

5. დღეისათვის ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკითხავია საბავშვო წიგნი სახელწოდებით „ეშმაკმა დალახვროს, წადი რა, დაიძინე“.

6. ახლახან ვაშინგტონის შტატში მოზარდმა გოგონამ მამას სანადირო მშვილდიდან ესროლა იმის გამო, რომ მან მობილური ტელეფონი გამოართვა.

7. ცოტა ხნის წინათ ნიუ იორკში 32 წლის მამაკაცს ბრალი დასდეს გაუპატიურების მიზნით 85 წლის ქალზე თავდასხმაში.

8. პოლიტიკურმა სტრატეგმა, დემოკრატმა ჯეიმს კარვილმა ახლახან თოქ-შოუში განაცხადა: **„იცი რა, თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო მღელვარებათა წინაშე დავდგებით. არ მსიამოვნებს ამის აღიარება, მაგრამ ეს გარდაუვალია“.**

9. ერთ-ერთი ბოლოდროინდელი კვლევის მონაცემების თანახმად, 1960 წლის 44,4%-იანი მაჩვენებლიდან დაქორწინებული წყვილების რაოდენობა 20,2%-მდე შემცირდა.

10. ახლახან ატლანტაში ოცამდე მოზარდი უმიზეზოდ თავს დაესხა მატარებელის მგზავრებს — ავიაკომპანია „დელტას“ ორ ბორტგამცილებელს. ამ შემთხვევის მოწმეები ყვებიან, რომ ირგვლივ ყველაფერი სისხლით იყო მორწყული, ყველა მხრიდან ისმოდა ადამიანთა ყვირილი და კვნესა, ყველა გაქცევას ცდილობდა, მაგრამ გასაქცევი არსად იყო.

11. ინდიანაპოლისის ფედერალურმა ბრალმდებლებმა განაცხადეს, რომ **ინდიანას შტატის ქალაქ ბლუმინგტონში ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული ერთ-ერთი უდიდესი დაჯგუფება დააკავეს.** როგორც ჩანს, ამერიკაში აღარ დარჩა მშვიდი და უსაფრთხო პატარა ქალაქიც კი.

12. ბარაკ ობამას საკვები პროდუქტების უსაფრთხოების საკითხთა მეთაური მხარს უჭერს შეიარაღებულ რეიდებს დაუმუშავებელი რძის მწარმოებელთა წინააღმდეგ. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ პროდუქტებისა და წამლის კონტროლის სამმართველო განაგრძობს თავისი საქმის კეთებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით.

13. ფლორიდაში შერიფის მოადგილე, 45 წლის მამაკაცი ბრალდებულია ბავშვების მერხებზე მიბმასა და მათი სექსსათამაშოებით ცემაში.

14. ახლახან აიოვას შტატის ქალაქ სუ-სიტიში 41 წლის მამაკაცი შევიდა შენობაში, სადაც მისი უფროსი მუშაობდა და ისე სცემა, რომ ოთხი კბილი მოსტეხა. დაზარალებულს ცხვირის ოპერაცია დასჭირდა.

15. ოკლაჰომაში 20 წლის ქალს ბრალი ედება საკუთარი კატის მოკვლასა და მისი სისხლის გამოყენებაში იმ კოსტიუმის შესაქმნელად, რომლითაც ლედი გაგას კონცერტზე აპირებდა წასვლას.

16. ახლახან მაკდონალდსმა „სამსახურში მიღების ნაციონალური დღე“ ჩაატარა და მაკდონალდში მუშაობის დასაწყებად განცხადების წარდგენისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით ქსელში მილიონამდე ამერიკელი მივიდა. კლივლენდში რამდენიმე გოგომ ისე იჩხუბა, რომ საბოლოოდ სამი მათგანი მანქანამ გაჭყლიტა.

17. ამერიკაში ხშირია კაფეებში ჩხუბი. მრავალი მოჩხუბარი „საკუთარი გმირობის“ გადაღებასა და შემდეგ ვიდეოს ინტერნეტში განთავსებას ანიჭებს უპირატესობას.

18. ამერიკაში **ყოველდღიურობად იქცა ჯგუფური ძარცვა — ათეულობით ახალგაზრდა შევარდება მაღაზიაში, აიღებს ყველაფერს, რაც სურს, და გაიქცევა.**

ამერიკის შეერთებული შტატებში სულ ცოტა ხნის წინათ საშუალო ფენის წარმომადგენელი ამერიკელები ღატაკებად და გლეხებად იქცნენ, ისინი სულ უფრო მეტაც ვარდებიან სასოწარკვეთილებაში.

© „ღამისფრთიანი“

ფორტ-ნოქსის საიდუმლო: აშშ-ის საცავებში ოქროს ნაცვლად ვოლფრამი ინახება



ის, რომ დოლარი არაფრითაა უზრუნველყოფილი, ცნობილი ფაქტია. ახლა კი გამოდის, რომ აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რა რაოდენობის ოქრო ინახება აშშ-ის საცავებში, ამ ოქროს რამდენი პროცენტია ნამდვილი და რა რაოდენობის ყვითელი ფერის ვოლფრამის ზოდები მოედო მსოფლიოს კლინტონის დროიდან მესამე მსოფლიოს ქვეყნების საცავებს მძიმე, მაგრამ ბევრად იაფფასიანი შემცველობით. შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ აშშ-ის ფინანსურ სისტემას, შესაბამისად კი მსოფლიო ეკონომიკასაც უფრო ნაკლები დრო რჩება, ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ. მასმედიაში ნელ-ნელა უკვე ჟონავს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც **აშშ-ის ეკონომიკის გამოჯანმრთელების უკანასკნელი იმედები საბოლოოდ თუ არ იმარხება, დოლარის ჰეგემონიას მაინც მტკივნეული დარტყმები მიადგება.** ცალკე ხაზგასმას იმსახურებს იმის აღნიშვნა, რომ ის სენსაციური ინფორმაცია, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, ოფიციალურად არავინ უარყო.

როგორც ცნობილია, დოლარი არ წარმოადგენს ფულად ერთეულს, რომელიც ჩვეულებრივი ქაღალდის ფასზე მეტი ღირებულების რამითაა გამყარებული. როგორც წესი, დაზღვევისა და ფუნდამენტის როლს, რომელზეც ზესახელმწიფოთა ფინანსური ინსტიტუტების სტაბილურობაა დაფუძნებული, სახელმწიფოს ოქროს რეზერვები ასრულებს. ეს წესი მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაცულია და სრულდება, მაგრამ აშშ ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენს.

XX საუკუნის სამოციანი წლების უკვე მივიწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა უმთავრესი „მემკვიდრეობა" დატოვა. **1968 წლიდან დოლარი არასაბანკო ცენტრალური დაწესებულებებისთვის ოქროდ, შეუქცევად ფულად ერთეულად იქცა. 1971 წლის აგვისტოდან კი დოლარი არაკონვერტირებად კატეგორიაში გადავიდა ცენტრალური ბანკებისთვისაც კი. სწორედ ამ თარიღიდან უნდა იწყებოდეს აშშ-ის ქაღალდის ფულის არაფრით შეკავებული ემისიის ისტორია.**

გასაგებია, რომ ოქრო ისევე მარტივად არ მოიპოვება, როგორც ფულის საბეჭდი დანადგარი ირთვება. ბევრმა ქვეყანამ, ყველა ნორმის გადაჭარბებით, კეთილსაიმედო შვეიცარიამაც კი, უკვე შეასუსტა მოთხოვნები საკუთარი ვალუტის ძვირფასი მეტალებითა და სხვა ფასეულობებით უზრუნველყოფის სფეროში. მრავალი წლის მანძილზე მოქმედი კონსტიტუციური ნორმა, რომლის თანახმადაც შვეიცარული ფრანკი 40%-ით გადაფარული უნდა ყოფილიყო ოქროთი, რამდენიმე წლის წინ გამარტივდა. მაგრამ **შვეიცარიის საცავებში ოქროს არსებობა, მისი წონა და ხარისხი არავითარ ეჭვს არ ბადებს. როგორც გაირკვა, აშშ-ის ოქროს მარაგი ნდობის ამგვარი კრედიტით ვეღარ ისარგებლებს.**

პირველი მერცხალი, ამ შემთხვევაში, პირველი ყვავი ამერიკელი კონგრესმენი რონ პოლი გახლდათ. პოლი მნიშვნელოვანი ჩინოვნიკია, რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა, მანამდე კი აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში ფინანსური მომსახურების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მის

ხელთარსებული რაღაც ინფორმაციის საფუძველზე კონგრესმენ პოლს ძალიან უნდოდა, აშშ-ის ფინანსთა სამინისტროსთვის ამერიკის ოქროს მარაგების შესახებ კითხვები დაესვა და აეძულებინა ამ უწყების წარმომადგენლები, ამერიკული ოქროს რეალური სტატუსის შესახებ ჩვენებები მიეცათ.

საქმე ისაა, რომ **აშშ-ის ოქროს საცავების უკანასკნელი აუდიტი უხსოვარ დროში ჩატარდა და აშშ-ის ოქროს მარაგის შესახებ ამჟამად გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია, უბრალოდ, არ მოიპოვება.** პოლმა განსახილველად წარადგინა კანონპროექტი, რომელიც 5 ათას ტონაზე მეტი ოქროს ზოდების დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნას დააყენებდა. **ეს ოქრო, სავარაუდოდ, კენტუკის შტატში, ფორტ-ნოკსის სეიფებში უნდა ინახებოდეს. აუდიტი მოიცავდა ამერიკის სხვა ოქროს რეზერვებსაც, რომლებიც დენვერში, ვესტ-პოინტსა და ნიუ იორკის ფედერალურ სარეზერვო ბანკში ინახება**.

გარდა ამისა, კონგრესმენი მოითხოვდა ოქროს სისუფთავის დასადგენ ლაბორატორიულ ანალიზსაც და აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კრიტერიუმებთან მისი შესაბამისობის დადასტურებას. მას ასევე აინტერესებდა, ასხვავებენ თუ არა საცავებში მსოფლიო სავალუტო ფონდის კუთვნილ და მეურვეობის ქვეშ არსებულ ოქროს უშუალოდ აშშ-ის კუთვნილი ოქროსგან.

კითხვებიცა და მოთხოვნებიც არასასიამოვნო იყო, ამიტომ კონგრესმენის კანონპროექტი თვალის დახამხამებაში უარყვეს, რამაც, ცხადია, აშშ-ის ოქროს ირგვლივ სიტუაცია არანაირად არ გაარკვია და კიდევ უფრო მეტი ეჭვის საფუძველი გააჩინა. უკვე სულ სხვაგვარად აღიქმება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **ფორექსმა თავის კლიენტებს დაუგზავნა წერილები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ, დოდ-ფრანკის ახალი კანონის თანახმად, აშშ-ის მოქალაქეებს საერთოდ ეკრძალებათ რაიმე სახის ძვირფასი მეტალებით, მათ შორის ოქროთი და ვერცხლით, ვაჭრობა. ძალაში შესვლიდან 90 დღის შემდეგ კი კანონი მოქალაქეებსაც და კომპანიებსაც უკრძალავს**

არასაბირჟო ბაზრებზე, მათ შორის სავალუტოზეც, ოპერაციათა უმეტესობის განხორციელებას. ჯერჯერობით მოსახლეობისთვის ოქროს იძულებითი ჩამორთმევის შესახებ არ გამოუცხადებიათ, როგორც ეს დიდი დეპრესიისას მოხდა.

პრესის ანალიზი სხვა ანალოგების საშუალებასაც იძლევა. მიმდინარე წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც ჩინეთიდან მიიღეს დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამ სახელმწიფოს მსოფლიო სავალუტო ფონდიდან 191 ტონა ოქროს შეძენა სურდა, ოქრო მკვეთრად გაძვირდა. გარიგება კი არ შემდგარა. გავრცელებული ინფორმაციით, მოხდა რაღაც შეფერხება აშშ-ის ტერიტორიაზე მდებარე საცავებიდან ოქროს გადატვირთვასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ მსოფლიო სავალუტო ფონდის ექს-პრეზიდენტი სტროს-კანი რაღაც საკითხებზე დაფიქრდა და თავისი ეჭვები ეგვიპტელ ბანკირს, მაჰმუდ აბდელ სალამ ომარს გაუზიარა. და მოხდა საოცარი დამთხვევა — ორივე მათგანის წინააღმდეგ უმალ, ერთსა და იმავე დროს აგორდა სტერეოტიპული და მტკიცებულებათა არქონის გამო ერთი შეხედვითვე შეთხზული ბრალდებები სექსუალურ დანაშაულებებში. 75 წლის მაჰმუდ ომარი, ჭეშმარიტი მუსლიმანი, მის მიმართ წამოყენებული ბრალდებების აბსოლუტური აბსურდულობის გამო, მეორე დღესვე გაათავისუფლეს, მაგრამ სტროს-კანთან დაკავშირებით საქმე გაცილებით რთულად წარიმართა და ჯერაც გაურკვეველია, შეძლებს თუ ვერა ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას, ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო სავალუტო ფონდის პრეზიდენტი უკვე აღარ იქნება.

რაც შეეხება მრავალი ტონა ოქროს ჩატვირთვა-გადატვირთვის საქმეში შეფერხებას, ამის მიზეზი სულ მალე გაირკვა.

როგორც კანადური გაზეთი „Press core“ იტყობინება, **2009 წლის ოქტომბერში აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ საცავიდან, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილ ფორტ-ნოკსში მდებარეობს, ჩინეთში 5600 ცალი ოქროს ზოდი გაგზავნა, თითოეული — 400 უნცია.** ეს სახელმ-

წიფოებს შორის ვალის გადახდისა და სავაჭრო ბალანსის აღდგენის მიზნით განხორციელებული მორიგი ოპერაცია იყო. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მსოფლიოში ოქროს მარაგების უდიდესი ნაწილი იცვლება და ინახება დეპოზიტარიებში სპეციალური ორგანიზაციის — ლონდონის ძვირფასი მეტალების ბაზრის მონაწილეთა ასოციაცია „LBMA“-ს მეთვალყურეობითა და კონტროლით.

როდესაც პარტია მიიღო, ჩინეთის ხელისუფლება, რატომღაც სიტყვაზე არ ენდო ექსპერტებს და ოქროს ზოდების სისუფთავისა და წონის დასადგენად სპეციალური გამოკვლევის ჩატარების განკარგულება გასცა. სინამდვილეში ეს კანონზომიერი წინდახედულება იყო, ჩინეთი ხომ ამერიკის ხაზინის ფასიანი ქაღალდების უმსხვილესი მფლობელია მსოფლიოში. და მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ჩინელი ჩინოვნიკები უსაფუძვლოდ არ ღელავდნენ.

გაირკვა, რომ წონასთან დაკავშირებით ზოდები „არ იტყუებოდნენ“, მაგრამ, რაც შეეხება მათ ქიმიურ შემადგენლობას, აქ საქმე სულ სხვაგვარად აღმოჩნდა. **პარტია ნამდვილი ოქროს თხელი ფენით დაფარული ვოლ-**

ფრამის ზოდებისგან შედგებოდა. ჩინელების მიერ შემოწმებული ზოდები აშშ-ში დამზადებული და ფორტ-ნოკსში მრავალი წლის მანძილზე ინახებოდა. ჩინეთის ხელისუფლებამ უმალ დაიწყო გამოძიება და განაცხადა ამერიკის ხელისუფლების მაძინაციებზე.

ნებისმიერი ქვეყნის საცავში ნებისმიერ ოქროს ზოდს აქვს სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც მისი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ზოდების აღნიშნული პარტიის სარეგისტრაციო ნომრები იმაზე მიუთითებდა, რომ ყალბი ოქრო ჯერ კიდევ კლინტონის ადმინისტრაციის დროს ფედერალური სარეზერვო სისტემიდან იყო მიღებული. **ფედერალური სარეზერვო სისტემის დაკვეთით დამზადდა დაახლოებით მილიონ-ნახევარი 400-უნციიანი ვოლფრამის ზოდი. მათგან 640 ათასი ცალი ოქროს ფენით დაიფარა და ფორტ-ნოკსში გაიგზავნა შესანახად.**

ჩინელების მიერ ჩატარებული გამოძიების მონაცემების თანახმად, ამ მილიონ-ნახევარი ვოლფრამის ზოდების დანარჩენი ნაწილიც დაიფარა ოქროთი და საერთაშორისო ბაზარზე გაიყიდა. ამ მყიდველებმა სავაჭრო ოპერაციის ნიუანსებზე, ცხადია, არაფერი იცოდნენ. სამაგიეროდ, ცნობილია საერთო თანხა, რომელიც სხვადასხვა მყიდველმა ერთად გადაიხადა და ის 600 მილიარდ დოლარს შეადგენს.

მას შემდეგ, რაც ამგვარი პიკანტური გარემოებები გამოაშკარავდა, „New York Post“-ის მიერ 2004 წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებული სტატიაც გაიხსენეს. სტატიის სათაური იყო „საოლქო პროკურორი ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟის ხელმძღვანელის ქმედებებს იძიებს“. მასში ეწერა, რომ ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟის რომელიღაც მაღალი თანამდებობის პირის წინააღმდეგ გამოძიება წარმოებდა. ბირჟასთან დაახლოებული წყაროები კი იტყობინებოდნენ, რომ ოპერაციების უფროსი, ვიცე-პრეზიდენტი სტიუარტ სმიტი საოლქო პროკურატურის მხრიდან ჩხრეკის ობიექტი გახდა. გამოძიების დეტალები არ გახმაურებულა.

სწორედ ოპერაციების განხრით უფროსი ვიცე-პრეზიდენტის კომპეტენციაში შედის „ფიზიკურად“ ოდესმე ბაზრებზე მოხვედრილი ოქროს ყოველი ზოდის სტატისტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ, ყველა ალქიმიური სტერეოტიპის შესაბამისად, ოქროსთან ყველაზე ახლოს ტყვია დგას, ვოლფრამზე არჩევანის შეჩერების მიზეზს ქიმიის ნებისმიერი მცოდნე მიხვდება.

ვოლფრამი ოქროზე ბევრად იაფია და იმდენად ჰგავს ოქროს, რომ, მისი ოქროს ფენით დაფარვის შემთხვევაში, ჩინელი მყიდველების მხრიდან ნაკლები ეჭვის გამოთქმის პირობებში ეს ზოდები განუსაზღვრელი დროით შეასრულებდა ოქროს ფუნქციას. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ზოდს აქვს სარეგისტრაციო ნომერი და თან ახლავს შესაბამისი დოკუმენტაცია, აშშ-ის ხელისუფლების მიმართ ეჭვი არ ქრება, თუმცა, ყოველთვის რჩება იმის შესაძლებლობა, რომ ვიღაც უცნობმა თაღლითებმა ფორტ-ნოკსის მიმღები კომისია მოატყუეს.

ჩინეთში ზღვით გაიგზავნა 5600 ზოდი, ეს კი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ 640 ათასი ზოდისა, რომლებიც ფორტ-ნოკსში მოხვდა. სად წავიდა დანარჩენი „სიმდიდრე“ და ვის საცავში ინახება ახლა, სპეციალური ძიების გარეშე ვერ დადგინდება.

შემაშფოთებელი ფაქტები აშშ-ის სახელმწიფო ვალის შესახებ

ძნელია სიტყვების შერჩევა იმ აუწერელი უბედურების დასახასიათებლად, რომელსაც აშშ-ის ნაციონალური ვალი ქვია. ამერიკულმა სახელმწიფომ ისტორიაში ყველაზე ხელგაშლილი „წვეულება“ გამართა და ამ წვეულების ანაზღაურების მოახლოებული დღე იმდენად მტკივნეული იქნება, მთელ ქვეყანას ძირის ძირობამდე შეძრავს. ჩვენ, ამერიკელები, იმდენად დიდხანს ვცხოვრობდით არარსებული სახსრებით, რომ უკვე ყველას დაავიწყდა, რას ნიშნავს „ნორმალურობა“. მაგრამ, მრავალწლიანი „წვეულება“ დასასრულს უახლოვდება და ანგარიშების გასწორების დრო დგება. ერთხელ ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინმა ბრძანა, რომ „დეფიციტს მნიშვნელობა არ აქვს“. სცადეთ და ახლა ეს ბერძნებს უთხარით, მაგრამ საშინელება, რომელიც ახლა ბერძნებს სჭირთ, მხოლოდ ფერმკრთალი ანარეკლია იმისა,

© „ღვინისფერი ბინა“

რაც ჩვენ დაგვემართება, იმიტომ, რომ, როდესაც ამერიკა ფსკერისკენ წავა, თან გაიყოლებს მსოფლიოს მთელ ფინანსურ სისტემას.

ის, რაც ჩვენ გავუკეთეთ მომავალ თაობას, უბრალოდ, საზიზღრობაა. წინაპრებმა ისტორიაში უდიდესი ეკონომიკა გვანდეს, ჩვენ კი მთლიანად დავანგრიეთ ის. ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს 14 ტრილიონ დოლარს ვუტოვებთ ვალად.

ახლა ვაშინგტონში ბევრს ლაყბობენ ვალის ზედა ზღვარზე, მაგრამ რა გადაწყვეტილებამდეც არ უნდა მივიდნენ პოლიტიკოსები, ეს ჩვენს პრობლემას არ უშველის. თუ ზედა ზღვარს არ გაზრდიან, ჩვენ ფინანსურ ტკივილს ახლავე ვიგრძნობთ, თუ გაზრდიან — ცოტა მოგვიანებით. ფინანსური ბაზრები ნებისმიერ შემთხვევაში დაინგრევა, უბრალოდ, მეორე ვარიანტში საბოლოო კოშმარი უარესი იქნება.

ახლა აშშ-ს შეუძლია უზარმაზარი თანხები სუპერ დაბალ ფასად ისესხოს, მაგრამ, როდესაც ყველაფერი შეიცვლება, პანდორას ყუთი გაიხსნება.

არსებობს უამრავი სტატისტიკური ფაქტი, რომელთაგან შეიძლება ადამიანი შეიშალოს. ამ ფაქტების მიხედვით, აშშ-ის ნაციონალური ვალი დაახლოებით 14,34 ტრილიონ დოლარს შეადგენს. 30 წლის წინათ იგივე მაჩვენებელი დაახლოებით 14-ჯერ ნაკლები იყო. პირველი ტრილიონი დოლარის სასესხებლად აშშ-ის ხელისუფლებას ჯორჯ ვაშინგტონის პრეზიდენტობიდან რონალდ რეიგანის პრეზიდენტობამდე პერიოდი დასჭირდა, მას შემდეგ კი კიდევ 13 ტრილიონი ვისესხეთ.

პლანეტის სახელმწიფო ვალების საერთო რაოდენობის მესამედზე მეტი აშშ-ზე მოდის. თუ სახელმწიფო ვალს ყველა ოჯახზე თანაბრად გადავანაწილებთ, თითოეულ ამერიკულ ოჯახს 125 ათასზე მეტი ვალი ექნება.

ფედერალური ხელისუფლების აუცილებელმა დანახარჯებმა შესაძლოა პირველად გადააჭარბოს ფისკალური წლის მთელ ფედერალურ შემოსავალს. 50 წლის წინათ ასეთ რამეს ვერც კი წარმოიდგენდნენ.

2007-დან 2010 წლამდე აშშ-ის საერთო შიდა პროდუქტი მხოლოდ 4,26%-ით გაიზარდა, აშშ-ის სახელმწიფო ვალი კი — 61%-ით. **ბარაკ ობამას ხელისუფლებაში ყოფნის პირველი ორი წლის მანძილზე აშშ-მა უფრო მეტი ისესხა, ვიდრე ამერიკის პირველმა 100-მა კონგრესმა ერთად.** ყოველ წუთს ამერიკა 2 მილიონ დოლარზე მეტს სესხულობს, ყოველ საათში — დაახლოებით 168 მილიონს. სამი უმსხვილესი იპოთეკური კომპანიის საერთო ვალი 2011 წელს 3,2 ტრილიონიდან 6,4 ტრილიონამდე გაიზარდა. ჯორჯ ბუშის, ბარაკ ობამასა და აშშ-ის კონგრესის დამსახურებით, ამერიკელმა გადასახადების გადამხდელებმა ამ ვალის გარანტირება „დაივალეს“. ეს ვალი ნაციონალური ვალის 14,3 ტრილიონში არ შედის. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, **აშშ-ის სამთავრობო ორგანოების მიერ არაუზრუნველყოფილი საპენსიო და ჯანდაცვის პროგრამების ღირებულება 60 ტრილიონს უტოლდება, სხვები ირწმუნებიან, რომ თანხა 100 ტრილიონს აჭარბებს. ორივე შემთხვევაში ყველა თანხმდება, რომ აშშ-ს არ ხელეწიფება, ამ ვალდებულებების შესრულებას ეცადოს.**

დღეისათვის აშშ იძულებულია, ყოველ დახარჯულ დოლარზე 41 ცენტი ისესხოს. იმ კომპენსაციის საერთო თანხა, რომელიც ფედერალური ხელისუფლების თანამშრომლებმა მიიღეს, დაახლოებით 447 მილიარდი დოლარია. არასამრეწველო ხარჯების დონე ყოველგვარ ზღვარს სცილდება. მაგალითად, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამინისტრომ ახლახან დაიწყო 500-მილიონიანი პროგრამა. ეს პროგრამა მოაგვარებს იმ 5 წლის ბავშვების „პრობლემას“, რომელთაც არ შეუძლიათ საბავშვო ბაღში კარგად მოიქცნენ.

ლიბიის დაბომბვის ღირებულებამ პირველი კვირის განმავლობაში 600 მილიონი დოლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ლიბიის ოპოზიციის ლიდერებმა მათ რიგებში „ალ ქაიდას“ მებრძოლების ყოფნა აღიარა. ეს მებრძოლები ერაყში ამერიკელებს ებრძოდნენ, ახლა ამერიკელები იბრძვიან, რომ „ალ ქაიდას“ ლიბიაში ხელისუფლების მოპოვებაში დაეხმარნონ. ავღანეთის ომის

© „ღვასკამსწრეგნი ათასკაზეი“

მხოლოდ ერთი დღე გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე მთლიანი პენტაგონის ხელახლა აშენება.

ამერიკელთა 59% ამა თუ იმ სახით იღებს ფულს ფედერალური ხელისუფლებისგან. 1965 წელს 50 ამერიკელიდან ერთი სარგებლობდა უმწეოთათვის სამედიცინო დახმარების პროგრამით, ახლა ამ პროგრამაში ჩართულია ყოველი მეექვსე ამერიკელი.

1950 წელს ყოველ პენსიონერს 16 მომუშავე ინახავდა, ახლა ყოველ პენსიონერს მხოლოდ 3,3 მომუშავე ინახავს. ამერიკული ოჯახები ახლა სახელმწიფოსგან უფრო მეტ ფულს იღებენ, ვიდრე გადასახადებს იხდიან. 1950 წელს კორპორაციების გადასახადები სახელმწიფო შემოსავლების 30%-ს შეადგენდა, 2009 წელს კი — მხოლოდ 6,6%-ს.

აშშ-ის სახელმწიფო ვალი, უკვე 54-ე წელია, განუწყვეტლივ იზრდება. აშშ რომ საბუღალტრო აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს იყენებდეს, ბიუჯეტის დეფიციტი წელიწადში 4-5 ტრილიონი დოლარი იქნებოდა. შოკისმომგვრელი სამთავრობო მოხსენების თანახმად, ნაციონალური ვალის პროცენტისა და აუცილებელი დანახარჯებისთვის გადასახადი 2019 წელს სახელმწიფო შემოსავლის ყოველი დოლარიდან 92 ცენტს მოიცავს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ახლახან გამოქვეყნებული მოხსენების „ფინანსური და მზარდი დისბალანსების ანალიზი: ვინ და როგორ გადაიხდის?“ თანახმად, 2050 წლამდე აშშ-ის სახელმწიფო ვალი საერთო შიდა პროდუქტის 400%-ს შეადგენს. 2010 ფისკალური წლის განმავლობაში აშშ-ის დანახარჯებმა ნაციონალური ვალის პროცენტის გადასახადზე 413 მილიარდი დოლარი შეადგინა. ვალად აღებული ყოველი ოთხი დოლარიდან ერთი ამავე ვალებისთვის პროცენტის გადახდას ხმარდება.

პროგნოზების თანახმად, 2021 წლისთვის სახელმწიფო ვალის მომსახურებისთვის პროცენტები 1,1 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. თუ აშშ-ის სახელმწიფო ვალს 5-დოლარიანი კუპიურებით სიმაღლეზე დაალაგებთ, დედამიწიდან მთვარემდე მანძილის სამი მეოთხედი დაიფარება. 1 ტრილიონი 10-დოლარიანი კუპიურებით შედგენილი არშია

დედამიწას 380-ჯერ შემოევლება ირგვლივ, მაგრამ ეს ფული აშშ-ის სახელმწიფო ვალის დასაფარად საკმარისი მაინც არაა. ბილ გეიტსმა მთელი თავისი ქონება რომ აშშ-ის მთავრობას გადასცეს, ის მხოლოდ 15 დღის დეფიციტს დაფარავს. იესო ქრისტეს დაბადებიდან ამ დრომდე ყოველდღე მილიონი დოლარი რომ დაგეხარჯათ, ტრილიონს მაინც ვერ დახარჯავდით, აშშ კი მხოლოდ წელს აიღებს ტრილიონზე მეტს ვალად. ყოველ წამს 1 დოლარი რომ დახარჯოთ, ტრილიონის დასახარჯად 31 ათასი წელი დაგჭირდებათ. აშშ-მა კი ახლავე რომ დაიწყოს ვალების გადახდა წამში ერთი დოლარის სისწრაფით, მას მთლიანი ვალის დასაფარად 440 ათასი წელი დასჭირდება.

ნაციონალური ვალების გარდა, არის სხვა ვალდებულებებიც, რომლებიც შემდეგნაირად გამოიყურება:

მედიქერი: 24,8 ტრილიონი დოლარი. ეს ქვეყნის ყველაზე რთული ფინანსური პრობლემაა, რადგან ბები-ბუმერების პირველი თაობის 77 მილიონი წელს მიაღწევს 65 წლის ასაკს და მედიქერზე უფლებას მოიპოვებს.

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფა: 21,4 ტრილიონი დოლარი. მოსახლეობის სწრაფად დაბერებისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის წყალობით ეს სისტემა ურთულესი პრობლემების წინაშე დგას. საპენსიო ფონდის გრძელვადიანი დეფიციტი ყოველწლიურად 1,2 ტრილიონით იზრდება. შეინიშნება დასაქმებულთა და ბენეფიციარებს შორის რაოდენობრივი დისბალანსი. ციფრი 21,4 ტრილიონი წარმოადგენს სხვაობას სისტემის მონაწილე ყველა პენსიონერის, დასაქმებულის მიერ გადახდილ გადასახადსა და სიცოცხლის მანძილზე მიღებულ პენსიას შორის.

ფედერალური მთავრობის ვალი 9,4 ტრილიონი დოლარია და იმდენად სწრაფად იზრდება, რომ ყოველ ოჯახზე გადანაწილებით ეს ვალი ახლა 79 ათას 900 დოლარს შეადგენს და 3500 დოლარით მეტია, ვიდრე წლის დასაწყისში იყო. სამხედრო პენსიებისა და შრომისუუნაროთა შემწეობების დავალიანება 3,6 ტრილიონს შეადგენს, შტატებისა და მუნიციპალიტეტების ვალდებულებები კი 5,2 ტრილიონს უტოლდება.

© „ღიასტრალური ოპერაციები“

უდიდესი ინკვიზიტორი



იმ ორი პატიმრის გარდაცვალების გარემოებათა ძიებისას, რომლებმაც დაკითხვის პროცესში განუტევეს სული (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ასობით ადამიანზე, ვისი გარდაცვალებაც აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ, უბრალოდ, არ გაითვალისწინა), გამოაშკარავდა ახალი საიდუმლო ოპერაცია, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო პაკისტანში ახორციელებდა. მაგრამ დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გიულ რახმანი ქაბულში მდებარე ცსს-ს საიდუმლო ციხეში მას შემდეგ დაიღუპა, რაც ბეტონის კედელზე მიაჯაჭვეს და სცემეს. მანდელ ალ-ჯამადი კი, რომელიც გადამალეს და ერაყის ავბედით ციხე „აბუ-გრეიბში“ გისოსებზე მიაბეს, ყელზე ყულფგამობმული მკვდარი იპოვეს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნისას ლეონ პანეტამ გამოაცხადა, რომ ამით ცსს-ს შავ-ბნელი საქმეების ისტორია დასრულდა, მაგრამ ასეა კი სინამდვილეში?

პაკისტანში ცსს-ს ათასობით ოპერმუშაკმა და მათმა სტაჟიორმა მეამბოხეთა ჯგუფებში შეღწევა მოახერხეს. სავარაუდოდ, საიდუმლო პროგრამა, რომლის სახელწოდებაა „ტექნიკ-ე-თალიბან პაკისტანი“, მიმართულია თალიბების, „ალ ქაიდასა“ და პაკისტანის სხვა მეამბოხე ჯგუფების დეს-

ტაბილიზებაზე. სწორედ ეს დაჯგუფებები ახორციელებენ კოორდინაციას უცხოური სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგ. ერთ პაკისტანურ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ცსს-ს ახალი ქმნილება ასევე გამოიყენება პაკისტანში არეულობის შესაქმნელად და მოიცავს პაკისტანის ოფიციალურ პირებზე ზეწოლას, მათ მოსყიდვას რეგიონში ამერიკის პოლიტიკის სასარგებლოდ. გარდა ამისა, წყაროები ირწმუნებიან, რომ **ცსს-ს ჰყავს შეიარაღებული და ეკიპირებული ოპერმუშაკები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ პაკისტანის არმიისა და პოლიციის მოღვაწეთა გარკვეული ჩინების წინააღმდეგ. ეს ადამიანები ან პრობლემებს ქმნიან, ან არ ეთანხმებიან ვაშინგტონის გლობალურ ომს ტერორის წინააღმდეგ.**

ცხადია, პანეტას მსგავსად რაც უფრო მეტი ჩინოვნიკი ირწმუნება, რომ ყველაფერი იცვლება, მით უფრო მეტია ალბათობა, ყველაფერი უცვლელად დარჩეს. ცსს-ს „ტექნიკ-ე-თალიბან პაკისტანი“, რომელიც უკვე იყო აღჭურვილი ბიოლოგიური და ქიმიური იარაღით, ძალიან ჰგავს ირანის „ცნობებისა და უშიშროების ნაციონალურ ორგანიზაციას“ (sazman-e etelat va amniat-e keSvar), ანუ იმავე სავაკს-ს. ეს ორგანიზაცია ცსს-ს კიდევ ერთი ქმნილებაა, რომელიც 1953 წელს ირანში დესტაბილიზაციის გამოწვევისა და მთავრობის გადაგდებისთვის გამოიყენეს. ჯერ კიდევ 1953 წელს ამ საიდუმლო აგენტების დაფინანსება და შეიარაღება ირანში ქვეყნის საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმისგან გადარჩენის მცდელობით აიხსნებოდა. როგორც კი ცსს, სავაკი და ამერიკის მიერ მხარდაჭერილი შაჰი მუჰამედ რეზა ფეხლევი ხელისუფლებაში მოვიდნენ, შიში და წამება ჩვეულებრივ მოვლენებად იქცა.

ცსს-ს, სავაკისა და შახ ფეხლევის ხელისუფლებაში ცხოვრება შედგებოდა გაუსაძლისი სიღატაკისგან, ადამიანთა უკვალოდ გაქრობისა და პოლიციური ტერორისგან. იარაღითა და ცსს-ს სამხედრო მომზადებით აღჭურვილმა სავაკმა ირანში სწრაფად მოსპო ყოველგვარი განსხვავებული აზრი. ათასობით პოლიტიკური ოპონენტი სიკვდილით დასაჯეს. ცსს, რომელმაც სავაკს კარგად შე-

ასწავლა წამების მეთოდები, ხშირად ისრაელის საიდუმლო პოლიციის — მოსადის დახმარებითაც სარგებლობდა.

ცსს-ს ხელმძღვანელობით ისრაელმა და სავაკ-მა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს ირანელ დისიდენტებსა და აშშ-ისა თუ ისრაელის საგარეო პოლიტიკის მოწინააღმდეგეებზე.

ნადირობას, ცხადია, დასჯა მოჰყვებოდა. 1976 წელს უფლებადამცველი ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტია“ აცხადებდა, რომ სავაკის მიერ ნაწამებთა და სიკვდილით დასჯილთა შესახებ ინფორმაცია ყველანაირ ზღვარს სცილდებოდა.

სავაკისა და შაჰ ფეხლევის ხელისუფლების დროს ირანი ისეთ კორუფციაში ჩაიძირა, რომელმაც ახლოაღმოსავლური ძარცვის ყველაზე სტაჟიანი დამკვირვებლებიც კი განაცვიფრა. 1974-დან 1978 წლამდე მათ ლამის 20 მილიარდამდე დოლარი მიიღეს აშშ-ისგან ცსს-სთვის გაწეული სამხედრო დახმარების სახით. ამ დროს ირანული ნავთობის აურაცხელი სიმდიდრე ადამიანთა მცირე რაოდენობის ჯიბემდე აღწევდა. უმუშევრობა ყველაზე მეტად ახალგაზრდობას ეხებოდა. მთელი ირანის მოსახლეობის 20% ცხოვრობდა თეირანის ირგვლივ ბარაკებში, სადაც არ იყო ელექტროგაყვანილობა, კანალიზაცია, წამალი და პირველადი საჭიროების რაიმე სხვა საგანი. **იმისათვის, რომ შრომითი და ისლამისტური მოძრაობები ჩაეხშო, ცსს და სავაკი მათრახებს, მუშტებს, ელექტროსაჭერებს, მდუღარე წყალს, ცეცხლს, მინას და, რაღა თქმა უნდა, წყლით წამებას იყენებდნენ.**

როდესაც სამართალდამცავებმა სავაკი და შაჰი ფეხლევი ადამიანთა უფლებების დარღვევაში დაადანაშაულეს, შაჰმაც და სავაკმაც განაცხადეს, რომ ისინი ზუსტად იმავე მეთოდებს იყენებენ, რასაც აშშ და ცსს, შემდეგ კი დაამატეს: **„ვის არ აქვს საიდუმლო პოლიცია?“** ირანში ცსს გადააწყდა მტერს და ეს მტერი იყო თითქმის ყველა. იმისათვის, რომ შაჰ ფეხლევისთვის მხარდაჭერა უზრუნველეყო ირანის რესურსების კონტროლის საკითხში, ცსს-მ

თავის ყველაზე სანდო საშუალებებს — იარაღსა და ფულს მიმართა.

შეფასებების მიხედვით, ცსს წელიწადში ოთხას მილიონ დოლარს ხარჯავდა იმისათვის, რომ ზოგიერთ ირანელ პოლიტიკოსსა და რელიგიურ ლიდერზე (რომლებსაც არ სურდათ, ქედი მოეხარათ ამერიკული საგარეო პოლიტიკის წინაშე) გავლენა მოეპოვებინათ. სწორედ ამ კორუმპირებული და უღირსი გარემოდან დაიწყო 1979 წელს ირანის ისლამური რევოლუცია.

ე. წ. ტერორთან გლობალური ომის ფარგლებში, კერძოდ, ავღანეთსა და ახლა უკვე პაკისტანშიც, ცსს-ს მტრების როლში აღმოჩნდა ლამის მთელი პაკისტანი. **ცსს კვლავინდებურად რჩება გადატრიალებების უდიდეს კოორდინატორად და ამავე დროს — უდიდეს ინკვიზიტორადაც.** სამწუხაროდ, რაც უფრო მეტი რამ თითქოსდა იცვლება, მით უფრო მეტი რჩება ძველებურად, უცვლელად. მხოლოდ ახალი ქვეთავები, რომლებიც ამ დიდ წიგნში კიდევ დაიწერება, ასახავს ირანსა და მსოფლიოს სხვა ათობით ქვეყანაში ცსს-ს მიერ განხორციელებულ წამებათა მემკვიდრეობას და ეს ყველაფერი ბუშ-ჩეინის მმართველობისას აღორძინებული პრაქტიკაა. **პრობლემა მომდინარეობდა არა მხოლოდ იმ არაჰუმანური გამომძიებლებისგან, რომელთაც საკუთარ თავზე აიღეს მთელი დანაშაული, არამედ ცსს-ს, თავდაცვის სამინისტროსა და თეთრი სახლის მაღალჩინოსნებისგანაც.**

ცსს-ს შვიდი ათასი ოპერატიული მუშაკი და „ტახრიკ-ე-თალიბან პაკისტანი“ პაკისტანის ტერიტორიაზე მძლავრი პოლიტიკური და სამხედრო ძალაა. სამწუხაროდ, ისინი ახშობენ ყოველგვარ განსხვავებულ აზრს, მხარს უჭერენ კორუმპირებულ და უღირს დაწესებულებებს და კიდევ მრავალი წლის მანძილზე განაგრძობენ პაკისტანის პოლიტიკოსებზე ზემოქმედებას. გარდა ამისა, იქ კიდევ უფრო მეტი დარტყმები განხორციელდება უპილოტო საფრენი აპარატებიდან, კიდევ უფრო მეტი მკვლელობა მოხდება, გაგრძელდება ფარული ომი და მოხდება გადატრიალებები ცსს-ს ხელმძღვანელობით. ყველაზე კარგად გადამდგარმა ბრიგადის გენერალმა ასლამ გუმანმა თქვა: **„აშშ-ში ჩე-**

მი ვიზიტისას შევიტყვე, რომ ისრაელის საჯაშუშო სააგენტო მოსადი შეკრულია ინდოეთის სადაზვერვო სააგენტო „RAW“-სთან, მის უშუალო ხელმძღვანელობას კი ცსს ახორციელებს. ეს შეთქმულება პაკისტანში ნეგისმიერ ფასად დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით დაიგეგმა“.

ცსს-ს კიდევ ერთი შავბნელი მემკვიდრეობა ახასიათებს: შიდა ინფორმაციის მოგროვება, სატელეფონო სისტემების მოსმენებისთვის არალეგალური შეჭრები და სხვა მსგავსი ქმედებები. ეს მოიცავს ფაილების მოგროვებას იმ ათასობით აშშ-ის მოქალაქეზე, ვინც ომის წინააღმდეგია, აშშ-ის კონგრესის საარჩევნო კამპანიებში შეღწევას, საგაზეთო რეპორტიორებსა და საინფორმაციო სამსახურებზე ელექტრონული და ფიზიკურ თვალთვალს, ასობით ჟურნალისტისა თუ უნივერსიტეტის პროფესორის ფინანსურ დახმარებას და მილიონობით დოლარის შეწირვას კერძო კორპორაციებისა თუ მათი კუთვნილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის საზოგადოების სოციალური მოდელირების მიზნით. და, რაც მთავარია, სავსებით ცხადია, რომ **აშშ-დან ირანამდე და პაკისტანამდე ცსს და მისი ორგანიზაციები კვლავაც განაგრძობენ ადამიანთა ფსიქიურ, ემოციურ და ფიზიკურ წამებას.**

არაბული გაზაფხული თუ გადატრიალება ამერიკულად

ე.წ. არაბული გაზაფხული, რომელიც ტუნისსა და ეგვიპტეში ანტისახელისუფლო გამოსვლებით დაიწყო, ამერიკულ გეოპოლიტიკურ სცენარებთან სრული შესაბამისობით ვითარდება. ამ სცენარებიდან უმთავრესი კი გეოპოლიტიკური სივრცის ისე გადახაზვას მოიაზრებს, როგორსაც აშშ-ის ექს-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უმცროსმა კარგა ხნის წინ შეარქვა „დიდი ახლო აღმოსავლეთი"... სტრატეგია მოიაზრებს მსოფლიოს ამ ნაწილში უზარმაზარი გეოპოლიტიკური სივრცის სისტემატური ფრაგმენტაციის გზით ქრონიკული არასტაბილურობის გამოწვევასა და შენარჩუნებას. აშშ და შესაძლოა მასთან სოლიდარული დასავლური სახელმწიფოებიც, პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მიიღებენ შესაძლებლობას, აკონტროლონ უზარმაზარი ენერგეტიკული რესურსები და მათი ტრანსპორტირების მარშრუტები.

ადრე ეს სტრატეგია წარმატებით დამუშავდა ბალკანეთში. ახლა ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტორები გაცილებით ფართო მასშტაბებზე აპირებენ მის რეალიზებას. იმის შესახებ, რომ „არაბულ რევოლუციაში" ახალი ეტაპი დგება, აშშ-ის მიერ გამოქვეყნებული უშიშროების სფეროს ახალი სტრატეგია მეტყველებს. თავიდან ბარაკ ობამას მრჩეველმა შიდა უშიშროებისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, ჯონ ბრენანმა განაცხადა, რომ ისეთი სახელმწიფოების მთავრობებთან, როგორიც იემენი, სომალი, ერაყი, პაკისტანი და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებია, თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს. ამის შემდეგ სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მიანიშნა, კერძოდ, რომელ მთავრობებზე იყო საუბარი — ეგვიპტეში ხელისუფლებისთვის მებრძოლ რადიკალურ ისლამისტურ ორგანიზაცია „მუსლიმანურ საძმოზე". მივესალმებით დიალოგს ორგანიზაციის იმ წევრებთან, რომელთაც ჩვენთან საუბა-

რი სურთო, განაცხადა კლინტონმა და სიტყვაც არ დასცდენია ამ მოძრაობის ტერორისტულ ბუნებაზე, „ალ ქაიდასთან“ მის მჭიდრო ურთიერთობებზე და „საძმოს“ წევრებთან ურთიერთობის მხრივ აშშ-ში დიპლომატებისთვის დაწესებულ და ბოლო დრომდე მოქმედ აკრძალვაზე. **ახლა აშშ-ის ხელისუფალთ ნება ეძლევათ, ურთიერთობა იქონიონ თავად იმ ჯგუფის წევრებთან, რომელიც 1928 წელს არა მხოლოდ ეგვიპტის ისლამისტური სახელმწიფოს, არამედ „ესპანეთიდან ინდონეზიამდე“ ხალიფატის აღდგენის იდეით შეიქმნა.**

ზუსტად ანალოგიური, საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებული ძალების მხარდაჭერის პოლიტიკას ახორციელებს დასავლეთი ლიბიაშიც. იქ „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ სტრატეგიის ერთ-ერთი მესაჭე არის „ლიბიის ისლამური საბრძოლო ჯგუფი“, რომელიც 1970-იან წლებში შეიქმნა, 1990-იანი წლებიდან კი „ალ ქაიდას“ ნაწილი გახდა. მათი ორგანიზაციული ერთობა საბოლოოდ 2007 წელს გაფორმდა. ამჟამად „ლიბიის ისლამური საბრძოლო ჯგუფის“ შემადგენლობაში გამოიყო მისი პოლიტიკური ფრთა — „ლიბიის ისლამური მოძრაობა ცვლილებებისთვის“, რომელსაც ოპოზიციონერთა ბანაკში ხელმძღვანელის როლზე აქვს პრეტენზიები და რომელიც სულ უფრო მეტ სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას იღებს აშშ-ის, საფრანგეთისა და ნატოსგან.

დასავლური სტრუქტურების ურთიერთქმედება ტერორისტულ ისლამურ დაჯგუფებებთან აქტიურად მყარდება სირიაშიც, სადაც ამ ორგანიზაციებს მდგომარეობის დესტაბილიზებისა და ბაშარ ასადის ხელისუფლების ჩამოგდების საქმეში მთავარი როლი აქვთ.

აშშ-ის, ნატოსა და ტერორისტული ორგანიზაციების ინტერესთა თანხვედრაზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ დასავლეთის დამოკიდებულება ალბანური „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ მიმართ. **ჯერ კიდევ 1998 წელს, როდესაც კოსოვოს კონფლიქტი არ იყო გაცდენილი საერთაშორისო საზოგადოების კონტროლს, აშშ-ის პრეზიდენტის მაშინდელმა სპეციალურმა წარმომადგენელმა ბალკანეთში, რობერტ გელბარდმა განაცხადა, რომ „კო-**

სოვოს განმათავისუფლებელი არმია უდავოდ ტერორისტული ორგანიზაციაა". ამას საერთოდ არ შეუშლია ხელი ვაშინგტონისთვის, ორგანიზაციასთან თანამშრომლობა დაეწყო ბალკანეთში საერთო გეგმების განსახორციელებლად. ბოლოს და ბოლოს, ხომ აცხადებდა ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და კოსოვოს ფსევდოდამოუკიდებლობის ერთ-ერთი არქიტექტორი რობინ კუკი, რომ „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ბოევიკები ზუსტად იმდენადვე სასტიკები იყვნენ, რამდენადაც ეს დამახასიათებელია ყველა სხვა მეამბოხისათვის ისტორიაში". ახლა ამგვარი „მეამბოხეების" როლი ბენღაზში დამკვიდრებულ ძალებს ენიჭებათ, მათ შორის მთავარ როლს კი ისლამური ტერორისტული დაჯგუფებები ასრულებენ. შესაძლოა, მათ გულისხმობდნენ აფრიკული საბჭოს სამიტის მონაწილეები ახლახან საფრანგეთის გაფრთხილებისას, რომ მეამბოხეებისთვის მიწოდებული იარაღი შესაძლოა „ალ ქაიდას" ხელში მოხვდეს.

თავის დროზე ზბიგნევ ბზეჟინსკიმ წამოაყენა წინადადება, რაიონი, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკას, ახლო აღმოსავლეთს, ამიერკავკასიას, წინა და ცენტრალურ აზიას მოიცავს, „ევრაზიული ბალკანეთის" ტერმინით გაეერთიანებინათ. მისი თქმით, „ევრაზიულ ბალკანეთს", რომელიც ევრაზიის ყველაზე მდიდარი რაიონებისა და დასავლეთის ყველაზე განვითარებული სამრეწველო რაიონების აღმოსავლეთის უკიდურეს წერტილებთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელის ორივე მხარეს მოიცავდა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. დღეს ბალკანეთში დამუშავებული მეთოდიკა გაცილებით ფართო მასშტაბებში გამოიყენება.

ბალკანური მოდელი ამოსავალ წერტილად იქცა ენერგორესურსებით მდიდარი უდიდესი რეგიონის ხელახალი ფორმატირებისთვის.

©„ღიასაზოგადოება“

აშშ ფაშისტური პოლიციური სახელმწიფოა

როდესაც ამგვარ პროვოკაციულ განცხადებას აკეთებ, პირველ რიგში ის უნდა განმარტო, თუ რას ნიშნავს პოლიციური ტიპის ფაშისტური სახელმწიფო. პოლიციური სახელმწიფო კანონს იყენებს მოქალაქეების მხრიდან მის მიმართ შექმნილი საფრთხეების კონტროლირებისათვის და არა — მოქალაქის, როგორც საზოგადოების წევრის დაცვისათვის. ამგვარი სახელმწიფო ქმნის კანონებს, არის ერთპიროვნული მოსამართლე და შეუძლია შერჩევით გადაწყვიტოს, — გაამკაცროს თუ შეარბილოს ესა თუ ის საკანონმდებლო მდგომარეობა ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფისათვის. პოლიციურ სახელმწიფოში მოქალაქეები „თავისუფალნი“ არიან ზუსტად იმ დოზით, რა დოზითაცაა შეზღუდული მათი ყველა ქმედება სახელმწიფო კანონით.

თუ ცალკეული პირის მიერ საკუთარი თავისუფლები-

სა და უფლებების მოთხოვნა სახელმწიფოსთან კონფლიქტში მოდის, ინდივიდის ცალკეულ ქმედებებს სახელმწიფო თავისთვის საზიანოდ მიიჩნევს. ამ შემთხვევაში კი სახელმწიფო თავისი ხალხის პროტესტს ჩაახშობს, თუ საჭირო გახდა (და, როგორც წესი, ასეც ხდება ხოლმე), ძალის გამოყენებითაც.

თუ არ არსებობს სამართლებრივი სისტემა, რომელიც აიძულებს სახელმწიფოს, მოსახლეობასთან დათმობებზე წავიდეს, ეს სახელმწიფო პოლიციურად ითვლება. თუ ამგვარი სამართლებრივი ბაზა არსებობს მხოლოდ დე-იურე და სისტემის მხრიდან წინააღმდეგობების გამო მოქალაქეს მასზე ხელი არ მიუწვდება, თუ ლოგიკისა და ნებისმიერი სხვა მიზეზის გვერდის ავლით სამართლებრივი ბაზა ყოველთვის ამართლებს სახელმწიფოს თვით ყველაზე წინააღმდეგობრივი შემთხვევების ჩათვლითაც კი, მაშინ ეს სამართლებრივი სისტემა სხვა არაფერია, თუ არა ტყუილი და წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან საკუთარ მოქალაქეებზე ზეწოლის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. საბჭოთა კავშირის სასამართლო სისტემა ამის კლასიკური მაგალითი იყო.

აუცილებელი არაა, პოლიციური სახელმწიფო დიქტატურული იყოს, პირიქით, მას, შესაძლოა, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმაც კი ჰქონდეს. სახელმწიფოს პოლიციურობა განისაზღვრება არა მისი პოლიტიკური სისტემით, არამედ რიგითი მოქალაქისგან მისი დაცულობის ხარისხით.

გაცილებით რთულია განსაზღვრო, რას ნიშნავს მცნება ფაშიზმი. ჩვენი მიზნებისთვის მუსოლინისეული განსაზღვრება უნდა გამოვიყენოთ: საზოგადოება არის კორპორატიული ინტერესებისა და კავშირების ინტერესების ნაკრები. სახელმწიფო ერთ-ერთი კონკურენტია სხვებთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ სხვებთან შედარებით ძალისა და მოცულობის მხრივ დიდი უპირატესობა აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცალკეულ ადამიანს ძალა აქვს მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ ამა თუ იმ ჯგუფს განეკუთვნება. უამისოდ ადამიანს, უფრო ფართო მასშტაბში კი ჯგუფს, არანაირი ძალაუფლება და გავლენა არ გააჩ-

ნია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით განვიხილოთ, რა ხდება ამერიკაში.

საქმეში „ჰოლდერი Humanitarian Law Project–ის წინააღმდეგ“ აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია „ტერორისტულად“ მხოლოდ იმის გამო გამოცხადდა, რომ შეეძლო არაძალადობრივი გზით ეწარმოებინა მოლაპარაკებები სხვადასხვა პოლიტიკურ ინსტიტუტთან გაეროს ჩათვლით. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს მოლაპარაკებები ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ხელის შეწყობა და მათი წაქეზება იყო და საკონსულტაციო ჯგუფს „ტერორიზმის მხარდაჭერა“ დაუდგინეს.

თუ ამ საქმეს კარგად განიხილავთ, დარწმუნდებით, რომ ის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის კი არა, რეპრესიებზე სახელმწიფოს უფლებების ზრდას წარმოადგენს. სასამართლოს გადაწყვეტილება ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ ზრდის სახელმწიფოს უფლებასაც, ნებისმიერი პირის მიმართ განახორციელოს რეპრესიები, თუ მას ტერორისტის სტატუსს მიანიჭებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ „კონგრესი და აღმასრულებელი ხელისუფლება საფუძველშივე განსაზღვრავენ სხვაობას იმ ქმედებებს შორის, რომელთაც ტერორისტები მომავალში გამოიყენებენ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დასანგრევად და იმ ქმედებებს შორის, რომელთაც ამ მხრივ არ გამოიყენებენ“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლომ განმარტა, რომ კონგრესსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლიათ ცალმხრივად და აბსოლუტურად დამოუკიდებლად განსაზღვრონ, ვინ წარმოადგენს „ტერორისტულ საფრთხეს“ და ვინ — არა. ამისათვის სულაც არაა საჭირო სასამართლოსთვის მიმართვა და გადაწყვეტილების გამოტანა.

და თუ აღმასრულებელი ხელისუფლება ან კონგრესი, ან ორივე ერთად გადაწყვეტს, რომ ესა თუ ის ჯგუფი „ტერორისტულია“, მისი და მასთან დაკავშირებულ ჯგუფთა სიტყვის თავისუფლება იზღუდება იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამდენად მშვიდობიანია მათი საქმიანობა და საუბარი.

მაგალითად, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება სა-

ხელმწიფო მდივნის სახით გადაწყვეტს, რომ WikiLeaks (ვებ-გვერდი, რომელზეც მამხილებელი მასალები და კონ-ფიდენციალური ინფორმაცია ქვეყნდება) ან Amnesty International-ი (უფლებადამცავი ორგანიზაცია) ტერორის-ტულია, ისინი სწორედ ასეთებად იქცევიან. ცხადია, მათ აღარ ექნებათ სიტყვის თავისუფლება, ვინმესთან ურთი-ერთობის ან მოლაპარაკების წარმოების უფლება; არც არა-ვინ დაიჭერს საქმეს მათთან, ვინაიდან ამ შემთხვევაში

ძალზე დიდი იქნება რისკი, „ტერორიზმის მხარდაჭერა“ დაბრალდეთ.

გარდა ამისა, სასამართლოს ზემოხსენებული დადგენილების მიხედვით, WikiLeaks-ის ტერორისტულად შერაცხვის შემდეგ ყველა, ვინც რაიმე სახით მასთანაა დაკავშირებული, მათ შორის მკითხველებიც და, რა თქმა უნდა, მასალების მიმწოდებლებიც ტერორიზმის ხელშემწყობებად ჩაითვლებიან.

რეპრესიების ეს ფორმა სავსებით შეესაბამება პოლიციური სახელმწიფოს სტანდარტს. სახელმწიფო ცალმხრივად წყვეტს, ვინ და რა წარმოადგენს მისი ინტერესებისათვის საფრთხეს და ყოველგვარი სასამართლო დადგენილების გარეშე ახორციელებს მის მიმართ რეპრესიებს.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ხმათა უმრავლესობით უკვე დაადგინა, რომ კონგრესი და აღმასრულებელი ხელისუფლება უფლებამოსილია, განსაზღვროს, ვინ არის ტერორისტი და ვინ — არა. ამგვარი „ტერორისტების“ სურვილი, ჩინოვნიკების მიერ მიწებებული იარლიყის ნამდვილობა სასამართლომ დაამტკიცოს, აბსოლუტურად არ მიიღება მხედველობაში.

სასამართლომ რომც დაადგინოს, რომ ადამიანს აბსოლუტურად არანაირი კავშირი არ აქვს ტერორიზმთან, ის მაინც ვერ მიიღებს რეაბილიტაციას სახელმწიფოს მიერ დაშვებული შეცდომის გამო.

ამრიგად, აშშ-ის ხელისუფლება ცალმხრივად ადგენს, ვინ არის ტერორისტი და ვინ — არა. ნებისმიერი, ვისაც რაიმე სახის კავშირი აქვს ხელისუფლების მიერ ტერორისტად შერაცხულთან, ამ ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებისა და დევნის ობიექტი ხდება. და თუ საბოლოოდ დადგინდა, რომ ტერორისტად წოდებულს არასდროს არანაირი კავშირი არ ჰქონია მსგავსი სახის საქმიანობასთან, ის ვერასდროს მიიღებს სახელმწიფო რეაბილიტაციას.

ეს ყველაფერი კი ცალსახად ადასტურებს, რომ აშშ ფაშისტური ტიპის პოლიციური სახელმწიფოა.

ამერიკა — დიქტატორების თავშესაფარი

ტეოდორო ობიანგი და მისი მეუღლე ბარაკ და მიშელ ობამებთან ერთად

დიქტატორები განაგრძობენ ნაძარცვის ამერიკაში გადამალვას მანამ, ვიდრე ამერიკელები არ ამოქოლავენ იმ კორპორატიულ ნაპრალებს, რომელთა საშუალებითაც ძალიან ადვილად ათეთრებენ ფულს. აშშ-ის ხელისუფლებამ წარადგინა სასარჩელე განცხადება, რომელშიც დოკუმენტურად დასტურდება კორუფციის ფაქტები, რომელთაც 1980 წელს ფილიპინების გაძარცვის შემდეგ ბადალი არ მოეძებნება.

განცხადებაში დეტალურადაა გადმოცემული მსხვილმასშტაბიანი მექრთამეობისა და ფულის გათეთრების ბრალდება, რომელიც ეკვატორული გვინეის დიქტატორის — თეოდორო ობიანგო იგემ მბასოგოს შვილისა და სავარაუდო მემკვიდრის წინააღმდეგაა შედგენილი. სატყეო მეურნეობის მინისტრობის პერიოდში ობიანგ უმც-

როსმა, რომელიც ცნობილია მეტსახელით თეოდორინი, ქონება იმის წყალობით იშოვა, რომ უცხოეთის ტყის გადამამუშავებელ კომპანიებს აიძულებდა, მიეცათ მისთვის დიდი ქრთამი, ძირითადად, ვალუტით გატენილი ჩემოდნების სახით.

ვაშინგტონს კარგად გამოსდის ტერორიზმის დაფინანსებებისთვის გზების გადაჭრა და სუდანისა თუ ირანის მსგავსი რეჟიმებისთვის უცხოური ინვესტიციების შეჩერება, მაგრამ ძალზე ცოტას თუ აკეთებს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს მმართველ დიქტატორებსა და მათი ოჯახების წევრებს თავიანთი აქტივების საცავად ამერიკის გამოყენებაში.

ამ დრომდე ვაშინგტონი მეგობარ დიქტატორებს აგრძნობინებდა, ვიდრე ხელისუფლებაში ხართ, ძარცვეთ და ატერორეთ თქვენი ხალხი, რამდენიც გინდათ. ჩვენ თქვენი აქტივების კონფისკაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვახდენთ, თუ თქვენი რეჟიმი დაემხობა.

ობიანგზე თავდასხმა განსაკუთრებულ სიმამაცეს მოითხოვს, ეკვატორული გვინეა ხომ საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებს შორის ნავთობის მოპოვების მხრივ მესამე ადგილს იკავებს და მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოკავშირეა. **ამერიკის ნავთობკომპანიები ლამის ქვეყნის მთელ ნავთობს ისრუტავენ და მის მნიშვნელოვან ნაწილს აშშ-ში აგზავნიან.**

როგორც წესი, **ამერიკა თავს არიდებს მეგობრულ ქვეყნებზე ზეწოლას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაციების გაუმჯობესებისა და კორუფციასთან ბრძოლის მოტივით, რადგან პოტენციურ შედეგებს უფრთხის. მაგრამ ამიერიდან, როგორც იუსტიციის სამინისტროს მაღალი რანგის თანამდებობის პირმა განაცხადა, „ამერიკის შეერთებული შტატები არ იქნება ის ადგილი, სადაც შეიძლება სხვადასხვა ქვეყნის კორუმპირებული ლიდერის მიერ არაკეთილსინდისიერი გზით მოპოვებული სიმდიდრე შეინახოს“.**

იუსტიციის სამინისტროს სარჩელი მნიშვნელოვანი გამოცდაა. თუ ხელისუფლება ვერ მოიგებს ობიანგების საქმეს, მან, შესაძლოა, სულაც აღარ მოინდომოს კორუმპი-

რებული დიქტატორების პასუხისგებაში მიცემა. ოლიგარქებსა და ტირანებს შემდეგი სიგნალი დაეგზავნებათ: „ჩამობრძანდით ჩვენთან და უშიშრად ხარჯეთ საკუთარი ფული, ნუ იღელვებთ, რომ ჩვენ რაიმეს კონფისკაციას მოვახდენთ თქვენი უკანონოდ მითვისებული სიმდიდრიდან“.

ობიანგის მამამ ხელისუფლება 1979 წელს ჩაიგდო ხელში და ამ დრომდეც აფრიკაში პირველ ადგილზეა, ხელისუფლების ხანგრძლივობის მაჩვენებლით. მან, სულ მცირე, 600 მილიონი დოლარის ქონება დააგროვა, მისი ღატაკი მოსახლეობა კი 40 წლამდეც ვერ ცოცხლობს.

მაგრამ შვილი შეუდარებლად უფრო ხარბია. 1993 წელს პრეზიდენტმა ობიანგმა თეოდორინოს, რომელიც მაშინ 24 წლის იყო, მისცა უფლება, გაეჩეხა თითქმის 90 000 აკრი ტროპიკული ტყე. მომდევნო წელს იგი სატყეო მეურნეობის მინისტრად დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ **მისი ხელფასი თვეში 7 000 დოლარს შეადგენდა, თეოდორინომ, როგორც იუსტიციის სამინისტრო ირწმუნება, 2000-2011 წლებში ოთხ კონტინენტზე აქტივებისა და ქონების შეძენაზე 300 მილიონი დოლარი დახარჯა. ამერიკაში მისი მთავარი შენაძენი იყო მალიბუს მამული, რომელშიც 30 მილიონი დოლარი გადაიხადა და 38 მილიონად ღირებული თვითმფრინავი. აღარაა საუბარი მილიონზე მეტ დოლარზე, რომელიც მან მაიკლ ჯექსონის ნივთების შესაძენად დახარჯა. გარდა ამისა, მან იყიდა სახლი პარიზში 80 მილიონ დოლარად, მიწის ნაკვეთი სანპაულოში 15 მილიონად, 6 მილიონი დოლარის ღვინოები და დეგას, რენუარისა და გოგენის ნახატები.**

მისთვის ქრთამის მიმცემ კომპანიებს შეეძლოთ ეჩეხათ ტყეები, სადაც მოესურვებოდათ, მათ შორის ნაკრძალებშიც, რომელთაც ფორმალურად ეკვატორული გვინეის კანონები იცავს. იმ კომპანიებს კი, რომლებიც ქრთამის გადახდაზე უარს აცხადებდნენ, ქვეყნიდან აძევებდნენ, მათ ქონებასა და აღჭურვილობას დაუნდობლად ძარცვავდნენ.

მიუხედავად ამ წარმოუდგენელი ფაქტებისა, იურიდი-

ულმა ხრიკებმა და გამომდგომმა ამერიკელმა ადვოკატებმა თუ ბუღალტრებმა ობიანგს საშუალება მისცეს, ამერიკაში უზარმაზარი ფული გაეთეთრებია.

კანონის მთავარი არასრულყოფილება ისაა, რომ მრავალი იურისდიქცია, მათ შორის აშშ-საც, კომპანიებისაგან არ ითხოვს, დაასახელონ თავიანთი ნამდვილი ბენეფიციალები და არა ის ფორმალური მფლობელები, რომლებიც წინა პლანზე ჩანან, ამიტომ დიქტატორებსა და დესპოტებს შეუძლიათ, მარტივად დამალონ საკუთარი შემოსავლები: იმის ნაცვლად, რომ საკუთარი სახელით იყიდონ უძრავი ქონება, ისინი შენაძენს აფორმებენ იმ პანამური ტრესტის სახელზე, რომელიც ბაჰამის კუნძულებზე მდებარე და ლიხტენშტეინში დარეგისტრირებული კომპანიის მიერ მართვად კორპორაციას ექვემდებარება.

ობიანგი ქირაობდა ადვოკატებსა და ბუღალტრებს იმ კომპანიების შესაქმნელად, რომლებიც ამერიკაში გადარიცხვის საშუალებით ფულის გათეთრებაში გამოიყენებოდა. ოპერაციებთან მისი კავშირი დაფარული იყო, ამიტომ ბანკებმა არ იცოდნენ, რომ მის ფულზე მუშაობდნენ. მათ რომ ამის შესახებ შეეტყოთ, ანგარიშებს დახურავდნენ, რაც ობიანგს კიდევ უფრო მზაკვრული მეთოდების გამოყენებისაკენ უბიძგებდა.

დესპოტებსა და თაღლითებს დიდი სიამოვნებით მიაქვთ თავიანთი ფული ამერიკაში არა მხოლოდ პრესტიჟის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ამ ქვეყნის კანონები კორპორატიული საიდუმლოებების დაცვის შესახებ — შვეიცარიისა და ლუქსემბურგის მსგავსად — ფაქტობრივად, არ აძლევენ საშუალებას სამართალდამცავ ორგანოებს, გაარკვიონ, ვისი ფული იმალება ქვეყანაში.

ვიდრე ეს ნაპრალები ღიად რჩება. იუსტიციის სამინისტრომ ეს საქმე რომც მოიგოს, მომავალ ობიანგებს ვერაფერი შეუშლის ხელს, თავიანთი ბინძური ფული ამერიკის შეერთებულ შტატებში გაათეთრონ და ამ ქვეყნით ისე ისარგებლონ, როგორც საკუთარი სავაჭრო ცენტრით.

დაზვერვის ძვირადღირებული რაინდები

ამერიკულ გამოცემებს შორის ყველაზე კეთილგანწყობილი და ხელისუფლების მიმართ მოწიწებული დამოკიდებულებით გამორჩეულ გაზეთ „Washington Post"-ის ჟურნალისტების მიერ ჩატარებული ორწლიანი გამოძიების დასკვნა ასეთია: 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ნაციონალური უშიშროების სისტემა იმდენად გაიზარდა, რომ უკვე შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, რამდენი ადამიანი მუშაობს მასში, რა ჯდება უსაფრთხოება და რამდენად ეფექტურად მუშაობს ეს მონსტრი. სისტემა ქმნის ჭარბ ინფორმაციას, რომლის გაანალიზების შეუძლებლობამაც უკვე გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი. მეორეს მხრივ, კერძო ორგანიზაციები იმდენად მჭიდროდ არიან უშიშროების სისტემაში ჩაქსოვილნი, რომ სახელმწიფოს მათ გარეშე მუშაობა აღარ შეუძლია. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მათი მომსახურება ქვეყანას გაცილებით უფრო ძვირი უჯდე-

ბა, ვიდრე თანამშრომელთა შტატში აყვანა. და ბოლოს, ამ კერძო „ზესაიდუმლო ამერიკას“ კრიზისი არ შეხებია, არავითარი უმუშევრობა — ის ზრდას განაგრძობს.

ის, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები მსოფლიოში ყველაზე დატოტვილი სისტემაა და უამრავ თანამშრომელს მოიცავს, დიდი ხანია, ყველასათვის კარგადაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, „**Washington Post**“-ის **გამოძიებამდე ერთი დღით ადრე ვერც ერთი სპეციალისტი ვერ გიპასუხებდათ კითხვაზე, მაინც რამდენი სტრუქტურაა ამ სისტემაში. ახლა ეს პასუხი მთელმა მსოფლიომ იცის — აშშ-ის უშიშროება 1300-მდე სახელმწიფო და 2000-მდე კერძო ორგანიზაციის ხელთაა. ცნობილი გახდა ისიც, რომ დედამიწაზე უდიდესი სისტემის შიდა კოორდინაცია, კონტროლი და შესაბამისად, მუშაობის შედეგებიც მინიმალურია.**

ამ საიდუმლო ორგანიზაციების უამრავი თანამშრომლის სამუშაო ფართით უზრუნველსაყოფად უკვე მოქმედი და მშენებარე ნაგებობების საერთო ფართი 22-ჯერ აღემატება აშშ-ის კონგრესისას და 3-ჯერ — პენტაგონისას. რამდენი თანამშრომელია დასაქმებული აღნიშნულ სტრუქტურებში, ორწლიანი ჟურნალისტური გამოძიების შედეგადაც კი, რომელშიც 15 რეპორტიორი და ორი წამყვანი ანალიტიკოსი — დანა პრისტი და უილიამ არკინი იყო დაკავებული, დაახლოებითაც ვერ გაირკვა.

ვერც ის დადგინდა, თუ რამდენი დაიხარჯა და რამდენი იხარჯება ახლა. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ **ზესაიდუმლო ინფორმაცია ხელმისაწვდომია 850 ათასზე მეტი თანამშრომლისათვის (არადა, აქამდე ითვლებოდა, რომ აშშ-ის სადაზვერვო სისტემაში სულ 200 ათასი თანამშრომელია), რომელთა ცხოვრებაში სიცრუის დეტექტორები, ნარკოტიკული ტესტირებები, საიდუმლო გამოძიებები, ფსიქოლოგიური ტესტები და ასე შემდეგ ჩვეულებრივი მოვლენაა. კიდევ უამრავი სხვა მეთოდის გამოყენების შედეგად დანარჩენი ამერიკელებისათვის მათი ამოცნობა აბსოლუტურად შეუძლებელია. მათგან 260 ათასამდე პირი კერძო სპეცსამსახურის წარმომადგენელია.** არადა, ხომ ცნობილია, რომ ის, რაც იცის ორზე მეტ-

მა, იცის ყველამ. ალბათ, ამის გამოა, რომ მიუხედავად არნახული მასშტაბებისა და დანახარჯებისა, 2001 წლის მოვლენების შემდეგ აშშ-ის სპეცსამსახურები ვერც ერთი განსაკუთრებული წარმატებით ვერ დაიკვეხნიან.

აშშ-ის სადაზვერვო სისტემაში დასაქმებულთა ერთი მესამედი სახელმწიფო მოხელე არაა. ესენი არიან კერძო სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომლებიც შპიონების გადაბირების, უცხოეთის ქვეყნების ხელისუფლებათა კონტროლის, უპილოტო თვითმფრინავების ფრენის უზრუნველყოფისა და სხვა საქმეებს ასრულებენ. ისინი შეუცვლელები გახდნენ სტრუქტურისათვის, რომელზეც აშშ-ის უშიშროებაა დაფუძნებული. **აშშ-ის ხელისუფლებამ შექმნა იმდენად დიდი, რთული და ძნელად სამართავი უშიშროების სისტემა, რომ დედამიწაზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელმაც იცის, ასრულებს თუ არა ის თავის უმთავრეს ფუნქციას.** სამაგიეროდ, გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ გადასახადების გადამხდელებს ეს სისტემა მხოლოდ შარშან 75 მილიარდი დოლარი დაუჯდათ.

როგორც შედარებით ახალ სტრუქტურას, შიდა უშიშროების სამინისტროს სულ რაღაც 230 ათასი თანამშრომელი ჰყავს. აშშ-ში ჩასული ნებისმიერი უცხოელი აეროპორტშივე შეხვდება, სულ მცირე, ერთ-ერთ მათგანს. სხვა უამრავ სამსახურთან ერთად, ამ უწყებას ექვემდებარება საიდუმლო სამსახური, რომელიც ამერიკის ხელისუფლებას — ბოროტმოქმედთაგან, ამერიკულ დოლარს კი გაყალბებისაგან იცავს.

თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამსახურში 16,5 ათასი თანამშრომელია, გეოკოსმოსური დაზვერვის ეროვნულ სამმართველოში — 8,5 ათასი, ცსს-ში — დაახლოებით 30 ათასი. ამათგანაც მესამედი კერძო სტრუქტურის წარმომადგენელია. ნაციონალური უშიშროების უზრუნველყოფა აშშ-ში ყველაზე შემოსავლიან ბიზნესად იქცა. კერძო სტრუქტურები გამოცდილ სახელმწიფო მოხელეებს ხელფასების გაორმაგების, ბონუსებისა და ძვირადღირებული მანქანების დარიგების პერსპექტივას აგუებენ. მთელი რიგი უწყებები უკვე წუ-

© „ღამისფრიანი“

წუნებენ, რომ სახელმწიფოს ძალზე ძვირი უჯდება კერძო სექტორი, მაგრამ, ვინაიდან უიმისოდ სტრუქტურა მთლიანად დაიშლება, წამოყენებულ პირობებზე დათანხმება უწევს.

მთელი რიგი ფირმები დაკავებულნი არიან ციფრული მაგისტრალების უზრუნველყოფით აშშ-ის სამართავ პუნქტებში ინფორმაციის რეალური დროის რეჟიმში გადაცემისათვის. მათემატიკოსებისათვის მსოფლიოში მთავარი დამსაქმებელი ეროვნული უშიშროების სააგენტოა. ის პირდაპირი გაგებით შეისრუტავს ყველა ახალ ტექნოლოგიას და აკონტროლებს ინფორმაციას პლანეტაზე. მისი ბიუჯეტი არავინ იცის, მაგრამ ცნობილია, რომ 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, ის გაორმაგდა.

ამ პარალელურ სამყაროში, რომელსაც სახელად ზეაიდუმლო ამერიკა ჰქვია, მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა. ყველაზე დიდი აბსურდი ისაა, რომ სხვა უწყებების მუშაობის კოორდინირებაზე პასუხისმგებელ უწყებებს არ აქვთ კანონიერი უფლება, მათი მისამართით რაიმე ბრძანება გასცენ. ტოტალური დევნის, თვალთვალისა და დაკვირვების მონსტრს ვერ აკონტროლებს ვერც სახელმწიფო, ვერც საზოგადოება. ამერიკული საზოგადოება, ისევე, როგორც თითქმის ნებისმიერი სხვა, უკვე დიდი ხანია, ჩამოშორებულია სახელმწიფოს მართვის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას. **უშიშროების სისტემის გაკონტროლება არავის შეუძლია. არის უამრავი მაგალითი, როდესაც მსხვილი სადაზვერვო სამმართველოების ხელმძღვანელები თვეობით, ზოგჯერ კი წლობითაც, მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც თავად მოესურვებოდა და ამის შესახებ არავის არაფერი გაუგია მანამ, ვიდრე მათ დაუდევრობას მასშტაბური კატასტროფები არ მოჰყვა.**

11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ათობით ამერიკელ გენერალს დაუნიშნეს სოლიდური პირადი დაცვა, რისი გამართლებაც რაიმე, თუნდაც წარმოუდგენელი, აუცილებლობითაც კი შეუძლებელი გახდა. სამწუხაროდ, აბსოლუტურად საფუძვლიანია დასკვნა, რომ მოქმედებდა, მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ავტოკრატიულ სახელ-

მწიფო კაპიტალიზმთან დაახლოების პროცესი, რაც, პირველ რიგში, ამერიკას ეხება. **ამერიკას, სადაც სახელმწიფოს, ტრადიციულად, უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა და სადაც ტრადიციული ლიბერალიზმისადმი ურღვევი მიჯაჭვულობა არსებობდა. მოულოდნელად ამ სახელმწიფოში გაჩნდა უზარმაზარი, აბსოლუტურად არავის და არაფერს დაქვემდებარებული, ძალიან ძვირადღირებული უშიშროების აპარატი, რომელსაც თითსაც ვერავინ დააკარებს. ეს აპარატი ნამდვილ სიმსივნესავითაა და ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროზე ავრცელებს თავის მეტასტაზებს. მეორეს მხრივ, ქმნის ამერიკელთა კლასს, რომელსაც უდიდესი დაინტერესება აქვს, რომ სისტემა არსებობდეს და მუშაობდეს.**

ერთხელ ადამ სმიტმა თქვა, რომ ერის დაღუპვის მიზეზი თავად ამ ერშია დამალული. **11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ამერიკული აკვიატებული აზრის — დემოკრატიის ძალადობრივი „ექსპორტის“ — განვითარების შესაბამისად, საკუთრივ მისი დემოკრატიის საფუძვლებმა შემაშფოთებელი სისწრაფით იწყო ლპობა.**

© „ღვინისმცოდნეობა ალმასფარფეი“

რატომ ხდება ამერიკაში ამდენი უბედურება?

ოდესმე დაფიქრებულხართ, რატომ ხდება ამდენი ცუდი რამ ამერიკაში? ჩვენი ეკონომიკა ინგრევა, ხან გვალვაა, ხან უჩვეულო სიცხე, ჩვენი ქალაქების ინფრასტრუქტურა ინგრევა, ჩვენ სულ უფრო მეტ ომსა და კონფლიქტში ვმონაწილეობთ, ამერიკელთა ცხოვრებაში დღითიდღე იმატებს შიში და შფოთვა, ჭარბწონიანი ამერიკელების რაოდენობა კი ახლა უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ნუთუ დაწყევლილები ვართ? ეს „იდეალურ შტორმს“ ჰგავს, რომელიც მხოლოდ ახლა იკრებს ძალას. ამერიკელები კრიზისისაგან დაიღალნენ, რადგან უკვე გაჩნდა შეგრძნება, რომ ჩვენი პრობლემები აღარასდროს დასრულდება.

გვალვა

მხოლოდ ამ ზაფხულს ამერიკაში მაღალი ტემპერატურის ყველა რეკორდი მოიხსნა, ქვეყნის

მთელ ტერიტორიაზე ამინდი ჩვეულებრივზე გევრად უფრო მშრალია. აშშ-ის ათასზე მეტი რაიონი უკვე ოფიციალურად გამოცხადდა სტიქიური უბედურებების ზონად. ეს ყველაზე დიდი გვალვაა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე და მას ჯერ დასასრული არ უჩანს.

გვალვის გამო მთელ ამერიკაში ნადგურდება მარცვლეულის ნათესები და, როგორც ჩიკაგოს სავაჭრო პალატა იტყობინება, მარცვლეულის ფასმა უკვე 54%-ით მოიმატა და მიაღწია აშშ-ისთვის რეკორდულ ფასებს. აგროსპეციალისტები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ დაბალი და ძალიან დაბალი ხარისხის მარცვლეულის ფასი 38%-ით გაიზარდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ფასები ზრდას განაგრძობს და მალე ყველა რეკორდს მნიშვნელოვნად ჩამოიტოვებს უკან.

ხანძარი

აშშ-ის დასავლეთ რაიონებში უჩვეულოდ დიდი რაოდენობით ხანძარი გაჩნდა ტყეებში, რაც ასევე სიცხის ბრალია. საქმე ისაა, რომ ამერიკის ისტორიაში ხარისხობრივად ყველაზე საშინელი ხანძრები ტყეებში 2000 წლის შემდგომ პერიოდზე მოდის.

ტორნადო

აშშ-ში ისედაც უფრო მეტი ტორნადო ხდება, ვიდრე მსოფლიოს სხვა ნებისმიერ წერტილში, მაგრამ ამდენი არასროს ყოფილა. მხოლოდ 2009 წელს 1146 ტორნადო იყო, 2010 წელს — 1282, 2011 წელს კი — 1601. ეს კიდევ ერთი რეკორდია ამერიკის ისტორიაში.

ფუკუსიმა

ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი კატასტროფის შედეგად გარემოში მოხვედრილი რადიაცია ამერიკელებზე კიდევ მრავალი წლის მანძილზე მოახდენს გავლენას. ფუკუსიმადან ამ დრომდეც გამოედინება უდიდესი რაოდენობის რადიაცია და ვრცელდება აღმოსავლე-

© „ღამისფრთიანი“

თით, ანუ ამერიკისკენ. ორიოდე თვის წინ ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ლოს-ანჯელესს ნორმალურზე ხუთჯერ მეტი რადიაციის წვიმა აწვიმდა. მთავრობა და მედია ამის შესახებ დუმს, მაგრამ ახლახან ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ფუკუსიმას პრეფექტურაში მცხოვრები ბავშვების 36%-ს ფარისებრ ჯირკვალზე ანომალური წარმონაქმნები აღენიშნება. ეს მაჩვენებელი ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ 2%-ს არ აღემატებოდა.

ეკონომიკური კრახი

უკანასკნელი ვარდნა უარესი იყო დიდი დეპრესიის შემდგომ ყველა მოვლენას შორის და ამერიკის ეკონომიკა აღდგენასთან ახლოსაც კი არ მისულა, ახლა ახალი კრიზისის ზღვართან ვდგავართ და, როგორც ჩანს, ის წინაზე უარესი იქნება.

სიღატაკე

ახლანდელი ეკონომიკური აღდგენის პერიოდშიც კი ამერიკაში სიღატაკე განუხრელად იზრდება. ობამას პრეზიდენტობის პერიოდში იმ ამერიკელთა რაოდენობა, რომლებიც სასურსათე ტალონებს იღებენ, 32-დან 46 მილიონამდე გაიზარდა. დღეს ამერიკაში მოსახლეობის 49% ცხოვრობს ოჯახებში, სადაც ერთი წევრი მაინც იღებს ფედერალურ დახმარებას. ეს რეკორდია.

დამნაშავეობა

დანაშაულის ზრდა ყველანაირ ზღვარს სცილდება. წელს ჩიკაგოში მკვლელობათა რაოდენობამ 38%-ით მოიმატა, თავდაცვის მიზნით მკვლელობების რაოდენობა დეტროიტში 79%-ით გაიზარდა. დამნაშავეები ისეთ რამეებს აკეთებენ, როგორიც ამერიკაში მანამდე არც უნახავთ და არც სმენიათ. მაგალითად, ფლორიდაში „Wal-Mart“-ში 300-მდე მოზარდი შევარდა, ყველაფერი დალეწა და გაანადგურა ისე, რომ დაცვისთვის ყურადღებაც კი არ მიუქცევია.

რაც შეეხება ციხეებს, რაოდენობრივადაც და მოსახლე-

ობის რაოდენობასთან თანაფარდობის მხრივაც, აშშ-ს მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტი პატიმარი ჰყავს. მაგრამ ეს არაფერია, ამერიკაში კიდევ მეტი იმსახურებს პატიმრობას: ახლახან ვიდეოკამერებმა დააფიქსირა უამრავი ადამიანი, რომლებმაც არლინგტონში მომხდარი ავარიის შედეგად ასფალტზე პირქვე დაცემულ სისხლის გუბეში მცურავ ადამიანს საერთოდ არ მიაქცია ყურადღება.

კრიმინალური ნარკობუნაგები

თავის დროზე აშშ-ში იყო რამდენიმე ათეული სამრეწველო ქალაქი, რომელთა გამოც მთელ მსოფლიოს შურდა, მაგრამ ახლა მრავალი მათგანი კრიმინალურ ნარკობუნაგს დაემსგავსა. სიტუაცია იმდენად საშინელია, რომ დეტროიტში ათასი სახლი მიწასთან გაასწორეს, ქალაქისათვის უსაფრთხოების დაბრუნების მიზნით. კიდევ ათას მიტოვებულ სახლს იგივე ელის.

ბანდიტიზმი

მთელ ამერიკაში ადგილობრივ თემებს ბანდები აკონტროლებენ. გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემების მიხედვით, **ახლა ამერიკაში 1 400 000 ადამიანი განგსტერული ბანდის წევრია. მხოლოდ 2009 წელს ეს მაჩვენებელი 40%-ით გაიზარდა. ახლა ჩიკაგოში 100 ათას ბანდიტზე სამართალდამცავი ორგანოების მხოლოდ 200 ოფიცერი მოდის. ასე რომ, მდგომარეობა შეიძლება ნებისმიერ წუთს აღარ დაექვემდებაროს კონტროლს.**

ომი

ახლა აშშ სულ უფრო მეტ ომებსა და კონფლიქტებში ეფლობა, რომლებიც, როგორც ჩანს, არასდროს დასრულდება. ავღანეთში ომი უკვე მეორე მსოფლიო ომზე ბევრად ხანგრძლივი დროის მანძილზე გაიჭიმა და მას დასასრული არც უჩანს. ამასთან, ობამა ამერიკელ სამხედროებს კონფლიქტებში მონაწილეობის მისაღებად აგზავ-



ნის სომალიში, იემენში, პაკისტანსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. **იემენში მხოლოდ 2012 წელს 23 დარტყმის შედეგად 155 ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ამ მონაცემებს ვერ ნახავთ აშშ-ის სამხედრო მოქმედებების შესახებ თეთრი სახლის ანგარიშში კონგრესისადმი. ამ მოხსენებებში მხოლოდ ის წერია, რომ აშშ პირდაპირ მოქმედებს იემენში „ალ ქაიდას“ ლიდერების წინააღმდეგ.**

გამოქვეყნებულ ანგარიშში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველად აღიარა, რომ იემენსა და მეზობელ სომალიში ოპერაციებს ახორციელებს, არადა, ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც ინტერნეტთან წვდომა აქვს, ამის შესახებ რამდენიმე წლის წინაც გიამბობდათ. თუმცა ანგარიშში არავინ ამბობს, რომ ამერიკა ჩრდილოვან ომს აწარმოებს ამ რეგიონში. ომის შესახებ 1973 წლის რეზოლუცია პრეზიდენტისგან მოითხოვს, აცნობოს კონგრესს ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ, რომელშიც ამერიკა მონაწილეობს. ზემოხსენებულ ანგარიშში კი არა მხოლოდ იემენი, პაკისტანიც კი არაა მოხსენიებული შეიარაღებული კონფლიქტების კატეგორიაში. არადა, თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ იქ ამერიკა „ომობს“. სირიასა და ირანზე საუბარიც აღარ ღირს.

განგაშის ეპიდემია

ამერიკელები ახლა გაცილებით უფრო უბედურები და შეშფოთებულები არიან, ვიდრე ოდესმე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლოდროინდელი კვლევის შედეგების თანახმად, ამერიკელების 31% რაღაცაზე ნერვიულობს და ეს მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი და პრობლემური ქვეყნების მოსახლეობებს გაცილებით მეტი პრობლემები და სადარდებელი უნდა ჰქონდეთ. ამერიკელებს კი სიცოცხლისათვის საბაზო მოთხოვნილებების პრობლემები არ აქვთ და შესაბამისად ნაკლებად უნდა ნერვიულობდნენ. უფრო მეტიც, განვითარებადი მსოფლიოს ნაკლებად მონერვიულე ადამიანები ხვდებიან თუ არა აშშ-ში, მათი მღელვარების დონეც ამერიკელების დონემდე იზრდება.

ჭარბწონიანობის ეპიდემია

ამ მხრივაც ამერიკა მსოფლიოში პირველ ადგილზეა. თუ 1962 წელს მოსახლეობის 13% ითვლებოდა ჭარბწონიანად, ახლა ეს მაჩვენებელი 36%-ს უტოლდება. ამერიკელებს ახლა უფრო მეტად აწუხებთ სიმსუქნის პრობლემა, ვიდრე ოდესმე, მიუხედავად ამისა, ამერიკა განუხრელად სუქდება.

ბავშვებისადმი სისასტიკის ეპიდემია

ამერიკელები ბავშვებს ძალიან ცუდად ექცევიან. ყოველწლიურად ამგვარი ქცევის მაჩვნებელი დაახლოებით 3 მილიონ შემთხვევას ითვლის. და ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიოში ყველაზე მეტი ბავშვი კვდება მათდამი სასტიკი დამოკიდებულების შედეგად.

ნარკომანიის ეპიდემია

ამერიკაში უფრო მეტი ნარკომანია პროცენტულად, ვიდრე სხვა რომელიმე განვითარებულ სამრეწველო ქვეყანაში. ამერიკელები ცხოვრებისეულ ტკივილს ამ გზით გაურბიან. ახლა ამერიკაში ნარკოტიკების უკანონოდ გა-

© „ღამისფრთიანი“

მოყენების მსოფლიოში ყველაზე მაღალი დონეა. ასევე ამერიკაში ყველაზე მეტი ადამიანია რეცეპტებით გამოწერილ წამლებზე დამოკიდებული.

მოზარდთა ორსულობის ეპიდემია

ამერიკელ ბავშვებს ახასიათებთ ტენდენცია, სექსუალურად ძალზე აქტიურნი იყვნენ მოზარდობის პერიოდში. გამაოგნებელია, მაგრამ ამერიკაში მსოფლიოში ყველაზე მაღალია მოზარდთა ორსულობის მაჩვენებელი. სექსუალური აქტივობა ხელს უწყობს მოზარდებს შორის დაავადებათა გავრცელებას. ერთ-ერთი კვლევის შედეგების თანახმად, ამერიკაში ყოველი 14 გოგოდან ერთი დაავადებულია სულ მცირე ერთი ვენერიული დაავადებით.

განქორწინების ეპიდემია

ჩვენ მოგვწონს ფილმებისა და სერიალების გადაღება ოჯახებზე, მაგრამ ამერიკაში რეალურად ოჯახის სტრუქტურა ძალიან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ნადგურდებოდა. ახლა ამერიკა განქორწინებების მხრივ მსოფლიოში ლიდერია.

16-ტრილიონიანი ვალი

ახლა აშშ-ის სახელმწიფო ვალი შეადგენს 15,884,155, 929,632.05 დოლარს. მალე 16-ტრილიონიან ნიშნულს გადავაბიჯებთ. ეს ყველაზე დიდი ვალია მსოფლიო ისტორიაში და ის, რომ ჩვენ ამ ვალის მომავალი თაობებისთვის გადაცემას ვაპირებთ, თავად მცნება „დანაშაულის“ საზღვრებსაც კი სცდება. ჩვენმა სიხარბემ დაუნგრია ცხოვრება ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს და ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ მილიონების სესხებას, რადგან საკუთარი თავის შველა არ შეგვიძლია.

პოლიტიკური კოშმარი

ყველა ამ საშინელების სათავეში დგას ამერიკაში ლიდერების არარსებობა. ჩვენი უკანასკნელი ოთხი პრეზიდენტი იყო ოთხი ყველაზე უარესი პრეზიდენტი ამერი-

კის ისტორიაში, 2012 წელს კი საარჩევნო ურნებთან წარმოუდგენლად მძიმე არჩევანის წინაშე დავდგებით. ნუთუ ბარაკ ობამა საუკეთესოა, რისი შემოთავაზებაც დემოკრატებს შეუძლიათ? ამერიკელმა ხალხმა აირჩია არაკომპეტენტური თაღლითი უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე. მისი ყველა გადაწყვეტილება მცდარია და ყველაფერი, რისი გაკეთებაც სცადა, წარუმატებლობით დასრულდა.

მიტ რომნი საუკეთესოა, რისი შემოთავაზებაც რესპუბლიკელებს შეუძლიათ? ახლა რესპუბლიკელების ყველაზე გაყიდვადი ლოზუნგია „კიდევ ოთხი წლის მანძილზე ობამას ისევ ეს ჯობია“. ამ არჩევნებში ამერიკელები ხმას მისცემენ ან ამერიკის ისტორიაში ყველაზე ცუდ პრეზიდენტს, ან სხვას, ვინც აუცილებლად გახდება ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი პრეზიდენტი.

ასე რომ, ამერიკა განაგრძობს ნგრევას. მას ახლა გარანტირებულად ჰყავს ყველაზე საშინელი ლიდერი თეთრ სახლში. შესაძლოა, ჩვენ მართლაც დაწყევლილები ვართ...

კალიფორნიული ცარცის წრე

თუ კალიფორნიულ კანონპროექტს მოიწონებენ, ჰომოსექსუალური წყვილების შვილების კანონიერი მშობლები იქნებიან როგორც თავად ეს წყვილი, ასევე ბავშვის ბიოლოგიური მშობლებიც.

ჰომოსექსუალური წყვილებისა და იმ ოჯახებისთვის ცხოვრების გასამარტივებლად, რომელთაც წინა ქორწინებებიდანაც ჰყავთ შვილები, ამერიკელებმა დაწერეს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ბავშვს უფლება აქვს, სამიდან ოთხამდე მშობელი ჰყავდეს.

არატრადიციული ორიენტაციის ორი ქალიდან, რომელთაც შვილი ეყოლათ ერთ-ერთის მეგობარი მამაკაცის წყალობით, ჩხუბის შემდეგ ერთი ციხეში აღმოჩნდა, მეორე — საავადმყოფოში. მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიურ მამას თავის შვილთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მართლმსაჯულებამ მას გოგონას მეურვეობაზე უარი განუცხადა და მიზეზად ის დაასახელა, რომ მამაკაცი ბავშვის კანონიერი მშობელი არ იყო. ბავშვი გააშვილეს და კალიფორნიელ დემოკრატ სენატორს, მარკ ლენოსაც, სწორედ ამ შემთხვევამ უკარნახა იმ კანონპროექტის ში-

ნაარსი, რომლის თანახმადაც ბავშვს სამი ან სულაც ოთხი კანონიერი მშობლის ყოლის უფლება მიენიჭება.

კანონის ტექსტში ხაზგასმულია, რომ მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია გადაწყვიტოს, ეყოლება თუ არა ბავშვს მესამე ან მეოთხე დამატებითი მშობელი. სენატორის აზრით, საუბარია თანამედროვე „მრავალგვარი ოჯახის“ აღიარებაზე და ბავშვთა უფლებების დაცვაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონპროექტამდე არც ამერიკაში და არც სხვაგან არ უმოქმედია კანონს, რომლის თანახმადაც ბავშვს შეიძლება ერთი დედისა და ერთი მამის გარდა სხვა დამატებითი კანონიერი მშობლებიც ჰყავდეს.

კალიფორნიაში ძალიან აწუხებთ მშობლების სიმცირე და იმდენად სურთ, მათი რაოდენობა თითო ბავშვზე, ოთხამდე თუ არა, სამამდე მაინც გაზარდონ, რომ ბებიები და ბაბუები ასევე შეიძლება შვილიშვილების კანონიერ მშობლებად გადაიქცნენ, შესაბამისად, ბავშვები და მათი ბიოლოგიური დედები ან მამები კანონიერი და-ძმებიც იქნებიან.

რესპუბლიკელი სენატორები აღშფოთებას ვერ ფარავენ და აცხადებენ, რომ ასე შეიძლება ერთ ბავშვს მალე ექვსი, რვა ან თორმეტი კანონიერი მშობელიც ეყოლოს, რაც ოჯახის ფუნდამენტურ ბუნებაზე დაუნდობელი თავდასხმაა — ბავშვს მხოლოდ ერთადერთი დედა და ერთადერთი მამა შეიძლება ჰყავდეს.

მიუხედავად ამისა და იურისტების შეშფოთებისა, სენატმა მრავალმშობლიანობის კანონპროექტი მოიწონა და მას რამდენიმე კვირაში კონგრესი განიხილავს.

© „ღონისძიების ობიექტი“

პოლ კრეიგ რობერტსი: დასავლური შეტევა საერთაშორისო სამართალზე

ახალი ფილმი წესების დაცვის შესახებ, რომელსაც „წესების დაცვა, ანუ მორჩილება“ („Compliance“) ეწოდება, აანალიზებს ადამიანების მისწრაფებას, დაემორჩილონ ხელისუფლებას. ისეთი ლიბერალური ინსტიტუტები, როგორიცაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, უნივერსიტეტები, ფედერალური სასამართლოები და ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, რომლებიც ტრადიციულად აკავებდნენ ხოლმე ხელისუფლებისადმი ბრმა მორჩილებას, ახლა ხელისუფლების მხარეს არიან. ამ ინსტიტუტების მოშლამ ისინი ხელისუფლების შემაკავებლებიდან მის მსახურებად გარდაქმნა. შედეგად შეიცვალა კულტურა, რომლის დროსაც კანონის უზენაესობა შეიცვალა პროპაგანდის მიერ ზურგგამაგრებულ ხელისუფლებაზე დაყრდნობილი არავის წინაშე ანგარიშვალდებული უფლებამოსილებებით.

პროპაგანდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელისუფლებისადმი ნდობის საქმეში. „Pussy Riot“-თან დაკავშირებული სიტუაცია ცხადყოფს, თუ რამდენად ძლიერია ვაშინგტონის პროპაგანდა თვით რუსეთშიც და თუ როგორ დაიმორჩილა მან მთელი რიგი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის „Human Rights Watch“, „Chatham House“ და „Amnesty International“.

დასავლური მასმედია „Pussy Riot“-ს პანკ-როკ ჯგუფს უწოდებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არის ჯგუფი სახელწოდებით ომი, რომელიც იყენებს გაუფრთხილებელ სკანდალურ გამოსვლებს, ისეთებს, როგორსაც ადგილი ჰქონდა ქრისტე მხსნელის ტაძარში, მუზეუმში და სხვაგან.

ტაძარში სამი შემსრულებელი გოგონა დააკავეს, გა-

ასამართლეს და ორი წლით ციხეში გაამწესეს. „Human Rights Watch"-ისა და „Chatham House"-ის წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, რომ ეს, პრინციპში, იყო საქმე სიტყვის თავისუფლების შესახებ და გოგონები პოლიტიკურ პატიმრებად იქცნენ რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, მისამართით გამოთქმული კრიტიკის გამო.

არადა, ეს არაგულწრფელი განცხადება იყო. ტაძარში აქციის დროს პუტინი საერთოდ არავის უხსენებია. პუტინის შესახებ ყველაფერი გაჩნდა მხოლოდ მოვლენის შემდგომ გავრცელებულ ვიდეოში და იმ მიზნით, რომ დანაშაულს პოლიტიკური პროტესტის სახე მისცემოდა.

უფლებადამცველი ორგანიზაციები იმასაც ირწმუნებოდნენ, რომ გოგონებს ასეთი განაჩენის მიღება მხოლოდ პუტინის რუსეთში შეეძლოთ. სინამდვილეში კი ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ანალოგიური კანონები მოქმედებს და მთელი რიგი ევროპელი დამნაშავეებისა ასეთივე დანაშაულისათვის გაცილებით უფრო მკაცრად დაისაჯნენ. მაგალითად, გერმანიაში „Pussy Riot"-ის მხარდამჭერებმა ანალოგიური აქციით მოინდომეს თანაგრძნობის გამოხატვა და ისინიც დააკავეს.

როგორც ჩანს, უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები თვლიან, რომ პუტინმა დემოკრატიულობის გამოცდა ვერ ჩააბარა, რაკი გამოძიების შეჩერება ვერ შეძლო. მაგრამ ქვეყანაში ან არის კანონის უზენაესობა, ან — არა. თუ პუტინი კანონზე მაღლა იდგება, ესე იგი თავად პუტინია კანონი.

მიაშველა თუ არა ხელი აშშ-მა „Pussy Riot"-ის საქმეს იმ რუსული ოპოზიციური ჯგუფების საშუალებით, რომლებსაც თავად აფინანსებს, შესაძლოა ვინმესთვის სადავო იყოს, მაგრამ უდავოა, რომ ჰილარი კლინტონმა (Hitlery Clinton) დაუყოვნებლივ გამოიყენა პროპაგანდისტური განცხადების საშუალება და განაცხადა, რომ რუსეთში სიტყვის თავისუფლება საფრთხის წინაშე დგას.

სინამდვილეში **ვაშინგტონმა გამოიყენა „Pussy Riot"-თან დაკავშირებული სიტუაცია იმისათვის, რომ სამაგი-**

ერო გადაეხადა სირიის განადგურების მოწინააღმდეგე რუსეთისთვის. არავინ ამახვილებს ყურადღებას იურიდიულ პრობლემაზე, კერძოდ, რუსეთის შიდა საქმეებში ვაშინგტონის ჩარევაზე. უფლებადამცველი ორგანიზაციების ძალიან მჭიდრო კავშირი ვაშინგტონურ პროპაგანდასთან აზარალებს ადამიანთა უფლებების დაცვის საქმისადმი ნდობას. თუ ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციები ვაშინგტონის პროპაგანდას ექვემდებარებიან, მათი მორალური ავტორიტეტი გაცამტვერებულია.

XVIII-XIX საუკუნეების ბრიტანული კოლონიალური ბატონობითა და XX საუკუნეში ამერიკის სიძლიერით განპირობებული ინგლისური ენის გავრცელება მთელ მსოფლიოში ამარტივებს ვაშინგტონისთვის განმარტებების კონტროლის საშუალებებს. სხვა ენები კონკურენციისთვის მოისუსტებს.

ვაშინგტონი ასევე ფლობს უპირატესობას ცივ ომში მის როლთან დაკავშირებით. საბჭოთა იმპერიაში შემავალი ხალხები და თვით არაერთი რუსიც კი ამ დრომდეც ხედავს მასში თეთრ რაშზე ამხედრებულ რაინდს. ვაშინგტონმა ეს უპირატესობა გამოიყენა „ფერადი რევოლუციების“ დასაფინანსებლად და ზოგიერთი ქვეყანა რუსეთის გავლენის სფეროებიდან ვაშინგტონის გავლენის სფეროში გადაანაცვლა.

ტონი კარტალუჩი ასკვნის, რომ „Amnesty International“-ი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პროპაგანდაა და სხვა არაფერი. იგი აღნიშნავს, რომ ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი სიუზან ნოსელი სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელია და „ადამიანის უფლებების დაცვას“ აშშ-ის გლობალურ ჰეგემონიასთან აერთიანებს.

ამნისტია ნამდვილად ძალიან ჰგავს ვაშინგტონის პროპაგანდისტულ გამაძლიერებელს. მისი უკანასკნელი წერილი წევრების მიმართ შემდეგნაირად ჟღერს: **„ახლახან დასრულებული სასამართლო პროცესი და „Pussy Riot“-ის მიმართ გამოტანილი განაჩენი უკვე ისედაც იქცა საყოველთაო სირცხვილად, მაგრამ ახლა რუსეთის პოლი-**

ცია ჯგუფის სხვა წევრებზე ნადირობს. დარწმუნებული იყავით, რუსეთის ხელისუფლება შეუწყნარებელია. რამდენად შორს არის წამსვლელი რუსეთის ხელისუფლება, რათა სხვაგვარად მოაზროვნეთა ხმები ჩაახშოს? უთხარით რუსეთის ხელისუფლებას, რომ შეწყვიტოს „Pussy Riot"-ის წევრებზე ნადირობა".

ამნისტიის ელექტრონულ გზავნილს ჰქვია **„მსოფლიოს გამოღვიძება".** ეს არის აბსოლუტურად ცალმხრივი დოკუმენტი, რომელიც სირიაში მთელ ძალადობაზე პასუხისმგებლობას მხოლოდ ხელისუფლებას აკისრებს და არა „ალ ქაიდას" ან სხვა გარეშე დაჯგუფებებს, რომელთაც ვაშინგტონი ამარაგებს იარაღით და გზავნის სირიელ ხალხზე შეტევისათვის. **ამნისტიას მხოლოდ ის აინტერესებს, რაც სირიის ამჟამინდელ ხელისუფლებას დამნაშავედ წარმოაჩენს საზოგადოების თვალში. „ჩვენ ვცდილობთ, ეს მომაკვდინებელი კადრები მთელი მსოფლიოს ჟურნალისტების ხელში მოხვდეს. მხარი დაუჭირეთ ჩვენს მუშაობას და გააკეთეთ ისე, რომ ჩვენი ვიდეო ყველაზე გავლენიანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების თვალს მოხვდეს".**

უკიდურეს შემთხვევაში, „Pussy Riot"-ს სასამართლო მაინც ჰქონდა და ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე აშშ-ის საზღვაო ქვეითთა ვეტერან ბრენდ რაუბს ხვდა წილად. რაუბმა სოციალურ ქსელში დაწერა საკუთარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ პაიკად იქცა და ვაშინგტონის უკანონო გეგმებს ასრულებდა. ადგილობრივი პოლიცია, გამოძიების ფედერალური ბიურო და სპეცსამსახურები თავს დაესხნენ მის სახლს, გამოათრიეს გარეთ და სოციალური აგენტის ნებართვის საფუძველზე დაკვირვებისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით რაიმე პროტესტი არ გამოუხატავს „Human Rights Watch"-ს, „Chatham House"-ს ან „Amnesty International"-ს. ამის ნაცვლად ვირჯინიის შტატის საოლქო სასამართლოს მოსამართლე ალან შარეტმა საბრალო რაუბის დაუყოვნებლივ გათავისუფლე-

ბა მოითხოვა, რადგანაც, მისი აზრით, ეს იყო დანაშაული მხოლოდ სიტყვის თავისუფლების გამოყენებისთვის.

ამერიკელებს სულ უფრო ხშირად სჯიან სიტყვის თავისუფლების უფლებით სარგებლობისთვის. ინტერნეტი სავსეა ვიდეორგოლებით, რომლებიც „დაიკავე უოლსტრიტის“ მონაწილეების მიმართ პოლიციის ძალადობრივ ქმედებებს ასახავს. ამ რგოლებში ჩანს, თუ როგორ სცემენ ქალებს პოლიციელების ფორმებში გამოწყობილი გესტაპოელები, როგორ აფრქვევენ ცრემლსადენ გაზს, იქნევენ ხელკეტებს და როგორ მიათრევენ გონების დაკარგვამდე ნაცემ, ხელებზე ბორკილებდადებულ ამერიკელებს პოლიციის განყოფილებებში მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი აბსოლუტურად მშვიდობიანად სარგებლობენ თავიანთი კონსტიტუციით დაცული და გარანტირებული უფლებით.

„Pussy Riot“-თან დაკავშირებული სიტუაციის გამო უფრო მეტი პროტესტი იქნა გამოხატული, ვიდრე ბრედლი მენინგის უკანონი დაპატიმრებისა და წამებების გამო ან ბრიტანეთის სახელმწიფოს მუქარის გამო, შეჭრილიყო ეკვადორის საელჩოში და ძალით გამოეთრია იქიდან „ვიკილიქსის“ დამაარსებელი ჯულიან ასანჟი.

როდესაც ჩინელმა დისიდენტმა ითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი ჩინეთში, აშშ-ის საელჩოში, ჩინეთის ხელისუფლებამ საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტის წინაშე უკან დაიხია და დისიდენტს აშშ-ში უსაფრთხოდ გამგზავრების საშუალება მისცა. მაგრამ თავისუფლებისა და დემოკრატიის აკვანი, დიდი ბრიტანეთი, უარს ეუბნება ასანჟს გადაადგილების თავისუფლებაზე და ამასთან დაკავშირებით ქალბატონი კლინტონისგან პროტესტები რატომღაც არ გვესმის.

სტატიაში „ჩინეთის აღორძინება და ამერიკის დამხობა“ რონ უნზი ასახელებს დამაჯერებელ არგუმენტებს იმის დასამტკიცებლად, რომ ჩინეთის ხელისუფლება ამჟღავნებს გაცილებით მეტ პატივისცემას კანონის უზენაესობის მიმართ და ბევრად უფრო ანგარიშვალდებულია საკუთარი ხალხის მიმართ, ვიდრე ვაშინგტონი. **დღეს რუსეთი და ჩინეთი, და არა ბრიტანეთი და ევრო-**

პა, ესვრიან გამოწვევას ვაშინგტონის მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ აშშ-ის ხელისუფლება საერთაშორისო სამართალზე მაღლა დგას და შეუძლია ჩამოაგდონ ხელისუფლებები, რომლებიც თვალში არ მოსდით.

უკანონობა, რომელიც დღეს ახასიათებს აშშ-ისა და ბრიტანეთის ხელისუფლებებს, დიდ საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევისთვის — კანონის უზენაესობისთვის, რომლისთვისაც ბრიტანელები IX საუკუნიდან, მეფე ალფრედ დიდის დროიდან, XVII საუკუნის სახელოვან რევოლუციამდე იბრძოდნენ.

© „ადამიანური ფაქტორი“

აშშ-ის ელჩი სირიაში სიკვდილის ესკადრონებს ქმნიდა



სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ელჩი სირიაში — РОБЕРТ ФОРДИ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა, საბრძოლო მოქმედებისთვის მზადმყოფი სირიის სამხედრო და პოლიციური ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად ავღანეთში, ერაყში, იემენსა და ჩადში განლაგებულ „ალ ქაიდას“ ფილიალებში არაბული „სიკვდილის ესკადრონებისთვის“ კადრების გადაბირებით იყო დაკავებული. ფორდი 2004-დან 2006 წლამდე ბაღდადში აშშ-ის საელჩოს პოლიტიკის მრჩეველი იყო იქ ჯონ ჰეგროპონტეს ელჩობისას. ეს უკანასკნელი 1981-1985 წლებში აშშ-ის ელჩი გახლდათ ჰონდურასში და საკვანძო ფიგურას წარმოადგენდა აშშ-ის საიდუმლო პროგრამაში, რომელიც ნიკარაგუელთა შეიარაღებას ეხებოდა. ამ ბინძური, ნახევრადგასამხედროებული ფორმირებების მხარდაჭერის წყალობით, ნეგროპონტეს მეტსახელად „მისტერ სიკვდილის ესკადრონი“ შეარქვეს.

ნეგროპონტემ ფორდს ერაყში „სალვადორული ვარიანტის“ რეალიზება დაავალა, რაც გულისხმობდა ერაყელი ჯაშუშებისა და ქურთთა არალეგალური გასამხედროებული ფორმირებების გამოყენებას ადამიანების მკვლელო-

ბებისა და გატაცებებისთვის, ერაყსა და სირიის საზღვარზე ამბოხებულთა ლიდერების წამებისთვის. ოპერაციას 1981 წელს ცენტრალურ ამერიკაში „მოღვაწე“ ნეგროპონტეს სიკვდილის ესკადრონების საპატივცემულოდ ეწოდა სახელი.

ფორდი გახდა მთავარი ფიგურა, რომელსაც სირიის პრეზიდენტის — ბაშარ ასადის მიმართ ლოიალური უშიშროების ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად ახლო აღმოსავლეთსა და მის ფარგლებს გარეთ არაბები და მუსლიმანები უნდა დაექირავებინა. **აშშ-ის მხარდაჭერით, ტერორისტები არა მხოლოდ თავს ესხმიან სირიის უშიშროების ძალებს, არამედ თავად ხოცავენ სამოქალაქეო პირებს, რათა შემდეგ ეს მკვლელობები სირიის ხელისუფლების არმიას დააბრალონ. როგორც გაირკვა, ფორდის ოპერაციები სირიაში ისრაელის მოსადის მხარდაჭერით ხორციელდება.**

იგივე „სალვადორული ვარიანტი“ გამოყენებულ იქნა ლიბიაშიც, სადაც ერაყელი, ავღანელი და იემენელი დაქირავებულებისგან შემდგარმა არარეგულარულმა ფორმირებებმა დახოცეს მშვიდობიანი მოსახლეობა, განსაკუთრებით შავკანიანები მხოლოდ იმისთვის, რომ შემდგომ ამაში ლიბიის ხელისუფლების არმია დაედანაშაულებინათ. რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქის სიკვდილში დადანაშაულებულ იქნენ კადაფის მომხრეები, მაგრამ სინამდვილეში ცნობილია, რომ ეს მკვლელობები ცსს-სა და მი-6-ისგან მომართულმა და მეამბოხეთა რიგებში გაბნეულმა „ალ ქაიდას“ წევრებმა ჩაიდინეს. ფორდი ლიბიელ ამბოხებულებს სიკვდილის ესკადრონების შეტევების განხორციელების საქმეში კონსულტაციებს უწევდა.

2006-დან 2008 წლამდე ფორდი ალჟირში მუშაობდა ელჩად. ეს ის ქვეყანაა, რომელიც ლიბიელი ამბოხებულების წინააღმდეგ გამოდის და რომელიც აღდგენილი „ალ ქაიდას“ ტერორისტული შეტევების მსხვერპლი გახდა. როგორც ჩანს, ალჟირი დომინოს მომდევნო ქვად განიხილება, აშშ ხომ ჩრდილოეთ აფრიკაზე ტოტალური სამხედრო-პოლიტიკური ჰეგემონიის დამყარებისკენ ისწრაფვის.

© „ღვანლმსცემელი ათენისა“

როგორც ცნობილი გახდა, ლიბიის გარდამავალმა ნაციონალურმა საბჭომ აშშ-ს ნება დართო, ლიბიაში მუდმივი სამხედრო ბაზები განათავსოს. ბაზების განთავსება იგეგმება ალჟირის საზღვართანაც. მეამბოხეები ასევე შეთანხმდნენ, რომ გარდამავალი ნაციონალური საბჭოს ნატოსა და გაეროსთან ურთიერთობაში მთავარი პოლიტიკური ძალა ამერიკელები იქნებიან. ასე რომ, ყველაფერი ერაყის დროებითი კოალიციური ადმინისტრაციის სცენარის მიხედვით კეთდება.

ვაშინგტონმა მოკავშირეებს «გაუჩალიჩა»...

აბუ-გრეიბის ციხეში

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის — თომას ჰამერბერგის თქმით, ცსს-მ საზღვარგარეთ, კერძოდ კი ევროპაში, შექმნა საიდუმლო ციხეების ქსელი, სადაც დაკავებულებს აწამებდნენ

ვაშინგტონის მოკავშირეებისთვის გადაჭარბებული მოკავშირეობა, შესაძლოა, სასამართლო პროცესით დასრულდეს. ასეთი სევდიანი დასასრული ელის აშშ-ის მოკავშირე იმ ევროპულ ქვეყნებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში ცსს-ს საიდუმლო ციხეების ქსელის ფუნქციონირებაში მონაწილეობდნენ. ამ ციხეებში ამერიკელებს გამომწყვდეული ჰყავდათ „ტერორისტები“ და აწამებდნენ. ახლა ამ წამებათა მსხვერპლნი სტრასბურგის სასამართლოში აპირებენ სარჩელის შეტანას და აშშ-ის სატელიტებს სწორედ ამ სასამართლოს განაჩენი ელით.

თავად აშშ ამ წყლიდანაც მშრალი გამოვა, რადგან ამერიკა არ შედის ევროპული სასამართლოს იურისდიქცია-

ში. ამერიკა მშვენივრად მოეწყო — ევროპაში თავის ინტერესებს ძალზე მკაცრად ატარებს, მაგრამ ამავე ევროპაში მას პასუხისგებაში ვერ მისცემენ.

გადამეტებული მოკავშირეობის პირველი მსხვერპლის პერსპექტივა ლიტვას აქვს. რამდენიმე დღის წინ ვილნიუსის ცენტრში საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ AMNESTY INTERNATIONAL-მა ჩაატარა აქცია სახელწოდებით „ჭეშმარიტებამ უნდა იზეიმოს: მოითხოვეთ ლიტვისგან საიდუმლო ციხეების საქმის გამოძიება“.

ლიტვის მთავრობის სასახლის წინ დაიდგა რკინის გალია, რომელშიც რამდენიმე ადამიანი იჯდა და პატიმრებს განასახიერებდა. მათგან ზოგიერთს თვალები ჰქონდა ახვეული. აქვე შეიძლებოდა მთელი ინფორმაციის მიღება ლიტვაში ცსს-ს საიდუმლო ციხეებთან დაკავშირებული სკანდალის ირგვლივ. აქციის შემდეგ ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე კი Amnesty International-მა ლიტვის ტერიტორიაზე მდებარე ცსს-ს საიდუმლო ციხეების შესახებ ახალი ფაქტები გამოაქვეყნა და გამოძიების დაუყოვნებლივ განახლება მოითხოვა.

2009 წლის 21 აგვისტოს ლიტვაში წარმოიშვა სკანდალი ამერიკულ მასმედიაში გავრცელებული იმ ინფორმაციის გამო, რომლის თანახმადაც 2005 წელს ვილნიუსის მახლობლად ცსს-ს საიდუმლო ციხე ფუნქციონირებდა და მასში ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ რვა ბოევიკი იყო გამომწყვდეული. ამერიკული მასმედია ინფორმაციას ცსს-ს ყოფილი თანამშრომლის ანონიმურ განცხადებაზე და ცსს-ს თვითმფრინავების ლიტვაში ფრენაზე დაყრდნობით ავრცელებდა. მაშინ **ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამგვარი ციხის არსებობა უარყო, მაგრამ მოგვიანებით ლიტვის პარლამენტში ამ საქმის გამოძიების კომისია შეიქმნა, რომელმაც დაადასტურა, რომ ქვეყანაში არსებობდა ორი საიდუმლო ცენტრი, რომელთა არსებობის შესახებაც მხოლოდ ლიტვის სახელმწიფო უშიშროების რამდენიმე მაღალჩინოსანმა იცოდა.** ცენტრებში ტერორისტები ჰყავდათ თუ არა, ვერ გაირკვა, მაგრამ ცსს-ს ლიტვაში მოღვაწეობის დადასტუ-

რებამ საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია, რასაც მთელი რიგი გადადგომები მოჰყვა.

2010 წლის იანვრის დასასრულს საქართველოში მუშაობა შეწყვიტა ლიტვის ელჩმა მეჩის ლაურინკუსმა, რომელიც 2009 წელს სათავეში ედგა ლიტვის სახელმწიფო უშიშროებას; ნებაყოფლობით დატოვა თანამდებობა სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის უკანასკნელმა ხელმძღვანელმა პოვილას მალაკაუსკასმა. ლიტვის იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიგაუდას უშაცკასი მას შემდეგ გადადგა, რაც სახალხოდ დაეჭვდა პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაუტეს გამონათქვამებში. პრეზიდენტი დაჟინებით მოითხოვდა ამ ისტორიის გამოძიებას.

ლიტვის ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი აუდრინიუს აჟუბალისი დანიშვნამდე ორი თვით ადრე ასევე აკრიტიკებდა პრეზიდენტს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ლიტვის ტერიტორიაზე ცსს-ს საიდუმლო ციხის არსებობას არ გამორიცხავდა და გუანტანამოს ციხიდან ამერიკის პატიმრების გადმოყვანაზე უარი განაცხადა. 2009-ში კი, საერთაშორისო საქმეთა პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეობისას, აჟუბალისი ცსს-ს ციხეებთან დაკავშირებულ საკითხებს აშშ-ის ელჩთან — ენ-ელისაბედ დერსისთან განიხილავდა. ამ შეხვედრის თაობაზე დერსის ანგარიში, რომელიც მან სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა, ცოტა ხნის წინ საიტმა „ვიკილიკსმა“ გამოაქვეყნა.

„ა. აჟუბალისმა თქვა, რომ საგარეო საქმეთა კომიტეტმა პირველად ეს საკითხი ჩუმად განიხილა 2006 წელს,“ — წერს ანგარიშში დერსი. **„გაუაზრებელმა განცხადებებმა, შესაძლოა, ზიანი მოიტანოს,“** — ამბობდა აჟუბალისი დოკუმენტის თანახმად. საუბრის შესახებ ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ აჟუბალისი ბოდიშსაც კი იხდიდა ამერიკელი ელჩის წინაშე იმის გამო, რომ ლიტვამ უარი განაცხადა გუანტანამოს ციხიდან პატიმრების მიღებაზე.

და აი, ახლა Amnesty International-მა აღმოაჩინა 2002-2006 წლებში ცსს-ს საიდუმლო ციხეების ფუნქციონირე-

ბაში ლიტვის მონაწილეობის ახალი გარემოებები და ლიტვის ხელისუფლებისგან ამ საქმის გამოძიების გაგრძელება მოითხოვა.

Amnesty International-ის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში საუბარია ლიტვის მონაწილეობაზე დაკავებულთა გადაგზავნის საქმეში და მოცემულია ახალი უმნიშვნელოვანესი მიმართულებები გამოძიებისთვის, რომლებიც, ორგანიზაციის აზრით, აუცილებლად უნდა დამუშავდეს. კერძოდ, გამოძიებულ უნდა იქნეს გუანტანამოს ყოფილი პატიმრის — აბუ ზუბაიდუს მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ერთი პერიოდი ამერიკელები მას ლიტვის ტერიტორიაზე მდებარე ცსს-ს ციხეში ამყოფებდნენ. **AMNESTY INTERNATIONAL-Ი ასევე მოუწოდებს ლიტვის ხელისუფლებას, გამოიძიოს პოლონეთსა და რუმინეთთან კავშირები, სადაც, როგორც ირწმუნებიან, ასევე ფუნქციონირებს ცსს-ს საიდუმლო ციხეები.**

ლიტვის გენერალურმა პროკურორმა ლიტვის ტერიტორიაზე ცსს-ს საიდუმლო ციხეების შესახებ საქმე 2011 წლის იანვარში დახურა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის აუცილებლობის მოტივით. გამოძიების მიერ მოგროვილი ფაქტები არ გამოქვეყნებულა.

„ლიტვის ხელისუფლებას უფლება არ აქვს, „სახელმწიფო საიდუმლოების“ უკან დაიმალოს“ და ადამიანთა გაუჩინარებისა და წამების თაობაზე ხელი შეუშალოს გამოძიებას. ამ დრომდე სისხლის სამართლის პასუხისგებაში არავინ მიუციათ აშშ-ისთვის საიდუმლო ციხეების შენების ხელშეწყობის გამო და იმ დარღვევათა გამო, რაც ამ ციხეებში ხდებოდა,“ — განაცხადა ჯულია ჰოლმა, Amnesty International-ის ექსპერტმა ადამიანის უფლებათა საქმეში. **„ლიტვის ხელისუფლებამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება უნდა განაახლოს და უნდა გამოიძიოს აშშ-ის თანამდებობის პირთა ქმედებები და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები,“** — მიიჩნევს იგი.

2009 წლის დეკემბერში სეიმის მიერ გამოქვეყნებული საპარლამენტო გამოძიების შედეგების მიხედვით, ლიტ-

ვა არის პირველი ევროპის ქვეყნებს შორის, რომელმაც თავის ტერიტორიაზე ორი საიდუმლო ციხის არსებობა და თავისი თანამდებობის პირების ამერიკის სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობა აღიარა. **2001-2006 წლებში მოქმედი ამერიკული პროგრამის ფარგლებში დაკავებული და მესამე დონის ქვეყნების ციხეებში გადაგზავნილი იქნა მრავალი ეჭვმიტანილი. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით, იქ ამ ადამიანებს სცემდნენ და აწამებდნენ.**

„ხელისუფლება იგნორირებას უკეთებდა საკუთარ თავზე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, თანამდებობის პირები არღვევდნენ კანონს. შედეგად დაზარალდნენ ადამიანები: ეჭვმიტანილებს მშობლიური ქალაქების ქუჩებიდან აგზავნიდნენ ციხეებში, აწამებდნენ და ამ დროს მათმა ნათესავებმა არც კი იცოდნენ, რა ბედი ეწიათ მათ,“ — ამბობს ჯულია ჰოლი.

„მიუხედავად იმისა, რომ ლიტვა არის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც აღიარა საკუთარ ტერიტორიაზე ცსსს ციხეების მოწყობა, ის ევროპის იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც უარს აცხადებენ გამოძიების ჩატარებასა და თანამდებობის პირთა დასჯაზე,“ — დასძინა მან.

Amnesty International-მა ლიტვის ხელისუფლებას მოუწოდა, განსაკუთრებით გამოიძიოს მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ აბუ ზუბაიდუ დატყვევებული ჰყავდათ ლიტვაში, 2005 წლის თებერვალში მისი მაროკოდან ვილნიუსში გადაყვანის გარემოებების გათვალისწინებით; გამოიძიოს 2004 და 2005 წლებში ლიტვაში იმ საჰაერო ხომალდების დაშვება, რომლებიც, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა საიდუმლო ციხეების ამერიკულ პროგრამაში; ასევე — ლიტვასა და მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში საჰაერო ხომალდების დაშვებათა შორის კავშირები. თავად აბუ ზაბაიდუ ლიტვის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას.

ამ საქმის განხილვის მსხვერპლი, შესაძლოა, მხოლოდ ლიტვა არ იყოს. 2012 წლის სექტემბრის დასაწყის-

© „ადამიანის უფლებები“

ში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა თომას ჰამერბერგმა ლიტვას, პოლონეთსა და რუმინეთს მოუწოდა, გამოიძიონ მათი ქვეყნების მონაწილეობა აშშ-ის ცსს-ს საიდუმლო პროგრამაში ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკავების, გადაგზავნისა და დაკითხვის პროგრამაში. ჰამერბერგის თქმით, ცსს-მ საზღვარგარეთ, კერძოდ კი ევროპაში, შექმნა საიდუმლო ციხეების ქსელი, სადაც დაკავებულებს აწამებდნენ. პოლონეთის, რუმინეთისა და ლიტვის ხელისუფლებები კი შეეცადნენ, საზოგადოებისგან დაემალათ ყველაზე დისკრედიტირებადი ფაქტები.

როგორც კომისარმა აღნიშნა, აშშ-ის მაშინდელი ადმინისტრაციის მიერ სანქცირებული დაკითხვის მეთოდები შემთხვევათა უმრავლესობისას წარმოადგენდა წამებას და ეს განსაკუთრებით წყლით წამებას, ანუ დახრჩობის იმიტაციას ეხება.

პოლონეთმა უკვე განაცხადა, რომ დაიწყო აღნიშნულ ბრალდებათა გამოძიება. რუმინეთსა და ლიტვას კი ჰამერბერგის განცხადებებზე კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებიათ. ცხადია, დუმს აშშ-ც, რომელსაც ეს საქმე საერთოდ „არ ეხება“.

არშემდგარ სახელმწიფოთა საამქრო

ვაშინგტონი სახელგანთქმულია სამიზნეში მოხვედრილ სახელმწიფოებში შიდა ტერორიზმის ხელშეწყობის ნიჭით, შემდეგ კი ამავე სახელმწიფოების დადანაშაულებით იმის გამო, რისი შემკვეთიც თავადაა. ეს მეთოდი მას შესაძლებლობას აძლევს, მოამზადოს საფუძველი სამხედრო შეჭრისათვის და დაუსჯელად განახორციელოს ეს. კარგად დამუშავებული სქემაა, რომელსაც ამ ეტაპზე სირიაში იყენებენ.

ვიეტნამში ომის პერიოდში აშშ-ის ერთ-ერთი სამხედრო ბაზის შესასვლელში ეკიდა წარწერა: „Killing Is Our

Business, and Business Is Good“ („დახოცვა ჩვენი ბიზნესია, ბიზნესი კი კარგი რამაა“). და მართლაც, ვიეტნამში ეს ბიზნესი ყვაოდა (ისევე, როგორც კამბოჯაში, ლაოსში, კორეაში), იქ სამოქალაქო მოსახლეობაში დახოცილებს ათასობით ითვლიდნენ. სხვათა შორის, ყველაფერი თავის ადგილზე დარჩა ვიეტნამში ომის დასრულების შემდეგაც. მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა ყველა კონტინენტზე როგორც პირდაპირი გზით, ისე „ნდობით აღჭურვილი პირების“ საშუალებით. ეს ხდებოდა ყველგან, სადაც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის საჭირო გახდა ბაზებისა თუ გარნიზონების შექმნა, შეჭრის მომზადება, დაბომბვები თუ სისხლისმსმელი რეჟიმების დაფინანსება, ნამდვილი ტერორისტული ქსელების შექმნა და დაფინანსება, ტრანსნაციონალური პროგრამების მხარდაჭერა და ეს ყველაფერი კეთდებოდა ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ეგიდით.

არაჩვეულებრივ წიგნში, რომელიც ბრაზილიის საქმეებში ამერიკის ჩარევას ეხება, **იან კნიპერს ბლეკმა** დიდი ხნის წინ ასახა, თუ როგორ შეიძლება გაფართოვდეს ისედაც სასწაულებრივად გაწელილი მცნება „ნაციონალური უსაფრთხოება“ იმის მიხედვით, თუ რას მოიაზრებს მასში ესა თუ ის სახელმწიფო, სოციალური კლასი ან დაწესებულება. საქმე იმ დონემდე მივიდა, რომ დღეს სწორედ მათ, ვის უსაფრთხოებასაც უნდა უზრუნველყოფდეს მათი სიმდიდრე და ძლევამოსილება, ყველაზე ძლიერი პარანოია უვითარდება. თავიანთი შეუკავებელი მცდელობით, უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება, ისინი მხოლოდ უახლოვდებიან საკუთარ აღსასრულს (წიგნში საუბარია 1960-იან წლებში ბრაზილიაში სოციალური დემოკრატიის წარმოშობის რისკზე და მასთან ბრძოლაზე ამერიკელების მხრიდან კონტრრევოლუციის მხარდაჭერითა და სამხედრო დიქტატურის დამყარების ხელშეწყობით). დაუმატეთ ამას მეწარმეების მოთხოვნა, რომელიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთანაა დაკავშირებული და იმ მისიების ხელშეწყობასთან, რომლებიც თავდაცვაზე ხარჯების ზრდას ამართლებენ, ასევე მასმედიის

სრული თანამშრომლობა ამ ყველაფერთან და მიიღებთ კიდეც საზარელ რეალობას.

სინამდვილეში ზემოხსენებული გიგანტი, რომელსაც პარანოიკად მოაქვს თავი, მთელ ძალისხმევას იყენებს იმისათვის, რომ შექმნას ნამდვილთან რაც შეიძლება მიმსგავსებული საფრთხეები მას შემდეგ, რაც დაემხო „ბოროტების იმპერია“, რომლის შეკავებაზეც აცხადებდა პრეტენზიას ეს ქვეყანა. მადლობა ღმერთს, რამდენიმე ერთეული მცდელობის შემდეგ, ყურადღება ნარკოტერორიზმზე ორიენტირებული გაეხადათ, შემდეგ კი სადამ ჰუსეინის მასობრივი განადგურების იარაღზე, ისლამური ტერორიზმი პირდაპირ ციდან ჩამოვარდა, რათა ღირსეულ საფრთხედ ქცეულიყო. მოვლენათა ამგვარი განვითარება აბსოლუტურად ბუნებრივად ჯდება არაბული სამყაროს მტრულ განწყობაში ამერიკული თავისუფლებების მიმართ და მის უართან, მიეცა საშუალება ისრაელისთვის, ეწარმოებინა მშვიდობიანი მოლაპარაკებები და მშვიდობიანად დაერეგულირებინა პალესტინასთან უთანხმოება.

გარდა მასობრივი ჟლეტის ოპტიმიზაციისა და აქედან გამომდინარე იარაღით ვაჭრობისა, აშშ ამ გზით არშემდგარი სახელმწიფოების მეწარმედ იქცა. ტერმინში „არშემდგარი სახელმწიფო“ იგულისხმება სახელმწიფო, რომელიც გაისრისა სამხედრო ძალის ქვეშ ან უმართავი გახდა ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციის და მისი თანმდევი ქაოსის გამო, რის შედეგადაც პრაქტიკულად დაკარგა შესაძლებლობა, აღდგეს და თავისი მოქალაქეების ლეგიტიმური მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

რა თქმა უნდა, აშშ-ის ეს სამრეწველო სიმძლავრეები გუშინ არ შექმნილა, როგორც ჰაიტის, დომინიკანას რესპუბლიკის, სალვადორის, გვატემალისა და ინდოჩინეთის შტატების პრაქტიკა აჩვენებს, იქ მასობრივი ჟლეტა თავისუფლად მიმდინარეობდა. სხვათა შორის, სულ ახლახან საკუთარი თვალით ვიხილეთ არშემდგარი სახელმწიფოების წარმოების განახლება, რაც, მადლობა ღმერთს,

მრავალათასიანი მსხვერპლის გარეშე დასრულდა ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებში და აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. შემოსავლების კლება და სიკვდილიანობის ზრდა იქ შოკური თერაპიის და რესურსებისა და ეკონომიკის დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი საყოველთაო ნახევრადლეგალური ძარცვის პირდაპირ შედეგად იქცა.

არშემდგარი სახელმწიფოების მეორე კასკადი გახდა „ჰუმანიტარული ინტერვენციების“ და ნატოსა და აშშ-ის ხელმძღვანელობით ხელისუფლებების შეცვლის შედეგი. ეს უკანასკნელნი ძალზე აგრესიულნი გახდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც აღარ არსებობს ძალიან მძლავრი, თუნდაც ძალზე შეზღუდული „შემაკავებელი ძალა“.

ამ შემთხვევაში მაგალითად გამოდგება ჰუმანიტარული ინტერვენცია იუგოსლავიაში. ბოსნია, სერბეთი და კოსოვო არშემდგარ სახელმწიფოებად იქცნენ. ამ არეულობიდან ზოგიერთი ფეხზე ძლივს მდგომი გამოვიდა დასავლეთის მორჩილებით ან მისი მოწყალების მოლოდინით. პრემიის სახით კოსოვომ მიიღო ამერიკის მონუმენტური სამხედრო ბაზა იმის ნანგრევებზე, რაც ერთ დროს დამოუკიდებელი სოციალურ-დემოკრატიული სახელმწიფო იყო. იმპერიული ინტერვენციის ღირსებათა ამ მშვენიერმა დემონსტრირებამ გზა გაუხსნა არშემდგარი სახელმწიფოების წარმოების ახალ სერიას: ავღანეთი, პაკისტანი, სომალი, ერაყი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიბია და ახლა უკვე სირიაც. ამ რეგიონში კიდევ ერთი პროგრამა მუშაობს, რომლის სახელწოდება „ირანული საფრთხეა“ და მიმართულია შაჰის პროდასავლური დიქტატურის ბედნიერი ეპოქის დაბრუნებისკენ.

ეს დაპროგრამებული წარუმატებლობები, როგორც წესი, გაერთიანებულია იმპერიული პოლიტიკისა თუ იმპერიის ძლევამოსილების გავრცობის ნიშნებით. ეს არის თუნდაც გაჩენა და ლეგიტიმაცია (ან ოფიციალური აღიარება) იმ შეიარაღებული მეამბოხეებისა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან მსხვერპლად თავის წარმომჩენი ნაციონალური ნიშნით და საკუთარი ქვეყნის ხელისუფლე-

ბის წინააღმდეგ ახორციელებენ ტერორისტულ მოქმედებებს, ხანდახან გახსნილად ცდილობენ სახელისუფლო ძალების მხრიდან მკაცრი საპასუხო ზომების პროვოცირებას და მუდმივად უხმობენ იმპერიულ ძალებს, დაეხმარონ მათ. როგორც წესი, ქვეყანაში ამბოხებულების დასახმარებლად დაქირავებულ უცხოელებს გზავნიან. ადგილობრივი ამბოხებულები და დაქირავებულები იარაღს იღებენ, სწავლობენ და ლოჯისტიკურ დახმარებას იღებენ იმპერიული ძალებისგან. ეს უკანასკნელები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად წაახალისონ ამბოხებულთა ინიციატივები, რადგან მათ დესტაბილიზაციის გასამართლებელ შესაბამის პირობებად მიიჩნევენ, დესტაბილიზაციისა, რასაც შემდეგ დაბომბვა, საბოლოოდ კი მიზანში ამოღებული რეჟიმის დამხობა მოსდევს.

ეს ილეთი თვალნათლივ ჩანდა იუგოსლავიის დაშლის მთელი პროცესისა და შემდგომ არშემდგარი სახელმწიფოების შექმნის საქმეში. მაშინ ნატოს ქვეყნების მიზანი იყო იუგოსლავიის გაყოფა და მისი ყველაზე მძლავრი შემადგენლის — სერბეთის დათრგუნვა. დასავლეთმა მიზანს მიაღწია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ კლინტონის ადმინისტრაციისა და ირანის თანხმობით სხვა დაქირავებულებს შორის ბოსნიაში, შემდეგ კი კოსოვოშიც „ალ ქაიდას“ ტერორისტები ჩანერგეს, რათა მათ დახმარება გაეწიათ სამიზნედ არჩეული სერბეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ „ალ ქაიდას“ რიგებში არიან ის „თავისუფლებისათვის მებრძოლნიც“, რომლებიც ლიბიის კამპანიაში მონაწილეობდნენ. ეს ორგანიზაცია მნიშვნელოვანი კომპონენტია სირიაში დაგეგმილი რეჟიმის ცვლის პროცესისაც. ცხადია, „ალ ქაიდამ“ უკვე შეასრულა მნიშვნელოვანი როლი ავღანეთში რეჟიმის შეცვლის საქმეში, შემდეგ კი გადამწყვეტი როლი ეკისრა, რამაც 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ძალთა გადანაწილება განაპირობა. ბენ ლადენს, საუდელი ამბოხებულების სახელგანთქმულ ლიდერს, ჯერ ამერიკა აფინანსებდა, შემ-

© „ღვასკვამსწრე ცნობიერება“

დეგ კი, როდესაც ამერიკელებმა მიატოვეს, ბენ-ლადენმა იარაღი მათკენ შეაბრუნა, შედეგად ამერიკელებმა იგი ჯერ საკუთარ ცოდვებში დაადანაშაულეს, ბოლოს კი საერთოდაც მოკლეს.

ეს პროგრამები მუდამ ითვალისწინებს აბსოლუტური მხეცობების მოხერხებულ მართვას. ეს მხეცობები საშუალებას იძლევა, დაადანაშაულონ ხელისუფლება, რომელსაც თავს ესხმიან, ამბოხებულების მიმართ ძალადობის გამოყენებაში და ეფექტურად გამოიყენონ ეს მასობრივი შეჭრის გასამართლებლად. სწორედ ამ მეთოდმა შეასრულა გადამწყვეტი როლი იუგოსლავიაში და უფრო მნიშვნელოვანი როლი — ლიბიისა და სირიის კამპანიებში. სხვათა შორის, დიდწილად ეს ხდება იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წყალობით, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ხელისუფლებების ამგვარ „გაშავებაში“, სამიზნე ლიდერისთვის ათასგვარი მხეცობის მიწერასა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის მოთხოვნაში. იუგოსლავიის შემთხვევაში გაეროს მიერ დაფუძნებული საერთაშორისო ტრიბუნალი ნატოს ქვეყნების მხარდამხარ მუშაობდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ სერბი ხელისუფლების მიმართ წაყენებული ბრალდება ამართლებს ყველაფერს, რაც კი აშშ-მა და ნატომ ჩაიდინეს. ამ მექანიზმს მშვენივრად ასახავს მილოშევიჩის წინააღმდეგ ტრიბუნალის პროკურორის ბრალდება, რომელიც წამოყენებულ იქნა ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ნატომ აბსოლუტურად შეგნებულად მიიღო გადაწყვეტილება, დაებომბა სამოქალაქო ინფრასტრუქტურის სერბული ობიექტები, რათა დაეჩქარებინა სერბეთის ჩაბარება. არადა, თავად ეს დაბომბვები იყო სამხედრო დანაშაული, რომელიც ჩადენილ იქნა გაეროს ყველა წესდების დარღვევით. მიუხედავად ამისა, მილოშევიჩის სასამართლოს წყალობით, მედიამ ნატოსათვის ამ უსიამოვნო საკითხს საზოგადოების ყურადღება აარიდა.

ანალოგიური წესით ლიბიაზე ნატოს თავდასხმის წინ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა სასწრაფოდ წაუყენა ბრალდებები მუამარ კადაფის ისე, რომ დამოუკიდებელი გამოძიების ჩატა-

რების მოთხოვნითაც კი არ გამოსულა. არადა, მშვენივრადაა ცნობილი, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი მანამდე მხოლოდ აფრიკის სახელმწიფოების იმ მეთაურების საქმეებს იძიებდა, რომლებიც დასავლეთის მიმართულებას არ ეთანხმებოდნენ. ეს საინტერესო მეთოდი უძვირფასესი ფანდია იმპერიული სახელმწიფოებისთვის და უკიდურესად სასარგებლოა რეჟიმის დამხობისა და არშემდგარი სახელმწიფოს შექმნის პროცესში.

ამ ყველაფერშიც მონაწილეობენ ვითომდა დამოუკიდებელი ჰუმანიტარული ორგანიზაციები და დემოკრატიის განმავითარებელი ორგანიზაციები, ისეთები, როგორიცაა „Human Rights Watch“, „International Crisis Group“ ან „Open Society Institute“. ისინი რეგულარულად უერთდებიან იმპერიის კორტეჟს და ადგენენ სავარაუდო დანაშაულებათა სიებს, რომლებიც მიზანში ამოღებულ რეჟიმსა და მის ხელმძღვანელობას უნდა დაბრალდეს. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასმედიის რადიკალურ პოლარიზებას. ეს ყველაფერი ერთად ქმნის კეთილსასურველ ზნეობრივ გარემოს მსხვერპლთა დაცვის მიზნით აგრესიული შეჭრისთვის.

ზემოთქმულს უნდა დაემატოს ის ფაქტიც, რომ **დასავლეთში მამხილებელი გამოსვლების დიდი რაოდენობა, დასამხობი რეჟიმების მიერ ჩადენილი მხეცობების ჩამონათვალი, რასაც, როგორც წესი, ზურგს უმაგრებს ქვრივებისა თუ ლტოლვილების შემაძრწუნებელი კადრები, როგორც წესი, ანარქისტული წრეებიდან მოდის.**

მრავალი მათგანი მგელივით იწყებს ყმუილს და მიზანში ამოღებული რეჟიმის ქვეყანაში ჰუმანიტარულ ინტერვენციას მოითხოვს. მეორენი, ძირითადად საგონებელში ჩავარდნილნი, დუმნან და ეშინიათ, რომ მათაც დიქტატურის მხარდაჭერაში დაადანაშაულებენ. ინტერვენციის მომხრეებს მოჰყავთ შემდეგი არგუმენტი: თუნდაც არსებობდეს რისკი, რომ საკუთარი ქმედებებით მხარს დავუჭერთ იმპერიულ ექსპანსიონიზმს, აუცილებელია, დაშვებულ იქნას გამონაკლისი, რადგან, როდესაც განსაკუთ-

რებით სერიოზული რამ ხდება, ქვეყნის მთელი საზოგადოება აღშფოთებულია და ჩვენს ჩარევას ითხოვს. თუმცა, იმისათვის, რომ გამოამჟღავნონ თავიანთი ჭეშმარიტი მემარცხენე არსი, უნდა ეცადონ, თავიანთ დონეზე მართონ ინტერვენცია და იმპერიული შეტევის შეკავების მიზნით ითხოვენ, მაგალითად, მხოლოდ არასაფრენი ზონის გამოცხადებას, როგორც ეს ლიბიაში მოხდა.

თავის მხრივ, თავად ამერიკის შეერთებული შტატებიც ასეთივე არშემდგარი სახელმწიფოების წარმოების პროდუქტად იქცა. ცხადია, არც ერთ ქვეყანას მისთვის დამანგრეველი დარტყმა არ მიუყენებია, მაგრამ თავად ამერიკის მოსახლეობა ძალზე მძიმედ ანაზღაურებს ამ დაუსრულებელი ომების სისტემას. ამით სამხედრო ელიტა, ასევე მისი მოკავშირეები სამრეწველო, პოლიტიკური თუ ფინანსური წრეებიდან, მასმედია და ინტელიგენცია დიდად უწყობდნენ ხელს საყოველთაო სიღარიბესა და სასოწარკვეთას, სახელმწიფო მომსახურებათა სისტემის ნგრევას, ქვეყნის გაღატაკებას უმოქმედო და კომპრომეტირებული მმართველი კლასის მხარდაჭერით. ეს ისეთივე მმართველობაა, რომელსაც არ შეუძლია უზრუნველყოს თავისი ჩვეულებრივი მოქალაქეების მოთხოვნები, მიუხედავად ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტისა და ერთ სულ მოსახლეზე შრომის წარმადობის მუდმივი ზრდისა. წარმოების ნამატები სრულად შთაინთქმება მუდმივი ომების სისტემის მიერ, ასევე იხარჯება მცირერიცხოვანი მდიდრების კლანის კიდევ უფრო გასამდიდრებლად. **ეს კლანი, გარდა ნამატის უბრალო შეგროვებისა, პირდაპირ ითვისებს სახელმწიფოს შემოსავლებს, ქონებას და საკუთარი მოქალაქეების უდიდესი ნაწილის უფლებებს. არშემდგარი სახელმწიფოების სიაში და კიდევ სხვა მრავალმხრივაც თავად ამერიკის შეერთებული შტატები უდავოდ იშვიათი მაგალითია.**

მითები ამერიკის განსაკუთრებულობაზე

ამერიკელებს, შესაძლოა, მოსწონთ იმაზე ფიქრი, რომ მათი ქვეყანა უნიკალური ღირსებებით გამოირჩევა, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. უკანასკნელი ორი ასწლეულის მანძილზე გამოჩენილი ამერიკელი მოღვაწეები აშშ-ს ისეთი ეპითეტებით ამკობდნენ, როგორიცაა „თავისუფლების იმპერია“, „კაცობრიობის უკანასკნელი იმედი“, „თავისუფალი მსოფლიოს ლიდერი“, „შეუცვლელი ქვეყანა“ და ასე შემდეგ. ეს სტერეოტიპები ხსნის, თუ რატომ თვლის თავს ვალდებულად პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი, რიტუალურად უმღეროს დითირამბები ამერიკის დიდებულებას. „ამერიკის განსაკუთრებულობის“ შესახებ განცხადება გულისხმობს, რომ ფასეულობები, პოლიტიკური სისტემა და ამერიკის ისტორია არის უნიკალური და საყოველთაო აღფრთოვანებას იმსახუ-

© „ღვასკვამაწყენი ანბასკაფი“

რებს. ირიბად საუბარია იმაზეც, რომ აშშ-ს ბედმა არ-გუნა და ეკუთვნის მსოფლიო არენაზე პოზიტიური როლის შესრულება. უბედურება ისაა, რომ მსოფლიოში ამერიკის როლის შესახებ ეს თვითკმაყოფილებით გაჯერებული წარმოდგენა მხოლოდ მითებს ეფუძნება. საკუთარ განსაკუთრებულობაზე ორიენტირებულ ამერიკელებს არ ესმით, რომ ძალიან ბევრი რამით მსოფლიოს დანარჩენ ხალხებს ჰგვანან. ამერიკის განსაკუთრებულობის შესახებ ყველაზე მეტად ხუთი მითია გავრცელებული.

პირველი მითი:

ამერიკის განსაკუთრებულობაში არის რაღაც განსაკუთრებული

ყოველთვის, როდესაც ამერიკელი ლიდერები აშშ-ის „განსაკუთრებულ“ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობენ, გულისხმობენ, რომ აშშ განსხვავდება სხვა ზესახელმწიფოებისგან და რომ ეს განსხვავება აიძულებს მას, საკუთარ თავზე აიღოს განსაკუთრებული ვალდებულებები. მაგრამ ეს გზა, უკვე დიდი ხანია, გათელილია. ზესახელმწიფოები ყოველთვის თავიანთ მოწინააღმდეგეზე მაღლა აყენებდნენ საკუთარ თავს და, თავს ახვევდნენ რა ყველას საკუთარ აზრს, სჯეროდათ, რომ ეს რაღაც საყოველთაო სიკეთეს ემსახურება. ამიტომ საკუთარი განსაკუთრებულობისა და შეუცვლელობის დეკლარირება ამერიკას მხოლოდ დიდი ხნის წინ ამღერებულ გუნდთან აერთებს. ზესახელმწიფოსთვის საკუთარი თავის „განსაკუთრებულად“ მიჩნევა წესია და არა — გამონაკლისი.

მეორე მითი:

აშშ სხვა ქვეყნებზე ღირსეულად იქცევა

განსაკუთრებულობის შესახებ მტკიცებულება ეფუძნება თეზისს იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკიდურესად კეთილშობილური სახელმწიფოა — მშვიდობისა და თავისუფლების მოყვარე, ადამიანის უფლებათა და კანონთა დამცველი. ამერიკელებს მოს-

წონთ იმაზე ფიქრი, რომ მათი ქვეყანა სხვა ქვეყნებზე უკეთ იქცევა.

ნეტა, მართლა ასე იყოს! ცხადია, ამერიკას ისტორიაში ყველაზე დაუნდობელი სახელმწიფოების რიგში ვერ დავაყენებთ, მაგრამ მსოფლიო არენაზე მისი ქმედებების მიუკერძოებელი ანალიზი უკუაგდებს ამერიკის მორალური უპირატესობის შესახებ მტკიცებას.

დასაწყისისთვის უნდა ითქვას, რომ აშშ ერთ-ერთი ყველაზე ექსპანსიონისტური სახელმწიფოა ახალ და უახლეს ისტორიაში. **აშშ 13 მომცრო კოლონიის გაერთიანებით გაჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე, შემდეგ კი მისი ტერიტორია კონტინენტის მთელ სიგანეზე გადაიჭიმა; ამასთან, ტეხასი, არიზონა, ნიუ-მექსიკო და კალიფორნია მან 1846 წელს მექსიკას წაართვა. ამერიკელებმა გაწყვიტეს ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, გადარჩენილებს კი რეზერვაციაში უკრეს თავი.** ამის შემდეგ ამერიკამ მთელ რიგ ომებში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან არაერთი თავად წამოიწყეს და საომარი მოქმედებებისას მის ქცევას ჰუმანურს ვერავინ უწოდებს. **მხოლოდ ფილიპინელებთან ომში ამერიკელებმა 200-დან 400 ათასამდე ადამიანი მოკლეს, ძირითადად — მშვიდობიანი მოსახლეობა, მეორე მსოფლიო ომის დროს საჰაერო დარტყმებით კი 305 ათასი გერმანელი და 330 ათასი იაპონელი გაანადგურეს, ამჯერადაც ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობის სახით.** ასე მოვიდა ამერიკა დღემდე და მრავალ ომში გამოვლილი მისი უპილოტო საფრენი აპარატები ტერორიზმში ეჭვმიტანილებს, სულ მცირე, ხუთი ქვეყნის ტერიტორიაზე კვლავაც დევნიან. რამდენი უდანაშაულო სამოქალაქო პირი შეეწირა ამ დევნას, არავინ იცის. ამ ყველაფრის შემდეგ ამერიკელები ვერ ხვდებიან, რატომ სძულთ ისინი ასე.

ამერიკა ყველაზე მეტს ლაპარაკობს ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო სამართალზე, მაგრამ აბუ-გრეიბისა და სხვა ციხეებში პატიმართა წამებამ, ადამიანთა გატაცებებმა და მათმა პრევენციულად დაპატიმრებამ

თითქოსდა უნდა შეარყიოს ამერიკელების რწმენა, რომ მათი ქვეყანა მუდამ მორალის დაცვით მოქმედებდა. ობამას მიერ ზემოხსენებული მეთოდების უმეტესობის ძალაში დატოვება კი ადასტურებს, რომ ეს წესიდან დროებითი გადახრა არ იყო.

მესამე მითი:

ამერიკის წარმატებები განსაკუთრებული „ამერიკული გენიითაა“ განპირობებული

აშშ-მა დიდ წარმატებებს მიაღწია და ამერიკელები ხშირად თვლიან, რომ ქვეყანა მსოფლიო ზესახელმწიფოდ აქცია „დამფუძნებელი მამების“ პოლიტიკურმა შორსმჭვრეტელობამ, კონსტიტუციის სრულყოფილებამ, პიროვნების თავისუფლებამ, ამერიკელი ხალხის შრომისმოყვარეობამ და შემოქმედებითმა ნიჭმა. ამ ვერსიის თანახმად, აშშ მსოფლიო არენაზე განსაკუთრებულ როლს იკავებს, როგორც უკვე მოგეხსენებათ, თავისი განსაკუთრებულობის წყალობით.

ამერიკის ისტორიის ამ ვერსიაში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის, მაგრამ თავის წარმატებებს ამერიკა ნაციონალური ხასიათის უნიკალურ თავისებურებებზე არანაკლებ გარემოებათა იღბლიან თანხვედრას უნდა უმადლოდეს. ამერიკას, უბრალოდ, გაუმართლა იმის გამო, რომ მოწყვეტილია მსოფლიოს სხვა ზესახელმწიფოებს, მდებარეობს ტერიტორიაზე, სადაც მრავალი დიდი მდინარე და ნაოსნობაა და სადაც ადგილობრივი მოსახლეობა, განვითარების შედარებით დაბალი დონის გამო, ევროპული დაავადებების მიმართ არამდგრადი აღმოჩნდა. მსოფლიო არენაზე ამერიკის უპირატესობა განაპირობა დანარჩენი სახელმწიფოების დაძაბუნებამ ორი მსოფლიო ომის გამო.

ეს ვერსია არ უარყოფს, რომ ამერიკა ბევრ რამეს სწორად აკეთებდა, მაგრამ ამერიკა თავისი ახლანდელი მდგომარეობის გამო ფორტუნას უნდა უმადლოდეს და არა რაღაც განსაკუთრებულ გენიას ან მისიას.

მეოთხე მითი:

მსოფლიო უკეთესობისკენ იცვლება, ძირითადად, აშშ-ის წყალობით

ამერიკელებს უყვართ, საკუთარ თავს მიაწერონ საერთაშორისო არენაზე მიმდინარე დადებითი მოვლენები. პრეზიდენტი ბილ კლინტონი თვლიდა, რომ აშშ შეუცვლელ როლს თამაშობს სტაბილური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ჰარვარდის განსვენებული პოლიტოლოგი სემუელ ჰანტინგტონი კი ამბობდა, რომ აშშ-ის ჰეგემონია აუცილებელია თავისუფლების, დემოკრატიის, ეკონომიკური გახსნილობისა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო წესრიგის თვალსაზრისით. ჟურნალისტი მაიკლ ჰირში უფრო შორს მიდის: თავის წიგნში „ომი საკუთარ თავთან“ ის ამტკიცებს, რომ ამერიკის გლობალური როლი უდიდესი ძღვენია, რაც კი ოდესმე მიუღია მსოფლიოს მთელი ისტორიის მანძილზე. ამ და სხვა მსგავსი მტკიცებულებების საფუძველზე ამერიკელთა უმეტესობა საკუთარ ქვეყანას მიიჩნევს სიკეთის უდიდეს ძალად საერთაშორისო ურთიერთობებში.

უკანასკნელი 100 წლის მანძილზე აშშ-მა ნამდვილად შეიტანა საკუთარი წვლილი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საქმეში, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ყველაფერი საუკეთესო მსოფლიოში ვაშინგტონის ბრძნული პოლიტიკის შედეგად ხდება, ამ წვლილის შეფასებისას მნიშვნელოვანი გადაჭარბებაა.

ამერიკელებმა უყურეს ფილმს „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ და დაასკვნეს, რომ ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ამერიკელებმა შეასრულეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო.

უკანასკნელი ორმოცდაათი წლის შეჯამებისას შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ამერიკული ძლევამოსილების მეორე მხარე. უკანასკნელ წლებში სწორედ აშშ აბინძურებს გარემოს ყველაზე მეტად სასათბურე აირებით; ვაშინგტონს არაერთხელ დაუკავებია არასწორი პოზიცია და მხარს უჭერდა არაერთ დაუნდობელ დიქტატორს თავისი ხანმოკლე სტრატეგიული ინტერესების განსახორციელებლად.

ამერიკელები მიიწერენ გადაჭარბებულ დამსახურებებს მთელს მსოფლიოში პროგრესის უზრუნველყოფის საქმეში და მზად არ არიან, აღიარონ საკუთარი დანაშაული იმ შემთხვევებში, როდესაც მათი ქვეყნის პოლიტიკა კონტრპროდუქტიული ხასიათისაა. პენტაგონელებს ეგონათ, რომ ბაღდადში ამერიკულ ჯარს ყვავილებით შეხვდებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში მათ იქ მხოლოდ ყუმბარებსა და თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობებს „ჩუქნიდნენ“.

მეხუთე მითი:

ღმერთი ჩვენთანაა

ამერიკული განსაკუთრებულობის შესახებ მითის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი იმის რწმენაა, რომ შემოქმედმა შტატებს მსოფლიო ლიდერობის განსაკუთრებული მისია დააკისრა. რონალდ რეიგანი თანამოქალაქეებს ეუბნებოდა, რომ ამერიკა ამ ქვეყანაზე უფლის ნებით გაჩნდა და პაპის — პია XII-ს სიტყვები გაიმეორა, რომ ამერიკას უფალმა მრავალტანჯული კაცობრიობის ბედი არგუნა. 2004 წელს ბუშმა იგივე გაიმეორა და თქვა, რომ ამერიკას ზეციდან აქვს მოწოდება, დადგეს თავისუფლების სადარაჯოზე. ბისმარკისთვის მიწერილი აფორიზმი კი ირწმუნება, რომ „უფალი ეხმარება სულელებს, ლოთებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს“.

თავდაჯერებულობა ფასეული თვისებაა, მაგრამ, როდესაც ქვეყანას სჯერა, რომ ის უფლის რჩეულია და ყველაფერი ხელეწიფება, რომ ვერავინ და ვერაფერი ჩამოაშორებს ჭეშმარიტ გზას, რეალობისგან უსიამოვნო სიურპრიზებს უნდა ელოდოს.

თუ ვინმეს მართლა სჯერა, რომ ამერიკა სულელური შეცდომებისა და წარუმატებლობებისგან დაზღვეულია, მხოლოდ ბოლო ათწლეულის წარუმატებელი ომები და სიხარბითა და სხვა მანკიერებებით განპირობებული ფინანსური კატასტროფები გაიხსენოს. არადა, ლინკოლნი ხომ ამბობდა, რომ თავად ამერიკელებს უნდა აღელვებდეთ საკითხი, არიან კი თავად ღმერთის მხარეს?

თუ გავითვალისწინებთ, რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ამერიკა, ორი ომის რამენაირად დამთავრების საჭიროებიდან დაწყებული, უმუშევრობის არნახული დონით დამთავრებული, ცხადია, ამერიკელებს ისღა დარჩენიათ, საკუთარი განსაკუთრებულობის შესახებ მითებით დაიმშვიდონ თავი.

ამერიკას, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას, აქვს დადებითი მხარეები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მხოლოდ ერთ-ერთი ქვეყანაა საერთაშორისო არენაზე, თუნდაც სხვა მრავალზე ბევრად ძლიერი და მდიდარი იყოს. ეს უპირატესობები არ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაკეთებული ნებისმიერი არჩევანი სწორი იქნება.

საერთაშორისო ურთიერთობები კონტაქტური სპორტის სახეობაა და თვით უძლიერეს სახელმწიფოებსაც კი ხანდახან საკუთარი პრინციპების დათმობა უწევთ თავისივე უსაფრთხოებისა და აყვავების სანაცვლოდ. და, თუკი ამერიკელებს სურთ, ნამდვილად გამონაკლისად იქცნენ, პირველ რიგში, თავად ამერიკის განსაკუთრებულობისადმი ბევრად უფრო სკეპტიკური მიდგომით უნდა დაიწყონ.

სტივენ მ. უოლტი,
ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის პროფესორი

© „ღვინისმცოდნეობა“

დოლარის ექსპორტი და ომი

იმ მოქალაქეებს, რომელთაც „13“-ის მაგიური ძალისა სჯერათ, 13 სექტემბერმა კიდევ უფრო განუმტკიცა ცრურწმენა. სწორედ ამ დღეს გახდა ცნობილი აშშ-ის ეკონომიკაში ახალი დაძაბულობის თაობაზე. როგორც ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს თამჯდომარემ ბენ შალომ ბერნანკემ განაცხადა, აშშ-მა გაზარდა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების მარაგი მომდევნო თვის მანძილზე 40 მილიარდი დოლარის ღირებულების იპოთეკური ვალების ღია შესყიდვით და ამით განახორციელა მესამე ე. წ. რაოდენობრივი შერბილება. იმ ფულის საერთო რაოდენობა, რომელსაც ბრუნვაში გაუშვებენ, არ სახელდება.

ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაურმა ასევე განაცხადა, რომ გაგრძელდება 667 მილიარდი დოლარის ღირებულების აშშ-ის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების გრძელვადიან ვალდებულებებზე გადაცვლა. ამ დრომდე გაცვლითი ფონდის მოცულობა დაფიქსირებული იყო 400 მილიარდის ნიშნულზე. ამდენად, ბერნანკემ, ფაქტობრივად,პროგრამის დაახლოებით ნახევრით გაზრდის შესახებ გამოაცხადა. ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაურმა ბანკირები იმითაც გაახარა, რომ რეკორდულად დაბალი საპროცენტო განაკვეთი (0-0,25%)

შენარჩუნებული იქნება არა მანამდე დაპირებული 2014, არამედ 2015 წლის ბოლომდე.

ამ ყველაფრის შემდეგ ბირჟებმა უმალ აჩვენეს აქციების ზრდა. „Standard & Poor-500"-ის ინდექსმა იმავე დღეს 1,6%-ით მოიმატა და 1549,92-ს მიაღწია. ხაზინის ათწლიანი ქაღალდების შემოსავლიანობა 1,71%-დან 1,78%-მდე გაიზარდა.

იმის დასადგენად, **თუ რა შეიძლება მოჰყვეს ახალი „შერბილების"— „QE3"-ის მოქმედებაში ჩაშვებას,** საჭიროა უკან დაბრუნება და იმის გახსენება, თუ **რა წარმოადგენს აშშ-ის მთავარ საექსპორტო საქონელს.**

პირველმა ორმა „შერბილებამ" — „QE1"-მა და „QE2"-მა — განაპირობა მსოფლიო ეკონომიკაში 1,2 ტრილიონი დოლარის ჩაშვება და აშშ-ის სახელმწიფო ვალის 16 ტრილიონამდე გაზრდა 2012 წლის სექტემბრისათვის. დოლარების გამოშვების საპასუხოდ ევროპის ცენტრალური ბანკი იძულებული გახდა, ანალოგიური ზომები მიეღო, რათა ევროს მკვეთრად გამყარება აეცილებინა თავიდან. ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საბერძნეთმა ამდენხანს გაძლო დეფოლტის გამოცხადების გარეშე და ახლაც შველის ქვეყნებს ფინანსური კოლაფსის თავიდან აცილებაში. ნავთობსა და ნედლეულზე ფასებმა „ცვალებადობის ბონუსი" მიიღეს, ოქროს ფასი კი განუხრელად იზრდება.

„QE3"-ის დაწყების გამოცხადებისთანავე ყველაფერი პრაქტიკულად უცვლელად მეორდება:

იზრდება ოქროს ფასი. 2012 წლის 13-დან 14 სექტემბრამდე, ერთი ღამის განმავლობაში ამ ფასს 3,3% დაემატა და უნციის ფასმა 1718-დან 1772 დოლარს მიაღწია.

იზრდება ნავთობის ფასი, ბარელის ღირებულება 2 დოლარით გაიზარდა და ეს მხოლოდ დასაწყისია. ნავთობის გაძვირებას კი აუცილებლად მოჰყვება გაზის გაძვირებაც;

დოლართან მიმართებაში იზრდება ევროს კურსი, გადალახულია ყველანაირი ზედა ზღვარი;

© „ღამისფრთიანი“

დაიწყო გაძვირება ნედლეულმა და სურსათმა; ზემოთ მიცოცავენ საბირჟო ინდექსები, ანუ იბერება ახალი „ბუშტი“.

ევროპის ცენტრალურ ბანკს მოუწევს „დევალვაციის შეჯიბრში“ ჩაბმა, სხვაგვარად საერთო ევროპული ვალუტის გამყარება ევროკავშირში საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის დაკარგვის ხარჯზე რეცესიას გამოიწვევს.ევროპის ცენტრალური ბანკის ფულის საბეჭდი მანქანის ჩართვა განაპირობებს ცხოვრების დონის ვარდნას ევროკავშირის ქვეყნებში და კიდევ უფრო გაზრდის სოციალისტებისა და ნაციონალისტების პოპულარობას, არადა, ეს უკანასკნელნი ისედაც იგებენ ევროპაში გამართულ ბოლოდროინდელ ყველა არჩევნებს. და ბოლოს, ეს პოლიტიკა ევროკავშირში დონორი ქვეყნებისა და რეციპიენტი ქვეყნების დაპირისპირებას გააღრმავებს და ხელს შეუწყობს ევროზონის უსწრაფეს დაშლას.

რუსეთსა და ჩინეთს კი პოზიციების გაუმჯობესება შეუძლიათ. ნავთობსა და ნედლეულზე ფასის ზრდა რუსეთის ბიუჯეტში ექსპორტიდან შემოსავლების გაზრდის გარანტიას იძლევა, დოლარის დევალვაცია კი გააჩენს საშუალებას ჩინური საქონლისთვის, მომავალშიც შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, მიუხედავად ჩინეთში შრომის ღირებულების ზრდისა. თაქტიკურად, შესაძლოა, ირანმაც მოიგოს, ის ხომ თავის ნავთობს ჩინეთსა და ინდოეთზე იუანში და რუპიში ყიდის. ამდენად, ქვეყნები ირანულ ნავთობზე უარს არ იტყვიან, პირიქით, გაზრდიან კიდეც მისი შესყიდვის მაჩვენებლებს.

ლიკვიდურობის ვარდნა, რომელსაც მთელ მსოფლიოში ახორციელებს აშშ თავისი ფედერალური სარეზერვო სისტემის (12 ბანკის გაერთიანება) წყალობით, მუდამ ერთსა და იმავე შედეგებს განაპირობებს — ლოკალურ ომებს. ამიტომ პირველი ორი „რაოდენობრივი შერბილების“ კანონზომიერი შედეგი „არაბული გაზაფხულის“ მოვლენები იყო. ეგვიპტესა და ტუნისში რეჟიმების შეცვლა, სამოქალაქო ომი და სამხედრო ინტერვენცია ლიბიაში, აგრესია სირიის წინააღმდეგ,

ირანთან ომის მზადება, გაეროს მიერ სუდანის ორად გაყოფის ოფიციალური აღიარება — აი იმ შედეგების არც თუ სრული ჩამონათვალი, რომლებიც დადგა არა იმდენად მსოფლიო კრიზისის გამო, რამდენადაც ამ კრიზისიდან გამოსვლის მცდელობის გამო, მათი გაყვლეფის ხარჯზე, ვისაც ამ კრიზისის შექმნასთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ ფლობდა რესურსებს, რომლებიც შეიძლებოდა შესყიდული ყოფილიყო დასავლეთის მიერ წარმოებული ჭარბი ლიკვიდურობის ხარჯზე. მაგრამ ამგვარი შესყიდვების გზაზე მთელი რიგი სახელმწიფოების პოლიტიკური რეჟიმები იდგნენ და დგანან. სწორედ მათ წინააღმდეგ მიმდინარეობს ომი, როგორც ეკონომიკურ დონეზე, ყოველგვარი სანქციების დაწესებით, ასევე ტერორისტულ დონეზეც, დაქირავებული შეიარაღებული ექსტრემისტების მიერ განხორციელებული ტერორის სახით.

როგორც ჩანს, გადაწყვეტილია, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ დოლარის მორიგი გამოფრქვევის შენიღბვა გადაწყვეტილია ისლამურ სამყაროში დაძაბულობის ახალი კერების შექმნით, რაც გახდება საფუძველი მომავალში სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ აშშ-ის სამხედრო ძალის გამოყენებისათვის.

ბენ ბერნანკეს განცხადება დროში ზუსტად დაემთხვა ანტიამერიკული პროტესტების ტალღას ჩრდილოეთ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთში, პაკისტანსა და სხვაგან. შესაძლოა, ეს უბრალო დამთხვევაა, რადგან აშშ-ში ოქტომბრიდან იწყება ახალი ფინანსური შიმშილი და იმ განცხადების გადადება, რომელიც ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაურმა გააკეთა, უკვე აღარ შეიძლებოდა. თუმცა დასავლეთის მედიაში უდიდესი პიარკამპანია, რომელიც „მუსლიმანთა უცოდველობის“ ინტერნეტსივრცეში განთავსებას მოჰყვა, აჩენს სერიოზულ ეჭვს, რომ ზემოხსენებული ქმედება სპონტანური ვერ იქნებოდა. ვიდეორგოლის შესახებ ცნობა დასავლეთის წამყვან მედიასაშუალებებში სინქრონულად გაჩნდა.

როგორი წარმოსადგენია, რომ სხვადასხვა გამოცემის ჟურნალისტებმა საკუთარი ინიციატივით დაიწყეს ახალი ანტიისლამური ფილმების აღმოჩენის მონიტორინ-

გი და ამის თაობაზე წერა. გარდა ამისა, მასმედიის ესოდენი ინტერესი ამგვარი პროვოკაციისადმი უკვე სახიფათო ხდება. ფილმის ტრეილერს ინტერნეტში იმთავითვე რაიმე განსაკუთრებული რეაქცია არ გამოუწვევია. უდიდესი რეზონანსი მან მას შემდეგ მოიპოვა, რაც არაბულენოვანი ანონსის თანხლებით გამოაქვეყნეს და რეჟისორის ტელეფონის ნომერიც მიუთითეს. რეჟისორი კი აღმოჩნდა აშშ-ში მცხოვრები ეგვიპტელი ქრისტიანი ნაკულა ბასელა. **YOUTUBE-ს ადმინისტრაციამ ცეცხლზე ნავთი დაასხა და განაცხადა, რომ არ ამოშლის თავისი საიტიდან სკანდალურ ფილმს მუჰამედის შესახებ, მაგრამ მზადაა, ზოგიერთი ქვეყნისთვის დაგლოკოს მასზე წვდომა.**

ეს კიდევ არაა ყველაფერი. გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **აშშ-ის სპეცსამსახურებმა წინასწარ იცოდნენ, რომ ლიბიაში აშშ-ის ელჩის მკვლელობა იგეგმებოდა.** ელჩის მკვლელობისა და დასავლური საელჩოების წინააღმდეგ შეტევების დაწყებისთანავე ხმელთაშუა ზღვაში გაიგზავნა აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების დამატებითი კონტინგენტი. მანამდე კი გავრცელდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ნატოს გემები სირიის მიმართულებით გადაადგილდნენ. სახელმწიფო დეპარტამენტმა მთელ რიგ ქვეყნებში თავისი საელჩოების დახურვის შესახებ გამოაცხადა, რაც თავისთავად მეტყველებს, რომ, შესაძლოა, აშშ-მა ამ ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყოს.

ასეა თუ ისე, ძალიან ბევრი დამთხვევაა. ამასთან, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ოცამდე ქვეყანაში მასობრივი პროტესტების ორგანიზება იოლი საქმეა. თვით სოციალური ქსელების გამოყენებითაც კი ერთ ადგილზე რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათასამდე პროტესტანტი დემონსტრანტის შეკრება და აშშ-ის კარგად დაცულ საკონსულოებზე შეტევის დისტანციურად ორგანიზება ერთ დღე-ღამეში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამგვარი გამოსვლები დიდი ხნის მანძილზე მზადდება. და ამას ქსელის მღრღნელები კი არა, სულ სხვა ადამიანები აკეთებენ. **აშშ-ის ელ-**

ჩი ლიბიაში ქუჩის ხულიგნებს არ მოუკლავთ, იგი „17 თებერვლის ბრიგადის“ (17 თებერვალი მუამარ კადაფის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების დაწყების თარიღია) და „შარიათის მიმდევართა ბრიგადის“ ბოევიკებმა მოკლეს.

წინ, ახალი მსოფლიო ომისკენ?

ფინანსური სპეკულაციების შედეგების კიდევ უფრო დიდი სპეკულაციების ჩაშვებით ლიკვიდირების მცდელობა მხოლოდ აძლიერებს მსოფლიოში დაპირისპირებას. არაფრით უზრუნველყოფილი ფულის, როგორც ფინანსური კრიზისის ჩახშობის საშუალების, რაოდენობის ზრდა ბრუნვაში ხანძრის ბენზინით ჩაქრობას ჰგავს.

ზედმეტი ფული რაღაცით უნდა დაკავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰიპერინფლაცია მთელი მსოფლიოს ეკონომიკის გარდაუვალ პარალიზებას გამოიწვევს, რადგან დღეისათვის მსოფლიოში აბსოლუტურად ყველა ვალუტა დოლართანაა მიბმული.

რაღაც პერიოდში „დამაკავშირებელი აგენტის“ სახით შეიძლება გამოდგეს სოციალური და სხვა საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, ეგრეთ წოდებული ეკონომიის რეჟიმი, მაგრამ მისი მოქმედება მოკლევადიანია, რადგან ბრუნვაში ფული რამდენიმე ათეულჯერ მეტია, ვიდრე მსოფლიო საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა. ბევრი ფულის დაზოგვა არ გამოვა. **ძალიან ბევრი მწვანე ქაღალდია დაგეჭდილი. ჯერ კიდევ 2008 წელს „ფინანსური ინსტრუმენტების“ მოცულობა მსოფლიოს საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას 20-ჯერ აღემატებოდა. 2012 წლისათვის კი საქმე გაცილებით უფრო ცუდადაა.**

ისტორიაში ცნობილი არაა კაპიტალიზმის ბუნებით განპირობებული მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის სხვა გზა, გარდა ომისა. „რაოდენობრივი შერბილების“ პოლიტიკის გაგრძელების შემდეგ ომი გარდაუვალია. უცნობია მხოლოდ ის, თუ რა ტიპის ომს უნდა ველოდოთ და როდის.

© „ღიასაზოგადოება“

არჩევნები და აშშ-ის სპეცსამსახურები

ბოლო დროს ვაშინგტონი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა ბრაზილიას. იმ საქვეყნო ნოტაციებისა და სანქციების ფონზე, რომლებიც მუდმივად უხვად აქვს ლათინური ამერიკის „დემოკრატიულად უმწიფარი“ სახელმწიფოებისთვის, ბრაზილიისადმი ესოდენი ლოიალობა, მარტივად რომ ვთქვათ, საეჭვოდ გამოიყურება.

როგორც ცნობილია, „უმწიფართა“ კატეგორიას ვაშინგტონმა ჯერ კიდევ ბუშ-უმცროსის ეპოქიდან ის ქვეყნები და „პოპულისტური რეჟიმები“ განაკუთვნა, რომლებიც აშშ-ის თვალებში შეციცინების გარეშე ცდილობდნენ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას. ბრაზილია ლუის ინასიუ ლულა და სილვას რვაწლიანი მმართველობის პერიოდში უმკაცრესად იცავდა საკუთარ სუვერენიტეტს და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების უფლებას საგარეო ურთიერთობათა არენაზე. ბევრი მიიჩნევდა, რომ, ადრე თუ გვიან, ბუშს მოთმინების ფიალა აევსებოდა და ლულას საკუთარ ადგილს მიუჩენდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. **თეთრი სახლის**

ქორებმა ვერ გაბედეს, ლათინურ ამერიკაში კიდევ ერთი კონფლიქტი წამოეწყოთ, მაშინ, როდესაც ვენესუელისგანაც საკმარისზე მეტი თავის ტკივილი ჰქონდათ გაჩენილი.

2010 წლის მარტში ბრაზილიაში აშშ-ის საელჩოს დიპლომატიურ და „სპეციალურ“ პერსონალთან შეხვედრისას სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა: **„ობამას ადმინისტრაციაში ყველა ვცდილობთ, გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ ურთიერთობები მთელ რიგ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებთან და ბრაზილია ამ სიის სათავეშია. ეს ქვეყანა მართლაც იმსახურებს ყურადღებას, რადგან მთელი ძალით ცდილობს, შეასრულოს საკუთარი ხალხისთვის უკეთესი მომავლის შექმნის პირობა და ამიტომ აშშ-მა და ბრაზილიამ ამ ნახევარსფეროს ყველა ხალხს ერთად უნდა დაანახონ სწორი გზა“.**

ჰილარიმ თითქოს აღიარა ბრაზილიის უფლება, აშშ-თან ერთად „უჩვენოს სწორი გზა“ კონტინენტის სხვა ხალხებს, მაგრამ ვაშინგტონის აზრით, ლათინოამერიკელთა „სწორი გზა“ კონტინენტზე ყველანაირი სოციალისტური გადაწყობის მცდელობის ჩახშობას, აშშ-ის მონაწილეობის გარეშე ყველანაირ ინტეგრაციულ პროექტზე უარის თქმას, სამხრეთამერიკული თავდაცვის შესაქმნელად „პოპულისტების“ ჩანაფიქრების ბლოკირებასა და რეგიონში ჩინეთის ფინანსურ-ეკონომიკური ექსპანსიის შეზღუდვას ნიშნავს.

ამიტომ, არჩევნების წინ აშშ-მა ბრაზილიაში ახალი ელჩი — მტრედის ბუმბულში შემოსილი ქორი, მძიმეწონიანი დიპლომატი, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართულებით სახელმწიფო მდივნის მოადგილედ ნამუშევარი ტომას შენონი გაგზავნა.

შენონმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პრეზიდენტი ლულა „სწორი გზის“ პოსტულატებზე გადაერთო, ვაშინგტონმა საამისოდ მთელი რიგი „კონსტრუქციული ნაბიჯები“ გადადგა. მაგრამ ლულა „ჭეშმარიტ გზაზე“ ვერ მოაქციეს. იგი ჯიუტად განაგრძობდა მეგობ-

რობას უგო ჩავესსა და ივო მორალესთან, ჩადიოდა ჰავანასა და თეირანში, გმობდა პროამერიკულ გადატრიალებას ჰონდურასში და ნაციონალური ატომური ენერგიის განვითარების გეგმებზე საუბრობდა. ამ ყველაფრის შემდეგ კი თავისი საქმის გამგრძელებლად დილმა რუსეფი აირჩია და ვაშინგტონს საერთოდ თავზარი დაეცა. **ამ ქალს ბიოგრაფიაში შავით თეთრზე უწერია, რომ მრავალი წლის შემდეგაც კატეგორიულად უნდა სძულდეს ამერიკა. იგი ჯერ კიდევ 70-იან წლებში კომპარტიასთან კავშირისა და პარტიზანულ ორგანიზაცია „Vanguardia Armada Revolucionaria“-ში არალეგალური მუშაობისთვის დააკავეს, სამი წლით ციხეში გამოკეტეს, იქ კი ცსს-სა და „ამერიკული სკოლის“ მეთოდებით არაერთხელ აწამეს. ათწლეულები ამ ტკივილის დასავიწყებლად საკმარისი არაა.**

სწორედ ამ რუსეფის მხარეს იყო წარმატება წინასაარჩევნოდ. **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲛᲐ ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲐᲛ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲪᲡᲡ-ᲛᲐᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲜᲐ ᲓᲐᲠᲙᲐᲓ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲘᲚᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲤᲘ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲗᲐᲜ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲝᲓᲐ.**

დილმამ ცალსახად დაადასტურა, რომ პრეზიდენტ ლუნას კურსს განაგრძობდა. ცსს-ს სხვა გამოსავალი აღარ რჩებოდა — ელექტრონული და ბეჭდვითი მედია მისი „ექსტრემიზმის“ შესახებ ინფორმაციით გაივსო.

განსაკუთრებული მონდომებით ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ესხმოდა დილმა თავს ბანკებს იმისთვის, რომ ბრაზილიაში „ტერორისტების დასაფინანსებლად“ სახსრები მოეპოვებინა. დიდი წარმატებით მოიძებნენ „მოწმეები“ და „თვითმხილველებიც“. ყველაფერი ამერიკელების დიდი ხნის პროტეჟეს, ჟოზე სერას გამარჯვებისკენ მიდიოდა, მაგრამ პრეზიდენტი ლულა დროულად ჩაერია სიტუაციაში და მდგომარეობა თითქოს დასტაბილურდა, მაგრამ რუსეფმა არჩევნების პირველ ტურში გამარჯვება მაინც ვერ მოიპოვა — მას ხმების 3-4% ერგო.

ახლა მთავარი ამომრჩეველთა ის 19%-ია, რომელმაც

პირველ ტურში მესამე კანდიდატს, „მწვანეების“ წარმომადგენელ მარინა სილვას მისცა ხმა. აშშ-ის ელჩის, შენონის „ჩრდილოვანი“ რაზმები ყველაფერს გააკეთებენ, რათა სერასა და სილვას შორის ალიანსს მიაღწიონ.

დილმა რუსეფის მომხრეების თავდაპირველი ტრიუმფალური განწყობაც მინელდა, მეორე ტური დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მოწინააღმდეგის მხარეს ხომ, თუნდაც საიდუმლოდ და დაფარულად, მაგრამ ცალსახად და დაჟინებით, იბრძვის მთელი იმპერია თავისი ფინანსურ-ორგანიზაციული და საკადრო პოტენციალით. ამ იმპერიამ კი არაერთხელ მოუტანა გამარჯვება კანდიდატს, რომლის მხარესაც მის მეტი არავინ იყო. ბრაზილიის წამყვანი მასმედია, უდიდესი გამოცემები და მთავარი ტელეარხები უკვე დაკავდნენ მისი კანდიდატის „დამუშავებით“.

შენონისა და მისი რაზმის ამოცანაა, შექმნან საჭირო პირობები იმისთვის, რომ ბრაზილიის ხელისუფლებაში ვაშინგტონთან „შეთანხმების“ მსურველი „ახალი ძალა“ მოვიდეს. ამ მხრივ „მწვანეთა პარტიას“ მშვენიერი პერსპექტივები აქვს — ცსს-ს რეზიდენტურას მასში მყარი ოპერატიული პოზიციები უჭირავს, რაც აშშ-ის მხრიდან ბრაზილიის ეკოლოგიური

პრობლემებისადმი დიდი ხნის დაინტერესებით აიხსნება. **ახლა ქვეყანაში მოქმედი ამერიკული სპეცსამსახურები „მწვანეების“ ლიდერებთან მუშაობაზე არიან ორიენტირებულნი,** მაგრამ მათი კანდიდატი მარინა სილვა 2008 წლამდე ლულას მთავრობაში მუშაობდა, ამდენად, მწვანეების ელექტორატის გადაბირების არანაკლები შანსი ლულას კურსის გამგრძელებელ დილმა რუსეფსაც აქვს.

უშუალოდ „საველე სამუშაოებისთვის“ — თვალთვალის, სახლებში შეძრომის, „დასამუშავებელი ობიექტების“ კომპიუტერებიდან ფაილების კოპირების, შანტაჟისთვის საქმეების მომზადებისა და მსგავსი საქმეებისთვის ამერიკის სპეცსამსახურები ახლა იმ ბრაზილიელ პოლიციელებს იყენებენ, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით აღარ მუშაობენ პოლიციაში. ამერიკის აგენტურა მუშაობს ბრაზილიის უკლებლივ ყველა სამინისტროში, სადაზვერვო და კონტრდაზვერვის ორგანოებში, მხოლოდ აშშ-ის საელჩოს ჭერქვეშ ცსს-ს მინიმუმ 40 თანამშრომელი ბუდობს.

ახლა, მიუხედავად იმისა, რომ, სახელმწიფო დეპარტამენტის საერთო გეგმის მიხედვით, მთელ მსოფლიოში დიპლომატიური წარმომადგენლობების შემცირებაა გათვალისწინებული, ბრაზილიისთვის გამონაკლისი დაიშვა და ქვეყნის 10 უდიდეს ქალაქში აშშ-ის ახალი საკონსულოების გახსნა იგეგმება. ბრაზილია 15-20 წელიწადში, შესაძლოა, აშშ-ის რეალურ საპირწონედ იქცეს დასავლეთ ნახევარსფეროში. ასე რომ, ამერიკა მასზე „მუდმივი მზრუნველობისთვის“ კიდევ უამრავ გამონაკლისს დაუშვებს.

ამერიკული სასჯელაღსრულების სისტემა

იცით, რაზე არ საუბრობდნენ არც ობამა და არც რომნი წინასაარჩევნო დებატებისას? — აშშ-ის პენიტენციალურ სისტემაზე. სხვაგვარად როგორ უნდა აეხსნათ ამერიკელებსა და მსოფლიო საზოგადოებისთვის, თუ რატომაა, რომ მსოფლიოში თავისუფლებისა და დემოკრატიის ფლაგმან ქვეყანას საპატიმროებში 6 მილიონზე მეტი, ანუ იმაზე მეტი ადამიანი ჰყავს, ვიდრე საბჭოთა კავშირს ჰყავდა სტალინური რეპრესიების პერიოდში. ყველა ეს პატიმარი ერთ პენიტენციალურ ცენტრში რომ მოთავსდეს, ამერიკაში ერთი ახალი ქალაქი გაჩნდებოდა.

ამერიკაში გულაგი გაჩნდა? საუბარია მონაცემებზე, რომლებიც კვლევის შედეგად ამერიკულმა გამოცემა New Yorker-მა გამოაქვეყნა. და პრობლემა მხოლოდ პატიმართა რაოდენობა არ არის, არამედ აშშ-ის ციხეებში შექმნილი უკიდურესად აუტანელი პირობებიც. დაახლოებით 50 ათასი პატიმარი სრულ იზოლაციაშია, მათ ვინმესთან ურთიერთობის ნება არ აქვთ.ერთადერთი, რისი უფლებაც მათ აქვთ, დღეში ერთი საათით სპორტული ვარჯიშებია. დანარჩენი პატიმრების ცხოვრება ამაზე უკეთესი არაფრითაა. ზოგიერთი შეფასების თანახმად, **ყოველდღიურად დაახლოებით 70 000 პატიმარი ძალადობის მსხვერპლი ხდება, მაგრამ ხელისუფლება თვალს ხუჭავს ამაზე. აშშ ლიდერია კიდევ ერთი მაჩვენებლით: ასობით მოზარდს მისჯილი აქვს სამუდამო პატიმრობა, რაც არანაირად არ შეესაბამება ეგრეთ წოდებული თავისუფალი მსოფლიოს სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას.**

აშშ-მა ნამდვილად მოიპოვა გამარჯვება ცივ ომში, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, სახელმწიფო თავის ხალხს უცხადებს ომს. 1980 წელს, როდესაც რონალდ რეიგანი აშშ-ის პრეზიდენტად იქნა არჩეული და გადაწყვიტა, რომ საბჭოთა კავშირი უნდა მოეხრჩო, აშშ-ში 100 ათას მოსახ-

© „ღვინისფერი ბინა“

ლეზე 229 პატიმარი მოდიოდა. ოცი წლის შემდეგ, 2010 წელს, ქვეყანაში, რომელმაც მოიგო ცივი ომი, ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობა გასამმაგდა და 100 ათას მოსახლეზე 741 პატიმარს მიაღწია.

შედარებისათვის: ნორვეგიაში 100 ათას სულ მოსახლეზე 66 პატიმარია, ესპანეთში — 144. რასობრივი პრობლემა აშშ-ში კვლავაც ძალზე მწვავედ დგას. აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი აფროამერიკელია, მაგრამ ამერიკაში შავკანიანების ციხეში მოხვედრის ალბათობა შვიდჯერ უფრო მეტია, ვიდრე თეთრკანიანებისა. **აშშ-ში მონობა გადავარდა, მაგრამ სტატისტიკური მონაცემები იმაზე მიანიშნებს, რომ სასჯელმისჯილი აფროამერიკელების რაოდენობა ამჟამად აღემატება 1850 წელს ქვეყანაში არსებული მონების რაოდენობას.** არანაკლებ სკანდალურია საკითხის ეკონომიკური მხარე. პენიტენციალური სისტემა აშშ-ში კერძო კომპანიების კონტროლქვეშაა.ეს კი იმას ნიშნავს, რომ ციხეები კომერციული ორგანიზაციებისთვის შემოსავლიან ბიზნესად იქცა.

დაინტერესებული პირების ჯგუფი, რომელსაც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, სასჯელის შემცირების წინააღმდეგ გამოდის, განსაკუთრებით წინააღმდეგნი არიან ნარკომოვაჭრეებისთვის სასჯელის შემცირებისა, რადგან ეს კატეგორია „კლიენტების“ სტაბილური ნაკადის გარანტიაა.

მაგალითისათვის განვიხილოთ კალიფორნიის შტატი, რომელიც ვალებში იხრჩობა, მაგრამ წელიწადში ერთი პატიმრის შესანახად 50 ათას დოლარს ხარჯავს. ეს ციფრო შვიდჯერ აღემატება თანხას, რომელიც ყოველი მოსწავლისათვის გამოიყოფა. პრიორიტეტები ცხადია: **20 წლის წინ კალიფორნიაში განათლების ხარჯები საპატიმროებში ტუსაღების შესანახ ხარჯებს ორჯერ აღემატებოდა, დღეს კი ყველაფერი პირიქითაა.**

აშშ ახლო აღმოსავლეთში გმირულად აგვარებს პრობლემას, რომელიც თავად შექმნა

იქმნება პარადოქსული და სახიფათო სიტუაცია, რო-დესაც პრაქტიკულად ერთადერთი სამხედრო სუპერსა-ხელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები, საკუთარი პროპაგანდის მძევალი ხდება. მისი სამხედრო გეგმები, სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიები იქმნება შიდა და გარე გამოყენებისთვის განკუთვნილი პროპაგანდისტუ-ლი კლიშეს მიერ.

პროპაგანდისტული ლოგიკა კარნახობდა რეალურ პო-ლიტიკას.

ამ პროპაგანდისტული კლიშეებიდან ერთ-ერთის თა-ნახმად, ამერიკა გლობალური დემოკრატიის პოლუსია, რომელიც ხელს უწყობს გლობალურ დემოკრატიზაცი-ას და ეხმარება ყველას, ვინც ებრძვის „შინაურ ტირანს". ამ კლიშეს ზემოქმედების შედეგად ობამა იძულებული იყო, მხარი დაეჭირა რევოლუციური მოძრაობისთვის ეგ-ვიპტეში, ლიბიაში და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში

© „ღამისფრთიანი“

სწორედ პროპაგანდისტული ლოგიკა კარნახობდა რეალურ პოლიტიკას, თუმცა ამერიკულ ისტებლიშმენტში არიან ძალები, რომლებიც აბსოლუტურად შეგნებულად, ცინიკურად, ანგარებით და ყოველგვარი ვარდისფერი სათვალის გარეშე ითრევენ აშშ-ს სწორედ ასეთ თამაშში. მაგრამ ძირითადად ამერიკას სწორედ პროპაგანდისტურმა კლიშემ უბიძგა იმ რეჟიმების დამხობის ხელშეწყობისაკენ, რომლებიც მნიშვნელოვანწილად პროამერიკული ხასიათისანი იყვნენ.

ახლა ამერიკას ტყვიებს უშენენ ისინი, ვისაც ორიოდე დღის წინ უჭერდნენ მხარს და ახლაც უშენენ და აშშ იძულებულია, ახალ პირობებში ებრძოლოს „ალქაიდას“, როგორც ტერორისტულ ორგანიზაციას. ოფიციალურად აშშ ამ ორგანიზაციას არასდროს უჭერდა მხარს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, ვინც მაღრიბის ქვეყნების ე. წ. დემოკრატიზაციისგან სარგებელი მიიღო, „ალქაიდაც“ არის. ასე რომ, ამერიკა განაგრძობს იმ პრობლემის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლას, რომელიც თავადვე შექმნა ან უკიდურეს შემთხვევაში გაამწვავა მაინც.

ამერიკის სტრატეგებს უფრო ეშმაკური გეგმებიც შეიძლება მიეწეროთ, მაგალითად „მართვადი ქაოსის სტრატეგია“, მაგრამ **ახლა ობამას ადმინისტრაციის ქმედება ეშმაკური „მართვადი ქაოსის სტრატეგია“ კი არა, მოახლოებული არჩევნების წინ აგორებულ ანტიამერიკანიზმის ტალღაზე იძულებითი რეაქციაა.** ესყველაფერი **რეაქტიულ პოლიტიკას უფრო ჰგავს, ვიდრე რაიმე სტრატეგიულ გეგმას.**

ახლა რომ შეიძლებოდეს პროპაგანდისტური ეფექტის მიღწევა, შიდა პოლიტიკაში ამ თემის დამუშავება არჩევნების წინ და ჩრდილოეთ აფრიკაში რაიმე ძალებისა და საშუალებების ამოქმედებისგან თავის შეკავება, ობამას ადმინისტრაცია ასეც მოიქცეოდა. გარდა ამისა, არის სირიის გადაუჭრელი პრობლემა, ავღანეთიდან ჯარების გაყვანის პრობლემა და ამ ყველაფრის გამო ამერიკა ჩარევის სრულმასშტაბიანი ოპერაციის ჩატარებას არ ეცდება.

ამერიკის სირცხვილი

სასტიკი დამოკიდებულების ან დაუდევარი მოპყრობის გამო აშშ-ში ყოველ ხუთ საათში ერთი ბავშვი იღუპება. ხელისუფლების უკანასკნელი შეფასებებით, ცუდი მოპყრობის შედეგად 2009 წელს 1770 ბავშვი მოკვდა. კონგრესში ახლახან წარდგენილი მოხსენება კი ასკვნის, რომ რეალური ციფრი 2500-ს უახლოვდება.

ფაქტობრივად, ბავშვებთან სასტიკი დამოკიდებულების მხრივ ამერიკას განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდი სტატისტიკა აქვს. **ყველა განვითარებულ ქვეყანაში ერთად ფიზიკური ძალადობის ან არასათანადო მოვლის გამო კვირაში 15 წლამდე ასაკის 66 ბავშვი კვდება; მათგან 28 — ამერიკაში, რაც ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია. მაშინაც კი, როდესაც ყურადღება ექცევა მოსახლეობის რაოდენობას, იუნისეფის 2001 წლის კვლევის თანახმად, ცუდი მოპყრობის გამო ბავშვთა სიკვდილიანობით აშშ მექსიკას უთანაბრდება.**

ბავშვებთან სასტიკი დამოკიდებულების ერთ-ერთი ყვე-

ლაზე მძიმე მაჩვენებლის მქონე ტეხასის შტატში დალასის საბავშვო სამედიცინო ცენტრმა ცუდი დამოკიდებულებისა და ძალადობის შედეგად გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობის ზრდა დააფიქსირა. გარდა ამისა, ჰიუსტონის ცენტრი აფართოებს საქმიანობას ბავშვებისადმი სექსუალური ძალადობის პრობლემის ზრდის შესაჩერებლად.

ემა ტომპსონი სულ რაღაც 4 წლის იყო, როდესაც 2009 წელს სიკვდილის პირამდე სცემეს. **ბავშვს აღენიშნებოდა ნეკნების მოტეხილობები, თავის ქალის, ძვლების მოტეხილობები, დასისხლიანებული ჰქონდა თითქმის მთელი სხეული და ამავე დროს გაუპატიურებული იყო.** ბავშვის დედა და მისი საყვარელი გაასამართლეს და დააპატიმრეს. ბავშვის მამამ განაცხადა, რომ ემა მიატოვა ყველამ, ვინც გვერდით ჰყავდა.

ემა ტომპსონის მსგავსად, კიდევ უამრავი ბავშვია მოკლებული დაცვისა და მზრუნველობის სახელმწიფო სისტემას. ამის გამო ზოგიერთი სამუშაოთი გადაღლილ გამომძიებლებსა და მართვის არაეფექტურობას ასახელებს, სხვები კი ამბობენ, რომ პრობლემა ფედერალური ხელისუფლებაა, რომელიც ოჯახებს ერთად დარჩენისკენ უბიძგებს.

ჩინოვნიკები, რომლებიც ტეხასში, ამ მხრივ ყველაზე რთულ შტატში ბავშვთა უფლებების დაცვით არიან დაკავებულნი, აცხადებენ, რომ თითეული შემთხვევა ძალზე ჩახლართულია და შესაფასებლად — რთული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვთა კანონიერი წარმომადგენლები სიმართლეს მალავენ.

ვაშინგტონში პოლიტიკოსები იწყებენ იმის აღიარებას, რასაც ზოგიერთები „ნაციონალურ კრიზისს“ უწოდებენ. ივლისში კონგრესში ექსპერტებს მოუსმინეს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სასტიკი დამოკიდებულების გამო ბავშვთა სიკვდილიანობის თავიდან ასაცილებლად.

ფორმირდება სახელმწიფო კომისია, რომელიც დაკავდება მთელი ქვეყნის მასშტაბით რეაგირების ზომების კოორდინირებით.

ბავშვებთან სასტიკი დამოკიდებულება უარყოფითად აისახება არა მხოლოდ მსხვერპლთა ოჯახებზე, არამედ მათი ნათესავებისა და მეგობრების წრეზეც.

ტეხასის ბავშვთა დაცვის ასოციაციის მონაცემებით, ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის შანსი 74-ჯერ იზრდება, შანსი იმისა, რომ ისინი სასტიკად მოექცევიან საკუთარ შვილებს — ექვსჯერ.

ამ მიზეზის გამო სპეციალისტები თვლიან, რომ ბავშვთა დაცვა ძალადობისგან არის როგორც აშშ-ის ხელისუფლების, ასევე მთელი საზოგადოების ინტერესებშიც. მათივე თქმით, უკლებლივ ყველა მოქალაქე პასუხისმგებელია, საკუთარი წვლილი შეიტანოს ძალადობის შემცირებაში.

უკანასკნელ ათ წელიწადში საკუთარ სახლში 20 ათას ამერიკელ ბავშვს ამოჰხადეს სული მისივე ოჯახის წევრებმა. ეს დაახლოებით ოთხჯერ აღემატება იმ ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობას, რომლებიც ერაყსა და ავღანეთში დახოცეს.

ბავშვებთან ცუდი დამოკიდებულების გამო მათი სიკვდილიანობის დონე აშშ-ში სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე კანადაში და 11-ჯერ უფრო მაღალი, ვიდრე იტალიაში. ყოველწლიურად ფიქსირდება ძალადობისა და მშობლების მხრიდან საკუთარი მოვალეობების უგულებელყოფის მილიონობით შემთხვევა.

აშშ-ში მთლიანობაში ბევრად მაღალია მოზარდთა ორსულობა, სკოლის უფროსი კლასებიდან მათი გასვლა, ძალადობრივი დანაშაული, თავისუფლების აღკვეთა და სიღატაკე. ამასთან, სხვა განვითარებულ ქვეყნებში სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებს ბავშვების დაცვას, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევას, ბავშვთა მოვლის სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობას და ოჯახში დახმარების აღმოჩენას პრაქტიკულად ყველასთვის, ვინც ამას საჭიროებს.

აშშ-ში, როდესაც ბავშვი იბადება, ოჯახში, რომელიც ამისათვის ჯერ მზად არაა, სოციალური დაცვის ადგილობრივი სისტემები ან ზედმეტი

© „ღვინისფერი ბინისფერი“

მონდომებით მუშაობენ, ან საერთოდ არ ჩანან. მათ არ შეუძლიათ ოჯახისთვის იმ სტრესის კომპენსირება, რომელიც ბავშვმა უნდა გადაიტანოს.

ყველაზე უარეს შემთხვევებში მდგომარეობა კანონზომიერად რთულდება და ბავშვი იღუპება. ამ ბავშვების დაახლოებით 75 პროცენტი ოთხ წლამდე ასაკისაა, მათი ნახევარი კი — ერთ წლამდე.

ბავშვთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორია გეოგრაფიაც. მაგალითისათვის ავიღოთ ტეხასისა და ვერმონტის შტატები.

ტეხასი ამაყობს ყველაზე დაბალი გადასახადებისა და სოციალური ხარჯების მქონე შტატის სტატუსით. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით ის სხვა შტატებთან შედარებით შუალედურ პოზიციაზეა, გადასახადების საერთო რაოდენობა კი იქ თითქმის ყველაზე ნაკლებია.

ვერმონტი საპირისპირო უკიდურესობაშია. იქ გადასახადები ყველაზე მაღალია. თუ კეთილდღეობის ძირითად მაჩვენებლებს შევხედავთ, ტეხასელ ბავშვებს სკოლის მაღალი კლასებიდან გარიცხვის შანსი ორჯერ მეტი აქვთ, ვიდრე მათ ვერმონტელ თანატოლებს. მათ დაზღვევის გარეშე დარჩენის ან ციხეში მოხვედრის შანსი ვერმონტელებზე ოთხჯერ მეტი აქვთ, დაუნდობელი მოპყრობისგან გარდაცვალებისა კი — თითქმის ორჯერ მეტი.

ტეხასში არის მრავალი საფრთხე ბავშვისათვის და ამას ემატება არაკეთილსასურველი ფაქტორების შერწყმა სიღატაკის მაღალი დონის, ნაციონალური უმცირესობების ბავშვთა მაღალი ხვედრის, განათლების შედარებით დაბალი დონის სახით.

ტეხასი, ისევე, როგორც ტრადიციულად კონსერვატორული სხვა შტატები, ნაკლებადაა მზად იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინოს თავის მოსახლეობას. შტატებს შორის მდგომარეობის მნიშვნელოვანი სხვაობა კი ფედერალური მთავრობის როლის გაზრდის აუცილებლობაზე მიანიშნებს. ეს ბავშვები, პირველ რიგში, ტეხასის ბავშვები არიან თუ ამერიკის?

ქვეყნის ნაციონალურ სტრატეგიას განვითარება და ცხოვრებაში დანერგვა სჭირდება. დასაწყისისთვის კონ-

გრესმა უნდა მიიღოს კანონი იმ ნაციონალური კომისიის შესაქმნელად, რომელიც სასტიკი დამოკიდებულებისა და დაუდევარი მოპყრობის ბავშვთა სიკვდილიანობის წინააღმდეგ იბრძოლებს. და ბავშვთა დაცვის არც ერთი პროგრამა არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ — არც ფედერალური, არც საშტატო. აშშ-ის ეკონომიკა ბავშვებს არ დაუნგრევიათ. ამ დანგრეული ეკონომიკის ბავშვების ხარჯზე აღდგენა მორალურად საზიანო ამჟამინდელი ეკონომიკური პოლიტიკაა.

მდგომარეობის გაუარესების ფონზე, ბავშვთა სიღატაკის ზრდისა და ბავშვებისათვის სახელმწიფო დახმარების მოცულობათა მილიარდებით შემცირების ფონზე კიდევ უფრო იზრდება დაძაბულობა, რომელსაც ამერიკის ისედაც სუსტი სოციალური უზრუნველყოფის სისტემა განიცდის.

ეს ყველაფერი თავისთავად ნიშნავს, რომ მოკვდება უფრო მეტი ბავშვი და ყველაზე ადვილი მშობლების ან ბავშვთა დაცვის სოციალური სამსახურების დადანაშაულება იქნება, მაგრამ რთული პრობლემები ადვილად არ გვარდება.

და როდესაც მილიონობით ბავშვი იტანჯება, ათასობით კი კვდება, ეს ნამდვილად მასშტაბური პრობლემაა, რომელსაც შესაბამისი მასშტაბებით გადაწყვეტა სჭირდება.

ბოლივიის პრეზიდენტმა აშშ-ის დიპლომატიაზე მთელი სიმართლე დაფქვა

ევო მორალესი

სახალხო გამოსვლებში ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი ძალზე გულმოდგინედ ეკიდება იმ ლექსიკას, რომელსაც საუბრისას იყენებს, აზრის გადმოცემის სიზუსტეს, პოლიტკორექტულობის დაცვას. ამგვარი თვითკონტროლი აუცილებელია, რამდენადაც მორალესს საკმარისზე მეტი მტერი ჰყავს. საინფორმაციო ომში, რომელსაც აშშ ბოლივიის პრეზიდენტის წინააღმდეგ აწარმოებს, გამოიყენება ყველაფერი, ოღონდ კი საზოგადოებას კიდევ ერთხელ უთხრან, რომ იგი „არ შეესაბამება“ თავის მაღალ რანგს. განსაკუთრებით სასტიკი შეტევები ხორციელდება „შავი პროპაგანდის“ არხებით ბოლივიის ლიდერის „რასობრივი არასრულფასოვნების“ თემაზე აქცენტებით.

დეკოლონიზაციის დღესთან დაკავშირებით (ბოლივიაში ასე უწოდებენ ამერიკის აღმოჩენის დღეს) ლა-პასში

გამოსვლისას ევო მორალესმა ბოლოს და ბოლოს მთელი პირდაპირობით გასცა საკადრისი პასუხი ვაშინგტონელი ცივილიზატორების მუდმივ გამოხდომებს: „ადრე ისინი, ვისაც კარგი კონტაქტები აქვთ აშშ-ის საელჩოსთან, ყოვლისშემძლენი იყვნენ, აღფრთოვანებას იმსახურებდნენ და არმიისა და პოლიციის მრავალი ოფიცერი იგზავნებოდა იქ, რათა ამერიკელებთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ. მაგრამ დღეს, მაპატიეთ გამოთქმისათვის, აშშ-ის საელჩოსთან კავშირი იგივეა, რაც ეკსკრემენტებში ჩაფლობა“.

მორალესის თქმით, დღეს ამერიკის საელჩოსთან ურთიერთობას უფრთხიან როგორც სამხედროები, ისევე პოლიციელები, რადგან ამგვარი ურთიერთობები ნეგატიურად აღიქმება ბოლივიელების მხრიდან და მაკომპრომატირებელ ფაქტორს წარმოადგენს. **ამერიკელ დიპლომატებს სულ უფრო ხშირად უყურებენ, როგორც ხალხისა და სახელმწიფოს მტრებს.** წინა ხელისუფლება ყველაფრით დამოკიდებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოზე, რომელიც „პრაქტიკულად, თავად ნიშნავდა მინისტრებს და ხოლო მაღალ თანამდებობებზე პოლიციისა და არმიის ოფიცრების დანიშვნას სანქცირებას უწევდა“. მორალესის ხელისუფლებამ ამ პრაქტიკას საბოლოოდ მოუღო ბოლო.

მეორე დღეს ქალაქ სანტა-კრუსში კუბაში განათლებამიღებული 630 ახალგაზრდა ექიმთან შეხვედრის საზეიმო ღონისძიებაზე მორალესი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა აშშ-ისა და ბოლივიის ურთიერთობას. „50-ზე მეტი წლის განმავლობაში, — განაცხადა მან, — ამერიკის შეერთებული შტატები ახერხებდა, ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, თავს მოეხვია ასიმეტრიული, უპატივცემული, ბოროტი განზრახვის მქონე, დომინირებადი და ჰეგემონური კავშირები“.

მორალესის თქმით, ვაშინგტონს არასდროს უფიქრია ბოლივიის განვითარებაზე და სთავაზობდა „კოოპერაციის“ ისეთ პროგრამებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა პროგრესს, უზრუნველყოფდა ქვეყნის საუკუნოვან დამოკიდებულებას მასზე. პრეზიდენტი ნარკოტრაფიკ-

თან ბრძოლის თემასაც შეეხო. იგი მიიჩნევს, რომ ვაშინგტონი სინამდვილეში არასდროს მიისწრაფოდა იმისკენ, რომ ბოლივიაში ნარკოკარტელები დამარცხებულიყვნენ. აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს სტრატეგია ქვეყანაში შენდებოდა პრინციპით „რაც მეტია ნარკოტიკები, მით მეტი საფუძველია ჩარევისათვის, მით მეტი მიზეზი — ბოლივიის არმიისა და პოლიციის ვაშინგტონისათვის იდეოლოგიური და პოლიტიკური დაქვემდებარებისთვის“. **ამერიკის შეერთებული შტატები აკეთებდა ყველაფერს, რომ ქვეყანა ექცია „პოლიტიკურ პაიკად“, რომელიც „გლობალური უსაფრთხოების“ იმპერიული დოქტრინის ფარგლებში იმოქმედებდა. ამ პიროგებში ბოლივიის ბუნებრივი რესურსები აშშ-ის სრულ განკარგულებაში აღმოჩნდებოდა.**

მორალესის განცხადებით, აშშ-თან ურთიერთობის პერსპექტივა სასიკეთოს არაფერს გულისხმობს: ისინი ქვეყანას არასდროს აპატიებენ ნახშირწყალბადების საბადოების ნაციონალიზაციას. ადრე გრინგოს ფულს აძლევდნენ ვალად და სთხოვდნენ, მათი პოლიტიკური განრიგი დაეცვა. 2006 წლიდან, როდესაც მორალესმა პირველად გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში, ამ შავბნელ ტრადიციას ბოლო მოეღო. სუვერენიტეტის, ნამდვილი დამოუკიდებლობის, დამოუკიდებელი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის აღდგენა, სოციალისტური მრავალეროვნული სახელმწიფოს შენების კურსი — ეს ყველაფერი კატეგორიულად ეწინააღმდეგება აშშ-ის ინტერესებს. მორალესი დარწმუნებულია, რომ ამ მიზეზის გამო დაიწყო სწორედ ვაშინგტონის მხრიდან რეპრესიები, შეთქმულებისა და კონსპირაციის პერმანენტული პოლიტიკა: **„ამერიკის შეერთებულ შტატებს არასდროს აინტერესებდა, რომ ბოლივია გამხადარიყო დემოკრატიული, სოციალურად სამართლიანი ქვეყანა მოქალაქეების დიდი აქტივობით. პირიქით, აშშ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეხლიჩა ჩვენი ხალხი, შეეჯახებინა ერთმანეთისთვის“.**

მორალესის თქმით, ამ გეგმის რეალიზაციისთვის ბოლივიაში გაიგზავნა ფილიპ გილდბერგი — დესტაბილიზაციის საქმეთა ექსპერტი: „ის ქვეყანაში ჩამოვიდა იუგოსლავიის გაყოფის, იქ რასობრივი სიძულვილის გაჩაღების, ათასობით მსხვერპლის მომტანი სამოქალაქო ომის გაჩაღების შემდეგ. გოლდბერგს სურდა, რომ ბოლივიაც იუგოსლავიად ქცეულიყო და ამიტომაც პირადად ედგა სათავეში შიდა კონფრონტაციის გაჩაღებას“.

პრეზიდენტი მორალესი მუდმივად ახსენებს თანამემაულეებს აშშ-ის საელჩოს დამანგრეველი მოღვაწეობის ფაქტებს. საბოტირებულ იქნა კონსტიტუციური ასამბლეის ჩატარება, წახალისებულ იქნა სეპარატიზმი ბოლივიის ხუთ პროვინციაში, სადაც ნახშირწყალბადების მარაგების მთავარი რეზერვია განლაგებული და საიდანაც იქმნება საერთო შიდა პროდუქტის 75-80%.

რეფერენდუმის შედეგების მიუხედავად, ბოლივიელების ორმა მესამედმა მხარი დაუჭირა ევო მორალესის სოციალურ-პოლიტიკურ კურსს! — ამერიკელი დიპლომატები და აგენტები, ასრულებენ რა ვაშინგტონის ინსტრუქციებს, აწარმოებდნენ მეთოდურ, მასშტაბების მიხედვით, უპრეცენდენტო სამუშაოს ქვეყნის გახლეჩის მიმართულებით.

ამ მიზნისთვის მილიონობით დოლარი იხარჯებოდა. „USAID“-ის გავლით იქმნებოდა „დამრტყმელი“ ახალგაზრდული ჯგუფები, ფინანსდებოდა მიტინგები და დემონსტრაციები, ფინანსდებოდა რადიკალური მოქმედებები. ამერიკის საელჩოს თვითმფრინავი გამოიყენებოდა ოპოზიციონერების გადასაგზავნად ბენისა და პანდოს პროვინციებში, რათა დაბლოკილიყო აეროპორტები და არ დაეშვათ იქ მდგომარეობის ნორმალიზებისთვის ევო მორალესის ჩასვლა.

2008 წლის სექტემბერში ბოლივიის პრეზიდენტმა გამოაცხადა ელჩ გოლდბერგის გაძევების თაობაზე და იგი ქვეყანაში სეპარატისტული მოძრაობის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ასევე გაძევებულ იქნენ ამერიკის წარმომადგენლები, მათ შორის ცსს-ც, რომელიც ბოლივიელ სამხედროებთან და პოლიციასთან გადაბირების სამუშაოე-

ბის წარმოების შედეგად უთვალთვალებდნენ პრეზიდენტ მორალესის გადაადგილებას. უსაფრთხოების სამსახურმა ამ დევნისა და თვალთვალის ინტენსიფიკაცია შეაფასა, როგორც თავდასხმის მზადების ნიშანი. **„მხოლოდ აშშ-ის ელჩის გაძევების შემდეგ შევძელით ამ ღრმა და მიზანმიმართული მანევრების აღკვეთა, ცვლილებების პროცესის წინააღმდეგ შეთქმულების შეჩერება. მინდა დავადასტურო, რომ არ ვნანობ მიღებულ გადაწყვეტილებად და ვამაყობ იმით, რომ ბოლივიის ღირსებისა და სუვერენიტეტის სახელით ელჩი გაძევებულ იქნა“,** — განაცხადა მორალესმა.

მიუხედავად ამისა, აშშ-ის საელჩოს დესტრუქციული მოღვაწობა გრძელდება. **ცნობილია ფაქტები, როდესაც ამერიკის დიპლომატიური ნომრების მქონე მანქანებით იარაღი გადაჰქონდათ, დოკუმენტურად დადასტურებულია ინდიელთა ტომების წაქეზება მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებისკენ, გამოაშკარავებულია ბოლივიის ტერიტორიაზე ცსს-ის მიერ მისივე აგენტებისგან შემდგარი ტერორისტული დაჯგუფების განთესვის მცდელობა. ამ დაჯგუფების პრაქტიკულად ყვე-**

ლა წევრმა საბრძოლო მომზადება ბალკანეთში გაიარა. ტერორისტების ნაწილი განადგურებულ იქნა ბოლივიის პოლიციის სპეცოპერაციის შედეგად, დანარჩენები კი სამწლიანი გამოძიების შემდეგ სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯგუფის 39 წევრიდან 17-მა ბოლივიიდან გაქცევა მოახერხა და ამჟამად აშშ-ში იმალება. განსასჯელებს გავლენის სხვადასხვა არხით ფინანსურ და პროპაგანდისტულ მხარდაჭერას არ აკლებენ. **აშშ-ის საელჩო აწარმოებს სასამართლო პროცესის საგულდაგულო მონიტორინგს, ცდილობს, წარმოადგინოს ის, როგორც მორალესის მთავრობისათვის პოლიტიკურად მომგებიანი დადგმა.**

2011 წლის ბოლოს ბოლივიამ გადაწყვიტა, აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. კონსულტაციების შემდეგ ხელი მოეწერა ჩარჩო-ხელშეკრულებას. ასევე იგეგმებოდა ელჩების დაბრუნება ვაშინგტონსა და ლა-პასში. 2012 წლის იანვარში ხელი მოეწერა ნარკოტრაფიკთან ბრძოლის ხელშეკრულებას. თებერვალში დაიდო ხელშეკრულება ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ 2012 წლის 7 მარტს დაახლოების პროცესი კვლავ ჩაიშალა: **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნარკოტრაფიკთან ბრძოლის სერტიფიცირების დოკუმენტში ბოლივიის მცდელობებს „ჩავარდნის“ კვალიფიკაცია მისცეს. 2012 წლის მარტშივე ვენაში გაეროს ნარკოტიკების კომისიაში გამოსვლამდე მორალესმა პრესკონფერენციაზე ამერიკის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო ბოლივიაში არალეგალურ მოღვაწეობაში დაადანაშაულა.** ნარკოორგანიზაციების გამოაშკარავებაში, ნარკოტვირთების დაკავებაში, დამნაშავეთა დაკავებაში წარმატების მიუხედავად, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველომ კვლავაც არ აღირსა ბოლივიას სერტიფიცირება. მორალესმა ეს ზეწოლის ღია მცდელობად მიიჩნია: „ამერიკელები მუდამ ამდაბლებენ ამ სფეროში ჩვენს მიღწევებს, თუმცა გაერო აღიარებს ჩვენს წარმატებებს. ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო ამერიკის შე-

ერთებული შტატების პოლიტიკური ინსტრუმენტია, რომელიც მუდამ მზადაა ნეგატიური ინფორმაციის გასაცემად. ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ოპერაციები ემსახურება პოლიტიკოსთა და პროფკავშირების ანტიიმპერიული ხელმძღვანელების კომპრომეტირებას. სწორედ ამ მიზეზით განვდევნეთ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო“.

ბოლივია წერტილის დასმას აპირებს USAID-თან ურთიერთობაში და მასთან დაკავშირებული დემოკრატიისა და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტების ნაციონალურ ფონდთან. ისინი ასტიმულირებენ ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ კამპანიებს, აფინანსებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ყველაზე მტრულად განწყობილთა შორისაა ასოციაცია „ახალგაზრდობა განვითარებისთვის“, განვითარებისა და მართვადობის ინსტიტუტი, უფლებადამცველთა მომზადების ორგანიზაცია და სხვები. ქვეყანაში მოღვაწეობის წლებში USAID-მა ქვეყანაში ინტელექტუალური ელიტის, ჟურნალისტებისა და სტუდენტობისგან შექმნა აქტიური „მეხუთე კოლონა“. **USAID-ს ბოლივიაში აქვს ანალიტიკური სააგენტოები, რომელშიც ჩამოყვანილი და ადგილობრივი ექსპერტები ამუშავებენ ხელისუფლებაზე თავდასხმის სცენარებს.** USAID-ის დირექტორად ბოლივიაში ვეინ ნილსესტუენი მუშაობს და წარმომადგენლობით ფუნქციებს ასრულებს, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით მუშაობს ცსს-ს ოპერატიული თანამშრომლების რაზმი, რომლის ყველა წევრს დიპლომატიური პასპორტი აქვს. თავად ცსს-ს რეზიდენტურას საელჩოს „პოლიტიკური სექცია“ ჰქვია. ბოლივიური კონტრდაზვერვა მშვენივრადაა ინფორმირებული იმის შესახებ, თუ ვინ ვინაა ამ რაზმში — რეზიდენტი ჟოფრეი სჩადრაკი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიმართულებების თანამშრომლები, ახალგაზრდა ბიჭები: რიჩმონდ ბლეიკი, რობერტ კროტი, ერიკ კამიუსი, ერიკ ვიტინგტონი და სხვები. საელჩოში არიან აშშ-ის ძირითადი სპეცსამსახურების წარმომადგენლები, მათ შორის სამხედრო დაზვერვისაც.

ბოლივიის საქმეებში რწმუნებული ამჟამად ლარი მემოტია. მისი დიპლომატიური კარიერა 1987 წელს დაიწყო: იგი ვიცე-კანცლერად მუშაობდა ლა-პასეში. ამის შემდეგ მემოტი დახელოვნდა, ძირითადად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. 2008-2011 წლებში მას მუშაობა მოუხდა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების — უზბეკეთისა და ყირგიზეთის დედაქალაქებში, სადაც რუსული ენის ცოდნა დიდად გამოადგა. ცხადია, მემოტი ყოველგვარი სიმპათიის გარეშეა განწყობილი ინდიელი პრეზიდენტის „პოპულისტური რეჟიმის" მიმართ, მაგრამ იგი რომანტიკული ადამიანია და გარეგნულად ნაკლებად წააგავს იმ ცსს-ელებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ საიდუმლო ციხეებში ადამიანებს აწამებენ. ის დიპლომატიურ ჯაშუშობაზე მეტად ქვეყნის დათვალიერებითა და ფოტორეპორტაჟების კეთებითაა დაინტერესებული. ბლოგსაც კი აწარმოებს, რათა ადამიანებს ქვეყნის შესახებ საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიაროს.

საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რამდენად მოახერხებენ მემოტი და მისი რაზმი მუშაობას ბოლივიური მივლინების ბოლომდე ქვეყნის ხელისუფლებასთან სერიოზული კონფლიქტების გარეშე. ევო მორალესმა იგი გააფრთხილა: „ბოლივია არის ანტიიმპერიალისტური, ანტიკაპიტალისტური, ანტილიბერალური ქვეყანა. თუ აშშ-ის საელჩო შეაწუხებს ბოლივიას, როგორც ამას დღემდე აკეთებდა, გაფრთხილებთ, რომ ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩება, გარდა იმისა, რომ ეს საელჩო საერთოდაც დავკეტოთ".

პრეზიდენტი მორალესის სიტყვა და საქმე ერთმანეთისგან შორიშორს არ დგას.

© „ღუნსკბაუმ ბეგ ათანასიანი“

აშშ-ის ბოისკაუტების ორგანიზაცია პედოფილების ბუნაგი აღმოჩნდა

ორეგონის შტატის უმაღლესმა სასამართლომ საიდუმლოების გრიფი მოხსნა პედოფილების შესახებ დაგროვილ 1200 ფაილს, რომელთაც საგულდაგულოდ მალავდა აშშ-ის ბოისკაუტების მთავარი ორგანიზაცია „Boy Scouts of America“. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მანამდე გასაიდუმლოებული დოკუმენტები ინტერნეტში გავრცელდა.

ამ დოკუმენტების კითხვისას ტკივილს განვიცდით იმ ტანჯვის გამო, რომელიც ათობით არასრულწლოვანმა გადაიტანა, — განაცხადა ადვოკატმა პოლ მონსმა, რომელიც ერთ-ერთი პირველი გაეცნო ფაილებს. — ჩანაწერები იწარმოებოდა 1965-დან 1985 წლამდე. ბოლო პერიოდამდე ეჭვიც კი არავის გასჩენია, რომ ბოისკაუტებს შორის რაიმე მსგავსი შეიძლებოდა მომხდარიყო“.

საუბარია დაახლოებით ხუთი ათას ფაქტზე, რომელთა დროსაც ორგანიზაციის თანამშრომლები ან მოხალისეები არასრულწლოვანებზე ძალადობდნენ.

ორგანიზაციის რამდენიმე თანამშრომლის სასამართ-

ლოს ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა. ათეულობით ამერიკელი დაუკავშირდა სპეცსამსახურებს და განუცხადა, რომ მზადაა, პედოფილების წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. გარდა ამისა, ბოისკაუტების ორგანიზაციებიდან ათასობით ამერიკელმა წაიყვანა თავისი შვილი. ზოგიერთი უფლებადამცველი მიიჩნევს, რომ ამერიკაში ყველაზე პოპულარული ახალგაზრდული მოძრაობა გადაშენებას ვერ გადაურჩება.

დღეისათვის ორგანიზაცია „Boy Scouts of America“ ამერიკის შეერთებულ შტატებში არასრულწლოვანთა რაოდენობის მხრივ ყველაზე დიდი გაერთიანებაა. 1910 წელს შექმნილმა ამ სტრუქტურამ 2,7 მილიონი წევრი და 1,1 მილიონი მოხალისე გააერთიანა. გამორიცხული არაა, რომ ძალიან მალე ორგანიზაციას სახელი შეეცვალოს, სკანდალური რეპუტაციის ჩამოშორების მიზნით. ჯერჯერობით კი ამერიკის ბოისკაუტების ორგანიზაციის შესახებ გამოძიებას გამოძიების ფედერალური ბიურო განაგრძობს.

© „ღვინისმცოდნე ათასეულები“

რამდენი კოლონია აქვს აშშ-ს

პლანეტა მოლოდინისგან ერთ ადგილას გაიყინა. ყველა სულგანაბული მისჩერებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და ელოდა, თუ ვინ დაიკავებდა მთავარ სავარძელს თეთრ სახლში. სინამდვილეში მთელ პლანეტას ფეხებზე კიდია, ვინ იქნება ამერიკის პრეზიდენტი, მაგრამ არავის კიდია ფეხებზე ის, თუ როგორ საგარეო პოლიტიკას გაატარებს ეს ადამიანი. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მსოფლიოში ჯერ კიდევ შემორჩნენ გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის შეცვლით ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა რამენაირად განსხვავებულ გზას დაადგება...

ყველა მოვლენა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, იმაზე მიანიშნებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისევე, როგორც საკუთარი თავის იმპერიად წარმომდგენ ნებისმიერ სხვა ქვეყანას, ერთადერთი და უცვლელი კურსი აქვს და ამ კურსის მიზანია ტოტალური მსოფლიო მბრძანებლობის მიღწევა ყველა არსებული რესურსის გამოყენებით. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ეს მსჯელობა გააკრიტიკოს და მას შეშლილი ამერიკანოფობის ბოდვა უწოდოს, მაგრამ ამაში არაფერია მიკერძოე-

ბული და ამ თვალსაზრისის გასამართლებლად მხოლოდ მსოფლიოს პოლიტიკური რუკის გადახედვაც კი კმარა. არსებობს მსოფლიოში რეგიონი, რომელშიც ჯერ კიდევ არ მოუკიდებიათ ფეხი ან არ ცდილობენ ფეხის მოკიდებას ჩვენი „პარტნიორი“ ამერიკელები? ამგვარი რეგიონის ძებნას, შესაძლოა, უსასრულოდ ბევრი დრო დასჭირდეს.

დღეს უკვე შეიძლება საკუთარ თავს გამოუტყდე იმაში, რომ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა რეალობას არ შეესაბამება. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკად მოიაზრება დოკუმენტი, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოების საზღვრებს ასახავს. ენციკლოპედიური მონაცემების თანახმად, მსოფლიოში დღეისთვის 194 დამოუკიდებელი სახელმწიფო და 20 არამდგრადი პოლიტიკური სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეული არსებობს. მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, დე იურე მონაცემებია, დე ფაქტო კი — მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიომ კოლონიალური მსოფლიო წყობის ახალი ფორმა მიიღო. ამ ფორმის პირობებში მსოფლიო რუკაზე რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება.

ის, რასაც ორპოლარული მსოფლიო ერქვა, სინამდვილეში იყო მსოფლიო, რომელსაც ორად ყოფდა ორი მეტროპოლია — აშშ და სსრკ. პოლიტიკური პოლუსები ერთმანეთთან კონფლიქტში იყვნენ, ამასთან, თავად მსოფლიოს მდგრადობა შეურყეველი რჩებოდა. ბირთვული იარაღის ქონა და ჯანსაღი აზრი არ აძლევდა საშუალებას მხარეთაგან არც ერთს, რომ თავისი მოწინააღმდეგისთვის ღია სამხედრო დარტყმის მიყენებით გადაეწყვიტა ესა თუ ის საკითხი. აქედან გამომდინარე, დაპირისპირება იატაკქვეშეთში მიმდინარეობდა და ხანდახან იჩენდა ხოლმე თავს „მესამე“ ტერიტორიებზე, რომლებიც გარემოებათა დამთხვევის წყალობით ან საერთოდ არ იყო პოლუსების ძალთა მოქმედების არეალში (ავღანეთი), ან გაყოფილი იყო ამ პოლუსებს შორის (ვიეტნამი, კორეა).

დრო მიდიოდა და რუკაც იცვლებოდა. დაპირისპირება

ახალ ფაზაში გადადიოდა და 1991-მა წელმა მსოფლიოს იმის შესახებ ამცნო, რომ ორპოლარულ მსოფლიოს დიდი დღე აღარ ეწერა. პოლუსი ერთადერთი დარჩა, რაც, ფაქტობრივად, დედაბუნების კანონებს ეწინააღმდეგებოდა. არადა, ჩვენ ხომ ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ვიცით, რომ ბუნებაში არ არსებობს ერთპოლუსიანი მაგნიტები. თუ ფიზიკაში კანონებიდან უცნაური გადახვევები და გამონაკლისები გვხვდება, პოლიტიკაში კანონებზე საერთოდ არაა საუბარი: ყველა ცდილობს, იდაყვი გაჰკრას თავის უახლოეს მოწინააღმდეგეებსა თუ კონკურენტებს და როგორმე ზედაპირზე ამოტივტივდეს.

ომისშემდგომი მსოფლიოს კოლონიალური სტადია 1991 წლიდან სულ უფრო მეტად გამოვლინდა. სახელმწიფოები, რომლებიც თავს იმ აზრით იმშვიდებდნენ, რომ უზომოდ დამოუკიდებლები აღმოჩნდნენ, ვაშინგტონისთვის ერთგულების შეფიცვაზე გადავიდნენ და იმაზე ალაპარაკდნენ, თუ რამდენად ახლოსაა დემოკრატიული იდეალები მათი მმართველებისა და ხალხისთვის. ახლადგამომცხვარი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ლიდერები აუცილებლად უნდა ჩასულიყვნენ ვაშინგტონში, რომ იქ მათთვის მხარზე ხელი შემოერტყათ და შეექოთ. ამასთან, რაც უფრო მეტი პრეზიდენტი, პრემიერი თუ სხვა ფსევდოლიდერი აცხადებდა, რომ სამუდამოდ და უკან მიუხედავად გაწყვიტეს კავშირი კომუნისტურ წარსულთან, მით უფრო უხვსიტყვიანი იყო მათი მისამართით წარმოთ-

ქმული ქებაც, მეგობრობისა და მხარდაჭერის მით უფრო მეტ დაპირებას იღებდნენ ისინი მეტროპოლიისგან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ჩანს, ზეიმობდნენ გამარჯვებას და ძლივს ასწრებდნენ სიაში მონიშვნების აღნიშვნას ახალი კოლონიების სახელების წინ. ახლა უკვე თავისუფლად შეიძლებოდა ამ კოლონიების მართვა თავიანთი ვასალების ადგილებზე დანიშვნით და ახალი და ახალი რესურსებით სარგებლობა.

მაგრამ, როგორც ყველა იმპერიის შემთხვევაში იყო, რომელსაც ძალის მხრივ საპირწონე არ ჰყავს, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც გადახდა შემდეგი ისტორია: ამ ქვეყანაში მსოფლიოს ტოტალური მბრძანებლობით თამაში დაიწყეს. ეს იმას ჰგავს, რომ ბავშვმა დიდხანს ითამაშოს ჯარისკაცობანა და შემდეგ საკუთარი თავისთვისაც მოულოდნელად რეალურ სამყაროშიც მოინდომოს ამ თამაშის გმირობა.

ახალი და ახალი კოლონიების დაუფლების წყურვილმა დაიპყრო ამერიკის ხელმძღვანელი პირებისა და იმ ძალების ტვინები, რომლებიც ამ ხელმძღვანელების უკან დგანან. თამაში ნელ-ნელა გადავიდა იმ სტადიაში, რომლის დროსაც ამ ადამიანებმა საკუთარი თავისთვის დაიწყეს მტკიცება, რომ სწორედ ასე მოქცევა იყო საჭირო. **ამერიკელი ლიდერები ასი პროცენტით დარწმუნებულნი არიან, რომ, თუ მათ ჯარები შეჰყავთ ერაყში, ავღანეთში და შემდეგ ყველგან, ამით ამ ქვეყნების ხალხებს ეხმარებიან. მათ აბსოლუტურად ავიწყდებათ, რომ ეს კოლონიზატორული აქტივობის მორიგი გამოვლინებაა, რაც, როგორც ჩანს, უკვე ავადმყოფობად იქცა.**

ამ სიტუაციას შეიძლება ამერიკის პოლიტიკური ელიტების ქრონიკული სინდრომი ეწოდოს. სინდრომი იოლად დიაგნოსტირდება, მაგრამ მთელი მსოფლიოს სამწუხაროდ, ამ სინდრომისგან განკურნება ჯერჯერობით არანაირ პოლიტიკურ ძალას არ შეუძლია. სინდრომი, როგორც ნებისმიერი ქრონიკული დაავადება, მკაცრად განსაზღვრულ დროის მონაკვეთებში ვლინდება: საპრეზიდენტო არჩევნებს შორის პერიოდში. კანდიდატობის პერიოდში ყველა პაციფისტია და მსოფლიოს დამოუკიდე-

ბელ განვითარებას ჰპირდება, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე ნებისმიერი არჩეული უმალ ხდება ზემოხსენებული სინდრომის მსხვერპლი და მისი წინასაარჩევნო დაპირებები ჰაერში ორთქლდება. სამაგიეროდ, ნაწვიმარ მიწაზე სოკოსავით მრავლდებიან ამერიკის სამხედრო ბაზები.

სიმართლე რომ ითქვას, დღევანდელი მსოფლიო ერთი დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური კოლონიაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ექვემდებარება. ამ კოლონიის ნაწილები კი ამა თუ იმ ხარისხით დამოკიდებულნი არიან მეტროპოლიაზე. ამერიკა იმავე კოლონიზატორული გავლენის მოხვევას ცდილობს რუსეთზეც და მის ყველა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, რომელიც თვალში არ მოუვა, საინფორმაციო ომით უპირისპირდება. არადა, რუსეთში ადრეც შეიარეს „ბატონებმა“ გარკვეული დროით, მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც ცნობილია, მდინარე უგრასთან დასრულდა...

იქნებ ღირს, ახალ და ერთადერთ მეტროპოლიას იმპერიის ისტორია შევახსენოთ, თორემ, როგორც ჩანს, მათ სახელმძღვანელოებში ისტორიულ მოვლენებს სრულად არ აშუქებენ...

ამერიკელი ფსიქიატრები ადამიანებს ასახიჩრებენ

იმის თაობაზე, რომ აშშ ფსიქიატრიული ავადმყოფების რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა, არაერთხელ დაწერილა. ეს სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სოციოკულტურულ ბაზისს, რომელსაც ამერიკული კულტურის საფუძვლები ეყრდნობა. მაგრამ ფსიქიური გადახრების მქონე ადამიანების რაოდენობის ზრდაში არც თუ მცირე წვლილი შემოსავალს გამოდევნებულმა თავად ამერიკულმა ფსიქიატრიამაც შეიტანა.

ზოგიერთი ფსიქიატრი ირწმუნება, რომ მსოფლიოში 1 მილიარდ ადამიანს ფსიქიური გადახრები აქვს და შესაბამისად, სპეციალისტის დახმარებას საჭიროებს. ამ მილიარდის არც თუ მცირე ნაწილი თავად აშშ-ში ცხოვრობს. **მხოლოდ ამერიკელი მოსწავლეებიდან 17**

© „ადამიანური გზა ათასფაფეი“

მილიონი მოზარდი რეგულარულად სვამს ანტიდეპრესანტებს.

დეპრესია ამერიკის ცხოვრების წესის აუცილებელი ატრიბუტია და ფსიქიატრებსაც ჯიბის გასქელების მშვენიერი შანსი აქვთ.

გახმაურებული წიგნის „სიგიჟე ამერიკაში“ ავტორი რობერტ უიტაკერი წერს, ხშირად ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ჯანმრთელი ადამიანები არიან გამოკეტილნი და ამის მიზეზი ფსიქიატრების მიერ მეტი გასამრჯელოს მიღების სურვილიაო. **უკანასკნელი 40 წლის მანძილზე ამერიკის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში უფრო მეტი ამერიკელი მოკვდა, ვიდრე 1776 წლიდან მოყოლებულ ყველა იმ ომში ერთად, რომლებშიც აშშ მონაწილეობდა.**

ფსიქიატრია, როგორც მეცნიერება, ინგლისში წარმოიშვა და იქვე გაჩნდა ციხის მსგავსი პირველი საავადმყოფო ბედლამიც. ახლა ეს უკვე ზოგადი სახელია ამგვარი დაწესებულებებისთვის. **ბედლამი ექიმების მიერ გიჟად მიჩნეულების ნამდვილ საწყობად იქცა. და ვინაიდან იმხანად მეცნიერებას ცოდნისა და გამოცდილების დიდი მარაგი არ გააჩნდა, გიჟად ძალიან ხშირად აბსოლუტურად ნორმალურ ადამიანებსაც აცხადებდნენ. ბედლამში პაციენტებისადმი მოპყრობა გულისხმიერებით ცალსახად არ გამოირჩეოდა — მათ სცემდნენ, ყინულიან წყალში აყურყუმალავებდნენ, სკამზე აბამდნენ და ზომიერ ფასად საზოგადოებას მათი ნახვის საშუალებასაც აძლევდნენ.**

ჩვენი თანამედროვე, ექიმი ტაი კობერტი ირწმუნება, რომ ფსიქოდაავადებების ბიოლოგიურ ხასიათზე მხოლოდ ფულის მიღების გამო ალაპარაკდნენ.

1812 წელს ჯეიმს რაში, ამერიკული ფსიქიატრიის მამა, თავის საბრალო ავადმყოფებზე მიღებულ გამოცდილებას აღწერდა. მან ეს ავადმყოფები განკურნების ნაცვლად სამუდამოდ დაასახიჩრა.

მედიცინის ისტორიის ცენტრის დირექტორის მოადგილის ჯოზეფ მელინგას განცხადებით, **„1860-1870 წლებ-**



ში ფსიქიატრების ხელში მოხვედრილი თეთრკანიანების განკურნების შემთხვევა არ დაფიქსირებულა“ და როგორც ევროპაში, ასევე ჩრდილოეთ ამერიკაში ფსიქიატრიისადმი პესიმისტურმა დამოკიდებულებამ იმძლავრა.

ამ დროს მედიცინის სცენაზე ჰენრი კოტონი გამოჩნდა და „ფსიქიატრიულ სასწაულზე“ კვლავ ალაპარაკდნენ. მაგრამ **კოტონის „სასწაული“ გესტაპოს მეთოდებისგან არაფრით განსხვავდებოდა. მან ფსიქიატრიული გადახრების მკურნალობის მთავარ მეთოდად ამპუტაცია გამოაცხადა და პაციენტებს აჭრიდა ყველაფერს, რისი მოჭრა და ამოჭრაც აზრად მოსდიოდა.** ამის გამო პროფესორი ტომას საში წიგნში „მითი გონებრივ დაავადებებზე“ აცხადებს, რომ „ფსიქიატრიის ისტორია პაციენტისთვის ზიანის მიყენების ისტორიაა“.

ამერიკული ფსიქიატრია მჭიდრო კავშირშია ნაცისტების მიერ პოპულარიზებულ რასისტულ მეცნიერება ევგენიკასთან. ევგენიკის მიღწევები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ადოლფ ჰიტლერზე, რომელმაც თავის ბიბლიად ამერიკელი ევგენიკელის, მედისონ გრანტის შრომა „დიდებული რასის წასვლა“ გამოაცხადა.

გერმანელმა ევგენიკელებმა დიდად გაიხარეს ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლით და 1933 წელს ესესელთა ჯარებში უკვე გერმანელ ფსიქიატრთა 40% მსახურობდა. **როდესაც 1946 წელს ისინი პასუხისგებაში მის-**

© „ადამიანური ფაქტორი“

ცეს ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებზე ცდების ჩატარების გამო, მათ ამერიკელი ფსიქიატრები გადაეფარნენ!

ამგვარი გამოსარჩლებით სასამართლოს გადარჩენილი უამრავი ევგენიკოსი ამერიკაში გადასახლდა და ამა თუ იმ რასის სრულყოფილების დასადგენად ექსპერიმენტებიც იქ გაგრძელდა. **ამერიკისთვის ეს აბსოლუტურად შესაფერისი კვლევები იყო: ჯერ კიდევ 1830-იანი წლებიდან ხომ თავად ამერიკელი ფსიქიატრები ცდილობდნენ შავკანიანი მოსახლეობის გონებრივი არასრულფასოვნების დამტკიცებას.** მაშინ ჯეიმს რაშმა „ზანგობა“ სამედიცინო ტერმინად აქცია და ყველა ზანგი მემკვიდრეობით არასრულფასოვნად ჩაითვალა. მან შავკანიანობა კეთრს გაუთანაბრა და მათი სეგრეგაცია სამედიცინო აუცილებლობით გაამართლა. **იმავე პერიოდში სემუელ კარტრაიტმა, ლუიზიანის სამედიცინო ასოციაციის წევრმა, კიდევ ერთი ტერმინი — დრაპეტომანია დაამკვიდრა. ეს სიტყვა ნიშნავდა, რომ, თუ შავკანიანი მონა ბატონს გაექცა, ის შეურაცხადია. ამ „ავადმყოფებისთვის“ მკურნალობად გაროზგვა და ფეხის თითების დაჭრა ითვლებოდა.**

ძალადობის ცენტრის ხელმძღვანელი, ფსიქიატრი უესტი აფრო და ლათინოამერიკელი მამაკაცების ტვინში ელექტროდების ჩადგმის იდეამ შეიპყრო და ირწმუნებოდა, რომ მათი აგრესიული ქმედება პირდაპირ ტვინზე დენის დარტყმით თავიდან იქნებოდა აცილებული. **თუ ეს არ უშველიდა, უესტს ქიმიური კასტრაციის გეგმაც მზად ჰქონდა.**

მადლობა ღმერთს, საზოგადოება ამ მხეცურმა გეგმებმა იმდენად აღაშფოთა, რომ უესტს მათ განხორციელებაზე უარის თქმა მოუხდა.

ფსიქიატრიის „განვითარებაში“ თავიანთი წვლილი შეიტანეს მეცნიერმა-ბიჰევიორისტებმაც. მათი კრედო გამოიხატებოდა ფორმულით, რომლის თანახმადაც ფსიქოლოგიის საგანი ქცევაა და არა ცნობიერება. **ვილჰელმ ვუნდტმა, იმხანად ცნობილმა ბიჰევიორისტმა ადამიანი პასიურ ცხოველად, აზროვნება კი — ტვინის ქიმიურ**

რეაქციად გამოაცხადა. იმავე მიმდინარეობის თაყვანისმცემელმა ფსიქიატრმა სკინერმა შექმნა „სკინერის ყუთი“, რომელშიც ტემპერატურიდან განათებამდე ყველაფერი რეგულირდებოდა. ერთ წელზე მეტ ხანს სკინერს ამ ყუთში საკუთარი ქალიშვილი ჰყავდა გამომწყვდეული და, როგორც საცდელ ცხოველს, გარეგან სტიმულებზე რეაგირებას აიძულებდა.

1948 წლიდან ამერიკულმა ფსიქიატრიამ ბიუჯეტიდან 19 მილიარდი დოლარი მიიღო, ახლა მას ყოველწლიურად 40 მილიონი აქვს, მაგრამ ჯეიმს რაშისა და ბედლანის მეთოდები ამ დრომდეც ძალაში რჩება. **მაგალითად, სამართალდამრღვევთა სკოლა-ინტერნატებში მიმდინარე „ავარსიული თერაპია“ სხვა არაფერი იყო, თუ არა ფიზიკური ზემოქმედების ექსპერიმენტები. სხეულზე მიმაგრებული სადენებით ახალგაზრდა დამნაშავეებს 270-ვოლტიან დარტყმებს აყენებდნენ, ვინც სადენების მოშორებას შეეცდებოდა, დამატებით კიდევ ერთი დარტყმით ისჯებოდა.**

ამავე სასჯელს იმსახურებდა ყველა, ვინც დარტყმის მოლოდინში წინასწარ ყვიროდა.

ფრიმენი, რომელიც ლობოტომიის მეთოდის გამოგონებითაა ცნობილი, ირწმუნება, რომ ამით ფსიქიურ დაავადებებს კურნავს. თუ ფრიმენამდე ლობოტომია თავის ქალაში ნახვრეტების გაკეთებას ნიშნავდა, ახალი მეთოდით პაციენტებს გახვრეტის გარეშე, პირდაპირ წარბქვეშ ურჭობდნენ სადგისს, რომლითაც ფრიმენი მის ტვინში დაძვრებოდა.

როდესაც ერთ-ერთი პაციენტის გარდაცვალების გამო ფრიმენს ექიმის ლიცენზია ჩამოართვეს, მას 3500-ზე მეტი ამგვარი ოპერაცია ჰქონდა ჩატარებული. მისივე აღიარებით, ამ 3500-დან მეოთხედმა ადამიანის სახე დაკარგა.

კაპიტალიზმის მთავარი დევიზი ყველაფრისგან ფულის კეთებაა. ვაშინგტონი ფულს მედიცინითაც აკეთებს და ხშირად — სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეების ხარჯზე, მაგრამ არც თუ იშვიათად მსხვერპლნი თავად ამერიკელებიც ხდებიან.

© „ღვინისმცოდნეობა“

ჰოლივუდი ამერიკული სპეცსამსახურების სამსახურში



ერთი შეხედვით, ჭორად ვრცელდება ხმები იმის თაობაზე, თითქოს ჰოლივუდი კვლავაც რჩება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის, მათ შორის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სამიზნედ. კინემატოგრაფში პროპაგანდის თაობაზე აკადემიური კამათი თითქმის სრულად რეტროსპექტულია, მაგრამ მთელ რიგ კომენტარებში ყურადღება გამახვილდა პენტაგონთან ხანგრძლივ და ღია ურთიერთობებზე, ჰოლივუდის დახმარებით განხორციელებულ ფარულ გავლენაზე კიდევ უფრო ნაკლები იწერებოდა 9/11-ის შემდგომ მსოფლიოში. ამრიგად, ეს სამუშაო „ღრმა პოლიტიკის“ მინდორზე მიმდინარეობს და მისი სრულად გაგება ამჟამად შეუძლებელია, რადგანაც მასში ხელისუფლების ჩრდილოვანი მოთამაშეების გავლენა ფიგურირებს.

სხვადასხვა სახელმწიფო სააგენტოს (გამოძიების ფედერალური ბიუროდან დაწყებული, ნასათი და საიდუმლო სამსახურით დასრულებული) დღევანდელ ჰოლივუდში საკუთარი წარმომადგენლობა ჰყავს. ამ სააგენტოებიდან ზოგიერთს აქვს რაღაც, რაც სცენარების შეცვლის სანაცვლოდ შეიძლება შესთავაზონ, მაგრამ მათი გავლენა მინი-

მალურია. ამ მხრივ შესამჩნევ გამონაკლისს თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს. ამ „გახსნილმა“ უწყებამ ძლივს-ძლივობით დაუშვა ტინსელ ტაუნთან ურთიერთობის პუბლიკაცია, რომელშიც **კონსულტაციების, ხალხისა და ღირებული აღჭურვილობების (ავიამზიდებისა და ვერტმფრენების) სანაცვლოდ პენტაგონი სცენარების მნიშვნელოვნად შელამაზებას ითხოვს.** ამგვარი ცვლილებების მაგალითებია ფილმებში: „შავი შევარდენის ვარდნა“ (სადაც რეალური სამხედრო გმირის პერსონაჟი შეიცვალა მისი, როგორც ბავშვებზე მოძალადის სტატუსის გამო, ჯეიმს ბონდის ერთ-ერთ სერიაში, სადაც ამოიჭრა ხუმრობები „დაკარგული ვიეტნამის“ შესახებ), „ქართან მოლაპარაკეები“ (საიდანაც ამოჭრეს, თუ როგორ აცლიდნენ ოქროს კბილებს მკვდარ იაპონელ ჯარისკაცებს სამხედრო მეზღვაურები). მსგავსი მაგალითები ბევრია და პენტაგონი ამგვარ თანამშრომლობას ფილმების უდიდეს რაოდენობას სთავაზობს. მათ შორისაა: „ტოპ განი“, „მართალი სიცრუე“, „ნაბრძანებია განადგურება“, „პრეზიდენტის თვითმფრინავი“, „შიშის საფასური“, „ტრანსფორმერები“, „რკინის ადამიანი“ და ასე შემდეგ. არის ტელესერიალებიც, მაგალითად, „სამხედრო-იურიდიული სამსახური“.

ხელისუფლების ამგვარი ქმედებები, რომლებიც თავისთავად მორალისგანაც შორს დგას და თითქმის გაუხმაურებლადაც კეთდება, ცხადია, საზოგადოების საკეთილდღეოდაა გამიზნული. მაგრამ ცსს-ს ჰოლივუდურ საქმიანობაზე იგივე არ ითქმის.

1996 წელს ცსს-მ ზედმეტი პომპეზურობის გარეშე აღნიშნა თავისი ახალი ოფისის — „Media Liaison“-ის გახსნა და მას სათავეში ვეტერანი ჩეიზ ბრენდონი ჩაუყენა. ამ ახალი წარმომადგენლობის წყალობით, ცსს-ს შეეძლო ღიად ეწარმოებინა ურთიერთობები ჰოლივუდის კინომწარმოებლებთან, ცხადია, მკაცრი „კონსულტაციების“ რეჟიმში.

ჰოლივუდთან გახსნილად თანამშრომლობის გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა „სამუშაო ჯგუფის მოხსენება ცსს-ს დიდი აღმოჩენის შესახებ საზოგადოებისთვის“. ის

1991 წელს ცსს-ს მაშინდელმა დირექტორმა რობერტ გეიტსმა შეადგინა და ხელახლა ჩამოაყალიბა „ღია სამუშაო ჯგუფი“, რომელიც საიდუმლოდ განიხილავდა საკითხს, გამხდარიყო თუ არა საიდუმლო სამსახური ნაკლებად საიდუმლო. მოხსენებაში აღიარებულია, რომ **ცსს „ახლა თანამშრომლობს ყველა მსხვილი საინფორმაციო სააგენტოს, გაზეთისა და ქვეყნის სატელევიზიო ქსელის რეპორტიორებთან“;** მოხსენების ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ეხმარება მათ „ზოგიერთი „საიდუმლო სამსახურის ჩავარდნა“ „საიდუმლო სამსახურის წარმატებად“ აქციოს და შეიტანოს სხვადასხვა შესწორება სხვადასხვა სახის ინფორმაციის აურაცხელ რაოდენობაში“. ამის შემდეგ მოხსენებაში წერია, რომ **ადრე ცსს „რეპორტიორებს არწმუნებდა, გადაედოთ, შეეცვალათ, შეენახათ და საერთოდაც გადაეგდოთ ისტორიები, რომლებიც შეიძლებოდა ნეგატიურად ასახულიყო სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე...“**

ამ აღიარებამ წონა შეჰმატა იმ უამრავ მოხსენებასა და კონგრესში მოსმენას, რომლებიც 1970-იანი წლებიდან გრძელდება და რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ცსს ინარჩუნებს ღრმა კავშირებს ნაციონალურ და საერთაშორისო მასმედიაში და მის არაფორმალურ სახელწოდებას „ოპერაცია გადამსწორებელი“.

1991 წლის მოხსენებაში ცსს აღიარებს, რომ „აწარმოებს სააგენტოს შესახებ გარკვეული ფილმების — როგორც დოკუმენტურის, ასევე მხატვრულის — სცენარების მონიტორინგს ფილმების იმ მწარმოებელთა თხოვნით, რომლებიც მათ მიმართავენ სიზუსტისა და სისწორის დაცვის მიზნით“. ცსს გულმხურვალედ ირწმუნება, რომ, მართალია, „ხელი შეუწყო ზოგიერთი სცენის გადაღებას სააგენტოს შენობაში“, არ ცდილობს, „რაიმე როლი შეასრულოს ფილმების წარმოებაში“. მაგრამ ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ცსს, რომელიც ხანგრძლივად ინარჩუნებდა თავის ადგილს მედიასა და აკადემიებში, არანაირად არ ავლენს საკუთარ ინტერესს კინოინდუსტრიაზე გავლენის გასაძლიერებლად.

ნამდვილად არაა საკვირველი ის, რომ ცსს ჩართული იყო ბოლოდროინდელ ბლოკბასტერებსა და ტელესერიალებში. ტელესერიალ „სააგენტოს“ აღმასრულებელი პროდიუსერი ვოლფგანგ პეტერსონი, ფაქტობრივად, თანაავტორის სტატუსით თანამშრომლობდა ცსს-ს ყოფილ აგენტთან და მეზღვაურთან ბაზელ ბაზღთან; ასევე მასთან კონსულტანტებად მუშაობდნენ ცსს-ს სხვა ყოფილი აგენტებიც. ცსს-მ დიდი სიხარულით გაუღო კარი ამ ფილმს და თავის შტაბ-ბინაში გადაღებებისთვის დაუთმო შიდა თუ გარე მოედნები. ეს დაახლოებით იგივე მექანიზმი იყო, რაც გამოიყენეს პოპულარული სერიალის — „გამოძიების ფედერალური ბიუროს“ გადაღებისას. სერიალი ბიუროსთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა და მისი ყოველი ეპიზოდის ტიტრებში ედგარ გუვერს უხდიდნენ მადლობას. გარდა ამისა, სერიალ „სააგენტოში“ წარმოდგენილნი არიან ამერიკელი მზვერავები, რომლებიც თავდაუზოგავად ებრძვიან ბოროტმოქმედებს. ერთ-ერთ ეპიზოდში ისიც კია ნაჩვენები, თუ როგორ იხსნის სიკვდილისგან ცსს ფიდელ კასტროს. მაგრამ ყველაზე ირონიული ისაა, რომ რეალურ ცხოვრებაში ეს უწყება არაერთხელ ეცადა კუბელი ლიდერის სიცოცხლისთვის გამოსალმებას — 1999 წელს ჰავანამ ოფიციალურად დაადანაშაულა აშშ ფიდელ კასტროზე 637 თავდასხმის გამო. პრომოაქციები, სადაც პრემიერის წინ რეკლამირდებოდა შოუ 9/11, მიდიოდა ტიტრებით „ჩვენ გვჭირდება ცსს ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე“.

ტელეფილმში „ჯაშუშების კომპანია“ მთავარი გმირი ცსს-ს ყოფილი თანამშრომელია, რომელიც სააგენტოში იმისთვის დაბრუნდა, რომ ჩრდილოეთ კორეის მიერ შეპყრობილი სააგენტოს ოფიცრები იხსნას. ცსს-ს ეს პროექტი იმდენად მოეწონა, რომ საკუთარ თავზე აიღო მისი პრეზენტაცია; დახმარებას უწევდა ფილმის შემქმნელებს, გადასაღებ მოედნებად აქცია საკუთარი ოფისი და 50 გადამდგარი ოფიცერი პირდაპირ გადაღებებზე გაამწესა.

„ჯაშუშური“ მწერალი ტომ კლენსი ცსს-სთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირებით სარგებლობს. მას შემ-

დეგ, რაც მან 1984 წელს დაწერა „ნადირობა წითელ ოქტომბერზე“, და მას შემდეგ, რაც ამ ნაშრომის მიხედვით 1990 წელს ფილმიც გადაიღეს, იგი პირდაპირ ლენგლიში მიიწვიეს. მეორედ სააგენტოს მიწვევა მწერალმა „პატრიოტთა თამაშების“ წერისას მიიღო, ამ წიგნის მიხედვით ფილმის გადაღებებისთვის კი ლენგლის ობიექტებზე წვდომა იქნა დაშვებული. **„მსოფლიოს ყველა შიშში“ ნაჩვენებია, თუ როგორ ეძებს ცსს ტერორისტებს, რომლებიც აშშ-ის ტერიტორიაზე ბომბის აფეთქებას აპირებენ. ამ ფილმზე მუშაობისას ცსს-ს დირექტორმა ჯორჯ ტენეტმა პირადად უხელმძღვანელა ექსკურსიას ცსს-ს შტაბ-ბინაში, ფილმის ვარსკვლავმა ბენ აფლეკმა კი სააგენტოს ანალიტიკოსებთან გაიარა კონსულტაციები.**

მედიის წყაროები მიანიშნებენ იმაზეც, რომ ფილმების — „ცუდი კომპანია“ და „სახელმწიფოს მტრები“ გადაღებისას ცსს მუშაობდა ენტონი ჰოპკინსთან და კრის როკთანაც. ამ თანამშრომლობის დეტალები საზოგადოებისთვის არ გაუმხელიათ.

ტომ ჰენქსისა და რობერტ დე ნიროს მონაწილეობით გადაღებულ „ჩარლი უილსონის ომთან“ დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციაც არსებობს, მაგრამ ესეც ბევრი არაფერია. პროექტზე მუშაობისას ცსს სრულფასოვნად იყო საქმეში ჩართული. რობერტ დე ნირო კინოკონსულტანტთან და ცსს-ს გადამდგარ ოფიცერთან მილტ ბირდონთან ერთად იყო მოსკოვის კინოფესტივალზე.

ფილმებში კონსულტაციებზე ცსს-ს თანხმობის ჭეშმარიტი მიზეზები ნათლად ჩანს ცსს-ს ყოფილი მთავარი იურისკონსულტის — პოლ კელბოს ერთ-ერთ კომენტარში. 2007 წელს, ვირჯინიის კოლეჯში ყოფნისას, კელბომ ცსს-სა და ჰოლივუდის ურთიერთობაზე ლექცია წაიკითხა. ლექციას ადგილობრივი ჟურნალისტიც ესწრებოდა და დაწერა იმ ლექციის მიმოხილვა, რომელშიც კელბო ალ პაჩინოს მონაწილეობით გადაღებულ ფილმ „რეკრუტის“ შესახებ საუბრობდა. მისი თქმით, **გადასაღებ მოედანზე მუდმივად იმყოფებოდა ცსს-ს აგენტი კონ-**

სულტანტის სახით, მაგრამ მისი ნამდვილი ამოცანა იყო, არასწორი მითითებები მიეცა კინომწარმოებლებისთვის. „ჩვენ არ გვსურდა, რომ ჰოლივუდი ძალზე ახლოს მისულიყო სინამდვილესთან," — ამბობდა კელბო ლექციაზე.

მოგვიანებით კელბომ კატეგორიულად უარყო, რომ ოდესმე მსგავსი რამ უთქვამს და ამტკიცებდა, რომ ერთხელ ძალზე კონკრეტულად განიხილეს ცსს-ს ხელმძღვანელობასთან საკითხი იმის თაობაზე, რომ არავის და არასდროს ფილმების სიუჟეტზე გავლენის მიზნით არ დაუმახინჯებია სიმართლე.

სპეცსამსახურებს კინემატოგრაფიის ინდუსტრიაში ჩარევის ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ცსს-ს საბჭოსთან ფსიქოლოგიური სტრატეგიის მხრივ მომუშავე „პარამაუნტის" ხელმძღვანელებისთვის მიწერილი საიდუმლო აგენტის — ლუიჯი ლურაშის წერილები ინახება პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ბიბლიოთეკაში. მათში ჩანს, თუ რა ღრმა გავლენას ახდენდა ცსს კინოინდუსტრიაზე ცივი ომის ადრეულ წლებში. მაგალითად, ლურაში იტყობინებოდა, თუ როგორ შეიპირა კასტინგის რამდენიმე დირექტორი, რომ ფილმებში ნელ-ნელა გამოჩნდებოდნენ „კარგად ჩაცმული ზანგები" და აჩვენებდნენ, რომ „ზანგები ღირსეული ადამიანები არიან". **ფილმიდან „ARROWHEAD" ცსს-მ ამოიღო მთავარი სცენა, სადაც საუბარი იყო აშშ-ის დამოკიდებულებაზე აპაჩების მიმართ და სადაც ინდიელებს იძულებით აგზავნიან აშშ-ის ჯარში. იმხანად ამგვარი მოქმედებები საჭირო იყო იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირს არ გამოეყენებინა აშშ-ის ცუდი რეპუტაცია რასებს შორის ურთიერთობის საკითხში და, მეორეს მხრივ კი, საზოგადოებაში, რომელიც ჯერ კიდევ რასობრივი სეგრეგაციის პირობებში ცხოვრობდა, გარკვეული განწყობა ჩამოყალიბებულიყო.**

ფილმ „1984"-ის გადაღებებს აკონტროლებდა კულტურის თავისუფლების ამერიკული კომიტეტი, რომელსაც თავის მხრივ ცსს აკონტროლებდა. ფილმში შეიცვალა საკვანძო მომენტები, რათა

საბჭოთა კავშირის დემონიზაცია განხორციელებულიყო.

ფილმში „წყნარი ამერიკელი“ სამხედრო საჰაერო ძალების პოლკოვნიკი, ცსს-ს ოპერმუშაკი ოპერაცია „მანგუსტში“ (კუბის წინააღმდეგ საბოტაჟისა და მკვლელობების დაგეგმვა და განხორციელება) მიმოწერას ახორციელებდა რეჟისორ ჯოზეფ მანკევიჩთან, რომელმაც მიიღო მისი წინადადებები. ამ წინადადებების თანახმად, ფილმის ფინალური სცენა შეიცვალა. შედეგად, ფინალიდან მაყურებელი იგებს, რომ ანტიგმირი მოტყუებით ჩაითრიეს კომუნისტებმა იმ საეჭვო ამერიკელის მკვლელობაში, რომელიც, როგორც გაირკვა, ბომბების დამამზადებელი კი არა, საბავშვო სათამაშოების მწარმოებელი იყო.

2001 წლის 11 ნოემბერს ჰოლივუდში შედგა თათბირი, რომელსაც თავად პრეზიდენტი ბუში, შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე კარლ როუვი და ჰოლივუდის ყველა წამყვანი სტუდიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია კინოინდუსტრიას „ტერორიზმთან ომში“. შეხვედრიდან ცოტა ხანში გაჩნდა რამდენიმე სერიალი, რომელშიც ნაციონალური უსაფრთხოების იდეაა წინა პლანზე წამოწეული.

2001 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე თეთრ სახლსა და ჰოლივუდს შორის კიდევ არაერთი შეხვედრა გაიმართა. 17 ოქტომბერს 11 სექტემბრის ტერაქტების საპასუხოდ თეთრმა სახლმა გამოაცხადა „გართობისა და ხელოვნების სფეროში მიზნობრივი ჯგუფის“ შექმნის თაობაზე.

როგორც შეხვედრის პირდაპირი შედეგი, კონგრესმა კონსულტაციები გამართა ჰოლივუდის მოღვაწეებთან იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ფორმულირებულიყო ახალი სამხედრო გზავნილი ამერიკისა და მთელი მსოფლიოსთვის. 2001 წლის ნოემბერში პოპულარული ტელესერიალის „მესამე ცვლის“ ავტორი და პროდიუსერი ჯონ რომანო კომიტეტის პალატას არწმუნებდა, რომ ჰოლივუდის პროდუქციას საკვანძო როლი აქვს სხვა ქვეყნების მიერ ამერიკის აღქმის ფორმირებაში.

სატელევიზიო ხელოვნებისა და მეცნიერების ძლევამოსილმა აკადემიამ დააარსა საკუთარი კომისია „ჰოლივუდი ომში მიდის“, რომელიც განიხილავდა, თუ რისი გაკეთება შეეძლო ჰოლივუდს 11 სექტემბრის თავდასხმების საპასუხოდ. შეხვედრაზე ხელისუფლებას თეთრი სახლის მრჩეველი მარკ მაკკინონი წარმოადგენდა. შეხვედრას ესწრებოდა თეთრი სახლის შესახებ სერიალის „დასავლეთის ფრთა“ სცენარის ავტორი აარონ სორკინიც, რომელიც თავის გუნდს შეუთანხმდა, გადაეღოთ ერთი სერია ტერორისტების მხრიდან აშშ-ისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის თაობაზე. სერიას ერქვა „ისააკი და ისმაილი“. ის შეხვედრიდან ათ დღეში მზად იყო და ამერიკული ფასეულობების უპირატესობით გაჯერებული შინაარსი ჯიჰადისტი მუსლიმანების სიძულვილს აფრქვევდა.

ჰოლივუდისა და უშიშროების სამსახურების ურთიერთკავშირი ძველებურად მჭიდროა: **ცსს-ს ყოფილი აგენტი ბობ ბაერი ამბობს, რომ ცსს-სა და ჰოლივუდს შორის არსებობს სიმბიოზი და რომ ცსს-ს ყოფილი დირექტორი ჯორჯ ტენეტი ახლაც ჰოლივუდშია და სტუდიებთან ამყარებს ურთიერთობებს. მის მტკიცებულებებს სანბალის შეხვედრები ამყარებს. აიდაჰოს შტატში, სანბალიზე ყოველწლიურად იკრიბებიან ამერიკული მასმედიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები და ჰოლივუდის ყველა მსხვილი სტუდიის ბოსები, რათა მომავალი წლის განმავლობაში მასმედიისთვის საერთო სტრატეგია შეიმუშაონ.**

გოლფის მოედნების, კამკამა ტბებისა და ულამაზესი ტყეების ფონზე ფორმდება კონტრაქტები და იცვლება ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სახე. ამ კორპორატიული შეხვედრების გაშუქების უფლება პრესისთვის, ცხადია, ამ დრომდეც არ მიუციათ. ამიტომ ზუსტად არასდროსაა ცნობილი, თუ რა საკითხები განიხილებოდა შეხვედრებზე. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ 2003 და 2005 წლების შეხვედრებზე ძირითადი მომხსენებელი იმხანად ჯერ კიდევ ცსს-ს დირექტორი ტენეტი გახლდათ.

© „ღამისფრთიანი ლომი“

ან კაპიტალიზმი, ან დემოკრატია

არსებობს თუ არა წინააღმდეგობა კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის? ნუთუ ისინი ერთმანეთს ასუსტებენ? რიგითი ამერიკელისთვის ამგვარი კითხვები უცნაურია. კაპიტალიზმი და დემოკრატია ხომ სიამის ტყუპებივით განუყრელნი არიან. ამ პოსტულატს შელოცვასავით ვიმეორებდით ცივი ომის პერიოდში, როდესაც ყველასთვის ნათელი იყო, რომ კომუნიზმი და დემოკრატია აბსოლუტურად არათავსებადი მცნებებია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცივი ომი დასრულდა, მდგომარეობა შეიცვალა და მოცემული მტკიცებულების აზრი საკმაოდ ბუნდოვანი გახდა.

გაიხსენეთ, როგორ ირწმუნებოდა უამრავი ამერიკელი პოლიტიკოსი, პრაქტიკულად ყველა პრეზიდენტი და განსაკუთრებით კი ორივე ბუში და კლინტონი, რომ საკმარისია ჩინეთში კაპიტალიზმი დამყარდეს და ის უმალ დემოკრატიულ ქვეყნად იქცევა. მაგრამ ყველაფერი მთლად ისე ვერ გამოვიდა, როგორც ისინი გეგმავდნენ. სინამდვილეში მთელი უკანასკნელი წლის განმავლობაში **კაპიტალიზმი სრესს დემოკრატიას და ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ევროპის მაგალითზე. იქ ფინანსურმა ინსტიტუტებმა და მსხვილმა ინვესტორებმა ნამდვილი ომი გამოაცხადეს მკაცრი ეკონომიის დროშის ქვეშ, ნაკლებეფექტური ეკონომიკის მქონე ქვეყნების ხელისუფლებები კი, მართალია, აცნობიერებენ, რომ ვერ აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს, მაინც ძალაუფლებას ეგღაუჭებიან.**

იტალიისა და საბერძნეთის არჩეული ხელისუფლებები განზე გადგნენ — ორივე ქვეყნის სათავეში დღეს ფინანსური ტექნოკრატები მოვიდნენ. ესპანური ობლიგაციებისთვის საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდით რამდენიმე დღის წინ სოციალისტების მიერ

ფორმირებულმა კაბინეტმა ხელისუფლება დაუთმო მემარჯვენე ცენტრისტულ პარტიას, რომელსაც კრიზისის დარეგულირების არავითარი საშუალება არ წარმოუდგენია. ახლა სარკოზის ხელისუფლებას ემუქრებიან ფრანგულ ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთების მომატებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ევროპულ ბაზრებს, უბრალოდ, მოსწყინდათ მთელი ეს დემოკრატიული სისულელე.

თუ ვინმეს ნათქვამი გადაჭარბებად ეჩვენება, ყურადღება მიაქციოს ფინეთის მემარჯვენე ხელისუფლების ევროპის საქმეთა მინისტრის — ალექს სტუბის ინტერვიუს, რომელიც მან გაზეთ Financial Times-ის ჟურნალისტებს მისცა. მისი თქმით, ევროზონის იმ ექვსი წევრი ქვეყნის ხმას, რომლებსაც „AAA“ რეიტინგი აქვს, უფრო დიდი წონა უნდა ჰქონდეს საერთოევროპული ეკონომიკის საკითხების გადაწყვეტისას, ვიდრე დანარჩენი 11 ქვეყნისას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებზე დამოკიდებულნი უნდა გახდნენ. სინამდვილეში კი ისინი დამოკიდებულნი ხდებიან იმ სარეიტინგო სააგენტოებზე, რომლებიც ახლა საფრანგეთისთვის რეიტინგის დაწევით იმუქრებიან და, თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ევროზონის იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ, ექვსიდან ხუთამდე შემცირდება.

ის, რასაც სტუბი ამბობს და რასაც ახლა ბაზრები აკეთებენ, სხვა არაფერია, თუ არა პრინციპის — „ერთი დოლარი — ერთი ხმა“ გავრცელება ევროზონის იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც ჯერ კიდევ თანაბარი ხმის უფლება აქვთ.

აშშ-ში უმაღლესმა სასამართლომ უკვე კანონმდებლობით გაამყარა მსგავსი მდგომარეობა თავისი გადაწყვეტილებით არაკომერციული ორგანიზაცია Citizens United-ის საჩივართან დაკავშირებით. გამოდის, რომ ნორმა, რომელიც ხმის უფლების მოპოვებისთვის საკუთრების ფლობას მოითხოვს და რომელიც დემოკრატი პრეზიდენტის — ჯეკსონის მეთაურო-



ბით ადმინისტრაციამ 1880-იან წლებში გაამარ-ტივა, კვლავ აღორძინდა ფინანსური ინსტიტუტე-ბისა და მათი პოლიტიკური მოკავშირეების ძა-ლისხმევით. საერთო ევროპული ვალუტის ზონა-ში შემავალი ქვეყნებისადმი ამ წესის გამოყენე-ბისას ხმის უფლების მოსაპოვებლად „საკუთრე-ბის“ როლში „სწორი“ საკრედიტო რეიტინგი ით-ვლება.

ეს ყველაფერი ძალზე უცნაურად გამოიყურება. ფიქრი იმის შესახებ, რომ ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური

სისტემები ერთმანეთთან კონფლიქტში არიან, აღსაქმელად ძალზე ძნელია და არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაშიც ყოველთვის თვლიდნენ, რომ დემოკრატია და კაპიტალიზმი (უკიდურეს შემთხვევაში — ევროპაში არსებული სოციალური კაპიტალიზმის მოდელი) ხელიხელჩაკიდულნი დადიან. ამგვარმა თვალსაზრისმა ფესვი იმიტომ გაიდგა, რომ ორივე სისტემა ჰარმონიულად ვითარდებდა და ყვაოდა კიდეც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სამი ათწლეულის მანძილზე. შემოსავლები იზრდებოდა, მიუხედავად ხელფასებისა და სოციალური დახმარებების ზრდისა.

მაგრამ რა მოხდება მაშინ, თუ ეს პერიოდი წესებიდან გამონაკლისი იყო? რა მოხდება მაშინ, თუ ნორმალური განლაგებისას ბაზრებსა და ადამიანებს შორის კონფლიქტი გარდაუვალი იქნება?

სწორედ ეს არგუმენტი მოჰყავს მაქს პლანკის სახელობის საზოგადოებათა კვლევის ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს — ვოლფგანგ შტრეკს თავის სტატიაში, რომელიც ჟურნალმა New Left Review-მა ორიოდე თვის წინ გამოაქვეყნა. შტრეკი ირწმუნება, რომ **1970-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული ხელისუფლებები იძულებულნი იყვნენ, მოქნილობა გამოეჩინათ საპირისპირო მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.** მაგალითად, 70-იან წლებში ხელისუფლება ახორციელებდა ინფლაციისკენ მიმავალ პოლიტიკას, რათა დახმარებოდა დაქირავებულ მშრომელებს, რომელთა ხელფასებმაც მოულოდნელად ზრდა შეწყვიტა. 80-იან წლებში რონალდ რეიგანმა და მარგარეტ ტეტჩერმა საპირისპიროდ შეცვალეს პოლიტიკური კურსი. მათ გაზარდეს საპროცენტო განაკვეთები, უმუშევრობის დონე და გაიმარჯვეს პროფკავშირებზე.

ბოლოს და ბოლოს, 90-იან წლებში კომპრომისს მიაღწიეს, მაგრამ ეს კომპრომისი ფატალური აღმოჩნდა. შემოსავლები არ იზრდებოდა და ამ მდგომარეობის გაწონასწორებისთვის ფინანსურმა კომპანიებმა, სარგებლობდნენ რა რეგულირების არარსებობით, მომგებიან

© „ინტელექტუალური საკუთრება“

პირობებში სესხების შეთავაზება დაიწყეს. შედეგად კერძო პირების ვალები გაიზარდა. სახლების მეპატრონეები და მომხმარებლები მთლიანად კრედიტებს დაეყრდნენ. სახელმწიფო ვალი შემცირდა. მაგალითად, აშშ-ს იმხანად უდეფიციტო ბიუჯეტი ჰქონდა. მას შემდეგ, რაც 2008 წლის კრიზისი გაჩნდა, მოვლენათა მსვლელობა მკვეთრად შეიცვალა. ხელისუფლებებმა საკუთარ თავზე აიღეს გადახდის უუნარო მოქალაქეთა ვალებზე პასუხისმგებლობა და რეცესიის საწინააღმდეგოდ დეფიციტური საბიუჯეტო დაფინანსების პოლიტიკაზე გადავიდნენ.

დღეს ბაზრები საპასუხო დარტყმას აყენებენ სახელმწიფოებს. ნაპოლეონმა ვერ შეძლო მთელი ევროპის დაპყრობა, სააგენტო Standard & Poor’s-ი კი, როგორც ჩანს, შეძლებს. ევროპელებს და ამერიკელებს მალე გაუჩნდებათ კითხვა — ვის მხარეს არიან? რაზეც, დიდი ხანია, არ უფიქრიათ.

მომავალ შეხვედრამდე, ძია სემ

დერეკ კაპო

დერეკ კაპოს ცხოვრება იოლად აეწყო. ჯერ ოცდახუთი წლისაც არ იყო, ანალიტიკოსად რომ მუშაობდა ფონდ Everest Capital-ში, დაკავებული იყო საერთაშორისო აქციების მონიტორინგით, ტკბებოდა ამინდითა და ღამის ცხოვრებით მშობლიურ მაიამიში. მაგრამ, როგორც ასწავლეს, მომავლისაკენ იმზირებოდა და არ მოსწონდა ის, რასაც იქ ხედავდა. უძრავი ქონების ბაზრებზე ვარდნამ ფლორიდის ეკონომიკის „გაგუდვა“ დაიწყო, საფონდო ბაზარი არამტკიცედ გამოიყურებოდა და მას არ სურდა ბიზნესის ადმინისტრირების ძვირადღირებული ხარისხის მიღება ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. გარდა ამისა, კაპოს საკუთარი მწარმოებლური ჭიაც აწვალებდა და სურდა, საკუთარი ბიზნესი წამოეწყო, იდეალურ შემთხვევაში, ეკონომიკურად ძლიერ რეგიონში, სადაც შესაძლებლობები შეუზღუდავია.

ამისათვის 2007 წელს კაპო ამერიკიდან გაემგზავრა. ახლა ის პეკინში ცხოვრობს. დაარსა საკუთარი ფირმა Next Step China (nextstepchina.org), რომელიც მომხმარებლებს ჩინური ენის შესწავლას სთავაზობს და უცხოელებს ეხმარება, ასწავლონ, სტაჟირება გაიარონ ან მოხალისეებად იმუშაონ ჩინეთში. „მინდოდა, ჩემს ცხოვრებასა და კარიერაში შემდეგი ნაბიჯი გადამედგა, — ამბობს კაპო, რომელიც ახლა უკვე 29 წლისაა, — მე გამოვიტანე დასკვნები და გადავწყვიტე, რომ უნდა გავმგზავრებულიყავი სადმე და მესწავლა რაღაც ახალი, მაგალითად, ჩინური ენა, რათა საკუთარი თავი გამომეწვია. მე ჩინეთი ავირჩიე, რადგან ის ძალზე სწრაფად ვითარდება“.

საინტერესო ფენომენია, რომელიც ამერიკელებს სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ გზავნის. ტრადიციულად, აშშ გონიერ ადამიანებს იზიდავდა და ისინიც სიამოვნებით ჩადიოდნენ იქ ამერიკული ოცნების საძიებლად. კომპანია Gallup-ის მიერ მსოფლიოს 135 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით აშშ ყველაზე სასურველი ქვეყანაა მათთვის, ვისაც სურს, სამუდამოდ საცხოვრებლად სხვაგან გამგზავრება.

მაგრამ თითქმის 9-პროცენტიანი უმუშევრობის, რეკორდული რაოდენობის სასურსათე ბარათების გამოყენებისა და დიდი რეცესიის პირობებში უამრავი ოჯახის ბიუჯეტს სერიოზული ზიანი ადგება და ამერიკული ეკონომიკაც შესამჩნევად კარგავს მიმზიდველობას. ზოგიერთ ახალ მეწარმეს ბრაზილიის, რუსეთის, ჩინეთისა თუ ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობები გაცილებით უკეთესად ეჩვენება. მართლაც, **სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 6,4 მილიონი ამერიკელი სწავლობს ან მუშაობს საზღვარგარეთ და ეს ისტორიის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.**

America Wave-ს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, 25-დან 34-წლამდე ასაკის იმ ამერიკელების რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ აპირებენ საცხოვრებლად გამგზავრებას, ბოლო ორი წლის მანძილზე ხუთჯერ გაიზარდა.

უფრო ახალგაზრდა ამერიკელებს შორის კიდევ უფრო მეტი ისწრაფის საზღვარგარეთისაკენ. 18-დან 24-წლამ-

დე ასაკის ახალგაზრდებში ასეთი უკვე 40 პროცენტია. არადა, ორი წლის წინ მათი რაოდენობა 15 პროცენტს არ აღემატებოდა. „ახალგაზრდა მეწარმეები თვლიან, რომ, თუ რაიმეს მიღწევა ნამდვილად სურთ, ამ ქვეყნიდან და დეპრესიული ატმოსფეროდან რაც შეიძლება შორს უნდა წავიდნენ. — ამბობს პანამაში მცხოვრები ადამსი, — ამერიკაში მიმართულების დაკარგვის შეგრძნებაა, ამიტომ სულ უფრო მეტი ადამიანი ეძებს ადგილს, რომელიც მომავლის მეტ იმედს იძლევა.

უბრალოდ, ჰკითხეთ მეთ ლანდოს, რომელიც ასევე პანამაში ცხოვრობს. იგი 29 წლისაა, ვირჯინიაში რიჩმონდის უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ კი გაემგზავრა, როგორც თავად ამბობს, „სამუშაოს, უკეთესი ეკონომიკისა და უფრო სრულფასოვანი ცხოვრების“ საძიებლად. ვიდრე მისი მრავალი თანაკურსელი ცდილობს, თავი დააღწიოს სამსახურიდან მასობრივ დათხოვნებს, მან მოგზაურობისა და ინვესტიციების ბლოგი (thepanamareport.com) შექმნა და მართავს საკუთარ შექმნილ ბუტიკ-ოტელს (loscuatrotulipanes.com) პანამის ისტორიულ რაიონში.

„ციფრები, უბრალოდ, ავარდა, — ამბობს „America Wave“-ის კვლევათა სერიის დამფუძნებელი ბობ ადამსი, რომელმაც უკანასკნელ წლებში ცხრა ამგვარი კვლევა ჩაატარა, — ეს საოცარია, ამას არ ველოდი. ისინი ეძებენ სამუშაოს ეკონომიკაში უძრაობის გამო. მათ დაკარგეს იმის რწმენა, რომ აშშ საითმე მიემართება“.



© „ღიასკამბაზი“

აშშ-ში შობადობა ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა

აშშ-ში შობადობის მაჩვენებლი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა, რისი მიზეზიც ქალი-იმიგრანტების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობის შემცირებაა. ეს ქალები, სულ მცირე, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ედგნენ სათავეში აშშ-ის მოსახლეობის ზრდას.

როგორც „Pew Research Center“-ის მოხსენებაშია ნათქვამი, 2007-დან 2009 წლამდე შობადობა ქვეყანაში 8%-ით შემცირდა. აშშ-ში დაბადებულთა კოეფიციენტი 6%-ით შემცირდა, სხვა ქვეყნებში დაბადებულთა შემთხვევაში კი — 14%-ით. ეს ყველაზე უარესი მაჩვენებელია დიდი დეპრესიის დროიდან დღემდე, მაგრამ ვარდნა გასულ წელსაც გაგრძელდა და მიაღწია ყველაზე დაბალ ნიშნულს, რაც კი ოდესმე ყოფილა ჩანაწერების წარმოების დაწყებიდან, ანუ 1930 წლიდან დღემდე.

ბოლო კვლევის შედეგების მიხედვით, ხანდაზმულთა სოციალური დაზღვევის ორი უდიდესი პროგრამა საფრთხის წინაშეა. სამედიცინო დახმარებისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები ფინანსდება მომუშავე მოქალაქეების გადასახადებიდან, მაგრამ ახლა ბეიბიბუ-

მერები პენსიაზე გადიან, მათ ადგილზე კი რიცხობრივად ბევრად ნაკლები მომუშავეები მოდიან.

ანგარიშში საფუძვლიანად არაა გამოკვლეული შობადობის ესოდენი კლების მიზეზები, მაგრამ მისი ავტორი მაინც ასახელებს მიზეზად ეკონომიკურ პრობლემებს.

სოციალური უზრუნველყოფით მოსარგებლეთა რიგები კი იმის კვალდაკვალ იზრდება, რაც 1946-1964 წლებში დაბადებული ბეიბიბუმერები ტოვებენ შრომის ბაზაარს და პენსიაზე გადიან. 2010 წლის კვლევის მიხედვით, **ყოველდღე პენსიაზე დაახლოებით 100 ათასი ბეიბიბუმერი გადის — მათ 65 წელი უსრულდებათ.**

დემოგრაფიული ტენდენციები ოპტიმიზმის ადგილს არ ტოვებს. 1965 წელს 81 მილიონი მშრომელი ანაზღაურებდა 20 მილიონი პენსიონერის შეღავათებს, ანუ თანაფარდობა იყო 4/1. ეს თანაფარდობა 2035 წლამდე 2,8/1-მდე დაეცემა და 186 მილიონი მომუშავე 91 მილიონი პენსიონერის შეღავათებს აანაზღაურებს.

© „ღვინისმცოდნე ათასეულები“

ინტერვენციის ანატომია

სხვა ხალხების ექსპლუატაციის უფლების შესანარჩუნებლად ამერიკა რეგულარულად მიმართავს ძალადობის უკიდურეს ფორმებს, უწინარეს ყოვლისა კი, — ომებს. დღეს გთავაზობთ ცნობილი შეიარაღებული ინტერვენციებისა და სხვა დანაშაულობათა სიას. ამ ჩამონათვალს აბსოლუტური სისრულის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ უფრო სრული არ არსებობს. მხოლოდ 1661-1774 წლებში აშშ-მა აფრიკიდან მილიონამდე მონა ჩამოიყვანა, ცხრა მილიონზე მეტი გზაში დაიღუპა. მონებით მოვაჭრეთა შემოსავალი, XVIII საუკუნის შუა წლების ფასების მიხედვით, 2 მილიარდ დოლარზე — იმ დროისთვის ასტრონომიულ ოდენობაზე, ნაკლები არ იყო.

1622 წელი. ამერიკის ომები სწორედ ამ წელს ჯეიმსთაუნში ინდიელებზე თავდასხმით დაიწყო, რასაც ჯერ **1635-1636 წლებში** ახალ ინგლისში ალგოკინელ ინდიელებთან ომი მოჰყვა, შემდეგ — **1675-1676 წლების** ომი, რომელიც მასაჩუსეტში ქალაქების თითქმის ნახევრის განადგურებით დამთავრდა. ომები და დანაშაულობანი ინდიელების წინააღმდეგ **1900 წლამდე** გრძელდებოდა. **სულ ამერიკელებმა დახოცეს 100 მილიონამდე ინდიელი,**

რაც უფლებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ ნამდვილ გენოციდზე, რომელიც გაცილებით სჭარბობს მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერის მიერ ებრაელთა მასობრივ ამოწყვეტას (4-6 მილიონი მსხვერპლი).

1689-დან 1763 წლამდე გაიმართა ოთხი მთავარი იმპერიული ომი ინგლისისა და მისი ჩრდილოეთ ამერიკული კოლონიების ჩართვით, აგრეთვე, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ესპანეთის იმპერიების მონაწილეობით. **1641-დან 1759 წლამდე** მოხდა 40 ამბოხი და 18 შიდა კონფლიქტი ჩასახლებულთა შორის, მათგან ხუთი — აჯანყების დონის. **1776 წელს** დაიწყო ომი დამოუკიდებლობისთვის, რომელიც **1783 წელს** დამთავრდა. **მეორე ომმა 1812-1815 წლებში განამტკიცა დამოუკიდებლობა, 40 ომი ინდიელებთან 1622-დან 1900 წლამდე მილიონობით აკრი მიწების შემატებით დასრულდა.**

1792 წელს ამერიკელებმა ინდიელებს წაართვეს კენტუკი, **1796 წელს** — ტენესი.

მას შემდეგ, რაც **1797 წელს** აშშ-ის სამხედრო ხომალდი Delawar -ი თავს დაესხა სამოქალაქო გემ Croyable-ს, გაცივდა ურთიერთობა აშშ-სა და საფრანგეთს შორის; სამხედრო შეტაკებანი 1800 წლამდე გრძელდებოდა.

1800 წელს ვირჯინიაში აჯანყდნენ მონები გაბრიელ პროსერის მეთაურობით. ათას კაცამდე ჩამოახრჩვეს, მათ შორის — პროსერიც. მონებს კი არც ერთი ადამიანი არ მოუკლავთ.

1803 წელს ამერიკელებმა ინდიელებს წაართვეს ოჰაიო, ლუიზიანა. 1800 წელს ესპანეთმა საიდუმლო ხელშეკრულებით საფრანგეთს გადასცა 1763 წლამდე საფრანგეთის კოლონიადყოფილი ლუიზიანა. სამაგიეროდ, ესპანეთის მეფემ კარლოს IV-მ ნაპოლეონს ვალდებულება აკისრებინა, რომლის ძალით მისი სიძისთვის იტალიაში სამეფო უნდა გადაეცა. საფრანგეთის ჯარებმა ვერ მოასწრეს ლუიზიანის დაკავება, სადაც მათ მისვლამდე დაფუძნდნენ ამერიკელები.

1805-1815 წლებში ამერიკელებმა პირველი ომი გამართეს აფრიკაში, მის ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე. ამ

© „ღვინისმცოდნე ინსტიტუტი“

დროისთვის ამერიკელმა ვაჭრებმა მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობა დაამყარეს ოსმანთა იმპერიასთან — 3 დოლარად ყიდულობდნენ ერთ ფუნტ ოპიუმს და ჩინეთში, ნავსადგურ კანტონში (გუანჯოუში) 7-10 დოლარად ჰყიდდნენ. დიდი ოდენობით ოპიუმს ასაღებდნენ ინდონეზიასა და ინდოეთში.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში აშშ-მა თურქეთისგან ოსმანთა იმპერიაში ვაჭრობის ისეთივე უფლებები და პრივილეგიები მოიპოვა, როგორც ევროპის ქვეყნებისგან — დიდი ბრიტანეთისგან, რუსეთისგან და საფრანგეთისგან. შემდგომში ამერიკა შეებრძოლა ბრიტანეთს ოპიუმის ბაზრებზე კონტროლის მოსაპოვებლად ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

მთელი რიგი ომების შედეგად, 1815 წლისთვის შეერთებულმა შტატებმა კაბალური ხელშეკრულებები თავს მოახვია ჩრდილოაფრიკულ ქვეყნებს და თავიანთი ვაჭრებისთვის დიდი ფულადი შემოსავლების შემოდინება უზრუნველჰყო. მოგვიანებით აშშ შეეცადა, ნეაპოლიტანური სახელმწიფოსგან მიეღო სირაკუზი, როგორც საყრდენი ბაზა, მაგრამ — უშედეგოდ.

1806 წელს ამერიკელები შეეცადნენ, შეჭრილიყვნენ რიო-გრანდეში. მაგრამ ამერიკელთა მეთაური, კაპიტანი ზ. პაიკი ესპანელებმა დაიჭირეს, და ინტერვენცია ჩაიფუშა.

1810 წელს აშშ-ის პრეზიდენტის ბრძანებით, ლუიზიანის გუბერნატორი კლეირბონი შეიჭრა ესპანეთის კუთვნილ დასავლეთ ფლორიდაში. ესპანელებმა უბრძოლველად დათმეს ტერიტორია, რომელიც ამერიკის გამგებლობაში გადავიდა.

1811 წელს ჩარლზის (გვარები მონებს არ ჰქონდათ) წინამძღოლობით აჯანყდნენ მონები. 500 მონა ახალი ორლეანისკენ დაიძრა, გზადაგზა მონებს ათავისუფლებდნენ. ამერიკელების ჯარებმა ადგილზე გაანადგურეს ან ჩამოახრჩვეს აჯანყების თითქმის ყველა მონაწილე.

1812-1814 წლებში — ომი ინგლისთან. კანადაში შეჭრა. **„მოუთმენლად ველოდები არა მარტო ფლორიდის მიერ-**

თებას სამხრეთისთვის, არამედ კანადისაც (ზემო და ქვემო) ჩვენი სახელმწიფოს ჩრდილოეთისთვის“, — განაცხადა წარმომადგენელთა პალატის ერთ-ერთმა წევრმა ფელიქს გრანდიმ. **„ქვეყნიერების შემქმნელმა ჩვენს სამხრეთ საზღვრად დააწესა მექსიკის ყურე, ჩრდილოეთით კი — მუდმივი სიცივის მხარე“,** — ბანს აძლევდა სენატორი გარპერი. მაგრამ მალე ინგლისის უდიდესი ფლოტის გამოჩენამ კანადის სანაპიროსთან აიძულა იანკები, აეკრათ გუდა-ნაბადი. **1814 წელს** ინგლისმა შეძლო ბევრი სამთავრობო შენობის განადგურება აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში.

1812 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა მედისონმა უბრძანა გენერალ ჯორჯ მეტიუსს, ხელთ ეგდო ესპანეთის ფლორიდის ნაწილი — კუნძული ამელია და ზოგიერთი სხვა ტერიტორია. მეტიუსმა დავალების შესრულებისას ისეთი არნახული დაუნდობლობა გამოავლინა, რომ შემდგომ პრეზიდენტი შეეცადა, ხელები დაებანა.

1813 წელს ამერიკის ჯარებმა უბრძოლველად ხელთ იგდეს ესპანეთის ყურე მობაილი, ესპანელი ჯარისკაცები ტყვედ ჩაბარდნენ. ამას გარდა, ამერიკელებმა მოახდინეს მარკიზის კუნძულების ოკუპირება. ოკუპაცია 1814 წლამდე გაგრძელდა.

1814 წელს — ამერიკელი გენერლის, ენდრიუ ჯეკსონის რეიდი ესპანეთის ფლორიდაში და პანსაკოლას ოკუპირება.

1816 წელს ამერიკელები თავს ესხმიან ფორტ ნიკოლს ესპანეთის ფლორიდაში. ფორტი ესპანელებს კი არ ეკუთვნოდა, არამედ გაქცეულ მონებსა და ინდიელ სემინოლებს, რომლებიც მთლიანად ამოწყვიტეს. ლაპარაკია 270 ადამიანზე.

1817-1819 წელს დაიწყეს მოლაპარაკება ესპანეთთან, რომელიც რიგი კოლონიების დაკარგვის შედეგად დასუსტებული იყო, აღმოსავლეთ ფლორიდის შეძენის საკითხზე. **1818 წლის 6 იანვარს გენერალმა ენდრიუ ჯეკსონმა, რომელსაც უზარმაზარი პლანტაციები გააჩნდა, პრეზიდენტ ჯ. მონროს გაუგზავნა პროექტი ფლორიდის ხელში ჩაგდების თაობაზე და დაჰპირდა, რომ ამ ოპერაციას**

© „ღვინისგამოცდილება ამერიკაში“

60 დღეში განახორციელებდა. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ამერიკელთა ჯარებმა გენერალ ჯეკსონის სარდლობით გადაკვეთეს აშშ-ის სამხრეთი საზღვარი და დაიკავეს ფლორიდა ისე, რომ არც მოლაპარაკების დამთავრებას დალოდებიან და არც თანხმობა არ მიუღიათ.

ამერიკის ჯარების ფლორიდაში შეჭრა ახსნეს იმით, რომ იძულებული იყვნენ ინდიელ სემინოლთა ტომის წინააღმდეგ განეხორციელებინათ სადამსჯელო ღონისძიება, რადგან ისინი თავშესაფარს აძლევდნენ პლანტაციებიდან გაქცეულ ზანგ მონებს. ჭეშმარიტი მიზეზი კი სამხრეთ ამერიკელი პლანტატორების მიერ ფლორიდის ნოყიერი მიწების ხელში ჩაგდება იყო. ეს გამჟღავნდა 1819 წლის იანვარში, როცა კონგრესში ჯონსონის სამხედრო კომისიის მოხსენების გარშემო, რომელმაც ფლორიდაში საომარი მოქმედებები შეისწავლა, კამათი გაიმართა.

1814 წელს ორასი ამერიკელი, რომლებსაც დევიდ პოტრეტი მეთაურობდა, შეიჭრა პუეტრორიკოს ქალაქ ფაჯარდოში. საბაბი: ცოტა ხნის წინათ ვიღაცამ იქ შეურაცხყო ამერიკელი ოფიცრები. ქალაქის ხელისუფლება იძულებული გახდა, ოფიციალურად ბოდიში მოეხადა თავისი მოქალაქეების უზრდელური ქცევის გამო.

1824 წელს ამერიკელებმა დესანტი გადასხეს კუბაში, რომელიც მაშინ ესპანეთის კოლონია იყო.

1831 წელი — მონების აჯანყება ვირჯინიაში, მღვდელ ნეტ ტერნერის წინამძღოლობით. 80 მონამ დახოცა მონათმფლობელები და მათი ოჯახის წევრები (სულ 60 ადამიანი). აჯანყება ჩაახშეს. ამას გარდა, მონათმფლობელებმა გადაწყვიტეს „პრევენტული დარტყმის“ განხორციელება უფრო დიდი აჯანყების აცილების მიზნით — ახლო რაიონებში დახოცეს ასობით უდანაშაულო მონა.

1833 წელს — შეჭრა არგენტინაში, სადაც ამ დროს აჯანყება მიმდინარეობდა.

1835 წელი — მექსიკა. აშშ ისწრაფვის მექსიკის ტერიტორიის დაპყრობას, რომელიც შიდააშლილობის გამო დასუსტებული იყო, 20-იანი წლების დასაწყისიდან შეუდგა ტეხასის კოლონიზაციას, ინსპირირება მოახდინა ტეხა-

სის კოლონისტების ამბოხის. შედეგად ამბოხებულებმა განაცხადეს ტეხასის მექსიკისგან გამოყოფის შესახებ და მისი „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადეს.

1835 წელი — შეჭრა პერუში, სადაც ამ დროს ხალხის დიდი მღელვარება იყო.

1836 წელი — კიდევ ერთი შეჭრა პერუში.

1840 წელი — ამერიკელების შეჭრა ფიჯიში, გაანადგურეს რამდენიმე სოფელი.

1841 წელი — ერთი ამერიკელის კუნძულ დრამონდზე (მაშინ უპოლუ ერქვა) მკვლელობის შემდეგ ამერიკელებმა იქ უამრავი სოფელი მიწასთან გაასწორეს.

1842 წელი — უნიკალური შემთხვევა: ვინმე თ. ჯონსმა რატომღაც აიჩემა, რომ ამერიკა მექსიკასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება და თავისი ჯარით თავს დაესხა მონტერეის კალიფორნიაში. როცა გაარკვია, რომ ომი არ მიმდინარეობს, უკან დაიხია.

1843 წელი — ამერიკელები შეიჭრნენ ჩინეთში.

1844 წელი — კიდევ ერთი შეჭრა ჩინეთში, ანტიიმპერიალისტური აჯანყების ჩახშობა.

1846 წელი — მექსიკელები განაწყენებული იყვნენ ტეხასის დაკარგვით, რომლის რეზიდენტებმა გადაწყვიტეს, შეერთებოდნენ აშშ-ს 1845 წელს. კამათმა საზღვრების შესახებ და ფინანსურმა შეუთავსებლობამ გააძლიერა დაძაბულობა. **ბევრ ამერიკელს სჯეროდა, რომ მათ ქვეყანას განგების მიერ დაწერილი აქვს, ერთი ოკეანიდან მეორე ოკეანემდე იყოს გადაჭიმული — ანტლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე. მაგრამ მექსიკელებს არ სურდათ შტატებისთვის ამ ტერიტორიის მიყიდვა.** აშშ-ის პრეზიდენტმა ჯეიმს პოლკმა 1846 წლის გაზაფხულზე ჯარები გააგზავნა ტეხასში. მომდევნო ორი წლის განმავლობაში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა მეხიკოში, ტეხასში, კალიფორნიასა და ახალ მექსიკაში. ამერიკის ჯარები უკეთ იყო აღჭურვილი, შეიარაღებული უახლესი იარაღით, სარდლები ეფექტიანად უძღვებოდნენ საარმიო შენაერთებს. მექსიკა დამარცხდა. 1847 წლის დასაწყისში კალიფორნიას აშშ მართავდა. სექტემბერში მეხიკო დაეცა. 1848 წლის 2

© „ღვინისმცოდნე“

თებერვალს აშშ-მა და მექსიკამ ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას. ამ დოკუმენტის ძალით, მექსიკა დათანხმდა, 15 მილიონ დოლარად მიეყიდა ამერიკისთვის 500.000 კვადრატული მილი ტერიტორია.

1846 წელი — აგრესია ახალი გრანადის (კოლუმბია) წინააღმდეგ.

1849 წელი — ამერიკის ფლოტი უახლოვდება სმირნას, რათა აიძულოს ავსტრიის ხელისუფლება, გაათავისუფლოს დაკავებული ამერიკელი.

1849 წელი — ინდოჩინეთის საარტილერიო დაბომბვა.

1851 წელი — ამერიკის ჯარები გადასხდნენ კუნძულ იოჰანაზე, რათა დაესაჯათ ადგილობრივი ხელისუფლება ამერიკული გემის კაპიტნის დაპატიმრების გამო.

1852 წელი — ამერიკელების შეჭრა არგენტინაში სახალხო მღელვარების ჟამს.

1852 წელი — იაპონია. ანსეის ხელშეკრულებები — 1854-1858 წლებში აშშ-სა და სხვა სახელმწიფოების მიერ ანსეის წლებში დადებული უთანასწორო ხელშეკრულებები (ანსეი ოფიციალური სახელწოდებაა იმ წლების (1854-1860), როცა იაპონიაში იმპერატორი კომეი მეფობდა). ამ ხელშეკრულებების ძალით დასრულდა გარე სამყაროსგან იაპონიის იზოლაციის ორსაუკუნოვანი პერიოდი. 1852 წელს აშშ-ის მთავრობამ იაპონიაში გააგზავნა მ. პერის ესკადრა, რომელმაც იარაღის მუქარით 1854 წლის 31 მარტს მოახერხა დადებულიყო ამერიკა-იაპონიის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ამერიკის გემებს ნება დაერთო, შესულიყვნენ ჰაკოდატესა და სიმოდას ნავსადგურებში, ვაჭრობის უფლების გარეშე. 1854 წლის 14 ოქტომბერს ანალოგიური ხელშეკრულება გაფორმდა ინგლისთან, 1855 წლის 7 თებერვალს — რუსეთთან. 1856 წელს იაპონიაში ჩავიდა ამერიკის გენერალური კონსული ტ. ჰარისი, რომელმაც 1857 წლის ივნისში მუქარითა და შანტაჟით შეძლო ახალი, აშშ-სთვის უფრო მომგებიანი ხელშეკრულების დადება, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1858 წლის ივლისში, — იაპონიისთვის კაბალური ხელშეკრულების გაფორმება. ამერიკა-იაპონიის სავაჭრო ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულებები დაიდო რუსეთ-

თან (1858 წლის 19 აგვისტოს), ინგლისთან (1858 წლის 26 აგვისტოს) და საფრანგეთთან (1858 წლის 9 ოქტომბერს). უცხოელებს მიეცათ ექსტერიტორიული და საკონსულო იურისდიქციის უფლება, იაპონიას წაერთვა საბაჟო ავტონომია და თავს მოახვიეს დაბალი გადასახადები შემოსატან საქონელზე.

1853-1856 წლები — ინგლის-ამერიკის შეჭრა ჩინეთში, სადაც საომარი შეტაკებებით შეძლეს ვაჭრობის მომგებიანი პირობების მოპოვება.

1853 წელი — შეჭრა არგენტინასა და ნიკარაგუაში სახალხო მღელვარების დროს.

1853 წელი — ამერიკის სამხედრო ხომალდი უახლოვდება იაპონიას, რათა აიძულოს იგი, გახსნას თავისი პორტები საერთაშორისო ვაჭრობისთვის.

1854 წელი — ამერიკელებმა გაანადგურეს ნიკარაგუის ქალაქი San juan del Norte (Greytowis), რითაც იძიეს შური ამერიკელების შეურაცხყოფისთვის.

© „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ“

1854 წელი — აშშ შეეცადა, ხელთ ეგდო ჰავაის კუნძულები. პანამის ყელთან ვეფხვის კუნძულის ოკუპირება.

1855 წელი — ნიკარაგუაში შეიჭრა ამერიკელების რაზმი უ. უოკერის მეთაურობით. აშშ-ის მთავრობის იმედზე მყოფმა უოკერმა 1856 წელს თავი ნიკარაგუას პრეზიდენტად გამოაცხადა. **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ, ᲛᲘᲔᲔᲠᲗᲔᲑᲘᲜᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲐᲫᲪᲔᲕᲐ ᲡᲣᲠᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲕᲐᲢᲔᲛᲐᲚᲘᲡ, ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲝᲜᲓᲣᲠᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲣᲝᲙᲔᲠᲘ ᲜᲘᲙᲐᲠᲐᲒᲣᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲫᲔᲕᲔᲡ. ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲰᲝᲜᲓᲣᲠᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲮᲕᲠᲘᲢᲔᲡ.**

1855 წელი — ამერიკელების შეჭრა ფიჯისა და ურუგვაიში.

1856 წელი — შეჭრა პანამაში. პანამის ყელის უდიდესი მნიშვნელობის გამო ამერიკა და ინგლისი მის ხელში ჩაგდებას ცდილობდა, უარეს შემთხვევაში — საკუთარი კონტროლის დაწესებას. დიდი ბრიტანეთი, რომელიც კარიბის ზღვაში რამდენიმე კუნძულსა და სანაპირო ზოლის ნაწილს ფლობდა, ცდილობდა, შეენარჩუნებინა გავლენა ცენტრალურ ამერიკაში. 1846 წელს აშშ-მა გრანადას თავს მოახვია მეგობრობის, ვაჭრობისა და საზღვაო მიმოსვლის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ივალდებულა, შეენარჩუნებინა ახალი გრანადისთვის გარანტირებული სუვერენიტეტი პანამის ყელზე და, ამასთანავე, მიიღო მისნაირი უფლება ყელზე გამავალი ნებისმიერი გზის ექსპლუატაციისა, აგრეთვე, ტრანსპანამის ყელის რკინიგზის მშენებლობის კოცესია. ეს მშენებლობა დამთავრდა 1855 წელს, რამაც ხელი შეუწყო ამერიკელების გავლენის გაძლიერებას პანამის ყელზე. 1846 წლის ხელშეკრულების გამოყენებით, აშშ სისტემატურად ერეოდა ახალი გრანადის საშინაო საქმეებში, რაც ხშირად შეიარაღებული ინტერვენციის სახით ხორციელდებოდა (1856, 1860 და სხვა წლებში). 1850 და 1901 წლებში დადებული აშშ-ინგლისის ხელშეკრულებებმა კიდევ უფრო გააძლიერა აშშ პოზიციები ახალ გრანადაში.

1857 წელი — ორი შეჭრა ნიკარაგუაში.

1858 წელი — ინტერვენცია ფიჯის წინააღმდეგ — ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია ორი ამერიკელის მკვლელობის გამო.

1858 წელი — შეჭრა ურუგვაიში.

1859 წელი — იაპონურ ნავსადგურ ტაკუზე თავდასხმა.

1859 წელი — შეჭრა ანგოლაში სახალხო მღელვარების დროს.

1860 წელი — შეჭრა პანამაში.

1861-1865 წლები — სამოქალაქო ომი. მისისიპი, ფლორიდა, ალაბამა, ჯორჯია, ლუიზიანა, ტეხასი, ვირჯინია, ტენესი და ჩრდილოეთ კაროლინა გამოეყო სხვა შტატებს და გამოაცხადეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. ჩრდილოეთს შეყავს ჯარები ვითომდა მონების გასათავისუფლებლად. ნამდვილი მიზეზი იყო ინგლისთან ვაჭრობის პირობების გამო წარმოქმნილი დაპირისპირება.

1862 წელი — ყველა ებრაელის განდევნა ტენესიდან მათი ქონების კონფისკაციით.

1863 წელი — სადამსჯელო ექსპედიცია სიმონოსეკიში (იაპონია), სადაც „შეურაცხყვეს ამერიკული დროშა“.

1864 წელი — სამხედრო ექსპედიცია იაპონიაში, ვაჭრობის მომგებიანი პირობების მოსაპოვებლად.

1865 წელი — პარაგვაი. აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვათა შეუზღუდავი დახმარებით ურუგვაი შეიჭრა პარაგვაიში და ამოწყვიტა ამ მდიდარი ქვეყნის მოსახლეობის 85 პროცენტი. მას შემდეგ პარაგვაი წელში ვეღარ გაიმართა. **საშინელ სასაკლაოს აფინანსებდა როტშილდების საერთაშორისო საბანკო სახლი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბრიტანეთის ბანკ „ბერინგ ბრაზერსთან“ და სხვა ფინანსურ სტრუქტურებთან, სადაც ტრადიციულად წამყვან როლს თამაშობდნენ როტშილდების თანატომელები. ამ გენოციდს განსაკუთრებულ ცინიზმს ანიჭებდა ის, რომ მას პარაგვაელი ხალხის დიქტატურის უღლისგან გათავისუფლებისა და ქვეყანაში დემოკრატიის აღდგენის ლოზუნგე-**

ბით განახორციელებდნენ. ქვეყანამ ტერიტორიის ნახევარი დაკარგა, სისხლისგან დაიცალა და ინგლისისა და ამერიკის საცოდავ ნახევრადკოლონიად იქცა. დღეს იგი ცნობილია მსოფლიოში უმდაბლესი ცხოვრების დონით, ნარკომაფიის პარპაშით, უზარმაზარი საგარეო ვალებით, პოლიციური ტერორით, ჩინოვნიკების კორუმპირებულობით. **გლეხებს წაართვეს მიწები და ერთ მუჭა მემამულეებს მიართვეს, რომლებიც ოკუპანტებს ფეხდაფეხ მოჰყვნენ. მოგვიანებით მათ შექმნეს პარტია „კოლორადო“, რომელიც დღემდე მართავს ქვეყანას დოლარის და ძია სემის ინტერესების შესაბამისად. ზეიმობს დემოკრატია...**

1865 წელი — ჯარების შეყვანა პანამაში სახელმწიფო გადატრიალების დროს.

1866 წელი — არაპროვოცირებული თავდასხმა მექსიკაზე.

1866 წელი — სადამსჯელო ექსპედიცია ჩინეთში ამერიკის კონსულზე თავდასხმის გამო.

1867 წელი — სადამსჯელო ექსპედიცია ჩინეთში რამდენიმე ამერიკელი მეზღვაურის მოკვლის საპასუხოდ.

1867 წელი — მიდვეის კუნძულებზე თავდასხმა.

1868 წელი — სამოქალაქო ომის დროს მრავალგზისი შეჭრა იაპონიაში.

1868 წელი — ურუგვაისა და კოლუმბიაში შეჭრა.

1874 წელი — ჯარების შეყვანა ჩინეთსა და ჰავაის კუნძულებზე.

1874 წელი — მექსიკაში შეჭრა.

1878 წელი — თავდასხმა სამოას კუნძულებზე.

1882 წელი — ჯარების შეყვანა ეგვიპტეში.

1888 წელი — თავდასხმა კორეაზე.

1889 წელი — სადამსჯელო ექსპედიცია ჰავაის კუნძულებზე.

1890 წელი — ამერიკის ჯარების შეყვანა ჰაიტიში.

1890 წელი — არგენტინა. ჯარები შეჰყავთ ბუენოს აირესის ინტერესების დასაცავად.

1891 წელი — ჩილე. ამერიკის ჯარების შეტაკება აჯანყებულებთან.

1891 წელი — ჰაიტი. შავკანიანი მუშების აჯანყების ჩახშობა კუნძულ ნავასაზე, რომელიც, ამერიკელთა განცხადებით, აშშ-ის საკუთრება იყო.

1893 წელი — ჰავაიში ჯარების შეყვანა, შეჭრა ჩინეთში.

1894 წელი — ნიკარაგუა. ერთ კვირაში ჯარები ხელთ იგდებენ ბლიუფილდზს.

1894-1896 წლები — შეჭრა კორეაში.

1894-1895 წლები — ჩინეთი. ამერიკის ჯარები მონაწილეობენ სინო-იაპონიის ომში.

1895 წელი — პანამა. ამერიკის ჯარები შეიჭრნენ კოლუმბიის პროვინციაში.

1896 წელი — ნიკარაგუა. აშშ ჯარები შეიჭრებიან კორინტოში.

1898 წელი — ამერიკა-ესპანეთის ომი. ამერიკელები ხელთ იგდებენ ესპანეთის კუთვნილ ფილიპინებს, დაიხოცა 600 ათასი ფილიპინელი. **ამერიკის პრეზიდენტმა ვილიამ მაკ-კინლიმ განაცხადა, რომ ღმერთმა უბრძანა, ხელთ ეგდო ფილიპინის კუნძულები, რათა გაექრისტიანებინა ისინი და შეეტანა იქ ცივილიზაცია. მაკ-კინლიმ თქვა, რომ ელაპარაკა ღმერთს, როცა შუაღამით თეთრი სახლის ერთ-ერთ დერეფანში მიდიოდა.**

ამავე პერიოდში ამერიკელებმა ესპანეთს წაართვეს კუბა. კუბაში მყარდება აშშ-ის პროტექტორატი. ამავე წელს ესპანეთს ართმევენ პუეტრო-რიკოსა და გუამს.

1898 წელი — ამერიკის ჯარები შეიჭრნენ ნიკარაგუის ნავსადგურ სან ხუან დელ სურში.

1898 წელი — ჰავაის კუნძულებს იპყრობს ამერიკის ჯარები.

1899 წელი — აშშ-ფილიპინის ომი.

1899 წელი — ნიკარაგუა. ამერიკის ჯარები შეიჭრა ბლიუფილზის ნავსადგურში.

1901 წელი — ჯარების შეყვანა კოლუმბიაში.

1902 წელი — შეჭრა პანამაში.

1903 წელი — აშშ პანამაში აგზავნის სამხედრო ხომალდებს. 3 ნოემბერს გამოცხადდა პანამის რესპუბლიკის პოლიტიკური დამოუკიდებლობა. იმავე თვეში დადებული

© „ᲙᲝᲚᲘᲜᲘᲐ“

ხელშეკრულებით, არხის მშენებლობის ტერიტორია „საუკუნოდ“ გადაეცა აშშ-ს; ნება დაერთო, გარკვეულ ზონაში აეგო და შემდეგ ექსპლუატაცია გაეწია არხისთვის, განეთავსებინა იქ თავისი ჯარები და ა.შ. **1904 წლის კონსტიტუციით, აშშ-ს ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე ჯარების გადასხმის ნება მიეცა, რითაც აშშ-ის მთავრობამ მრავალგზის ისარგებლა ანტიიმპერიალისტური გამოსვლების ჩასახშობად.** 1908, 1912, 1918 წლების საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკის ჯარების მეთვალყურეობით ჩატარდა.

1903 წელი — ჰონდურასში, დომინიკის რესპუბლიკასა და სირიაში ჯარების შეყვანა.

1904 წელი — კორეაში, მაროკოსა და დომინიკის რესპუბლიკაში ჯარების შეყვანა.

1904-1905 წლები — ამერიკის ჯარების ჩარევა რუსეთ-იაპონიის ომში.

1905 წელი — ამერიკის ჯარების ჩარევა ჰონდურასის რევოლუციაში.

1905 წელი — ჯარების შეყვანა მექსიკაში დიქტატორ პორფიო დიაზის დასახმარებლად.

1905 წელი — ჯარების შეყვანა კორეაში.

1906 წელი — შეჭრა ფილიპინებზე, გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მიზნით.

1906-1909 წლები — ამერიკის ჯარები შეჰყავთ კუბაში არჩევნების დროს.

1907 წელი — ამერიკის ჯარები ანხორციელებენ „დოლარის დიპლომატიის“ პროტექტორატს.

1907 წელი — ამერიკის ჯარები დომინიკის რესპუბლიკის რევოლუციაში ერთვებიან.

1**907 წელი** — ამერიკის ჯარები მონაწილეობენ ჰონდურასისა და ნიკარაგუის ომში.

1908 წელი — ამერიკას ჯარები შეჰყავს პანამაში არჩევნების დროს.

1910 წელი — ნიკარაგუა. ამერიკის ჯარები შეიჭრა ბლიუფილდზისა და კორინტოს ნავსადგურებში. აშშ-მა ნიკარაგუაში გააგზავნა შეიარაღებული ძალები, მოაწყო ანტისამთავრობო შეთქმულება (1909 წელი), პრეზიდენტი სე-

ლაია იძულებული გახდა, ქვეყნიდან გაქცეულიყო. **1910 წელს შეიქმნა ხუნტა პროამერიკულად განწყობილი გენერლების შემადგენლობით. იმავე წელს პრეზიდენტი გახდა ესტრადა (ხუნტის ერთ-ერთი წევრი), მაგრამ მომდევნო წელს იგი შეცვალა ა. დიასმა (ხუნტის მეორე წევრმა), რომელსაც ამერიკის ჯარებმა დაუჭირა მხარი.**

1911 წელი — ამერიკელები გადასხდნენ ჰონდურასში ყოფილი პრეზიდენტის — მანუელ ბონიდის მიერ ორგანიზებული აჯანყების მხარდასაჭერად კანონიერად არჩეული პრეზიდენტის მიგელ დავილას წინააღმდეგ.

1911 წელი — ანტიამერიკული აჯანყების ჩახშობა ფილიპინებზე.

1911 წელი — ჯარების შეყვანა ჩინეთში.

1912 წელი — ამერიკის ჯარები შედიან ჰავანაში (კუბა).

1912 წელი — ამერიკის ჯარები შედიან პანამაში არჩევნების დროს.

1912 წელი — ჯარების შეჭრა ჰონდურასში.

1912-1933 წლები — ნიკარაგუის ოკუპაცია, მუდმივი ბრძოლები პარტიზანებთან. ქვეყანა აშშ-ის მონოპოლიების უღელქვეშ მოექცა.

1914 წელი — ამერიკის ჯარები შედიან დომინიკის რესპუბლიკაში.

1914-1918 წლები — მექსიკაში შეჭრის სერიები. დამთავრდა ამერიკელების ფიასკოთი.

1914-1934 წლები — ჰაიტი. მრავალი აჯანყების შემდეგ ამერიკას შეყავს თავისი შეიარაღებული ძალები, ოკუპაცია 19 წელიწადს გრძელდება.

1916-1924 წლები — დომინიკის რესპუბლიკის რვაწლიანი ოკუპაცია.

1917-1933 წლები — კუბის სამხედრო ოკუპაცია. ეკონომიკური პროტექტორატი.

1917-1918 წლები — პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობა. ომში ჩაერთო დასასრულის წინ. დაკარგა მხოლოდ 40.000 კაცი (რუსეთმა — 200.000), მაგრამ ომის შემდეგ მთავარ გამარჯვებულად გამოგვეცხადა. ზუსტად ასე მოიქცა მეორე მსოფლიო ომის დროსაც. **დღეს სულ უფრო და უფრო მეტი დამამტკიცებელი საბუთი ჩნდება იმი-**

© „ედუსკბუსტ ეგნ ეუნსუკაფეს“

სა, რომ პირველი მსოფლიო ომის გაჩაღება, ძირითადად, ამერიკისა და ინგლისის მიზეზით მოხდა.

1917 წელი — ამერიკელი მაგნატები სიამოვნებით აფინანსებენ სოციალისტურ რევოლუციას რუსეთში, იმ იმედით, რომ გამოიწვევდნენ სამოქალაქო ომს, ქაოსსა და ამ ქვეყნის სრულ ლიკვიდაციას. აი, ზოგიერთი სპონსორის გვარი: იაკობ შიფი, ფელიქსი და პოლ ვარტბურგები, ოტო კანი, მორტიმერ შიფი, გუგენჰაიმი, ისააკ სელიგმანი. განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ ლევ ტროცკიზე (ლეიბ ბრონშტეინზე). ამიტომ იყო, რომ ხასიათი გაუფუჭდათ, როცა სტალინმა ამოხსნა მათი გეგმები და განკვეთა იგი საბჭოთა რუსეთიდან.

1918-1922 წლები — ინტერვენცია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

1918-1920 წლები — პანამა. არჩევნების შემდეგ შეყავთ ჯარები არეულობის ჩასახშობად.

1919 წელი — კოსტარიკა. აჯანყება პრეზიდენტ ტინოკოს რეჟიმის წინააღმდეგ. აშშ-ის ზემოქმედების შედეგად ტინოკომ დატოვა პრეზიდენტის პოსტი, მაგრამ მღელვარება ქვეყანაში არ ჩამცხრალა. ამერიკის ჯარების გადასხმა „აშშ ინტერესების დასაცავად“, პრეზიდენტად აირჩიეს დ. გარსია.

1919 წელი — ამერიკელები დოლმატიაში იბრძვიან იტალიის მხარეს სერბების წინააღმდეგ.

1919 წელი — აშშ-ს ჯარი შეყავს ჰონდურასში არჩევნების დროს.

1920 წელი — გვატემალა. ორკვირიანი ინტერვენცია.

1921 წელი — ამერიკელები მხარს უჭერენ მოთარეშეებს, რომლებიც იბრძვიან გვატემალის პრეზიდენტის — კარლოს ჰერერას დასამხობად.

1922 წელი — ინტერვენცია თურქეთში.

1922-1927 წლები — სახალხო აჯანყების დროს ამერიკის ჯარები ჩინეთში იმყოფება.

1924-1925 წლები — ჰონდურასი. ჯარები არჩევნების დროს შეიჭრება ქვეყანაში.

1925 წელი — პანამა. ამერიკის ჯარი დაარბევს საყოველთაო გაფიცვას.

1926 წელი — ნიკარაგუა. შეჭრა.

1927-1934 წლები — მთელს ჩინეთში სტაციონარდება ამერიკის ჯარები.

1932 წელი — სალვადორში შეჭრა ზღვიდან. იქ იმ დროს აჯანყება იყო.

1936 წელი — ესპანეთი. ჯარის შეყვანა სამოქალაქო ომის დროს.

1937 წელი — ერთჯერადი საომარი შეტაკება იაპონიასთან.

1937 წელი — ნიკარაგუა. ამერიკელების დახმარებით ხელისუფლების სათავეში დგება სომოსა, მომავალი დიქტატორი. მისი ოჯახის წევრები ქვეყანას 40 წელიწადს მართავდნენ.

1939 წელი — ჯარის შეყვანა ჩინეთში.

1941 წელი — იუგოსლავია. სახელმწიფო გადატრიალება 27 მარტის ღამეს, რომელიც ორგანიზებული იყო ინგლის-ამერიკის სპეცსამსახურების მიერ და რომლის შედეგად პუტჩისტებმა დაამხეს ცვეტკოვიჩ-მაჩეკის მთავრობა.

1941-1945 წლები. სანამ საბჭოთა ჯარები ფაშისტურ არმიას ებრძოდნენ, ამერიკელები და ინგლისელები დაკავებული იყვნენ იმით, რითაც ჩვეულებრივად არიან დაკავებული — ტერორით. ისინი მეთოდურად ანადგურებდნენ გერმანიის მშვიდობიან მოსახლეობას, რითაც დაამტკიცეს, რომ არ ჩამორჩებიან ჰიტლერელებს. ისინი ბომბავდნენ ქალაქებს, რომლებსაც ომთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა: დრეზდენს, ჰამბურგს. დრეზდენში ერთ ღამეში დაიღუპა დაახლოებით 120 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე, უმეტესობა — ლტოლვილი.

საბჭოთა კავშირისთვის დახმარების გაწევა მხოლოდ 1943 წელს დაიწყეს, მანამდე დახმარება სიმბოლური იყო. მოცულობა — უმნიშვნელო, ფასი — უზარმაზარი (დღემდე იხდის რუსეთი), ამასთან ერთად ეწეოდნენ ჯაშუშობას.

პარალელურად აშშ მალულად ხელს უმართავს ფაშისტებს, რაზეც ლაპარაკი დღეს მიღებული არ არის. ბიზნესი ბიზნესია. უმცროსი ბუშის ბაბუა პრესკოტ ბუში ამ საქმეში უშუალოდ იყო გარეული.

არანაკლებ საინტერესოა, რომ ამერიკა მხარს უჭერდა უკიდურესად სასტიკ ხორვატელ ფაშისტ უსტაშებს, რომლებსაც შემდგომ აქტიურად იყენებდნენ ანტისაბჭოთა ბრძოლაში. ისინი თითქოს შემთხვევით თავს ესხმოდნენ წითელი არმიის ნაწილებს იმ იმედით, რომ შეაშინებდნენ ჩვენს ჯარისკაცებს თავიანთი ცეცხლის სიძლიერით. **ამერიკელები მოელაპარაკნენ ჰიტლერის წარმომადგენლებს, რომ ჯარების რაც შეიძლება მაქსიმალური რაოდენობა გადაესროლათ აღმოსავლეთ ფრონტზე, რის გამოც ამერიკელები ქალაქს ქალაქზე იპყრობდნენ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.**

ერთ-ერთი ყველაზე საშინელი დანაშაული, უეჭველია, იყო ამერიკული ფონდების მიერ დასპონსორებული არაადამიანური ექსპერიმენტები, რომლებსაც გერმანელი ექიმები საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებზე ატარებდნენ. ფინანსური დახმარების წყალობით, ამერიკას დაუბრკოლებლად ხელი მიუწვდებოდა ამ კვლევების შედეგებზე. ომის დამთავრების შემდეგ ყველა გერმანელი და იაპონელი სპეციალისტი გადაიყვანეს ამერიკაში, სადაც განაგრძობდნენ ექსპერიმენტებს პატიმრებზე, მოხუცთა თავშესაფრების მცხოვრებლებზე, სამხედრო ტყვეებზე, ემიგრანტებზე, ლათინური ამერიკის მოქალაქეებზე და ა.შ.

1945 წელი — ორი ატომური ბომბი, რომლებიც ჩამოყარეს უკვე დამარცხებულ იაპონიაში, რის შედეგადაც დაიღუპა 200 ათასამდე (სხვა მონაცემებით, ნახევარი მილიონი) ადამიანი, ძირითადად, — ქალები და ბავშვები.

ბომბები ჩამოყარეს იმიტომ, რომ დაეშინებინათ ახალი მტერი — სტალინი. წამყვანმა ამერიკელმა სარდლებმა დუაიტ ეიზენჰაუერმა, ჩესტერ ნიმიცმა და კერტის ლიმეიმ — არც ერთმა არ მოიწონა ეს ბარბაროსული აქცია. ბომბები ააფეთქეს 1807 წლის ჰააგის კონვენციის მოთხოვნის დარღვევით, რომლის მიხედვით **„არავითარი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს ზღვარდაუდებელ ნგრევას ან თავდასხმას სამოქალაქო პირებსა და სამოქალაქო ობიექტებზე, როგორც ასეთებზე“.** თუმცა ნაგასაკი სამხედრო-საზღვაო ბაზა მაინც იყო...

ამერიკის ჯარების მიერ იაპონიის ოკუპაციის შემდეგ შიმშილისგან 10 მილიონი ადამიანი დაიღუპა.

1945-1991 წლები — წარმოუდგენელია ანტისაბჭოთა ყველა პროვოკაციის ჩამოთვლა. მაგრამ **აუცილებლად უნდა ვახსენოთ ინგლის-ამერიკის ერთობლივი გეგმა „წარმოუდგენელი", რომელიც რამდენიმე წლის წინათ განსაიდუმლოვდა და რომელიც ითვალისწინებდა ფაშისტური, ინგლისისა და ამერიკის ჯარების თავდასხმას სსრ კავშირზე ჯერ კიდევ 1945 წლის ზაფხულში.** ტყვედ ჩავარდნილ ფაშისტებს ჩვენი მოკავშირეები არ განაიარაღებდნენ, მათი ჯარების ნაწილებს ხელს არავინ ახლებდა. ფაშისტებისგან ჩამოაყალიბეს 100-ათასიანი არმია, რომელიც მზად იყო თავიანთი ბლიცკრიგის გასამეორებლად. საბედნიეროდ, სტალინმა შეძლო ჩვენი ჯარების ისე დისლოცირება, რომ ამერიკელთა და ფაშისტთა ნეიტრალიზება მოახდინა და მათ ვერ გარისკეს ჩანაფიქრის განხორციელება. **ბევრმა სამხედრო**

დამნაშავემ განაგრძო მოღვაწეობა ნატოში, გერმანიის მთავრობაში.

იმავე პერიოდში აშშ-მა, რომელიც ატომური იარაღის მონოპოლისტი მფლობელი იყო, დაიწყო მზადება პრევენციული ომისთვის, რომლის დაწყება 1948 წლამდე იყო ნავარაუდევი. პირველი 30 დღის განმავლობაში განზრახული ჰქონდათ 133 ატომური ბომბის ჩამოგდება 70 საბჭოთა ქალაქზე, მათგან 8 — მოსკოვსა და 7 — ლენინგრადზე, შემდეგ კიდევ 200 ატომური ბომბის აფეთქებას გეგმავდნენ, თუმცა საკონტროლო გაანგარიშებამ გვაჩვენა, რომ 1949-1950 წლებშიც კი ამერიკელების სტრატეგიულ ავიაციას არ შეეძლო საბჭოთა კავშირისთვის მიეყენებინა ისეთი გამოუსწორებელი დარტყმა, რომ იგი ვერ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას. ამ გეგმის კოდური სახელწოდება იყო „დროპშოტი“. **აშშ ყველა ხერხით ცდილობდა ეროვნული შუღლის გაღვივებას სსკრ-ში, მოეყიდა ჩვენთვის წუნდებული მოწყობილობა** (რასაც 1982 წელს მოჰყვა საბჭოთა კავშირში უდიდესი აფეთქება ციმბირის გაზსადენზე). **შეძლებისდაგვარად იყენებდნენ ბიოლოგიურ იარაღსაც, მაგალითად, კოლორადოს ხოჭოების თვითმფრინავიდან გადმოყრის სახით, რაც უზომოდ აზიანებდა კარტოფილის ნარგავებს.**

დაპირისპირების 50 წლის განმავლობაში სსრკ ტერიტორიაზე ოცდაათზე მეტი საბრძოლო და მზვერავი თვითმფრინავი იქნა ჩამოგდებული. ჩვენი ტერიტორიის თავზე საჰაერო ბრძოლებში დავკარგეთ 5 თვითმფრინავი, ამერიკელებმა ჩამოაგდეს ჩვენი რამდენიმე სატრანსპორტო-სამგზავრო ბორტი. **სულ დაფიქსირდა ამერიკის თვითმფრინავების მიერ საბჭოთა კავშირის საზღვრების ხუთ ათასზე მეტი დარღვევის ფაქტი.**

ამავე პერიოდში სსრკ ტერიტორიაზე გამოავლინეს და დააკავეს ას ორმოცზე მეტი პარაშუტისტი-დივერსანტი, რომელთაც კონკრეტული დივერსიული აქტები უნდა განეხორციელებინათ.

აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აქტიურად ბეჭდავდა საბჭოთა ფულს და სხვადასხვა საშუალებით ახერხებდა ჩვენს ქვეყანაში შემოტანას, რათა ამით გამოეწვია ინფლაცია.

დღეს გამჟღავნებულია სსრ კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ ბირთვული ომის დაწყების გეგმები: **„ჩარიოტირი“, „ტროიანი”, „ბრაეო“, „ოფტეკლი“.** ამერიკელები მზად იყვნენ, თავიანთ ევროპელ მოკავშირე ქვეყნებზეც ჩამოეგდოთ ატომური ბომბები, რათა უკანასკნელ რუსებს ბირთვული იარაღით განადგურებული საბჭოთა კავშირიდან გასაქცევი არსად ჰქონოდათ.

1970-იან წლებში გამჟღავნდა ჯერ კიდევ 1945 წლის 3 ნოემბერს აშშ გაერთიანებული შტაბებთან არსებული გაერთიანებული სადაზვერვო სამმართველოს მიერ შექმნილი გეგმა, რომლის მიხედვით 20 საბჭოთა ქალაქზე ატომური თავდასხმა იგეგმებოდა არა მხოლოდ მოსალოდნელი საბჭოთა თავდასხმის შემთხვევაში, არამედ მაშინაც, „როცა მოწინააღმდეგე ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო განვითარების დონე შესაძლებელს გახდიდა აშშ-ზე თავდასხმას და ჩვენი თავდასხმისგან თავდაცვას“.

მაგრამ ამ დროისთვის საბჭოთა კავშირს უკვე ჰქონდა ბირთვული იარაღი, თანაც ამერიკელებისთვის სრულიად მოულოდნელად, და აშშ-მა ვერ გაბედა თავდასხმის გეგმის განხორციელება. **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცნობით, ამერიკამ სსრკ-ის დასაშლელად საერთო ჯამში 13 ტრილიონი დოლარი დახარჯა.**

1946 წელი — იუგოსლავია. ამერიკის ჯარები შურს იძიებენ ჩამოგდებული თვითმფრინავის გამო.

1946-1949 წლები — აშშ ბომბავს ჩინეთს და ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევს კომუნისტებს.

1947 წელი — იტალია. კომუნიზმთან საბრძოლველად აფინანსებს პროამერიკულ ძალებს არჩევნების დროს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მასობრივად კლავს კომუნისტებს, წარმართავს ანტისაბჭოთა კამპანიებს მასმედიაში. დოლარით ნაყიდ და გაყალბებულ არჩევნებში კომუნისტები დამარცხდნენ.

1947-1949 წლები — საფრანგეთი. კომუნიზმთან ბრძოლის მიზნით და ვიეტნამის რეკოლონიზაციისთვის ამერიკელები აფინანსებენ პროამერიკულ ძალებს არჩევნებზე, უზრუნველყოფენ სამხედრო მხარდაჭერას, იღუპება ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე.

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულზე“

1947-1949 წლები — საბერძნეთი. ამერიკის ჯარები მონაწილეობენ სამოქალაქო ომში და მხარს უჭერენ ფაშისტებს.

ამავე წლებში აშშ პირდაპირ ერევა იტალიაში პირველ საერთო საპარლამენტო არჩევნებში და შემდეგი წლების განმავლობაში აკონტროლებს ამ პროცესს.

1948-1953 წლები — საომარი მოქმედება ფილიპინებზე. იღუპება ათობით ათასი ფილიპინელი. ამერიკელების ხელდასმით ქვეყნის სათავეში დგება პრეზიდენტი-დიქტატორი მარკოსი.

1948 წელი — პერუ. ამერიკის მოწყობილი სამხედრო გადატრიალება, ხელისუფლების სათავეში მოდის მანუელ ოდრია. მომდევნო არჩევნები მხოლოდ 1980 წელს გაიმართა.

1948 წელი — ნიკარაგუა. ამერიკა მხარს უჭერს დიქტატორ ანასტასიო სომოსას, რომელზეც აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა თქვა: „შეიძლება იგი ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია“. დიქტატორი მოკლეს 1956 წელს, მაგრამ მისი დინასტია ხელისუფლების სათავეში დარჩა.

1948 წელი — კოსტა-რიკა. ამერიკა მხარს უჭერს სამხედრო გადატრიალებას ჟოზე ფიგუერეს ფერერის მეთაურობით.

1949-1953 წლები — ალბანეთი. აშშ და დიდი ბრიტანეთი რამდენიმეჯერ შეეცადნენ, დაემხოთ „კომუნისტური რეჟიმი“ და შეეცვალათ იგი პროდასავლური მთავრობით მონარქისტებისა და ფაშისტური კოლაბორაციონისტებისგან.

1950 წელი — აჯანყება პუეტრო-რიკოში ჩაახშეს ამერიკის ჯარებმა. ამ დროს იქ მიმდინარეობდა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

1950-1953 წლები — მილიონამდე ამერიკელი ჯარისკაცის შეიარაღებული ინტერვენცია კორეაში. ასობით ათასი კორეელის დაღუპვა. მხოლოდ 2000 წელს გახდა ცნობილი სეულის რეჟიმის არმიისა და პოლიციის მიერ ათობით ათასი პოლიტპატიმრის მკვლელობის ფაქტი, რაც კორეის ომის დროს მოხდა. ამერიკელები აქტიურად იყენებდნენ ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს.

1950 წელი — ვიეტნამის ომში ამერიკის სამხედრო დახ-

მარების გაწევა საფრანგეთისთვის, რომლის დროსაც საფრანგეთის სამხედრო ხარჯების ნახევარს აშშ იხდიდა.

1951 წელი — ამერიკის სამხედრო დახმარება ჩინელი აჯანყებულებისთვის.

1953-1964 წლები — ბრიტანული გაიანა. 11 წლის განმავლობაში აშშ და დიდი ბრიტანეთი სამჯერ შეეცადა, ხელისუფლების სათავეში დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ჯეგენი არ მოსულიყო. 1964 წელს ამერიკამ საწადელს მიაღწია. შედეგად რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული ქვეყანა 1980 წლის დასაწყისისთვის ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად იქცა.

1953 წელი — ირანი. პოპულარული პოლიტიკოსის მოსადიკის მიერ ქვეყანაში განხორციელებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა რეფორმებმა დააფრთხო ამერიკელები და ინგლისელები, რომელთა სპეცსამსახურებმა განახორციელეს ოპერაცია მოსადიკის დასამხობად. ქვეყანაში დაიწყო მღელვარება, რასაც სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვა. **შაჰი ფეხლევი დაბრუნდა ირანში და ოფიციალურ მიღებაზე ასე მიმართა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახლოაღმოსავლეთის განყოფილების უფროსს: „ამ ტახტს ვფლობ ალაჰის, ხალხის, არმიისა და შენი წყალობით“.** მოსადიკი დიდი ხნით ციხეში გაამწესეს.

1953 წელი — ინუიტების ძალადობრივი დეპორტაცია გრენდოანდიიდან, რაც ამ ხალხის დეგრადაციით დამთავრდა.

1954 წელი — გვატემალა. პრეზიდენტ ჯაკომო გუსმანის რეფორმას, რომლის ძალით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობა სახელმწიფო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა, ამერიკული ფირმა „იუნაიტედ ფრუტის“ ინტერესებს უარყოფითად შეეხებოდა. კომპანიის თხოვნას გამოეხმაურა აშშ-ის ადმინისტრაცია. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მცდელობით, გუსმანი, რომელსაც არმიამ უარი განუცხადა მხარდაჭერაზე, მექსიკაში გაიქცა. ქვეყანაში სათავე დაედო სამოქალაქო ომს, რომელიც მხოლოდ 1996 წელს დამთავრდა. **აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა აღიარა, რომ ვაშინგტონი კონფ-**

© „ღვინისფერი ოთხკუთხედი“

ლიქტის დროს არაერთხელ ერეოდა გვატემალის შიდა საქვეყნო საქმეებში. სამოქალაქო ომში 200 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა.

1956 წელი — ამერიკული მხარდაჭერის დაწყება ტიბეტელი მეამბოხეებისთვის, რომლებიც ჩინეთს ებრძოდნენ.

1957-1958 წლები — ინდონეზია. სუკარნომ, რომელიც ნასერთან ერთად მესამე სამყაროს ლიდერი იყო, მოახდინა ჰოლანდიელთა საკუთრების ნაციონალიზაცია, უარი თქვა კომპარტიის აკრძალვაზე, რომელიც უსწრაფესად იხვეჭდა პოპულარობას ამომრჩეველთა შორის. მესამე სამყაროში „მცდარი იდეების დიფუზიის წინააღმდეგ“ აშშ-ის სპეცსამსახურმა დიდი ფული ჩადო არჩევნებში, დაიწყო ომი სუკარნოს მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ — უშედეგოდ.

1958 წელი — ლიბანი. ქვეყნის ოკუპაცია. ბრძოლა აჯანყებულების წინააღმდეგ.

1958 წელი — კონფრონტაცია პანამასთან.

1958 წელი — ამერიკელების სამხედრო დახმარება ჩინეთის წინააღმდეგ კუნძულ კუემოიზე აჯანყებულთათვის.

1958 წელი — ინდონეზიაში იწყება აჯანყება, რომელ-

საც ამერიკელები 1957 წლიდან ამზადებდნენ. აშშ ეხმარება აჯანყებულებს დაბომბვებით, სამხედრო კონსულტაციებით. აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ ამერიკელებმა უკან დაიხიეს. აჯანყება ჩაიფუშა.

1959 წელი — ამერიკელებს ჯარები შეჰყავთ ლაოსში. იწყება ამერიკული ჯარების შეჭრა ვიეტნამში.

1959 წელი — ჰაიტი. პროამერიკული მთავრობის წინააღმდეგ ამბოხის ჩახშობა.

1960 წელი — ეკვადორი. პრეზიდენტი ხოსე მარია ველასკო უარს ამბობს ამერიკელების მოთხოვნაზე, შეწყვიტოს ურთიერთობა კუბასთან. ამერიკელები რამდენიმე საომარი ოპერაციით უპასუხებენ. ქვეყანაში ხდება სისხლიანი პროვოკაციები, რომლებიც მთავრობას მიეწერება. ბოლოს **ამერიკელების მიერ ორგანიზებული გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოდის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი კარლოს არაოსემანა. ამას მოჰყვება მეორე გადატრიალება. ქვეყანაში სახალხო მღელვარება იწყება, რომელიც ამერიკელების ხელმძღვანელობით ჩაახშეს. ძალაუფლება სამხედრო ხუნტის ხელში გადადის.** იწყება პოლიტიკური ტერორი, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების წინააღმდეგ. ამერიკა კმაყოფილია.

1960 წელი — ამერიკის ჯარები შედიან გვატემალაში აშშ-ის მარიონეტის ქვეყნიდან განდევნის თავიდან ასაცილებლად. აჯანყების მცდელობა ჩაიფუშა.

1960 წელი — სალვადორში სამხედრო გადატრიალების მხარდაჭერა.

1960-1965 წლები — კონგო/ზაირი. 1960 წლის ივნისში პატრის ლუმუმბა დამოუკიდებელი კონგოს პირველი პრეზიდენტი გახდა. 1961 წელს იგი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ინიციატორი, მოკლეს. **ხელისუფლების სათავეში დგება მობუტუ, რომელიც აშშ სპეცსამსახურებთან იყო მჭიდრო კავშირში. მისი მმართველობის 30 წლის მანძილზე ქვეყანა ისე გაღატაკდა, რომ**

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

ამერიკელი პატრონებიც კი გაკვირვებას ვერ მალავდნენ. მოგუტუ კი მულტიმილიარდერი გახდა.

1961-1964 წლები — ბრაზილია. პრეზიდენტმა გულარტმა დაიწყო დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ იგი მსხვილი მიწათმფლობელი იყო, ამერიკამ მას „კომუნისტებით მთავრობის დანაგვიანება“ დააბრალა და გადატრიალების შედეგად დაამხო. შემდგომი 15 წლის განმავლობაში ქვეყანას სამხედრო დიქტატურა მართავდა. ბრაზილიამ გაწყვიტა ურთიერთობა კუბასთან და აშშ-ის ერთგული პარტნიორი გახდა ლათინურ ამერიკაში.

1961 წელი — ამერიკელები კლავენ დომინიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს — რაფაელ ტრუხილიოს, რომელიც ქვეყნის სათავეში თვითონვე მოიყვანეს ოცდაათიან წლებში. დიქტატორი იმიტომ კი არ მოკლეს, რომ ქვეყანას ძარცვავდა (ქვეყნის ყველა შემოსავლის 60 პროცენტი უშუალოდ მის ჯიბეში მიდიოდა), არამედ იმიტომ, რომ მისი მძარცველური პოლიტიკა დიდად აზარალებდა ამერიკულ კომპანიებს.

1961 წელს აშშ-მა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან და ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა. აპრილში კი მოაწყვეს კუბელი კონტრრევოლუციონერების თავდასხმა პლაია-ხირონის რაიონში.

1962 წელს გვატემალის დიქტატორი მიგელ ფუენტესი ამერიკელების დახმარებით ახშობს სახალხო აჯანყებას. ასობით ადამიანი უგზო-უკვლოდ იკარგება; წამება და მკვლელობა ჩვეულებრივი ამბავი ხდება; ქვეყანას ტერორი მოიცავს.

1963 წელი — სალვადორი. ანტიამერიკული შეხედულებების მქონე დისიდენტების განადგურება.

1963-1966 წლები — დომინიკის რესპუბლიკა. დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ბოში რეფორმების განხორციელებისკენ მოუწოდებს ხალხს. მის გეგმებს აშშ „სოციალიზმში შეძრომად“ ასაღებს, თვით პრეზიდენტს კი მასმედიის საშუალებით „წითლად“ წარმოადგენს. 1963 წლის სექტემბერში ბოში ამერიკელების თანხმობით მოწყობილი სამხედრო გადატრიალების გზით დაამხეს. რო-

ცა 19 თვის შემდეგ ქვეყანაში იფეთქა სახალხო აჯანყებამ და შეიქმნა ხელისუფლებაში ბოშის დაბრუნების პირობები, აშშ-მა 23 ათასი ჯარისკაცი გააგზავნა „ამბოხის“ ჩახშობაში დახმარების აღმოსაჩენად.

1963 წელი — ამერიკელები აქტიურად ეხმარებიან ბაასისტების პარტიას ერაყში ყველა კომუნისტის მოსასპობად წამოწყებულ კამპანიაში. **სწორედ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარებით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება სადამ ჰუსეინმა და შემდგომ თავდაუზოგავად ეგრძოდა ამერიკის საძულველ ირანს.**

1964 წელი — სისხლში ჩახშობა პანამის ეროვნული ძალების, რომლებიც პანამის არხის ზონაში ქვეყნის უფლებების აღდგენას მოითხოვდა.

1964 წელს ამერიკა მხარს უჭერს სამხედრო გადატრიალებას ბრაზილიაში. სამხედრო ხუნტამ დაამხო კანონიერად არჩეული პრეზიდენტი გულარტი. გენერალ კასტელო ბრანკოს რეჟიმი, რომელიც ქვეყანაში გამეფდა, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სისხლიან რეჟიმად მიიჩნევა. **აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ გაწვრთნილი სიკვდილის ბრიგადების ხელით ბრანკო ხოცავდა ყველას, ვინც მის რეჟიმს ეწინააღმდეგებოდა, უწინარეს ყოვლისა — კომუნისტებს.**

1964 წელი — კონგო (ზაირი). ამერიკა მხარს უჭერს ხელისუფლებაში დიქტატორ მუბუტუ სესე სეკოს მოსვლას, რომელიც უღარიბეს ქვეყანას მილიარდობით დოლარს მოპარავს.

1964-1974 წლები — საბერძნეთი. 1964 წელს დაიწყო აშშ სპეცსამსახურების ინტრიგები ქვეყნის პრემიერ-მინისტრ პაპანდრეუს წინააღმდეგ, ხოლო 1967 წლის აგვისტოს არჩევნებამდე ორი დღით ადრე, პაპანდრეუს პრემიერ-მინისტრად ხელმეორედ მოსვლის აღსაკვეთად მოეწყო სამხედრო გადატრიალება. **ქვეყანას „შავი პოლკოვნიკები“ დაეპატრონენ, შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა, ცენზურა, დაიწყო დაპატიმრებები, წამება, მკვლელობა. პირველსავე თვეში „ხე-**

© „ღვანლთმსცველნი ათასწლეულის“

ლისუფლებაში კომუნისტების მოსვლის“ წინააღმდეგ მოწყობილმა კამპანიამ რვა ათასი ადამიანი შეიწირა.

1965 წელი — ინდონეზია. აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებას სათავეში უდგება დიქტატორი, გენერალი სუხარტო. მისმა დიქტატურამ ნახევარი მილიონი ადამიანი შეიწირა. **1975 წელს სუხარტომ ხელთ**

იგდო აღმოსავლეთ ტიმორი და მოსახლეობის ერთი მესამედი დახოცა. კუნძული გიგანტურ სასაფლაოდ იქცა. „ნიუ იორკ ტაიმსმა“ ამ ტრაგედიას „თანამედროვე პოლიტიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ველური მასობრივი მკვლელობა“ უწოდა.

1965 წელი — სამხედრო დახმარება ტაილანდისა და პერუს პროამერიკულ მთავრობებს.

1965-1974 წლები — სამხედრო აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ, რამაც შეიწირა 250 ათასი ბავშვი, 750 ათასი დაიჭრა და დასახიჩრდა. ამერიკელებმა ჩამოაგდეს 14 მილიონი ტონა ბომბი და ჭურვი, რაც ჰიროსიმაზე აფეთქებული 700 ატომური ბომბის ეკვივალენტური იყო და სამჯერ აღემატებოდა მეორე მსოფლიო ომში აფეთქებული ბომბებისა და ყუმბარების ტონაჟს. **ვიეტნამში დაიხოცა 58 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი, უმეტესად — ახალწვეულები, დაიჭრა — 300 ათასამდე. ათი ათასობით ჯარისკაცმა თავი მოიკლა მომდევნო წლებში ან ფსიქიურად და მორალურად განადგურდა. ომის დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ ვიეტნამის მთავრობამ განაცხადა, რომ მათი მხრიდან დაიღუპა 4 მილიონი სამოქალაქო პირი და 110 ათასი ჯარისკაცი.**

ვიეტნამის ომის 500 ათასამდე ვეტერანი მკურნალობდა პოსტტრავმატულ სტრესულ მოშლილობას. ამ სამხედრო კამპანიაში მონაწილე ამერიკელების საშუალო ასაკი 19 წელიწადი იყო.

1966 წელი — გვატემალა. ამერიკელები ხელისუფლების სათავეში სვამენ თავიანთ მარიონეტ ჯულიო სეზარ მენდეს მონტენეტროს. **აშშ ჯარებმა მასობრივად დახოცეს ინდიელები, რომლებიც პოტენციურ მეამბოხეებად იყვნენ მიჩნეულნი.**

1966 წელი — ინდონეზია და ფილიპინები, რომელთა მმართველებს აქტიურად ეხმარებიან ამერიკელები. წლების შემდეგ ჯორჯ ბუში უფროსი შეაქებს მარკოსის რეპრესიულ რეჟიმს (60 ათასი კაცი დააპატიმრეს პოლიტიკური სარჩულით, მთავრობასთან ოფიციალურად მუშა-

© „ღვასკამსწრგნგ ათსსფაფეი“

ობდა წამების 88 სპეციალისტი) „დემოკრატიული პრინციპების ერთგულებისთვის“.

1968 წელი — ბოლივია. ჩე გევარას რაზმის წინააღმდეგ წარმოებული ნადირობა. ჩე გევარას მკვლელობა.

1970 წელი — ურუგვაი. ამერიკელი წამების სპეციალისტები თავიანთ ხელობას ასწავლიან ადგილობრივებს, ანტიამერიკულ ოპოზიციასთან ბრძოლის პროცესში ამ „დემოკრატიული“ მეთოდის გამოყენების მიზნით.

1971-1973 წლები — ლაოსის დაბომბვა. ამ ქვეყანაში იმდენი ბომბი ჩამოყარეს, რამდენიც ფაშისტური გერმანიისთვის არ დაუყრიათ. 1971 წლის თებერვლის დასაწყისში ამერიკელებისა და საიგონის ჯარები (30 ათასი კაცი) აშშ-ის ავიაციის მხარდაჭერით სამხრეთ ვიეტნამიდან შეიჭრნენ სამხრეთ ლაოსში. ლაოსს სათავეში ჩაუყენეს ამერიკელების მარიონეტი ლოლ ნოლი.

1971 წელი — ამერიკელებმა სამხედრო დახმარება გაუწიეს ბოლივიელ მეამბოხეებს. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად პრეზიდენტი გახდა დიქტატორი ჰუგო ბანზერი, რომელმაც თავისი 2000 პოლიტიკური ოპონენტი წამებით მოკლა.

1972 წელი — ნიკარაგუა. ამერიკის შეიარაღებული ჯარები შედის ქვეყანაში, ვაშინგტონისთვის ხელსაყრელი მთავრობის მხარდასაჭერად.

1973 წელი — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აწყობს სახელმწიფო გადატრიალებას ჩილეში. სოციალისტი პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე შეტაკებისას იღუპება. **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო პირველად და ერთადერთხელ ისტორიაში გადატრიალების მზადების პერიოდში აფინანსებდა კომუნისტებს, რომლებიც ალიენდეს მთავარი კონკურენტები იყვნენ. ხელისუფლების სათავეში ექცევა სამხედრო ხუნტა გენერალ პინოჩეტის ხელმძღვანელობით, რომელმაც სისხლიანი კალო დაატრიალა ქვეყანაში: ციხეებში დაიღუპა 30 ათასი ჩილელი პატრიოტი, 2500 „უგზო-უკვლოდ დაიკარგა“.** 1974 წელს პინოჩეტი პრეზიდენტი გახდა. ქვეყანა გაღატაკდა.

1973 წელი — განკითხვის დღის ომი. სირია და ეგვიპტე ებრძვის ისრაელს. აშშ იარაღით ეხმარება ისრაელს.

1973 წელი — ურუგვაი. ამერიკელების სამხედრო დახმარება გადატრიალების პროცესში, რასაც მოჰყვა ტოტალური ტერორი მთელ ქვეყანაში.

1974 წელი — ზაირი. ამერიკა სამხედრო დახმარებას უწევს მობუტუ სესე სეკოს სისხლიან რეჟიმს. მობუტუ ყვლეფს ქვეყანას.

1974 წელი — პორტუგალია. აშშ ფინანსურად ეხმარება პროამერიკულ ძალებს არჩევნებში, რათა არ განხორციელდეს ქვეყნის დეკოლონიზაცია, რომელსაც 48 წლის განმავლობაში მართავდა აშშ-ისადმი ლოიალურად განწყობილი ფაშისტური რეჟიმი. პორტუგალიის ნაპირებთან ეწყობა ნატოს ძალების მასშტაბური სწავლება მოწინააღმდეგეთა დაშინების მიზნით.

1974 წელი — კვიპროსი. ამერიკელები მხარს უჭერენ სამხედრო გადატრიალებას, რომელსაც ხელისუფლების სათავეში უნდა დაესვა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი ნიკოს სამპსონი. გადატრიალება ჩავარდა, არეულობით ისარგებლეს თურქებმა, რომლებიც შეიჭრნენ კუნძულზე და დღემდე იქ რჩებიან.

1975 წელი — მაროკო იპყრობს სამხრეთ საჰარას აშშ-ის სამხედრო მხარდაჭერით. ამერიკა სანაცვლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგების ნებართვას იღებს.

1975 წელი — ავსტრალია. ამერიკელები ეხმარებიან დემოკრატიულად არჩეული პრემიერ-მინისტრის — ედვარდ ვიტლემის დამხობაში.

1975 წელი — ორდღიანი შეტევა კამბოჯაზე, როცა იქაურმა მთავრობამ ამერიკელების ხომალდი დააკავა. ამ „სარეკლამო ომის“ დროს ამერიკელებმა კინაღამ ჩაძირეს „გადასარჩენი“ ხომალდი, რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და რამდენიმე ვერტმფრენი დაკარგეს. კამბოჯის დანაკარგები უცნობია.

1975-2002 წლები — ანგოლის პროსაბჭოთა მთავრობას დაუპირისპირდა მოძრაობა „უნიტა“, რომელსაც მხარს უჭერდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და აშშ-ის სპეც-

© „ღამისფრთიანი“

სამსახურები. სსრ კავშირმა აღმოუჩინა პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება ანგოლაში კუბის ჯარების ინტერვენციის ორგანიზებას, მოამარაგა ანგოლის არმია მნიშვნელოვანი რაოდენობის თანამედროვე შეიარაღებით და რამდენიმე ასეული სამხედრო მრჩეველიც მიავლინა ამ ქვეყანაში. 1989 წელს კუბის ჯარები გამოიყვანეს ანგოლიდან, მაგრამ სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომი გაგრძელდა 1991 წლამდე. სამხედრო კონფლიქტი კი მხოლოდ 2002 წელს დამთავრდა, მას შემდეგ, რაც დაიღუპა „უნიტას“ უცვლელი ლიდერი ჟონას სავიმბა.

1975-2003 წლები — აღმოსავლეთ ტიმორი. 1975 წლის დეკემბერში აშშ-ის პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი ინდონეზიიდან როგორც კი გამოემგზავრა, **სუხარტოს სამხედრო ძალები აშშ-ის ლოცვა-კურთხევით შეიჭრა კუნძულზე და ამ აგრესიის დროს ამერიკელების ნაბოძები იარაღი გამოიყენა. 1989 წლისთვის ინდონეზიის ჯარებმა, რომელთა მიზანი ტიმორის ანექსია იყო, კუნძულის 600 ათასი მცხოვრებიდან 200 ათასი დახოცეს.**

1978 წელი — გვატემალა. სამხედრო და ეკონომიკური დახმარება პროამერიკელ დიქტატორს, ლუკას გარსიას, რომელმაც ქვეყანაში არნახული რეპრესიული რეჟიმი დაამკვიდრა. აშშ-ის ფინანსური დახმარებით დახოცა 20 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე.

1979-1981 წლები — სამხედრო გადატრიალებათა სერია სეიშელის კუნძულებზე. გადატრიალებების ორგანიზებასა და დაქირავებულთა შეჭრაში მონაწილეობდნენ საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკისა და ამერიკის სპეცსამსახურები.

1979 წელი — ცენტრალური აფრიკა. 100-ზე მეტი ბავშვი მოკლეს აქციის დროს, როცა მოსწავლეებმა უარი თქვეს, შეეძინათ სასკოლო ტანსაცმელი მაღაზიებში, რომლებიც პრეზიდენტს ეკუთვნოდა. **პრეზიდენტ ბოკასას მხარში ამოუდგა ამერიკა, რომელმაც არაფრად ჩააგდო ის ფაქტი, რომ ბოკასა პირადად მონაწილეობდა ბავშვების დახოცვაში და შემდეგ ზოგიერთი შეჭამა კიდეც.**

1979 წელი — იემენი. ამერიკა სამხედრო დახმარებას უწევს აჯანყებულებს, საუდის არაბეთის გულის მოსაგებად.

1979-1989 წლები — საბჭოთა შეიარაღებული ძალების შეჭრა ავღანეთში. ამერიკელები მხარს უჭერენ მოჯაჰედებს, მათ შორის, ბენ ლადენს. ავღანეთი აშშ-ისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების პოლიგონად იქცევა.

1980-1992 წლები — სალვადორი. აშშ აძლიერებს თავის გავლენას და ჯერ აგზავნის სამხედრო მრჩევლებს, შემდეგ ერთვება სპეცოპერაციებში პენტაგონისა და ლენგლის სამხედრო-ჯაშუშური პოტენციალის გამოყენებით. 20 ამერიკელი დაიღუპა ან დაიჭრა ვერტმფრენებისა და თვითმფრინავების კატასტროფებში სხვადასხვა მისიების შესრულების დროს. ომი ოფიციალურად 1992 წელს დამთავრდა. **დაიღუპა 75 ათასი სალვადორელი მოქალაქე. ეს ოპერაცია ამერიკას 6 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ერთი მუჭა მდიდრები კვლავ მართავენ ქვეყანას, ღატაკები უარესად გაღატაკდნენ, ოპოზიციას ახშობს „სიკვდილის ესკადრონები“. ქალებს მათივე თმებით ხეებზე ჰკიდებდნენ და აჭრიდნენ მკერდს, ამოჭრიდნენ შიგნეულობას გენიტალიების რაიონში და თავზე ჩამოამხოგდნენ. მამაკაცებს აჭრიდნენ გენიტალიებს და უდებდნენ პირში. ბავშვებს მშობლების თვალწინ მავთულხლართით გლეჯდნენ. ამ საშინელებას ამერიკელი სპეციალისტების დახმარებითა და დემოკრატიის სახელით სჩადიოდნენ.** ყოველწლიურად ასე იღუპებოდა რამდენიმე ათასი ადამიანი.

1980-იან წლებში ჰონდურასში დათარეშობს სიკვდილის რაზმები, რომლებიც მომზადებულია და დაფინანსებული აშშ-ის მიერ. ათი ათასობით მოკლულია. **სიკვდილის რაზმების ბევრმა ოფიცერმა მომზადება აშშ-ში გაიარა.** ამერიკამ ჰონდურასი სალვადორისა და ნიკარაგუის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად აქცია.

1980 წელი — სამხედრო დახმარება ერაყს, ირანის ანტიამერიკული რეჟიმის დესტაბილიზაციის მიზნით. ომი 10 წელიწადს გრძელდება. დაღუპულთა რაოდენობა ერ-

© „ᲙᲝᲚᲘᲡᲔᲣᲛᲘ“

თი მილიონია. ამავე დროს ამერიკა საიდუმლოდ აგზავნის იარაღს ირანში ისრაელის მეშვეობით, იმ იმედით, რომ პროამერიკული გადატრიალება მოაწყოს სპარსეთში.

1980 წელი — კამბოჯა. აშშ-ის ზემოქმედებით ორგანიზაციამ World Food Program-მა ტაილანდს მიჰყიდა 12 მილიონის პროდუქტი, რომელიც განკუთვნილი იყო წითელი ქხმერებისთვის, კამბოჯის წინამორბედ მთავრობის ნარჩენებისთვის. მისი მმართველობის 4 წლის განმავლობაში გაიჟლიტა 2,5 მილიონი ადამიანი. **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ, ᲒᲤᲠ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ ᲐᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲞᲝᲚ ᲞᲝᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ ᲡᲘᲜᲒᲐᲞᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲥᲮᲛᲔᲠᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ — 10 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲢᲔᲠᲝᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲐᲡ.**

1980 წელი — იტალია. როგორც ოპერაცია „გლადიოს“ შემადგენელ ნაწილს ამერიკა ბოლონიის რკინიგზის სადგურზე აწყობს აფეთქებას, იღუპება 86 ადამიანი. მიზანი — კომუნისტების დისკრიმინაცია არჩევნებისწინა პერიოდი.

1980 წელი — სამხრეთ კორეა. ამერიკელების დახმარებით იღუპება ათასობით დემონსტრანტი — კვანგუიში გამართული დემონსტრაციის მონაწილე. პროტესტი მიმართული იყო წამების, მასობრივი დაპატიმრების, ფალსიფიცირებული არჩევნებისა და პირადად ამერიკელების მარიონეტის — ჩუნ დუ ხვანის წინააღმდეგ, რომელსაც წლების შემდეგ რონალდ რეიგანი ეტყვის, რომ მან „ბევრი რამ გააკეთა თავისუფლებისადმი ერთგულების ხუთიათასწლოვანი ტრადიციის მხარდასაჭერად“.

1981 წელი — ზამბია. ამერიკას ძალიან არ მოსწონდა ამ ქვეყნის მთავრობა, რადგან იგი მხარს არ უჭერდა ამერიკელების ესოდენ საყვარელ აპარტეიდს სამხრეთ აფრიკაში. ამიტომ შეუდგნენ ამერიკელები სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებას, რომელიც უნდა განეხორციელებინათ ზამბიელ დისიდენტებს სამხრეთ-აფრიკული რაზმების დახმარებით. გადატრიალების მცდელობა ჩაიფუშა.

1981 წელი — ამერიკელებმა ჩამოაგდეს ორი ლიბიური თვითმფრინავი. ეს ტერაქტი მიმართული იყო მუამარ კა-

დაფის მთავრობის დესტაბილიზაციისკენ. ამასთან, ლიბიის სანაპიროებთან ტარდებოდა სანიმუშო-საჩვენებელი სამხედრო მანევრები. კადაფი მხარს უჭერდა პალესტინელებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და დაამხო პროამერიკული წინამორბედი მთავრობა.

1981-1990 წლები — ნიკარაგუა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ხელმძღვანელობს ქვეყანაში აჯანყებულთა შეჭრას და ტერიტორიების დანაღმვას. ამერიკა დაუპირისპირდა ნიკარაგუას, ამ ღარიბთა შორის უღარიბეს ქვეყანას, სადაც მხოლოდ სამი ლიფტი და ერთი ესკალატორი იყო, რომელიც არ მუშაობდა. **8 წლის განმავლობაში ნიკარაგუას თავს ესხმოდნენ კონტრასის რაზმები, რომლებიც ამერიკელებმა შექმნეს და რომელთა მებრძოლები დამხობილ დიქტატორ სომოსასა და მის მომხრეთა გვარდიის ყოფილი წევრები იყვნენ. ეს რეიგანისეული „თავისუფლებისთვის მებრძოლები“ წვავდნენ სკოლებს, კლინიკებს, კლავდნენ და აწამებდნენ ადამიანებს და ა.შ.** რევოლუცია დამარცხდა. ამერიკამ მილიონობით დოლარი დაახარჯა პროამერიკულად განწყობილი პარტიის — Natuonal Opposition Union-ის 1990 წლის არჩევნებში გამარჯვებას. სანდინისტები დამარცხდნენ.

1982 წელი — სამხრეთაფრიკული რესპუბლიკა სურინამი სოციალისტური რეფორმების განხორციელებას იწყებს და კუბელ მრჩევლებს იწვევს. 1984 წელს პროსოციალისტური მთავრობა იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო კარგად ორგანიზებული სახალხო მღელვარების გამო.

1982-1983 წლები — 800 ამერიკელი საზღვაო ქვეითის ტერაქტი ლიბანის წინააღმდეგ. კვლავ უამრავი მსხვერპლი.

1982 წელი — გვატემალა. ამერიკა ეხმარება გენერალ ეფრაინ რიოს მონტს ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. მმართველობის 17 თვის განმავლობაში მან ინდიელთა 400 სოფელი გაანადგურა.

1983 წელი — 2 ათასამდე ამერიკელი ქვეითის სამხედრო ინტერვენცია გრენადაში, რომელმაც ასობით ადამიანი იმსხვერპლა. გრენადის რევოლუციის შედეგად გაი-

მარჯვა მემარცხენე ორიენტაციის ძალებმა. ამ პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოს ახალი მთავრობა შეეცადა, განეხორციელებინა ეკონომიკური რეფორმები კუბისა და საბჭოთა კავშირის დახმარებით. ამან დააფრთხო აშშ, რომელსაც კუბის რევოლუციის ექსპორტირების შეეშინდა. **მიუხედავად იმისა, რომ გრენადის მარქსისტების ლიდერი მორის ბიშოპი თანაპარტიელებმა მოკლეს, ამერიკამ გრენადაში შეჭრის გადაწყვეტილება მიიღო. სამხედრო ოპერაციის მიზეზად გამოიყენეს ამერიკელი სტუდენტების მძევლად აყვანის ფაქტი.**

პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა განაცხადა, რომ სსრკ და კუბა ამზადებდნენ გრენადის ოკუპაციას, აგრეთვე, ასაწყობებენ იარაღს, რომლის გამოყენება შეეძლებათ საერთაშორისო ტერორისტებს. მას შემდეგ, რაც საზღვაო ძვეითებმა კუნძული დაიკავეს, გაირკვა, რომ სტუდენტები მძევლად არავის აუყვანია, ხოლო სამხედრო საწყობები სავსე იყო ძველი საბჭოთა აღჭურვილობით. შეჭრის წინ აშშ-მა განაცხადა, რომ კუნძულზე 1,2 ათასი კუბელი კომანდოსი იმყოფებოდა. მალევე გაირკვა, რომ კუბელთა რაოდენობა 200 კაცს არ აღემატებოდა

და მათი მესამედი სამოქალაქო სპეციალისტი იყო. რევოლუციური მთავრობის წევრები ამერიკელებმა დააპატიმრეს და აშშ-ის მომხრეებს გადასცეს. ახალი ხელისუფლების მიერ დანიშნულმა სასამართლომ მათ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა. გაეროს ასამბლეამ დაგმო ამგვარი მოქმედება. ცნობა ამის შესახებ რეიგანმა ასეთნაირად შეაფასა: „მან (ინფორმაციამ) ჩემი საუზმეც კი არ დააბრკოლა“.

1983 წელი — დესტაბილიზაციური საქმიანობა ანგოლაში: ანტისამთავრობო შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა, ტერაქტები და საბოტაჟი საწარმოებში.

1984 წელი — ამერიკელებმა ჩამოაგდეს ირანის ორი თვითმფრინავი.

1984 წელი — ამერიკა აგრძელებს ნიკარაგუის ანტისამთავრობო მოთარეშეების დახმარებას. როცა კონგრესმა ოფიციალურად აკრძალა ტერორისტებისთვის ფულის გადაცემა, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გაასაიდუმლა დაფინანსება. **ნიკარაგუელებმა ამხილეს ამერიკელები ტიპიურ ტერორისტულ საქმიანობაში, თავზე წაადგნენ მათ, როცა ისინი სამ ყურეს ნაღმავდნენ. ეს შემთხვევა განიხილა საერთაშორისო სასამართლომ და აშშ-ს 18 მილიარდი დოლარის გადახდა დააკისრა, მაგრამ ამერიკელებს ამისთვის ყურადღება საერთოდ არ მიუქცევიათ.**

1985 წელი — ჩადი. მთავრობას, რომელსაც პრეზიდენტი ჰაბრე ედგა სათავეში, მხარს უჭერდნენ ამერიკელები და ფრანგები. ეს რეპრესიული რეჟიმი აქტიურად იყენებდა წამების საშინელ მეთოდებს, ცოცხლად წვავდნენ ადამიანებს, პირში სჩრიდნენ მილებს და აიძულებდნენ, მანქანის გამონაბოლქვით ესუნთქათ, პატიმრებს ათავსებდნენ საკნებში, სადაც ხრწნადი გვამები ეწყო, შიმშილით ხოცავდნენ. **დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ქვეყნის სამხრეთში ასობით გლეხი დახოცეს. რეჟიმის სწავლებასა და დაფინანსებას ამერიკელები უზრუნველყოფდნენ.**

1985 წელი — ჰონდურასი. აშშ ნიკარაგუელი კონტრა-

© „ღვინისფერი ობლისფერი“

სების დასახმარებლად აგზავნის სამხედრო მრჩევლებს და ადამიანის წამების სპეციალისტებს, რომელთაც სახელი გაითქვეს არაადამიანური დაუნდობლობით. ამერიკა თანამშრომლობს გავლენიან ნარკოვაჭრებთან. კომპენსაციის სახით ჰონდურასის მთავრობა 231 მილიონ აშშ დოლარს იღებს.

1986 წელი — ლიბიაზე თავდასხმა. ტრიპოლისა და ბენღაზის დაბომბვები. უამრავი მსხვერპლი. ამის მიზეზი იყო ლიბიის სპეცსამსახურების მიერ მოწყობილი ტერაქტი დასავლეთ ბერლინის ერთ-ერთ დისკოთეკაში, რომელიც აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეთა შორის პოპულარობით სარგებლობდა. 1986 წლის მაისში ამერიკის სამხედრო ფლოტის სწავლების დროს ჩაძირეს ლიბიის ორი სამხედრო გემი, ერთი — დააზიანეს. ჟურნალისტების შეკითხვას — ხომ არ დაიწყო ომი, თეთრი სახლის პრესმდივანმა ლერი სპიკსმა უპასუხა, რომ „განხორციელდა მშვიდობიანი საზღვაო მანევრი საერთაშორისო წყლებში“.

1986-1987 წლები — ტანკერების „ომი“ ერაყსა და ირანს შორის — დაპირისპირებული მხარეების ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ძალების თავდასხმები ნავთობსარეწებსა და ტანკერებზე. **აშშ-მა შექმნა საერთაშორისო ძალები სპარსეთის ყურეში კომუნიკაციების დასაცავად. ამით სათავე დაედო აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფნას სპარსეთის ყურის ზონაში.** აშშ-ის არაპროვოცირებული თავდასხმა ირანის ხომალდზე საერთაშორისო წყლებში, ირანის ნავთობპლატფორმის განადგურება...

1986 წელი — კოლუმბია. ამერიკელების მიერ პროამერიკული რეჟიმის მხარდაჭერა „ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად“. კოლუმბიას მასობრივად გადაეცა სამხედრო ტექნიკა მას შემდეგ, რაც კოლუმბიის მთავრობამ აშშ-ს ერთგულება დაუმტკიცა „სოციალურ წმენდაში“, ანუ პროფკავშირებისა და ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოძრაობის, ლიდერების მოსპობაში, როცა ქვეყანა „გაიწმინდა“ ანტიამერიკული და ანტისამთავრობო ელემენტებისგან. **ამ დროს მხეცურად აწამებდნენ ადამიანებს. მშრომელთა ორგანიზაციის**

ცენტრმა 230 კაცი დაკარგა. თითქმის ყველა სიკვდილის პირამდე ნაწამები იპოვეს. „წმენდის“ ნახევარწლიან პერიოდში მოკლეს 3000-ზე მეტი ადამიანი, რის შემდეგაც ამერიკამ განაცხადა, ჩამოყალიბდა „დემოკრატიული მმართველობის ფორმა და არ არღვევს ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს“. 1988-1992 წლებში პოლიტიკური მიზეზებით მოკლეს 9500-მდე ადამიანი (მათ შორის, ერთადერთი დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის — „პატრიოტული კავშირის“ 1000 წევრი), ამ რიცხვში არ შედის 313 მოკლული გლეხი; 830 პოლიტიკური აქტივისტი დაკარგულად ითვლება. 1994 წლისთვის პოლიტიკური ნიშნით მოკლულთა რაოდენობა 2000 კაცამდე გაიზარდა. „ნარკოტიკებთან ბრძოლის“ მითს სრულიად ვერ ესადაგება შემდეგი ინციდენტები: **2001 წელს ინდიელთა უვეს ტომი შეეცადა, არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვება ამერიკული ფირმა OCCIDENTAL PETROLEUM-ის მიერ. ფირმის ინტერესების დასაცავად სამთავრობო ჯარმა შეუტია ინდიელებს, თავს დაესხა ორ სოფელს, მოკლა 18 ადამიანი, მათ შორის — 9 ბავშვი. მსგავსი ინციდენტი მოხდა 1998 წელსაც სანტა დომინგოში. გზის გადაკეტვის მცდელობისას დახვრიტეს სამი ბავშვი, ათობით ადამიანი დაიჭრა. კოლუმბიელი ჯარისკაცების 25 პროცენტი უცხოური ნავთობმომპოვებელი კომპანიების დაცვითაა დაკავებული.**

1986-2000 წლები — სახალხო მღელვარება ჰაიტიში. 30 წლის განმავლობაში აშშ აქ მხარს უჭერდა დიუვალიეს ოჯახურ დიქტატურას, სანამ მის წინააღმდეგ არ გაილაშქრა რეფორმისტულად განწყობილმა მღვდელმა არისტიდმა. ამავე პერიოდში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო საიდუმლოდ მუშაობდა „სიკვდილის ესკადრონებთან“ და ნარკოვაჭრებთან. თეთრი სახლი გარეგნულად თითქოს მხარს უჭერდა არისტიდის ხელისუფლებაში დაბრუნებას 1991 წელს მისი დამხობის შემდეგ. 2 წელიწადზე ხანგრძლივი დაყოვნების შემდეგ აშშ-ის სამ-

ხედროებმა აღადგინეს მისი მმართველობა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი არ დაეხმარებოდა ღარიბებს მდიდრების ხარჯზე და ივლიდა „თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის“ კურსით.

1987-1988 წლები — აშშ ეხმარება ერაყს ირანთან ომში არა მხოლოდ იარაღით, არამედ დაბომბვებითაც. ამასთან ერთად, **ამერიკა და ინგლისი ერაყს აწვდიან მასობრივი განადგურების იარაღს, მომწამვლელი გაზის ჩათვლით, რომლითაც სადამ ჰუსეინმა მოწამლა თურქულ სოფელ HALABJA-ს 6000 მცხოვრები.**

1988 წელი — თურქეთი. ქვეყნის პროამერიკულად განწყობილი მთავრობის სამხედრო მხარდაჭერა უკმაყოფილო ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი რეპრესიების დროს. წამების ფართოდ გამოყენება, ბავშვების წამების ჩათვლით, ათასობით დაღუპული. შედეგად თურქეთი ამერიკის ფინანსურად მხარდაჭერილ ქვეყნებს შორის მესამე ადგილს იკავებს. თურქეთი შეიარაღების 80 პროცენტს აშშ-ში ყიდულობს, ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზებია განლაგებული. 1995 წელს იწყება კამპანია ქურთი უმცირესობის წინააღმდეგ: **3500 სოფელი განადგურდა, საცხოვრებელი**

ადგილებიდან აიყარა 3 მილიონი ადამიანი, ათი ათასობით ადამიანი დახოცეს. ამ ფაქტებს არც აშშ, არც მსოფლიო თანამეგობრობა არ შეუწუხებია.

1988 წელი — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო შოტლანდიის თავზე კომპანია „პან ამერიკენის“ თვითმფრინავს აფეთქებს, ასობით ამერიკელი დაიღუპა. ეს ინციდენტი არაბ ტერორისტებს მიაწერეს. გაირკვა, რომ ასეთ ასაფეთქებლებს აწარმოებს მხოლოდ ამერიკა და მიჰყიდის მხოლოდ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, არა — ლიბიას. ლიბიამ, რომელიც აშშ-ის სანქციებით უაღრესად დათრგუნული იყო, 2003 წელს აღიარა თავისი დანაშაული.

1988 წელი — ამერიკის ჯარების შეჭრა ჰონდურასში, ტერორისტული მოძრაობა „კონტრასის“ დასაცავად, რომელიც ამ ქვეყნის ტერიტორიიდან წლების განმავლობაში თავს ესხმოდა ნიკარაგუას. ჯარები დღემდე ჰონდურასში რჩება.

1988 წელი — აშშ სამხედრო ხომალდმა „ვინსენსმა“, რომელიც სპარსეთის ყურეში ცურავდა, რაკეტით ჩამოაგდო ირანული თვითმფრინავი, რომელშიც 290 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის 57 ბავშვი იყო... კალიფორნიაში დაბრუნებულ „ვინსენსს“ ხალხმა აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო, რეიდზე მდგარი სამხედრო ხომალდები საარტილერიო ზალპებით მიესალმა „გმირებს“. ბუშმა უფროსმა განაცხადა: „მე არასოდეს ბოდიშს არ მოვიხდი ამერიკის სახელით. მიმიფურთხებია ფაქტებისთვის“... მოგვიანებით ამერიკის მთავრობამ სრულად აღიარა თავისი დანაშაული ამ არაადამიანური დანაშაულის ჩადენის გამო. მაგრამ დღემდე არ შეუსრულებია აღებული ვალდებულება მატერიალური და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად. პირიქით, ამავე წელს აშშ-მა დაბომბა ირანის ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები.

1989 წელი — შეიარაღებული ინტერვენცია პანამაში. პრეზიდენტ ნორიეგას დაპატიმრება, რომელიც დღემდე ამერიკულ ციხეშია გამოკეტილი. დაიღუპა ათასობით პანამელი, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში მათი რაო-

© „ᲠᲝᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲘᲝ“

დენობა 560-მდე შემცირდა. გაერო გმობს ამ ოკუპაციას, აშშ რეზოლუციას ადებს ვეტოს. სსრკ არ ერევა ამ საქმეში — მუშაობს „პერესტროიკის“ დათმობის კურსი.

1989 წელი — ამერიკელები ჩამოაგდებენ ლიბიის 2 თვითმფრინავს.

1989 წელი — რუმინეთი. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მონაწილეობს ჩაუშესკუს დამხობასა და მკვლელობაში. თავიდან ამერიკა მისდამი კეთილად იყო განწყობილი, რადგან მხარი არ დაუჭირა სსრკ-ის შეჭრას ავღანეთში და 1984 წლის ლოს-ანჟელესის ოლიმპიადის ბოიკოტს, მოითხოვდა ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ერთდროულ რეფორმირებას. მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს აშკარა გახდა, რომ იგი გორბაჩოვივით არ უღალატებს სოციალიზმს. ლენგლიში გადაწყვიტეს, მოეშორებინათ ჩაუშესკუ, რასაც მოსკოვის თანხმობის გარეშე ვერ შეძლებდნენ. **ოპერაციის განხორციელება დაევალა ცსს აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების ხელმძღვანელს — მილტონ ბორდენს. დღეს იგი აღიარებს, რომ რუმინეთში სოციალისტური წყობილების დამხობისა და ჩაუშესკუს მოცილების ოპერაცია სანქცირებული იყო აშშ-ის მთავრობის მიერ.** ჯერ დაამუშავეს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. დასავლეთის მასმედიაში ჩანერგილი აგენტების მეშვეობით გაავრცელეს ნეგატიური მასალები დიქტატორზე და რუმინელი დისიდენტების ინტერვიუები, რომლებიც საზღვარგარეთ იყვნენ გაქცეულნი. ამ პუბლიკაციების ლაიტმოტივი იყო: ჩაუშესკუ აწამებს ხალხს, ითვისებს სახელმწიფო სახსრებს, არ განავითარებს ეკონომიკას.

პარალელურად დაიწყო ჩაუშესკუს შემცვლელის — იონ ილიესკუს პიარი, რომლის კანდიდატურა ვაშინგტონსაც და მოსკოვსაც ხელს აძლევდა. ამასობაში, სოციალიზმისგან უკვე „განწმინდული“ უნგრეთიდან ოპოზიციას ჩუმად აწვდიდნენ შეიარაღებას. დაბოლოს, **რამდენიმე მსოფლიო ტელეარხით ერთდროულად გადაიცა სიუჟეტი რუმინეთის სპეცსამსახურის „სეკურიტატეს“ აგენტების მიერ ქალაქ ტიმიშუარეს უნ-**

ბრული წარმოშობის მცხოვრებთა დახოცვის შესახებ. ეს ქალაქი რუმინელი უნგრელების „დედაქალაქად“ იყო მიჩნეული. ცსს-ს თანამშრომლებმა შემდეგ აღიარეს, რომ ეს იყო კარგად გაკეთებული მონტაჟი. ყველა დაღუპული ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, გვამები კი ადგილობრივი მორგებიდან სპეციალურად მიიტანეს ტელეგადაღების ადგილზე — სანიტრების მოსყიდვა ორგანიზატორებს არ გასჭირვებიათ.

15 წლის წინათ რუმინეთის კომპარტიის ყოფილი გენერალური მდივნისა და მისი ცოლის — ელენას დახვრეტა წარმოდგენილი იყო როგორც კომუნისტური რეჟიმის დამამხობელი რუმინელი ხალხის ნების აღსრულება. დღეს ნათელია, რომ ეს იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მორიგი ოპერაცია, რომელიც „ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ლეღვის ფოთლით იყო დაფარული.

1989 წელი — ფილიპინები. გადატრიალების მცდელობის აღსაკვეთად აშშ ეხმარება ფილიპინების მთავრობას საჰაერო ძალებით.

1989 წელი — აშშ-ის ჯარები ახშობენ არეულობას ვირჯინიაში.

1990 წელი — სამხედრო მხარდაჭერა გვატემალის პროამერიკულ მთავრობას „კომუნიზმთან ბრძოლის“ საქმეში. პრაქტიკულად ეს გამოიხატა მასობრივ მკვლელობებში, 1998 წლისთვის სამხედრო შეტაკებებს 200 ათასი ადამიანი შეეწირა. განადგურდა 440-ზე მეტი სოფელი, ათი ათასობით მოქალაქე გადაიხვეწა მექსიკაში, მილიონზე მეტი ლტოლვილი საკუთრივ ქვეყანაში იმყოფება. ქვეყანა სწრაფად ღატაკდება — **1990 წლისთვის ღარიბთა რაოდენობამ მოსახლეობის 75 პროცენტი შეადგინა; ათიათასობით ადამიანს შიმშილმა ბოლო მოუღო; ხსნიან ბავშვების აღზრდის „ფერმებს“, რომელთა სხეულის ორგანოებს ამერიკელ და ისრაელელ მდიდარ კლიენტებზე ყიდიან;** ყავის პლანტაციებში ადამიანები ცხოვრობენ და მუშაობენ ისე, როგორც ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკებში.

© „ღამისფრთიანი“

1990 წელი — სამხედრო გადატრიალების მხარდაჭერა ჰაიტიში. დაამხეს პოპულარული და კანონიერად არჩეული პრეზიდენტი არისტიდი, მაგრამ ხალხმა მისი დაბრუნება აქტიურად მოითხოვა. მაშინ ამერიკელებმა წამოიწყეს დეზინფორმაციული კამპანია მისი ფსიქიკური დაავადების შესახებ. ამერიკელების ხელდასმული გენერალი პროსპერ ენვილი იძულებული გახდა გაქცეულიყო ფლორიდაში, სადაც დღემდე ნაძარცვი ფულით მდიდრულად ცხოვრობს.

1990 წელი — იწყება ერაყის საზღვაო ბლოკადა.

1990 წელი — ბულგარეთი. ამერიკა 1,5 მილიონ დოლარს ხარჯავს არჩევნებში ბულგარეთის სოციალისტური პარტიის მოწინააღმდეგეთა დასაფინანსებლად. ამაოდ. სოცპარტია იმარჯვებს. ამერიკა აგრძელებს ოპოზიციის დაფინანსებას, რაც იწვევს სოციალისტური მთავრობის ვადამდელ გადადგომასა და კაპიტალისტური რეჟიმის დამყარებას. შედეგი: ქვეყნის კოლონიზაცია, ხალხის გაღატაკება, ეკონომიკის ნაწილობრივი ნგრევა.

1991 წელი — ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია ერაყის წინააღმდეგ. ოპერაციაში მონაწილეობს 450 ათასი სამხედრო მოსამსახურე. მოკლულია მინიმუმ 150 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე. მშვიდობიანი ობიექტების მიზანმიმართული დაბომბვა ერაყის მოსახლეობის დასაშინებლად ხორციელდება.

1991 წელი — კუვეიტი. მაგრად მოხვდა კუვეიტს, რომელიც ამერიკამ „გაათავისუფლა“ — დაიბომბა ქვეყანა, შეიყვანეს ჯარები.

1992-1994 წლები — სომალის ოკუპაცია. შეიარაღებული ძალადობა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მოქალაქეების დახოცვა. 1991 წელს დაამხეს სომალის პრეზიდენტი მოჰამად სიად ბარი. მას შემდეგ ქვეყანა ფაქტობრივად კლანების ტერიტორიებად არის დაყოფილი. ცენტრალური ხელისუფლება ქვეყანას სრულად ვერ აკონტროლებს. **აშშ ოფიციალური პირები სომალის „ტერორისტებისთვის იდეალურ ადგილად“ მიიჩნევენ. თუმცა, ფაქტია, რომ კლანების ზოგიერთი ხელმძღვანელები, მაგალითად, როგორც აწ გარდაცვლილი მოჰამად ფარახ აიდიდი, 1992**



ელენა და ნიკოლაე ჩაუშესკუები

წელს თანამშრომლობდა გაეროს მშვიდობისმყოფელებთან, მაგრამ — მცირე ხნით. ერთი წლის თავზე მან მათთან ბრძოლა დაიწყო.

სომალელი კლანების წინამძღოლებს ჰყავთ მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან მობილური და კარგად შეიარაღებული არმიები, მაგრამ ამერიკელებს ამ არმიების წინააღმდეგ არ უბრძოლიათ, ისინი მშვიდობიანი მოსახლეობის ამოწყვეტით შემოიფარგლნენ. მაგრამ არც მოსახლეობამ დაიკრიფა გულზე ხელი, ისიც შეიარაღებულია და წინააღმდეგობაც გაუწია. ამერიკელებმა დაკარგეს ორი სამხედრო ვერტმფრენი, რამდენიმე დაჯავშნული „ჰამერი“, 18 ჯარისკაცი მოუკლეს, 73 დაჭრილია (სპეცრაზმელები, ჯგუფი „დელტა“, ვერტმფრენის ეკიპაჟები). მათი საგმირო მონაგარი კი ასეთია: ქალაქის რამდენიმე კვარტლის განადგურება, რომლის დროსაც, სხვადასხვა მონაცემით, დაიღუპა რამდენიმე ათასი კაცი. **ამერიკელების თითქმის 30-ათასიანი დანაყოფი, წესრიგის დამყარების ორწლიანი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1994 წელს, იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა ქვეყანა.** აიდიდი მაშინ არ დაუპატიმრებიათ, მოკლეს 1995 წელს. ამერიკელებმა გა-

© „ღვინისბუნებები ათასწლეულ“

დაიღეს ფილმი Black Hawk down, რომელშიც თავიანთი თავი ტერორისტებთან მებრძოლ გმირ გამათავისუფლებლებად წარმოგვიდგინეს.

1992 წელი — ანგოლა. ნავთობისა და დიამანტების ხელში ჩაგდების იმედით, ამერიკა აფინანსებს პრეზიდენტობის თავის კანდიდატს ჯონას სავიმბის. კანდიდატმა არჩევნები წააგო. არჩევნებამდე და შემდეგაც აშშ მას კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღით ამარაგებს. კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 650 ათასი ადამიანი. აჯანყებულთა მხარდაჭერის ოფიციალურ მიზეზად კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადეს. **2002 წელს ამერიკამ მაინც მიიღო სასურველი შელავათები თავისი ფირმებისთვის. სავიმბი ზედმეტი ტვირთი გახდა. აშშ-მა მას საომარ მოქმედებათა შეწყვეტა მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ამასთან დაკავშირებით ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა განაცხადა: „თოჯინების პროგლემა ისაა, რომ ისინი ყოველთვის არ რეაგირებენ, როცა ძაფს მოქაჩავენ“.**

ამერიკის დაზვერვის მინიშნებით, მარიონეტი „თოჯინა“ იპოვა და მოსპო ანგოლის მთავრობამ.

1992 წელი — ერაყში ჩაიფუშა პროამერიკული გადატრიალება, რომელსაც ჰუსეინი აშშ მოქალაქით — საიდ სალიჰ ჯაბრით უნდა ჩაენაცვლებინა.

1993 წელი — ამერიკელები ეხმარებიან ელცინს რამდენიმე ასეული ადამიანის დახვრეტაში უმაღლესი საბჭოს შენობის შტურმის დროს. დაჟინებით ვრცელდება დაუმოწმებელი ხმები ამერიკელი სნაიპერების შესახებ, რომლებიც ეხმარებოდნენ ბორის ნიკოლაევიჩს „წითელი ფაშისტების გადატრიალების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას გარდა, ამერიკელები დაეხმარნენ ელცინს, მომდევნო არჩევნებში რომ გაემარჯვა, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მას მხარს უჭერდა რუსეთელთა მხოლოდ ექვსი პროცენტი.

1993-1996 წლები — ბოსნია. სამოქალაქო ომის დროს ფრენისთვის აკრძალული ზონების კონტროლირება; ჩამოგდებული თვითმფრინავები, სერბების დაბომბვები.

1994-1996 წლები — ერაყი. ჰუსეინის დამხობის მცდელო-

ბა ქვეყანაში დესტაბილიზაციის მცდელობის გზით. არც ერთი დღე არ წყდებოდა დაბომბვები. სანქციების მიზეზით, შიმშილითა და დაავადებებით იღუპებოდნენ ადამიანები. სისტემატურად აფეთქებდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, რისთვისაც ამერიკელები იყენებდნენ ტერორისტულ ორგანიზაციას YNA („ერაყის ეროვნული კონგრესი"). საქმე ჰუსეინის ჯარებთან შეტაკებამდეც მიდიოდა. **ტერაქტები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყო მიმართული, ამერიკელები ამით ცდილობდნენ, გამოეწვიათ ხალხის უკმაყოფილება ჰუსეინის რეჟიმის მიმართ.** 1996 წლისთვის ხელისუფლებამ YNA-ს წევრების უმრავლესობა გაანადგურა. მისი წარმომადგენლები ერაყის ახალ მთავრობაში არ შეიყვანეს.

1994-1996 წლები — ჰაიტი. სამხედრო მთავრობის წინააღმდეგ შემოღებული ბლოკადა; გადატრიალებიდან სამი წლის შემდეგ ჯარები არისტიდს პრეზიდენტის თანამდებობაზე აბრუნებენ.

1994 წელი — რუანდა. ბნელით მოცული ისტორიაა, ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგრამ ზოგი რამის თქმა უკვე შეიძლება.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტ ჯონას სავიმბას ხელმძღვანელობით, 800

© „ილუსტრირებული ათასეული“

ათასამდე რუანდელს ყელი გამოსჭრეს. ლაპარაკია ეთნიკურ წმენდაზე — ხუტუს ხალხის ამოწყვეტაზე. კბილებამდე შეიარაღებული ნატოს კონტიგენტი ამ დროს ქვეყანაში იმყოფებოდა, მაგრამ თითი თითზე არ დაუკარებია ამ საშინელების შესაწყვეტად. როგორაა ამ ყველაფერში ჩარეული ამერიკა, რა მიზნების განხორციელება იყო ჩაფიქრებული, ჯერ-ჯერობით გაურკვეველია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ რუანდის არმია, რომელიც ძირითადად ხალხის განადგურებით იყო დაკავებული, არსებობს აშშ-ის სახსრებით და იწვრთნება ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ. ისიც ნიშანდობლივია, რომ რუანდის პრეზიდენტმა პოლ კაგამემ, ვის დროსაც მასობრივი მკვლელობები მოხდა, სამხედრო განათლება ამერიკაში მიიღო. მან შესანიშნავი ურთიერთობა დაამყარა არა მარტო ამერიკელ სამხედროებთან, არამედ აშშ-ის დაზვერვასთანაც. მაგრამ რაიმე თვალსაჩინო მოგება ამ გენოციდიდან ამერიკელებს არ მიუღიათ.

1994 წელი — ჩეჩნეთის პირველი და მეორე კამპანიები. 1995 წელს გაჩნდა პირველი ცნობები, რომ დუდაევის ცალკეული „ბოევიკები“ იწვრთნებოდნენ პაკისტანისა და თურქეთის საწვრთნელ ბანაკებში. როგორც ცნობილია, აშშ-მა კასპიის ნავთობსიმდიდრეები თავისი ეროვნული ინტერესების ზონად გამოაცხადა და შუამავლების მეშვეობით ნერგავდა იდეას რუსეთიდან ჩრდილოეთ კავკასიის გამოყოფის შესახებ. „ფედერალურ გამოძიებათა სააგენტოს“ ინტერნეტსაიტის მონაცემებით, აშშ-ში დამკვიდრებულია 16 ჩეჩნური და პროჩეჩნური ორგანიზაცია. აი, ციტატა, რომელიც დანიის ხელისუფალთ გაუგზავნეს ზბიგნევ ბჟეზინსკიმ (აბსოლუტურმა რუსოფობმა) და მაქს მ. კამპელმანმა (აშშ-ის ყოფილმა ელჩმა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე). მათ შესთავაზეს დანიის მთავრობას, თავი შეიკავოს რუსეთისთვის ზაკაევის გადაცემისგან. წერილში ნათქვამია: **„ჩვენ ვიცნობთ ბატონ ზაკაევს, გვიმუშავნია მასთან. ზაკაევის გადაცემა სერიოზულად დააზარალებს ომის შეწყვეტის გადამწყვეტ მცდელობებს“. საინტერესოა, რომ ამერიკაში გაიწვრთნენ: ხატაბი, ბენ ლადენი, „ამერიკელი“ ჩიგითოვი**

და მრავალი სხვა. ისინი აშშ-ში სახვითი ხელოვნების საფუძვლებს არ ეუფლებოდნენ.

ცნობილია ინგლისის კომპანია „ჰელო-ტრასტთან“ დაკავშირებული სკანდალი. 80-იანი წლების ბოლოს დიდ ბრიტანეთში შექმნილი „ჰელო-ტრასტი“ თეორიულად საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც დაკავებული უნდა იყოს შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაზარალებული რაიონების ტერიტორიის განაღმვითი სამუშაოთი. **დაკავებული ჩეჩენი „ბოევიკების“ ჩვენებით, „ჰელოს“ ინსტრუქტორებმა 1997 წლიდან მოამზადეს ასზე მეტი დანაღმვისა და აფეთქების სპეციალისტი. ამ ორგანიზაციას აფინანსებს დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სამინისტრო, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროკავშირი, გერმანიის, ირლანდიის, კანადის, იაპონიის, ფინეთის მთავრობები, აგრეთვე, კერძო პირები.**

უფრო მეტიც, რუსეთის კონტრდაზვერვის ორგანოებმა დაადგინეს, რომ „ჰელო-ტრასტის“ თანამშრომლები აქტიურად აგროვებენ სადაზვერვო ცნობებს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სფეროებიდან.

ცნობილია, რომ ამერიკულ სისტემას GPS გამოიყენებენ რუსეთის სამხედროები საკუთარი ანალოგიური პროექტე-

© „ადამიანის უფლებათა ევროპული“

ბის დაუფინანსებლობის მიზეზით. ჩეჩნეთის ომის დროს ამ სისტემის სიგნალი გამიზნულად იყო გაუხეშებული, რის გამოც რუსი სამხედროები ვერ ახერხებდნენ ჩეჩენი ლიდერების ლიკვიდაციას ამ სისტემის მეშვეობით. ცნობილია ბჟეზინსკის ხმაურიანი განცხადებაც იმის თაობაზე, რომ რუსები სადაცაა გამოიყენებენ ქიმიურ იარაღს მშვიდობიანი ჩეჩნების წინააღმდეგ. პარალელურად რუსმა სამხედროებმა მოისმინეს და დაიწერეს ჩეჩენი „ბოევიკების“ საუბრები, რომლებმაც სადღაც იშოვეს დიდი რაოდენობით ქლორი და აპირებდნენ მის გამოყენებას თავიანთივე მოსახლეობის წინააღმდეგ, ამ ბოროტმოქმედების რუსებზე დაბრალების მიზნით.

ამ ფაქტების ურთიერთკავშირი აშკარაა.

ცნობისთვის: სწორედ ბჟეზინსკის მოფიქრებულია საბჭოთა კავშირის ჩათრევა ავღანეთის კონფლიქტში, სწორედ იგი აფინანსებდა ბენ ლადენს, სწორედ მან გაითქვა სახელი განცხადებებით, რომ მართლმადიდებლობა ამერიკის მთავარი მტერია, რუსეთი კი ზედმეტი ქვეყანაა.

1995 წელი — მექსიკა. ინდიელების აჯანყება. ხელშეკრულება სანტოს ამოქმედების წინააღმდეგ. შეიარაღებული შეტაკებები. ჩაპატისტური თემების ჩამოყალიბება, მათ შორის, აშშ-ის ოთხ შტატში. მანამდე აშშ-ის ადმინისტრაცია აფინანსებდა სეპარატისტების წინააღმდეგ „ნარკოტიკებთან ბრძოლის“ საფარით. ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგ გამოყენებული იყო ვერტმფრენები ტყვიამფრქვევებით, რაკეტებითა და ბომბებით.

1995 წელი — ხორვატია. სერბეთის კრაინას აეროდრომების დაბომბვა ხორვატების შეტევის წინ.

1996 წლის 17 ივლისი — ატლანტიკის ოკეანის თავზე აფეთქდა „ბოინგი“ (რეისი 800, ავიაკომპანია TWA). ბორტზე მყოფი 230-ვე მგზავრი დაიღუპა. არის მტკიცებულებანი, რომ თვითმფრინავი ამერიკულმა რაკეტამ ჩამოაგდო. მოტივაცია დაუდგენელია. ძირითად ვერსიებს შორისაა შეცდომა სწავლების დროს და თვითმფრინავის ბორტზე მყოფი არასასურველი პირის ლიკვიდაცია.

1996 წელი — რუანდა. 6000 ათასი მშვიდობიანი მცხოვრე-

ბი დახოცილია მთავრობის ჯარების მიერ, რომლებიც იწვრთნება და ფინანსდება ამერიკისა და სამხრეთ აფრიკის მიერ.

1996 წელი — კონგო. ვაშინგტონი აქტიურად ეხმარება რუანდელებსა და კონგოელებს დიქტატორ მობუტუს დამხობაში, შემდეგ — აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის, კაბილას წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველაფერი კეთდება აშშ-ის სამთომომპოვებელი კომპანიების ინტერესების დასაცავად.

1997 წელი — ამერიკელებმა მოაწყვეს აფეთქებების სერია კუბის რესტორნებში.

1998 წელი — სუდანი. ამერიკელები სარაკეტო დარტყმით ანადგურებენ ფარმაცევტულ ქარხანას, რომელიც მედიკამენტების ქვეყნისთვის აუცილებელი რაოდენობის 90 პროცენტს აწარმოებდა. ეს აფეთქება ათი ათასობით ადამიანის დაღუპვის მიზეზი გახდა.

1998 წელი — ერაყის ოთხდღიანი აქტიური დაბომბვა მას შემდეგ, რაც ინსპექტორებმა განაცხადეს, რომ ერაყი არასაკმარისად კოოპერატიულია.

1998 წელი — ავღანეთი. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი საწვრთნელი ბაზების დაბომბვა, რომლებსაც იყენებდა ისლამისტური ფუნდამენტალისტების დაჯგუფებები.

1998 წელი — საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებით, გაეროსა და უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, ნატოს ძალების გამოყენებით აშშ-მა დაიწყო იუგოსლავიის სუვერენული სახელმწიფოს 78-დღიანი საჰაერო დაბომბვა.

32 ათასი საბრძოლო გაფრენის დროს გამოყენებული იყო 21 ათასი ტონა ბომბები, რაც ჰიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ბომბის სიმძლავრეს ოთხჯერ აღემატებოდა. დაიღუპა 2000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, 6000 დაიჭრა და დასახიჩრდა, 1 მილიონზე მეტი უსახლკაროდ დარჩა, 2 მილიონი კი — უსახსროდ.

2000 წელი — გადატრიალება ბელგრადში. ამერიკელებმა, როგორც იქნა, ჩამოაგდეს საძულველი მილოშევიჩი.

2001 წელი — შეჭრა ავღანეთში.

2001 წელი — ამერიკელები მთელს მაკედონიაში დასდე-

© „ღვინისფერი ოინბაზობა“

ვენ ალბანელ ტერორისტებს კოსოვოს გათავისუფლების არმიიდან, რომლებიც თვით ამერიკელების მიერ იყვნენ გაწვრთნილნი სერბებთან საომრად.

ერაყში პირველი შეჭრის გასამართლებლად ამერიკამ შემდეგი არგუმენტები გამოიყენა:

აშშ მთავრობის მტკიცებით	სინამდვილეში
ერაყი თავს დაესხა დამოუკიდებელ სახელმწიფოს — ქუვეითს.	საუკუნეების განმავლობაში ქუვეითი ერაყის ნაწილი იყო და მხოლოდ ბრიტანელმა იმპერიალისტებმა ძალით მოწყვიტეს იგი XX საუკუნის 20-იან წლებში. რეგიონის არც ერთმა ქვეყანამ არ აღიარა ასეთი გამოყოფა.
სადამ ჰუსეინი აწარმოებს ბირთვულ იარაღს და აპირებს ამერიკის წინააღმდეგ მის გამოყენებას.	ბირთვული იარაღის წარმოების გეგმები ჩანასახურ მდგომარეობაში იყო, ამგვარი მიზეზით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დაბომბვა შეიძლება. ამერიკაზე თავდასხმის განზრახვა, რა თქმა უნდა, წმინდა წყლის მონაჩმახია.
ერაყს არ სურდა, დაეწყო მშვიდობიანი მოლაპარაკება და ჯარის გაყვანა.	როცა ამერიკამ ერაყს შეუტია, მშვიდობიანი მოლაპარაკება აქტიურად მიმდინარეობდა, ერაყის არმია კი ქუვეითიდან გადიოდა.
ერაყის არმიის მხეცური მოქმედება ქუვეითში.	ყველაზე საშინელი მხეცობა, როგორიც ზემოთ აღწერილი ჩვილთა მკვლელობებია, ამერიკელების პროპაგანდის მონაგონია.
ერაყელების არმიის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება.	ამერიკამ თვითონ მიაწოდა ჰუსეინს ასეთი იარაღი.
ერაყი ემზადებოდა საუდის არაბეთზე თავდასასხმელად.	დამამტკიცებელი საბუთები დღემდე არ ჩანს.
ერაყში არ არის დემოკრატია.	ამერიკელებმა ჰუსეინი თვითონ მოიყვანეს ხელისუფლებაში.

2002 წელი — ამერიკელების ჯარები შეჰყავთ ფილიპინებში, რადგან ეშინიათ შესაძლო სახალხო მღელვარების.

2002-2004 წლები — ვენესუელა. ამჟამად იქ მიმდინარეობს ბრძოლა მთავრობასა და ამერიკის მხარდაჭერილ ოპოზიციას შორის. ვენესუელა ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, რომლებიც დაუფარავად აკრიტიკებენ ამერიკის საგარეო პოლიტიკას.

2003 წელი — „ანტიტერორისტული ოპერაცია“ ფილიპინებში.

2003 წელი — ერაყი.

2003 წელი — ლიბერია.

2003 წელი — სირია. სირიელ მესაზღვრეებთან შეტაკება.

2003 წელი — სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში. ორგანიზატორი — თეთრი სახლი, შემსრულებელი — აშშ ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი, დამფინანსებელი — მილიარდერი ჯორჯ სოროსი.

2004 წელი — ჰაიტი. ანტისამთავრობო გამოსვლები. ამერიკას შეჰყავს ჯარები.

2004 წელი — გადატრიალების მცდელობა ეკვატორულ გვინეაში, სადაც ნავთობის სოლიდური მარაგებია. ბრიტანელების, ამერიკელების და ესპანელები სპეცსამსახურები შეეცადნენ, ქვეყანაში შეეგზავნათ 70 დაქირავებული მებრძოლი, რომლებსაც ადგილობრივ მოღალატეებთან ერთად უნდა დაემხოთ პრეზიდენტი თეოდორ მბასო. დაქირავებულები დააკავეს, მათმა მეთაურმა მარკ ტეტჩერმა (მარგარეტ ტეტჩერის ვაჟიშვილი) თავშესაფარი აშშ-ში ჰპოვა.

2004 წელი — პროამერიკული გადატრიალება უკრაინაში.

2008 წლის 8 აგვისტო — ომი სამხრეთ ოსეთში.

2011 წელი — ლიბიის დაბომბვები.

საომარი მოქმედებები აშშ-ის ტერიტორიაზე ფაქტობრივად არ წარმოებულა. ერთადერთი თავდასხმა აშშ-ზე იყო ინგლისთან ომი დამოუკიდებლობისთვის XVIII საუკუნის ბოლოს და ინგლისელების შეტევა ვაშინგტონზე 1814 წელს.

«ცისფერი გაზაფხული»?

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად სექს-უმცირესობების უფლებებისთვის ბრძოლა იქცა. ახლახან ჟენევაში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ჰომოსექსუალთა უფლებების დასაცავად სიტყვა წარმოთქვა. „უფლება, იყო გეი, ადამიანის ბუნებრივი უფლებაა. არ შეიძლება ეს დანაშაულად ითვლებოდეს“. მან განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი, რომ ქვეყნის კულტურული და რელიგიური ღირებულებები ჰომოსექსუალების დისკრიმინაციის გამართლებად ვერ გამოდგება. მისივე თქმით, დადგა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის დრო. იქვე დაიმუქრა, რომ აშშ გამოიყენებს თავის გავლენასა და დიპლომატიურ ბერკეტებს ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციასთან საბრძოლველად.

ქალბატონმა სახელმწიფო მდივანმა ასევე აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შეათანხმა სტრატეგიის რეზოლუცია, რომელიც მიმართულია სექსუალური უმცირესობების დასაცავად მთელ მსოფლიოში. შესაბამისი დირექტივები უკვე დაეგზავნა ყველა სამთავრობო აპარატსა და აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს უცხოეთში. „პრეზიდენტმა მოითხოვა, — თქვა კლინტონმა, — რომ ყველა უცხოური სამთავრობო სააგენტო აქტიურად იბრძოდეს სექსუალური უმცირესობების იურიდიული დევნის წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ და მკაცრად გასცეს პასუხი დისკრიმინაციის ყველა ფაქტს... ასევე მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ დავაფუძნეთ „მსოფლიო თანასწორობის ფონდი“, რომელიც მხარს დაუჭერს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს“. მოკლედ, „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ აშშ-მა ნებისმიერ „არაგეიზირებულ“ ქვეყანაში ნატოს ჯარების შეყვანის ახალი მეთოდი გამონახა.

დღეს აშშ უდავო ლიდერია იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომელთაც ეგრეთ წოდებული არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ყველაზე მეტი მოქალაქე ჰყავს.

ამერიკული კვლევა, რომლის ცალკეული შედეგები მიმდინარე წლის გაზაფხულზე უკვე გამოქვეყნდა, ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 9 მილიონი გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ცხოვრობს.

გამოდის, რომ ყოველ 40-45 ამერიკელზე, ჩვილების ჩათვლით, სქესობრივი გარყვნილებების ერთი ცეცხლოვანი პროპაგანდისტი და აგიტატორი მოდის.

საქმე იქამდე მივიდა, რომ შეიარაღებულმა ძალებმა საკუთარ რიგებში ჰომოსექსუალების მიღება დაიწყეს. უკვე ძალაში შევიდა კანონი, რომელიც გეებს ამერიკულ არმიაში მსახურების უფლებას აძლევს. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად მათ უკვე დააარსეს საკუთარი ბეჭდვითი გამოცემა. მისი დირექტორი, რომელიც ფსევდონიმ ჯ.დ.სმიტის უკან იმალება, აცხადებს: „ჩვენ ასევე გვინდა, ვაცნობოთ ყველა სახის ჯარების წარმომადგენლებს, რომ არსებობენ სამხედრო მოსამსახურე

გეები, რომლებიც ღირსეულად მსახურებენ, და რომ ჩვენი ჯარი უფრო ძლიერი გახდება, თუ ჩვენ მივიღებთ ამ ფაქტს და განვაგრძობთ მოძრაობას“.

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გამოაცხადეს სექს-უმცირესობების მხარდასაჭერი მასშტაბური კამპანიის დაწყების თაობაზე, კერძოდ კი, იმ საერთაშორისო ფონდისა და სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური განყოფილების შექმნაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების უფლებების დაცვას მთელს მსოფლიოში. ამასთან, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ფონდის შესაქმნელად ქვეყნის ბიუჯეტიდან 3 მილიონ დოლარზე მეტია გამოყოფილი — მეტი ვერ მოხერხდა. „ვიმედოვნებთ, რომ სხვა ქვეყნებიც შემოგვიერთდებიან და დაეხმარებიან მას,“ — თქვა სახელმწიფო მდივანმა. პრეზიდენტმა კი, საკუთარი უფლებამოსილების შესაბამისად, უფრო შორს შეტოპა მთელი პლანეტის სოდომიზაციის გზაზე.

„ვავალებ საზღვარგარეთ მომუშავე ყველა უწყებას, თვალყური ადევნონ, რომ ამერიკულმა დიპლომატიამ და უცხოეთში დახმარების აღმოჩენის ორგანიზაციებმა დაიცვან სექსუალური უმცირესობების უფლებები. უცხოეთში მომუშავე უწყებებმა უნდა გააძლიერონ მოღვაწეობა უცხოეთის იმ ხელისუფლებებთან ბრძოლის მიმართულებით, რომლებიც ცდილობენ, ჰომოსექსუალიზმი და ჰომოსექსუალური ქცევა დამნაშავეობასთან გააიგივონ. ამავე უწყებებმა გააფართოონ ზომები სექსუალურ ორიენტაციაზე დამყარებულ დისკრიმინაციასთან, ჰომოფობიასა და შეუწყნარებლობასთან საბრძოლველად,“ — ნათქვამია აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მემორანდუმში.

ამ ამოცანის შერულებაში განსაკუთრებული როლი ობამამ აშშ-ის შიდა უშიშროების სამინისტროს და სახელმწიფო დეპარტამენტს დააკისრა. **სახელმწიფო დეპარტამენტს ასევე ევალება, სათავეში ჩაუდგეს უწყებათაშორის ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება იმაზე, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად სწრა-**

ფად მოახდინოს რეაგირება საზღვარგარეთ ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების უფლებათა შელახვის ფაქტებზე. როგორც ობამამ აღნიშნა, აშშ **სექსუმცირესობების უფლებების დაცვას საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებითაც შეეცდება.** მაგრამ აქ უკვე მისაღწევიც აღარაფერია. უკვე ყველა საერთაშორისო სტრუქტურა საფუძვლიანადაა ამერიკის მიერ მოპოვებული.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციას კრძალავს. ამგვარი დოკუმენტი ისტორიის მანძილზე პირველად იქნა მიღებული.

რეზოლუცია ითვალისწინებს იმ სპეციალური ორგანოს შექმნას, რომელიც მთელ მსოფლიოში სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვას გააკონტროლებს. გარდა ამისა, დოკუმენტი ითვალისწინებს იმ კომისიის შექმნას, რომელსაც დაევალება ქვეყნების კანონმდებლობების გადამოწმება, ხომ არაა მათში სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციის შემცველი რაიმე კანონი. დოკუმენტის მხარდამჭერ ქვეყნებს შორის არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირის ქვეყნები და ბრაზილია. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს აფრიკისა და მუსლიმანური ქვეყნების წარმომადგენლებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკულმა და ისლამურმა ქვეყნებმა ნიგერიისა და პაკისტანის მეთაურობით მკაცრად გააკრიტიკეს რეზოლუცია და განაცხადეს, რომ ამას არაფერი აქვს საერთო ადამიანის ძირითად უფლებებთან.

რეზოლუციას ობამას ადმინისტრაციამ „ისტორიული“ უწოდა. სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი წერილობით განცხადებაში მიესალმა რეზოლუციას, როგორც ინტიმურ სფეროში ყველა ადამიანის უფლებების საერთაშორისო აღიარების გზაზე გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს.

ეს, ალბათ ასეცაა, მაგრამ არსებობს გაეროს სხვა მსგავსი რეზოლუციებიც, რომლებიც იმდენად „ინტიმურ სფეროს“ არ ეხება, მაგრამ აშშ-ს უფლებას აძლევს, ომი

წამოიწყოს, ვთქვათ, ავღანეთში, ნატო-ს კი — დაბომბოს ლიბია...

ახლა ამერიკის ადმინისტრაციას ავალია, „სწრაფად და გარკვევით“ მოახდინოს რეაგირება სერიოზულ ინციდენტებზე, რომლებიც სექსუალური უმცირესობების უფლებებს ეჭვქვეშ დააყენებს. როგორც აშშ-ის პრეზიდენტის მემორანდუმშია აღნიშნული, ასეთი შემთხვევები მრავლადაა: ადამიანები სისხლის სამართლის დევნის ობიექტები ხდებიან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამო, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს სცემენ მშვიდობიან სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის და ხანდახან საქმე მათ მკვლელობამდეც მიდის. როგორც ობამა აღნიშნავს, საჭიროა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი დევნილებისა და პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლების დაცვა.

უცხოეთის ქვეყნებში ადამიანთა უფლებების დაცვის სიტუაციის ყოველწლიურ შეფასებებში, რომლებსაც სახელმწიფო დეპარტამენტი აქვეყნებს, უკვე გათვალისწინებულია სექსუალური უმცირესობებისადმი დამოკიდებულება. ამრიგად, **პრეზიდენტის დირექტივას ეს საკითხი უკვე საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტის რანგში აჰყავს.**

ახლა ამერიკის მიერ სხვადასხვა ქვეყნისთვის ფინანსური დახმარების გაწევა იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ როგორ იცავენ ეს ქვეყნები სექსუალური უმცირესობების უფლებებს. ობამას ზემოხსენებულ მემორანდუმში აღინიშნება, რომ „სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა დისკრიმინაციის შეწყვეტისთვის ბრძოლა გლობალური გამოწვევაა(!). ის ერთ-ერთ ცენტრალურ როლს ასრულებს აშშ-ის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების შესრულებაში“.

და აი, ევროპარლამენტიც მოითხოვს ევროკავშირის იმ დირექტივის მიღებას, რომელიც ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში სექსუალური ორიენტაციის ფონზე დისკრიმინაციას კრძალავს. დირექტივის პროექტი ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას მრწამსის, ინვალიდობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის მიხედვით საქონლის, მომსახურების, განათლებისა და სოციალური შეღავათების ხელმისაწვდომობის მხრივ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ევრომოღვაწეებს სურთ, „ცისფერები“ ინვალიდებს გაუთანაბრონ.** არც ისე მნიშვნელოვანია, რა სოციალურ სტატუსს მიიღებენ ევროპაში სოდომისტები. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ისინი ოფიციალურ ნებართვას მიიღებენ არა მხოლოდ გარყვნილებაზე, არამედ მის ღია პროპაგანდაზეც. მაგრამ **ევროკომისიამ შენიშნა, რომ „მხოლოდ ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზება არ კმარა და შეშფოთება გამოხატა მოსახლეობის უკიდურესად ნეგატიური რეაქციის გამო. ამიტომ, მისი აზრით, აუცილებელია საგანმანათლებლო პროპაგანდაც“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა დაიწყოს მოსახლეობისთვის საბავშვო ბაღიდანვე ტვინის გამორეცხვა, როგორც ახლა კეთდება ეს, ვთქვათ, გერმანიაში. ოპტიმიზმს ერთადერთი რამ ბადებს: დეფოლტის ზღვარზე მყოფ და ვალებში ჩაფლულ ევროკავშირში შესვლას აღარავინ მოინდომებს უკრაინისა და საქართველოს მეტი. მათ, ვინც წესებს არ დაემორჩილება, ისევე მოექცევიან, როგორც მათი უფროსი ძმა — აშშ იქცევა.**

მაგალითად, **ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა დაიმუქრა, რომ განვითარებად**

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულში“

ქვეყნებს დახმარებას შეუწყვეტს, თუ ისინი ჰომოსექსუალიზმის ამკრძალავ კანონმდებლობას არ გააუქმებენ.

კემერონმა ეს საკითხი წამოჭრა ავსტრალიელ პერტესთან თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრისას. სხვათა შორის, 5 დეკემბრიდან ბრიტანეთის რელიგიურმა თემებმა ქვეყნის ხელისუფლებისაგან მიიღეს ნებართვა, სოდომისტების კავშირები „აკურთხონ“. დღეს ბრიტანეთში ორი ათასამდე ერთსქესიანი წყვილია, რომელთაც დაქორწინება სურთ. საერთო ჯამში ქვეყანაში დაახლოებით 10 000 გარყვნილი ყოველწლიურად აკანონებს საკუთარ ურთიერთობებს. მაგრამ თანამეგობრობის წევრი 54 ქვეყნიდან 41-ში მოქმედებს კანონები, რომლებიც ჰომოსექსუალიზმის სხვადასხვა გამოვლინებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. კემერონმა ბრძანა, რომ ამ კანონების უმეტესობა ბრიტანული იმპერიის მემკვიდრეობაა. „ჩვენ გვინდა, დავინახოთ, რომ ქვეყნები, რომელთაც დახმარებას ვუწევთ, იცავენ ადამიანის უფლებებს,“ — განაცხადა პრემიერმა. მან ხაზი გაუსვა, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარება უნდა გაიცემოდეს უფრო მეტი პირობებით, ვიდრე ახლაა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ქვეყნების ერთ ღამეში შეცვლას არ უნდა ველოდეთ.

ჰომოსექსუალური ტრანსფორმაციის ვადებთან დაკავშირებით პრემიერი არ ტყუის. ევროპას უმალ არ უქცევია ზურგი ქრისტიანული ღირებულებებისათვის და უმალ არ მიუღია სოდომისტობა. დარეგისტრირებულ პარტნიორობაზე კანონი მსოფლიოში პირველმა დანიამ მიიღო 1989 წელს. დანიელ ჰომოსექსუალ წყვილებს ჰეტეროსექსუალების მსგავსი უფლებები მიენიჭათ, გარდა შვილის აყვანისა და ეკლესიური ჯვრისწერისა. მაგრამ **გარყვნილი ჯინის ბოთლიდან გამომშვები მაინც ამერიკა იყო. კალიფორნიის ქალაქ ბარკლიში 1984 წლის 1 სექტემბერს პირველად მიიღეს კანონი „საშინაო პარტნიორობის“ შესახებ ერთსქესიანი ოჯახებისათვის**. აი, რამდენიმე საინტერესო მაგალითი აშშ-ის მიერ წამოწყებული „ცისფერი“ მარათონიდან, რომელშიც კავბოური მათ-

რახით მიერეკებიან 40-ზე მეტ ქვეყანას, რომლებიც მეტ-ნაკლებად და თითქოსდა საკუთარი ნებით მონაწილეობენ ამ ყველაფერში.

1996 წელს უნგრეთში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თანაცხოვრების შესახებ კანონი გავრცელდა ერთსქესიან წყვილებზეც. **უნგრეთი გახდა პირველი სახელმწიფო ყოფილი სოციალისტური თანამეგობრობიდან, რომელმაც ერთსქესიანი ოჯახების აღიარებას დაუდო სათავე.**

იმავე წელს ჰამბურგში მიღებულ იქნა გერმანიაში პირველი კანონი სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ, რომელსაც ხალხმა „ჰამბურგული ქორწინება“ უწოდა. 2001 წელს ნიდერლანდებში ძალაში შევიდა მსოფლიოში პირველი კანონი ერთსქესიანი ქორწინებების შესახებ. ისეთმა პატარა ქვეყანამაც კი, როგორიც ანდორაა, 2005 წელს მიიღო კანონი ერთსქესიანი სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ. ამჟამად ჰომოსექსუალური კავშირების გამყარებით დაკავებულნი არიან არგენტინაში, ჰოლანდიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, პორტუგალიაში, ავსტრალიაში, ისლანდიაში, ესპანეთში, ბელგიაში. უახლოეს მომავალში ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზებას აპირებენ ალბანეთში. აშშ-ში ერთსქესიანი ქორწინებების შესახებ კანონები მოქმედებს კონექტიკუტის, აიოვას, მენის, მასაჩუსეცის, ვერმონტის და ნიუ-გემპშირის შტატებში. გარდა ამისა, ნიუ იორკი აღიარებს სხვა შტატებში გაფორმებულ ამგვარ ქორწინებებს.

ღია სატანიზმმა გლობალური ხასიათი მიიღო, მიუხედავად ამისა, სოდომისტები განუწყვეტლივ გაჰყვირიან საკუთარი უფლებების დარღვევის შესახებ, მაგრამ რომელი უფლებების? ერთადერთის — გამოვიდნენ აღლუმებზე და საკუთარი სექსუალური კუთვნილების პროპაგანდა გასწიონ. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სქესობრივი გარყვნილებები დაკანონებულია, გეიაღლუმები არ შეწყვეტილა. დამახასიათებელია ისიც, რომ მოსკოვში სექსუალური უმცირესობების არასანქცირებული მიტინგის დაშლის ფაქტზე უმალ გამოხატა უდიდესი შეშფოთება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა (სხვათა შორის, რატო-

მაც არ გამოდგება ეს მიზეზად, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ნატოს ჯარები შეიყვანონ?).

დღეს უკვე სავსებით ნათელია, რომ დასავლეთი წარმატებით ახორციელებს სოდომისტების იდეოლოგიის იმპორტირებას. ევროკავშირისა და აშშ-ის ხელმძღვანელობა სავსებით შეგნებულად ანგრევს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებას, გამოყოფს რა დიდძალ ფულს შესაბამისი პროგრამებისთვის. ამ ზეწოლის ძალაზე შეიძლება იმ სიტუაციის მიხედვითაც ვიმსჯელოთ, რომლის დროსაც **აშშ-ის ადმინისტრაციის კრიტიკის სამიზნედ იქცა სანკტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრების მიერ პირველივე მოსმენით მიღებული კანონპროექტი არასრულწლოვანთა შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ამგვარი რეაქცია არ მოჰყოლია თვით პრეზიდენტ მედვედევის მკაცრ განცხადებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეთანხმებიდან რუსეთის შესაძლო გასვლის შესახებ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის პირველხარისხოვანი საკითხია ერთი მუჭა სოდომისტების „უფლება“ — თავს მოახვიონ მთელ რუსეთს საკუთარი აღლუმები.**

უცნაურია, რომ დასავლეთს ჯერ არ შემოუთავაზებია ზოოფილური „ოჯახების“ დაკანონება, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ამის დროც დადგეს. დოსტოევსკის თანახმად, ღმერთის დავიწყებით მძაფრი შეგრძნებების ძიებაში კანიბალიზმამდეც მივლენ.

არაა გამორიცხული, რომ დასავლეთის მიერ მოწყობილი მართვადი ქაოსის „არაბულ გაზაფხულს“ კიდევ ერთი გაზაფხული მოჰყვეს, ოღონდ ამჯერად — „ცისფერი“. შესაძლოა, იარაღიც იქნეს გამოყენებული — აშშ-მა ხომ საკუთარ ტერიტორიაზე გარყვნილთა უზარმაზარი არმია შექმნა.

აშშ-ის საიდუმლო ომი

„საიდუმლო ომი“, რომელმაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში მთელი მსოფლიო შთანთქა, დღემდე ბობოქრობს და მისი ზოგიერთი გამოძახილი მსოფლიო წესრიგის ფორმირების მთავარ საშუალებებად დღემდე რჩება. ეფექტური ეკონომიკური განვითარებისთვის ხელისშემშლელი „იზოლაციის“ პოლიტიკა და სუვერენული ქვეყნების ფინანსურ კაბალაში ჩათრევით მათზე დასავლური გავლენის თავსმოხვევა აშშ-ისა და მისი ევროპელი მოკავშირეების მიერ ამ ქვეყნების გეოპოლიტიკური მოთამაშეების სიიდან გარიცხვის მცდელობაა. საუბარი აღარაა ერების თვითმყოფადობაზე, დამოუკიდებლობასა და ნაციონალურ ღირებულებებზე.

პარტნიორული ურთიერთობები ყოველთვის ურთიერთნდობას, პატივისცემასა და თანასწორუფლებიანობას ეფუძნება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი საერთაშორისო ურთიერთობების ამერიკული გაგებისგან ძალიან შორსაა. ამის დასტურია უკანასკნელი ათი წლის მრავალი ნათელი მაგალითი.

© „ღვასუბაძეების ანსამბლი“

აშშ-ის სპეცსამსახურების არსენალში ამ ქვეყნების დამანგრეველი მიზნების მისაღწევად უამრავ საშუალებას ფლობენ. ერთ-ერთი ასეთი საშუალება ქვეყნის ტერიტორიაზე და მის მეზობელ ქვეყნებში მოქმედი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გამოყენებაა, რისი ნათელი მაგალითიც ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოა (USAID).

მას, ისევე როგორც თავად ამერიკას, ცხადია, მხოლოდ კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს და 1961 წელს დაარსების დღიდან ამ დრომდე მსოფლიოს საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს ჰუმანიტარული დახმარებით. მაგრამ ბოლო პერიოდში USAID-ის ცსს-სთან კავშირის დაფარვა შეუძლებელი გახდა. უფრო კონკრეტულად, ამავე ორგანიზაციის მაღალი თანამდებობის პირის მტკიცებით, **ცსს USAID-ს მათი ოპერაციების ხელისშემწყობი მესამე მხარის წარმომადგენლებისთვის ფულისა და კონტრაქტების მისაწოდებლად იყენებდა. ცსს-ს კონტრაქტები ამ დროს USAID-ის სახელით ფორმდებოდა, თავად ცსს კი განზე რჩებოდა. შარშან USAID-ში შეფარებული ცსს-ს ორი აგენტი აფრიკის ერთ-ერთ იმ ქვეყანაში აღმოაჩინეს, რომელშიც აღნიშნული სააგენტო მრავალმილიონიან ინვესტიციას ახორციელებდა.**

მაგრამ ეს პირველი შემთხვევა არაა და არც ამ ორი ორგანიზაციის კავშირია ახლად ჩამოყალიბებული. 1974 წელს აშშ-ის კონგრესმა დახურა USAID-ის ერთ-ერთი განყოფილება, რომელსაც ცსს ლათინურ ამერიკაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მილიონზე მეტი პოლიციელის სწავლების, შეიარაღებისა და დაფინანსებისთვის იყენებდა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების ბიურო (OPS) 1957 წელს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა სპეციალურად უცხო ქვეყნებში პოლიციის შექმნისა და მომზადებისთვის შექმნა. ცსს-ს დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამ ბიუროს საქმიანობა იმ მრავალმილიონიანი თანხით ფინანსდებოდა, რომელიც ყოველწლიურად გამოიყოფოდა USAID-ის საჭიროებებისთვის. OPS-ის ოპერაციების კოორდინირებასაც ჯაშუშების უწყება ახორციელებდა.

USAID-ის საველე წარმომადგენლობები 100-ზე მეტ განვითარებად ქვეყანაში ადგილობრივ რელიგიურ, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობის ჯგუფებთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების საფუძველზე მას კავშირი აქვს აშშ-ის 3 500-ზე მეტ საწარმოსა და 300-მდე კერძო ორგანიზაციასთან.

ვიეტნამის ომის დროს USAID-ი ცსს-სთან ერთად ხელმძღვანელობდა „მატერიალური დახმარების" განაწილების საქმეს ოპერაცია „ფენიქსის" ფარგლებში. ამ ოპერაციისას ათასობით ვიეტნამელი მოკლეს.

2002 წლის ივნისში USAID-მა ვენესუელაში შექმნა გარდამავალი პერიოდის ხელშემწყობი საინიციატივო ბიურო, რომლის საშუალებითაც ანტიჩავესურ ოპოზიციას მილიონობით დოლარი გადაურიცხა.

დეტალურად გაშიფრული ორიათასამდე საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ვენესუელაში USAID-ის საქმიანობას ასახავს, აბსოლუტურად ნათელ სურათს ქმნის ოპოზიციური დაჯგუფებების მხარდაჭერისა და დაფინანსების სქემებზე. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გაძლიერებლად იქმნება და ხორციელდება პროგრამები, ვენესუელის ანტისახელისუფლო მოძრაობის კონსოლიდაციის მიზნით მუშავდება მათი პოლიტიკური კამპანიების სცენარებიც.

ჰაიტიზე USAID-ი 2004 წელს პრეზიდენტ ჟან ბერტრან არისტიდის საწინააღმდეგო სახელმწიფო გადატრიალების მონაწილე ორგანიზაციების დაფინანსებაში დაადანაშაულეს.

2011 წელს ბოლივიის ორი პროვინციიდან — ჩაპარედან და ელ ალიტოდან — საშინაო საქმეებში ჩარევის ბრალდებით USAID-ის წარმომადგენლობები გააძევეს. იმავე წლის სექტემბერში ქვეყნის პრეზიდენტმა ევო მორალესმა ოფიციალურად გაწყვიტა ურთიერთობა ზემოხსენებულ ორგანიზაციასთან იმის გამო, რომ ის მრავალმილიონიანი დაფინანსებით უზრუნველყოფდა ქვეყნის გახლეჩვისთვის მომუშავე სეპარატისტულ დაჯგუფებებს.

2005 წელს განხეთქილების მზადების ბრალდებით



USAID-ის წარმომადგენლები ერიტრეიადან გააძევეს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე თავის ქვეყნებში USAID-ის საქმიანობის აღკვეთისთვის იზრუნეს ეთიოპიამ და რუსეთმა.

2008 წელს მინსკსა და ვაშინგტონს შორის გაჩაღებულ დიპლომატიურ კონფლიქტში ბელორუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პერსონა ნონ გრატად გამოცხადებულთა შორის აღმოჩნდა USAID-ის ბელორუსის ქვეგანყოფილების ხელმძღვანელი ჩარლზ ჰოუველი. ორგანიზაციის „სპეციფიური“ მოღვაწეობის დამადასტურებელი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების კრიზისი აბსოლუტურად არაფერ შუაშია.

ამერიკული მხარე ესოდენ ღირებული თანამშრომლის უშუალოდ ბელორუსის ტერიტორიაზე მუშაობის შესაძლებლობის დაკარგვას სულაც არ დაუბნევია. ის უპრობლემოდ გაამწესეს უკრაინაში და ახლა კიევში აშშ-ის საელჩოს პოზიციიდან განაგრძობს ბელორუსიში მიმდინარე პროექტების ხელმძღვანელობას.

ამრიგად, თუ ადრე ცსს USAID-ს მხოლოდ აბრად იყენებდა და სააგენტოს თანამშრომლებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა საქმიანობას ფარავდნენ, ახლა ეს სააგენტო აბსოლუტურად ღიადაა ჩართული იმ სახელმწიფოების საწინააღმდეგო ქმედებებში, რომლებსაც აშშ სა-

კუთარ მტრებად მიიჩნევს. სტატუსის ამგვარი განახლება კი ძირეულად ცვლის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მის პირვანდელ ფუნქციას და USAID-ს ჯაშუშების უწყებად აქცევს.

ცხადია, USAID-ი სულაც არაა ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც ვაშინგტონი თავისი დამანგრეველი მიზნების განხორციელებისთვის იყენებს და ამერიკული სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდებიც ამით არ ამოიწურება.

აშშ-ის ხელისუფლება „საიდუმლო ომს“ მანამდე განაგრძობს, სანამ მხოლოდ ვაშინგტონისთვის მომგებიან ურთიერთობებს არ მიაღწევს, მაგრამ ავიწყდება, რომ მსოფლიო მასშტაბით ტენდენციები შეიცვალა. ფინანსურმა კრიზისმა, რომლის ეპიცენტრიც სწორედ აშშ აღმოჩნდა, გლობალიზაციისა და მსოფლიო ბატონობის ამერიკული პროექტი ეჭვქვეშ დააყენა. ყველაფერი ეჭვქვეშაა: ამერიკის ლიდერობაც, ამერიკის გადახდისუნარიანობაც და იდეების მთელი კომპლექსიც, რომელიც საფუძვლად უდევს ფინანსური კაპიტალიზმისა და ნაციონალური ინტერესების საომარი მოქმედებებით მიღწევის ამერიკულ მოდელს.

„მშვიდობა ამერიკულად“ არ გამოვიდა, პროექტ „Pax Americana“-ს დასასრული კი ყველა ქვეყანას აიძულებს, მსოფლიოში საკუთარ მდგომარეობასა და ადგილს გადახედოს, თავისი იდენტურობა გადაამოწმოს და ინტერესების ახალი სფეროები გააანალიზოს.

© „ღიასაზღვრული საინფორმაციო“

ამერიკელები სამშობლოზე უარს ამბობენ

ვაშინგტონი — მაღალი გადასახადების ფონზე, მომატებული გაღიზიანებისა და ბანკებთან დაკავშირებული პრობლემების ზრდის გამო საზღვარგარეთ მცხოვრებ ამერიკელთა არც ისე დიდ, მაგრამ მუდმივად მზარდ რაოდენობას საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარს ათქმევინებს.

„ფედერალური რეგისტრი“, სახელისუფლო სტრუქტურა, რომელიც ამგვარ გადაწყვეტილებებზე ოფიციალურ ცნობებს აქვეყნებს, იტყობინება, რომ მხოლოდ 2009 წლის ბოლო კვარტალში ამერიკის მოქალაქეობაზე 502-მა ადამიანმა განაცხადა უარი.

სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, უცხოეთში მცხოვრებ ამერიკულ დიასპორას 5,2 მილიონი ადამიანი წარმოადგენს და 502, ცხადია, მისი უმცირესი ნაწილია, მაგრამ დროის მოცემულ მონაკვეთში ეს უამრავი წლის მანძილზე უდიდესი მაჩვენებელია. ის ორჯერ აღემატება მთელი 2008 წლის მაჩვენებელს და ტენდენცია აშკარად შემაშფოთებელია. **2008 წელს სულ 235-მა ამერიკელმა განაცხადა უარი საკუთარ ქვეყანაზე, 2009 წელს კი მათი რაოდენობა 743-ს გაუტოლდა.**

საკონსულოები მოქალაქეობაზე უარის თქმის ოფიციალურ გაფორმებაზე ლოდინის დროს ზრდიან.

მოქალაქეობაზე უარის თქმის უმთავრესი მოტივი ეკონომიკურია და საგადასახადო თუ საბანკო საკითხებს უკავშირდება. ემიგრანტების დამცველები ამბობენ, რომ ამერიკის მოქალაქეებისთვის უცხოეთში ცხოვრება და მუშაობა დღითიდღე რთულდება, ამერიკული კომპანი-

ები კი უცხოეთში ადგილობრივს კონკურენციას ვეღარ უწევენ. უცხოეთში მცხოვრები ამერიკელები, დიდი ხანია, ჩივიან, რომ მათი სამშობლო მსოფლიოში ერთადერთი განვითარებული ქვეყანაა, რომელიც საკუთარი მოქალაქეების შემოსავლებს იმ შემთხვევაშიც ბეგრავს, თუ ისინი დროებით საცხოვრებელ ქვეყანაში ყველა გადასახადს იხდიან. უამრავი დოკუმენტის შევსება და ორმაგი დაბეგვრა მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნების ემიგრანტებს ამის აუცილებლობა არ აქვთ, მათ უსამართლობის განცდას უქმნის და შემოსავლებს უცამტვერებს.

საბანკო საქმიანობის მარეგულირებელმა პატრიოტულმა აქტმა, რომელიც იმისთვის შეიქმნა, რომ ფული ტერორისტული დაჯგუფებების ხელში არ მოხვდეს, მნიშვნელოვნად გაურთულა ცხოვრება იმ ამერიკელებს, რომელთაც ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ საბანკო ანგარიშები აქვთ. აშშ-ის მრავალმა ბანკმა უცხოეთში მცხოვრებ ამერიკელებს ანგარიშები მხოლოდ იმის გამო დაუხურა, რომ ამ ანგარიშების მეპატრონეთა ამერიკული მისამართების დადგენა გაუძნელდა.

პატრიოტული აქტის მსხვერპლი ამერიკელები უდიდესი გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ქვეყანამ, სადაც დაიბადნენ, გაიზარდნენ, ათწლეულების მანძილზე იხდიდნენ გადასახადებს, მონაწილეობდნენ ყველა არჩევნებში და პატიოსნად მსახურობდნენ, ისინი ტერორისტების, იარაღით, ნარკოტიკებითა და ადამიანებით მოვაჭრეების კატეგორიაში გაამწესა.

ემიგრანტ ამერიკელებს საბანკო მომსახურებაზე საკუთარ ქვეყანაში უარს ეუბნებიან, სულ უფრო ხშირად ეუბნებიან უარს მასპინძელი ქვეყნებიც. ისინი შემაშფოთებელი ინტენსივობით მოითხოვენ ამერიკისგან ამ საგადასახადო კაბალისა და საბანკო დაბლოკვის გაუქმებას, მაგრამ მოთხოვნა მოთხოვნად რჩება, მიზნის მიღწევა შეუძლებელია, მოქალაქეობაზე უარის თქმა კი — გაცილებით მარტივი. და როდესაც სხვა გამოსავალი აღარ რჩება, ამერიკელები ამ ურთულეს გადაწყვეტილებას იღებენ. ექსპერტები თვლიან, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და ციფრები, რომლებიც უკვე სახეზეა, აისბერგის წვერია.

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულებში“

ბოროტების ტექნოლოგია ქრისტიანული ცივილიზაციის წინააღმდეგ, ანუ აბსოლუტური ნულის მიღწევის ამერიკული გზები

სუზან
რევერბაი

ერთ ჩვეულებრივ დღეს დასავლეთის საინფორმაციო საშუალებების მთავარი სიუჟეტი გახდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აავადებდნენ 60 წლის წინათ ამერიკელი „მკვლევარები“ ვენერიული დაავადებებით გვატემალელებს. აშშ-მა ამისთვის ოფიციალურად მოიხადა ბოდიში, მაგრამ ესაა სწორედ უცნაური: რატომ იხდის ბოდიშს აშშ ესოდენ შორეული წარსულის დანაშაულებრივი ქმედებებისთვის? მით უფრო, რომ ამ ექსპერიმენტზე არავინ არაფერი იცოდა, ვიდრე მასაჩუსეტსის ველსლი-კოლეჯის პროფესორი სიუზან რევერბაი ალაბამაში განხორციელებულ სამედიცინო ექსპერიმენტებზე წიგნისთვის მასალების შეგროვებისას შემთხვევით არ გადააწყდა ზემოხსენებულ ამბავს.

„უნებლიე აღმოჩენის“ შემდგომი ისტორიის თანახმად, რევერბაის ალაბამელებზე სამარცხვინო ცდების შესახებ წიგნში ამ თემაზე არც კი მიუნიშნებია, მაგრამ სოლიდური არხები იტყობინებოდნენ, რომ გვატემალაში განხორ-

ციელებული ცდების შესახებ კვლევის დასრულების შემდეგ რევერბაი ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC) ყოფილ დირექტორს — დევიდ სენსერს დაუკავშირდა და „უნებლიე აღმოჩენამაც“ ამის წყალობით იხილა დღის სინათლე.

ამერიკულ მასმედიას კომენტარი არ გაუკეთებია ამ საქმეში დევიდ სენსერის გამოჩენის შესახებ. არადა, იგი სიფილისის შესასწავლი ექსპერიმენტების ყოფილი კონტროლიორია და, დიდი ხანია, იმ ამერიკელ მაღალჩინოსნებთან ერთად მოიხსენიება, ვინც დაავადებული ალაბამელების უწამლოდ დატოვებას დასთანხმდა. მასმედიას არც იმაზე დასცდენია სიტყვა, რომ აბსოლუტურად ნეიტრალური სახელწოდების დაავადებათა კონტროლის ცენტრის უკან ამერიკის ეკოლოგიურ და ბაქტერიოლოგიურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ზესაიდუმლო სამხედრო ქვედანაყოფების მომცველი დატოტვილი ქსელი იმალებოდა. ამ ორგანიზაციას თვით ამერიკულ სამედიცინო ლიტერატურაში ხშირად „სამედიცინო ცსს“-ს უწოდებენ და მის სახელს გლობალური ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელებული არაერთი ცრუ პანდემია თუ ფართომასშტაბიანი ფობიის გამოყენებით საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირება უკავშირდება.

სწორედ ამ ორგანიზაციის თითქმის გასაიდუმლოებული განყოფილებაა ეპიდემიოლოგიური დაზვერვის სამსახური (EIS), რომლის შტატის გასაზრდელად, საჭირო თანხების მისაღებად და ლობირებული კომპანიის ვაქცინის გასაყიდადაც იმავე დევიდ სენსერმა არაერთხელ იმართლა თავი სენატზე ზეწოლის გამო. **ზეწოლა, ძირითადად, „ლეგიონერის დაავადების“ ან „ღორის გრიპის“ პანდემიების ისტერიული გაბერვით ხორციელდებოდა.** ამ საქმეებზე პირდაპირ გამოაშკარავებულ მაღალჩინოსნებს საზოგადოებისთვის ბოდიში არასდროს მოუხდიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ისტორიაში საკმარისზე მეტი ფაქტია XX ან XXI საუკუნის შავი ჭირის წინააღმდეგ იმ ინსაიდერული პანაცეების ტესტირების შესახებ, რომლებიც იძულებითი „პაციენტების“ სამუდამო უშვი-

© „ადამიანური ფაქტორი“

ლოებით ან მასობრივი ლეტალური შედეგით მთავრდებოდა, გვატემალას შემთხვევამდე ცნობილი იყო ერთადერთი ფაქტი, როდესაც აშშ-მა „ადამიანებზე ცდებისთვის“ ბოდიში მოიხადა — 1997 წელს პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ეს სწორედ ალაბამას ექსპერიმენტებთან დაკავშირებით გააკეთა.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის დაჯერება, რომ უკვე ორი პრეზიდენტისა და ზესაიდუმლო ორგანოების პოზიციებზე მასაჩუსეტსის კოლეჯის მოკრძალებული მასწავლებლის „გამოაშკარავებამ“ იქონია ესოდენ დიდი ზემოქმედება. მით უფრო, რომ გვატემალის შესახებ რევერბაის აღმოჩენის მეტი ინფორმაცია მსოფლიოს არ გააჩნია. როგორც ჩანს, ალაბამასა და გვატემალაში ერთი და იმავე „მკვლევარების“ მიერ ჩატარებული ცდების შესახებ ინფორმაციის არარსებობამ უკარნახა ობამას მრჩევლებს იდეა, ამერიკისა და გლობალური მედიცინის უმთავრესი პრობლემის „გადატვირთვის“ შესახებ, რაც შემდეგ გაერომ „ათასწლეულის მიზნებშიც“ შეიტანა. **მასობრივი ტრანსნაციონალური სამედიცინო მომსახურებების მესამე მსოფლიოს ქვეყნებში დანერგვის ეს დაუძლეველი პრობლემა კი „ტასკიჯის ეფექტი“, ანუ შავკანიანი მოსახლეობის „თეთრების“ მედიცინისადმი სრული უნდობლობაა.**

გვატემალაში სიფილისითა და გონორეით „პაციენტები“ შეგნებულად დააავადეს, ალაბამაში კი მხოლოდ უწამლოდ დატოვეს. ამ სათაურის ავტორი შავკანიანების რწმენას, რომ ისინი ალაბამაშიც განგებ დააავადეს, გვატემალას შესახებ ხმებით შექმნილ მითს მიაწერს. **გვატემალის დაგვიანებული პიარ-ისტორიის პროპაგანდული მიზნებიც ნათელია: აფროამერიკელების ცნობიერებაში აშშ-ის „ჩვეულებრივი რასიზმის“ მტკიცებულებად დარჩენილი მოვლენების სხვა კალაპოტში გადატანა; საკუთარ ქვეყანაში არაადამიანური პრაქტიკის ჩანაცვლება 60 წლისწინანდელი გაცილებით უფრო არაადამიანური ქმედებებით სხვა ქვეყანაში; „შორეული ცდების“ წარმოჩენა იმ ერთეული „მკვლევარების“ ნამოქმედარად, რომლებიც მშობლიურ აშშ-ში გაცილებით „ჰუმანურები“ იყვნენ.**

გვატემალის მოვლენები იმ ლოგიკაში ჯდება, რომელიც „როკფელერებისა და კომპანიის“ მიერ გასული საუკუნის დასაწყისში „სანიტარული ბიუროების“ სხვა ეპიდემიებსა და პანდემიებსაც ახლდა თან, მაგრამ ამერიკის პარალელური განვითარებისთვის „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების ყველა „ეგზოტიკური“ დაავადება არ გამოდგებოდა. **გაეროს „ათასწლეულის მიზნებში“ მცირედი ცვლილებებით შეტანილია ყველა ის დაავადება, რომლებსაც როკფელერის ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, მისივე წითელი ჯვრის სტრუქტურებში შეისწავლიდნენ ან ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ნორვეგიის, ბელგიის, შვედეთის, დანიის, ჰოლანდიის „ინტერესთა საზოგადოების“ წევრი ცნობილი ადამიანები აფინანსებდნენ — ყვითელი ციებ-ცხელება, მალარია, ყვავილი, ტეტანუსი, ტუბერკულოზი, კიბო; ხოლო სიფილისი, როგორც მას გასული საუკუნის ექიმები უწოდებდნენ, სხვა დაავადებათა „დიდი იმიტატორი“, სხვა „დიდი იმიტატორით“ — შიდსით ჩანაცვლდა.**

უნდა აღინიშნოს, რომ როკფელერები იმ გლობალური სამედიცინო ბრენდების სიღრმეებში, რომლებმაც უამრავ ადამიანს მედიცინისადმი რწმენა მოუკლა, უფრო განზოგადებული სახელია, ვიდრე საკუთარი. **ფსევდოფილანტროპიის იდეა მოიცავდა ყველაფერ საშინელს, პირქუშსა და არაადამიანურს, რამაც XX საუკუნე ორ მსოფლიო ომამდე მიიყვანა და რაც დღევანდელობაზე კოლექტიური როკფელერების ლაბორატორიიდან გამოქცეული კიბოს, პოლიომიელიტის, ჰეპატიტ-C-ს, ღორის ან ქათმის გრიპისა თუ შიდსის სახით ვრცელდება.**

„ფილანტროპიაში“ ინვესტირება „ინტერესთა საზოგადოების“ დედამიწის მოსახლეობაზე კონტროლის კაპიტალიზაციას ნიშნავდა. პრაგმატული კუთხით კაპიტალიზაცია გახდა დედამიწის ხალხებისა და სახელმწიფოების მთელი ინტელექტუალური რესურსის მითვისება — პატენტი ყველა იმ სამეცნიერო გამოგონებაზე, რომელიც უკიდურეს სიტუაციებში ადამიანის გადარჩენას, „ადამიანის ჯიშის გაუმჯობესებისა“ და კაცობრიობის უსარგებ-

© „ღვინისფერი ოინბაგი“

ლო ნაწილის შემცირების ლოზუნგით „ინტერესთა საზოგადოების“ ლაბორატორიებში შექმნილ სასიკვდილო ინფექციების ანტიდოტებს შეეხებოდა.

როკფელერების, კარნეგისა და მსგავსი ფონდები გასული საუკუნის დასაწყისიდან არ იშურებდნენ ინვესტიციებს ექიმ მენგელეს საქმის გაგრძელებისა და ევგენიკის განშტოებებისთვის. ფსიქიატრიაში, ცნობიერების კონტროლში, სისხლში, ვირუსებში, იმუნიტეტზე პასუხისმგებელ ფაქტორებსა და ყველაფერ იმაში, რამაც შეიძლება ადამიანის ხელოვნური მუტაცია, ფიზიკური და ზნეობრივი საფუძვლების კოროზია გამოიწვიოს, ფული არ დაუზოგიათ. ამერიკაში ენდრიუ კარნეგიმ, რომელმაც ტასკიჯის პირველი აფროამერიკული ინსტიტუტი დააარსა, 1902 წელს გახსნა ევგენიკური რეგისტრაციის ოფისი. ნიუ იორკში სოციალური დარვინიზმის ლაბორატორიას, რომლის საშუალებითაც ევგენიკური რეგისტრატორები რასობრივი სელექციისა და იძულებითი სტე-

რილიზაციის პოლიტიკას ახორციელებდნენ, ასევე კარგად ნაცნობი როკფელერები, ჰარიმანები და მისთანანი აფინანსებდნენ.

როკფელერმა აშკარად გაუსწრო პარტნიორ კარნეგის „ევგენიკური ინვესტირების“ საქმეში. მან თავისი „ფილანტროპიული“ როკფელერული წითელი ჯვრის ნიღაბქვეშ არა მხოლოდ გლობალური „სისხლის ბანკი“ შეიძინა, არამედ ფროიდის სატანისტური ფანტაზიებიც განახორციელა.

ლონდონის ტავისტოკსკის ინსტიტუტის მიერ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პოსტსტრესული ფსიქიატრიის გამოკვლევა, რაც სექსუალური გარყვნილების ტაბუს მოხსნითა და ცნობიერებაზე კონტროლით ხორციელდებოდა, სწორედ ამ „ფილანტროპის“ ფულით ფინანსდებოდა.

როკფელერების ფონდების გრანტებით იკვებებოდა ამერიკის მორალის დამანგრეველი „სექსუალური რევოლუციის“ მამა, სოდომისტი, ჰომოსექსუალი და პედოფილი ალფრედ კინსი, რომელმაც ღვთისმოშიშ ამერიკელებს ადრეული ბავშვობის სექსუალობის, კაცობრიობის ბისექსუალობისა და სექსის საკითხთა პირველხარისხოვნების სამედიცინო იდეები ჩაუნერგა. როკფელერის ქვეგანყოფილებები აფინანსებდა კაიზერ ვილჰელმის ინსტიტუტის — ნაცისტური ევანგელიკის ცენტრის პროექტებს, რომლებმაც დასაბამი დაუდო გერმანიაში ადამიანების მასობრივ ძალადობრივ სტერილიზაციას.

მაგრამ, თუ გერმანული ნაციზმის შესახებ ინფორმაცია მეტ-ნაკლებად გავრცელებულია, საეჭვოა, „ცივილიზებული დასავლეთის“ სხვა ქვეყნებში ანალოგიური მოვლენების თაობაზე ბევრმა იცოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკოსები მაღალი ტრიბუნებიდან ასე გულახდილად არ იქადაგებდნენ ევგენიკის ციტატებს „ოჯახის დაგეგმვის“, „შობადობის კონტროლის“, სკოლებში „სექსუალური განათლებისა“ და სხვათა შესახებ.

შობადობის კონტროლი, „გენდერული“ (ესეც ევგენიკის „ტერმინია“) პრობლემები და თეზისი „ბავშვთა უფლებების“ შესახებ, რომელიც ტრადი-

როკფელერების ოჯახი

ციული ოჯახის დასანგრევ ხელჯოხად გამოიყენება და ბავშვებზე ტოტალური კონტროლის განხორციელებას ემსახურება, დიდი ხანია, დასავლური დემოკრატიის უპირატესობათა და ცივილიზაციურ ღირებულებათა სოუსით მოგვეწოდება.

1940 წელს ამერიკის შობადობის კონტროლის ფედერაციამ და ოჯახის დაგეგმვის კომიტეტმა მოაწყვეს კონფერენცია, რომლის განცხადებაშიც ნათქვამი იყო: **„ჩვენც (ისევე, როგორც ჰიტლერის რეჟიმი) ვაღიარებთ რასობრივი წყობის პრობლემას, მაგრამ პრობლემის ჩვენეული გაგება აქცენტს ჩვენი ხალხის ხარისხზე აკეთებს და არა მხოლოდ რაოდენობაზე...“**

როგორ აგვარებდნენ რაოდენობის ხარისხში გადატანის პრობლემას ამერიკელი „მეცნიერები“, ამის შესახებ „ოფიციალური ბოდიშების“ ის იშვიათი შემთხვევები მეტყველებს, რომლებიც 60-80 წლის შემდეგ გამოჩნდა. მაგალითად, **2002 წელს ვირჯინიის გუბერნატორმა მარკ უორნერმა ოფიციალურად მოუხადა ბოდიში ათასობით ადამიანს, რომლებსაც ამერიკის ხელისუფლებამ 1924-1979 წლებში სტერილიზაციის განაჩენი გამოუტანა. გუბერნატორის განცხადებაში ნათქვამია, რომ ამგვარ სტერილიზაციას დაახლოებით 60.000 ადამიანი ემსხვერპლა.**

გასული საუკუნის ამერიკის სპეციალიზებულ სამედიცი-

ნო გამოცემებში მოსახლეობის კონტროლი, „ოჯახის დაგეგმვა“ და სტერილიზაცია ეპიდემიების, პანდემიებისა და ადამიანისთვის სასიკვდილო დაავადებების გვერდით უმთავრესი თემებია. მაგალითად, 1927 წლის 16 დეკემბრის ჯანდაცვის კომიტეტის „Publichealthreports“-ში თითქოსდა ამერიკაში მალარიის მძვინვარების შესახებ შემაშფოთებელი სტატისტიკის შემცველი როკფელერის ფონდის რეკლამის გვერდით განთავსებულია ანგარიში ყველა სახეობის პარაზიტის ლიკვიდაციისთვის ციკლონ-ბ-ს ფართო გამოყენების შესახებ. **გერმანული კომპანია „I.G. Farben“ ციკლონ-ბ-ს, ფოსგენის, იპრიტის, ანტივირუსული ვაქცინის, სინთეტიკური საწვავისა და რეზინის, სასუქისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების, საღებავებისა და წამლების მწარმოებელია, რომელიც იყო და რჩება „ინტერესთა საზოგადოების“ პარტნიორად. იდუმალი ინიციალები „I.G.“ კი სხვა არაფერია, თუ არა „Interessen Gemeinschaft“ — „ინტერესთა საზოგადოება“.**

ოსვენციმზე საუბრისას არავის ახსენდება, რომ ციკლონ-ბ-ს ეფექტურობა პირველად, ვირთხებზე კი არა, ადამიანებზე გამოიცადა 1941 წელს, როცა ცდის ობიექტებად 500 საბჭოთა სამხედრო ტყვე გამოიყენეს.

გლობალიზატორების ეფექტურობა მათ გონიერებაში კი არა, იმაშია, რომ ქრისტიანულ ცივილიზაციას არ სურს, დაიჯეროს, რომ მის წინააღმდეგ ყველაზე პირდაპირი გაგებით იყენებენ „ბოროტების ტექნოლოგიას“.

როდესაც 1946-1948 წლებში ამერიკულ ლაბორატორიებში მიღებული გვატემალური ვენეროლოგიის „სინთეტიკურმა“ ლიდერმა ხუან ფიუნესმა „სამიზნე აუდიტორიაზე“ თავისი რასისტულ-სადისტური ცდები დაიწყო, ნიურნბერგის პროცესის გამოძახილები ჯერ კიდევ ისმოდა მსოფლიოში. გვატემალელ „ექიმებს“ დიდად არაფერზე უდარდიათ — მათ უმაღლესი დონის დაცვა ჰქონდათ გარანტირებული ფაშიზმის დამმარცხებელი ქვეყნებისგან. **როკფელერის „UNITEDFRUITCOMPANY“-ის აქციონერები, რომლებმაც გვატემალა „ბანანის რესპუბლიკად“ აქციეს, ჯანდაცვის ეროვნული კომი-**

ტეტი კი — აშშ-ის ჯანდაცვის კომიტეტის ვირტუალურ ქვეგანყოფილებად, ძმები დალესები გახლდნენ, რომელთაგან ერთი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი გახდა, მეორე კი — ცსს-ს დირექტორი.

დანაშაული, რომელსაც ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია, აშშ-მა მრავალი წლის შემდეგ ოფიციალური ბოდიშით „გამოისყიდა“ და დასძინა, რომ ექსპერიმენტების ჩატარების უფლება თავად გვატემალის ხელისუფლებისგან მიიღო. „ათასწლეულის მიზნების“ განხორციელებისთვის კი ფრონტის ხაზზე თავად მილიარდელები გამოდიან. **როდესაც ბილ გეიტსმა განაცხადა, რომ თავისი ქონების ნახევარს ქველმოქმედებისთვის გაიღებდა და მიბაძვისკენ მოუწოდა უორენ ბაფეტსა და ტედ ტერნერს, ყველა მიხვდა — მოსახლეობის კონტროლის ძველი სცენარი უცვლელად გამეორდებოდა.**

გეიტსის სქემების მიხედვით, ნახშირმჟავა აირის გამონაბოლქვის რაოდენობა პირდაპირ კავშირშია პლანეტის მოსახლეობის რაოდენობასთან და, მისი თეზისის თანახმად, „იდეაში ნახშირმჟავა გაზი ნულის ტოლი უნდა იყოს“. **გლობალური დათბობის „კატასტროფის“ თავიდან ასაცილებლად ფილანტროპის სასწაულებრივი ვაქცინა, მისივე სასწაულებრივი თესლი და ცივილიზებული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება იყო შემოთავაზებული. და საიდანაც არ უნდა შემოგევლო გეიტსის ამ „ევგენიკური გამოსვლისთვის“, გამოდიოდა, რომ ყველა ეს სასწაულებრივი ზომა სწორედ აფრიკელი მოსახლეობის სასურველ ნულამდე დაყვანას გულისხმობდა. და თუ მსოფლიო დროზე არ მოვა გონს და კიდევ ერთხელ გაასულელებინებს თავს „გლობალიზმის“ აგენტებს, სამოციოდე წლის შემდეგ აღარავინ დარჩება, ვის წინაშეც როკფელერის საჯიშეში გამოყვანილი „ფილანტროპები“ და სხვა მეომარი ნანოტექნოლოგები გულწრფელად და ოფიციალურად მოიხდიან ბოდიშს.**

აშშ, როგორც «არშემდგარი სახელმწიფო»



ამერიკის წარმატებულობის საიდუმლო პროპაგანდაა. რეალურად არსებული მდგომარეობა რომ სააშკარაოზე გამოვიდეს, მისი ბრწყინვალეებიდან კვალიც კი აღარ დარჩება და ნაქებ-ნადიდები ზესახელმწიფოს ნაცვლად მსოფლიოს ხელში „არშემდგარი სახელმწიფო“ შერჩება. თავის ე. წ. წარმატებას აშშ სამ რამეს უნდა უმადლოდეს: 1. უზარმაზარ მიწებსა და ბუნებრივ რესურსებს, რომლებიც მას შემდეგ ჩაიგდო ხელში, რაც სასტიკად გაუსწორდა ადგილობრივ მოსახლეობას; 2. ევროპის თვითგანადგურებას, რაც, ძირითადად, ბრიტანეთს ეხება და რისი უმთავრესი მიზეზიც ორი მსოფლიო ომი იყო; 3. რუსეთისა და აზიის დიდი ნაწილის ეკონომიკურ განადგურებას კომუნიზმისა და სოციალიზმის შემდგომ პერიოდში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა ბრიტანულ ფუნტს სარეზერვო ვალუტის როლი წაართვა და დოლარს გადაულოცა. ამით დოლარი მსოფლიო ფულად იქცა და აშშ-ს საშუალება მიეცა, იმპორტული საქონლის ღირებულება საკუთარი ვალუტით ეხადა. მეორე მსოფლიო ომის

© „ღვინისფერი ანბანი“

დროს სხვა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების განადგურებამ განაპირობა ის, რომ ამერიკა აღმოჩნდა ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო მსოფლიო ბაზარი წარმოების პროდუქციით სათანადოდ მოემარაგებინა. ამგვარი ისტორიული დამთხვევის გამო ამერიკასა და ამერიკელებს შეექმნათ წარმოდგენა, თითქოს ისინი რჩეულები იყვნენ. ახლა ნეოკონსერვატორი ქორები აშშ-ზე ისე ლაპარაკობენ, როგორც „შეუცვლელ ნაციაზე“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკელები ყველა სხვაზე მაღლა დგანან, რა თქმა უნდა, ისრაელელების გარდა.

„ტერორისტული საფრთხის“ მცნება ამერიკელი ხალხის ხელისუფლების პირმშო და სავსებით საკმარისი მიზეზია მთელი მუსლიმანური სამყაროს მიმართ აგრესიის გამოვლენისა და მსოფლიო ბატონობისკენ სწრაფვისათვის. ამგვარი ზიზღითა და ქედმაღლობით გაჯერებული დამოკიდებულება თავიდან ბოლომდე იძლევა იმის ახსნას, თუ რატომ არ გააჩნიათ ამერიკელთა უმეტესობას სულ მცირე თანაგრძნობა და სიბრალული მაინც მათი ჯარის შეჭრის შედეგად მილიონამდე მოკლული და ოთხ მილიონამდე დევნილი ერაყელის მიმართ. ეს ცალსახად ტყუილზე დაფუძნებული ოკუპაციის შედეგებია.

იგივე ახსნა აქვს ამერიკელთა გულგრილობას უთვალავი ავღანელისა და პაკისტანელის მიმართ, რომლებიც ვიდეოეკრანების წინ მსხდარი „ჯარისკაცების“ მიერ მართული უპილოტო საფრენი აპარატების შტურმებს ეწირებიან. ამავე მიზეზით დუმს ამერიკელი საზოგადოება, როდესაც ისრაელი კიდევ ერთხელ იმუქრება ღაზას სექტორის დაბომბვით. იმას მაინც არავინ დაიჯერებს, რომ ისრაელის ბოლო ბარბაროსული აქტი, როდესაც მან ღაზას სექტორის დამშეული მოსახლეობისთვის განკუთვნილი საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარება დანიშნულების ადგილამდე არ მიუშვა, მის ამერიკელ მფარველებთან შეუთანხმებელი ქმედება იყო.

ბუშისა და ჩეინის რეჟიმის მიერ გამოგონებულმა და რეალობაში განხორციელებულმა ტერორიზმთან ბრძოლამ საბოლოოდ გაანადგურა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია და მის მიერ უზრუნველყოფი-

ლი ადამიანის უფლებები. თავის მხრივ, ობამას რეჟიმმა უკვე საბოლოოდ დააკანონა ბუშისა და ჩეინის წამოწყებები. დღევანდელ ამერიკაში ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც ბრალად ედება „ტერორისტული ქმედება“ ავტომატურად კარგავს ყველანაირ უფლებას. უფრო მეტიც, ობამას რეჟიმმა „ტერორისტული ქმედების“ ბუნდოვანი მცნება გააფართოა და მასში ჩართო კიდევ ერთი, არანაკლებ ბუნდოვანი, მცნება „შიდა ექსტრემიზმი“, რომელსაც ხელისუფლება ზუსტად ისე იყენებს, როგორც მოესურვება. ახლა ამერიკაში „ტერორისტებსა“ და „შიდა ექსტრემისტებს“ შეიძლება განეკუთვნებოდეს ნებისმიერი, ვინც არ ეთანხმება აშშ-ის ხელისუფლების პოლიტიკასა და მის ქმედებებს, რომელთაც ეს უკანასკნელი თავისი მთავარი მიზნის — მსოფლიო ბატონობის მისაღწევად ახორციელებს.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, აშშ არაა მონოეთნიკური სახელმწიფო, ის ამერიკის კონსტიტუციით გაერთიანებული მრავალი ერის წარმომადგენლებისგან შედგება. **აშშ-მა მაშინ შეწყვიტა არსებობა, როდესაც კონსტიტუცია განადგურდა. არჩევნებმა საერთოდ დაკარგა აზრი, რადგან მასში მონაწილე ორივე პარტია წინასაარჩევნო კომპანიებში ერთსა და იმავე დაინტერესებულ წრეებზეა დამოკიდებული. ამ წრეებიდან ყველაზე გავლენიანი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და უშიშროების ორგანიზაციებია პენტაგონის, ცსს-სა და მათი მომსახურე კომპანიების ჩათვლით.** შემდეგ ადგილზე ამერიკა-ისრაელის კომიტეტია, მომდევნოზე ერთმანეთის მიყოლებით — ნავთობის სექტორი, რომელიც მოცემულ მომენტში მექსიკის ყურის უნიკალურ ეკოსისტემას ანადგურება; უოლ-სტრიტი თავისი საინვესტიციო ბანკებითა და ფონდებით; სადაზღვევო კომპანიები; ფარმაცევტული და აგროსამრეწველო კომპლექსები, რომლებიც საეჭვო შემადგენლობის პრეპარატებსა და საკვებ პროდუქტებს აწარმოებენ.

სწორედ ეს კორპორაციული ცენტრები წარმოადგენს დღევანდელ ამერიკულ ოლიგარქიას, რომელსაც ძალაუფლებას ვერანაირი არჩევნები ვერ წაართმევს.

© „ღვინისფერი ბინისფერი“

„ტერორთან ომმა“ ბოლომდე მიიყვანა ამერიკის კონსტიტუციის რღვევა, შემდეგი ეტაპი კი ეკონომიკური ვარდნა იყო. სწრაფი მოგების სურვილით შეპყრობილი უოლსტრიტის წნეხით ამერიკულმა კორპორაციებმა საწარმოები ქვეყნის გარეთ გაიტანეს. შედეგად, მილიონობით კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილი, რომლებიც ადრე აშშ-ის მოქალაქეებს ეკავათ, და აშშ-ის შიდა პროდუქტის დიდი ნაწილი იაფი მუშახელის ქვეყნებში — ჩინეთსა და ინდოეთში აღმოჩნდა. ამ პრაქტიკის დანერგვიდან 20 წლის თავზე განადგურებულია არა მხოლოდ აშშ-ის სამუშაო ადგილები, არამედ მთელი საგადასახადო ბაზა ყველა შესაძლო დონეზე. **უმუშევრობის მაჩვენებელი, ხელისუფლების მონაცემების თანახმად, 20%-ით გაიზარდა. ამერიკელებს, ფაქტობრივად, აღარ აქვთ შანსი, საკუთარი შრომის წყალობით სოციალური და კარიერული კიბის ზედა საფეხურებზე გადაინაცვლონ. საუნივერსიტეტო განათლების მქონე ახალგაზრდები ბარმენებად და ოფიციანტებად მუშაობენ.**

აშშ-ის საზღვრებს გარეთ ნაწარმოები ამერიკული პროდუქტი ქვეყნის ბაზარზე უკვე იმპორტის სახით შედის, უცხოელები კი დაგროვილ ამერიკულ ფულს ამერიკული აქტივების შესაძენად იყენებენ. ახლა დივიდენდები, სატრანსპორტო ბაჟი, საპროცენტო კაპიტალი და სხვა შემოსავლები უცხოელი მესაკუთრეების ჯიბეში მიდის და ამერიკის ვალუტაზე ზეწოლას აძლიერებს. აშშ ჯერ კიდევ სულდგმულობს საერთო შიდა პროდუქტში უცხოური კაპიტალის წილის ზრდის ხარჯზე, მაგრამ ეს მხოლოდ დოლარის, როგორც საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის, დამსახურებაა. რაც უფრო გაიზრდება სახელმწიფოს ბიუჯეტისა და სავაჭრო დეფიციტები, მით უფრო გაუძნელდება დოლარს ამ ფუნქციის შესრულება. **როდესაც დოლარი დაიმსხვრევა, ქვეყნის მოსახლეობა ტოტალურ სიღატაკეში გამოიღვიძებს.**

ახლა აშშ და მისი მოქალაქეები ყურებამდე ვალებში არიან ჩაფლულნი. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე იქ ოჯახებს შემოსავალთა არანაირი ზრდა არ აღე-

ნიშნებათ. ყველაფერი, რაზეც უკანასკნელ პერიოდში იდგა ქვეყნის ეკონომიკა, მომხმარებლის კრედიტირებაა. ახლა თავად მომხმარებლებიც იმდენად ჩაეფლნენ ვალებში, რომ აღარ შეუძლიათ მეტი კრედიტის აღება. თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ ამერიკის ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას — მომხმარებლის მოთხოვნას — ზრდის საშუალება აღარ აქვს. ეკონომიკაში მომხმარებლის მოთხოვნილების წილი 70%-ია და მისი ზრდა შეუძლებელია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლებელია ზოგადად ეკონომიკის აღდგენაც.

აშშ-ს „არშემდგარი სახელმწიფო“ იმის გამოც შეიძლება ეწოდოს, რომ ახლა ამერიკის მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულნი არ არიან არც კორპორაციები და არც ხელისუფლება. ამერიკელები კი საკუთარი ფანტაზიების სამყაროში ცხოვრობენ და წარმოდგენაც არ აქვთ, რომ დაკარგეს აბსოლუტურად ყველა მოქალაქეობრივი უფლება. ზოგიერთი მათგანი ხვდება, რომ ქვეყნის ეკონომიკა საფრთხის წინაშეა. კიდევ უფრო ცოტა იციან მათ იმ ზიზღის შესახებ, რომელიც მთელ მსოფლიოში მათი და მათი ხელისუფლების მიმართ დღითიდღე იზრდება, სწორედ ამ ხელისუფლების მიერ თავისუფალ ხალხებზე თავდასხმისა და მათი განადგურების გამო. ამერიკელი ხალხი ჩაფლულია ეგოიზმში და წარმოდგენაც არ აქვს იმ კატასტროფებზე, რაც მისმა ქედმაღლობამ, ეგოცენტრიზმმა და არაადამიანურმა პოლიტიკამ მოუტანა მასაც და მთელ დანარჩენ მსოფლიოსაც. ახლა ამ დანარჩენ მსოფლიოს ერთადერთი კითხვაღა დარჩა: რა არის ამერიკა — ნეოკონსერვატორების პროპაგანდის შესაბამისი კეთილშობილი „შეუცვლელი ერი“ თუ თანამედროვე მსოფლიოს სახადი?

პოლ კრეიგ რობერტსი,

აშშ-ის ფინანსთა მინისტრი და გაზეთ „Wall Street Journal“-ის რედაქტორის ყოფილი თანაშემწე, ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის პოლიტიკური ეკონომიკის პროფესორი

© „ღამისფრთიანი ოლიმპიადა“

ამერიკული კრიზისის სტატისტიკა და მოახლოებული აღსასრული

ეს კრიზისის სტატისტიკაა. ამერიკელთა უმეტესობა ხვდება, რომ მათი ქვეყნის ეკონომიკა საუკეთესო ფორმაში არაა, მაგრამ მათ წარმოდგენაც არ აქვთ, რამდენად მძიმე მდგომარეობაშია ახლა მათი ქვეყანა. სიმართლე ისაა, რომ ეს უბრალო „ვარდნა“ ან „აქტივობის შემცირება“ კი არა, მსოფლიო ისტორიაში უდიდესი ეკონომიკური მანქანის აღსასრულის დასაწყისია. ამერიკელთა სიხარბე და ვალები ცოცხლად ჭამენ ქვეყნის ეკონომიკას. ხელისუფლების, კორპორაციებისა და კერძო პირების მთლიანი ვალი ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის 360%-ს აღწევს, ეს კი ბევრად აღემატება დიდი დეპრესიის პერიოდის მაჩვენებლებს. ამერიკამ მთლიანად დაშალა თავისი ერთ დროს კოლოსალური საწარმოო ბაზა, საზღვარგარეთ გაიტანა საშუალო ფენის მილიონობით სამუშაო ადგილი, ათწლეულობით იცხოვრა არარსებული სახსრებით და მსოფლიოში უდიდესი სავალო ბუშტი გაბერა. ანგარიშსწორების დღე სწრაფი ტემპით ახლოვდება, მსესხებელი გამსესხებლის მსახურია, მოჭრილი გზები ადრე თუ გვიან ყველას მდგომარეობაზე აისახება. გზები კი ნამდვილად მოჭრილია და ამას დაუჯერებელი ფაქტები ადასტურებს.

2010 წელს ამერიკის ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ვალი მთელი დანარჩენი მსოფლიოს ვალების ჯამს აღემატება.

ხელისუფლება წლის ბოლომდე 1,6 ტრილიონი დოლარის დეფიციტს შექმნის ქვეყნის ბიუჯეტში.

ყოველ წამს ერთი დოლარი რომ დახარჯოთ, ტრილიონი დოლარის დასახარჯად 31 000 წელი დაგჭირდებათ.

ქრისტეს დაბადებიდან ყოველ დღე 1 მილიონი დოლარი რომ დაგეხარჯათ, დღემდე ტრილიონს ვერ დახარჯავდით.

ხელისუფლების საერთო ვალი ახლა აშშ-ის საერთო შიდა პროდუქტის 90%-ს შეადგენს.

აშშ-ში ხელისუფლების, კორპორაციებისა და კერძო პირების საერთო საკრედიტო დავალიანება საერთო შიდა პროდუქტის 360%-ს უტოლდება.

აშშ-ის კორპორაციების შემოსავლებიდან გადასახადები ერთ წელიწადში 55%-ით შემცირდა.

კალიფორნიის რვა ოლქში უმუშევრობის დონე 20%-ს აღემატება.

საკრამენტოს ირგვლივ ყოველი მეშვიდე ბიზნესი დახურულია.

თებერვალში თითო ვაკანსიისთვის 5,5 ამერიკელი იბრძოდა.

„Pew Research Center"-ის კვლევის მიხედვით, 18-დან 29-წლამდე ამერიკელთა 37% უმუშევარი ან ნაწილობრივ დასაქმებულია.

მომუშავე ამრიკელთა 40% დაბალანაზღაურებად შტატზეა დაკავებული.

ერთ-ერთი კვლევის თანახმად, მომუშავეთა 24%-მა პენსიაზე გასვლა გადადო.

2009 წლის განმავლობაში 1,4 მილიონზე მეტმა ამერიკელმა პერსონალური გაკოტრების შესახებ განაცხადა, ეს წინა წლის მაჩვენებლზე 32%-ით მეტია. წლეულს, მარტში, იგივე განცხადება უფრო მეტმა ამერიკელმა გააკეთა, ვიდრე მანამდე.

მხოლოდ ერთი თვის მანძილზე იპოთეკაზე განაცხადები 40%-ით შემცირდა და 1997 წლის აპრილიდან ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე დაფიქსირდა.

„RealtyTrac"-ის განცხადებით, იპოთეკის გამოსყიდვის უფლების დაკარგვის რეგისტრაციებმა 2009 წლის მეორე ნახევარში ყველა დროის რეკორდი მოხსნა.

2010 წლის მარტში იპოთეკის გამოსყიდვაზე უფლების დაკარგვის თაობაზე განცხადებების რაოდენობამ 367 056 შეადგინა, რაც 19%-ით აღემატება თებერვლის მაჩვენებელს და დაახლოებით 9%-ით — გასული წლის მარტისას. ეს რეკორდული მაჩვენებელია სტატისტიკის წარმოების პერიოდიდან ამ დრომდე.

კალიფორნიის ცენტრალურ ხეივანზე ყოველი მეთექვსმეტე სახლი იპოთეკის გამოსყიდვის უფლების დაკარგვის სხვადასხვა სტადიაზეა.

იპოთეკურ ბანკირთა ასოციაციამ განაცხადა, რომ ამერიკელთა 10%-მა იანვრიდან მარტამდე ერთხელ მაინც დაარღვია გადახდის ვადები, რაც თავის კატეგორიაში რეკორდულ მაჩვენებლად ჩაითვალა.

2010 წელს ბანკები განმეორებით გახდნენ 258 000 სახლის მფლობელნი, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 35%-ით აღემატება.

მთელი ისტორიის მანძილზე პირველად, ბანკები უფრო მეტ უძრავ ქონებას ფლობენ, ვიდრე კერძო მესაკუთრეები.

2009 წლის დასასრულს იპოთეკური სახლების 24%-ის შემთხვევაში უზრუნველყოფის ღირებულებასა და საკრედიტო დავალიანებას შორის უარყოფითი სხვაობა იყო.

კომერციული საკუთრების ღირებულება 2007 წლიდან 40%-ით დაეცა.

აშშ-ის მთელი საოფისე ფართის 18% აუთვისებელია.

მშენებარე იპოთეკების დეფოლტი რეკორდულად — 4,6%-ით გაიზარდა.

აშშ-ის ბანკებმა, კერძო სესხების მხრივ, 1942 წლიდან ამ დრომდე რეკორდულად დაბალი მაჩვენებელი დააფიქსირეს.

ნიუ იორკის შტატმა 2,5 მილიარდი დოლარის ანგარიშების განაღდება შეაჩერა, რათა ცოტა ხნით მაინც შეენარჩუნებინა გადახდისუნარიანობა, მაგრამ ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ შტატში ნაღდი ფულის დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება.

2010 წლის ბიუჯეტის პროგნოზირებული 280-მილიონიანი დეფიციტის შესავსებად დეტროიტმა 250 მილიონ დოლარზე 20-წლიანი ობლიგაციები გამოსცა. ამას თან ახლდა ოფიციალური პირების განცხადებები, რომ თუ ფინანსური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, დეფოლტი გარდაუვალია.

ქალაქების ნაციონალური ლიგა აცხადებს, რომ მუნი-

ციპალური მთავრობები 2012 წლამდე 56-დან 83 მილიარდამდე დეფიციტს შეეჯახებიან.

შტატების ნაწილმა უკვე განაცხადა, რომ, ნაღდი ფულის უკმარისობის გამო, გადასახადების დაბრუნებას აჩერებენ.

ორმა პროფესორმა დაითვალა, რომ აუნაზღაურებელი პენსიების საერთო რაოდენობა 3,2 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

EconomicPolicyJournal.com-ის ინფორმაციით, 32-მა შტატმა სრულად ამოწურა უმუშევრობის დახმარების ფონდები და ფედერალური მთავრობის სახსრებზე გადავიდა.

რეცესიამ კერძო სექტორის 8 მილიონამდე სამუშაო ადგილი შეიწირა.

კერძო სექტორში 2010 წლის პირველ კვარტალში ხელფასები ამერიკის არსებობის ისტორიაში მინიმალურ ზღვრამდე დაეცა.

ხელისუფლების მიერ დაწესებულმა სოციალურმა შეღავათებმა რეკორდულ ზღვარს მიაღწია.

39,68 მილიონი ამერიკელი ახლა სასურსათო ტალონებს იყენებს, რაც თავისთავად რეკორდია, მაგრამ მომავალ წელს ამ ტალონებს 43 მილიონი მომხმარებელი ეყოლება.

არიზონა მსოფლიოს დედაქალაქად იქცა, ავტომობილების მოპარვის მხრივ.

ამერიკაში დანაშაულებრივ დაჯგუფებებში სულ მილიონამდე წევრია გაერთიანებული და ქვეყანაში ჩადენილ დანაშაულთა 80% სწორედ მათი ნახელავია.

ქვეყანას უკვე აკლია 150 000 ექიმი, ჯანდაცვის სისტემის რეფორმის შედეგად კი ეს მაჩვენებელი რამდენიმე ასეული ათასით გაიზრდება.

2019 წლამდე ჯანდაცვის რეფორმა მოსახლეობას დამატებით 409,2 მილიარდი დოლარის გადასახადებს დააკისრებს.

ხელმძღვანელისა და მუშის საშუალო ხელფასის თანაფარდობა 1950 წელს 30:1 იყო, წელს ეს თანაფარდობა 500:1 გახდა.

მთელი საცალო დანახარჯების 40% ამერიკის მოსახლეობის შედარებით შემოსავლიან 20%-ზე მოდის.

2002-2007 წლების შემოსავლების ზრდის ორი მესამედი ამერიკის მოსახლეობის მდიდარი 1%-ის ჯიბეში წავიდა.

რაიმე შემოსავლის მიმღებთა 40% ერთად ეროვნული სიმდიდრის 1%-ზე ნაკლების მფლობელია.

თუ საკრედიტო ბარათზე ყოველთვის მინიმალური თანხა შეგაქვთ, 6 000-დოლარიანი კრედიტი 30 000 დოლარი დაგიჯდებათ.

2009 წლის ბოლოს 16-19 წლის მოზარდების მხოლოდ 26% მუშაობდა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია სტატისტიკის წარმოების დაწყებიდან დღემდე.

ახალგაზრდა თაობის მხოლოდ 58% ახერხებს ყოველთვიური ანგარიშების დროულად გადახდას.

უკვე 16 კვარტალია, ზედიზედ იზრდება იმ სესხების რაოდენობა, რომელთა გადახდაც მინიმუმ სამი თვითაა დაგვიანებული.

ბიუჯეტის დეფიციტთან გამკლავებისთვის აშშ-ის კონგრესმა უკლებლივ ყველა გადასახადი 2,4-ჯერ უნდა გაზარდოს.

სარჩევი

წინათქმა	5
მშვიდობიანი მოქალაქეების ცოცვის მარათონში. ლიდერი ამერიკაა	11
სოდომიზაცია – სახელმწიფო დეპარტამენტის გაჭლენის ინსტრუმენტი	23
ამერიკის შეერთებული შტატების ნახევრადდემოკრატია	26
170-მილიარდიანი ძარცვის ანგარიში, ანუ როგორ ანაზღაურებენ ამერიკული გადასახადების გადამხდელები პენტაგონის მოძრაობას „დაიჰყარი პლანეტა“	35
თეთრი სახლის შავი მიზნები	46
წამებისა და ძალადობის შესახებ ამერიკაში	51
დაზვერვათა საიდუმლო ომი	55
ამერიკული მასმედიის მაკონტროლებელი 6 კორპორაცია	61
აშშ-ის წყალობით ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება გაასმაგდა	64
გაერო გეებისა და ლესბოსელების დაცვას შეუდგა	68
ჯორჯ სოროსი აშშ-ში კლასობრივ ომს წინასწარმეტყველებს	70
ამერიკა გისოსებს მიღმა	72
სამთვიანი პატიმრობა ოცდაოთხი გვამისათვის	75
აშშ-მა ყირგიზეთში ჰეროინის ბაზა მოაწყო	80
აშშ-ის ნარკობიზნესი „LOS ZETAS“-ის სამეზნეში	84

© „ღიასაზღვრული“

როგორ აგიჟებს და აბრიყვებს ამერიკა თავის შვილებს	89
აშშ და ფერადი რევოლუციების ანატომია	95
აშშ-ის სპეცსამსახურების სამიზნე №1	99
ცსს-ს და ერაყის ომი	103
ამერიკისთვის ვალების გასტუმრება შეუძლებელია	106
პენტაგონის „ფსიქოლოგიური ოპერაცია“ ამერიკელ მაღალჩინოსნებზე	111
ამერიკის დაუოკებელი ლტოლვა ჩარევისკენ	114
მოკვდი დღესვე, ანუ რევოლუცია – ამერიკის მთავარი საექსპორტო საქონელი	120
საუკეთესო დღეები წარსულს ჩაბარდა!	128
ათწლიანი პატიმრობა მასობრივი პროტესტების მონაწილეთათვის	134
პრეზიდენტი ქილერის ლიცენზიით	140
სიცრუის ზეიმი	144
აღმოსავლეთ ევროპა: დემოკრატიის დასავლური მოდელი არ ამართლებს	148
ნამდვილი ბოროტების იმპერია	152
როგორ დამალა ამერიკამ საკუთარი რევოლუცია არაბულის მიღმა	158
ამერიკული აგენტურა სერბეთში ხელისუფლებისკენ მიისწრაფვის	162
სპეცსამსახურები და აშშ-ის მსხვილი ბიზნესი	166
ვაშინგტონს მსოფლიო უკანონობისკენ მიჰყავს	190
ამერიკელ ნაცისტებს კონგრესში ოფიციალური ლობისტი გამოუჩნდათ	194

10 კორპორაცია, რომლებიც მართავს მსოფლიოს 199

აშშ მსოფლიო ომისთვის ემზადება
და კიდევ ერთ სამხედრო დაზვერვას ქმნის 203

დასასრულის დასაწყისი 206

აშშ-ის განათლების სისტემა
თვითმხილველის თვალით 208

დამსმენებისა და ჩამშვებების ნაცია 212

თავისუფალი ადამიანების საშობლო,
ანუ ამერიკის შეერთებული ცისქვეშა 216

ევროპის გადაშენება 219

დიდი ამერიკული ტყუილი 225

აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის
საგარეოპოლიტიკური შიზოფრენია 230

ვის სჭირდება ნავთობისათვის ომი? 234

ამერიკული იმპერიის ვარდნა და ნგრევა 237

საბერძნეთის დეფოლტი და აშშ 240

როგორ ანადგურებენ სახელმწიფოებს
აშშ-ის რეიტინგული საagენტოები 247

აშშ-ის საზოგადოების ნგრევის
პროცესის დაჩქარების 18 ნიშანი 252

ფორტ-ნოქსის საიდუმლო: აშშ-ის საცავებში
ოქროს ნაცვლად ვოლფრამი ინახება 257

შემაშფოთებელი ფაქტები
აშშ-ის სახელმწიფო ვალის შესახებ 264

უდიდესი ინკვიზიტორი 269

არაბული გაზაფხული
თუ გადატრიალება ამერიკულად 274

აშშ ფაშისტური პოლიციური სახელმწიფოა 277

ამერიკა – დიქტატორების თავშესაფარი 282

დაზვერვის ძვირადღირებული რაინდები 286

რატომ ხდება ამერიკაში ამდენი უბედურება? 291

კალიფორნიული ცარცის წრე 299

პოლ კრეიგ რობერტსი: დასავლური შეტევა საერთაშორისო სამართალზე 301

აშშ-ის ელჩი სირიაში სიკვდილის ესკადრონებს ქმნიდა 307

ვაშინგტონმა მოკავშირეებს „გაუჩალიჩა“... 310

არშემდგარ სახელმწიფოთა საამქრო 316

მითები ამერიკის განსაკუთრებულობაზე 324

დოლარის ექსპორტი და ომი 331

არჩევნები და აშშ-ის სპეცსამსახურები 337

ამერიკული სასჯელალსრულების სისტემა 342

აშშ ახლო აღმოსავლეთში გმირულად აგვარებს პრობლემას, რომელიც თავად შექმნა 344

ამერიკის სირცხვილი 346

ბოლივიის პრეზიდენტმა აშშ-ის დიპლომატიაზე მთელი სიმართლე დაფქვა 351

აშშ-ის ბოისკაუტების ორგანიზაცია პედოფილების ბუნაგი აღმოჩნდა 359

რამდენი კოლონია ჰყავს აშშ-ს 361

ამერიკელი ფსიქიატრები ადამიანებს ასახიჩრებენ 366

ჰოლივუდი ამერიკული სპეცსამსახურების სამსახურში 371

ან კაპიტალიზმი, ან დემოკრატია 379

© „ღვანლისმცოდნე“

მომავალ შესვედრამდე, ძია სემ	384
აშშ-ში შობადობა ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა	387
ინტერვენციის ანატომია	389
„ცისფერი გაზაფხული“?	441
აშშ-ის საიდუმლო ომი	450
ამერიკელები სამშობლოზე უარს ამბობენ	455
ბოროტების ტექნოლოგია ქრისტიანული ცივილიზაციის წინააღმდეგ, ანუ აბსოლუტური ნულის მიღწევის ამერიკული გზები	457
აშშ, როგორც „არშემდგარი სახელმწიფო“	466
ამერიკული კრიზისის სტატისტიკა და მოახლოებული აღსასრული	471